

აღაგიანის უფლებათა ევროპული სსსამართლოს განაჩენთა კრებული

ნიგნი VI

DEHMARE CAUCASIA PROGRAMME 2008 - 2009
(ENHANCING GOOD GOVERNANCE)
HUMAN RIGHTS AND THE RULE OF LAW IN GEORGIA

გაბრიელ კავასიძის პროგრამა 2008-2009
სამართალწარმოის აღსაზრდის უზრუნველყოფის
და ადამიანის უფლებების გაუმჯობესების
საკითხებში



ეს ნიგნი გამოიცა
დანის საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით,
მისი კავკასიური პროგრამის ფარგლებში

**Selected Judgments of the European Court of Human Rights (in Georgian – 2009),
Volume VI**

This publication has been produced with the assistance of the Danish Ministry of Foreign Affairs under the Caucasus Programme of the Danish Ministry of Foreign Affairs

ტექსტის თარგმანი – ლალი კერესელიძე

თარგმანი ქვეყნდება ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით და
მასზე პასუხს აგებს მთარგმნელი

ეს წიგნი გამოიცა დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით,
მისი კავკასიური პროგრამის ფარგლებში

სამართლებრივ და ადამიანის უფლებათა შესაძლებლობების
განვითარების განყოფილება
ტექნიკური თანამშრომლობის დეპარტამენტი
თანამშრომლობის დირექტორატი
ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საქმეთა გენერალური დირექტორატი
ევროპის საბჭო

F-67075 სტრასბურგი Cedex

© ევროპის საბჭო, 2009

გაფორმება და კომპიუტერული უზრუნველყოფა – შპს „პეტიტი“

სარჩევნი

| | |
|--------------------------------------------------------|-----|
| ბელევიცკი რუსეთის წინააღმდეგ..... | 5 |
| Belevitskiy v. Russia | |
| ბუკტა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ..... | 37 |
| (Bukta and others v. Hungary) | |
| მოსკოვის საინტოლოგიური ეკლესია რუსეთის წინააღმდეგ..... | 49 |
| Church of Scientology Moscow v. Russia | |
| ფოლგერო და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ..... | 81 |
| (Folgerø and others v. Norway) | |
| გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ..... | 147 |
| (Galstyan v. Armenia) | |
| ისტრატი და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ..... | 205 |
| (Istratii and others v. Moldova) | |
| კოვაჩი უკრაინის წინააღმდეგ..... | 239 |
| (Kovach v. Ukraine) | |
| რადიო ტვისტი, ა.ს. სლოვაკეთის წინააღმდეგ..... | 259 |
| (Radio Twist, A.S. v. Slovakia) | |
| რამაზანოვა და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ..... | 279 |
| (Ramazanova and others v. Azerbaijan) | |
| სმირნოვი რუსეთის წინააღმდეგ..... | 305 |
| (Smirnov v. Russia) | |
| სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ..... | 325 |
| (Stoll v. Switzerland) | |
| ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ..... | 391 |
| (Tatishvili v. Russia) | |

ბელევიტსკი რუსეთის წინააღმდეგ

Belevitskiy v. Russia

ბელევიცკი რუსეთის წინააღმდეგ
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესუმე საქცია
საქმე ბელევიცკი რუსეთის წინააღმდეგ

CASE OF BELEVITSKIY v. RUSSIA

(განაცხადი 72967/01)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 1 მარტი

საბოლოო

01/06/2007

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე *“ბელევიცკი რუსეთის წინააღმდეგ”*,
(*Belevitskiy v. Russia*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (მეხუთე სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი პ. ლორენცენი, თავმჯდომარე,

ქ-ნი ს. ბოტუჩაროვა,

ბ-ნი კ. იუნგვიერტი,

ბ-ნი რ. მარუსტე,

ბ-ნი ა. კოვლერი,

ბ-ნი პ. ბორეგო-ბორეგო,

ქ-ნი რ. იაეგერი, მოსამართლეები

და ქ-ნი კ. ვესტერდიეკი, სექციის მდივანი,

მოითათბირა 2007 წლის 5 თებერვალს და

იმავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს მომდინარეობს განაცხადიდან (72967/01) რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე რუსეთის მოქალაქის, ბ-ნი რომან სერგეის ძე ბელევიცკის ("განმცხადებელი") მიერ 2001 წლის 20 ივლისს.

2. განმცხადებელს, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იურიდიული დახმარებით, სასამართლოში წარმოადგენდნენ მოსკოვში მოღვაწე ადვოკატები — ქ-ნი კ. მოსკალენკო და ქ-ნი ე. ლიპსტერი. რუსეთის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა ბ-ნი ლაპტევი, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

3. განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი პოლიციის მუშაკების მხრიდან არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა, რომ ეს მოპყრობა არაადამიანური მოპყრობის ტოლფასი იყო, რომ მის მიმართ მოპყრობა იყო უკანონო და გადაჭარბებულად ხანგრძლივი, და რომ მან ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს გარანტიებით.

4. 2004 წლის 19 ოქტომბერს სასამართლომ გადაწყვიტა მთავრობისთვის შეეტყობინებინა განაცხადის შესახებ. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მან გადაწყვიტა ერთდროულად განეხილა განაცხადის არსებითი მხარე და მისი დასაშვებობა.

5. მთავრობა დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთობლივად განხილვის წინააღმდეგი იყო. სასამართლომ განიხილა მთავრობის პროტესტი და იგი არ დააკმაყოფილა.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი დაიბადა 1981 წელს და ცხოვრობს მოსკოვში.

ა. განმცხადებლის დაკავება და საპატიმროში მოთავსება

7. 2000 წლის 11 ოქტომბერს მოსკოვის რამენსკის რაიონული პოლიციის ოპერატიულმა მუშაკებმა — 'ი'-მ და 'კ'-მ განმცხადებელი დააკავეს ლუჟნიკის ბაზარზე, ნარკოტიკებთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველზე. იგი ამოიცირო ბატონმა 'ე'-მ, როგორც პირი, რომელმაც მას ჰეროინი მიჰყიდა. დაკავების ზუსტი დრო მხარეებს შორის დავის საგანი იყო. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ იგი დაახლოებით 12 საათზე დააკავეს, ხოლო მთავრობა აცხადებდა, რომ ეს დღის 4 საათსა და 30 წუთზე მოხდა.

8. 6 საათსა და 50 წუთზე პოლიციის განყოფილებაში განმცხადებელი გაჩხრიკა პოლიციის ოფიცერმა 'რ'-მ, ორი მონმის (*ponyatye*) თანდასწრებით. მას უპოვეს პატარა პაკეტი 0,004 გრამი ჰეროინით.

9. განმცხადებლის დაკავების ოქმი მომდევნო დღის 11 საათსა და 50 წუთზე შეადგინეს. იმავე დღეს გამომძიებელმა განმცხადებლის საგამომძიებო იზოლატორში მოთავსების ბრძანება გამოსცა. ბრძანებაში მითითებული არ იყო პატიმრობის პერიოდი (შესაბამისი სამართლებრივი დებულებები იხ. ქვემოთ, 51-ე პუნქტში).

10. დაუდგენელ დღეს შედგა განმცხადებლისა და ბატონი 'ე'-ის დაპირისპირება. დაპირისპირებას ესწრებოდა განმცხადებლის ადვოკატი. ბატონმა 'ე'-მ დაადასტურა თავისი ჩვენება, რომ ჰეროინი განმცხადებლისაგან შეიძინა.

ბ. განმცხადებლის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

11. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ 2000 წლის 11 ოქტომბერს რამენსკის რაიონული პოლიციის განყოფილებაში მას პოლიციის მუშაკებმა სცემეს. მთავრობა უარყოფდა ამ განცხადებას.

12. სამედიცინო დასკვნიდან, რომელიც მე-8 კლინიკის ტრავმატოლოგიურმა განყოფილებამ 2000 წლის 24 ოქტომბერს გასცა, გამომდინარეობს, რომ 2000 წლის 13 ოქტომბერს, დღის 3 საათსა და 10 წუთზე განმცხადებელი სამედიცინო შემონმებისთვის მიიყვანეს რამენსკის რაიონული პოლიციის განყოფილების მუშაკებმა. სამედიცინო შემონმების შედეგად დადგინდა "ჰემატომა მარცხენა მეთოხე და მეექვსე ნეკნებს შორის, ჰემატომა წელის არეში, ნაჭდევი მარცხენა მუხლის სახსარში".

13. 2000 წლის 18 დეკემბერს ნიკულისკის რაიონული პროკურატურის უფროსმა თანაშემწემ მიიღო დადგენილება განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მის საჩივარზე სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების შესახებ. ერთგვერდიანი დადგენილების არგუმენტები ეფუძნებოდა პოლიციის ოფიცრების — 'რ'-ის, 'ი'-ის და 'კ'-ის ჩვენებებს, რომლებიც განმცხადებლის დაკავებასა და ჩხრეკაში მონაწილეობდნენ. ისინი განმცხადებელზე რაიმე ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზემოქმედების ფაქტებს უარყოფდნენ.

14. 2000 წლის 18 დეკემბრის დადგენილება განმცხადებლის ადვოკატებმა მოსკოვის ქალაქის პროკურორის მოადგილესთან გააპროტესტეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ 2000 წლის 24 ოქტომბრის სამედიცინო დასკვნასთან დაკავშირებით რაიმე მოკვლევა არ ჩატარებულა. მოსკოვის ქალაქის პროკურორმა დამატებითი მოკვლევის ჩატარების ბრძანება გასცა.

15. 2001 წლის 29 მარტს უფროსმა თანაშემწემ მიიღო კიდევ ერთი დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არდანყების თაობაზე. დასაბუთებაში აღნიშნული იყო შემდეგი:

“დამატებითი მოკვლევის დროს ნიკულისკის რაიონულმა პროკურატურამ შეისწავლა სამედიცინო დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ 2000 წლის 13 ოქტომბერს [განმცხადებელი] მიიყვანეს სამედიცინო განყოფილებაში, სადაც ... დაფიქსირდა ფიზიკური დაზიანებები.

კრილატსკოეს რაიონული პოლიციის განყოფილების უფროსის, ბატონი 'ზ'-ის მიერ გაცემული ცნობიდან ჩანს, რომ საგამოძიებო იზოლატორში მოთავსებისას განმცხადებელი ჯანმრთელობას არ უჩიოდა, რის შესახებაც მან წერილობითი შენიშვნა ჩაწერა სამედიცინო ფურცელში.

გარდა ამისა, თანაშემწე პროკურორის მიერ [განმცხადებლის] დამატებითი დაკითხვისას, რომელიც ადვოკატის [გვარი არ იკითხება] თანდასწრებით მის საკანში მოთავსებამდე ჩატარდა, [განმცხადებელმა] განმარტა, რომ პოლიციის ოფიცრებს მასზე ზენოლა არ მოუხდენიათ და რომ მან აღიარება ნებაყოფლობით მისცა. მას რაიმე საჩივარი პოლიციის ოფიცრების მიმართ არა აქვს.

შეგროვებული მასალების შესწავლის საფუძველზე მე ვასკნი, რომ [განმცხადებლის] საჩივრები, რომ მასზე განხორციელდა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა პოლიციის ოფიცრების მხრიდან, ობიექტურად არ დადასტურდა. შეუძლებელია დადგინდეს გარემოებები, რომელთა დროსაც მან მიიღო ფიზიკური დაზიანებები, რომელთა შესახებაც სამედიცინო დასკვნაშია მითითებული, რადგან მას ამ დაზიანებების შესახებ თანაშემწე პროკურორთან არაფერი უთქვამს და რადგან [იმ დროს] მას რაიმე ხილული ზიანი არ აღენიშნებოდა და არც ჯანმრთელობას უჩიოდა.”

ბ. პირველი სასამართლო პროცესი

16. 2000 წლის 9 დეკემბერს გამოძიება დასრულდა და საქმე, საბრალდებო დასკვნის საბოლოოდ დასამტკიცებლად, ნიკულისკის რაიონულ პროკურატურას გადაეცა.

17. 2000 წლის 13 დეკემბერს განმცხადებლისა და ბ-ნი 'ე'-ის საქმე განსახილველად მოსკოვის ნიკოლინსკის რაიონულ სასამართლოს გადაეცა.

18. 2001 წლის 4 იანვარს მოსკოვის ნიკოლინსკის რაიონულმა სასამართლომ საქმის მასალები მიიღო.

19. 2001 წლის 11 იანვარს მოსკოვის ნიკოლინსკის რაიონულმა სასამართლომ წინასამართლო დადგენილება მიიღო. დადგენილება იყო ერთგვერდიან ნაბეჭდი ფორმა, რომელშიც თარიღი, განმცხადებლისა და მეორე ბრალდებულის გვარები და მათ მიმართ წაყენებული ბრალდება ხელით არის ჩანერილი. შესაბამის ნაწილში მითითებულია შემდეგი (ნაბეჭდი ჩანაწერი მოცემულია ჩვეულებრივი შრიფტით, ხოლო ხელით მინაწერი — დახრილით):

“ნიკოლინსკის რაიონული სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე; შეგროვებული მტკიცებულებები საკმარისია საქმის განსახილველად; საბრალდებო დასკვნა შედგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად; ბრალდებულების მიმართ გამოტანილი აღკვეთის ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის საფუძვლები არ არსებობს; ბრალდებულს ან მესამე მხარეებს შუამდგომლობა არ წარმოუდგენიათ.

ვინაიდან საქმის გამოძიება ჩატარდა რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად და ბრალდებულების — ბატონი 'ე'-ის და [განმცხადებლის] უფლებები დაცულია და ვინაიდან არ არსებობს სასამართლო განხილვის ხელშემშლელი მიზეზები, სასამართლო

აღგენს —

ბ-ნი 'ე'-ის და [განმცხადებლის] მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო ... 2001 წლის 23 იანვარს ... პროკურორის, ადვოკატის მონაწილეობით.

აღკვეთის ღონისძიება — ერთი და იგივეა თითოეული ბრალდებულის მიმართ...”

დადგენილება მიღებულ იქნა განმცხადებლის და მისი ადვოკატის დაუსწრებლად და სხდომის ოქმის ასლი მათ არ მიუღიათ.

20. 2001 წლის 23 იანვარს სხდომა ერთი კვირით გადაიდო განმცხადებლის ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო.

21. 2001 წლის 30 იანვარს რაიონულმა სასამართლომ საქმესთან დაკავშირებით წინასწარი სხდომა გამართა. დაცვის მხარემ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სასამართლო პროცესამდე განმცხადებლის გათავისუფლების შესახებ. სასამართლომ თხოვნა არ დააკმაყოფილა. დასკვნაში აღნიშნულია შემდეგი:

“სასამართლომ მოისმინა პროცესში მონაწილე მხარეთა მოსაზრებები და პროკურორის განცხადება, რომელმაც ითხოვა, არ დაკმაყოფილებულიყო შუამდგომლობა [განმცხადებლის] გათავისუფლების შესახებ, და მიაჩნია, რომ არ არსებობს [განმცხადებლის] მიმართ გამოტანილი აღკვეთის ღონისძიების

შეცვლის საფუძვლები, რადგან [განმცხადებელს] წაყენებული აქვს სისხლის სამართლის ბრალდება, რომელიც მიეკუთვნება განსაკუთრებით სერიოზულ დანაშაულს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით, და [რადგან] სასამართლოს ჯერ ბოლომდე არ შეუსწავლია ბრალდების მხარის მიერ შეგროვებული მტკიცებულებები.”

22. 2001 წლის 5 და 22 თებერვალს განმცხადებლის ადვოკატებმა ეს დადგენილება გაასაჩივრეს. ისინი აცხადებდნენ, რომ განმცხადებელს ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მოსკოვში და იგი ადრე ნასამართლვეი არ ყოფილა, ასევე არ არსებობდა რაიმე საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი დაემალებოდა მართლმსაჯულებას. ისინი აგრეთვე მიუთითებდნენ, რომ ბრალდებულის პატიმრობა 11 და 12 ოქტომბერს არც დაფიქსირებული იყო და არც ნებადართული. გარდა ამისა, განმცხადებელს პატიმრობა მიესაჯა მხოლოდ ორი თვით და, შესაბამისად, მისი პატიმრობა 2000 წლის 12 დეკემბრის შემდეგ უკანონო იყო.

23. 2001 წლის 5 მარტს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა 2001 წლის 30 იანვრის დადგენილება. იგი მიუთითებდა:

“სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, წინასწარი პატიმრობა განისაზღვრება ორი თვით.

როგორც არსებული მასალებიდან ჩანს, სისხლის სამართლის საქმე დაიწყო 2000 წლის 12 ოქტომბერს და იმავე დღეს [განმცხადებელი] მოათავსეს საპატიმრო დაწესებულებაში; [2000 წლის] 9 დეკემბერს [განმცხადებელი] გადაიყვანეს მოსკოვის ნიკოლინსკის რაიონულ პროკურატურაში, სადაც გადაიგზავნა მისი საქმის მასალები. შესაბამისად, გამოძიების პერიოდში არ დარღვეულა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლი და საჩივარში მითითებული არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმრობა 2000 წლის 12 დეკემბრის შემდეგ უკანონო იყო, საქმის მასალებით არ დასტურდება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პირებს, რომლებსაც [ნარკოტიკებთან დაკავშირებული] სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა ედებათ ბრალად, აღკვეთის ღონისძიებად შეიძლება შეეფარდონ წინასწარი პატიმრობა მხოლოდ დანაშაულის სერიოზულობის საფუძველზე; ამასთან დაკავშირებით სასამართლო მხარს უჭერს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველების არარსებობასთან დაკავშირებით და ამ დაკვნას კანონიერად მიიჩნევს.”

24. 2001 წლის 26 აპრილს განმცხადებლის ადვოკატებმა კიდევ ერთი შუამდგომლობა დააყენეს საქმის მწარმოებელი სასამართლოს წინაშე განმცხადებლის სასამართლო პროცესამდე გათავისუფლების მოთხოვნით. სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. 2001 წლის 3 მაისს უარის შესახებ დადგენილება კვლავ გაასაჩივრეს მოსკოვის საქალაქო სასამართლოში. არ ჩანს, რომ რაიმე პასუხი მიიღეს.

25. 2001 წლის 26 ივნისს ნიკოლინსკის რაიონულმა სასამართლომ, საკუთარი შუამდგომლობით, განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა გააგრძელა კიდევ სამი თვით, ან იმ დრომდე, სანამ არ შეისწავლიდნენ წაყე-

ნებული ბრალდების არსებით მხარეს, რაკი დაასკვნა, რომ მისი გათავისუფლება "მნიშვნელოვნად შეუშლიდა ხელს საქმის დეტალურ, სრულყოფილ და ობიექტურ შესწავლას".

26. 2001 წლის 5 ივლისს მოსკოვის ნიკოლინსკის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლისა და ბატონი 'ე'-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო. ბ-ნი 'ე' ამნისტიის აქტის საფუძველზე სასჯელისაგან გაათავისუფლეს. განმცხადებელს მიესაჯა ექვსი წლით და ექვსი თვით პატიმრობა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

27. 2001 წლის 17 ოქტომბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ გააუქმა სასჯელი არსებითი და პროცედურული საფუძველებით და საქმე ხელახალი განხილვისთვის სხვა სასამართლო შემადგენლობას გადასცა. საქალაქო სასამართლომ განმცხადებლის პატიმრობაში დატოვების ბრძანება გასცა, თუმცა ამ გადაწყვეტილების არგუმენტებზე არ მიუთითებია.

დ. მეორე სასამართლო პროცესი

28. 2001 წლის 3 დეკემბერს სასამართლო პროცესი გადაიდო ბატონი 'ე'-ის და მონმეტა გამოუცხადებლობის გამო.

29. 2001 წლის 18 დეკემბერს სხდომა არ გაიმართა, რადგან მოსამართლეთა შემადგენლობა სხვა სისხლის სამართლის საქმეს იხილავდა.

30. 2001 წლის 19 დეკემბერს განმცხადებლის ადვოკატმა საჩივარი შეიტანა ნიკოლინსკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე. იგი ჩიოდა წინა სხდომების გადადების გამო, ასევე იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის გათავისუფლების მოთხოვნის საკითხი არსებითად არ იქნა განხილული. იგი აგრეთვე მიუთითებდა განმცხადებლის პატიმრობის არაადამიანურ პირობებზე. არ ჩანს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე პასუხი მიიღეს.

31. 2002 წლის 10 იანვარს სხდომა გადაიდო თავმჯდომარე მოსამართლის ავადმყოფობის გამო.

32. 2002 წლის 21 იანვარს სასამართლომ განიხილა გათავისუფლების მოთხოვნა და არ დააკმაყოფილა იგი. მონმეტა გამოუცხადებლობის გამო სხდომა 2002 წლის 4 თებერვლამდე გადაიდო. 2002 წლის 27 იანვარს განმცხადებელმა უარის შესახებ დადგენილება მოსკოვის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. არ ჩანს, რომ ეს საჩივარი განხილულ იქნა.

33. 2002 წლის 4 თებერვალს სასამართლომ არ დააკმაყოფილა გათავისუფლების კიდევ ერთი მოთხოვნა. სასამართლოს სხდომა 2002 წლის 12 თებერვლამდე გადაიდო ბატონი 'ე'-ის და მონმეტა გამოუცხადებლობის გამო.

34. 2002 წლის 12 თებერვალს და 5 და 19 მარტს მონმეტა გამოუცხადებლობის გამო სხდომები კვლავ გადაიდო.

35. 2002 წლის 17 აპრილს სასამართლო სხდომა გაიმართა. პროცესზე მოუსმინეს განმცხადებელს, დაცვის მონმეს და გამოაქვეყნეს იმ მონმეტა ჩვენებები, რომლებიც ვერ გამოცხადდნენ, ბ-ნი 'ე'-ის ჩათვლით.

36. 2002 წლის 18 აპრილს განმცხადებელი დამნაშავედ იქნა ცნობილი და მას შეეფარდა ექვსი წლითა და ექვსი თვით პატიმრობა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით. განმცხადებლის მიმართ პოლიციის ოფიცერთა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით სასამართლომ შემდეგი დასკვნა გააკეთა:

“მონშების — 'ერ'-ის და 'გ'-ის ჩვენებები [რომლებმაც ჩვენებები მისცეს], რომ [განმცხადებელი] დაკავების დროს აკურატულად იყო ჩაცმული, ასევე მონშე 'გე'-ის ჩვენება [რომელმაც ჩვენება მისცა], რომ პირადი ჩხრეკის დროს [განმცხადებლის] ტანისამოსი ჭუჭყიანი იყო და იგი მანანნალასავით გამოიყურებოდა, სასამართლოს აზრით, ვერ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ [განმცხადებელზე] განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა პოლიციის ოფიცერთა მხრიდან, რადგან ეს განცხადება სასამართლომ სხდომაზე განიხილა და უსაფუძვლოდ ცნო; [ეს დასკვნა] გამყარებულია [პოლიციის ოფიცრების] 'რ'-ის, 'ი'-ის, 'კ'-ის, 'ბ'-ის, 'მი'-ის და 'მუ'-ის ჩვენებებით და [განმცხადებლის] საჩივრებზე სისხლის სამართლის საქმის არალძვრის შესახებ დადგენილებით...”

2002 წლის 13 სექტემბერს გაცემული სამედიცინო დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ ტრავმატოლოგიური განყოფილების ექიმმა [განმცხადებელი] გასინჯა და დაადგინა დაზიანებები... სასამართლოს წინაშე [განმცხადებელმა] ჩვენება მისცა, რომ ეს დაზიანებები მას პოლიციის ოფიცრებმა მიყენეს. თუმცა სასამართლოს სხდომაზე დადგინდა, რომ მის მიმართ რაიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ზეწოლა არ განხორციელებულა; აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ 2000 წლის 13 ოქტომბერს დაფიქსირებული დაზიანებები [განმცხადებელმა] მიიღო არა მის მიერ აღწერილ გარემოებებში, არამედ სხვა გზით, რომელიც დაკავშირებული არ არის [განმცხადებლის] დაკავებასთან და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან.”

37. ნარკოტიკების შენახვასა და გაყიდვაში განმცხადებლის დამნაშავედ დადგენისას რაიონული სასამართლო დაეყრდნო ნივთიერ მტკიცებულებას (განმცხადებლისგან ამოღებული პატარა პაკეტი ჰეროინით), ბ-ნი 'ე'-ის ჩვენებას, რომელსაც ამყარებდა პოლიციის მუშაკთა ჩვენებები, ჩხრეკის დამსწრე პირის ჩვენებას და განმცხადებლისა და ბ-ნი 'ე'-ის დაპირისპირების ოქმს.

38. 2002 წლის 8 ივნისს განმცხადებელმა მსჯავრდება გაასაჩივრა. კერძოდ, იგი ჩიოდა, რომ მსჯავრი მნიშვნელოვანწილად დაეფუძნა მის მიერ საკუთარი თავის წინააღმდეგ მიცემულ ჩვენებას, რომელიც მან დაკავების დღეს პოლიციის ოფიცერთა მხრიდან ზეწოლის შედეგად მისცა, ასევე ბ-ნი 'ე'-ის ჩვენებას, რომელიც მართლმსაჯულებას ხელიდან დაუძვრა და მეორე პროცესზე ჩვენება აღარ მიუცია.

39. 2002 წლის 9 სექტემბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ სააპელაციო სარჩელი არ დააკმაყოფილა და განაჩენი ძალაში დატოვა. მან სიტყვასიტყვით გაიმეორა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები განმცხადებლის საჩივრებზე არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

ე. განმცხადებლის პატიმრობის პირობები მოსკოვის IZ-77/3 საგამომძიებო იზოლატორში

40. განმცხადებელი მოსკოვის IZ-77/3 საგამომძიებო იზოლატორში იმყოფებოდა 2001 წლის 11 ივლისიდან 6 ოქტომბრამდე, ხოლო შემდეგ — 2002 წლის 23 აპრილიდან 5 ოქტომბრამდე.

41. 2001 წელს განმცხადებელი მოთავსებული იყო 405, 406 და 706 საკნებში, რომელთა საშუალო ფართობი 36 კვ. მ-ს შეადგენდა. მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ საკნებში პატიმართა ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან სარეგისტრაციო ნიგნები უკვე განადგურებული იყო, თუმცა საპატიმრო დაწესებულება მისი საპროექტო შესაძლებლობების 300 პროცენტით იყო დატვირთული.

42. 2002 წელს განმცხადებელი მოთავსებული იყო 603, 602 და 612 საკნებში. 603-ე საკნის ფართობი შეადგენდა 26 კვადრატულ მეტრს, სადაც 21-დან 37-მდე პატიმარი იყო მოთავსებული, 32 კვ. მ ფართობის მქონე 602-ე საკანში 35-დან 45-მდე პატიმარი იმყოფებოდა, ხოლო 9 კვ. მ 612-ე საკანში — 6-დან 9 პატიმრამდე.

43. 2001 წლის 3 ოქტომბერს განმცხადებლის ადვოკატმა რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოში და იუსტიციის სამინისტროში საჩივარი შეიტანა პატიმრობის "უმძიმეს პირობებთან" დაკავშირებით.

44. 2001 წლის 10 ოქტომბერს განმცხადებელმა საჩივარი დაწერა მოსკოვის პრესნენსკის რაიონული სასამართლოს სახელზე. იგი წერდა, რომ მან ერთ წელზე მეტი გაატარა უზომოდ გადატვირთულ საკნებში, რომლებიც სავსე იყო ბალღინჯოებითა და ტილებით. არ იყო საკმარისი სუფთა ჰაერი, ხოლო საკანში შუქი ოდნავ აღწევდა რკინის მესრით დაფარული ფანჯრებიდან. ორმოცი თანამესაკნიდან უმრავლესობა მწველი იყო. ნათურა დღე-ღამის განმავლობაში იყო ჩართული და პატიმრები ერთმანეთის მონაცვლეობით იძინებდნენ. ტუალეტი საკნის დანარჩენი ნაწილისგან გამოყოფილი არ იყო და ფარულობის ვერანაირ პირობას ვერ აკმაყოფილებდა. მას გამოაჩნდა სხვადასხვა დაავადება, მათ შორის, მუნი, კიდურების დაჩირქება, მუდმივი თავის ტკივილი და შიპერტონია. როგორც განმცხადებელმა აღნიშნა, მას საჩივარი არ გაუგზავნია, რადგან ემინოდა რეპრესიის, რომლითაც მას ციხის ადმინისტრაცია ემუქრებოდა.

45. 2001 წლის 10 ოქტომბერს განმცხადებლის ადვოკატმა ორი ერთმანეთის მსგავსი პასუხი მიიღო იუსტიციის სამინისტროს მთავარი პენიტენციური სამმართველოდან. მას აცნობებდნენ, რომ საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებისას განმცხადებელი გასინჯა ექიმმა და დაადგინა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალური იყო. 2001 წლის 6 სექტემბერს ზოგადი პროფილის ექიმმა მას მუნის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური მკურნალობა ჩაუტარა; 2001 წლის 12 სექტემბერს მას ნორმოტონიკული ტიპის ვეგეტო-ვასკულარული დისტონია დაუდგინეს; 2001 წლის 25 სექტემბერს მას კვლავ ჩაუტარდა მუნის საწინააღმდეგო მკურნალობა; 2001 წლის 1 ოქტომბერს მას ატიპური დერმატიტის დიაგნოზი დაუსვეს. მისი ჯანმრთელობა "დამაკმაყოფილებლად" იქნა მიჩნეული.

46. 2002 წლის 8 და 10 იანვარს განმცხადებლის წარმომადგენელმა პასუხი მიიღო მის შემდგომ საჩივარზე. მას აცნობეს, რომ 2001 წლის 11 ოქტომბერს განმცხადებელმა მოითხოვა სამედიცინო დახმარება პიოდერმატიტის მკურნალობის მიზნით და მას სათანადო დახმარება გაუწიეს. 2001 წლის 6 ნოემბერს განმცხადებელი სხვა ციხეში გადაიყვანეს და საერთო საკანში მოათავსეს, სადაც 63 პატიმარი იმყოფებოდა. 2001 წლის 7 დეკემბერს საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციამ განმცხადებლის დედისგან არ მიიღო წამლები, რადგან, ადმინისტრაციის განცხადებით, დაწესებულების სამედიცინო ნაწილში ყველა საჭირო წამალი ჰქონდათ. 2001 წლის 20 დეკემბერს განმცხადებელს კანის ქავილის და პიოდერმატიტის რეზიდუალური ეფექტის დიაგნოზი დაუსვეს.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონი

ა. სისხლის სამართლის დანაშაულთა გამოძიება

47. რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ძალაში იყო 2002 წლის 1 ივლისამდე) ადგენდა, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება შეიძლებოდა დაწყებულიყო გამოძიებლის მიერ ინდივიდუალური პირის საჩივრის საფუძველზე ან საგამოძიებო ორგანოს ინიციატივით, როდესაც არსებობდა საფუძველები ვარაუდისთვის, რომ ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული (მუხლები 108 და 125). პროკურორს გამოძიების საერთო ზედამხედველობა ევალებოდა (მუხლები 210 და 211). მას შეეძლო კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ბრძანება გაეცა, საქმე ერთი გამოძიებლისგან მეორისთვის გადაეცა ან დამატებითი გამოძიება დაენიშნა. თუ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების საფუძველები არ არსებობდა, პროკურორს ან საგამოძიებელს უნდა მიეღო დასაბუთებული დადგენილება, რომლის შესახებაც შეტყობინება უნდა გაეგზავნა დანტერესებული მხარეებისთვის. დადგენილება შემდგომ პროკურორთან ან სათანადო იურისდიქციის საერთო სასამართლოში გასაჩივრებას ექვემდებარებოდა (მუხლი 113).

48. 1998 წლის 29 აპრილს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ყველას, ვისი კანონიერი უფლებები და ინტერესები დაირღვა სისხლის სამართლის წარმოების არდანყების შესახებ დადგენილების მიღებით, აქვს უფლება, ეს დადგენილება გაასაჩივროს სასამართლოში.

ბ. საპატიმროში მოთავსება და წინასწარი პატიმრობა

49. რუსეთის 1993 წლის 12 დეკემბრის კონსტიტუცია ადგენს, რომ ბრალდებულის დასაპატიმრებლად ან პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად

ბლად მოითხოვება სასამართლოს წინასწარი დადგენილება მისი დაპატიმრების ან პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ (მუხლი 22). წინასწარი პატიმრობის შესახებ დადგენილებას იღებს პროკურორი ან მოსამართლე (რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები 11, 89 და 96).

50. 2001 წლის 14 მარტამდე წინასწარი პატიმრობის შეფარდება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს წაყენებული ჰქონდა სისხლის სამართლის ბრალდება, რომელიც ითვალისწინებდა სულ მცირე ერთი წლით პატიმრობას (რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი). 2001 წლის 14 მარტის შესწორებების შედეგად გაუქმდა დებულება, რომელიც იძლეოდა უფლებას ბრალდებულის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენებისა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მხოლოდ საშუალო ბუნების საფუძველზე.

51. დაკავების შემდეგ ეჭვმიტანილს ათავსებდნენ წინასწარი გამოძიების იზოლატორში პირველი ორი თვის განმავლობაში (რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლი). წინასწარი პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება შეეძლო პროკურორს.

52. გამოძიების დასრულების, ბრალდებულისთვის საბრალდებო დასკვნის ჩაბარებისა და საქმის მასალების წაკითხვის შემდეგ საქმე გადაეცემოდა სასამართლოს. იმ დღიდან ბრალდებული ხდებოდა განსასჯელი (სასამართლო პატიმრობა). 2001 წლის 14 მარტამდე სასამართლო პატიმრობის ვადა სისხლის სამართლის პროცესში დადგენილი არ იყო. 2001 წლის 14 მარტს დაემატა ახალი, 239-1 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ განსასჯელის პატიმრობის ვადა საქმის სასამართლოსთვის გადაცემის დღიდან, ჩვეულებრივ, ექვს თვეს არ უნდა აღემატებოდეს. ეს ვადა არ ეხებოდა ბრალდებულებს, რომლებსაც ბრალად ედებოდათ განსაკუთრებით სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა.

53. პატიმარს ან მის ადვოკატს ან უფლებამოსილ პირს შეეძლო დაპატიმრების ან პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ პროკურორის მიერ მიღებული დადგენილება სასამართლოში გაცემაჩივრებინა. მოსამართლე ვალდებული იყო დადგენილების კანონიერება და მისი დასაბუთებულობა განეხილა შესაბამისი დოკუმენტების მიღებიდან არა უგვიანეს სამი დღის ვადაში. საკითხი უნდა განხილულიყო დახურულ სხდომაზე, პროკურორისა და დაპატიმრებული პირის ადვოკატის თანდასწრებით. განხილვაზე უნდა გამოეძახებინათ დაპატიმრებული პირი, ხოლო მისი დასწრების გარეშე განხილვა ნებადართული იყო მხოლოდ გამოწვევის შემთხვევაში, თუ იგი ნებაყოფლობით განაცხადებდა უარს დასწრების უფლების გამოყენებაზე. მოსამართლეს შეეძლო არ დაექმყოფილებინა საჩივარი ან გაეუქმებინა წინასწარი პატიმრობის შესახებ დადგენილება და დაპატიმრებული პირის გათავისუფლების ბრძანება გამოეცა (რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 220-1).

სამართალი

I. კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევა განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო

54. განმცხადებელი ჩიოდა, რომ 2000 წლის 11 ოქტომბერს მას სცემეს პოლიციის მუშაკებმა და რომ ხელისუფლებამ არ აწარმოა მის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრის ეფექტიანი გამოძიება. იგი მიუთითებდა მე-3 და მე-13 მუხლებზე, რომლებიც ადგენს:

მუხლი 3

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.”

მუხლი 13

“ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.”

55. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელმა ვერ ამოწურა შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებები. პირველი, მას შეეძლო სისხლისსამართლებრივი დევნის არდანიყების შესახებ დადგენილება გაესაჩივრებინა რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორთან. მეორე, პროკურორის დადგენილება მას შეეძლო გაესაჩივრებინა საერთო სასამართლოში.

56. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მის მიერ ზემდგომ პროკურორთან განცხადების შეტანის შემდეგ დაინიშნა დამატებითი მოკვლევა. თუმცა ამ მოკვლევამ უბრალოდ დაადასტურა თავდაპირველი დასკვნები. ასეთ გარემოებაში ეფექტიანი ვერ იქნებოდა გენერალურ პროკურატურაში შემდგომი იერარქიული გასაჩივრება. რადგან ამასობაში მისი საქმე სასამართლოს გადაეცა, მან არჩია საქმის განმხილველი სასამართლოსთვის მიემართა არასათანადო მოპყრობის საკითხის განხილვის თხოვნით, რათა დაემტკიცებინა, რომ მან ჩვენებები ზენოლის პირობებში მისცა. ამრიგად, მთავრობის განცხადებისაგან განსხვავებით, მისი საჩივრები საერთო სასამართლომ განიხილა.

57. სასამართლო იმეორებს, რომ შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვა, რომელიც კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტითაა დადგენილი, განმცხადებლებს ავალდებულებს, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენონ სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც ხელმისაწვდომ-

მი და ქმედითა შიდასახელმწიფო სამართლებრივ სისტემაში, რათა აღიდგინონ სავარაუდო დარღვეული უფლება. 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ასევე მოითხოვს, რომ საჩივარი, რომლის წარდგენას შემდგომ სასამართლოში (სტრასბურგის, *მთარგმნელის შენიშვნა*) აპირებენ, უნდა განიხილონ შესაბამისმა შიდასახელმწიფო ორგანოებმა, სულ მცირე — მისი არსებითი მხარე, რაც უნდა განხორციელდეს მოქმედი შიდასახელმწიფო კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ ეს შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა იყოს ადეკვატური და ეფექტიანი (იხ. *აქსოი თურქეთის წინააღმდეგ*, 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, *მოხსენებები* 1996-VI, §§51-52, და *აკდივარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, 1996 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, *მოხსენებები* 1996-IV, §§65-67).

58. განმცხადებლის საჩივარი არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით განიხილა პროკურორმა, რომელმაც საქმეში *prima facie* არასათანადო მოპყრობა არ დაადასტურა და 2000 წლის 18 დეკემბრისა და 2001 წლის 29 მარტის დადგენილებებით გადაწყვიტა არ დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ძალაში იყო საქმესთან დაკავშირებულ დროს, ეს დადგენილებები ზემდგომ პროკურორთან ან საერთო სასამართლოში გასაჩივრებას ექვემდებარებოდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 47). მთავრობამ მიუთითა, რომ განმცხადებელმა გასაჩივრების სხვა გზები არ გამოიყენა.

59. ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრებასთან დაკავშირებით სასამართლო იმპორებს, რომ კონვენციის ინსტიტუტების ჩამოყალიბებული პრევენციული სამართალი, რომლის შესაბამისად, იერარქიული გასაჩივრება, რომელიც პირს არ ანიჭებს ინდივიდუალურ უფლებას, სახელმწიფომ განახორციელოს თავისი საზედამხედველო ფუნქცია, არ შეიძლება განხილული იქნეს ეფექტიან საშუალებად კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისთვის (იხ. *პორვატი ხორვატიის წინააღმდეგ*, 51585/99, §47, ECHR 2001-VIII, და *გიბასი პოლონეთის წინააღმდეგ*, 24559/94, კომისიის 1995 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება, *გადაწყვეტილებები და მოხსენებები* 82, გვ. 76 და 82).

60. რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრება არის საჩივარი ზემდგომ ორგანოში, რომლის მიზანია მისი ხელქვეითების მიერ ჩატარებული მოკვლევის ხარვეზების კრიტიკა. ასეთი საჩივარი ფაქტობრივად არის ინფორმაციული ხასიათის განცხადება, რომელსაც უნდა მოჰყვეს მოკვლევა ამ ორგანოს მხრიდან, რომელმაც, მისი უფლებამოსილების საფუძველზე, უნდა დანიშნოს დამატებითი მოკვლევა, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს. ზემდგომი პროკურორი ვალდებული არ არის მოუსმინოს მომჩივანს, ხოლო საქმის შემდგომი განვითარება მთლიანადაა დამოკიდებული ზემდგომ პროკურორსა და მის ხელქვეითებზე. მომჩივანი არ წარმოადგენს რაიმე პროცესის მონაწილე მხარეს; მას შეუძლია მხოლოდ ინფორმაცია მოიპოვოს იმის შესახებ, თუ რა გზით განიხილა მისი იერარქიული საჩივარი ზემდგომმა ორგანომ. ამიტომ, ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრებით, პირი ვერ სარგებლობს მისი ინდივიდუალური უფლებით, სახელმწიფომ განახორციელოს თავისი საზედამხედველო უფლებამოსილება, და, შესაბამისად, ასეთი

საჩივარი არ არის სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება კონვენციის 35-ე მუხლის მნიშვნელობით.

61. თუმცა არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებაზე პროკურორის მიერ გამოძიების არჩატარების თაობაზე დადგენილების საერთო სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით პოზიცია განსხვავებულია. ასეთ შემთხვევებში დავა წყდება სასამართლო პროცესზე, სადაც განმცხადებელი და პროკურორი მხარეები არიან. სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ სასამართლოს ძალაუფლება — გააუქმოს სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების შესახებ დადგენილება, რუსეთის სამართლებრივ სისტემაში საგამოძიებო ორგანოების მიერ უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების აღკვეთის ძლიერი მექანიზმია (იხ. *ტრუბნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ* (dec.), 49790/99, 2003 წლის 14 ოქტომბერი). მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესებში საერთო სასამართლო უფლებამოსილი არ არის ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება ან გამოიძიოს ფაქტები, საჩივრის სასამართლო კონტროლი სათანადო სამართლებრივი პროცედურის განხორციელებას უზრუნველყოფს. საჯაროობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე დაფუძნებული პროცესი დამოუკიდებელი სასამართლოებისაგან მოითხოვს შეაფასონ ჰქონდა თუ არა ადგილი განმცხადებლის მიმართ *prima facie* არასათანადო მოპყრობას და სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ბრძანება გაცენ.

62. ამ საქმეში განმცხადებელს არ გამოუყენებია სასამართლოში გასაჩივრების საშუალება. ამის ნაცვლად მან არჩია არასათანადო მოპყრობის საკითხი დაეყენებინა პროცესის მწარმოებელი სასამართლოს წინაშე, რომელიც მის მიმართ ნაყენებული ბრალდების საკითხს იხილავდა. კვლავ დასადგენია, ამის გამო ჰქონდა თუ არა მას საშუალება, ჩვეულებრივი წესით სასამართლოში გაესაჩივრებინა პროკურორის მიერ მიღებული დადგენილება მის მიერ წარდგენილ, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საჩივარზე გამოძიების არდანყების შესახებ.

63. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის პროცესის მიზანი მისი უდანაშაულობის ან მის მიმართ ნაყენებული ბრალდების დადგენა იყო და არა სავარაუდო ცემასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის დაკისრება ან კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის გამოსწორება (იხ. *ტოტევა ბულგარეთის წინააღმდეგ* (dec.), 42027/98, 2003 წლის 3 აპრილი). განმცხადებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმის მწარმოებელ სასამართლოში მის მიერ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები მიზნად ისახავდა იმ ფაქტის დემონსტრირებას, რომ მისი აღიარებითი ჩვენება იძულებით იყო მოპოვებული და, აქედან გამომდინარე, იგი დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 56, ასევე *ქსენ-ზოვი რუსეთის წინააღმდეგ* (dec.), 75386/01, 2005 წლის 27 იანვარი). მას არც ხელახალი მოკვლევა მოუთხოვია და არც გამოძიების სავარაუდო ხარვეზების საკითხი დაუყენებია საქმის მწარმოებელი სასამართლოს წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების საფუძველზე წარმოდგენილი მისი საჩივრების ნაწილს მიეკუთვნება.

64. მიუხედავად იმისა, რომ საქმის მწარმოებელმა სასამართლომ განაჩენში აღნიშნა, რომ განმცხადებლის დაზიანებები არ იყო გამოწვეული იმ გარემოებებით, რომლებიც მან აღწერა, ეს დასკვნა ერთმნიშვნელოვნად რელევანტური იყო მისი აღიარებითი ჩვენების დასაშვებობის თუ დაუშვებლობის განსაზღვრისათვის. არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებული სასამართლოს დადგენილება ხელს შეუშლიდა სასამართლოს, განეხილა, მისი პრეტენზია წარმოშობდა თუ არა გონივრულ ეჭვს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, თუ განმცხადებელი პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების არხებს გამოიყენებდა. აქედან გამომდინარეობს, რომ განმცხადებლის მიერ გამოყენებული სამართლებრივი დაცვის საშუალება ვერ იქნებოდა განხილული, როგორც ზოგადი წესი, ამონურვის ნორმალური პროცესის ნაწილად სასამართლოში (სტრასბურგის, *მთარგმნელის შენიშვნა*) წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით.

65. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამონურვის წესი სათანადო საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ მისი გამოყენება მოხდეს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების კონტექსტში, რომელთა დაფუძნებაზედაც ხელშემშემკერელი მხარეები შეთანხმდნენ. შესაბამისად, ეს წესი გარკვეული მოქნილობის ხარისხით და გადაჭარბებული ფორმალიზმის გარეშე უნდა იქნეს გამოყენებული. ეს ნიშნავს, რომ, სხვა ასპექტებთან ერთად, სასამართლომ რეალისტურად უნდა გაითვალისწინოს ხელშემკერელი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებში არა მხოლოდ სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ფორმალური არსებობა, არამედ ასევე საერთო სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც ისინი მოქმედებენ, აგრეთვე განმცხადებლის პირადი გარემოებები (იხ. საქმე *აკდევარი და სხვები*, §69, და *პორვატის* საქმე, §40, ორივე ციტირებულია ზემოთ).

66. დატუსაღებული პირები ხშირად სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ისინი დაუცველნი არიან ზენოლისაგან. ამიტომ ალბათ ძნელია მათგან მოვითხოვოთ, აწარმოონ ცალკე სასამართლო პროცესი კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე მათი დარღვეული უფლებების აღსადგენად, განსაკუთრებით — თუ მათ იურიდიული განათლება არა აქვთ ან არ შეუძლიათ მიიღონ სათანადო პროფესიული დახმარება. გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება საჭირო გახდეს ამონურვის საკითხისადმი უფრო მოქნილი მიდგომა. თუმცა ამ საქმეში წინასწარი პატიმრობის სტადიაზე განმცხადებელს ჰყავდა მის მიერ არჩეული ორი ადვოკატი, რომლებსაც საგულისხმოდ გამოცდილება ჰქონდათ სისხლის სამართლის პროცესებში. არ არის წარმოდგენილი რაიმე განმარტება, თუ რატომ არ გაასაჩივრეს მათ პროკურორის დადგენილება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საჩივარზე გამოძიების არდანყების შესახებ, ან ამის გაკეთება რატომ არ ურჩიეს განმცხადებელს.

67. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საჩივარი მის მიმართ პოლიციის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით უკუგდებული უნდა იქნეს შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამონურავობის გამო, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა განმცხადებლის საპატიმრო პირობების გამო

68. განმცხადებელი ჩიოდა, რომ პატიმრობის პირობები 77/3 საგამოძიებო იზოლატორში არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ტოლფასი იყო. სასამართლო ამ საჩივარს განიხილავს კონვენციის მე-3 მუხლის პოზიციიდან, რომელიც ზემოთაა ციტირებული.

ა. დასაშვებობა

69. მთავრობამ მიუთითა ნიკულინსკის რაიონული სასამართლოსა და საპატიმრო დანესებულების ხელმძღვანელობის ინფორმაციაზე და აღნიშნა, რომ განმცხადებელს პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული საჩივარი არც სასამართლოში შეუტანია და არც რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანოში.

70. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ერთხელ იგი შეეცადა პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული საჩივარი გაეგზავნა სასამართლოში, მაგრამ ციხის თანამშრომელი მას რეპრესიებით დაემუქრა და მან თავის შეკავება ამჯობინა. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა პატიმარი ერთნაირ პირობებში იმყოფებოდა და განმცხადებლის მდგომარეობა რაიმე საჩივრით ვერ გაუმჯობესდებოდა.

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ადვოკატები განუწყვეტილად ჩიოდნენ მისი პატიმრობის შემამფოთებელ პირობებზე და პასუხებს ლებულობდნენ 77/3 საგამოძიებო იზოლატორის ხელმძღვანელობისაგან (იხ. ზემოთ, პუნქტები 43, 45 და 46). ამრიგად, ადგილობრივი ხელისუფლება კარგად იყო ინფორმირებული განმცხადებლის მდგომარეობის შესახებ. მთავრობის მითითება, რომ განმცხადებელს სასამართლოსთვის ან პროკურორისთვის არ მიუმართავს, სიმართლეს შეესაბამება. თუმცა მთავრობამ ვერ მიუთითა, უფლებათა აღდგენის რა საშუალება ექნებოდა განმცხადებელს ასეთი საჩივრის შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მისი პატიმრობიდან წარმოშობილი პრობლემები სისტემური ხასიათის იყო და ისინი ზემოქმედებას ახდენდა არა მხოლოდ განმცხადებელზე, არამედ ზოგადად ყველა პატიმარზე (იხ. *მამედოვა რუსეთის წინააღმდეგ*, 7064/05, § 57, 2006 წლის 1 ივნისი; და *მოისევი რუსეთის წინააღმდეგ* (dec.), 62936/00, 2004 წლის 9 დეკემბერი). აქედან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ ეს საჩივარი არ შეიძლება უკუგდებული იქნეს შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოუწურავობის გამო.

72. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად არასათანადოდ დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ იგი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით. ამრიგად, იგი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებობის მხარე

73. განმცხადებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საპატიმრო დაწესებულება უზომოდ გადატვირთული იყო და მას ჩქ ყოფნისას მუდმივად ერთ კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართობი ჰქონდა. პატიმრებს რიგრიგობით ეძინათ და სამოცდაათამდე ადამიანი მხოლოდ ერთი ნიჟარით და ერთი ტუალეტით სარგებლობდა. ტუალეტის მდებარეობა ფარულობის ვერანაირ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა. საკანში არ იყო ვენტილაცია და ზაფხულში ტემპერატურა ცელსიუსის სკალით 45 გრადუსამდე აღიოდა. ბუნებრივი განათება და სუფთა ჰაერი ფანჯრებზე აფარებული ლითონის ფურცლებით იყო დაბლოკილი.

74. მთავრობამ აღიარა, რომ საპატიმრო ადგილი გადატვირთული იყო. თუმცა ამას ობიექტურ მიზეზებს მიაწერდნენ, როგორცაა დანაშაულის ზრდა და ფინანსური რესურსების ნაკლებობა. არ არსებობდა რაიმე წინასწარი განზრახვა განმცხადებლის შეურაცხყოფასთან ან მისი ღირსების შელახვასთან დაკავშირებით. მთავრობამ განაცხადა, რომ საკნებში იყო ვენტილაცია და მათში ტემპერატურა დასაშვებ ნორმას შეესაბამებოდა. ტუალეტის გარშემო ერთი მეტრი სიმაღლის ტიხარი საკმარის ფარულობას უზრუნველყოფდა.

75. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში საგამოძიებო იზოლატორი IZ-77/3 უზომოდ გადატვირთული იყო. მთავრობის კომენტარიდან დგინდება, რომ 2001 წელს აღნიშნულ საპატიმრო დაწესებულებაში პატიმართა რაოდენობა დადგენილ ნორმას სამჯერ აღემატებოდა, ხოლო 2002 წელს განმცხადებელზე საკანში ერთ კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართობი მოდიოდა (იხ. ზემოთ, პუნქტები 41 და 42). განმცხადებელი იძულებული იყო ეთმინა საკანში ასეთი ჭყლეტის პირობები დღისით თუ ღამით, ათი თვის განმავლობაში. საკნების გადატვირთულობა გამოწვეული იყო დანაშაულის ზრდით, რესურსების ნაკლებობით თუ რაიმე სხვა მიზეზით, სასამართლოს ანალიზისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რამეთუ მოპასუხე მთავრობა ვალდებულია თავისი პენიტენციური სისტემა ისე მოაწყოს, რომ იგი პატიმართა ღირსების პატივისცემას უზრუნველყოფდეს, ფინანსური თუ ლოგისტიკური სირთულეების მიუხედავად (იხ. *მამედოვას* საქმე, ციტ. ზემოთ, §63).

76. სასამართლომ მრავალჯერ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა პატიმრისთვის გამოყოფილ პირად ფართობთან დაკავშირებით (იხ., კერძოდ, *მამედოვას* საქმე, ციტ. ზემოთ, 62-ე და მომდევნო პუნქტები; *ხუდოიროვი რუსეთის წინააღმდეგ*, 6847/02, 104-ე და მომდევნო პუნქტები, 2005 წლის 8 ნოემბერი; *ლაბ ზოვი რუსეთის წინააღმდეგ*, 62208/00, 44-ე და მომდევნო პუნქტები, 2005 წლის 16 ივნისი; *ნოვოსელოვი რუსეთის წინააღმდეგ*, 66460/01, 41-ე და მომდევნო პუნქტები, 2005 წლის 2 ივნისი; *მაიზიტი რუსეთის წინააღმდეგ*, 63378/00, 39-ე და მომდევნო პუნქტები, 2005 წლის 20 იანვარი; და *კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, 47095/99, 97-ე და მომდევნო პუნქტები, ECHR 2002-VI).

77. საკითხთან დაკავშირებით მისი პრეცედენტული სამართლისა და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სასამართლო აღნიშნავს,

რომ მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე ფაქტი ან არგუმენტი, რომელიც მას მოცემულ საქმეში განსხვავებული დასკვნის გაკეთების საშუალებას მისცემდა. ის ფაქტი, რომ განმცხადებელი ვალდებული იყო ეცხოვრა, დაეძინა და გამოეყენებინა ტუალეტი მრავალ თანამესაკნესთან ერთად, თავისთავად საკმარისი იყო, რათა გამოენვია ისეთი ხარისხის სულიერი ტანჯვა ან სირთულეები, რომლებიც სცდება პატიმრობისათვის დამახასიათებელი განსაცდელის ფარგლებს, რამაც მასში გააღვივა შიშის, ტანჯვის და არასრულფასოვნების განცდა, რასაც შეეძლო მისი შეურაცხყოფა და დამცირება.

78. რაც შეეხება მთავრობის განცხადებას, რომ ხელისუფლება მიზნად არ ისახავდა, ტანჯვა მიეყენებინა განმცხადებლისთვის, სასამართლო იმეორებს, რომ, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა დაზარალებულის შეურაცხყოფა ან დამცირება გამიზნული, ასეთი მიზნის არარსებობა ვერ გამორიცხავს, გაკეთდეს დასკვნა, რომ დაირღვა მე-3 მუხლი (იხ. კალაშნიკოვის საქმე, ციტ. ზემოთ, §101).

79. ამრიგად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი IZ-77/3 საგამოძიებო იზოლატორში განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო.

III. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

80. განმცხადებელი კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე ჩიოდა, რომ მისი პატიმრობა უკანონო იყო 2000 წლის 11-12 ოქტომბერს, ხოლო შემდეგ – 2000 წლის 12 დეკემბრიდან 2001 წლის 11 იანვრამდე. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისი დებულებები ადგენს:

“1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:

...

(ც) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა...”

ა. დასაშვებობა

81. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად არასათანადოდ დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ იგი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით. აქედან გამომდინარე, იგი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებობის მხარე

1. პატიმრობა 2000 წლის 11 და 12 ოქტომბერს

82. მთავრობა დათანხმდა, რომ განმცხადებლის პატიმრობა დაფიქსირდა არა მისი დაკავების მომენტში — 2000 წლის 11 ოქტომბერს, არამედ 2000 წლის 12 ოქტომბერს, დილის 11 საათსა და 50 წუთზე, როდესაც შედგა მისი დაკავების ოქმი.

83. სასამართლო მიუთითებს, რომ მან უკვე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა რუსეთის წინააღმდეგ საქმეში, სადაც განმცხადებლის თავდაპირველი დაკავება და მის მიერ პოლიციის განყოფილებაში ლამის გათევა არც ერთ დოკუმენტში არ იყო დაფიქსირებული. იგი ხაზს უსვამს მის მტკიცე შეხედულებას, რომ პირის დაუფიქსირებელი დაკავება კონვენციის მე-5 მუხლის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი გარანტიების სრული უგულებელყოფა და ამ დებულების ყველაზე მძიმე დარღვევაა (იხ. *მენეშევა რუსეთის წინააღმდეგ*, 59261/00, §84, ECHR 2006-..., შემდგომი მითითებებით).

84. ამ საქმეში მთავრობას უარი არ განუცხადებია, რომ განმცხადებლის პირველადი დაკავება და მისი პატიმრობის პირველი ღამე ოფიციალურად არ გაფორმებულა შიდასახელმწიფო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

85. სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის დაკავება 2000 წლის 11-12 ოქტომბერს არ იყო “კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისი” და, აქედან გამომდინარე, არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს. ამრიგად, ადგილი აქვს ამ დებულების დარღვევას.

2. პატიმრობა 2000 წლის 13 დეკემბრიდან 2001 წლის 30 იანვრამდე

86. მთავრობამ განაცხადა, რომ საქმესთან დაკავშირებულ დროს, საქმის სასამართლოსთვის გადაცემის შემდეგ, შიდასახელმწიფო კანონი ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაგრძელებას არ მოითხოვდა. 2001 წლის 11 იანვარს საქმის მწარმოებელმა სასამართლომ განიხილა პატიმრობასთან დაკავშირებული საკითხი და გადაწყვიტა, რომ განმცხადებელი პატიმრობაში უნდა დარჩენილიყო.

87. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სათანადო დადგენილების არარსებობის შემთხვევაში შიდასახელმწიფო კანონი პატიმრობის ვადის გაგრძელების საშუალებას იძლეოდა. ისეთი ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა, რომელიც საშუალებას იძლევა, ბრალდებულები პირველ სასამართლო პროცესამდე პატიმრობაში იმყოფებოდნენ, სასამართლოს კანონიერებისა და სამართლებრივი დამაჯერებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ მიაჩნია. განმცხადებელი მიუთითებდა საქმეებზე: *იერჩუსი ლიტვის წინააღმდეგ* (34578/97, ECHR 2000-IX) და *ბარანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ* (28358/95, ECHR 2000-III).

88. მხარეებს შორის არ ყოფილა დავა იმასთან დაკავშირებით, რომ 2000 წლის 12 დეკემბერს განმცხადებლის თავდაპირველი წინასწარი პატიმრობის ორთვიანი ვადა გავიდა და რომ ამ დღიდან 2001 წლის 11 იანვრამდე იგი პატიმრობაში იმყოფებოდა იმ ფაქტის საფუძველზე, რომ მისი საქმე განსახილველად კომპეტენტური სასამართლოსთვის უნდა გადაეცათ.

89. სასამართლომ უკვე შეისწავლა და დაადგინა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა მთელ რიგ საქმეებში, რომლებიც ეხებოდა ბრალდებულთა პატიმრობაში დატოვებას მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ საბრალდებო დასკვნა საქმის მწარმოებელი სასამართლოსთვის უნდა გადაეცათ. სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულთა პატიმრობაში დატოვება კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის ან მათი მდგომარეობის მარეგულირებელი მკაფიო წესების გარეშე — რომლის შედეგადაც მათ თავისუფლება შეიძლება განუსაზღვრელი დროით აღკვეთოდათ რაიმე სამართლებრივი დადგენილების გარეშე — არ შეესაბამებოდა სამართლებრივი დამაჯერებლობის და თვითნებური გადაწყვეტილებებისაგან დაცვის პრინციპებს, რაც კონვენციისა და კანონის უზენაესობის საერთო ძარღვია (იხ. *კორჩუგანოვა რუსეთის წინააღმდეგ*, 75039/01, §57, 2006 წლის 8 ივნისი; *ნახმანოვიჩი რუსეთის წინააღმდეგ*, 55669/00, §§67-68, 2006 წლის 2 მარტი; *ხუდოიოროვი რუსეთის წინააღმდეგ*, 6847/02, §§146-148; 2005-...; *იერიუსის* საქმე, ციტ. ზემოთ, §§60-64, და *ბარანოვსკის* საქმე, ციტ. ზემოთ, §§53-58).

90. მოცემულ საქმეში სასამართლო განსხვავებული დასკვნის გაკეთების საფუძველს ვერ ხედავს. იგი იმეორებს, რომ იმისათვის, რომ დაპატიმრებამ “კანონიერების” სტანდარტები დააკმაყოფილოს, მას საფუძველები უნდა ჰქონდეს შიდასახელმწიფო სამართალში. თუმცა მთავრობას არ მიუთითებია რაიმე სამართლებრივ დებულებაზე, რომელიც იძლეოდა ნებართვას ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის გაგრძელებისა კანონიერად დადგენილი პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ. რუსეთის კონსტიტუცია და სისხლის სამართლის პროცედურები დაპატიმრების ან მისი ვადის გაგრძელების უფლებამოსილებას პროკურორებს ან სასამართლოებს ანიჭებდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 49). ამ წესიდან რაიმე გამონაკლისი ნებადართული ან გათვალისწინებული არ ყოფილა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 2000 წლის 13 დეკემბრიდან 2001 წლის 11 იანვრამდე განმცხადებლის დაპატიმრების ნებართვა არც პროკურორს გაუცია და არც სასამართლოს. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი სამართლებრივ ვაკუუმში იმყოფებოდა, რომელიც რაიმე შიდასახელმწიფო სამართლებრივი დებულებით დაცული არ იყო.

91. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ რაიონულმა სასამართლომ დაამტკიცა განმცხადებლის მიმართ 2001 წლის 11 იანვარს გამოყენებული წინასწარი პატიმრობის ღონისძიება, მას რაიმე საფუძველზე არ მიუთითებია დადგენილებაში, რომელიც უბრალოდ წინასწარ გამზადებულ ნაბეჭდ ფორმას წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ სასამართლო ორგანოების დადგენილებებში პატიმრობის გაგრძელების საფუძველების არარსებობა არ შეესაბამება თვითნებობისგან დაცვის პრინციპს, რომელიც მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტითაა გათვალისწინებული (იხ. *ნახმანოვიჩის* საქმე, ციტ. ზემოთ, §§70-71; *სტამაიტიხის ლიტვის წინააღმდეგ*, 47679/99, §67, 2002 წლის 21 მარტი).

92. რაიონულ სასამართლოს განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელების ვადა არ დაუდგენია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ მიუთითებია წინასწარი პატიმრობის მარეგულირებელ დებულებებზე, რომელთაც იგი ეფუძნებოდა. ამის გამო განმცხადებელი ამ თარიღის შემდეგ სამართლებრივი საფუძვლისა და არგუმენტების თვალსაზრისით გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ გარემოებებში სასამართლოს მიაჩნია, რომ რაიონული სასამართლოს 2001 წლის 11 იანვრის დადგენილება განმცხადებელს თვითნებობისგან სათანადო დაცვით არ უზრუნველყოფდა, რაც პატიმრობის "კანონიერების" ძირითადი ელემენტია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში.

93. აქედან გამომდინარე, პატიმრობის პერიოდში, 2000 წლის 13 დეკემბრიდან 2001 წლის 30 იანვრამდე, განმცხადებლის პატიმრობის "კანონიერი" საფუძველი არ არსებობდა. ამრიგად, ადგილი აქვს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

IV. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

94. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი დაკავების სანქცია გასცა გამომძიებელმა და რომ მისი საქმე გონივრულ ვადაში არ იქნა განხილული ან იგი არ იქნა გათავისუფლებული საქმის განხილვის განმავლობაში. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს:

"ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (ც) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად ... მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით."

ა. დასაშვებობა

95. განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით, რომ მისი თავდაპირველი დაპატიმრება გამომძიებლის მიერ იყო სანქცირებული, სასამართლო მიუთითებს, რომ რუსეთს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე დათქმა აქვს გაკეთებული. დათქმაში, სხვა ასპექტებთან ერთად, მითითებულია, რომ პირი შეიძლება დაპატიმრებული იქნეს საგამომძიებო ორგანოს გადაწყვეტილებით, დაპატიმრების სასამართლო კონტროლის მოთხოვნის გარეშე. სასამართლომ შეისწავლა დათქმის იურიდიული ძალა და მიიჩნია, რომ იგი შეესაბამება კონვენციის 57-ე მუხლს (იხ. *ლაბზოვი რუსეთის წინააღმდეგ* (dec.), 62208/00, 2002 წლის 28 თებერვალი).

აქედან გამომდინარე, საჩივრის ნაწილი, რომელიც განმცხადებლის დაპატიმრების გამომძიებლის მიერ სანქციონებასთანაა დაკავშირებული, *ratione materiae* შეუთავსებელია კონვენციის დებულებებთან 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით და, შესაბამისად, იგი უკუგდებული უნდა იქნეს 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად.

96. რაც შეეხება განმცხადებლის საჩივარს მისი პატიმრობის გადაჭარბებულ ვადასთან და არასაკმარის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად არასათანადოდ დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ იგი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძველით. აქედან გამომდინარე, იგი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებითი მხარე

97. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლის პატიმრობა შეესაბამებოდა "გონივრული ვადის" მოთხოვნას, რადგან ბრალდებასთან დაკავშირებული გამოძიება ორი თვეში დასრულდა.

98. განმცხადებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი პატიმრობის ვადის გონივრულობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი პატიმრობის მთელი პერიოდი — 2000 წლის 11 ოქტომბერიდან — მისი დაკავების დღიდან, 2002 წლის 18 აპრილამდე — მსჯავრის დადების დღემდე. სასამართლომ პროცესის წარმოებისას გულმოდგინება არ გამოიჩინა. სასამართლოს სხდომების განუწყვეტელი გადადება გამოწვეული იყო ხან მოსამართლის მოუცლევლობით, ხან კი პოლიციის მუშაკთა ან ბრალდების მონმეთა გამოუცხადებლობით. ნებისმიერ შემთხვევაში დაპატიმრების დასაბუთება იყო არასაკმარისი, რადგან სასამართლო მხოლოდ განმცხადებლის მიმართ წაყენებული ბრალდების სიმძიმეს დაეყრდნო.

99. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პერიოდი, რომელიც იწყება ბრალდებულის დაპატიმრებიდან და მთავრდება მსჯავრის დადგენით, მაშინაც კი, როდესაც ეს ყველაფერი მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ხორციელდება. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტსა და იმავე მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტს შორის არსებული ძირითადი კავშირის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირი არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც დაპატიმრებული "უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძველიანი ეჭვი", არამედ მას მიესადაგება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (a) ქვეპუნქტი, რომელიც იძლევა უფლებას თავისუფლების აღკვეთისა "უფლება-

მოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდების” შემდეგ (იხ. *პანჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, 45100/98, §91 და 93, 2005 წლის 8 თებერვალი, შემდგომი მითითებებით). შესაბამისად, განმცხადებლის პატიმრობა 2001 წლის 5 ივლისიდან (თარიღი, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მის მიმართ მსჯავრი გამოიტანა) 2001 წლის 17 ოქტომბრამდე (თარიღი, როდესაც მსჯავრი გაუქმდა და მისი საქმე გადაცემულ იქნა) არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ გასათვალისწინებელი პერიოდი ორი სხვადასხვა ვადისგან შედგებოდა: პირველი, რომელიც 2000 წლის 11 ოქტომბრიდან 2001 წლის 5 ივლისამდე გრძელდებოდა, ხოლო მეორე — 2001 წლის 17 ოქტომბრიდან 2002 წლის 18 აპრილამდე, და საერთო ჯამში თოთხმეტ თვეს შეადგენდა.

100. სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელების ერთადერთ საფუძვლად მითითებული იყო მისი ბრალდება განსაკუთრებით სერიოზულ დანაშაულში, რომლის საშუალო სახე მიჩნეულ იქნა ერთადერთ საკმარის საფუძვლად მის მიმართ წინასწარი პატიმრობის ღონისძიების გამოსაყენებლად (იხ. ზემოთ, პუნქტები 21 და 23).

101. შიდასახელმწიფო ორგანოების მიერ ერთადერთ და გადამწყვეტ ელემენტად ბრალდების სიმძიმეზე მითითებასთან დაკავშირებით სასამართლომ მრავალჯერ დაადგინა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე მიმალვის ან დანაშაულის კვლავ ჩადენის რისკის შეფასებისთვის შესაბამისი ელემენტია, თავისუფლების აღკვეთის გაგრძელების საჭიროება არ შეიძლება შეფასდეს წმინდა აბსტრაქტული მოსაზრებით, რომელიც მხედველობაში იღებს მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს. პატიმრობის გაგრძელება ასევე არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საპატიმრო განაჩენის მოსალოდნელობის გასაძლიერებლად (იხ. *პანჩენკოს საქმე*, ციტი. ზემოთ, § 102; *ილიჯკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, 33977/96, §81, 2001 წლის 26 ივლისი; და *ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A 207, §51). ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია რუსული სამართლებრივი სისტემისთვის, სადაც ფაქტების კანონის ენით შეფასება და, შესაბამისად, განმცხადებლის მოსალოდნელი სასჯელი, ბრალდების მხარის მიერ განისაზღვრება და სადაც სასამართლო კონტროლი გათვალისწინებული არ არის იმის დასადგენად, თუ რამდენად იყო გამყარებული მოპოვებული მტკიცებულებებით განმცხადებლის მიერ დანაშაულის ჩადენის მიმართ არსებული საფუძვლიანი ეჭვი (იხ. *ხუდოიოროვი რუსეთის წინააღმდეგ*, 6847/02, § 180, 2005 წლის 8 ნოემბერი).

102. წარმოდგენილ საქმეში შიდასახელმწიფო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს განმცხადებლისა და მისი ადვოკატების მიერ გათავისუფლებასთან დაკავშირებით წარდგენილ განცხადებებში მითითებული კონკრეტული ფაქტები. სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ბრალდების სიმძიმეს იმდენად აღმატებული წონა ჰქონდა, რომ განმცხადებლის გათავისუფლება რაიმე სხვა გარემოებით შეუძლებელი იყო (იხ., მაგალითად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ზემოთ, პუნქტი 23).

სასამართლო იმეორებს, რომ წინასწარი პატიმრობის სავალდებულო სისტემა *per se* შეუთავსებელია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან, რადგან იგი შიდასახელმწიფო ორგანოებს უნდა ავალდებულებდეს, დაადგინონ და წარმოაჩინონ კონკრეტული ფაქტები, რომლებიც გადანონიან პირის თავისუფლების პატივისცემის წესს (იხ. *როხლინა რუსეთის წინააღმდეგ*, 54071/00, §67, 2005 წლის 7 აპრილი, შემდგომი მითითებებით). წარმოდგენილ საქმეში შიდასახელმწიფო ორგანოებს პატიმრობის შესახებ დადგენილების გამამყარებელ რაიმე კონკრეტულ ფაქტებზე არ მიუთითებიათ.

103. სასამართლოს მიაჩნია, რომ რელევანტური ფაქტების წარმოდგენის გარეშე და მხოლოდ ბრალდების სიმძიმეზე დაყრდნობით ხელისუფლებამ განმცხადებლის პატიმრობა გააგრძელა ისეთი საფუძვლით, რომელიც არ შეიძლება "საკმარისად" იქნეს მიჩნეული. ამრიგად, ხელისუფლების ორგანოებმა ვერ დაასაბუთეს განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა (იხ. *როხლინას საქმე*, ციტი. ზემოთ, §69).

აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

V. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

104. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას საშუალება არ ჰქონდა, სასამართლოს განეხილა 2000 წლის 13 დეკემბრიდან 2001 წლის 30 იანვრამდე მისი პატიმრობის კანონიერების საკითხი, რადგან ეს პერიოდი არ იყო აღნიშნული პატიმრობის შესახებ რომელიმე დადგენილებაში და რადგან 2001 წლის 11 იანვრის სხდომას იგი არ ესწრებოდა. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს:

"4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი."

ა. დასაშვებობა

105. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად არასათანადოდ დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ იგი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით. აქედან გამომდინარე, იგი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებობის მხარე

106. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელსა და მის ადვოკატებს საშუალება ჰქონდათ, გაესაჩივრებინათ ნიკოლინსკის რაიონული სასამართლოს დადგენილება წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მათი საჩივარი არ დააკმაყოფილა.

107. განმცხადებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2000 წლის 13 დეკემბრიდან 2001 წლის 30 იანვრამდე არ არსებობდა დაპატიმრების შესახებ დადგენილება, რომლის გასაჩივრებასაც იგი შეძლებდა. გათავისუფლებასთან დაკავშირებით განცხადების შეტანის საშუალება მას პირველად 2001 წლის 30 იანვრის სხდომაზე მიეცა, რაც მან გააკეთა კიდევ.

108. სასამართლო იმეორებს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს სასამართლომ განიხილოს მისი თავისუფლების აღკვეთის პროცედურული და არსებითი გარემოებების "კანონიერების" საკითხი მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით. ეს ნიშნავს, რომ კომპეტენტურმა სასამართლომ უნდა განიხილოს არა მხოლოდ შიდასახელმწიფო კანონმდებლობით დადგენილ პროცედურულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, არამედ ასევე ეჭვის გონიერულობა, რომელზედაც დაკავებაა დაფუძნებული, და დაკავებითა და შემდგომი პატიმრობით დასახული მიზნის ლეგიტიმურობა (იხ. *ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1988 წლის 29 ნოემბერი, სერია A 145-B, §65; *გრაუსლისი ლიტვის წინააღმდეგ*, 36743/97, §§51-55, 2000 წლის 10 ოქტომბერი; და *ილიჯკოვის საქმე*, ციტი. ზემოთ, §94).

109. როგორც სასამართლომ ზემოთ აღნიშნა, 2000 წლის 13 დეკემბრიდან 2001 წლის 11 იანვრამდე განმცხადებლის დაპატიმრების შესახებ რაიმე დადგენილება არ არსებობდა (იხ. ზემოთ, 88-ე და მომდევნო პუნქტები). აქედან გამომდინარე, განმცხადებელს ამ პერიოდის განმავლობაში არ შეეძლო მისი პატიმრობის სასამართლო განხილვა მოეთხოვა, რადგან რუსეთის კანონმდებლობა მხოლოდ პატიმრობის შესახებ ოფიციალური დადგენილების გასაჩივრების საშუალებას იძლევა (იხ. ზემოთ, პუნქტი 53).

110. რაიონული სასამართლოს 2001 წლის 11 იანვრის დადგენილებასთან დაკავშირებით სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ პატიმრობის საკითხთან დაკავშირებული პროცესი უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული და იგი ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს მხარეებს შორის იარაღთა თანასწორობას (იხ. *ტრზასკა პოლონეთის წინააღმდეგ*, 25792/94, §74, 2000 წლის 11 ივლისი). დაპატიმრებული პირის შესაძლებლობა — მოუსმინონ პირადად ან წარმომადგენლობის რომელიმე ფორმის მეშვეობით — თავისუფლების აღკვეთის საკითხებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ფუნდამენტური პროცედურული გარანტიაა (იხ. *კამპანისი საბერძნეთის წინააღმდეგ*, 1995 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A 318-B, §47).

111. მოპასუხე მთავრობას არ უარუყვია, რომ 2001 წლის 11 იანვრის დადგენილება მიღებული იქნა განმცხადებლისა და მისი ადვოკატის დაუსწრებლად, რომლებსაც უარი უთხრეს სასამართლოსთვის საკუთარი

არგუმენტების წარდგენაზე. სასამართლოს ასევე მიაჩნია, რომ აღნიშნული დადგენილების სახე – ნაბეჭდი ფორმა, რომელშიც რაიონული სასამართლოს დასკვნები წინასწარაა დაბეჭდილი და მხოლოდ განმცხადებლის გვარის და საქმის დეტალებია ხელით ჩანერილი — მიუთითებს, რომ განმცხადებლისა და მისი ადვოკატის დაუსწრებლად სტერეოტიპული დადგენილების მიღებით რაიონულმა სასამართლომ ვერ განახორციელა სასამართლო კონტროლი პატიმრობის საკითხზე.

112. აქედან გამომდინარეობს, რომ 2000 წლის 13 დეკემბრიდან 2001 წლის 30 იანვრამდე, როდესაც განმცხადებლის გათავისუფლებასთან დაკავშირებული განცხადება პირველად იქნა განხილული პროცესის მწარმოებელი სასამართლოს მიერ, განმცხადებელს არ ჰქონდა საშუალება, მოეთხოვა სასამართლო პროცესის ჩატარება, რომელიც მისი პატიმრობის მართლზომიერების საკითხს განიხილავდა.

ამრიგად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

VI. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევები

113. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის პროცესი ჩატარდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევით, რომელიც ადგენს:

“1. ...ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის ... განხილვის უფლება ... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...”

2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

“...

(დ) დაკითხოს ან დააკითხონოს ბრალდების მონმეები და გამოაძახებინოს და დაკითხონოს დაცვის მონმეები ბრალდების მონმეთა თანაბარ პირობებში...”

114. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მან ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოთი გონივრულ ვადაში. იგი ჩიოდა, რომ რაიონულმა და საქალაქო სასამართლოებმა იგი დამნაშავედ მიიჩნიეს, რადგან უარი თქვეს მის გათავისუფლებაზე ბრალდების სიმძიმეზე მითითებით, და რომ საქმის მწარმოებელ მოსამართლეს მის მიმართ პირადი განზრახვა ამოქმედებდა. მისი თანაბრალდებული და ბრალდების მონმე 'ე' მეორე პროცესზე არ დაუკითხავთ, რადგან იგი მიიშალა და საქმის მწარმოებელმა სასამართლომ მის მიერ პოლიციაში მიცემული ჩვენებები გამოაქვეყნა. და ბოლოს, განმცხადებელი ჩიოდა მტკიცებულებათა დასაშვებობისა და შეფასების თაობაზე დადგენილებათა სავარაუდო დაუსაბუთებლობის და სასამართლო პროცესის ოქმის უზუსტობის გამო.

115. სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობდა მისი დაკავების დღიდან, ანუ 2000 წლის 11 ოქტომბრიდან, 2002 წლის 9 სექტემბრამდე, როდესაც გამოტანილ იქნა საბოლოო განაჩენი. ამ პერიოდმა ერთი წელი და ათი თვე შეადგინა. ეს არ არის იმდენად ხანგრძლივი პერიოდი, რომ ვერ დააკმაყოფილოს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა "გონივრული ვადის" შესახებ.

116. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპი კრძალავს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის ბრალეულობის შესახებ მოუმნიფებელი განცხადების გაკეთებას, სანამ ეს კანონის შესაბამისად არ დამტკიცდება (იხ. *ალენე დე რიბემონტი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1995 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 308, §41). მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების სიმძიმე, რომელზედაც შიდასახელმწიფო სასამართლოებმა განმცხადებლის პატიმრობის ვადის გაგრძელება დააფუძნეს, "საკმარისი" საფუძველი არ იყო კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის (იხ. ზემოთ, პუნქტი 101), ამ დადგენილებათა ფორმულირება არ ამყარებს განმცხადებლის პრეტენზიას, რომ სასამართლომ მის ბრალეულობასთან დაკავშირებით მოსაზრება პროცესის დასრულებამდე გამოხატა. განმცხადებელმა ვერც რაიმე სხვა მასალა წარმოადგინა, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა საქმის მწარმოებელი სასამართლოს მიუკერძოებლობას.

117. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებელს, რომელსაც ადვოკატი უნევდა დახმარებას, შეეძლო პირდაპირ დაესვა შეკითხვები ბ-ნი 'ე'-ისთვის — როგორც გამომძიებლის წინაშე დაპირისპირების დროს, ისე პირველ სასამართლო პროცესზე. ამრიგად, მას შეეძლო ჩამოეყალიბებინა და მოსამართლისთვის გაეზიარებინა თავისი მოსაზრებები მოწმის საიმედოობასთან დაკავშირებით (იხ. *ისგრო იტალიის წინააღმდეგ*, 1991 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 194-A, § 35). დადგენილია, რომ ბ-ნი 'ე' მეორე სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა და მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმის მწარმოებელმა ახალმა სასამართლომ ჩვენება პირადად ბ-ნი 'ე'-ისგან ვერ მიიღო, მას მისი ამოცანის გადაჭრაში დაეხმარა დაპირისპირებისა და სასამართლოს სხდომის ოქმები, რომელთა სიზუსტესთან დაკავშირებით დაცვის მხარეს პრეტენზია არ გამოუთქვამს. გარდა ამისა, როგორც საქმის მწარმოებელმა სასამართლომ მიუთითა, ბ-ნი 'ე'-ის ჩვენება გამყარებული იყო სხვა მოწმეთა ჩვენებებით, ასევე ნივთმტკიცებებით, რომლებიც ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულში განმცხადებლის მონაწილეობაზე მიუთითებდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 37).

118. და ბოლოს, სასამართლომ შეისწავლა განმცხადებლის მიერ მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივრების დანარჩენი ნაწილი. თუმცა მის ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივრები ამ დებულების რაიმე დარღვევას ვერ ავლენს.

119. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ განაცხადის ეს ნაწილი უკუგდებული უნდა იქნეს, როგორც ამკარად არასათანადოდ დასაბუთებული, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

VII. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

120. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელმეკვერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

ა. ზიანი

121. განმცხადებელი ითხოვდა 10 000 ევროს (“EUR”) არამატერიალური ზიანისთვის, რაც წარმოადგენდა კომპენსაციას აუტანელ პირობებში უკანონო და გადაჭარბებულად ხანგრძლივი პატიმრობისთვის.

122. მოთხოვნილ თანხას მთავრობა გადაჭარბებულად მიიჩნევდა, რადგან საკნების გადატირთულობა ობიექტური მიზეზებით იყო გამონეული.

123. სასამართლო იმეორებს, რომ მან გამოავლინა კონვენციის გარანტიების სერიოზულ დარღვევათა ერთობლიობა. განმცხადებელი უზომოდ გადატირთულ საგამოძიებო იზოლატორში დაპატიმრებული იყო საკმარისი საფუძვლების გარეშე. მისი პატიმრობის გარკვეული პერიოდი არ იყო სანქცირებული შესაბამისი დადგენილებით და მას არ შეეძლო მოეთხოვა მისი პატიმრობის საკითხის სასამართლო განხილვა. ამ დარღვევებს შეეძლო მისთვის მნიშვნელოვანი სირთულეები შეექმნა და სულიერი ტანჯვა მიეყენებინა. მის მიერ სამართლიანობის საფუძველზე გაკეთებული შეფასების შესაბამისად, სასამართლო ადგენს, განმცხადებელს მიეკუთვნოს 10 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის, დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა.

ბ. ხარჯები და განეული დანახარჯები

124. განმცხადებელი ასევე მოითხოვდა 15 500 ევროს შიდასახელმწიფო სასამართლოებსა და სასამართლოში (სტრასბურგის, მთარგმნელის შენიშვნა/განეული ხარჯებისთვის. მისმა წარმომადგენლებმა ორი საჩივარი შეიტანეს არსებით მხარესთან დაკავშირებით და ექვსი — პატიმრობის სანქციებ-

თან დაკავშირებით. ისინი დაესწრნენ ოცდასამ სხდომას რაიონულ სასამართლოში და სულ მცირე ოცდაათჯერ შეხვდნენ განმცხადებელს საპატიმრო დანესებულებაში. მათ ასევე მოამზადეს განაცხადის ფორმა და კომენტარები მთავრობის მემორანდუმზე. განმცხადებელმა წარმოადგინა ორი შაბლონური კონტრაქტი სასამართლოში მისი წარმოდგენის შესახებ, რომელთა საერთო ღირებულება 350 000 რუსულ რუბლს ("RUR") შეადგენდა, და ორი ქვითარი იურიდიული მომსახურებისთვის, 13 100 რუსული რუბლის ოდენობის.

125. მთავრობამ მიუთითა, რომ სასამართლოს ამოცანა არ იყო განმცხადებლის მსჯავრის არსებითი მხარის ხელახალი შეფასება. ამის გამო, შიდასახელმწიფო სისხლის სამართლის პროცესებზე განეული ხარჯები არ უნდა ანაზღაურებულიყო. ნებისმიერ შემთხვევაში, ხარჯების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო დოკუმენტურად დადასტურებული. გარდა ამისა, სასამართლოს წინაშე განმცხადებლის წარმოდგენისთვის მოთხოვნილ თანხას — 10 000 ევროს მთავრობა გადაჭარბებულად მიიჩნევდა. მისი მტკიცებით, განმცხადებელმა ამ თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა.

126. სასამართლო ეთანხმება, რომ შიდასახელმწიფო პროცესებზე განეული ხარჯები წარმოიშვა განმცხადებლის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით, კერძოდ, მისი საქმის გონივრულ ვადაში განხილვის ან საქმის განხილვის განმავლობაში გათავისუფლების უფლებისა. იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს ხარჯები გამყარებულია შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტებით, სასამართლო განმცხადებელს აკუთვნებს 350 ევროს, დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა, და უკუაგდებს შიდასახელმწიფო პროცესებთან დაკავშირებული საჩივრის დანარჩენ ნაწილს.

127. რაც შეეხება სტრასბურგის პროცესს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი უზრუნველყვეს იურიდიული დახმარებით და მას სასამართლოში წარმოადგენდა ქალბატონი კ. მოსკალენკო. საქმის მასალებიდან არ ჩანს, რომ განმცხადებლის მეორე წარმომადგენელმა, ქალბატონმა ე. ლიპსტერმა საქმეზე რაიმე დამოუკიდებელი სამუშაო ჩაატარა. აქედან გამომდინარე, სასამართლო უკუაგდებს განმცხადებლის საჩივარს ქალბატონი ლიპსტერის ჰონორარის ანაზღაურებასთან დაკავშირებით (იხ. *mutatis mutandis*, *ობსერვერი და გარდიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A 216, §80). გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელსა და ქ-ნ მოსკალენკოს შორის დადებული კონტრაქტი არის მზა ფორმა, რომელშიც მხოლოდ მხარეთა სახელები და თანხის რაოდენობაა ხელით შევსებული, ხოლო დანარჩენი გრაფები — რომლებშიც აღწერილია იურიდიული სამუშაოს ხასიათი, სათანადო თარიღი და სხვა პირობები — შეუვსებელია. როგორც ჩანს, კონტრაქტის ფორმამ ვერ წარმოშვა სამართლებრივი ვალდებულება განმცხადებლის მიერ ქ-ნ მოსკალენკოსთვის ჰონორარის გადახდასთან დაკავშირებით. საჩივრის ეს ნაწილიც უკუგდებული უნდა იქნეს (იხ. *mutatis mutandis*, *დუდგეონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (მუხლი 50), 1983 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 59, §22). ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით სასამართლო უკუაგდებს განმცხადებლის საჩივარს სტრასბურგის პროცესზე ხარჯებთან დაკავშირებით.

ბ. საურავი

128. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საურავი განი-საზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ოდენობით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტული პუნქტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს დასაშვებად განმცხადებლის საჩივარს მისი თავისუფლების აღკვეთის და პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით, ხოლო განაცხადის და-ნარჩენ ნაწილს — დაუშვებლად;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მოსკოვის Id-77/3 საგამო-ძიებო იზოლაციაში განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო;

3. ადგენს, რომ დაირღვა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ც) ქვეპუნქტი 2000 წლის 11 და 12 ოქტომბერს და 2000 წლის 13 დეკემბრიდან 2001 წლის 30 იანვრა-მდე განმცხადებლის პატიმრობის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო;

4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი;

5. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი;

6. ადგენს,

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება სა-ბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხა-დებელს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს რუსულ რუბლში კონვერტირებუ-ლი, ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით, შემდეგი ოდენობის თანხები:

(i) 10 000 (ათი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისთვის;

(ii) 350 (სამას ორმოცდაათი) ევრო შიდასახელმწიფო სასამართლო პროცე-სებზე განუღი ხარჯებისთვის;

(iii) ზემოაღნიშნულ თანხებზე გათვალისწინებული ნებისმიერი საგადასახა-დო ბეგარა;

(ბ) რომ აღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორე-ბამდე ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხე-ბა უბრალო პროცენტები ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;

7. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყო-ფილებასთან დაკავშირებით

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2007 წლის 1 მარტს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

კლაუდია ვესტერდიეკი
სექციის მდივანი

პერ ლორენზენი
თავმჯდომარე

ბუკტა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ

Bukta and others v. Hungary

ბუქტა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე საქმე

საქმე ბუქტა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ

CASE OF BUKTA AND OTHERS v. HUNGARY

(განაცხადი 25691/04)

გადანყვეტილება

ეს ვერსია შესწორდა 2007 წლის 25 სექტემბერს, სასამართლოს დებულების 81-ე წესის შესაბამისად

სტრასბურგი

2007 წლის 17 ივლისი

საბოლოო

17/10/2007

ეს გადანყვეტილება საბოლოო ვახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე *“გუკტა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ”*,
(*Bukta and others v. Hungary*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (მეორე სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი ფ. ტულკენსი, *თავმჯდომარე*,

ბ-ნი ა. ბ. ბაკა,

ქ-ნი ი. კაბრალ ბარეტო,

ბ-ნი ვ. ზაგრებელსკი,

ბ-ნი ა. მულარონი,

ბ-ნი დ. იოჩიენე,

ბ-ნი პ. პოპოვიჩი, *მოსამართლეები*:

და ქ-ნი ს. დოლე, *სექციის მდივანი*,

მოითათბირა 2007 წლის 26 ივნისს და

იმავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (25691/04) უნგრეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე უნგრეთის სამი მოქალაქის — ქ-ნი დემესნე ბუკტას, ბ-ნი ფერდინანდ ლანცნერის და ბ-ნი იანოსნე ტოლ-გიესის ("განმცხადებლები") მიერ 2004 წლის 13 აპრილს.

2. განმცხადებლებს წარმოადგენდა ბუდაპეშტში მოღვაწე ადვოკატი ბ-ნი ლ. გრესპიკი. უნგრეთის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა ბ-ნი ლ. პოლცლი, იუსტიციისა და სამართალდაცვის სამინისტროს მუშაკი.

3. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათი მშვიდობიანი შეკრება პოლიციამ დაშალა კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევით.

4. 2006 წლის 4 სექტემბერს სასამართლომ გადაწყვიტა მთავრობისთვის შეეტყობინებინა განაცხადის შესახებ. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მან გადაწყვიტა ერთდროულად განეხილა განაცხადის არსებითი მხარე და მისი დასაშვებობა.

ფაქტები

5. განმცხადებლები არიან უნგრეთის მოქალაქეები, რომლებიც დაიბადნენ უნგრეთში 1943, 1945 და 1951 წლებში და ცხოვრობენ ბუდაპეშტში.

ა. საქმის ბარემოებები

6. საქმესთან დაკავშირებული ფაქტები, როგორც ეს მხარეების მიერ იქნა წარმოდგენილი, შეიძლება შემდეგი სახით შეჯამდეს.

7. 2002 წლის 1 დეკემბერს ბუდაპეშტს ოფიციალური ვიზიტით ეწვია რუმინეთის პრემიერ-მინისტრი და მან მიღება გამართა რუმინეთის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით, რომელიც აღინიშნება 1918 წელს გიულაფეჰერვარის (Gyulafehérvár) ეროვნული ასამბლეის მიერ მანამდე უნგრული ტრანსილვანიის რუმინეთისათვის გადაცემის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

8. უნგრეთის პრემიერ მინისტრმა გადაწყვიტა მიღებას დასწრებოდა და ამის შესახებ ღონისძიებამდე ერთი დღით ადრე საჯაროდ განაცხადა.

9. განმცხადებლებს მიაჩნდათ, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრს თავი უნდა შეეკავებინა მიღებაში მონაწილეობისაგან, უნგრეთის ინსტორიაში გიულაფეჰერვარის ეროვნული ასამბლეის უარყოფითი მნიშვნელობის გამო. აქედან გამომდინარე, მათ გადაწყვიტეს დემონსტრაცია გაემართათ ბუდაპეშტის კემპინსკის სასტუმროს წინ, სადაც მიღება იყო დაგეგმილი. თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ მათ პოლიციისთვის არ უცნობებიათ.

10. 2002 წლის 1 დეკემბერს, შუადღით, სასტუმროს წინ შეიკრიბა დაახლოებით 150 ადამიანი, განმცხადებლების ჩათვლით. აქ იყო პოლიციაც. შეკრების ადგილას დიდი ხმაური იყო, რის გამოც პოლიციამ შეკრების დაშლა გადაწყვიტა, რადგან მიიჩნია, რომ შეიძლებოდა საფრთხე შექმნოდა მიღების უსაფრთხოდ ჩატარებას. პოლიციამ დემონსტრანტები აიძულა, სასტუმროს გვერდით მდებარე პარკში გადასულიყვნენ, საიდანაც ისინი გარკვეული დროის შემდეგ დაიშალნენ.

11. 2002 წლის 16 დეკემბერს განმცხადებლებმა პოლიციის მოქმედების სასამართლო განხილვა მოითხოვეს და პეშტის ცენტრალური საოლქო სასამართლოს წინაშე ამ მოქმედების უკანონოდ გამოცხადების საკითხი დააყენეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დემონსტრაცია აბსოლუტურად მშვიდობიანი იყო და მის ერთადერთ მიზანს იქ შეკრებილთა შეხედულებების გამოხატვა წარმოადგენდა. უფრო მეტიც, განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ შეუძლებელი იყო პოლიციისათვის დემონსტრაციის შესახებ სამი დღით ადრე შეტყობინების გაგზავნა, როგორც ამას მოითხოვეს 1989 წლის მე-3 აქტი შეკრების უფლების შესახებ (“შეკრების აქტი”), რადგან პრემიერ მინისტრმა მისი გადაწყვეტილების შესახებ მხოლოდ ერთი დღით ადრე განაცხადა.

12. 2003 წლის 6 თებერვალს საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებელთა სარჩელი. ღონისძიებასთან დაკავშირებულ გარემოებებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დემონსტრაცია მას შემდეგ დაშალეს, რაც მცირე აფეთქების ხმა გაისმა.

13. საოლქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დაგეგმილი შეკრების შესახებ პოლიციისთვის შეტყობინების სამდღიანი ვადა ვერ იქნებოდა დაცული, თუ დემონსტრაციის გამომწვევი ღონისძიების შესახებ საზოგადოებამ ინფორმაცია სამ დღეზე ნაკლები ვადის განმავლობაში მიიღო. სასამართლოს აზრით, შეკრების შესახებ აქტის შესაძლო ხარვეზს სასამართლო ვერ გამოასწორებდა. აქედან გამომდინარე, დემონსტრაციის შესახებ პოლიციის ინფორმირების ვალდებულება ეხება ყველა ტიპის დემონსტრაციას, სპონტანურად გამართული დემონსტრაციების ჩათვლით. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ასეთ ღონისძიებებთან მიმართებით შეიძლება საჭირო იყოს უფრო დეტალური და დახვეწილი რეგულირება, მაგრამ ეს კანონმდებლის ამოცანა იყო და არა სასამართლოების.

14. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შეკრების შესახებ პოლიციისთვის წინასწარ შეტყობინების ვალდებულება ემსახურება საზოგადოების ინტერესების და სხვათა უფლებების დაცვას, კერძოდ, ტრანსპორტის თავისუფალ მოძრაობას და მიმოსვლის თავისუფლების უფლებას. მან აღნიშნა, რომ დემონსტრაციის ორგანიზატორებს არც კი უცდიათ, შეტყობინება გაეგზავნათ პოლიციისთვის. საოლქო სასამართლომ ასევე აღნიშნა:

"... მოქმედი შიდასახელმწიფო კანონის შესაბამისი დებულებების საფუძველზე, ის ფაქტი, რომ შეკრება მშვიდობიანია, თავისთავად საკმარისი არ არის პოლიციისთვის ინფორმაციის მიწოდების მოვალეობისაგან გასათავისუფლებლად, რადგან შეტყობინების გარეშე იგი *per se* ხდება უკანონო, და, აქედან გამომდინარე, მოპასუხემ იგი კანონიერად დაშალა, შეკრების შესახებ აქტის მე-14 განყოფილების 1-ლი პუნქტის შესაბამისად."

15. განმცხადებლებმა გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. 2003 წლის 16 ოქტომბერს ბუდაპეშტის სამხარეო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მან შეასწორა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საარგუმენტაციო ნაწილი, საიდანაც ამოიღო მითითება შესაბამის შიდასახელმწიფო კანონში შესაძლო ხარვეზის არსებობის შესახებ. გარდა ამისა, სამხარეო სასამართლომ, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე და საკონსტიტუციო სასამართლოს 55/2001 (XI.29) დადგენილებაზე მითითებით, *inter alia*, აღნიშნა:

"...შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონის გამოყენებისას მიდგომა აშკარად ავტორიტარულია, რადგან არ არსებობს შეტყობინების ვალდებულებისაგან გამონაკლისი, და, აქედან გამომდინარე, არ არის რაიმე განსხვავება "წინასწარ შეტყობინებულ" და "სპონტანურად გამართულ" შეკრებებს შორის. ეს უკანასკნელი უკანონოდ ითვლება, რადგან შესრულებული არ არის შეტყობინების ზემოაღნიშნული ვალდებულება."

16. საბოლოოდ სამხარეო სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელთა მიმართ განხორციელებული შეზღუდვა იყო აუცილებელი და პროპორციული.

17. განმცხადებლებმა განჩინება გაასაჩივრეს, რომელიც 2004 წლის 24 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ, არსებითი განხილვის გარეშე, არ დააკმაყოფილა, რადგან იგი *ratione materiae* არ შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის დებულებებს.

ბ. შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონი

18. კონსტიტუციის 62-ე მუხლი მშვიდობიანი შეკრების უფლებას უზრუნველყოფს და მის განხორციელებას იცავს.

19. შეკრების შესახებ აქტის მე-6 განყოფილება შეკრებასთან დაკავშირებული შეტყობინების პოლიციისათვის გაგზავნას ღონისძიებამდე სამი დღით ადრე მოითხოვს.

20. შეკრების შესახებ აქტის მე-14 განყოფილების 1-ლი პუნქტი მოითხოვს, რომ პოლიციამ დაშალოს (*feloszlatja*) ნებისმიერი შეკრება, რომელიც წინასწარი შეტყობინების გარეშე გაიმართება.

21. შეკრების შესახებ აქტის მე-14 განყოფილების მე-3 პუნქტი ადგენს, რომ შეკრების დაშლის შემთხვევაში მონაწილეებს შეუძლიათ 15 დღის განმავლობაში მოითხოვონ სასამართლო განხილვა.

სამართალი

I. კონვენციის მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევა

22. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათი მშვიდობიანი დემონსტრაცია მხოლოდ იმიტომ დაშალეს, რომ არ არსებობდა წინასწარი შეტყობინება, რითაც დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი, რომელიც აცხადებს:

“1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების...”

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დანერგვა ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დამოკრტიულ საზოგადოებაში... უნესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ... [ან] სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვადა...”

ა. დასაშვებობა

23. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს განაცხადი აშკარად არასათანადოდ დაუსაბუთებელი არ არის კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ იგი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით. ამრიგად, იგი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებითი მხარე

1. ჰქონდა თუ არა ადგილი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების განხორციელებაში ჩარევას

24. მთავრობას არ უარუყვია, რომ განმცხადებლებს შეეძლოთ დაყრდნობოდნენ მე-11 მუხლით უზრუნველყოფილ გარანტიებს; მას არც ის უარუყვია, რომ დემონსტრაციის დაშლით მოხდა განმცხადებლების ამ დებულებით გარანტირებული უფლებების განხორციელებაში ჩარევა. სასამართლოს საფუძველი არა აქვს სხვაგვარად იფიქროს. თუმცა მთავრობა აცხადებდა, რომ ჩარევა გამართლებული იყო მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

2. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

25. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა "კანონით გათვალისწინებული" გასაჩივრებული სანქცირება, რომელიც წარმოიშვა მე-2 პუნქტით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე კანონიერი მიზნის საფუძველზე, ხოლო მათი მიღწევა იყო "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".

ა. "კანონით გათვალისწინებული"

26. მხარეებს არ უდავიათ საკითხზე, იყო თუ არა განმცხადებელთა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შეზღუდვა დაფუძნებული შეკრების შესახებ აქტის მე-14 განყოფილებაზე, რომლის ფორმულრებაც ნათელია. აქედან გამომდინარე, განჭვრეტადობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. სასამართლოს მიზეზი არა აქვს, მხარეებისაგან განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეს.

ბ. "კანონიერი მიზანი"

27. განმცხადებლებს ეს საკითხი არ დაუყენებიათ.

28. მთავრობამ განაცხადა, რომ საზოგადოებრივ ადგილებში მშვიდობიან შეკრებებზე შეზღუდვის დანესება ემსახურება სხვათა უფლებების დაცვას, მაგალითად, თავისუფალი მიმოსვლის უფლების ან ავტოტრანსპორტის ნორმალური მოძრაობის.

29. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მშვიდობიანი შეკრების უფლება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობით. გარკვეულ შემთხვევებში საჭიროა პოზიტიური ზომების მიღება მისი მშვიდობიანი ხასიათის უზრუნველსაყოფად. ამიტომ საჭირო იყო სამდღიანი ვადის დადგენა, რათა პოლიციას, *inter alia*, ჰქონდეს საშუალება, ხელისუფლების სხვა ორგანოებთან კოორდინირება მოახდინოს, გადააჯგუფოს საპოლიციო ძალები, უზრუნველყოს სახანძრო ბრიგადა და ტრანსპორტისაგან განმინდოს შესაბამისი ადგილი. მან ყურადღება მიაქცია იმ

ფაქტს, რომ თუ ხელისუფლებას ერთზე მეტი ორგანიზაცია შეატყობინებს, რომ ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე დროს დემონსტრაციის გამართვას აპირებს, მაშინ საჭირო იქნება დამატებითი შეთანხმებები.

30. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო კმაყოფილია, რომ სადავო ღონისძიება ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, კერძოდ, უნესრიგობის თავიდან აცილებას და სხვათა უფლებების დაცვას.

ბ. აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

31. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ მათი სპონტანური დემონსტრაცია მშვიდობიანი იყო და იგი მხოლოდ იმიტომ დაშალეს, რომ არ არსებობდა შეკრების აქტის მე-14 განყოფილების შესაბამისი წინასწარი შეტყობინება. ასეთი ზომა არ შეიძლება გამართლებული იქნეს იმ ფაქტით, რომ უმნიშვნელო აფეთქების ხმა გაისმა; ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვი, პოლიციას საშუალება არ უნდა მისცემოდა ასეთი საფუძვლით დაეშალა ნებისმიერი შეკრება სხვა დამატებითი გამამართლებელი მიზეზის გარეშე.

32. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელთა შეკრება დაშალეს არა წინასწარი შეტყობინების არარსებობის, არამედ აფეთქების ხმის გამო, რომელიც პოლიციამ სასტუმრო კემპინსკში მყოფი სახელმწიფო თანამდებობის პირთა უსაფრთხოებისათვის საშიშროების შექმნად შეაფასა.

33. სასამართლო თვლის, რომ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოებს უფლებამოსილებას ანიჭებს შემოიღოს “კანონიერი შეზღუდვები” შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებაზე.

34. სასამართლოს აზრით, შიდასახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც ღონისძიების კანონიერებას ეხება, განმცხადებელთა შეკრების დაშლის სამართლებრივ საფუძვლად მხოლოდ წინასწარი შეტყობინების არარსებობაა მითითებული. სასამართლოებმა პოლიციის ღონისძიების კანონიერად გამოცხადებასთან დაკავშირებული დადგენილება სწორედ ამ არგუმენტზე დააფუძნეს და არ გაითვალისწინეს საქმის სხვა ასპექტები, კერძოდ, ღონისძიების მშვიდობიანი ხასიათი.

35. სასამართლო იმეორებს, რომ საზოგადოებრივი შეკრებების ჩასატარებლად ხელისუფლების მხრიდან ნებართვის წინასწარ მოთხოვნა, ჩვეულებრივ, არ არღვევს ამ უფლების არსს (იხ. *რასემბლემენტ იურასიენ იუნაიტე შევიცარიის წინააღმდეგ*, 8191/78, კომისიის 1979 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და მოხსენებები 17, გვ. 119). თუმცა, წარმოდგენილი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, პრემიერ მინისტრის მიღებაზე დასწრების განზრახვის შესახებ საზოგადოების არასაკმარისად ადრე ინფორმირების გამო განმცხადებლებს მხოლოდ ორი არჩევანი დარჩათ — ან მთლიანად უარი ეთქვათ მშვიდობიანი შეკრების უფლების განხორციელებაზე, ან იგი ადმინისტრაციული მოთხოვნების დარღვევით განეხორციელებინათ.

36. სასამართლოს აზრით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც პოლიტიკურ მოვლენაზე დემონსტრაციის ორგანიზების გზით დაუყოვნე-

ბელი რეაგირება შეიძლება გამართლებულად იქნეს მიჩნეული, მშვიდობიანი შეკრების დაშლა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არ არსებობდა წინასწარი შეტყობინება, მაშინ, როდესაც მონაწილენი რაიმე სხვა უკანონო მოქმედებას არ სჩადიან, მშვიდობიანი შეკრების არაპროპორციული შეზღუდვის ტოლფასია.

37. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს რაიმე მტკიცებულება ვარაუდისთვის, რომ განმცხადებლები საფრთხეს უქმნიდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, იმ მცირე უხერხულობის გარდა, რომელიც გარდაუვლად წარმოიშობა საზოგადოებრივ ადგილებში შეკრებისას. სასამართლო იმეორებს, რომ "როდესაც დემონსტრაციის მონაწილენი არ მიმართავენ ძალადობრივ აქტებს, სახელმწიფო ორგანოებმა აუცილებლად უნდა გამოავლინონ შემწყნარებლობის გარკვეული ხარისხი მშვიდობიანი შეკრების მიმართ, თუ არ სურთ, მთლიანად დაკარგოს აზრი კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებულმა მშვიდობიანი შეკრების უფლებამ" (ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ, 74552/01, 2006 წლის 5 დეკემბერი, §§41-42).

38. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელთა მშვიდობიანი შეკრების დაშლა არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახული მიზნის მისაღწევად.

39. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი.

II. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

40. განმცხადებლებმა მიუთითეს მე-10 მუხლზე, რომელიც ადგენს:

"1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, პქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ... უნესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, [ან] ... სხვათა ... უფლებების დასაცავად, ..."

41. სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილ საქმეში მის მიერ კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევის დადგენის შემდეგ (იხ. ზემოთ, პუნქტი 39), საჭირო არ არის, ცალკე იქნეს შესწავლილი განმცხადებელთა საჩივარი მე-10 მუხლის საფუძველზე (იხ. *ეზელინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 26 აპრილი, სერია A 202, §35).

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

42. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა-სახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

ა. ზიანი

43. თითოეული განმცხადებელი ითხოვდა 10 000 ევროს (EUR) არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის.

44. მოთხოვნილ თანხას მთავრობა გადაჭარბებულად მიიჩნევდა.

45. სასამართლოს მიაჩნია, რომ დარღვევის დადგენა საკმარისია ნებისმიერი არამატერიალური ზიანის — რომელიც შესაძლოა განმცხადებლებს მიადგათ — სამართლიანი დაკმაყოფილებისათვის.

ბ. ხარჯები და განუშლი დანახარჯები

46. განმცხადებლები ასევე ითხოვდნენ საერთო ჯამში 2000 ევროს სასამართლოსთვის განუშლი ხარჯებისათვის.

47. მთავრობა განმცხადებელთა მოთხოვნას გადაჭარბებულად მიიჩნევდა.

48. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, განმცხადებელი უფლებამოსილია მიიღოს ხარჯებისა და განუშლი დანახარჯების ანაზღაურება იმდენად, რამდენადაც დადგინდება, რომ ეს ხარჯები იყო რეალური და აუცილებელი, ხოლო მათი ოდენობა — დასაბუთებული. ამ საქმეში სასამართლო ითვალისწინებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას და ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს და გონივრულად მიიჩნევს, განმცხადებლებს ერთობლივად მიეკუთვნოს მოთხოვნილი ანაზღაურება 2000 ევროს ოდენობით.

გ. საურავი

49. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ოდენობით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტული პუნქტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს, რომ განაცხადი დასაშვებია;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი;
3. ადგენს, რომ საჭირო არ არის კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე საჩივრის ცალკე განხილვა;
4. ადგენს, რომ დარღვევის დადგენა საკმარისია სამართლიანი დაკმაყოფილებისთვის ნებისმიერი მორალური ზიანისა, რომელიც შესაძლოა განმცხადებლებს მიადგათ;
5. ადგენს,

(a) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებლებს ერთობლივად, სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 2000 ევრო (ორი ათასი ევრო) ხარჯების ანაზღაურებისთვის, რომელიც კონვერტირებული უნდა იქნეს მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, დამატებული ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა;

(b) რომ ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებამდე ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება უბრალო პროცენტები ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;

6. უარყოფს განმცხადებელთა დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2007 წლის 17 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ს. დოლე
სექციის მდივანი

ფ. ტულკენსი
თავმჯდომარე

**მოსკოვის საინჟინერო-ტექნიკური
ეკლესია რუსეთის წინააღმდეგ
*Church of Scientology Moscow v. Russia***

მოსკოვის საინტოლოგიური ეკლესია რუსეთის წინააღმდეგ

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი სექცია

საქმე მოსკოვის საინტოლოგიური ეკლესია რუსეთის
წინააღმდეგ

CASE OF CHURCH OF SCIENTOLOGY MOSCOW v. RUSSIA

(განაცხადი 18147/02)

გადანწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 5 აპრილი

საბოლოო

24/09/2007

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე "მოსკოვის საინტოლოგიური ეკლესია რუსეთის წინააღმდეგ",
(*Church of Scientology Moscow v. Russia*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (პირველი სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი კ.ლ. როზაკისი, თავმჯდომარე,
ბ-ნი ლ. ლუკაიდესი,
ქ-ნი ნ. ნაჯიჩი,
ბ-ნი ა. კოვლერი,
ქ-ნი ე. სტიენერი,
ბ-ნი კ. ჰაჯიევი,
ბ-ნი დ. სპიელმანი, მოსამართლეები,
და ბ-ნი ს. ნილსენი, სექციის მდივანი,

მოითათბირა 2007 წლის 15 მარტს და

იმავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს მომდინარეობს განაცხადიდან (18147/02) რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე მოსკოვის საინტოლოგიური ეკლესიის ("განმცხადებელი") მიერ 2002 წლის 24 აპრილს.

2. განმცხადებელს სასამართლოში წარმოადგენდნენ გაერთიანებულ სამეფოში, *ისტ გრინსტედში* მოღვაწე ადვოკატი, ბ-ნი პ. ჰოდკინი და მოსკოვში მოღვაწე ადვოკატები — ქ-ნი გ. კრილოვა და ბ-ნი კუზმიჩევი. რუსეთის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა ბ-ნი პ. ლაპტევი, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

3. განმცხადებელი, კერძოდ, ჩიოდა იმის გამო, რომ შიდასახელმწიფო ორგანოებმა მას უარი უთხრეს იურიდიულ პირად ხელახალ დარეგისტრირებაზე.

4. 2004 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით სასამართლომ განაცხადი ნაწილობრივ დასაშვებად გამოაცხადა.

5. განმცხადებელმა და მთავრობამ წარმოადგინეს მოსაზრებები არსებით მხარესთან დაკავშირებით (ნესი 59, პუნქტი 1).

შეჯამება

I. საქმის გარემოებები

ა. განმცხადებლის ხელახალი რეგისტრაციის თავდაპირველი მცდელობები

6. 1994 წლის 25 იანვარს განმცხადებელი ოფიციალურად დარეგისტრირდა როგორც რელიგიური გაერთიანება, რომელსაც ენიჭება იურიდიული პირის სტატუსი რსფსრ-ის რელიგიის შესახებ 1990 წლის 25 ოქტომბრის აქტის საფუძველზე.

7. 1997 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა ახალი კანონი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ ("რელიგიათა აქტი"). ამ კანონის თანახმად, ყველა რელიგიურ გაერთიანებას, რომელსაც მანამდე ჰქონდა მინიჭებული იურიდიული პირის სტატუსი, აქტთან შესაბამისობაში უნდა მოეყვანა თავისი გაერთიანების მუხლები და ხელახლა დარეგისტრირებულიყო იუსტიციის კომპეტენტური დეპარტამენტის მიერ.

8. 1998 წლის 11 აგვისტოს განმცხადებელმა შეიტანა განაცხადი მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტში ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით, რომელსაც თან ერთვოდა კანონით მოთხოვნილი დოკუმენტები.

9. 1999 წლის 1 ივნისს მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტმა განმცხადებელს ხელახალ რეგისტრაციაზე უარი უთხრა. უარის საფუძველად მან მიუთითა, რომ გაერთიანების მიზანი და საქმიანობა ეწინააღმდეგებოდა რელიგიათა აქტის მოთხოვნებს და არღვევდა სისხლის სამართლის კოდექსს, რადგან იმ დროს მიმდინარეობდა სისხლის სამართლის გამოძიება განმცხადებლის პრეზიდენტის მიმართ. განმცხადებელმა მიუთითა, რომ შემდგომში გამოძიება დაიხურა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

10. 1999 წლის 29 დეკემბერს განმცხადებელმა მეორედ შეიტანა განაცხადი ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით.

11. 2000 წლის 28 იანვარს მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ განმცხადებელს აცნობა, რომ მას მეორე განაცხადზედაც უარი უთხრეს. იგი წერდა, რომ განმცხადებელმა წესდებაში "ცვლილებების შეტანის" ნაცვლად "წესდების ახალი ვერსია" შეიმუშავა, და მიუთითა, რომ, წესდების შესაბამისად, განმცხადებელს "შეეძლო" და არა "უფლება ჰქონდა" მიეერთებინა უცხოური რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლობათა ოფისები. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ ადგილი ჰქონდა რუსეთის კანონმდებლოს სხვა (დაუკონკრეტებელია) დარღვევებს.

12. 2000 წლის 10 თებერვალს განმცხადებლის მაშინდელმა პრეზიდენტმა წერილი გაუგზავნა მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტს და დარღვე-

ვების დაკონკრეტება სთხოვა. იგი ეყრდნობოდა რელიგიის აქტის 12.2 განყოფილებას, რომლის თანახმად უარის თქმის საფუძვლები მკაფიოდ უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული.

13. 2000 წლის 18 თებერვლის წერილით დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ განმცხადებელს უპასუხა, რომ იუსტიციის დეპარტამენტს არ ევალუბოდა წესდების ან სხვა დოკუმენტების განმარტება ან გადასინჯვა და რომ იგი წარმოდგენილ დოკუმენტებს მხოლოდ სამართლებრივ შეფასებას აძლევდა და დადგენილებას იღებდა ხელახალი რეგისტრაციის ან მასზე უარის თქმის შესახებ.

14. 2000 წლის 30 მაისს, მას შემდეგ რაც შემდგომი ნაბიჯები გადაიდგა დოკუმენტების შესაძლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, განმცხადებელმა მესამედ შეიტანა განაცხადი რეგისტრაციის მოთხოვნით.

15. 2000 წლის 29 ივნისს უფროსის მოადგილემ განმცხადებელს აცნობა, რომ განაცხადს ვერ განიხილავდნენ, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სრულყოფილი. 2000 წლის 12 ივლისს განმცხადებელმა წერილობით მოითხოვა მისთვის ეცნობებინათ რომელი დოკუმენტი აკლდა, რაზედაც 2000 წლის 17 ივლისს უფროსის მოადგილემ განმცხადებელს აცნობა, რომ დეპარტამენტს არ ჰქონდა კომპეტენცია მიეთითებინა რა სახის ინფორმაცია აკლდა ან რა დამატებითი დოკუმენტების წარდგენა იყო საჭირო.

16. 2000 წლის 17 ივლისს განმცხადებელმა მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტში შეიტანა მეოთხე, უფრო დეტალური განაცხადი ხელახალი რეგისტრაციისთვის.

17. 2000 წლის 19 აგვისტოს იუსტიციის დეპარტამენტმა განმცხადებელს აცნობა, რომ განაცხადს ვერ განიხილავდნენ, რადგან მან, სავარაუდოდ, დოკუმენტთა არასრული პაკეტი წარადგინა. ინფორმაციაში მითითებული არ იყო, თუ რომელი დოკუმენტები აკლდა.

18. 2000 წლის 10 ოქტომბერს განმცხადებელმა წარადგინა მეხუთე, კვლავ უფრო დეტალური განაცხადი.

19. 2000 წლის 9 ნოემბერს იუსტიციის დეპარტამენტმა გაიმეორა, რომ განმცხადებელმა დოკუმენტთა არასრული პაკეტი წარადგინა და განაცხადს ვერ განიხილავდნენ.

20. 2000 წლის 31 დეკემბერს რელიგიური ორგანიზაციების ხელახალი რეგისტრაციის ვადა ამოიწურა.

ბ. სასამართლო პროცესი იუსტიციის დეპარტამენტთან

21. განმცხადებლის პრეზიდენტმა და თანადამფუძნებელმა მოსკოვის ნიკოლინსკის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის წინააღმდეგ განმცხადებლის ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმის გამო.

22. 2000 წლის 8 დეკემბერს მოსკოვის ნიკოლინსკის რაიონულმა სასამართლომ მიიღო განჩინება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იუს-

ტიციის დეპარტამენტის 2000 წლის 28 იანვრის დადგენილებას კანონიერი საფუძვლები არ გააჩნდა. მან დაასკვნა, რომ განმცხადებლის წესდებაში გამოყენებული ფორმულირებები რელიგიის აქტის ფორმულირებათა იდენტური იყო და დაადგინა, რომ რელიგიურ გაერთიანებას "არ მოეთხოვებოდა თავის წესდებაში სიტყვასიტყვით გადმოეტანა კანონის ტექსტი". სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იუსტიციის დეპარტამენტს შეეძლო რედაქციული ხასიათის შესწორებებზე მიეთითებინა, განაცხადზე სრული უარის თქმის ნაცვლად.

23. რაიონულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არც 2000 წლის 29 ივნისის დადგენილება იყო კანონიერი. მან დაადგინა, რომ განაცხადს ერთოდა რელიგიათა აქტით მოთხოვნილი დოკუმენტები, გარდა ერთი დოკუმენტისა, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოცემულ ტერიტორიაზე რელიგიური ჯგუფი არანაკლებ თხუთმეტი წლის განმავლობაში არსებობდა. თუმცა ეს დოკუმენტი აუცილებელი არ იყო, რადგან, საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების თანახმად, რელიგიათა აქტის მიღებამდე შექმნილ რელიგიურ ორგანიზაციებს თავიანთი თხუთმეტწლიანი არსებობის დადასტურება არ მოეთხოვებოდა.

24. რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტი "არსებითად საბაბს იყენებდა, რათა [განმცხადებელი] რეგისტრაციაში არ გაეტარებინა". მან მიუთითა, რომ რეგისტრაციაში გატარების ასეთი თავიდან აცილება ან მასზე უარის თქმა არღვევდა მოსარჩელის და მისი რწმენის მიმდევართა უფლებას, რომელიც გარანტირებულია რუსეთის კონსტიტუციის 29-ე და 30-ე მუხლებით, რამეთუ მრევლი, რომლის გაერთიანებას იურიდიული სტატუსი არა აქვს, ვერ შეძლებს იჯარით აილოს შენობა რელიგიური ცერემონიებისა თუ ლოცვებისთვის, მიიღოს და გაავრცელოს რელიგიური ლიტერატურა, ჰქონდეს საბანკო ანგარიში და ა.შ. რაიონულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, კონვენციის მე-9 და მე-11 მუხლებს და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლს. რაიონულმა სასამართლომ ასევე მიუთითა გაეროს დეკლარაციაზე რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობის და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კერძოდ, მის მე-7 მუხლზე, და დაადგინა, რომ "რელიგიური ერთეულისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა პრაქტიკულად ზღუდავს თითოეული პირის უფლებას, გამოამჟღავნოს თავისი რელიგია სხვებთან კავშირში". რაიონულმა სასამართლომ შემდეგი დასკვნა გააკეთა:

"აქედან გამომდინარე, იუსტიციის ორგანოების მიერ ხელოვნური საბაბით მოსკოვის საინტოლოგიური ეკლესიის ხელახალი რეგისტრაციის თავიდან აცილება ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის ზემოაღნიშნულ კანონებს და საერთაშორისო სამართალს."

რაიონულმა სასამართლომ მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტს განმცხადებლის ხელახალი რეგისტრაცია დაავალა.

25. იუსტიციის დეპარტამენტს განაჩენი არ გაუპროტესტებია და იგი სავალდებულო და სასამართლო წესით აღსრულებადი გახდა 2000 წლის 19 დეკემბერს. თუმცა მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტმა მის აღსრულებაზე უარი განაცხადა.

26. 2000 წლის 27 დეკემბერს განმცხადებელმა აღმასრულებელი ფურცელი მოიპოვა.

27. 2001 წლის 4 იანვარს განმცხადებელმა მეექვსე განაცხადი შეიტანა, რომელსაც დაურთო სავალდებულო ხელახალი რეგისტრაციის დამადასტურებელი აღმასრულებელი ფურცელი.

28. 2001 წლის 2 თებერვალს იუსტიციის დეპარტამენტმა განაცხადის განხილვაზე უარი თქვა. მან კვლავ გაიმეორა, რომ განმცხადებელმა დოკუმენტთა არასრული პაკეტი წარადგინა. სავარაუდოდ ნაკლები დოკუმენტის (დოკუმენტების) ბუნების შესახებ რაიმე განმარტება არ მიუციათ.

29. მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტმა დაუკონკრეტებელ დღეს მოსკოვის ქალაქის პროკურატურას სთხოვა, განცხადება შეეტანა საზედამხედველო გადასინჯვის მოთხოვნით, რაც მან გააკეთა. პროკურორის განცხადება მიიღო მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა. 2001 წლის 29 მარტს პრეზიდიუმმა საზედამხედველო გადასინჯვის გზით გააუქმა 2000 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მან შემდეგ საფუძვლებზე მიუთითა. 2000 წლის 28 იანვრის დადგენილების კანონიერებასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა გააკრიტიკა რაიონული სასამართლო და აღნიშნა, რომ მან ვერ მოახერხა ხელახალი რეგისტრაციისთვის 1999 წლის 29 დეკემბერს წარდგენილი წესდების შესწორებების კანონთან შესაბამისობის შედარება. 2000 წლის 29 ივნისის უართან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ წიგნი — *საინფორმაციო: თანამედროვე რელიგიის თეოლოგია და პრაქტიკა* (რუსული გამოცემა) — არ იძლეოდა საკმარის ინფორმაციას “ამ რელიგიის მრწამსის ძირითადი დოქტრინისა და პრაქტიკის შესახებ”, როგორც ამას მოითხოვს რელიგიათა აქტის განყოფილება 11.5, და რომ აქედან გამომდინარე, დოკუმენტთა პაკეტი არ იყო სრულყოფილი. პრეზიდიუმმა საკითხი ხელახლა განახილველად რაიონულ სასამართლოს გადასცა.

30. 2001 წლის 7 აგვისტოს ნიკულინსკის რაიონულმა სასამართლომ ახალი განჩინება მიიღო. რაიონულმა სასამართლომ მხარი დაუჭირა მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტს და არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი ხელახალ რეგისტრაციაზე უარის შესახებ. მან დაადგინა, რომ განმცხადებელმა ვერ დააკმაყოფილა რელიგიის აქტის მე-11 განყოფილება, კერძოდ: (i) ხელახალი რეგისტრაციის განაცხადს დართული ჰქონდა წესდების და რეგისტრაციის სერტიფიკატის ასლები და არა დედნები; (ii) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი წიგნი ვერ იქნებოდა მიჩნეული როგორც “ინფორმაცია ამ რელიგიის მრწამსის ძირითადი დოქტრინისა და პრაქტიკის შესახებ”; და (iii) წარმოდგენილი არ იყო განმცხადებლის იურიდიული მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტი.

31. სასამართლოს წინაშე მოსარჩელენი ამაოდ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტს ჰქონდა წესდებისა და რეგისტრაციის სერტიფიკატის დედნები, ასევე განმცხადებლის იურიდიული მისამართი, რადგან ეს დოკუმენტები ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის

პირველ განაცხადს ერთოდა, ხოლო მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტს ისინი უკან არ დაუბრუნებია. მიუხედავად ამისა, რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ "ის ფაქტი, რომ ზოგიერთი დოკუმენტი იყო [ფიზიკურად] დეპარტამენტის შენობაში, განმცხადებელს რეგისტრაციისთვის დოკუმენტთა სრული პაკეტის წარდგენის ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს". მან დაადასტურა, რომ "ყველა საჭირო დოკუმენტი ერთდროულად უნდა წარედგინათ".

32. 2001 წლის 26 ოქტომბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ მხარი დაუჭირა გადანყვეტილებას და მოიწონა რაიონული სასამართლოს არგუმენტაცია.

33. 2002 წლის 16 იანვარს განმცხადებელმა მეშვიდედ შეიტანა განაცხადი ხელახალი რეგისტრაციისთვის. ადგილობრივი სასამართლოების განჩინებების გათვალისწინებით, განმცხადებელმა წარადგინა: (i) წესდებისა და რეგისტრაციის სერტიფიკატის დედნები; (ii) "ინფორმაცია ამ რელიგიის მრწამსის ძირითადი დოქტრინისა და პრაქტიკის შესახებ" — ოთხგვერდიანი დოკუმენტი ნაცვლად წიგნისა; და (iii) მათი იურიდიული მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტი.

34. 2002 წლის 23 იანვარს მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის უფროსის ახალმა მოადგილემ უარი თქვა განაცხადის განხილვაზე, იმ საფუძველით, რომ რელიგიურ ორგანიზაციათა ხელახალი რეგისტრაციის ვადა გასული იყო, ხოლო განმცხადებლის დაშლასთან (იხ. ქვემოთ) დაკავშირებით სამოქალაქო პროცესი მიმდინარეობდა.

35. 2002 წლის 30 აპრილს ნიკოლინსკის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა იუსტიციის დეპარტამენტის სამოქალაქო სარჩელი განმცხადებლის დაშლის შესახებ. მან მიუთითა *ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალის* საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2002 წლის 7 თებერვალს მიღებულ დადგენილებაზე. ამ დადგენილების შესაბამისად, რელიგიური ორგანიზაციის დაშლა შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით, თუ სათანადო წესით დადგინდებოდა, რომ მან შეწყვიტა საქმიანობა ან ეწეოდა უკანონო საქმიანობას (დადგენილების დეტალური აღწერა იხ. *ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალი რუსეთის წინააღმდეგ*, 72881/01, §§23-24, ECHR 2006-...). ვინაიდან განმცხადებელი ეწეოდა ფინანსურ და ეკონომიკურ საქმიანობას, აწარმოებდა ბალანსის ფორმებს და ღონისძიებებს აწყობდა მოსკოვის მუნიციპალურ რაიონებში და არ ჩაუდენია რაიმე არამართლზომიერი ქმედება, სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი მისი დაშლის შესახებ. 2002 წლის 18 ივლისს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა.

ბ. ხელახალი რეგისტრაციის უზრუნველყოფის შემდგომი მცდელობები

36. 2002 წლის 1 ივლისს იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემა შეიცვალა. შეიქმნა იურიდიულ პირთა ერთიანი სახელმწიფო რეესტრი და რეგისტრაციაში გატარების კომპეტენცია გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს (საგადასახადო სამინისტრო) გადაეცა. თუმცა რელიგიური ორგანიზაციებისათვის შენარჩუნებულ იქნა სპეციალური

პროცედურა, რომლის საფუძველზედაც რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა კვლავ იუსტიციის სამინისტროს რეგიონულ დეპარტამენტებს ევალებოდა, ხოლო დამტიციებული განაცხადი ფორმალური წარმოებისთვის საგადასახადო სამინისტროს გადაეცემოდა. ყველა არსებულ იურიდიულ პირს 2002 წლის 31 დეკემბრამდე საგადასახადო ორგანოში უნდა წარედგინა განახლებული ინფორმაცია თავისი ორგანიზაციის შესახებ.

37. 2002 წლის 11 ივლისს განმცხადებელმა, ახალი პროცედურის თანახმად, მერვე განაცხადი შეიტანა მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტში.

38. 2002 წლის 9 აგვისტოს იუსტიციის დეპარტამენტმა განაცხადის განხილვაზე უარი თქვა. მან კვლავ გაიმეორა, რომ ვადის გასვლის გამო შეუძლებელი იყო ხელახალი რეგისტრაცია.

39. 2002 წლის 24 სექტემბერს, მას შემდეგ რაც მოსკოვის საქალაქო სასამართლომ მხარი დაუჭირა განმცხადებლის დაშლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, განმცხადებელმა ხელახალი რეგისტრაციისთვის მეცხრედ შეიტანა განაცხადი. იმავე დღეს მან ახალი პროცედურით მოთხოვნილი განახლებული ინფორმაცია წარადგინა ადგილობრივი საგადასახადო ორგანოს რეესტრში, მოსკოვის 39 საგადასახადო ინსპექციაში.

40. 2002 წლის 2 ოქტომბერს მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის უფროსმა განმცხადებელს მის 2002 წლის 2 სექტემბრის წერილზე შემდეგი პასუხი გაუგზავნა:

"... სიტუაცია წარმოიშვა, როდესაც, ერთი მხრივ, [მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის] სამოქალაქო სარჩელი, რომელიც თქვენი რელიგიური ორგანიზაციის დაშლას მოითხოვდა, არ დააკმაყოფილეს, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე სასამართლომ კანონიერად მიიჩნია ჩვენი დადგენილებები ხელახალ რეგისტრაციასთან დაკავშირებული თქვენი განაცხადებისა და დოკუმენტების განუხილველობის შესახებ, რადგან ხელახალი რეგისტრაციისთვის კანონით დადგენილი ვადა ამონურული იყო."

41. 2002 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვის 39 საგადასახადო ინსპექციამ განმცხადებელი იურიდიულ პირთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში გაატარა და რეგისტრაციის სერტიფიკატი გასცა.

42. 2002 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვის 39 საგადასახადო ინსპექციამ განმცხადებელი იურიდიულ პირთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში გაატარა და რეგისტრაციის სერტიფიკატი გასცა.

43. 2002 წლის 24 დეკემბერს განმცხადებელმა მეთედ შეიტანა განაცხადი ხელახალი რეგისტრაციისთვის და მას დაურთო რეესტრის სერტიფიკატი.

44. 2003 წლის 24 იანვარს იუსტიციის დეპარტამენტმა მეთედ განაცხადი განუხილველი დატოვა და კვლავ ამონურულ ვადაზე მიუთითა.

დ. შემდგომი სამოქალაქო პროცესი იუსტიციის დეპარტამენტთან

45. 2003 წლის 24 აპრილს განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა იუსტიციის დეპარტამენტის წინააღმდეგ რელიგიათა აქტის საფუძველზე

განმცხადებლის ხელახალ რეგისტრაციაზე მუდმივად უარის გამო. იგი, კერძოდ, წიოდა, რომ იუსტიციის დეპარტამენტის მოქმედებებით დაირღვა უფლება განმცხადებლისა და მისი წევრების რელიგიის და გაერთიანების თავისუფლებისა. მან წარადგინა 2002 წლის 29 ოქტომბრის რეგისტრაციის სერტიფიკატის ასლი და ეყრდნობოდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 7 თებერვლის დადგენილებას.

46. 2003 წლის 1 სექტემბერს მოსკოვის პრესნენსკის რაიონულმა სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. მან მიუთითა, რომ რელიგიათა აქტის შესაბამისად დაუშვებელი იყო იმ რელიგიურ ორგანიზაციათა ხელახალი რეგისტრაცია, რომლებმაც ხალხალი რეგისტრაციის ვადას გადააცილეს.

47. 2004 წლის 22 იანვარს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ გააუქმა 2003 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ქვემდგომ სასამართლოს დაუბრუნა. განჩინებაში აღნიშნული იყო შემდეგი:

“... დადგენილ ვადაში ხელახალი რეგისტრაციის განუხორციელებლობა თავისთავად ვერ იქნება საფუძველი ... რელიგიური ორგანიზაციის ... წესდების შესწორებების რეგისტრაციაზე უარის თქმისათვის ... დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ...”

რელიგიური ორგანიზაციის დამფუძნებელი დოკუმენტების ცვლილებების რეგისტრაციაზე უარის თქმა ზღუდავს ორგანიზაციის და, შესაბამისად, მისი წევრების უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვრონ მისი არსებობისა და ფუნქციონირების იურიდიული პირობები.”

48. 2004 წლის 3 ნოემბერს პრესნენსკის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი იუსტიციის დეპარტამენტის წინააღმდეგ. მან დაადგინა, რომ რელიგიათა აქტი არ შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ შეზღუდოს რელიგიური ორგანიზაციის შესაძლებლობა შესწორებები შეიტანოს დამფუძნებელ დოკუმენტებში ხელახალი რეგისტრაციისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ამრიგად, იუსტიციის დეპარტამენტის დადგენილება შესწორებული წესდების რეგისტრაციაში გატარების განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ უკანონოდ იქნა გამოცხადებული. რაიონულმა სასამართლომ იუსტიციის დეპარტამენტს განმცხადებლის ხელახალ რეგისტრაციაში გატარება დაავალა, 2002 წელს შესწორებული წესდების დარეგისტრირების გზით.

49. 2005 წლის 4 თებერვალს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ მხარი დაუჭირა რაიონული სასამართლოს მიერ რელიგიათა აქტის განმარტებას. თუმცა მან დაადგინა, რომ იუსტიციის დეპარტამენტს არასწორად დაევალა შესწორებული წესდების რეგისტრაცია, კერძოდ, კანონთან მისი შესაბამისობის გადასინჯვის გარეშე. საქალაქო სასამართლომ შეასწორა მისი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი და იუსტიციის დეპარტამენტს დაავალა განმცხადებლის სარეგისტრაციო განაცხადი დადგენილი პროცედურის შესაბამისად შეესწავლა.

50. 2005 წლის 31 მაისს განმცხადებელმა სარეგისტრაციო განაცხადი კვლავ შეიტანა მოსკოვის სარეგისტრაციო დეპარტამენტში, რომელიც, იუსტიციის სისტემის რეფორმის შემდეგ, მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის სამართალმემკვიდრეა რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის საკითხებში.

51. 2005 წლის 27 ივნისს მოსკოვის სარეგისტრაციო დეპარტამენტმა განმცხადებელს აცნობა, რომ მის განაცხადს არ განიხილავდნენ, რადგან მას არ წარუდგენია მოსკოვში სულ მცირე 15 წლის განმავლობაში მისი არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ა. თანამდევნი მოვლენები

52. 2003 წლის 2 სექტემბერს პრესის, ტელერადიომაუწყებლობისა და მასობრივი ინფორმაციის სამინისტრომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის განცხადება, რომლითაც იგი თავისი გაზეთის — *რელიგია, კანონი და თავისუფლება* — დარეგისტრირებას ითხოვდა. დადგენილებაში უარის რაიმე სამართლებრივ საფუძვლებზე არ მიუთითებიათ. ქვემოთ მოცემულია ამ დადგენილების სრული ტექსტი:

“მოგახსენებთ, რომ, მას შემდეგ, რაც დასრულდება სასამართლო პროცესი [განმცხადებელსა] და [მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტს] შორის (ანუ, მას შემდეგ რაც ძალაში შევა განჩინება), ამ ორგანიზაციას შეუძლია კვლავ მოითხოვოს გაზეთის — *რელიგია, კანონი და თავისუფლება* — დარეგისტრირება.”

II. შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონი და პრაქტიკა

ა. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია

53. 29-ე მუხლი უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს უფლებას ნებისმიერი რელიგიის გაცხადებისა ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, ან საერთოდ არც ერთის გაცხადებისა, რელიგიის ან სხვა მრწამსთა თავისუფლად არჩევას, ქონას ან გავრცელებას და მათ შესაბამისად მოქმედებას.

54. 30-ე მუხლი ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება გაერთიანების თავისუფლებისა.

ბ. რელიგიათა აქტი

55. 1997 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა ფედერალური კანონი *სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ* (125- Φ3, 1997 წლის 26 სექტემბერი — “რელიგიათა აქტი”).

56. რელიგიურ ორგანიზაციათა დამფუძნებელი დოკუმენტები, რომლებიც რელიგიათა აქტის მიღებამდე შეიქმნა, უნდა შესწორებულიყო აქტის შესაბამისად და ისინი ხელახალი რეგისტრაციისთვის უნდა წარედგინ-

ნათ. ასეთ შესწორებამდე დამფუძნებელი დოკუმენტები მოქმედი რჩე-
ბოდა იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა აქტის დებულებებს
(განყოფილება 27, პუნქტი 3).

57. 57. 1999 წლის 27 დეკემბრის წერილით (#10766- CIO) იუსტიციის სა-
მინისტრომ თავის დეპარტამენტებს აცნობა, რომ რელიგიათა აქტი რელი-
გიური ორგანიზაციების ხელახალი რეგისტრაციისთვის სპეციალურ პრო-
ცედურას არ ადგენდა. ვინაიდან 27-ე განყოფილების მე-3 პუნქტი მათგან
მოითხოვდა დამფუძნებელი დოკუმენტების რელიგიათა აქტთან შესაბამი-
სობის უზრუნველყოფას, დამფუძნებელ დოკუმენტებში ცვლილებების რე-
გისტრაციის სათანადო პროცედურა იყო მე-11 განყოფილების მე-11 პუნ-
ქტში აღწერილი პროცედურა. მე-11 განყოფილების მე-11 პუნქტი ადგენ-
და, რომ შესწორებათა რეგისტრაციის პროცედურა იყო იგივე, რომელიც
მოითხოვებოდა რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციისათვის.

58. მე-11 მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული იყო რეგისტრაციისთვის
საჭირო დოკუმენტთა ჩამონათვალი, კერძოდ:

- რეგისტრაციის განაცხადი;
- რელიგიური ორგანიზაციის დამფუძნებელთა სია, მათი ეროვნების,
საცხოვრებელი ადგილისა და დაბადების თარიღის მითითებით;
- რელიგიური ორგანიზაციის წესდება (გაერთიანების მუხლები);
- დამფუძნებელი კრების ოქმი;
- მოცემული რელიგიური ორგანიზაციის მოცემულ ტერიტორიაზე
სულ მცირე 15 წლის განმავლობაში არსებობის დამადასტურებელი
დოკუმენტი...;
- ინფორმაცია მოცემული რელიგიის მრწამსის ძირითადი დოქტრი-
ნისა და პრაქტიკის შესახებ, ასევე ინფორმაცია ამ რელიგიის წარ-
მოშობისა და მოცემული გაერთიანების შესახებ, მისი საქმიანობის
ფორმებისა და მეთოდების ჩათვლით; მისი შეხედულებები ოჯახსა
და ქორწინებაზე, განათლებაზე; ამ რელიგიის მიმდევართა შეხე-
დულებები ჯანმრთელობაზე; და ინფორმაცია ორგანიზაციის სასუ-
ლიერო პირთა მიერ მისი წევრებისთვის მინიჭებული სამოქალაქო
უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების შესახებ;
- რელიგიური ორგანიზაციის მუდმივი მმართველი ორგანოს მისამარ-
თი (ადგილმდებარეობა), ორგანიზაციის საკონტაქტო მონაცემები; და
- სახელმწიფო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი."

59. მე-12 განყოფილების 1-ლი პუნქტი აცხადებდა, რომ რელიგიურ ორ-
განიზაციას რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ:

- რელიგიური ორგანიზაციის მიზნები და საქმიანობა ეწინააღმდეგება
რუსეთის კონსტიტუციას და რუსეთის კანონებს, კონკრეტულ სამართ-
ლებრივ დებულებებზე მითითებით;
- ორგანიზაცია არ არის აღიარებული, როგორც რელიგიური ორგანი-
ზაცია;

- გაერთიანების მუხლები ან სხვა წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება რუსეთის კანონმდებლობას ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას;
- იმავე სახელწოდების მქონე სხვა რელიგიური ორგანიზაცია უკვე არის დარეგისტრირებული;
- დამფუძნებელი (დამფუძნებლები) არის (არიან) ქმედუნარო."

60. 27-ე განყოფილების მე-4 პუნქტის თავდაპირველი ფორმულირებით რელიგიურ ორგანიზაციათა ხელახალი რეგისტრაცია უნდა დასრულებულიყო 1999 წლის 31 დეკემბრამდე. მოგვიანებით ეს ვადა 2000 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდა. ვადის გასვლის შემდეგ რელიგიური ორგანიზაციები ექვემდებარებოდნენ დაშლას სასამართლოს დადგენილების წესით, რეგისტრაციის ორგანოს მიმართვის საფუძველზე.

ბ. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

61. საკონსტიტუციო სასამართლომ შეისწავლა კანონის მოთხოვნის (ყველა რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ამ მოთხოვნის ძალაში შესვლამდეა დაფუძნებული, ვალდებულია დაადასტუროს, რომ იგი სულ მცირე თხუთმეტი წელია არსებობს) შესაბამისობა რუსეთის კონსტიტუციასთან და დაადგინა შემდეგი (დადგენილება 16-, 1999 წლის 23 ნოემბერი, საქმე *იაროსლავის იელოვას მონაშეთი რელიგიური საზოგადოება და ქრისტიანული მადიდებელი ეკლესია*):

"8. ... რელიგიის თავისუფლების შესახებ რსფსრ-ის კანონის (1995 წლის 27 იანვრის შესწორებული ვარიანტი) შესაბამისად, ყველა რელიგიურ გაერთიანებას, როგორც რეგიონულს, ისე ცენტრალურს, თანაბარი უფლებები ჰქონდა, როგორც იურიდიულ პირს; ეს უფლებები შემდგომ ჩართული იქნა ფედერალურ კანონში სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ...

ამ გარემოებათა საფუძველზე, კანონმდებელს არ უნდა ჩამოერთმია რელიგიურ ორგანიზაციათა გარკვეული სეგმენტისთვის მისთვის მინიჭებული სამართლებრივი უფლებები მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მას არა აქვს თხუთმეტწლიანი არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთი მიდგომა იმ რელიგიურ ორგანიზაციათა მიმართ, რომლებიც მანამდე შეიქმნა, შეუსაბამო იქნებოდა თანასწორობის პრინციპთან, რომელიც დაცულია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით, და დაუშვებელი შეზღუდვა იქნებოდა რელიგიის თავისუფლებისა (მუხლი 28) და გაერთიანებათა [ნებაყოფლობითი] თავისუფლად შექმნისა და მათი საქმიანობის განხორციელების უფლებისა (მუხლი 30)..."

62. საკონსტიტუციო სასამართლომ მოგვიანებით თავისი პოზიცია დაადასტურა 2000 წლის 13 აპრილის დადგენილებაში 46-0, რომელიც მან მიიღო საქმეზე *იესოს საზოგადოების დამოუკიდებელი რუსული რეგიონი* და 2002 წლის 7 თებერვლის დადგენილებაში 7-0, საქმეზე *ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალი*.

III. შესაბამის ევროპულ დოკუმენტთა მიმოხილვა

63. 2002 წლის 23 აპრილს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 1278 (2002), რომელიც ეხება რუსეთის კანონს რელიგიათა შესახებ. რეზოლუციაში, კერძოდ, აღნიშნულია:

“1. 1997 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა რუსეთის ახალი კანონი რელიგიათა შესახებ, რომელმაც გააუქმა და შეცვალა ამავე საკითხზე რუსეთის 1990 წლის კანონი, რომელიც ზოგადად ძალზე ლიბერალურ კანონად ითვლებოდა. ახალმა კანონმა გარკვეული შეშფოთება გამოიწვია, როგორც მისი შინაარსის, ისე განხორციელების თვალსაზრისით. ზოგი პრობლემა უკვე მოგვარებულია, განსაკუთრებით, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 23 ნოემბრის, 2000 წლის 13 აპრილის და 2002 წლის 7 თებერვლის დადგენილებებით, ხოლო იუსტიციის სამინისტრომ 2001 წლის 1 იანვარს წარმატებით დაასრულა რელიგიურ საზოგადოებათა ხელახალი რეგისტრაციის პროცესი. თუმცა გარკვეული პრობლემები კვლავ მოუგვარებელია. ...

5. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს ზოგიერთი სამხარეო და ადგილობრივი დეპარტამენტი რეგისტრაციაზე უარს ეუბნება გარკვეულ რელიგიურ საზოგადოებებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფედერალურ დონეზე დარეგისტრირებული არიან. როგორც ჩანს, იუსტიციის ფედერალური სამინისტრო ვერ აკონტროლებს ამ სამხარეო და ადგილობრივ დეპარტამენტებს კანონის უზენაესობის მოთხოვნების შესაბამისად. იგი რელიგიურ საზოგადოებებს აიძულებს რეგისტრაციის მოსაპოვებლად სასამართლოებში ებრძოლონ ამ ადგილობრივ დეპარტამენტებს, ნაცვლად იმისა, რომ სამინისტროს შიგნით განახორციელოს სიტუაციის გამოსწორებისათვის საჭირო მოქმედებები...

6. აქედან გამომდინარე, ასამბლეა რუსეთის ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევს, რომ:

i. კანონი უფრო ერთგვაროვნად უნდა გამოიყენებოდეს რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე, რამაც ბოლო უნდა მოუღოს გაუმართლებელ რეგიონულ და ადგილობრივ დისკრიმინაციას გარკვეული რელიგიური საზოგადოებებისა და ადგილობრივი თანამდებობის პირთა მიერ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უპირატესობის მინიჭებას, ხოლო განსაკუთრებით — გარკვეულ რეგიონებში მათ მიერ დაჟინებულ მოთხოვნას, რომ საქმიანობის დაწყებამდე რელიგიურმა საზოგადოებებმა წინასწარ მიიღონ თანხმობა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან;

ii. იუსტიციის ფედერალურმა სამინისტრომ უფრო ქმედითი როლი უნდა შეასრულოს მისი ადგილობრივი/სამხარეო სამსახურების თანამდებობის პირთა და რელიგიურ ორგანიზაციათა შორის წამოჭრილი დავების გადაწყვეტაში საქმის სასამართლოში წარდგენამდე, რაც შესაძლებელია განხორციელდეს კორუფციის და/ან რელიგიის შესახებ კანონის არასწორი იმპლემენტაციის შემთხვევებში სამინისტროს შიგნით სათანადო ღონისძიებების განხორციელებით, რითაც თავიდან იქნება აცილებული საქმეთა სასამართლომდე მიტანა...”

სამართალი

I. კონვენციის მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების სავარაუდო დარღვევა

64. კონვენციის მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას თვითნებურად ჩამოართვეს იურიდიული პირის სტატუსი რელიგიური ორგანიზაციის ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმის შედეგად. სასამართლო იხსენებს, რომ ერთ-ერთ ბოლო საქმეში მან ფაქტობრივად მსგავსი საჩივარი განიხილა, რომელიც ეხებოდა რელიგიური ორგანიზაციის ხელახალ რეგისტრაციაზე უარს, კონვენციის მე-11 მუხლის პოზიციიდან მე-9 მუხლთან ნაკითხვის ფონზე (იხ. *ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალი რუსეთის წინააღმდეგ*, 72881/01, §§74 და 75, ECHR 2006-...). სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულ დონეზე განმცხადებლის რელიგიურ ბუნებასთან დაკავშირებით დავა არ წამოჭრილა და იგი 1994 წლიდან იყო აღიარებული, როგორც რელიგიური ორგანიზაცია. ამ ფონზე სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის საჩივარი განხილული უნდა იქნეს კონვენციის მე-11 მუხლის პოზიციიდან მე-9 მუხლთან ნაკითხვის ფონზე.

მე-9 მუხლი ადგენს:

"1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძობით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად".

მე-11 მუხლი ადგენს:

"1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად..."

ა. მხარეთა არგუმენტები

1. მთავრობა

65. მთავრობას მიაჩნდა, რომ განმცხადებლის გაერთიანების თავისუფლების უფლებაში ჩარევას არ ყოფილა, რადგან მისი ლიკვიდირება არ მომხდარა და იგი ინარჩუნებდა იურიდიული პირის სრულ უფლებამოსილებას. 2002 წლის 10 აგვისტოს იგი შეიტანეს იურიდიულ პირთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და აგრძელებდა თავის რელიგიურ საქმიანობას. ნიკულისკის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის სამოქალაქო სარჩელი განმცხადებლის დაშლის შესახებ. მან ეს გადაწყვეტილება დააფუძნა იმ მტკიცებულებებს, რომ განმცხადებელი ეწეოდა მიმდინარე ფინანსურ და ეკონომიკურ საქმიანობას, აწარმოებდა ბალანსის ფორმებს და მოსკოვის მუნიციპალურ რაიონებში ღონისძიებათა მოწყობის ნებართვა ჰქონდა. მთავრობა აღნიშნავდა, რომ განმცხადებელს არ შეეძლო ემტკიცებინა, რომ იგი რაიმე დარღვევის "მსხვერპლი" იყო, მხოლოდ იმის გამო, რომ თავისი დამფუძნებელი დოკუმენტების მოქმედ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა არ სურდა.

66. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ არ დარღვეულა განმცხადებლის რელიგიის თავისუფლების უფლება და არც ამ უფლების შეზღუდვას ჰქონდა ადგილი. განმცხადებლის სასჯელი "არ იყო მკაცრი და არ იყო მოტივირებული რელიგიური ფაქტორებით. იგი გამოიწვია რელიგიათა აქტთან შეუსაბამობამ და ადმინისტრაციული პროცედურის დარღვევამ". განმცხადებლისთვის ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმას არ გამოუწვევია მისი საქმიანობის აკრძალვა. განმცხადებლის წევრები აგრძელებდნენ თავიანთი რწმენის აღმსარებლობას, ატარებდნენ ღვთისმსახურებას და ცერემონიებს და მოძღვრავდნენ მათ მიმდევრებს.

67. მთავრობამ აღნიშნა, რომ რაიონული სასამართლოს 2001 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებას, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა ხელახალ რეგისტრაციაზე, კანონიერი საფუძველი ჰქონდა. კანონი მოითხოვდა წესდებისა და რეგისტრაციის სერტიფიკატის დედნებს, ინფორმაციას რელიგიის მრწამსის ძირითადი დოქტრინისა და პრაქტიკის შესახებ და ორგანიზაციის იურიდიული მისამართის დამადასტურებელ დოკუმენტს. მაგრამ განმცხადებელმა ეს დოკუმენტები ვერ წარადგინა, რის გამოც ხელახალი რეგისტრაციის განაცხადის განუხილველობა კანონიერი იყო. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს არაფერი არ უშლის ხელს, ახალი განაცხადი შეიტანოს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით.

2. განმცხადებელი

68. განმცხადებელი არ დაეთანხმა მთავრობის კომენტარებს, რომ იგი "ინარჩუნებდა იურიდიული პირის სრულ უფლებამოსილებას" და "სრულად ახორციელებდა ფინანსურ, ეკონომიკურ და სხვა სახის საქმიანობას",

რომლებსაც მან სიცრუე უწოდა. მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ შექმნილი დაბრკოლებების შედეგად, რომლებსაც 2003 წლის 1 სექტემბერს მხარი დაუჭირა პრესნენსკის რაიონულმა სასამართლომ, განმცხადებელი "დროში გაიყინა" და მან ვერ შეძლო მისი დამფუძნებელი დოკუმენტების მოდიფიცირება და, შესაბამისად, მისი მიზნების, სტრუქტურისა და შიდა მონეების კანონისა და მისი ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველყოფა. მაგალითად, განმცხადებელს აუკრძალეს, წესდებებში შეეტანა სამლოცველო ადგილების გახსნის უფლება და მისი პრეზიდენტის არჩევისა და განთავისუფლების ახალი პროცედურა. გარდა ამისა, პრესის სამინისტრომ რეგისტრაციაში არ გაატარა მისი გაზეთი განმცხადებლის უფლებებთან დაკავშირებით შექმნილი გაურკვევლობის გამო, რაც გამოიწვია ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმამ. ამ კონტექსტში განმცხადებლის ერთიან სახელმწიფო რეესტრში შეყვანა გამოიწვია შიდა ადმინისტრაციულმა რეფორმამ და იგი არ იყო ხელახალი რეგისტრაცია რელიგიათა აქტის მიზნებისთვის.

69. განმცხადებელი ასევე აღნიშნავდა, რომ უკეთეს შემთხვევაში "არაგულწრფელი" იყო მთავრობის პრეტენზია იმის შესახებ, რომ განმცხადებელს დამფუძნებელი დოკუმენტების შესწორების "სურვილი არ ჰქონდა". მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტში განმცხადებელმა ათჯერ შეიტანა განაცხადი ხელახალი რეგისტრაციის შესახებ და მას ერთხელაც არ უთქვამს უარი შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოთხოვნები, იქნებოდა ეს "კანონით გათვალისწინებული" თუ რაიმე სხვა სახის. ვადის გასვლა ხელახალი რეგისტრაციის გატარების გარეშე პირდაპირ იყო დაკავშირებული მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის მუდმივ უართან, რაიმე კონკრეტული ახსნა-განმარტება მიეცა განაცხადის ხარვეზთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მის მიერ სააღმსრულებლო ფურცლის იგნორირება განსაკუთრებით სერიოზული დარღვევაა, რადგან იუსტიციის სამინისტრო თავადაა პასუხისმგებელი სასამართლო აღმსრულებლის სამსახურზე და განაჩენთა აღსრულებაზე. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე "დამაჯერებელი და მტკიცე" არგუმენტები განმცხადებლის ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა 2001 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძვლები არ იყო "კანონით გათვალისწინებული", რადგან იგი არ მოითხოვდა დოკუმენტების არც ერთდროულად წარდგენას და არც რაიმე კონკრეტულ ფორმას, რომლის შესაბამისადაც განმცხადებელს ინფორმაცია უნდა მიენოდებინა "მრწამსის ძირითადი დოქტრინის" შესახებ.

70. ბოლოს, მთავრობის განცხადებასთან დაკავშირებით — რომ განმცხადებელს არაფერი არ უშლის ხელს, ახალი განაცხადი შეიტანოს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით — განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ეს შეცდომაში შემყვანი და ფაქტების საწინააღმდეგო განცხადებაა. ნავარაუდევია "მიმართვის შესაძლებლობა" ყოველგვარ აზრს მოკლებულია იმ ფონზე, როდესაც მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტმა მთავრობის მოსაზრებების წარმოდგენამდე ცხრა თვის განმავლობაში სულ მცირე ხუთჯერ უთხრა უარი განმცხადებელს რეგისტრაციის ვადის გასვლის საბაბით.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ფაქტების ძალზე მშვიდი განხილვითაც კი ნათლად ჩანს მოპასუხე სახელმწიფოს ცალსახა მიდგომა კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, განმცხადებლის ჩათვლით, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის მას "ობიექტური და გონივრული დასაბუთება" არ გააჩნია.

ბ. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

71. სასამართლო მიუთითებს თავის ჩამოყალიბებულ პრეცედენტულ სამართალზე, იმ თვალსაზრისით, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება "დემოკრატიული საზოგადოების" ერთ-ერთი საფუძველია კონვენციის მნიშვნელობით, როგორც ეს მის მე-9 მუხლშია განსაზღვრული. მისი რელიგიური ასპექტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც აყალიბებს მორწმუნეთა თვითმყოფადობას და მათი ცხოვრების კონცეფციას, მაგრამ იგი, ამასთანავე, ძვირფასი განძია ათვისებისთვის, აგნოსტიკოსთათვის, სკეპტიკოსებისა და რელიგიისადმი გულგრილი დამოკიდებულების მქონე პირთათვის. მასზეა დამოკიდებული პლურალიზმი — დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, რომელიც მძიმე ფასად იქნა მოპოვებული საუკუნეების განმავლობაში (იხ. ბესარაბიის მეტროპოლიური ეკლესია და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ, 45701/99, § 114, ECHR 2001-XII).

72. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდის სინდისთან დაკავშირებული საკითხია, იგი ასევე მოიცავს, *inter alia*, თავისუფლებას "რელიგიის გაცხადებისა" როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ და იმ წრეში, რომლის რწმენასაც პირი იზიარებს. ვინაიდან რელიგიური საზოგადოებები ტრადიციულად ორგანიზებული სტრუქტურის ფორმით არსებობს, მე-9 მუხლი უნდა განიმარტოს კონვენციის მე-11 მუხლის ფონზე, რომელიც გაერთიანების ფარგლებში ცხოვრებას იცავს სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერი ჩარევისაგან. ამ თვალთახედვით, მორწმუნეთა რელიგიის თავისუფლება, რომელიც მოიცავს პირის უფლებას, გააცხადოს თავისი რელიგია სხვებთან გაერთიანებით, ითვალისწინებს, რომ მორწმუნეებს თავისუფლად გაერთიანების საშუალება ექნებათ, სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური ჩარევის გარეშე. უეჭველია, რომ რელიგიურ თემთა არსებობა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში პლურალიზმის დამკვიდრებისთვის და, აქედან გამომდინარე, ეს საკითხი მე-9 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვის მთავარი ღერძია. სახელმწიფოს ნეიტრალიზმისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება, როგორც ეს სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაა განსაზღვრული, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ნებისმიერ უფლებამოსილებას, რომელიც რელიგიური მრწამსის ლეგიტიმურობას აფასებს (იხ. საქმე ბესარაბიის მეტროპოლიური ეკლესია, ციტ. ზემოთ, 118-ე და 123-ე პუნქტები; და ჰასანი და ჩაუსი ბულგარეთის წინააღმდეგ [GC], 30985/96, §62, ECHR 2000-XI).

73. სასამართლო იმეორებს, რომ გაერთიანების შექმნის უფლება მე-11 მუხლით განსაზღვრული უფლების განუყოფელი ნაწილია. ის, რომ მოქალაქეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ შექმნან იურიდიული ერთეული, რათა კოლექტიურად იმოქმედონ საერთო ინტერესის მქონე სფეროში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია გაერთიანების თავისუფლების უფლებისა, რომლის გარეშეც ამ უფლებას ყოველგვარი აზრი ნაერთმევა. ეროვნულ კანონმდებლობაში ამ თავისუფლების გათვალისწინებისა და ხელისუფლების მიერ მისი განხორციელების გზები კარგად უჩვენებს დემოკრატიის მდგომარეობას მოცემულ სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, სახელმწიფოებს უფლება აქვთ დარწმუნდნენ, რომ გაერთიანების მიზანი და საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესებს, მაგრამ მათ ეს უნდა გააკეთონ კონვენციის საფუძველზე მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად და იგი უნდა ექვემდებარებოდეს კონვენციის ინსტიტუტების კონტროლს (იხ. *სიდიროპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions 1998-IV*, §40).

74. სასამართლოს გადაწყვეტილებებში მრავალჯერ აღინიშნა, რომ პოლიტიკური დემოკრატია ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის მხოლოდ ფუნდამენტური მახასიათებელი არ არის, რადგან კონვენცია სწორედ დემოკრატიული საზოგადოების იდეალებისა და ღირებულებების ხელშესაწყობად შეიქმნა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დემოკრატია კონვენციით ჩაფიქრებული ერთადერთი მოდელია და იგი ერთადერთია, რომელიც მას შეესაბამება. მე-11 მუხლის მეორე პუნქტის ფორმულირებით, და კონვენციის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების მსგავსად, ერთადერთი აუცილებლობა, რომლის დროსაც შესაძლებელია რომელიმე ამ უფლებაში ჩარევა, "დემოკრატიული საზოგადოების" მოთხოვნებიდან მომდინარეობს (იხ. *თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions 1998-I*, §§43-45; და *რეფაჰ პარტისი (კეთილდღეობის პარტია) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ* [GC], 41340/98, 41342/98, 41343/98 და 41344/98, §§86-89, ECHR 2003-II).

75. სახელმწიფოს უფლებამოსილება — თავისი ინსტიტუტები და მოქალაქეები დაიცვას გაერთიანებისაგან, რომლებსაც მათთვის ზიანის მიყენება შეუძლიათ — ძალზე ძუნდად უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან გაერთიანების თავისუფლების წესიდან გამონაკლისი მკაცრად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და ამ თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ დამაჯერებელი და მტკიცე არგუმენტების საფუძველზე შეიძლება გამართლდეს. ყოველი ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს "მწვავე სოციალურ საჭიროებას"; ამრიგად, ცნება "აუცილებელი" არ არის ისეთი მოქნილი, როგორიცაა, მაგალითად, "სასარგებლო" ან "სასურველი" (იხ. *გორზელიკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ* [GC], 44158/98, §§94-95, 2004 წლის 17 თებერვალი, შემდგომი მითითებებით).

2. განმცხადებლის "დაზარალებულის" სტატუსი სავარაუდო დარღვევის გამო

76. მთავრობის მოსაზრებებში აღნიშნული იყო, რომ, ვინაიდან განმცხადებელი არ დაუშლიათ და იგი ინარჩუნებდა იურიდიული პირის სტატუსს, მის კონვენციით უზრუნველყოფილ უფლებებში ჩარევა არ მომხდარა და, აქედან გამომდინარე, მას არ შეეძლო განეცხადებინა, რომ იყო "დაზარალებული" რაიმე დარღვევის გამო.

77. სასამართლოს მთავრობის განცხადება დამაჯერებლად არ მიაჩნია. იგი იხსენებს, რომ მან უკვე განიხილა რელიგიური გაერთიანების მიერ წარმოდგენილი მსგავსი საჩივარი, რომელსაც რუსეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა რეგისტრაციაში გატარებაზე. მან დაასკვნა, რომ მიკერძოების ან ზიანის არარსებობის შემთხვევაშიც კი შესაძლებელია რელიგიურ გაერთიანებას ჰქონდეს პრეტენზია, რომ არის "დაზარალებული", ვინაიდან ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმით ზიანი მიადგა მის სამართლებრივ მდგომარეობას (იხ. ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალის საქმე, ციტ. ზემოთ, §564-65). მან ასევე დაადგინა, რომ რელიგიური გაერთიანების ერთიან სახელმწიფო რეესტრში შეყვანა მას არ ართმევს "დაზარალებულის" სტატუსს, რადგან შიდასახელმწიფო ორგანოებმა არ აღიარეს, რომ ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმით დაირღვა კონვენციით გარანტირებული მისი უფლებები (პუნქტი 66). სასამართლო ცნობის სახით იღებს მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის მოსაზრებას, რომელიც მან ადგილობრივ სასამართლოს წარუდგინა. იგი მიუთითებდა, რომ ერთიან სახელმწიფო რეესტრში შეყვანა არ იყო "ხელახალი რეგისტრაცია" რელიგიათა აქტის მნიშვნელობით (პუნქტი 67).

78. სასამართლო უზრუნველბა წარმოდგენილ საქმეს და აღნიშნავს, რომ განმცხადებლის სიტუაცია მსგავსია სიტუაციისა, რომელშიც იყო განმცხადებელი საქმეში *ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალი რუსეთის წინააღმდეგ*. განმცხადებელს უარი უთხრეს ხელახალ რეგისტრაციაზე, რომელიც რელიგიათა აქტით მოითხოვებოდა, ხოლო განმცხადებლის შესახებ ინფორმაციის შეტანა იურიდიულ პირთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში დაკავშირებული იყო მხოლოდ ამ რეესტრის შექმნასთან და რეგისტრაციის უფლებამოსილების გადაცემასთან ერთი ორგანოდან მეორესთვის, იურიდიულ პირთა რეგისტრაციის ახალი წესის ამოქმედების საფუძველზე (პუნქტი 67). ეროვნულ ორგანოებს არ უღიარებიათ, რომ მოხდა განმცხადებლის კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებების დარღვევა, და მისთვის ამ დარღვევათა გამოსწორების საშუალება არ მიუციათ. გადაწყვეტილებები, რომლებმაც ძალაში დატოვა უარი ხელახალ რეგისტრაციაზე, არავის გაუუქმებია და ისინი დღემდე ძალაშია. ნიკულინსკის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება, რომელზედაც მთავრობა მიუთითებდა, ეხებოდა მხოლოდ განმცხადებლის დაშლასთან დაკავშირებულ პროცესს და მას ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით რაიმე შედეგი არ მოუტანია.

79. ანალოგიურად, სასამართლოს არადამაჯერებლად მიაჩნია მთავრობის არგუმენტი, რომ განმცხადებელი არ შეიძლება მოითხოვდეს "დაზარალებუ-

ლის" სტატუსის მინიჭებას, რადგან მას დღემდე არ გადაუდგამს შესაბამისი ნაბიჯები, რათა სათანადო ფორმით მოეთხოვა ხელახალი რეგისტრაცია. ექვსი წლის განმავლობაში, 1999 წლიდან 2005 წლამდე, განმცხადებელმა სულ ცოტა თერთმეტი განაცხადი შეიტანა ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით. იგი ცდილობდა გაესწორებინა როგორც შიდასახელმწიფო ორგანოების მიერ მითითებული ხარვეზები, ისე დანარჩენი, რომლებიც შესაძლოა არსებობდა გარკვეულ შემთხვევებში, მაგრამ იუსტიციის დეპარტამენტს მათ ბუნებაზე არ მიუთითებია (იხ. ზემოთ, მაგალითად, მე-11, მე-15 და მე-17 პუნქტები). მთავრობამ არ დააკონკრეტა ის სამართლებრივი დებულებები, რომელთა საფუძველზედაც განმცხადებელს ახლა შეეძლო კვლავ მიემართა ხელახალი რეგისტრაციისთვის. ასეთი მიმართვა ისევ დაგვიანებული იქნება, რადგან გაგრძელებული ვადა 2000 წლის 31 დეკემბერს ამოწურა. მეშვიდედან მეათემდე განაცხადები იუსტიციის დეპარტამენტმა ფაქტობრივად არ განიხილა ვადის გასვლის საფუძველზე (იხ. ზემოთ, 34-ე, 38-ე, 41-ე და 44-ე პუნქტები). აქედან გამომდინარეობს, რომ განმცხადებელს დღემდე უარს ეუბნებიან ხელახალ რეგისტრაციაზე.

80. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელს შეუძლია "მოითხოვოს" "დაზარალებულის" სტატუსი მის მიერ გასაჩივრებული დარღვევების საფუძველზე. იმისათვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა განმცხადებელი რეალურად დაზარალებული, საჭიროა შესწავლილი იქნეს მისი პრეტენზიების არსებითი მხარე.

3. განმცხადებლის უფლებებში ჩარევის არსებობა

81. ზემოაღნიშნული პრინციპის ფონზე, საერთო ინტერესის სფეროში კოლექტიური საქმიანობის განხორციელების მიზნით იურიდიული ერთეულის დაფუძნების შესაძლებლობა გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რომლის გარეშე ეს უფლება ყოველგვარ აზრს დაკარგავს. სასამართლომ გამოხატა თავისი აზრი, რომ შიდასახელმწიფო ორგანოების მიერ იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა შესაძლოა მიჩნეული იქნეს განმცხადებელთა გაერთიანების თავისუფლების უფლებაში ჩარევად (იხ. გორზელის საქმე, ციტ. ზემოთ, §52; და *სიდიროპულოსის საქმე*, ციტ. ზემოთ, §31). როდესაც საქმე ეხება რელიგიურ საზოგადოებას, მის აღიარებაზე უარის თქმა ასევე არის განმცხადებლის რელიგიის თავისუფლების უფლებაში ჩარევა კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე (იხ. საქმე *ბესარაბიის მეტროპოლიური ეკლესია*, ციტ. ზემოთ, §105). მორწმუნეთა რელიგიის თავისუფლების უფლება მოიცავს ვარაუდს, რომ საზოგადოებას დაუბრკოლებლად ფუნქციონირების საშუალება მიეცემა, სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური ჩარევის გარეშე (იხ. *ჰასანი და ჩაუში ბულგარეთის წინააღმდეგ* [GC], 30985/96, §62, ECHR 2000-XI).

82. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1997 წელს მოპასუხე სახელმწიფომ მიიღო ახალი აქტი რელიგიათა შესახებ, რომელიც, ყველა რელიგიური ორგანიზაციისაგან, რომელსაც იურიდიული პირის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული, მოითხოვდა, რომ უზრუნველყოთ მათი დამფუძნებელი დოკუ-

მენტების შესაბამისობა ახალ აქტთან და "ხელახალ რეგისტრაციაში" გატარებულიყვნენ დროის გარკვეულ პერიოდში. დადგენილი ვადის გასვლამდე რაიმე მიზეზით ხელახალი დაურეგისტრირებლობის შემთხვევაში რელიგიურ ორგანიზაციას სასამართლოს გადანყევტილების საფუძველზე დაშლა ემუქრებოდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 56).

83. სასამართლო აღნიშნავს, რომ რელიგიათა შესახებ ახალი აქტის ამოქმედებამდე განმცხადებელი 1994 წლიდან კანონიერ საქმიანობას ეწეოდა რუსეთში. მან ვერ შეძლო "ხელახალი რეგისტრაციის" გავლა, როგორც ამას რელიგიათა აქტი მოითხოვდა და კანონის ძალით დაშლის პროცედურას დაექვემდებარა. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებით განმცხადებლის დაშლის უშუალო საშიშროება მოიხსნა, ცხადია, რომ მისი იურიდიული უფლებამოსილება არ არის იდენტური სხვა რელიგიურ ორგანიზაციათა უფლებამოსილებისა, რომლებმაც ხელახალი რეგისტრაციის სერტიფიკატი მოიპოვეს (იხ. *ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალის საქმე*, §73). სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმა რუსეთის ორგანოებმა წარმოადგინეს, როგორც საფუძველი წესდებაში შესწორებების დამტკიცებაზე უარისთვის და რელიგიური გაზეთის რეგისტრაციის შეჩერებისთვის (იხ. ზემოთ, პუნქტები 46-52).

84. მსგავს საქმეზე სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ამ სიტუაციამ გამოავლინა რელიგიური ორგანიზაციის გაერთიანების თავისუფლების უფლებაში ჩარევა, ასევე რელიგიის თავისუფლების უფლებაში ჩარევა, იმ ხარისხით, რა ხარისხითაც რელიგიათა აქტმა შეზღუდა იურიდიული პირის სტატუსის არმქონე რელიგიურ გაერთიანებათა მიერ რელიგიური საქმიანობის სრულყოფილად განხორციელება (იხ. საქმე *ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალი*, ციტ. ზემოთ, §74). ეს დასკვნა ამ საქმესაც მიესადაგება.

85. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოხდა ჩარევა განმცხადებლის უფლებებში კონვენციის მე-11 მუხლის საფუძველზე, კონვენციის მე-9 მუხლის ფონზე ნაკითხვით. აქედან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, აკმაყოფილებდა თუ არა ჩარევა მე-2 მუხლის დებულებათა მოთხოვნებს, კერძოდ, იყო თუ არა იგი "კანონით გათვალისწინებული", ემსახურებოდა თუ არა ერთ ან რამდენიმე კანონიერ მიზანს და იყო თუ არა "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, საქმე *ბესარაბიის მეტროპოლიური ეკლესია*, ციტ. ზემოთ, §106).

4. ჩარევის დასაბუთება

ა. ზოგადი პრინციპები დასაბუთების ანალიზისთვის

86. სასამართლო იმეორებს, რომ რელიგიისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებათა შეზღუდვის შემთხვევები ამომწურავი სახითაა წარმოდგენილი, როგორც ეს კონვენციის მე-9 და მე-11 მუხლებშია მოცემული. გაერთიანების თავისუფლების წესიდან გამონაკლისი შემთხვევები ზუსტად

უნდა იყოს განსაზღვრული და ამ თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ დამაჯერებელი და მტკიცე არგუმენტებით შეიძლება გამართლდეს. სახელმწიფოები, როდესაც ადგენენ, არსებობს თუ არა "აუცილებლობა" მე-2 პუნქტის დებულებათა მნიშვნელობით, შეფასების ძალზე ვიწრო ფარგლებით სარგებლობენ, რომლებიც ექვემდებარება მკაცრ ევროპულ ზედამხედველობას და მოიცავს როგორც კანონს, ისე მის გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებებს, დამოუკიდებელ სასამართლოთა მიერ მიღებული დადგენილებების ჩათვლით (იხ. *გორზელიკის* საქმე, ციტ. ზემოთ, §40; და *სტანკოვი და ილინდენის გაერთიანებული მაკედონიური ორგანიზაცია ბულგარეთის წინააღმდეგ*, 29221/95 და 29225/95, §84, ECHR 2001-IX).

87. საქმის შესწავლისას სასამართლოს ამოცანა არ არის საკუთარი მოსაზრებებით ჩანაცვლის შესაბამისი ეროვნული ორგანოების მოსაზრებები, არამედ მან უნდა გადასინჯოს მათ მიერ თავიანთი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული დადგენილებები. ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლო უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმის დადგენით, გამოიყენა თუ არა მოქალაქე სახელმწიფომ თავისი დისკრეციული უფლება გონივრულად, ფრთხილად და პატიოსნად; მან სადავო ჩარევა უნდა განიხილოს მთელი საქმის ფონზე და უნდა განსაზღვროს, იყო თუ არა იგი "დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული" და არის თუ არა ეროვნული ორგანოების მიერ წარმოდგენილი გამამართლებელი არგუმენტები "რელევანტური და საკამარისი". ამ დროს სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნული ორგანოების მიერ გამოყენებული სტანდარტები შეესაბამება კონვენციით დადგენილ პრინციპებს, ხოლო მათ მიერ მიღებული დადგენილებები დაფუძნებულია რელევანტური ფაქტების სათანადო შეფასებაზე (იხ. *თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ*, ციტ. ზემოთ, §47; და *პარტიულ კომუნისტროლი (ნეპეცერისტი) და უნგურენუ რუმინეთის წინააღმდეგ*, 46626/99, ECHR 2005-1 §49, (ამონარიდები)).

ბ. ჩარევის გამართლების მიზნით გამოყენებული არგუმენტები

88. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები არ იყო თანმიმდევრული მთელი პერიოდის განმავლობაში, როდესაც იგი ხელახალი რეგისტრაციის მოპოვებას ცდილობდა. პირველად მას უარი უთხრეს ეკლესიის პრეზიდენტის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის გამო, ხოლო მეორედ — წესდებასა და რელიგიათა აქტს შორის ტექსტობრივი სხვაობისთვის (იხ. ზემოთ, მე-9 და მე-11 პუნქტები). მე-სამედან მეექვსემდე განაცხადები არ დააკმაყოფილეს დოკუმენტების არასრულყოფილი პაკეტის წარდგენის საფუძვლით და ეს საფუძველი რაიონულმა და ქალაქის სასამართლოებმა დაადასტურეს (იხ. ზემოთ, მე-15, მე-17, მე-19 და 28-ე პუნქტები). მეშვიდედან მეთერთმეტემდე განაცხადები არ დააკმაყოფილეს ხელახალი რეგისტრაციის ვადის გასვლის საფუძველზე. მას შემდეგ, რაც სასამართლოებმა დაადგინეს, რომ შესწორებული წესდების განხილვაზე უარის თქმას კანონიერი საფუძველი არ ჰქონდა, იუსტიციის დეპარტამენტმა

მეთერთმეტე განაცხადი ახალი საფუძვლით არ განიხილა, კერძოდ, განმცხადებელმა ვერ წარადგინა დოკუმენტი, რომელიც მოსკოვში მის თხუთმეტწლიან არსებობას დაადასტურებდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 51).

89. ჩარევასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ წამოყენებული დასაბუთება ფოკუსირებული იყო რაიონული სასამართლოს დასკვნებზე, რომლებიც მიუთითებდა, რომ განმცხადებელმა ვერ წარადგინა გარკვეული დოკუმენტები და საკმარისი ინფორმაცია მისი რელიგიური მრწამსის შესახებ.

90. ვინაიდან პარალელურად მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესი და რელიგიათა აქტსა და განმცხადებლის წესდებას შორის ტექსტობრივი სხვაობის არსებობა შიდასახელმწიფო სასამართლოებმა რეგისტრაციაზე უარის თქმის მართლზომიერ საფუძვლად არ მიიჩნიეს, სასამართლო უპირველეს ყოვლისა განიხილავს დოკუმენტთა სავარაუდო არასრული პაკეტის წარგენასთან დაკავშირებულ არგუმენტებს.

91. სასამართლო აღნიშნავს, რომ დოკუმენტთა არასრული პაკეტის წარდგენის მიზეზით მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტმა სულ მცირე ოთხი განაცხადი არ განიხილა ხელახალი რეგისტრაციის შესახებ (იხ. ზემოთ, მე-15, მე-17, მე-19 და 28-ე პუნქტები). თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, თუ რატომ იყო ეს განაცხადები არასრული. განმცხადებლის პრეზიდენტის წერილობითი მოთხოვნის პასუხად, მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტმა უარი განაცხადა მიეთითებინა რა სახის ინფორმაცია ან დოკუმენტი აკლდა განაცხადს და ეს ახსნა იმით, რომ მას ამის კომპეტენცია არ ჰქონდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 15). სასამართლო მიუთითებს მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის არათანმიმდევრულ მიდგომაზე. ერთი მხრივ, დეპარტამენტი აღიარებს, რომ იგი კომპეტენტურია განსაზღვროს განაცხადის არასრულყოფილება, ხოლო მეორე მხრივ, უარს ამბობს თავის კომპეტენტურობაზე, განსაზღვროს, თუ რა სახის ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. ასეთი მიდგომით არა მხოლოდ განმცხადებელს წაერთვა სავარაუდო ხარვეზის გამოსწორებისა და განაცხადის ხელახალი შეტანის საშუალება, არამედ ასევე დაირღვა შიდასახელმწიფო კანონი, რომელიც ნებისმიერი უარის დასაბუთებას მოითხოვს. მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის მოქმედება იყო თვითნებური, რადგან მან განმცხადებელს ხელახალ რეგისტრაციაზე უარი უთხრა მკაფიო მიზეზებზე მითითების გარეშე. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ უარის თქმის საფუძვლები არ იყო "კანონის შესაბამისი".

92. განმცხადებლის საჩივრის მეორედ განხილვისას რაიონულმა სასამართლომ უარის თქმის კიდევ უფრო კონკრეტული არგუმენტები წამოაყენა. პირველი იყო ის, რომ განმცხადებელმა ვერ წარადგინა წესდებისა და რეგისტრაციის სერტიფიკატის დედნები და იურიდიული მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტი (იხ. ზემოთ, პუნქტი 30). ამ არგუმენტთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ რელიგიათა აქტი შეიცავს დოკუმენტთა ამომწურავ ნუსხას, რომლებიც უნდა დაერთოს ხელახალი რეგისტრაციის განაცხადს. ამ სიაში მითითებული არ არის რა სახით უნდა იქნეს წარდგენილი დოკუმენტები — დედნების თუ ასლების (იხ. ზემოთ, პუნქტი 58). სასამართლოს დაფუძნებული პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, გამოთქმა —

“კანონით გათვალისწინებული”, მოითხოვს, რომ სადავო ღონისძიება ეფუძნებოდეს შიდასახელმწიფო კანონს, ხოლო ეს კანონი საკმაოდ სიციხადით უნდა იყოს ფორმულირებული, რათა მოქალაქეს საშუალება ჰქონდეს განჭვრიტოს მოცემული ქმედებით გამოწვეული შედეგები და მათ შესაბამისად არეგულიროს თავისი ქცევა (იხ. როგორც კლასიკური მაგალითი, *სანდვი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1), 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A 30, §49). დოკუმენტთა დედნების წარდგენის მოთხოვნა არ მომდინარეობს არც რელიგიათა აქტის ტექსტიდან და არც რაიმე სხვა მარეგულირებელი დოკუმენტიდან, რომელსაც შეეძლო ასეთი მოთხოვნა დაეყენებინა შიდასახელმწიფო პროცესებზე. იგი ნახსენები არ არის მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ უარის თქმასთან დაკავშირებით წარმოდგენილ საფუძვლებში ან პრეზიდენტის დადგენილებაში, რომელმაც საკითხი ხელახალი შესწავლისათვის დააბრუნა, მაგრამ იგი პირველად გამოჩნდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ასეთ გარემოებებში სასამართლოს არ შეუძლია გააკეთოს დასკვნა, რომ შიდასახელმწიფო კანონი საკმარისი სიზუსტით იყო ფორმულირებული, რომელიც განმცხადებელს საშუალებას მისცემდა განეჭვრიტა დოკუმენტთა ასლების სახით წარდგენის უარყოფითი შედეგები. გარდა ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილ საქმეში თითოეული განაცხადისთვის დედნების დართვა საკმაოდ რთული იქნებოდა, ან — შეუძლებელი. იუსტიციის დეპარტამენტს კანონით არ ევალებოდა დაუკმაყოფილებელი განაცხადისთვის თანდართული დოკუმენტების უკან დაბრუნება და, როგორც ჩანს, იგი მათ ჩვეულებრივ სარეგისტრაციო ფაილებში ინახავდა. რადგან დოკუმენტთა ორიგინალების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა არსებობს, თითოეული განაცხადისთვის დოკუმენტის დედნის დართვის მოთხოვნა, დედანთა არარსებობის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის შესწორებული განაცხადების ხელახალ წარდგენას. ასეთი მიდგომა განმცხადებლის ხელახალი რეგისტრაციის უფლებას თეორიულ მნიშვნელობას ანიჭებს და არა პრაქტიკულსა და შედეგიანს, როგორც ამას კონვენცია მოითხოვს (იხ. *არტიკო იტალიის წინააღმდეგ*, 1980 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, სერია A 37, §33). განმცხადებელმა მიუთითა და, მთავრობას არ გაუპროტესტებია, რომ მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტში ინახებოდა წესდებისა და რეგისტრაციის სერტიფიკატის დედნები, ასევე განმცხადებლის მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლებიც ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის პირველ განაცხადს დაურთეს 1999 წელს და ისინი განმცხადებლისთვის აღარ დაუბრუნებიათ. ასეთ გარემოებებში რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ განმცხადებელი ვალდებული იყო წარედგინა ეს დოკუმენტები, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

93. ნიკოლინსკის რაიონულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ განმცხადებელს არ წარუდგენია ინფორმაცია ამ რელიგიის მრწამსის ძირითადი დოქტრინისა და პრაქტიკის შესახებ. სასამართლომ ადრე დაადგინა, რომ რელიგიის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობის გამო რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ საქმის კონკრეტული გარემოებების დროს, როდესაც საჭიროა განისაზღვროს, აღიარების მაძიებელი კონფესია არის თუ არა

საშიში დემოკრატიული საზოგადოებისთვის (იხ. *კარმუირეა სპირიტუალა ა მუსულმანიორ დინ რეპუბლიკა მოლდოვა მოლდოვას წინააღმდეგ* (dec.), 12282/02, 2005 წლის 14 ივნისი). წარმოდგენილ საქმეში არსებული სიტუაცია განსხვავებულია. არავის არ უდავია, რომ განმცხადებელმა წარადგინა ნიგნი, სადაც დეტალურად იყო აღწერილი საინტოლოგიის თეოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები. რაიონულ სასამართლოს არ განუმარტავს, თუ რატომ არ შეიცავდა ნიგნი რელიგიათა აქტით მოთხოვნილ საქმარის ინფორმაციას ამ რელიგიის მრწამსის ძირითადი დოქტრინისა და პრაქტიკის შესახებ. სასამართლო იმეორებს, რომ, თუ ნიგნში მოცემული ინფორმაცია სრულყოფილად არ იქნა მიჩნეული, ეროვნულ სასამართლოებს უნდა განემარტათ შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნები და ნათლად აეხსნათ განმცხადებლისთვის როგორ უნდა მოემზადებინა დოკუმენტი (იხ. *ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალის საქმე*, ციტ. ზემოთ, §90; და *ცონევი ბულგარეთის წინააღმდეგ*, 45963/99, §55, 2006 წლის 13 აპრილი). მაგრამ ეს არ გაუკეთებიათ. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმის ეს საფუძველი ჩამოყალიბებული არ არის.

94. სასამართლოს საჭიროდ არ მიიჩნია განიხილოს, ხელახალ რეგისტრაციაზე ვადის გასვლის გამო უარის თქმა იყო თუ არა გამართლებული, რადგან შემდგომ პროცესებში შიდასახელმწიფო სასამართლოებმა აღიარეს, რომ მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის გადაწყვეტილება — არ განეხილა შესწორებული ნესდების რეგისტრაციის შესახებ განაცხადი — უკანონო იყო (იხ. ზემოთ, 47-ე და 48-ე პუნქტები). ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ეს სასამართლომ ზემოთ დაასკვნა, დადგენილ ვადაში განმცხადებლის ხელახალი რეგისტრაციის განუხორციელებლობა პირდაპირი შედეგია მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის თვითნებური უარისა მის მიერ ადრე წარდგენილ განაცხადებზე.

95. ბოლო უართან დაკავშირებით, რომელიც დაეფუძნა იმ ფაქტს, რომ წარდგენილი არ იყო მოსკოვში ორგანიზაციის თხუთმეტწლიანი არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (იხ. ზემოთ, პუნქტი 51), სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ მოთხოვნას კანონიერი საფუძველი არ ჰქონდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 2002 წელს განსაზღვრა, რომ ასეთი დოკუმენტი არ უნდა მოეთხოვათ იმ ორგანიზაციებისაგან, რომლებიც 1997 წლის რელიგიათა აქტის ძალაში შესვლამდე არსებობდნენ (იხ. ზემოთ, პუნქტი 61). განმცხადებელი 1994 წლიდან იყო რეგისტრირებული, როგორც რელიგიური ორგანიზაცია, და ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

96. აქედან გამომდინარეობს, რომ განმცხადებლის ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმის არგუმენტებს, რომლებზედაც შიდასახელმწიფო ორგანოებმა მიუთითეს, კანონიერი საფუძველი არა აქვს. ჩარევის პროპორციულობასთან დაკავშირებით სასამართლოს შეფასებისთვის რელევანტურია ის ფაქტი, რომ ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის შემოღებამდე განმცხადებელი სამი წლის განმავლობაში კანონიერად არსებობდა და საქმიანობდა მოსკოვში, როგორც დამოუკიდებელი რელიგიური საზოგადოება. არავის არ განუცხადებია, რომ მთლიანად საზოგადოებამ ან მისმა ინდივიდუალურმა წევრებმა დაარღვიეს შიდასახელმწიფო კანონი ან თავიანთი ასოციაციის ცხოვრებისა თუ რელიგიური საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები.

ასეთ გარემოებებში სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით მყარი და დამაჯერებელი (იხ. საქმე *ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალი*, ციტირებული, §96; და ზემოთ, 86-ე პუნქტში ციტირებული პრეცედენტული სამართალი). წარმოდგენილ საქმეში შიდასახელმწიფო ორგანოებს რაიმე მსგავსი საფუძვლები არ წარმოუდგენიათ.

97. სასამართლოს ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის ფილიალის ხელახალ რეგისტრაციაზე მოსკოვის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომ მოსკოვის სასამართლოებმა დაადასტურეს, კანონიერ საფუძველს მოკლებული იყო. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსკოვის საინფორმაციო ექსპერტიზის რეგისტრაციაზე უარის თქმის დროს მოსკოვის ორგანოები არ მოქმედებდნენ პატიოსნად და განმცხადებლის რელიგიური საზოგადოების მიმართ არ შეასრულეს ნეიტრალური და მიუკერძოებელი მიდგომის მოვალეობა (იხ. იხ. საქმე *ხსნის არმიის მოსკოვის ფილიალი*, ციტირებული, §97).

98. ზემოაღნიშნულის ფონზე სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის რელიგიისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებაში ჩარევა დასაბუთებული არ არის. ამრიგად, დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი მე-9 მუხლის ფონზე ნაკითხვით.

II. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებთან ერთობლივი ნაკითხვით

99. განმცხადებელი ასევე ჩიოდა კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებთან ერთობლივი ნაკითხვით, რომ რუსეთში მოხდა მისი დისკრიმინაცია რელიგიური უმცირესობის ნიშნით. მე-14 მუხლი აცხადებს:

"ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა."

100. სასამართლო იმეორებს, რომ მე-14 მუხლი დამოუკიდებლად არ არსებობს, მაგრამ იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონვენციისა და მისი ოქმების სხვა დებულებებთან ერთად, რადგან იგი მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებს იცავს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისაგან სხვა დებულებებით განსაზღვრული უფლებების განხორციელებისას. როდესაც კონვენციის ან მისი ოქმების არსებით მუხლზე მიეთითება მე-14 მუხლთან ერ-

თად და დადგენილია არსებითი მუხლის დარღვევა, ზოგადად აუცილებელი არ არის სასამართლომ საქმე ასევე მე-14 მუხლის საფუძველზე განიხილოს, თუმცა მდგომარეობა იცვლება, თუ საქმის ფუნდამენტური ასპექტი მოცემული უფლების განხორციელებისას აშკარად არათანაბარი მოპყრობაა (იხ. ჩასაგნუ და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ [GC], 25088/94, 28331/95 და 28443/95, §89, ECHR 1999-III, და დუდგეონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1981 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია A 45, §67).

101. წარმოდგენილი საქმის სიტუაციაში სასამართლოს მიაჩნია, რომ არათანაბარი მოპყრობა, რომლის მსხვერპლაც მიიჩნეეს თავს განმცხადებელი, საკმარისად იქნა გათვალისწინებული ზემოაღნიშნულ შეფასებაში, რომლის საფუძველზედაც გაკეთდა დასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის არსებითი დებულებები (იხ., განსაკუთრებით, პუნქტი 97, ზემოთ). აქედან გამომდინარეობს, რომ იმავე ფაქტების კონვენციის მე-14 მუხლის პოზიციიდან ცალკე განხილვის მიზეზი არ არსებობს (იხ. საქმე ბესარაბიის მეტროპოლიური ეკლესია, § 134; და სიდიროპულოს საქმე, §52, ორივე ციტირებულია ზემოთ).

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

102. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშეშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

ა. ზიანი

103. განმცხადებელი მთლიანობაში ითხოვდა 20 000 ევროს მატერიალური და არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც მას მიადგა მისი სამართლებრივი სტატუსის გაურკვეველობის, მისი მმართველობისა და საქმიანობის სერიოზული ხელშეშლის, ხელახალ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებისთვის დახარჯული ფინანსებისა და სამოქალაქო სარჩელების გამო. იგი სასამართლოს აგრეთვე სთხოვდა დაედგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს უზრუნველყო განმცხადებლის, როგორც რელიგიური ორგანიზაციის, რეგისტრირება და გაეცა რეგისტრაციის სერტიფიკატი.

104. მთავრობამ ეს თანხა გადაჭარბებულად და არაგონივრულად მიიჩნია. მისი აზრით, კანონიერ სამოქალაქო პროცესს არ შეეძლო ზიანის მიყენება.

105. სასამართლოს მიაჩნია, რომ მის მიერ დადგენილ დარღვევას განმცხადებლის მიმართ არამატერიალური ზიანის გამოწვევა შეეძლო, რისთვისაც, გადაწყვეტილების სამართლიანობის საფუძველზე მიღე-

ბით, იგი მას აკუთვნებს 10 000 ევროს, დამატებული ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა. იგი უკუაგდება განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნას არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით.

106. განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით ხელახალი რეგისტრაციის აკრძალვისაგან განთავისუფლების შესახებ, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის საფუძველზე მას არა აქვს უფლებამოსილება, განმცხადებელი დააკმაყოფილოს განთავისუფლებით ან გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელსაც განმცხადებელი მოითხოვს, რადგან სასამართლოს გადანყვეტილებები ძირითადად დეკლარაციული ხასიათისაა. ზოგადად სწორედ შესაბამის სახელმწიფოს აქვს უწინარესი უფლება, აირჩიოს ეროვნულ სამართლებრივ დონეზე გამოსაყენებელი საშუალებები კონვენციის 46-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად (იხ. შოფმანი რუსეთის წინააღმდეგ, #74826/01, §53, 2005 წლის 24 ნოემბერი, შემდგომი მითითებებით). წარმოდგენილ საქმეში დადგინდა, რომ დაირღვა მე-11 მუხლი მე-9 მუხლის ფონზე ნაკითხვით, რის საფუძველზედაც სასამართლო ადგენს მთავრობის ვალდებულებას სათანადო ღონისძიებები განახორციელოს განმცხადებლის სიტუაციის გამოსასწორებლად (იხ. *ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ*, 55723/00, §142, ECHR 2005-...). მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, ეს ღონისძიებები გაითვალისწინებს განმცხადებლის რეგისტრაციაში გატარებას, რელიგიათა აქტიდან ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის ამოღებას, შიდასახელმწიფო პროცესების განახლებას თუ ამ და სხვა ღონისძიებათა გარკვეულ კომბინაციას. თუმცა სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ღონისძიება შესაბამისი უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული დასკვნებისა (იხ. *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ* [GC], 71503/01, 202, ECHR 2004-II, შემდგომი მითითებებით)

ბ. ხარჯები და განუშლი დანახარჯები

107. განმცხადებელი, დოკუმენტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ითხოვდა 142,92 ევროს სასამართლო მოსაკრებლისთვის და 11 653, 93 ევროს ადვოკატის ხარჯებისთვის. იგი ასევე დამატებით ითხოვდა 20 000 ევროს იურიდიული მომსახურების საფასურის დავალიანების დასაფარავად, რომელიც მას კონტრაქტის საფუძველზე უნდა გადაეხადა შიდასახელმწიფო სასამართლო პროცესებთან და სტრასბურგის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით.

108. მთავრობამ განაცხადა, რომ უნდა აენაზღაურებინათ მხოლოდ რეალური და აუცილებელი ხარჯები.

109. სასამართლო ეთანხმება, რომ განმცხადებელმა ხარჯები გასწია ხელახალი რეგისტრაციის უზრუნველყოფის მრავალჯერადი მცდელობისას, ასევე შიდასახელმწიფო და სტრასბურგის პროცესებზე. განმცხადებლის ხარჯები გამყარებულია სათანადო მასალებით. თუმცა მას მიაჩნია, რომ იურიდიული მომსახურებისთვის გადაუხდელი ხარჯები გადაჭარბებულია და საჭიროა მათი გარკვეული შემცირება. მის ხელთ

არსებული ელემენტების გათვალისწინებით, სასამართლო განმცხადებელს აკუთვნებს 15 000 ევროს ხარჯებისა და განუული დანახარჯების კომპენსაციისთვის, დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა.

ბ. საშარპვი

110. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ოდენობით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტული პუნქტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ განმცხადებელს შეუძლია მოითხოვოს "მსხვერპლის" სტატუსის მინიჭება კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი მე-9 მუხლის ფონზე ნაკითხვით;
3. ადგენს, რომ საჭირო არ არის იმავე საკითხების ცალკე შესწავლა კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე;
4. ადგენს

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ დღიდან, როდესაც გადწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს რუსულ რუბლში კონვერტირებული, ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით, შემდეგი ოდენობის თანხები:

(i) 10 000 (ათი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისთვის;

(ii) 15 000 (თხუთმეტი ათასი) ევრო შიდასახელმწიფო სასამართლო პროცესებზე განუული ხარჯებისთვის;

(iii) ზემოაღნიშნულ თანხებზე გათვალისწინებული ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა;

(ბ) რომ ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებამდე ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება უბრალო პროცენტები ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;

5. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2007 წლის 5 აპრილს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სორენ ნილსენი
სექციის მდივანი

კრისტოს როზაკისი
თავმჯდომარე

ფოლგერო და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ

Folgerø and others v. Norway

ფოლგერო და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
დღივი პალატა

საქმე ფოლგერო და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ

CASE OF FOLGERØ AND OTHERS v. NORWAY

(განაცხადი 15472/02)

გადანწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 29 ივნისი

*ეს გადანწყვეტილება საბოლოოა, მაგრამ შეიძლება დაექვემდებაროს
რედაქციული ხასიათის შესწორებებს*

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე “ფოლგერო და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ”,
(*Folgerø and others v. Norway*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი ჯ.-პ. კოსტა, *თავმჯდომარე*,
ბ-ნი კ.ლ. ვილდჰაბერი,
ბ-ნი ბ.მ. ზუპანჩიჩი,
ბ-ნი პ. ლორენზენი,
ქ-ნი ფ. ტულკენსი,
ბ-ნი კ. ბირსანი,
ქ-ნი ნ. ვაჯიჩი,
ქ-ნი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა,
ბ-ნი ა. კოვლერი,
ბ-ნი ვ. ზაგრებელსკი,
ქ-ნი ე. სტიენერი,
ბ-ნი ჯ. ბორეგო ბორეგო,
ბ-ნი კ. ჰაჯიევი,
ბ-ნი დ. სპიელმანი,
ბ-ნი ს.ე. ჯებენსი,
ქ-ნი ი. ზიემელე, *მოსამართლეები*,
და ბ-ნი ვ. ბერგერი, *იურისკონსულტი*,

მოითათბირა 2006 წლის 6 დეკემბერს და 2007 წლის 9 მაისს და
2007 წლის 9 მაისს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (15472/02) ნორვეგიის სამეფოს წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შეიტანა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე ნორვეგიის ცხრა მოქალაქემ: ქ-ნმა ინგებორგ ფოლგერომ, ბ-ნმა გეირ ტიბერომ და მათმა ვაჟმა, ა. ტიბერომ; ქ-ნმა გრო ლარსენმა, ბ-ნმა არნე ნიტრემ და მათმა ორმა ვაჟმა — დრიან ნიტრემ და კოლინ ნიტრემ; ქ-ნმა კაროლინ მიდსემმა და მისმა ვაჟმა, ეივინდ ტ. ფოსემ ("განმცხადებლები") 2002 წლის 15 თებერვალს. განმცხადებელი მშობლები არიან ნორვეგიის ჰუმანისტთა ასოციაციის (*Human-Etisk Forbund*) წევრები. თავდაპირველად განაცხადს ასოციაციაც შეუერთდა, მაგრამ მოგვიანებით იგი საქმეს გამოეთიშა.

2. განმცხადებლებს სასამართლოში წარმოადგენდა ლილეჰამერში მოღვაწე ადვოკატი, ბ-ნი ლ. სტავრუმი. პროცესის წერილობით ეტაპზე ნორვეგიის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა მისი წარმომადგენელი, ქ-ნი ე. ჰოლმედალი, ბრალდების ადვოკატი (სამოქალაქო საქმეთა) გენერალური პროკურატორიდან.

3. ეს საქმე ეხება არაქრისტიანი მშობლების მიერ წარმოდგენილ საჩივარს. იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია კონვენციის მე-9 მუხლთან და 1-ლი ოქმის მე-2 მუხლთან და ეხება შიდასახელმწიფო ორგანოების მიერ მათი ბავშვების სავალდებულო საგნის "ქრისტიანობა, რელიგია და ფილოსოფია" ("KRL საგანი", იხ. ქვემოთ, პუნქტი 16) სწავლებისგან სრულად განთავისუფლებაზე უარის თქმას. ეს საგანი ნორვეგიაში ისწავლება ათწლიანი სავალდებულო განათლების პერიოდში. მეორე, იგი ეხება მათ საჩივარს დისკრიმინაციის თაობაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-14 მუხლს, ზემოაღნიშნულ დებულებებთან და კონვენციის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

4. განაცხადი თავდაპირველად გადაეცა სასამართლოს მესამე სექციას (სასამართლოს დებულების 52-ე წესის 1-ლი პუნქტი), რომელმაც 2004 წლის 26 სექტემბერს საქმე განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა მასში ჰუმანისტთა ასოციაციის მონაწილეობის გამო და განაცხადის ნაწილი დაუშვებლად გამოაცხადა. ამის შემდეგ საქმე გადაეცა პირველ სექციას. 2006 წლის 14 თებერვალს ამ სექციის პალატამ, შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით: ბ-ნი კ.ლ. როზაკისი, ბ-ნი ლ. ლუკაიდესი, ქ-ნი ფ. ტულკენსი, ბ-ნი ე. სტიენერი, ბ-ნი კ. ჰაჯიევი, ბ-ნი დ. სპიელმანი, ბ-ნი ს.ე. ჯებენსი, და ბ-ნი ს. ნილსენი, სექციის რეგისტრატორი, საქმე ნაწილობრივ დასაშვებად გამოაცხადა და თავისი იურისდიქცია დიდ პალატას გადასცა (კონვენციის 30-ე მუხლი და სასამართლოს დებულების 72-ე წესი).

5. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და სასამართლოს დებულების 24-ე წესის შესაბამისად. საქმის განხილვაში მონაწილეობა გააგრძელა ბ-მა ლ. ვილდჰაბერმა, რომლის უფლებამოსილების ვადა საქმის განხილვის თავმჯდომარეობის შემდეგ ინურებოდა (მუხლი 23, §7).

6. განხილვა გაიმართა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2006 წლის 6 დეკემბერს (წესი 59, §3).

სასამართლო სხდომას ესწრებოდნენ:

(a) მთავრობის სახელით

ქ-ნი ტ. სტინი, ბრალდების ადვოკატი (სამოქალაქო საქმეთა), გენერალური პროკურატურის ოფისი, აგენტი,

ქ-ნი ე. პოლმედალი, ბრალდების ადვოკატი (სამოქალაქო საქმეთა), გენერალური პროკურატურის ოფისი,

ბ-ნი გ. მანდტი, დირექტორი, განათლებისა და კვლევის სამინისტრო,

ბ-ნი ბ. გიეფსენი, უფროსი მრჩეველი, განათლებისა და კვლევის სამინისტრო, კონსულტანტები;

(b) განმცხადებელთა სახელით

ბ-ნი ლ. სტავრუმი, ადვოკატი, დამცველი,

ბ-ნი კ. როგნლიენი, ადვოკატი,

ქ-ნი ბ. სანდვიგი,

ქ-ნი, ტ. ნიკოლაისენი, კონსულტანტები.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი სტავრუმის და ქ-ნი სტინის მიმართვები.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

7. ეს განაცხადი შემოიტანეს მშობლებმა, რომლებიც არიან ნორვეგიის ჰუმანიტა ასოციაციის (*Human-Etisk Forbund*) წევრები, და მათმა შვილებმა: ქ-ნმა იგებორგ ფოლგერომ (1960), ბ-ნმა გეირ ტიბერომ (1956) და მათმა ვაჟმა, გაუტე ა. ტიბერომ (1987); ქ-ნმა გრო ლარსენმა (1966), ბ-ნმა არნე ნიტრემ (1963) და მათმა ორმა ვაჟმა — ადრიან ნიტრემ (1987) და კოლინ ნიტრემ (1990); ქ-მა კაროლინ მიდსემმა (1953) და მისმა ვაჟმა, ეივინდ ტ. ფოსემ (1987). საქმესთან დაკავშირებულ დროს განმცხადებელთა შვილები იყვნენ დაწყებითი სკოლის მოსწავლეები. თავდაპირველად განაცხადს ასოციაციაც შეუერთდა, მაგრამ მოგვიანებით იგი საქმეს გამოეთიშა.

8. 2004 წლის 26 ოქტომბერს სასამართლომ განაცხადი ამორიცხა მასში ასოციაციის მონაწილეობის გამო და იგი დაუშვებლად გამოაცხადა განმცხადებელ ბავშვებთან მიმართებით ამოუწურობის გამო (რის გამოც ტერმინი "განმცხადებლები" ამ გადაწყვეტილებაში მიუთითებს განმცხადებელ მშობლებზე). გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი მშობლები კონვენციის საფუძველზე ჩიოდნენ კონკრეტულად KRL საგნის (იხ. ქვემოთ, პუნქტი 16) სწავლებისგან სრულად განთავისუფლების უფლების არარსებობის გამო, ისინი სასამართლოს წინაშე ასევე პრეტენზიას გამოთქვამდნენ ნაწილობრივ განთავისუფლების მოპოვების შეზღუდული საშუალებებისა და მოდალურობის შესახებ. თუმცა, როგორც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, განმცხადებელ მშობელთა სამოქალაქო სარჩელი და უზენაეს სასამართლოში შეტანილი სააპელაციო სარჩელი მიმართული იყო KRL საგნის და ზოგადად მისი სწავლების წინააღმდეგ. უზენაესმა სასამართლომ ვერ იპოვა რაიმე საფუძველი იმის დასადგენად, რომ განმცხადებელთა შვილების სწავლება მიმდინარეობდა ისეთი გზით, რომელიც არღვევდა ადამიანის უფლებათა შესაბამის ხელშეკრულებებს. ზემოაღნიშნულის ფონზე სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა მშობლებმა ვერ ამოწურეს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფო საშუალებები KRL საგნის სწავლებისგან ნაწილობრივ განთავისუფლების საშუალებებთან და მოდალურობასთან დაკავშირებული მათი საჩივრის მიმართ, როგორც ამას კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი მოითხოვს და მშობელთა განაცხადის ეს ნაწილი დაუშვებლად გამოაცხადა.

2006 წლის 14 თებერვალს დასაშვებობის საკითხის შესახებ თავის შემდგომ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ მის მიერ სრულად განთავისუფლების საკითხის შესწავლისას საქმის ზემოაღნიშნული შეზღუდვები, რომლებიც 2004 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებიდან გამომდინარეობდა, მას ხელს არ უშლიდა განეხილა ნაწილობრივ განთავისუფ-

ფლების სქემის ზოგადი ასპექტები, განსაკუთრებით — კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე მომხდელთა საჩივრის კონტექსტში.

ა. ნარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი საფუძველები

9. ნორვეგიაში არსებობს სახელმწიფო რელიგია და სახელმწიფო ეკლესია, რომელსაც მიეკუთვნება მოსახლეობის 86%. კონსტიტუციის მე-2 მუხლი აცხადებს:

“სამეფოში მცხოვრები ყოველი პირი სარგებლობს რელიგიის თავისუფლებით.

ევანგელისტურ-ლუთერანული რელიგია სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიაა. ამ რელიგიის აღმსრულებელი მცხოვრებლები ვალდებული არიან შვილები მის შესაბამისად აღზარდონ.”

10. ქრისტიანული სარწმუნოების სწავლება ნორვეგიის სასკოლო პროგრამებში 1739 წლიდანაა ჩართული. 1889 წლიდან, იმ რელიგიათა მიმდევრებს, რომლებიც ნორვეგიულ ეკლესიას არ მიეკუთვნებიან, უფლება აქვთ ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ სწავლებისგან განთავისუფლებულდნენ მთლიანად ან ნაწილობრივ.

1. 1969 წლის ყოფილი აქტი სავალდებულო სასკოლო განათლების შესახებ

11. სავალდებულო სასკოლო განათლების შესახებ 1969 წლის აქტთან (*lov om grunnskolen*, 1969 წლის 13 ივნისის კანონი 24, შემდგომში “1969 წლის აქტი”) დაკავშირებით პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების სწავლება უნდა გამოყოფოდა ეკლესიის ბაპტისმალურ სწავლებას და მისი მიზანი უნდა ყოფილიყო ბავშვებისთვის ბიბლიის ძირითადი შინაარსის, ეკლესიის ისტორიის მთავარი მოვლენებისა და ევანგელისტურ-ლუთერანული მოძღვრების საფუძველების სწავლება (აქტის მე-7 განყოფილების მე-4 პუნქტი).

12. აქტის 1-ლი განყოფილების “ქრისტიანული სწავლების მიზნის მუხლი” (*den kristne formålsparagraf*) აცხადებს:

“დანებებითი სკოლა, ოჯახის მიერ საკითხის გაცნობიერებით და მასთან თანამშრომლობით, ხელს უწყობს ბავშვთა ქრისტიანულ და მორალურ აღზრდას და მათ სულიერ და ფიზიკურ განვითარებას. იგი ბავშვებს აძლევს ზოგად განათლებას, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სასარგებლო და დამოუკიდებელ ადამიანებად ოჯახსა და საზოგადოებაში.

სკოლა ხელს უწყობს სულიერ თავისუფლებასა და შემწყნარებლობას. იგი ყურადღებას აქცევს კარგი პირობების შექმნას მასწავლებელთა და მოსწავლეთა და სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობისათვის.”

13. მასწავლებლებს მოეთხოვებოდათ სასწავლო პროცესი წარემართათ ევანგელისტურ-ლუთერანული მოძღვრების (განყოფილება 18(3), დაემატა 1971 წელს) შესაბამისად.

14. 1969 წლის აქტის მე-12 განყოფილების მე-6 პუნქტის თანახმად, იმ მშობელთა შვილები, რომლებიც ნორვეგიის ეკლესიას არ მიეკუთვნებოდნენ, მშობლების მოთხოვნის საფუძველზე, სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდებოდნენ ქრისტიანული მოძღვრების შესასწავლი გაკვეთილებისგან. ამ გაკვეთილებისგან განთავისუფლებული ბავშვებისთვის შეეძლოთ შეეთავაზებინათ ალტერნატიული გაკვეთილები ფილოსოფიის საგანში.

2. რეფორმა

15. 1993-1997 წლებში სავალდებულო დაწყებითი და საშუალო სკოლების რეფორმა განხორციელდა. 1993 წლის გაზაფხულზე პარლამენტმა გადაწყვიტა ბავშვთა სკოლაში შესვლის ასაკი შვიდი წლიდან ექვს წლამდე შეემცირებინა, ხოლო სავალდებულო სწავლება ცხრა წლიდან ათ წლამდე გაეზარდა. პარლამენტში წარადგინეს ახალი სასწავლო პროგრამა. პარლამენტის ეკლესიის საქმეთა, განათლებისა და კვლევის კომიტეტის წევრთა უმრავლესობა მხარს უჭერდა ქრისტიანობის, სხვა რელიგიათა და ფილოსოფიის ერთად სწავლებას. იგი ხაზგასმით მიუთითებდა ღია და აქტიური სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე, მოსწავლეთა სოციალური ნამოშობის, რელიგიური მრწამსის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური კუთვნილებისა თუ ფიზიკური უნარის მიუხედავად. სკოლა უნდა იყოს ყველა სახის შეხედულებათა შერწყმის ადგილი. სხვადასხვა რელიგიისა და ფილოსოფიური შეხედულებების მქონე მოსწავლეები ერთმანეთს უნდა შეხედნენ და ერთმანეთის აზრებსა და ტრადიციებს გაეცნონ. სკოლა არ უნდა იყოს ქადაგების ან მისიონერული საქმიანობის ადგილი. აღინიშნა, რომ 1969 წლიდან ქრისტიანული მოძღვრების სწავლება გამოყოფილი იყო სახელმწიფო ეკლესიის ბაპტისმალური სწავლებიდან. საგანმა უნდა მისცეს ცოდნა და ხედვა, მაგრამ იგი არ უნდა იყოს რელიგიურ ქადაგებათა მექანიზმი. კომიტეტის წევრთა უმრავლესობა ასევე მიიჩნევდა, რომ ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით უნდა შემუშავებულიყო სახელმძღვანელო მითითებები განთავისუფლებისთვის და კონსულტაციები უნდა ეწარმოებინათ უმრავლესობათა ჯგუფებთან. განთავისუფლება უნდა შეხებოდა საგნის გარკვეულ ელემენტებს, განსაკუთრებით აღმსარებლობასთან დაკავშირებულ მასალას და რიტუალებში მონაწილეობის მიღებას.

16. ამის შემდეგ შემუშავდა ოფიციალური დოკუმენტი (*St.meld. nr. 14 for 1995-1996*) ქრისტიანობის, რელიგიისა და ფილოსოფიის შესახებ (*kristendomsuskap med religions- og livssynsorientering*, შემდგომში "KRL-საგანი"), რომელშიც ეკლესიის საქმეთა, განათლებისა და კვლევის სამინისტრომ (*Kirke-, utdannings- og forskningsdepartementet*; 2002 წლის 1 იანვრიდან — *Utdannings- og forskningsdepartementet*, შემდგომში "სამინისტრო") სწავლებისგან განთავისუფლებისთვის შემდეგი მითითებები ჩამოაყალიბა:

“არც ერთ მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ განთავისუფლება არის არასასიამოვნო და სამარცხვინო;

დაუშვებელია მოსწავლეზე რაიმე ზენოლა იმ მიზნით, რომ მან მისდიოს ცხოვრების კონკრეტულ ფილოსოფიას და, აქედან გამომდინარე, სკოლამ განთავისუფლების მოთხოვნის განხილვისას დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოს გაკვეთილზე თუ სკოლაში;

გარკვეულ მოსწავლეთა სასკოლო პროგრამის კონკრეტული ნაწილისგან გამოთიშვა ავტომატურად არ უნდა მოხდეს;

თუ სიტუაცია ამის საშუალებას იძლევა და მშობელს/მოსწავლეს ამის სურვილი აქვს, განთავისუფლების საფუძველი და მიზეზები გაკვეთილზე უნდა იქნეს განხილული.

განთავისუფლება უცოდინრობის დაშვებას არ ნიშნავს...”

17. ზემოაღნიშნული საპარლამენტო კომიტეტის უმრავლესობამ სასწავლო გეგმა ძირითადად მოიწონა და აღნიშნა, რომ საგნის (*Innst.s.nr 103 for 1995-1996*) ცენტრალური ელემენტი ქრისტიანობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა ყოფილიყო. მან ასევე განაცხადა:

“უმრავლესობა ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწავლება ღირებულებების თვალსაზრისით ნეიტრალური არ უნდა იყოს. ის, რომ სწავლებას ქადაგების სახე არ უნდა ჰქონდეს, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ უნდა წარმოიშვას რელიგიური/ეთიკური ვაკუუმი. ჩვენს დანაყებით სკოლებში სწავლება და განათლება უნდა დაეფუძნოს სკოლის მიზნის დებულებას და ამ საგნის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იქნეს ქრისტიანობა, სხვა რელიგიები და ფილოსოფია, თავიანთი კონკრეტული მახასიათებლების შესაბამისად. საგნის პროგრამაში აქცენტი უნდა გაკეთდეს ქრისტიანობის შესახებ სწავლებაზე.”

18. უმცირესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება ყველა დანაყებით სკოლაში მოსწავლეებისთვის KRL საგნის სწავლებისგან სრულად განთავისუფლების უფლების მინიჭებისა და მათთვის ალტერნატიული სწავლების შეთავაზების შესახებ.

19. საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებისას სამინისტრომ კონსულტაციისთვის მიმართა ბატონ ე. მოსეს, უმაღლესი სასამართლოს მაშინდელ მოსამართლეს, და სთხოვა KRL საგნის სავალდებულო სწავლების საკითხი შეეფასებინა ნორვეგიის მიერ საჯარო საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებათა ფონზე. თავის 1997 წლის 22 იანვრის მოხსენებაში მან შემდეგი დასკვნა წარმოადგინა:

“დანაყებითი სკოლების აქტის დებულება მიზნის შესახებ, ცალკე აღებული ან კონსტიტუციის მე-2 მუხლთან ერთად, და ეკლესიასა და სკოლასთან დაკავშირებული სხვა საპეციალური წესები არ იძლევა საფუძველს, დადგინდეს, რომ ქრისტიანობის სწავლებას ახალი გეგმის მიხედვით ექნება ქადაგების სახე ან უპირატესობას მიანიჭებს ევანგელისტურ-ლუთერანულ რელიგიას. კანონმდებელს ქადაგების ფორმით სწავლების უზრუნველყოფა შეუძლია აირჩიოს იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ამ მრწამსის მიმდევარი არიან, მაგრამ არა სხვებისთვის. ეს შეუსაბამო იქნებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში

ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებებისა და კონსტიტუციის 110-ე მუხლის (ც) ქვეპუნქტისა.

სამართლებრივი თვალსაზრისით, "აღმსარებლობის საფუძვლის" გარკვეული ბუნდოვანი ცნებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო ეკლესიის სისტემის არსებობის შედეგად კანონმდებელი უფლებას იძლევა, რელიგიისა და ფილოსოფიის სწავლებაში ჩართული იყოს ევანგელისტურ-ლუთერანული მოძღვრება და არა ქრისტიანობის სხვა ფორმები. კანონი ახალი საგნის შესახებ, რომელიც ქრისტიანობის სწავლებას შეიცავს, აქედან იქნა არჩეული. ... ასეთ გადაწყვეტილებაზე იმიტომ შეჩერდნენ, რომ ნორვეგიის მოსახლეობის უმრავლესობა ამ მრწამსის აღმსარებელია. იგი უდავოდაა მოტივირებული ობიექტური მიზეზებით. მისი გამორიცხვა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებით შეუძლებელია, იმ პირობით, რომ სწავლება სხვა მხრივ არის პლურალისტური, ნეიტრალური და ობიექტური."

20. KRL-საგნის სწავლებისგან განთავისუფლების საკითხთან დაკავშირებით ბ-მა მოსემ განაცხადა:

"ნარმოშობილი სიტუაციის ფონზე მე მიმაჩნია, რომ განთავისუფლების ზოგადი უფლება ყველაზე უსაფრთხო არჩევანი იქნება. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოები უფრო დეტალურად არ შეისწავლიან სავალდებულო სწავლების შედეგად ნამოჭრილ მტკივნეულ საკითხებს. თუმცა მე ვერ ვიტყვი, რომ ნაწილობრივ განთავისუფლებით კონვენციები დაირღვევა, თუ უზრუნველყოფილი იქნება სისტემის ფუნქციონირება შესაბამისი ხელშეკრულების ვალდებულებათა ფარგლებში. ძალზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მომავალ საკანონმდებლო პროცესზე და ამ საგნის სწავლების ფორმაზე."

21. 1997 წლის 19 ივნისის აქტით (83) შესწორებები შეიტანეს 1969 წლის აქტის მე-7 და მე-13 განყოფილებებში, რომლებიც ძალაში შევიდა 1997 წლის 1 ივლისს. ახალი დებულებები და 1969 წლის აქტის 1-ლი განყოფილების მსგავსი მუხლი მიზნის შესახებ მოგვიანებით ჩართეს 1998 წლის განათლების აქტში (*Lov om grunnskolen og den videregående opplæring av 17. juli 1998 nr. 61* – შემდგომში "1998 წლის განათლების აქტი"), კერძოდ, მის 2-4 და 1-2 განყოფილებებში, რომლებიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 აგვისტოს.

22. განყოფილება 1-2(1) ადგენდა:

"დანებითი და საშუალო სკოლების დაბალი კლასების მიზანია, ოჯახთან შეთანხმებითა და თანამშრომლობით, მოსწავლეთა ქრისტიანული და მორალური აღზრდა, მათი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება და მათთვის კარგი ზოგადი განათლების მიცემა, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სასარგებლო და დამოუკიდებელ ადამიანებად ოჯახსა და საზოგადოებაში."

23. განყოფილება 2-4 ადგენდა:

"ქრისტიანობის, რელიგიისა და ფილოსოფიის სწავლება:

(i) გადასცემს ბიბლიისა და ქრისტიანობის შესახებ ცოდნას კულტურული მემკვიდრეობისა და ევანგელისტურ-ლუთერანული რწმენის გზით;

- (ii) გადასცემს ცოდნას სხვა ქრისტიანული საზოგადოებების შესახებ;
- (iii) გადასცემს ცოდნას მსოფლიოს სხვა რელიგიებისა და ფილოსოფიების და ეთიკური და ფილოსოფიური საგნების შესახებ;
- (iv) ხელს უწყობს ქრისტიანული და ჰუმანისტური ღირებულებების გაცნობიერებასა და პატივისცემას;
- (v) ხელს უწყობს სხვადასხვა რწმენისა და შეხედულების მქონე ადამიანთა შორის ურთიერთგაგების, პატივისცემისა და დიალოგის ჩამოყალიბების შესაძლებლობათა განმტკიცებას.

ქრისტიანობის, რელიგიისა და ფილოსოფიის სწავლება ჩვეულებრივი სასკოლო საგანია, რომელმაც, ჩვეულებრივ, ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა დაახლოებას. საგნის სწავლება არ უნდა განხორციელდეს ქადაგების ფორმით.

პირმა, რომელიც ასწავლის ქრისტიანობას, რელიგიასა და ფილოსოფიას, უნდა იხელმძღვანელოს 1-2 განყოფილებაში ჩამოყალიბებული დებულებით მიზნის შესახებ და ქრისტიანობა, სხვადასხვა რელიგია და ფილოსოფია მათი კონკრეტული მახასიათებლების პოზიციიდან უნდა წარმოადგინოს. სხვადასხვა საკითხის სწავლებისას ერთი და იგივე პედაგოგიური პრინციპები გამოიყენება.

მოსწავლე, მოცემულ სკოლაში მშობლის წერილობითი შეტყობინების წარდგენის შემდეგ, თავისუფლდება სწავლების იმ ელემენტებისგან, რომლებიც, მათი საკუთარი რელიგიისა თუ ცხოვრების ფილოსოფიის თვალსაზრისით, განიხილება, როგორც ტოლფასი სხვა რელიგიის აღმსარებლობისა ან ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევრობისა. ეს შეიძლება ეხებოდეს, *inter alia*, რელიგიურ ღონისძიებებს საკლასო ოთახში ან მის გარეთ. მშობლის მიერ განთავისუფლების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღების შემთხვევაში სკოლა მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობს საკითხის გადაწყვეტას სასკოლო პროგრამის ფარგლებში დიფერენცირებული სწავლების ხელშეწყობის გზით."

24. მოსამზადებელი სამუშაოდან ჩანს, რომ გამოთქმა "რელიგიური ღონისძიებები" გულისხმობს, მაგალითად, ლოცვების, ფსალმუნების, რელიგიური ტექსტების დაზეპირებას და რელიგიური ხასიათის სპექტაკლებში მონაწილეობას.

25. სამინისტროს 1997 წლის 10 ივლისის ცირკულარული წერილის (F-90-97) შესაბამისად, განთავისუფლების მოთხოვნის შესახებ მშობლის შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს, რა არის მიჩნეული სხვა რელიგიის აღმსარებლობისა და ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევრობის ტოლფასად. მოსწავლეებს განთავისუფლების ნებას რთავდნენ მას შემდეგ, რაც მშობლები თავიანთ არგუმენტებს ჩამოაყალიბებდნენ. მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში მშობლებს მოცემული რაიონის განათლების სამსახურში გასაჩივრების უფლება ჰქონდათ. საჩივარი სკოლის მეშვეობით იგზავნებოდა, რომელსაც ამის შემდეგ თავისი გადაწყვეტილების შეცვლის საშუალება ეძლეოდა.

26. დასაბუთების მოთხოვნა კიდევ უფრო დაზუსტდა სამინისტროს 1998 წლის 12 იანვრის ცირკულარულ წერილში (F-03-98), რომლის შესაბამისად, წმინდა რელიგიური ხასიათის ღონისძიებებისგან გასათავისუფლებლად არანაირი არგუმენტი აღარ მოითხოვებოდა. გარდა ამისა, განთავისუფლების ძირითადი წესის ფარგლებს გარეთ მყოფი საკითხების დასაბუთებისთვის კიდევ უფრო მკაცრი მოთხოვნები დაწესდა.

27. KRL-საგნის მომზადებასთან დაკავშირებით რელიგიურ უმცირესობათა გაერთიანებებმა მტკიცე პროტესტი გამოხატეს. ისინი მიუთითებდნენ, რომ საგნის უდიდესი ნაწილი დათმობილი ჰქონდა ევანგელისტურ-ლუთერანულ ქრისტიანულ მიმდევრობას და ქადაგების ელემენტებს მოიცავდა. ნორვეგიის ჰუმანისტთა ასოციაციამ, *inter alia*, აღნიშნა, რომ საგანი აღმსარებლობის (*konfesyonsforankring*) საფუძველზე იყო აგებული და რომ საგნის მხოლოდ გარკვეული ნაწილისგან განთავისუფლების შესაძლებლობა ადეკვატური არ იყო. 1997 წლის მაისში, თავის ეროვნულ კონგრესზე, ასოციაციამ გადაწყვიტა პარლამენტისთვის ეთხოვა უკუეგდო მთავრობის წინადადება განთავისუფლების უფლების შეზღუდვის შესახებ.

28. 1997 წლის შემოდგომიდან დაწყებითი სკოლების პროგრამებში თანდათანობით დაიწყო KRL საგნის სწავლება, რომელმაც ჩაანაცვლა საგანი "ქრისტიანობა და ცხოვრების ფილოსოფია". 1999-2000 სასწავლო წელს საგნის სწავლება ყველა დონეზე იქნა შემოღებული.

3. KRL საგნის შეფასება

29. 2000 წლის 18 ოქტომბერს სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია KRL საგნის შეფასებასთან დაკავშირებული ორი მოხსენების დასრულების შესახებ. ერთის სათაური იყო "მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოცდილება KRL საგანთან მიმართებით" (*Foreldres, elevers og læreres erfaringer med KRL-faget*), რომელიც მოამზადა *Norsk Lærerakademi*-მ, ხოლო მეორე — "საგანი ყველას გემოვნებისთვის? KRL საგნის შეფასება" (*Et fag for enhver smak? En evaluering av KRL-faget*), რომელიც მოამზადეს *Høgskulen i Volda*-მ და *Diaforsk*-მა. პარლამენტმა მოითხოვა, სამი წლის ვადაში მოემზადებინათ განთავისუფლების წესების განხორციელების კვლევა. ორივე მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ნაწილობრივ განთავისუფლება არ იყო ორგანიზებული იმ სახით, როგორც ამას ვარაუდობდნენ, და, აქედან გამომდინარე, მას დეტალური გადასინჯვა სჭირდებოდა. მეორე მოხსენებაში ჩამოყალიბებული იყო შემდეგი "ძირითადი დასკვნები":

"მოხსენების ამ ნაწილში ჩვენ განვიხილეთ, არის თუ არა ერთმანეთთან თავსებადი, ერთი მხრივ, ლ საგნის მიზნები, პრინციპები და განთავისუფლების სქემები, ხოლო, მეორე მხრივ, სკოლებში მისი პრაქტიკული განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჩვენ აგრეთვე განვიხილეთ, რამდენად არის უზრუნველყოფილი მშობელთა უფლება სწავლებისა და განთავისუფლების არსებული სქემების ფონზე. მშობელთა უფლებების პერსპექტივა, რომელიც პროექტის მიზნის ცენტრალური ელემენტია, აუცილებელს ხდის ფოკუსირება მოხდეს მშობელთა სხვადასხვა ჯგუფებზე, რომლებსაც საგანთან მიმართებით გამოცდილება აქვთ, ასევე განთავისუფლების სქემებზე.

უნდა ითქვას, რომ მშობელთა უმრავლესობა, რომლებთანაც ჩვენ კონტაქტი გვქონდა და რომლებიც ნორვეგიის ეკლესიას მიეკუთვნებიან, საგნით კმაყოფილი არიან ან მტკიცე მოსაზრება ჩამოყალიბებული არა აქვთ. თუმცა ჩვენ მძაფრ წინააღმდეგობას წავეწყდით საგნის მნიშვნელოვან ასპექტებთან დაკავ-

შირებით მშობელთა სხვა ჯგუფებში. რელიგიური/ალმსარებლობითი უმცირესობებისადმი მიკუთვნებული მშობლები აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამენ საგნის მიმართ. მათ მიაჩნიათ, რომ ღ საგანი არ ემსახურება ინტეგრირებას და ჩართულობას, რისთვისაც იგი იყო გამიზნული.

ძირითადი და ემპირიული კვლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა:

- 1) მშობელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია საერთო სწავლება სხვადასხვა რელიგიათა და რწმენის შესახებ, მაგრამ უთანხმოება არსებობს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - რა უნდა იყოს ამ საერთო სწავლების შინაარსი და მიზნები;
 - რომელ ასაკში უნდა დაიწყოს ბავშვებმა თავიანთი რელიგიისაგან განსხვავებული რელიგიების შესწავლა.
- 2) პრაქტიკაში საგნის ზოგიერთი მიზანი უზრუნველყოფილია ყველა გამოკვლევულ სკოლაში, მაგრამ მისი ფუნდამენტური მიზანი არც ერთ მათგანში არ არის უზრუნველყოფილი. საგნის ფუძემდებლურ მიზანთა განხორციელების ხარვეზი შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებებით:
 - წინააღმდეგობა თვით საგნის შიდა აღწერილობაში და წინააღმდეგობა საგნის სხვადასხვა ფუძემდებლურ ასპექტს შორის, რაც ართულებს მის განხორციელებას;
 - რესურსების ნაკლებობა და სკოლებში განხორციელების სავარაუდო ცვლილებებთან დაკავშირებული პრობლემები;
- 3) განთავისუფლების დღევანდელი სქემები არ უზრუნველყოფს მშობელთა უფლებების განხორციელებას. ეს, სხვა ასპექტებთან ერთად, გამოწვეულია შემდეგით:
 - ინფორმაცია, რომელსაც სკოლები იძლევიან განთავისუფლების სქემის შესახებ, მრავალი ასპექტით არ შეესაბამება განთავისუფლების შესაძლებლობის უზრუნველყოფას;
 - ინფორმაცია KRL საგნის შესახებ ძალზე ზოგადი ხასიათისაა და მშობლებს უჭირთ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება განთავისუფლებასთან დაკავშირებით. მაგალითად, პრაქტიკულად არ აწვდიან ინფორმაციას საშუალო მეთოდების შესახებ. გარდა ამისა, გაკვეთლის გეგმებს მშობლები დიდი დაგვიანებით ლეზულობენ, რის გამოც მათ განთავისუფლების მოთხოვნის შესაძლებლობა პრაქტიკულად აღარაა აქვთ;
 - სკოლები, პარლამენტთან და სამინისტროსთან შედარებით, განთავისუფლების მარეგულირებელ დებულებებს ძალზე შეზღუდულად განმარტავენ. მაგალითად, მოსწავლეებს ხშირად მხოლოდ იმ ღონისძიებებისგან ათავისუფლებენ, რომლებიც "წმინდა რელიგიურ ღონისძიებებს" მიეკუთვნება. გარდა ამისა, მრავალ სკოლაში შეინიშნება ისეთი მიდგომა, რომელიც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ განთავისუფლების ნებართვის მოპოვება პრაქტიკულად შეუძლებელია;
 - სკოლებში საგნის ნაწილისგან გათავისუფლებულ მოსწავლეთა დიფერენცირებული სწავლება ძალზე შეზღუდულია და ისინი უმრავლეს შემთხვევაში პასიურად სხედან საკლასო ოთახებში;
 - გარდა ამისა, მშობელთა გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც უმცირესობათა ენობრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, ენის არასათანადო ცოდნის გამო თავიანთი უფლებების განხორციელება უჭირთ, მიუხედავად იმისა, რომ მათ სურვილი აქვთ, მათი ბავშვები განთავისუფლდნენ საგნის სწავლებისგან.

მრავალ შემთხვევაში ეს ინვეს უნდობლობას სკოლასა და ოჯახს შორის ურთიერთობებში. უმცირესობების წარმომადგენელ მშობელთა საგულისხმო რაოდენობა აღნიშნავს, რომ მათ სურთ სრულად განთავისუფლება, მაგრამ არ ითხოვენ, რადგან ემინათ, რომ შესაძლოა ამან სკოლასთან კონფლიქტი გამოიწვიოს და მათ შეიძლება ზიანი მიადგეთ;

- თემებისა და საგანთა ინტეგრირების გამო KRL საგანი სასწავლო გრაფიკში შეუმჩნეველია, რის გამოც განთავისუფლების მოთხოვნა პრაქტიკულად საკმაოდ რთულია.
- 4) საჭიროა ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს მთელი კლასისთვის სწავლებას, მაგრამ, ამასთანავე, საჭიროა მშობელთა უფლებების პრაქტიკაში უზრუნველყოფა. ეს მხოლოდ გარკვეული პირობების შემთხვევაშია შესაძლებელი.
- სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის სწავლების და დიალოგისა და ურთიერთაქტივისციემის ხელშეწყობის მიზნით, ზოგიერთი სახის სწავლება გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი კლასისთვის. საჭიროა ძალისხმევა მოქნილი მოდულების შექმნის მიზნით, რომლებიც შეიძლება შეჯერდეს დანყებითი სკოლის დაბალი კლასების, დანყებითი სკოლის მაღალი კლასებისა და საშუალო სკოლის დაბალი კლასების სპეციალურ პირობებთან, ქვეყნის სხვადასხვა კუთხისა და მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებათა გათვალისწინებით;
- პრობლემათა განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მრავალ სკოლაში სრული განთავისუფლება შესაძლებელია. ეს იქნება ყველაზე უსაფრთხო გამოსავალი საერთაშორისო კონვენციების თვალსაზრისით და ალბათ ერთ-ერთი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ყველაზე უკეთ მიესადაგება იმ საგნის მხარდაჭერისა და ლეგიტიმურობის უზრუნველყოფას, რომელიც რელიგიასა და რწმენაზეა ფოკუსირებული. ჩვენ დავადგინეთ, რომ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ზოგიერთ სკოლაში და სხვადასხვა კლასში საგნის სწავლებასთან დაკავშირებული, ჩვენ მიერ აღმოჩენილი განსხვავებანი საფუძველს იძლევა, დავსვათ შეკითხვა — ერთზე მეტი KRL საგანი არსებობს თუ იგი ერთი ახალი საგანია."

ბ. ზოგიერთი განმცხადებლის მიერ დანყებულ სასამართლო პროცესები

30. იმავდროულად, 1998 წლის 14 მარტს, ნორვეგიის ჰუმანისტთა ასოციაციამ, რვა ბავშვის მშობლებთან ერთად, რომლებიც ასოციაციის წევრები იყვნენ და რომელთა შვილებიც დანყებით სკოლაში სწავლობდნენ, ოსლოს საქალაქო სასამართლოში (*byrett*) სარჩელი შეიტანა ადმინისტრაციული უარის გამო, რომელიც განმცხადებელმა მშობლებმა მიიღეს KRL საგნის სწავლებისგან სრულად განთავისუფლების მოთხოვნაზე. ისინი აცხადებდნენ, რომ სრულად განთავისუფლებაზე უარის თქმა არღვევდა მშობელთა და ბავშვთა უფლებებს კონვენციის მე-9 მუხლისა და 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, ცალ-ცალკე აღებული ან მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. სხვა დებულებებთან ერთად ისინი ასევე მიუთითებდნენ 1966 წლის საერთაშორისო პაქტზე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, კერძოდ, მის მე-18 და 26-ე

მუხლებზე და 1966 წლის საერთაშორისო პაქტზე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, კერძოდ, მისი მე-13 მუხლის მე-3 პუნქტზე.

31. საქალაქო სასამართლომ 1999 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სახელმწიფოს პროტესტი ასოციაციის წინააღმდეგ, კერძოდ, ის, რომ ასოციაციას არ ჰქონდა სამართლებრივი ინტერესი და ამიტომ არ ჰქონდა სასამართლოში მხარედ გამოსვლის უფლება. ამასთანავე საქალაქო სასამართლომ დაადგინა წარმოშობილი არსებითი საკითხები და მოთხოვნა უკუაგდო.

32. ასოციაციამ და მშობლებმა ბორგარტინგის უმაღლეს სასამართლოს (*lagmannsrett*) მიმართეს, რომელმაც 2000 წლის 6 ოქტომბერს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

33. შემდეგი სარჩელი განმცხადებლებმა უზენაეს სასამართლოში (*Høyesterett*) შეიტანეს. 2001 წლის 22 აგვისტოს უზენაესმა სასამართლომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ასოციაციასთან მიმართებით სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შესახებ. მან დაადგინა, რომ ასოციაციას არ ჰქონდა საკმარისი სამართლებრივი ინტერესი საქმეში მხარედ მონაწილეობისათვის. დანარჩენ განმცხადებლებთან დაკავშირებით მან ერთხმად უკუაგდო მათი სარჩელი და მხარი დაუჭირა უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას.

34. სასამართლოს დასაბუთებაში, რომელიც საქმეში მონაწილე ოთხმა კოლეგიის წევრმა დაადასტურა, წილისყრაში მონაწილე პირველმა მოსამართლემ, ბატონმა იუსტის სტანგ ლუნდმა, თავიდანვე განაცხადა, რომ "საქმე ეხება ადმინისტრაციული გადაწყვეტილების კანონიერებას, რომლის საფუძველზედაც განმცხადებელ მშობლებს უარი უთხრეს მათი შვილების (KRL) საგნის სწავლებისგან სრულად განთავისუფლებაზე დაწყებით და საშუალო სკოლაში". მან განსაზღვრა, რომ საკითხთან მიმართებით უნდა დადგინდეს, "[KRL] საგნის სწავლება განთავისუფლების შეზღუდული უფლებით [იყო] თუ არა შეუსაბამო ნორვეგიის საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებთან, რომლებიც დაკავშირებულია, *inter alia*, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვასთან".

35. ამის შემდეგ ბ-ნმა იუსტის სტანგ ლუნდმა დეტალურად გააანალიზა საკანონმდებლო დებულებათა ისტორია და პოზიცია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, განსაკუთრებით, ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებები და პრეცედენტული სამართალი და 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. ბ-ნმა იუსტის სტანგ ლუნდმა სათითაოდ განიხილა 1998 წლის განათლების აქტის ყველა შესაბამისი დებულება და 1-2(1) განყოფილებაში განსაზღვრული ქრისტიანული მიზნის დებულებასთან დაკავშირებით შემდეგი დასკვნა გააკეთა:

"მიზნის დებულება მიესადაგება ყველა სახის სწავლებას დაწყებით სკოლაში და საშუალო სკოლის დაბალ კლასებში. ეს ზოგადი დებულებაა და მისი ფარგლების განსაზღვრა შეიძლება რთული იყოს. მან შესაძლოა წარმოშვას კონვენციითა დებულებებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ეხება რელიგიის

თავისუფლებას და მშობელთა უფლებებს (იხ. მოსამართლე მოსეს მოხსენება 38, 35-ე და შემდგომი გვერდები (1996-1997), რომლებიც მან *ოდელსტინგს* [პარლამენტის უდიდესი დანაყოფი] წარუდგინა). ლ საგანთან დაკავშირებით დებულება განხილული უნდა იქნეს 2-4(2) განყოფილებასთან ერთად, რომელიც ადგენს, რომ ეს ჩვეულებრივი სასკოლო საგანია ყველა მოსწავლისთვის და რომ ეს საგანი ქადაგების ფორმით არ უნდა ისწავლებოდეს. მიზნის დებულება იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული და გამოყენებული, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს კონვენციებს, რომლებიც კანონმდებლობაშია ჩართული ადამიანის უფლებათა აქტის მე-2 განყოფილების შესაბამისად (იხ. აგრეთვე მე-3 განყოფილება).

დროთა განმავლობაში საგნის გეგმაში და ეროვნულ სტანდარტულ პროგრამაში შეტანილი ცვლილებებისა და შესწორებების შედეგად, გამოთქმა "ქრისტიანული და მორალური აღზრდა" უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ იგი ნიშნავდეს ქრისტიანული და ჰუმანური ღირებულებების ერთმანეთთან კავშირს. როგორც ქრისტიანული, ისე ჰუმანური ტრადიციები ხაზს უსვამს სიმართლის, ადამიანის ღირსების, ქველმოქმედების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა მნიშვნელობას. ეს არის ღირებულებები, რომლებიც თითქმის ყველასთვის საერთოა ნორვეგიაში, რელიგიისა თუ ცხოვრების ფილოსოფიის მიუხედავად. კონვენციები არ მოითხოვს სწავლება იყოს ღირებულებებისადმი ნეიტრალური; იხილე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი დანიის წინააღმდეგ* (1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია 23, §53).

მიზნის დებულება ადგენს, რომ სასკოლო განათლება უნდა განხორციელდეს ოჯახთან თანამშრომლობითა და შეთანხმებით. დანყებითი სკოლისა და სამშალო სკოლის დაბალი კლასების მასწავლებელთა ძალისხმევა, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ქრისტიანული აღზრდისაკენ, მხოლოდ მშობელთა თანხმობითა და ოჯახთან თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს. ამგვარი განმარტებით ეს მუხლი არ არის შეუთავსებელი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლთან და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის 1-ლ პუნქტთან აზრის, დინდისისა და რელიგიის თავისუფლების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში, იგი, ასევე არ არის შეუთავსებელი ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის მე-2 მუხლთან და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტთან მშობელთა უფლებების თვალსაზრისით. ამრიგად, 2-4(3) განყოფილებაში მიზნის დებულებაზე მითითება, რომელიც ადგენს, რომ დანყებით სკოლებსა და სამშალო სკოლებს დაბალ კლასებში ლ საგნის მასწავლებლებმა ათვლის წერტილად უნდა აიღონ ქრისტიანული მიზნის დებულება, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე არ არის კონვენციითა დარღვევის შესაფასებლად."

36. 1998 წლის აქტის 2-4 განყოფილების (1)-დან (3)-მდე პუნქტებთან დაკავშირებით ბ-ნმა იუსტიის სტანგ ლუნდმა აღნიშნა:

"მოსარჩელენი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ, აქტის შესაბამისად, სწავლება უნდა განხორციელდეს მოსწავლეებისთვის ბიბლიისა და ქრისტიანობის შესახებ ცოდნის კულტურული მემკვიდრეობისა და ევანგელისტურ-ლუთერანული მოძღვრების ფორმით გადაცემით, ხოლო სხვა რელიგიებისა და ფილოსოფიების და ეთიკური და ფილოსოფიური საგნების შესახებ უბრალოდ ცოდნის გადაცემას მოითხოვს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ხელშემკერედი სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ სწავლების ფარგლებსა და შინაარსს (იხ. საქმე *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი*, ციტ. ზემოთ, §53; და *ვალსამისი საბერძნეთის წინააღმდეგ*, 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, ლეორტს ოფ ჟუდგმენტს ანდ ეცი-სიონს 1996-VI, გვ. 2312, §28). ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი და 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი არ გამოორიცხავს სხვადასხვა რელიგიისა და აღმსარებლობის შინაარსის და რელიგიის ისტორიისა და ეთიკის სავალდებულო სწავლებას, თუ ასეთი სწავლება ხორციელდება ობიექტურ-კრიტიკული და პლურალისტური სახით. ამ თვალსაზრისით მე მივუთითებ კონვენციის ორგანოთა დადგენილებებისა და კომენტარების ჩემს აღრინდელ მიმოხილვასა და დასკვნებზე. სავალდებულო სწავლება უნდა მოიცავდეს სხვადასხვა რელიგიისა და რწმენას. 2-4(1) განყოფილებაში ქრისტიანობის შესახებ ცოდნის მეტი ხაზგასმა, ვიდრე სხვა რელიგიებისა და რწმენის შესახებ ცოდნისა, ჩემი აზრით, კონვენციების მიერ მონაწილე სახელმწიფოებისათვის მინიჭებული დისკრეციული უფლების ფარგლებს არ სცდება. ის მოთხოვნა, რომ სავალდებულო სწავლება უნდა იყოს ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტული, არ შეიძლება განიმარტოს, როგორც სხვადასხვა რელიგიისა და ცხოვრების სხვადასხვა ფილოსოფიის სწავლების პროპორციული განაწილების მოთხოვნა. კონკრეტული მონაწილე სახელმწიფოს ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების ფონზე დასაშვები უნდა იყოს გარკვეული რელიგიისა თუ რწმენის უპირატესობა სხვებთან შედარებით.

კონკრეტული რელიგიის ან ცხოვრების კონკრეტული ფილოსოფიის სწავლება ან ქადაგება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (იხ. იხ. საქმე *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი*, ციტ. ზემოთ, §53; და *ვალსამისი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §28; და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 1993 წლის 20 ივლისის კომენტარის მე-6 პუნქტი); შესაბამისად, განათლების აქტის 2-4(2) განყოფილება განსაზღვრავს, რომ ლ საგნის სწავლება არ უნდა მოიცავდეს ქადაგებას.

მოსარჩელენი, რომლებსაც, *inter alia*, მხარს უჭერს მოსამართლე მოსეს მოხსენება (გვ. 29, მოხსენება 38 (1996-1997), *odelstingsis* მიმართ), აცხადებდნენ, რომ სწავლება, რომელიც კონკრეტული რელიგიის შეხედულებებს გადასცემს ისეთი სახით, რომელსაც უნარი შესწევს მოსწავლეებზე ზეგავლენა მოახდინოს მათ მიერ კონკრეტული რწმენის მიღების თვალსაზრისით, აგრეთვე არის კონვენციის დებულებათა დარღვევა, კერძოდ, რელიგიის თავისუფლებისა და მშობელთა უფლებისა. მე ვეთანხმები, რომ ასეთი სწავლებით შეიძლება მოხდეს დარღვევა. თუმცა გამოთქმა 'უნარი შესწევს' შეიძლება იმგვარად იქნეს განმარტებული, რომ მას მეტი ფარგლები მიანიჭოს, ვიდრე ეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან მომდინარეობს. აქედან გამომდინარე, მან უნდა შეინარჩუნოს სასამართლოს პრაქტიკით შემუშავებული კრიტერიუმები. ლ საგნის სასწავლო პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაო უჩვენებს, რომ სამინისტრო და პარლამენტის უმრავლესობა განსაკუთრებული ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ ეს იყო ჩვეულებრივი სასკოლო საგანი ყველა მოსწავლისთვის. ეს მკაფიოდ ჩამოყალიბდა აქტის ფორმულირებაში (იხ. 2-4(2) განყოფილების პირველი წინადადე-

ბა). კანონმდებელმა ასევე მოითითა, რომ ლ საგანი შექმნილია ცოდნის გადაცემის მიზნით (იხ. მაგალითად, *ოდელსტინგისთვის* ნარდგენილი მოსაზრებები 38 (1996-1997), გვ. 6, მეორე სვეტი და გვ. 10). 2-4(3) განყოფილება ადგენს, რომ ქრისტიანობა, სხვა რელიგიები და ცხოვრების ფილოსოფიები უნდა ისწავლებოდეს მათი განსაკუთრებული მახასიათებლების საფუძველზე. მეორე მხრივ, პარლამენტის განათლების, კვლევისა და ეკლესიის საქმეთა მუდმივმოქმედმა კომიტეტმა განაცხადა, რომ სწავლება არ უნდა იყოს ნეიტრალური ღირებულებებისადმი (იხ. რეკომენდაცია 103 (1995-1996), გვ. 4). ეს თავისთავად არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონვენციას, რადგან, როგორც მე უკვე აღვნიშნე, არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი არ განიმარტება იმგვარად, რომ ისინი მოითხოვს ღირებულებებისადმი ნეიტრალურ სწავლებას."

37. 1998 წლის განათლების აქტის 2-4(4) განყოფილებასთან დაკავშირებით ბ-ნმა იუსტის სტანგ ლუნდმა განაცხადა, რომ თუ მას განვმარტავთ კონვენციის და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის, ასევე ადამიანის უფლებათა აქტის მე-3 განყოფილების შესაბამისი დებულებების ფონზე, იგი უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ მოსწავლეებს აქვთ განთავისუფლების უფლება და რომ მათ მშობლებს არ ეკისრებათ ვალდებულება, თავიანთ ბავშვებს რელიგიისა და ფილოსოფიის გაკვეთილებზე დასწრების უფლება მისცენ, თუ ისინი მიჩნეულია ქადაგებად ან იდეების სწავლებად ამ ხელშეკრულებათა მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე, ბავშვებს შეუძლიათ ასეთ გაკვეთილებს არ დაესწრონ. საკითხი — გაკვეთილის გეგმის რა ნაწილზე შეიძლება იმოქმედოს ასეთმა მიდგომამ — თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე უნდა განისაზღვროს, სწავლების გეგმიდან და მისი განხორციელებიდან გამომდინარე. ბ-ნი იუსტის სტანგ ლუნდის აზრით, განთავისუფლების შესახებ დებულება არ ეწინააღმდეგებოდა რელიგიის თავისუფლებითა და მშობელთა უფლებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კონვენციის მოთხოვნა, რომ სწავლება უნდა იყოს ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური, არ გამორიცხავს სხვადასხვა რელიგიისა და ცხოვრების ფილოსოფიის შინაარსის სწავლებას ან კონკრეტული რელიგიისა თუ ფილოსოფიის შესახებ ცოდნის გადაცემას, რომელსაც, სხვებთან შედარებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს ისტორიიდან, კულტურიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. როგორც უკვე აღვნიშნა, 1998 წლის განათლების აქტი ადგენდა, რომ საგანი ჩვეულებრივი სასკოლო დისციპლინა უნდა ყოფილიყო. მოსამზადებელი დოკუმენტების შესაბამისად იგი ცოდნას უნდა დაფუძნებოდა. აქტი მოითხოვდა, რომ სწავლება ყოფილიყო ნეიტრალური სახის და ქადაგების გარეშე. შესაბამისად, არაფერი არ მიანიშნებდა, რომ 2-4 განყოფილება სწავლების შინაარსის შესახებ კონვენციას ეწინააღმდეგებოდა.

38. ბ-ნმა იუსტის სტანგ ლუნდმა ასევე განიხილა სასკოლო პროგრამის ელემენტები (ათწლიანი სავალდებულო განათლების პროგრამა; გამოცემულია სამინისტროს მიერ 1999 წელს; შემდგომში "პროგრამა"), რომლებიც, განმცხადებელთა მოსაზრებით, უპირატესობას ანიჭებდა ქრის-

ტიანულ სარწმუნოებას და მოსწავლეებზე ზემოქმედებას ახდენდა ქრისტიანობის არჩევის თვალსაზრისით. პროგრამას, რომლის სამართლებრივი საფუძვლები 1998 წლის აქტის 2-6 და 2-8 განყოფილებებიდან და 1999 წლის 28 ივნისის შესაბამისი დებულებიდან მომდინარეობს, ნორვეგიის საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებით ისეთივე სამართლებრივი სტატუსი ჰქონდა, როგორც სხვა დებულებებს. თუმცა მან აღნიშნა, რომ აქ მთავარი იყო მოსწავლეებს გაეცნობიერებინათ მრწამსთა და აზრთა მრავალფეროვნება და რომ სწავლება ერთ რომელიმე მრწამსს მეორეზე მაღლა არ აყენებდა. ხელშემკერელი სახელმწიფოს ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების ფონზე შეიძლება დასაშვები იყოს ერთი ან მეტი რელიგიისა თუ ცხოვრების წესისთვის სხვებთან შედარებით უფრო თვალსაჩინო ადგილის მიკუთვნება.

39. მოსარჩელენი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმ ზემოქმედების გამო, რომელსაც მოსწავლეებზე ახდენდა ბიბლიაზე დაფუძნებული სურათები, სიმღერები, პიესები, მუსიკა და იგავები და რელიგიური ტექსტები. ბ-ნმა იუსტიის სტანგ ლუნდმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლებელი უნდა იყოს მოსწავლეებისთვის ტრადიციებისა და სხვადასხვა რელიგიების შესახებ "გარდამავალი ცოდნის საშუალებათა" (*måte å formidle på*) გადაცემა ნეიტრალური ფორმით, იმგვარად, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს. პროგრამაში აქცენტი გაკეთებულია ღიაობაზე, არსის აღქმაზე, პატივისცემაზე და დიალოგზე, რელიგიისა და მორალის საკითხების განხილვისას ურთიერთგაგებისა და შემყნარებლობის ხელშეწყობაზე და ქადაგების აკრძალვაზე. პროგრამის ფარგლებში KRL საგნის სწავლება შეიძლება განხორციელდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამის დებულებებთან კონფლიქტის გარეშე.

40. განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით — "ბრიჯის"-ის მე-2, მე-3, მე-5 და მე-6 ტომები, ქადაგების ფორმით იყო შედგენილი და მათ შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა მოსწავლეებზე. ამასთან დაკავშირებით ბ-ნმა იუსტიის სტანგ ლუნდმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ "ბრიჯის"-ში გამოყენებული მრავალი პრობლემის დეფინიცია და ფორმულირება შეიძლება იმგვარად იქნეს გაგებული, რომ ქრისტიანული რწმენა იძლევა პასუხს ეთიკურ და მორალურ საკითხებზე, უზენაეს სასამართლოში არ წარუდგენიათ რაიმე დამატებითი ინფორმაცია, თუ როგორ იყო დაგეგმილი და როგორ ხორციელდებოდა ამ მასალასთან დაკავშირებული სწავლება.

41. ამ კონტექსტში ბ-ნმა იუსტიის სტანგ ლუნდმა აღნიშნა, რომ განმცხადებელთა სასამართლო პროცესი და მათ მიერ უზენაეს სასამართლოში შეტანილი სააპელაციო სარჩელი მიმართული იყო ზოგადად KRL საგნის და მისი სწავლების წინააღმდეგ. სრულად განთავისუფლების მოთხოვნაზე უარის შესახებ თითოეულ დადგენილებაში მოყვანილი არგუმენტები და მტკიცებულებები მიზნად ისახავდა ეჩვენებინა ამ საგნის ზოგადი ფუნქციონირება. მოსარჩელეებს დეტალურად არ განუხილავთ თითოეული დადგენილების კანონიერება. ფორმა, რომლითაც საქმე იყო წარმოდგენილი, საფუძვლეს არ იძლეოდა დაედგინათ, დაირღვა თუ არა ადამიანის უფლე-

ბათა ხელშეკრულებები სწავლების იმ ფორმით, რომლითაც მოსარჩელეთა ბავშვებს ასწავლიდნენ. საქმე ეხებოდა KRL საგნის სწავლებისგან სრულად განთავისუფლების მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებათა კანონიერებას. მოსარჩელეებმა ვერ უჩვენეს, რომ სწავლების გეგმა და მისი განხორციელების მანერა მოცემული საგნის სწავლებისგან სრულად განთავისუფლებას უზრუნველყოფდა ამ კონვენციათა საფუძველზე.

42. ბოლოს ბ-ნმა იუსტის სტანგ ლუნდმა განიხილა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული არგუმენტი:

“განათლების აქტის 2-4 განყოფილების შესაბამისად, მშობლებმა კონკრეტულ სკოლაში ნერილობით უნდა წარადგინონ მათი შვილების სწავლებისგან ნანილობრივ განთავისუფლების მოთხოვნა. მაშინაც კი, როდესაც განცხადება KRL-საგნის მხოლოდ ნანილისგან განთავისუფლებას ეხება, განთავისუფლების შეზღუდული უფლება ეხება ყველა საგანსა და ღონისძიებას. მოთხოვნის დასაბუთებას აქტი არ მოითხოვს. პრაქტიკაში დასაბუთების მოთხოვნის დღემდე სხვადასხვაგვარად უდგებიან.

მთავრობამ განაცხადა, რომ დანებით სკოლაში და საშუალო სკოლის დაბალ კლასებში სწავლება თემების მიხედვითაა დაყოფილი, რომლებიც საგნის ფარგლებს კვეთენ. იმ ფარგლებში, რომლებშიც KRL საგნის ელემენტები სხვა საგნებთანაა ინტეგრირებული, ღ საგნის სწავლებისგან სრულად განთავისუფლება ეფექტიანი არ იქნება. მთავრობას ასევე მიაჩნია, რომ KRL საგანი მრავალ თემას მოიცავს, რომლებიც განთავისუფლების საფუძველებს არ იძლევა არც კონვენციების და არც 2-4(4) განყოფილების შესაბამისად. განთავისუფლების სისტემა შექმნილია და მოქმედებს ისეთი სახით, რომ მასში სწავლების შინაარსი გადამწყვეტ როლს ასრულებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მიაჩნია, რომ კონვენციებით დადგენილი დისკრიმინაციის აკრძალვა ვერ იქნება გამოყენებული განთავისუფლების შესახებ განცხადებათა დასაბუთების მოთხოვნის მიმართ.

• განთავისუფლებისთვის მოთხოვნილი საფუძველები და სახელმძღვანელო მითითებები სამინისტრომ თავის ორ ცირკულარულ ნერილში განმარტა. 1997 წლის -90-97 ცირკულარული ნერილის მე-5 გვერდზე სამინისტრო აღნიშნავდა:

‘როდესაც მშობლები განთავისუფლებას ითხოვენ, მათ ამის შესახებ ნერილობით უნდა აცნობონ სკოლას. მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს გამამყარებელი საფუძველები იმის შესახებ, რომ ისინი სხვა რელიგიას მიეკუთვნებიან ან ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევარი არიან.

თუ მშობლები მოითხოვენ განთავისუფლებას სწავლების მხოლოდ ნანილისგან, რომელსაც სხვა რელიგიის აღმსარებლობად ან ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევრობად მიიჩნევენ, მოსწავლეები უნდა განთავისუფლდნენ მას შემდეგ, რაც მშობლები განმარტავენ, თუ რა მიაჩნიათ სწავლებაში ასეთი შედეგის გამომწვევად. მშობლებს, რომელთა განცხადებას განთავისუფლების შესახებ სკოლა არ დააკმაყოფილებს, უფლება აქვთ მინიციპალურ-ადმინისტრაციული დადგენილების წინააღმდეგ საჩივარი შეიტანონ შესაბამისი რაიონის ეროვნული განათლების სამსახურში. საჩივარი უნდა გაიგზავნოს სკოლის მეშვეობით, რითაც მას თავისი ადმინისტრაციული დადგენილების შეცვლის საშუალება ეძლევა.’

სამინისტრომ საფუძველების საკითხი გააფართოვა 1998 წლის 12 იანვრის F-03-98 ცირკულარული ნერილის მე-3 გვერდზე:

‘სამინისტროს ძირითადი ნესია, რომ, როდესაც მშობლები წმინდა რელიგიური ხასიათის ღონისძიებებისგან განთავისუფლებას მოითხოვენ, მათ უნდა მიენიჭოთ განთავისუფლება (ნანილობრივ განთავისუფლება). ასეთ შემთხ-

ვევაში მშობლებს რაიმე საფუძვლების წარმოდგენა არ მოეთხოვებათ. იმ შემთხვევაში, როდესაც ითხოვენ ისეთი ღონისძიებებისგან განთავისუფლებას, რომლებიც წმინდა რელიგიური ხასიათის არ არის, მშობელთა მიერ წარმოდგენილი დასაბუთებისადმი მოთხოვნა იზრდება. ასეთი შემთხვევები, ანუ, რა სახის განთავისუფლება შეიძლება იქნეს მინიჭებული, ძირითადი წესით გათვალისწინებული არ არის. გარდა ამისა, მოსამზადებელი სამუშაოები გვთავაზობს შეფასდეს, არის თუ არა გონივრული საფუძვლები, რომლებიც განთავისუფლების მოთხოვნის საშუალებას იძლევა. მითითება კეთდება *ლაგტივინსადმი* [პარლამენტის უფრო მცირე დანაყოფი] წარდგენილი 95 (1996-1997) რეკომენდაციაზე, რომელშიც აღნიშნულია: 'უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ სკოლაში მოსწავლეები უნდა განთავისუფლდნენ სწავლების იმ ელემენტებისგან, რომლებიც, მათი რელიგიის ან ცხოვრების ფილოსოფიის საფუძველზე, გონივრულადაა მიჩნეული, როგორც სხვა რელიგია ან ცხოვრების სხვა ფილოსოფიისადმი ერთგულება.' თუმცა გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ რწმენასთან და ცხოვრების ფილოსოფიასთან დაკავშირებულ საკითხებს მრავალი მშობელი პირადი ცხოვრების სფეროს აკუთვნებს. პირადი ცხოვრების უფლება აგრეთვე დაცულია საერთაშორისო კონვენციებით.'

ამის შემდეგ სამინისტრო იხილავს სფეროებს, რომელთაგანაც მოსწავლეთა განთავისუფლება შეიძლება. მე-4 გვერდზე აღნიშნულია:

'მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსი გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელ სასკოლო პროგრამაში. ეს ნიშნავს, რომ განთავისუფლების წესი ეხება ყველა სავალდებულო განათლებას. ზოგადად, სკოლამ უნდა შეაფასოს, პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებას შეუძლია თუ არა ისეთი ზემოქმედება იქონიოს მოსწავლეებზე, რომ ისინი კონკრეტული რწმენის ან ცხოვრების ფილოსოფიის მიმდევარნი გახდნენ, ან რაიმე სხვა სახით იქნენ მიჩნეული რელიგიური ღონისძიებების მონაწილეებად ან ცხოვრების ფილოსოფიის მიმდევრებად.

კონკრეტულად ამას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგალითად, ცეკვის გაკვეთილებისთვის, რომლებიც ფიზიკური აღზრდის ნაწილია; ზოგიერთი ადამიანის რწმენისთვის პარტნიორთან ცეკვა მიუღებელია, მაგრამ მუსიკის ფონზე მოძრაობა დასაშვებია. ხელოვნებისა და ხელსაქმის საგნის სწავლებისას ყურადღება უნდა მიექცეს ღმერთისა და წინასწარმეტყველთა ილუსტრაციებს; იხილეთ მსჯელობა 'ილუსტრაციები — გამოსახულებთა აკრძალვა', KRL-საგნის გზამკვლევი (გვ. 22).'

მე დავამატებდი, რომ KRL საგნის შეფასებასთან დაკავშირებით სამინისტრომ ხაზგასმით მიუთითა საგნის შინაარსის, მეთოდოლოგიისა და ორგანიზების ცვლილებების მნიშვნელობაზე, რომელმაც საგნის სწავლებაში რაც შეიძლება მეტი ბავშვისა და ახალგაზრდის ჩართვა უნდა უზრუნველყო. მიზეზი, რის გამოც სამინისტრომ მაინც გადაწყვიტა შენარჩუნებინა განთავისუფლების შეზღუდული უფლება, არის ის, რომ მას სურდა დარწმუნებულიყო, რომ მშობელთა რელიგიის თავისუფლების უფლებები დამაკმაყოფილებლად იყო დაცული და რომ მათი განხორციელების ფორმა გაუგებრობას არ იწვევდა; იხილეთ პარლამენტისადმი წარდგენილი მოხსენება 32 (2000-2001), გვერდი 51, პირველი სვეტი.

მე შევნიშნავ, რომ დანყებით სკოლებში და სამშალო სკოლების დაბალ კლასებში KRL საგნის სავალდებულო პროგრამის ყველა ელემენტისგან სრულად განთავისუფლება სასკოლო სისტემისადმი მშობელთა განსხვავებულ დამოკიდებულებას გამოიწვევს. მშობლები და ბავშვები, რომლებსაც განთავისუფლება სურთ, იძულებული იქნებიან ყურადღებით მისდიონ პროგრამას და განთავისუფლება მოითხოვენ მაშინ, როდესაც ამას აუცილებლად მიიჩნევენ ბავშვის და

საკუთარი უფლებების დასაცავად. განთავისუფლების მინიჭების შესახებ დადგენილებას თავდაპირველად სკოლა იღებს. აქ საკითხი მდგომარეობს შემდეგში: ემსახურება თუ არა ეს განსხვავებული მოპყრობა კანონიერ მიზანს და არის თუ არა ეს მიზანი გამოყენებული საშუალებების პროპორციული.

როგორც ადრე ვახსენეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, 1-ლი ოქმის მე-2 პუნქტის მეორე წინადადების განმარტება გულისხმობს, რომ მრწამსმა უნდა მიაღწიოს დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობის და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს; იხილე სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *კემპელი და კოსანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1982 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია 38, გვ. 16, § 36) და *ვალსამისი საბერძნეთის წინააღმდეგ* (1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1996-VI, გვ. 2312, § 25). ამ გადაწყვეტილებებში გაკეთებული განცხადებები მხარს უჭერს ხელშეკრულ სახელმწიფოთა მოთხოვნას, რომ მშობლებმა უფრო დეტალური დასაბუთება უნდა წარმოადგინონ, როდესაც განთავისუფლებას ითხოვენ ისეთი ღონისძიებებისგან, რომლებიც ერთი შეხედვით არ მიეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ რელიგიას ან ცხოვრების განსხვავებულ ფილოსოფიას.

თუმცა, თუ განმცხადებელმა აუცილებლად უნდა მისცეს ინფორმაცია თავისი რელიგიის ან ფილოსოფიური მრწამსის შესახებ, ეს შეიძლება იყოს კონვენციის მე-8 მუხლისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის დარღვევა პირადი ცხოვრების პატივისცემის თვალსაზრისით. შესაძლოა ეს ასევე იყოს კონვენციის მე-9 მუხლის და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა რელიგიის თავისუფლების თვალსაზრისით. მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ რელიგიის და პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებების ნიშნით დიფერენცირებული მოპყრობა დისკრიმინაციის დაუშვებლობის მთავარი ღერძია.

როგორც მე უკვე განვმარტე, KRL საგნის სავალდებულო სწავლების შემოღების მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მთავრობა და პარლამენტის უმრავლესობა მიიჩნევდნენ, რომ იგი მნიშვნელოვანი იქნებოდა ცოდნის, ღირებულებათა და კულტურის საერთო საფუძვლების გადასაცემად დაწყებით სკოლებში და საშუალო სკოლების დაბალ კლასებში. აქცენტი გაკეთდა ღია და ჩართული სასკოლო გარემოს მნიშვნელობაზე. დაწყებით სკოლებში და საშუალო სკოლების დაბალ კლასებში სავალდებულო განათლება უნდა მოიცავდეს განთავისუფლების სურვილის შესახებ შეტყობინების უფლების განხორციელებას. შეტყობინებაში ყველა შემთხვევაში ზოგადად უნდა იყოს მითითებული პროგრამის ის ელემენტები, რომლისგან განთავისუფლებასაც ისინი მოითხოვენ. ჩემთვის ნათელია, რომ ღ საგნის საერთო პროგრამა და განთავისუფლების უფლების განხორციელებისთვის ნეროლობითი შეტყობინების მოთხოვნა კანონიერი მიზნების დაცვის საშუალებებია და რომ არ არის არაპროპორციული ღონისძიება, როდესაც მშობლებისაგან, რომლებსაც საგნის გარკვეული ელემენტებისგან განთავისუფლება სურთ, მოითხოვენ, რომ მათ მისდიონ პროგრამას და შეტყობინება წარადგინონ, როდესაც განთავისუფლების სურვილი გაუჩნდებათ. მე დავამატებდი, რომ სკოლის ხელმძღვანელობა ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა მშობლებს საშუალება ჰქონდეთ მისდიონ პროგრამას. საერთო სავალდებულო პროგრამა მოითხოვს, რომ მშობლებს დროის ნებისმიერ მომენტში სრული ინფორმაცია ჰქონდეთ ღ საგნის, მისი პროგრამისა და პროგრამის სწავლების მეთოდების შესახებ, ხოლო, სათანადო შემთხვევებში, ინფორმირებული იყვნენ რელიგიური მინაარსის მქონე სხვა ღონისძიებათა შესახებ.

მხარეებს დეტალურად არ განუხილავთ დასაბუთებასთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნები და ის საფუძველები, რომლებიც წარმოდგენილია KRL საგნის პროგრამისგან განთავისუფლების მოთხოვნის სხვადასხვა განცხადებებში. აქედან გამომდინარე, მე შემოვიფარგლები შემდეგი განცხადებით: არ არსებობს რაიმე საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ამ საქმეში დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს KRL საგნის გაკვეთილებისგან სრული განთავისუფლების მოთხოვნაზე უარის შესახებ ადმინისტრაციული დადგენილებების გაუქმება."

ბ. ზემოაღნიშნული სამართალწარმოების მხარეთა და მათი შვილების მიერ სასამართლოში და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში წარდგენილი პეტიცია

43. 2002 წლის 15 თებერვალს განმცხადებელმა მშობლებმა და ბავშვებმა კონვენციის საფუძველზე განაცხადი შეიტანეს სასამართლოში.

44. შემდგომ, 2002 წლის 25 მარტს, სხვა ოთხი ბავშვის მშობლებმა, რომლებიც ზემოაღნიშნული შიდასახელმწიფო სამართალწარმოების მხარეები იყვნენ, თავიანთ ბავშვებთან ერთად კომუნიკაცია (1155/2003) შეიტანეს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ოქმის საფუძველზე.

45. 2004 წლის 3 ნოემბერს კომიტეტმა არ დააკმაყოფილა მოპასუხე სახელმწიფოს პროტესტი, რომელიც აცხადებდა, რომ, მშობელთა სხვა სამ წევრის უკვე ჰქონდა შეტანილი მსგავსი საჩივარი სასამართლოს წინაშე და, აქედან გამომდინარე, "მსგავსი საკითხი" ამ უკანასკნელის მიერ უკვე განხილული იყო. კომიტეტმა კომუნიკაცია დასაშვებად გამოაცხადა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ეხებოდა პაქტის მე-17, მე-18 და 26-ე მუხლებით წამოჭრილ საკითხებს. საკითხის არსებით მხარესთან დაკავშირებით კომიტეტმა აღნიშნა, რომ KRL საგნის სისტემა, განთავისუფლების რეჟიმის ჩათვლით, იმ ფორმით, როგორც იგი მომჩივანთა ("ავტორთა") მიმართ განხორციელდა, პაქტის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა იყო. კომიტეტმა შემდეგი არგუმენტები წარმოადგინა:

"14.2 მთავარი საკითხი, რომელზედაც კომიტეტმა უნდა იმსჯელოს, არის ის, თუ რამდენად არღვევს ნორვეგიის სკოლებში CKREE'-ის სავალდებულო სწავლება — განთავისუფლების მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობით — ავტორთა აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას მე-18 მუხლის საფუძველზე, ხოლო უფრო კონკრეტულად, მშობელთა უფლებას უზრუნველყონ თავიანთი შვილების რელიგიური და მორალური აღზრდა საკუთარი მრწამსის შესაბამისად, როგორც ეს მე-18 მუხლის მე-4 პუნქტშია განსაზღვრული. მე-18 მუხლის მიზნები მოიცავს არა მხოლოდ ტრადიციული რელიგიების, არამედ ასევე ცხოვრების ფილოსოფიათა დაცვას, (12) რომლებსაც მისდევენ ავტორები. კომიტეტის აზრით, რელიგიისა და ეთიკის სწავლება შეიძლება შეესაბამებოდეს მე-18 მუხლს, თუ იგი ხორციელდება მე-18 მუხლზე კო-

1 კომიტეტმა ეს აკრონიმი გამოიყენა KRL-საგნისთვის.

მიტეტის მიერ შემუშავებული 22 ზოგადი კომენტარის დებულებათა საფუძველზე: 'მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი უფლებას იძლევა საჯარო სკოლებში ასწავლონ ისეთი საგნები, როგორცაა რელიგიის ზოგადი ისტორია და ეთიკა, თუ ეს ხორციელდება ნეიტრალური და ობიექტური სახით', ხოლო 'საჯარო განათლება, რომელიც მოიცავს კონკრეტული რელიგიის ან რწმენის სწავლებას, შეუსაბამოა მე-18 მუხლის მე-4 პუნქტთან, თუ უზრუნველყოფილი არ არის არადისკრიმინაციული განთავისუფლება ან ალტერნატივები, რომლებიც ითვალისწინებს მშობელთა ან მეურვეთა სურვილებს'. კომიტეტი ასევე მიუთითებს თავის მოსაზრებებზე, რომლებიც მან გამოთქვა საქმეზე *პარტიკიანენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ*, რომელზედაც მან დაასკვნა, რომ რელიგიური კონტექსტის სწავლებისას პატივი უნდა სცენ იმ მშობელთა და მეურვეთა შეხედულებებს, რომლებიც არც ერთი რელიგიის მიმდევარნი არ არიან. წარმოდგენილ საჩივარს კომიტეტი ამ საპარტულრივ კონტექსტში განიხილავს.

14.3 პირველი, კომიტეტი შეისწავლის, ისწავლებოდა თუ არა CKREE ნეიტრალური და ობიექტური სახით. ამ საკითხთან დაკავშირებით განათლების აქტის 2-4 განყოფილება აცხადებს, რომ: 'საგნის სწავლება არ უნდა მოიცავდეს ქადაგებას. პედაგოგმა, რომელიც ასწავლის ქრისტიანობას, რელიგიასა და ფილოსოფიას, უნდა იხელმძღვანელოს 1-2 განყოფილებაში ჩამოყალიბებული დებულებით მიზნის შესახებ და ქრისტიანობა, სხვადასხვა რელიგიები და ფილოსოფია უნდა წარმოადგინოს მათი კონკრეტული მახასიათებლების პოზიციიდან. სხვადასხვა საკითხების სწავლებისას ერთი და იგივე პედაგოგიური პრინციპები გამოიყენება'. აღნიშნული მიზნის დებულება ადგენს, რომ დანებებითი და საშუალო განათლების დაბალი კლასების სწავლების მიზანია 'ოჯახთან შეთანხმებითა და თანამშრომლობით, მოსწავლეთა ქრისტიანული და მორალური აღზრდა'. აქტის მოსამზადებელი სამუშაოების დროს ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დებულება ქრისტიანობას მეტ უპირატესობას ანიჭებდა, ვიდრე სხვა რელიგიას თუ ფილოსოფიურ მრწამსს. ამ კონტექსტში განათლების მუდმივმოქმედი კომიტეტის უძრაველობამ დაასკვნა, რომ: სწავლება არ იყო ღირებულებებისადმი ნეიტრალური, ხოლო საგანში ძირითადი აქცენტი ქრისტიანული მოძღვრების სწავლებაზე იყო გადატანილი. მონაწილე სახელმწიფო აღიარებს, რომ საგანი შეიცავს ელემენტებს, რომლებიც შესაძლოა რელიგიური ბუნების მქონედ იქნეს მიჩნეული. ეს ის ღონისძიებებია, რომელთაგან განთავისუფლებისთვის მშობლებისაგან დასაბუთების წარდგენა არ მოითხოვება. უეჭველია, რომ მოცემულ ღონისძიებათაგან ზოგიერთი შეიცავს არა მხოლოდ რელიგიის სწავლებას, არამედ კონკრეტული რელიგიის პრაქტიკულ აღმსარებლობას (იხ. პუნქტი 9.18). აეტორთა მიერ მიითითებული მოკვლევების შედეგებიდან და მათი საკუთარი გამოცდილებიდან ასევე ჩანს, რომ საგანი შეიცავს ელემენტებს, რომელთა სწავლების ფორმას ისინი ნეიტრალურად და ობიექტურად არ მიიჩნევენ. კომიტეტი ასკვნის, რომ, ძნელია ითქვას, რომ CKREE-ის სწავლება ხორციელდება ნეიტრალური და ობიექტური სახით, თუ განთავისუფლების სისტემა რეალურად არ იწვევს სიტუაციას, სადაც ამ ბავშვთა სწავლება და ოჯახებისათვის ასეთი განთავისუფლების არჩევანი არ არის ნეიტრალური და ობიექტური.

14.4 ამრიგად, მეორე შესასწავლი საკითხია, იყო თუ არა ნაწილობრივ განთავისუფლების სქემით ან სხვა საშუალებებით უზრუნველყოფილი 'არადისკრიმინაციული განთავისუფლება ან ალტერნატივები, რომლებიც ითვალისწინებს მშობელთა ან მეურვეთა სურვილებს'. კომიტეტი მიუთითებს ნაწილობრივ განთავისუფლების სქემის მიმართ აეტორთა უკმაყოფილებაზე. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს სქემა ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, რამეთუ CKREE საგ-

ნის სწავლება საკმაოდ ინტენსიურადაა გადახრილი რელიგიის სწავლებისკენ, ხოლო ნაწილობრივ განთავისუფლების პრაქტიკული განხორციელება თითქმის შეუძლებელია. გარდა ამისა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ, ნორვეგიის განათლების აქტის შესაბამისად, 'მოსწავლე, მოცემულ სკოლაში მშობლის წერილობითი შეტყობინების წარდგენის შემდეგ, თავისუფლდება სწავლების იმ ელემენტებისგან, რომლებიც, მათი საკუთარი რელიგიისა თუ ცხოვრების ფილოსოფიის თვალსაზრისით, განიხილება, როგორც ტოლფასი სხვა რელიგიის აღმსარებლობისა ან ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევრობისა.'

14.5 კომიტეტი აღნიშნავს, რომ CKREE საგნის სწავლებასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა შინაგანი დაძაბულობითა და წინააღმდეგობით ხასიათდება. ერთი მხრივ, კონსტიტუცია და განათლების აქტის მიზნის დებულება განათლების სისტემაში აშკარა უპირატესობას ანიჭებს ქრისტიანობას სხვა რელიგიებისა და მსოფლმხედველობის როლთან შედარებით. მეორე მხრივ, განათლების აქტის 2-4 განყოფილებაში განსაზღვრული განთავისუფლების დებულება იმგვარადაა ფორმულირებული, რომ თითქოსდა უზრუნველყოფს უფლებას სრულად განთავისუფლებისა CKREE საგნის ნებისმიერი ელემენტისგან, რომელსაც კონკრეტული მოსწავლე ან მშობელი სხვა რელიგიის აღმსარებლობად ან ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევრობად მიიჩნევს. თუ ამ დებულების განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა იმგვარად, რომ იგი გაითვალისწინებდა კონსტიტუციაში და განათლების აქტის მიზნის დებულებაში გამოხატულ უპირატესობას, ეს ალბათ პაქტის მე-18 მუხლის შესაბამისად იქნებოდა მიჩნეული.

14.6 თუმცა კომიტეტი მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ განთავისუფლების არსებული სისტემა, აბსტრაქტული თვალსაზრისითაც კი, საგულისხმო ტვირთს აკისრებს ავტორთა სიტუაციაში მყოფ ადამიანებს, რადგან იგი მათგან მოითხოვს გაეცნონ საგნის წმინდა რელიგიურ ასპექტებს, ასევე სხვა ასპექტებსაც, რათა განსაზღვრონ განთავისუფლების საჭიროება და დაასაბუთონ მისი მოთხოვნა. არც ის არის შეუძლებელი, რომ ასეთ პირებს ამ უფლების განხორციელების საშუალება არ მიეცეთ, რამეთუ ნაწილობრივ განთავისუფლების რეჟიმმა შეიძლება პრობლემები შეუქმნას ბავშვებს, რომლებიც განსხვავდებიან იმ ბავშვებისგან, რომლებიც სრულად განთავისუფლების სქემით სარგებლობენ. როგორც ავტორთა გამოცდილება უჩვენებს, განთავისუფლების მოქმედი სისტემა არ იცავს მშობელთა თავისუფლებას მათი შვილების რელიგიური და მორალური აღზრდა უზრუნველყონ საკუთარი რწმენის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით კომიტეტი აღნიშნავს, რომ CKREE საგანი აერთიანებს რელიგიის სწავლებას კონკრეტული რელიგიური რწმენის პრაქტიკასთან, მაგალითად, როგორცაა ლოცვების დაზეპირება, რელიგიური ჰიმნების შესრულება ან რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის მიღება (პუნქტი 9.18). მართალია, ასეთ შემთხვევებში მშობლებს შეუძლიათ ამ ღონისძიებებისგან განთავისუფლება მოითხოვონ ფორმის შესაბამის გრაფაში აღნიშვნის გაკეთებით, CKREE სქემა რელიგიის შესახებ სწავლებისა და რელიგიის პრაქტიკის ერთმანეთისაგან განცალკევებას არ უზრუნველყოფს ისეთი სახით, რომელიც განთავისუფლების სქემას პრაქტიკაში განხორციელებადს გახდიდა.

14.7 კომიტეტის აზრით, სირთულეები, რომლებსაც ავტორები წააწყდნენ, კერძოდ, ის ფაქტი, რომ შარია იანსენი და პია სუზან ორნიანი იძლეული იყვნენ შობის დღესასწაულთან დაკავშირებით რელიგიური ტექსტები დაეზეპირებინათ (მიუხედავად იმისა, რომ ისინი განთავისუფლების სქემაში იყვნენ ჩანერილი), ასევე ბავშვების მიერ ერთგულების გამო გადატანილი კონფლიქტები ამ სირ-

თულებს ამკარა დემონსტრირებას ახდენს. გარდა ამისა, რელიგიური ცოდნის გადაცემის გაკვეთილებისგან ბავშვების განთავისუფლებისათვის მიზეზების წარდგენის მოთხოვნა და მისალბე მიზეზთა კონკრეტულ სახეებზე მითითების არარსებობა კიდევ ერთ დაბრკოლებას უქმნის მშობლებს, რომლებიც ცდილობენ მათი შვილები კონკრეტული რელიგიური იდეების ზემოქმედების ქვეშ არ მოექცნენ. კომიტეტის აზრით, CKREE საგნის დღევანდელი სქემა, განთავისუფლების რეჟიმის ჩათვლით, როგორც იგი ავტორთა შემთხვევაში განხორციელდა, არღვევს პაქტის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტს.

ამ დასკვნის გათვალისწინებით კომიტეტმა მიიჩნია, რომ პაქტის მე-18 ან მე-17 და 26-ე მუხლებიდან რაიმე დამატებითი საკითხი არ წამოიჭრებოდა. მან მოპასუხე სახელმწიფოს "კომიტეტის მოსაზრებათა განხორციელების მიზნით მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციის" მიწოდებისთვის 90 დღის ვადა მისცა.

დ. შემდგომი ზომები

46. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის "მოსაზრებათა" შუქზე ნორვეგიის მთავრობამ KRL საგნის მოდიფიცირება გადაწყვიტა, განსაკუთრებით — 1998 წლის განათლების აქტში და პროგრამაში ცვლილებების შეტანით. F-02-05 ცირკულარული წერილის შესაბამისად იგი შემდეგ ელემენტებს მოიცავდა:

(i) 1-2 განყოფილების ქრისტიანული მიზნის დებულებაზე მითითების ამოღება 2-4(3) განყოფილებიდან;

(ii) საგნის მიზნებში სხვადასხვა რელიგიისა და ცხოვრების ფილოსოფიის ერთნაირი ხარისხობრივი აღწერა, სწავლების ცენტრალურ მასალაში სხვადასხვა რელიგიისა და ცხოვრების ფილოსოფიის არსებული პროპორციის შენარჩუნებით.

(iii) 2-4(4) განყოფილებიდან ნაწილობრივი განთავისუფლების დებულების ცალკე დებულებად გამოყოფა, რომელიც განთავისუფლების სქემაში სათანადოდ გაითვალისწინებს მშობელთა უფლებებს და უმცირესობათა დაცვის საჭიროებას; განთავისუფლების შესახებ მიმართვის დებულებების გამარტივება; აქტში სკოლის ვალდებულების ჩამოყალიბება ინფორმაციის მიწოდებასთან და განთავისუფლების სქემის პრაქტიკული განხორციელების შესახებ სკოლებში ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით.

(iv) ახალი პროგრამის შემუშავება, რომელშიც რელიგიის პრაქტიკად მიჩნეული ელემენტები მკაფიოდ იქნება გამოიჯნული სხვა ელემენტებისგან, მაგრამ შენარჩუნებული იქნება საგნის სხვადასხვა ელემენტების განაწილება.

(v) პროგრამის სწავლებისას სამუშაო მეთოდების არჩევაზე და საგნის ინსტრუქციებზე აქცენტის გაკეთება, რაც შეზღუდავს სწავლების ელემენტებში რელიგიის პრაქტიკულ განხორციელებას.

მრავალფეროვანმა და ინტერაქტიულმა სამუშაო მეთოდმა ხელი უნდა შეუწყოს საგნის ყველა ასპექტის გადაცემაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამუშაო მეთოდებს, რომლებიც შესაძლოა მიჩნეული იქნეს რელიგიის პრაქტიკულ განხორციელებად, ადაპტირებული სწავლების უზრუნველყოფის ჩათვლით.

(vi) შეთავაზებული ცვლილებები განხორციელდებოდა 2005-2006 სასწავლო წლიდან. ღონისძიებათა შემოღება 2005 წლის შემოდგომიდან მასწავლებელთა უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის განმტკიცებას მოითხოვდა. მთავრობა უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის განმტკიცებაზე მუშაობას დაიწყებდა ახალი პროგრამის შემუშავების დასრულებისთანავე.

(vii) მათი შვილის/შვილების ადაპტირებული სწავლების მიმართ მშობელთა სურვილებისადმი უფრო მოქნილი მიდგომები უნდა ჩამოყალიბდეს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს სრულად განთავისუფლება დროებით საფუძველზე იმ მშობლებისთვის, რომლებიც ამას მოითხოვდნენ შემოთავაზებული მუდმივი სქემების განხორციელებამდე.

მთავრობის დადგენილების საფუძველზე სამინისტრომ საჭირო ცვლილებების გადასინჯვა დაიწყო. 2005 წლის 29 აპრილს სამინისტრომ წინადადებები წარუდგინა მთავრობას, რომლებიც ამ უკანასკნელმა იმავე დღეს (*Of. prp.nr.91(2004-2005)*) დაამტკიცა, ხოლო 2005 წლის 17 ივნისს, ამ წინადადებათა საფუძველზე, სამინისტრომ გარკვეული ცვლილებები და დამატებები შეიტანა 1998 წლის განათლების აქტში, რომლებიც მაშინვე შევიდა ძალაში. აღნიშნულის შედეგად რამდენიმე შესწორება იქნა შეტანილი 2-4(1) განყოფილებაში (მაგალითად, სიტყვა "რწმენა" შეიცვალა ფრაზით "ქრისტიანობის გააზრება"; საფუძვლიანი ცოდნის მოთხოვნა შეიცვალა ქრისტიანული საზოგადოებების შესახებ ცოდნის მოთხოვნით), ხოლო 1-2 განყოფილების მიზნის დებულებაზე მითითება ამოიღეს 2-4(3) განყოფილებიდან (იხ. ზემოთ, პუნქტი 23). გარდა ამისა, ნაწილობრივ განთავისუფლების დებულება ამოიღეს 2-4(4) განყოფილებიდან და იგი ცალკე განყოფილებად (2-3A) ჩამოყალიბდა. მასში, *inter alia*, გათვალისწინებული იყო გამოთქმის "რელიგიური ღონისძიებები" (ყოფილ 2-4(4) განყოფილებაში), შეცვლა სიტყვით "ღონისძიებები" და ნაწილობრივ განთავისუფლების გავრცელება ისეთ ღონისძიებებზე, რომლებსაც მშობლები, თავიანთი რელიგიიდან ან ცხოვრების ფილოსოფიიდან გამომდინარე, საზიანოდ ან შეურაცხმყოფლად მიიჩნევენ (იმ ღონისძიებებთან ერთად, რომლებსაც ისინი სხვა რელიგიის აღმსარებლობად ან ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევრობად აღიქვამდნენ).

II. შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონი და პრაქტიკა

47. ქვემოთ მოცემულია 1998 წლის განათლების აქტის შესაბამისი დებულებები.

48. ნაწილობრივი განთავისუფლების მიმართვისთვის მშობლებისგან დასაბუთების წარდგენის მოთხოვნა აღწერილია F-90-97 და F-03-98 ცირკულარულ წერილებში, რომლებიც ციტირებულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში (იხ. ზემოთ, პუნქტი 48). ცირკულარულ წერილში სხვა პასაჟებიც იყო, რომლებიც რელევანტურია წარმოდგენილი საქმისთვის:

4. გაღანყვეტა: დიფერენცირებული სნავლება და პროგრამის ადგილზე ადაპტირება

4.1. ადაპტირებული სნავლება და პროგრამაზე ადგილზე მუშაობა როგორც მთავარი პრინციპი

სავალდებულო სასკოლო განათლების აქტის მე-13 განყოფილების მე-10 ქვეგანყოფილება ადგენს, რომ სკოლამ, განსაკუთრებით — დანყე-ბითმა სკოლამ, რომელიც განთავისუფლების შესახებ შეტყობინებას ლებულობს, საკითხი შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში უნდა გაღანყ-ვიტოს, 'პროგრამის ფარგლებში დიფერენცირებული სნავლების' უზრუნ-ველყოფის მეშვეობით.

აქტში ნახსენები დიფერენცირებული სნავლება მჭიდროდაა დაკავში-რებული სნავლების პრინციპების ადაპტირებასთან, რომლებიც ზოგადად ხაზგასმულია სასკოლო პროგრამაში (*Læreplanverket*, L97) და ჩართულია სავალდებულო სასკოლო განათლების აქტის მე-7 განყოფილებაში. პრინ-ციპებსა და მითითებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთო-ბისა და ადაპტაციის პრინციპებს ერთიანი სასკოლო სქემის ფარგლებში. ქვემოთ მოცემულია მათი ფორმულირება:

საჭიროა ინდივიდუალური ადაპტირება, რათა ყველა მოსწავლემ თა-ნაბარი უზრუნველყოფა მიიღოს. ამ მიზნით სასკოლო კურსის ყველა ას-პექტი — გაკვეთილის გეგმა, სამუშაო მეთოდები, ორგანიზება და და-მხმარე სასწავლო მასალა — ადაპტირებული უნდა იქნეს მოსწავლეთა შესაძლებლობებთან.

გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ეს იძლევა განსხვავებული მიდგომებისა და გაკვეთილის გეგმის ღრმად შესწავლის შესაძლებლობას, ასევე მასალის ტიპის, სირთულის, მოცულობის, სნავლების ტემპისა და თანმიმდევრულო-ბის ცვლილების საშუალებას (იხ. L97/L97S).

...

4.2 დიფერენცირება ღ საგნის პროგრამაში — დიფერენცირება ღონისძიებებისა და არა ცოდნის

ნორმატიული აქტის შესაბამისად, სკოლა, რომელიც განთავისუფლე-ბის შესახებ შეტყობინებას ლებულობს, ვალდებულია მოძებნოს საკითხის გაღანყვეტის გზა, სადაც გათვალისწინებული იქნება პროგრამის ფარგლე-ბში დიფერენცირებული სნავლება. დიფერენცირებული სნავლების მუნი-ციპალური ვალდებულება მაქსიმალური ინტენსივობით მოითხოვება, გან-საკუთრებით — დანყებითი სკოლის დონეზე. ნორმატიული აქტი აცხადებს, რომ დიფერენცირებული სნავლება უნდა განხორციელდეს იგივე პროგრა-მის შესაბამისად და რომ ეს არის არა ცოდნის, არამედ ღონისძიებათა დი-ფერენცირება. ვინაიდან საგნის ცოდნისგან განთავისუფლება დაშვებული არ არის, მოსწავლეებმა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ განთავისუფლება, სნავლება უნდა გაიარონ პროგრამის ფარგლებში.

ნანილობრივი განთავისუფლების გამოყენების შემთხვევებში, ალტერნატივა არის არა სხვა საგნის ან სხვა პროგრამის სწავლება, არამედ სხვა ღონისძიებები და KRL საგნის პროგრამასთან მუშაობის სხვა ფორმები. სკოლამ აღნიშნული ცოდნა მოსწავლეს უნდა გადასცეს სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომებით. განთავისუფლება მაინც შეიძლება ზოგიერთი ძირითადი თემისგან, რომელიც კონკრეტულ ღონისძიებებს შეიცავს. ამის მაგალითია, ძირითადი თემა, რომელიც მოსწავლისაგან ათი მცნების დაზეპირებას მოითხოვს (*ქრისტიანული რწმენა და ეთიკა*, მე-6 კლასი). თუმცა არ შეიძლება ვინმეს არ მოეთხოვოს იცოდეს ათი მცნების შესახებ.

სწავლების დიფერენცირებული კურსი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა რელიგიურ კუთვნილებას ან ფილოსოფიურ შეხედულებებს და მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მოცემულ კლასში ყველა მოსწავლე ცოდნის ერთსა და იმავე სფეროს ითვისებდეს, მაგრამ სხვადასხვა ადაპტირებული მეთოდებით.

დიფერენცირების საჭიროების ფარგლები დამოკიდებულია

- იმ რელიგიურ ან ფილოსოფიურ ჯგუფზე, რომელსაც მშობელთა ჯგუფები მიეკუთვნებიან, და
- იმ ღონისძიებათა სახეებზე, რომელთაგან განთავისუფლებასაც ისინი ითხოვენ.

6. სპეციფიკურ ღონისძიებათა დიფერენციაცია

KRL საგნის ინსტრუქცია შეიცავს საგანზე მუშაობისთვის საჭირო განმარტებებს, ასევე განიხილავს საკითხებს, რომლებიც ქვემოთაა მოცემული. თუმცა ზოგიერთი საკითხი უფრო ამომწურავადაა განხილული. იხილე აგრეთვე ინსტრუქციაში მოცემული კონკრეტული მაგალითები თითოეული სასწავლო წლისათვის.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს მაგალითები სხვადასხვა ღონისძიებაზე მუშაობის შესახებ და ვიხილავთ სხვა საკითხებს, რომლებიც შესაძლოა ამ განხილვის დროს წამოიჭრას:

6.1 ლოცვები, მრწამსი და სხვა მნიშვნელოვანი რელიგიური ტექსტები

ზოგიერთი ღონისძიება, როგორცაა მრწამსის დაზეპირება და მოყოლა, ათი მცნება და ლოცვები (LS97 გვ. 96 და 101; და L97S გვ. 101-109), ზოგმა მშობელმა და მეურვემ შეიძლება მიიჩნიოს კონკრეტული რელიგიის აღმსარებლობად და/ან მის მიმდევრობად. ასეთი სახის ღონისძიებებიდან განთავისუფლების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ სკოლამ დიფერენცირებული სწავლება უნდა შესთავაზოს, რაც მოსწავლეს ამ ტიპის მასალაზე განსხვავებული მუშაობის საშუალებას მისცემს.

თუ მშობლები ამას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ, მათ შეუძლიათ ნება დართონ თავიანთ შვილებს დაესწრონ ლოცვებს და სხვა რელიგია-

თა მრწამსის გადაცემის ღონისძიებებს, იმ პირობით, რომ ბავშვებს დაეხმარებიან საჭირო დისტანციაზე იყვნენ ამ მასალისაგან და იქ მიმდინარე მოვლენებისაგან (ამასთან დაკავშირებით იხილე ზედა განყოფილება, რომელიც მონანილისა და მაყურებლის როლს ეხება). ასეთი ღონისძიებები ასევე შეიძლება დაიგეგმოს ინდივიდუალური სამუშაო პერიოდისთვის და ჯგუფური სამუშაოსთვის, რომელშიც ადაპტირებულია სხვადასხვა მიდგომები.

6.2 ჰიმნების მღერა

მაშინ, როდესაც ქრისტიანული ტრადიციების მქონე ბავშვებისთვის ჰიმნთა სიმღერის გაკვეთილებია ორგანიზებული მათი რელიგიისა და კულტურული ტრადიციების მნიშვნელოვანი მახასიათებლების უკეთ აღქმის მიზნით, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე მოსწავლეებს, რომლებიც ამ ტრადიციას არ მისდევენ. ჰიმნთა მღერა შეიძლება ქრისტიანული ცოდნის და რელიგიის და ეთიკური განათლების გაკვეთილების მიღმაც განხორციელდეს, მაგალითად, მუსიკის სწავლების პერიოდში. ჰიმნები შეიძლება ჩართული იქნეს სიმღერის საათებში, როდესაც მათ მუსიკალურ კონტექსტს ექცევა ყურადღება და განიხილება, როგორც ჩვენი სასიმღერო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი.

მოსწავლეებმა, რომლებიც ჰიმნთა მღერისგან განთავისუფლებული არიან, ჰიმნზე სხვა სახით უნდა იმუშაონ, შეიძლება ცალკე ჯგუფში. მათ შეუძლიათ მოისმინონ ჰიმნი და შემდეგ მათ შეიძლება მისცენ შემდეგი სახის დავალებები: რის შესახებ არის ჰიმნის ტექსტი? შეგიძლიათ დაუკავშიროთ ჰიმნის შინაარსი კონკრეტულ დღესასწაულს? თუ ასეა — რატომ? რატომ არის ეს ჰიმნი მნიშვნელოვანი ქრისტიანული ტრადიციისთვის? კიდევ ერთი შესაძლებლობა შეიძლება იყოს ჰიმნთა და სიმღერების გამოყენება დემონსტრირების სამუშაოსთვის, რომელიც მოიცავს სიმღერებში, ჰიმნებსა და მუსიკაში მეტ ჩალრმავებას და მათი ფუნქციების განსაზღვრას სხვადასხვა რელიგიებში.

იხილე აგრეთვე *KRL* საგნის სწავლების ინსტრუქცია, გვ. 23.

6.3 ეკლესიებში და რელიგიური შეკრებების სხვა შენობებში რიტუალებზე დასწრება/ვიზიტები

ზოგ მშობელს შეიძლება სურდეს, მისი შვილი განთავისუფლებული იყოს ეკლესიაში ან სხვა საღმრთო მსახურების შენობაში შესვლისგან. ზოგმა შესაძლოა სწავლების სიტუაციაში ერთმანეთისაგან განასხვავოს ღვთისმსახურებაზე დასწრება და ეკლესიაში ან სხვა რელიგიური ხასიათის შეკრების ადგილების ექსკურსიის სახით მონახულება. რა პოზიციაც არ უნდა ჰქონდეს მშობელს, ასეთი ვიზიტების დაგეგმვისას აუცილებელია სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობა.

ექსკურსიები

მეოთხე კლასში მოსწავლეები უნდა გაეცნონ ეკლესიათა სქემებს, ელემენტებს და შიდა მონყობილობას, ასევე ზოგიერთ მნიშვნელოვან ქრისტიანულ სიმბოლოებს (პროგრამის თემები: *ქრისტიანული დღესასწაულები, რელიგიური სიმბოლოები, ადგილობრივი ქრისტიანული მრევლის ცხოვრება*). მრავალი მოსწავლე ამის შესახებ ცოდნას პედაგოგთა მიერ ადგილობრივ ეკლესიაში ექსკურსიის მეშვეობით ღებულობს. აქ ფოკუსირება ხდება ინფორმაციის მიწოდებაზე და ობიექტის გაცნობის მიზნებზე. გადაცემული ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს ეკლესიის შენობის ისტორიას, ეკლესიის დეკორაციას, სიმბოლოებს და სხვადასხვა საგნის დანიშნულებას.

ზოგმა მშობელმა/მეურვემ შესაძლოა ასეთი სახის ექსკურსიისგან ბავშვის განთავისუფლება მოითხოვოს, რადგან მიიჩნის, რომ იგი რელიგიურ საქმიანობაში მონაწილეობის ტოლფასია.

მოსწავლეთათვის, რომლებიც ეკლესიაში ვერ მიდიან, შეიძლება სკოლაში იქნეს ორგანიზებული სხვა ღონისძიება. იგი დაკავშირებული უნდა იყოს იმავე სფეროსთან, რათა მოსწავლეებმა იმავე სახის ცოდნა მიიღონ, რომელსაც ეკლესიაში ვიზიტის დროს მიიღებდნენ. მაგალითად, გაცნობის მიზნით საინფორმაციო ბუკლეტების, ადგილობრივი ისტორიის შესახებ პუბლიკაციების (არსებობის შემთხვევაში), მოცემული ეკლესიის ნახაზების, სურათების ან პლაკატების გადაცემა.

მაგალითები იხილე *KRL* საგნის სწავლების ინსტრუქციის 44-ე გვერდზე.

მსახურება სკოლაში

დანებებითი სკოლების მიზანთა აღწერაში (L97 გვ. 94 და L97S გვ. 100) ნათქვამია, რომ მოსწავლეებმა უნდა იარონ ადგილობრივი თემის ეკლესიაში და *დაესწრონ ღვთისმსახურებას*. ხაზგასმითაა ნახსენები, რომ ასეთი დასწრება სასკოლო განათლების ნაწილია (და არა ეკლესიის ბაპტისმალური მომზადების ელემენტი). ზოგიერთმა მოსწავლემ, რომელიც არაქრისტიანული ტრადიციის მიმდევარია, შეიძლება მოითხოვოს განთავისუფლება სკოლაში ორგანიზებული მსახურებისგან ან სხვა მსგავსი ღონისძიებისგან. ასეთ მოსწავლეებს დიფერენცირებული სწავლება უნდა შესთავაზონ. მაგალითად, თუ მოსწავლე მსახურებას ესწრება, მას შეიძლება დაავალონ დააკვირდეს ლიტურგიის სხვადასხვა ეტაპებს, აღნიშნოს, რა კავშირშია ჰიმნები მსახურების ძირითად თემებთან ან ნახოს როგორ ეხმარება გამოსახულება, ფერი, ტექსტი და მუსიკა მსახურების თემათა აღქმას.

ზოგმა მშობელმა შესაძლოა ღვთისმსახურებაზე დასწრებისგან სრულად განთავისუფლება მოითხოვოს. ამ მოსწავლეებს უნდა გააცნონ ქრისტიანული მსახურება დასწრებისაგან განსხვავებული ფორმებით, მაგალითად, საკლასო ოთახში სწავლებით, სადაც აქცენტი გადატანილი იქნება სურათებზე, მუსიკასა და ტექსტებზე.

ის, რაც აქ ეკლესიებთან დაკავშირებით ითქვა, ასევე ეხება მეჩეთების, სინაგოგების, ტაძრებისა და რელიგიური თავშეყრის სხვა ადგილების მონახულებას.

ილუსტრაციები და გამოსახულებათა აკრძალვა

განახლებული მსჯელობა იხილე KRL საგნის ინსტრუქციის 22-ე გვერდზე. *განსაკუთრებით პრობლემური იგაეები, პარალელური გამოსახულებები უფრო დეტალური მსჯელობა იხილე KRL საგნის ინსტრუქციის 30-ე, 32-ე, 50-ე და 52-ე გვერდებზე.*

6.4 სხვა სფეროები

სამინისტრომ მიიღო შეკითხვები ქრისტიანული ცოდნის კურსისა და რელიგიური და ეთიკური განათლების სხვა ასპექტების შესახებ, მათ შორის:

სასცენო წარმოდგენები

პიესებს, პანტომიმას და სასცენო წარმოდგენებს შეუძლია ხელი შეუწყოს სასწავლო მასალის მიმართ კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას და მოსწავლეთა შორის ერთიანობის განმტკიცებას. ამასთანავე, ასეთი მიდგომები შეიძლება მოიცავდეს ღონისძიებას, რომლისგან შეიღების განთავისუფლებაც შეიძლება ისურვოს ზოგმა მშობელმა/მეურვემ. ეს შეიძლება ეხებოდეს სასცენო წარმოდგენებს, სადაც პერსონაჟები წმინდანები არიან, მაგალითად, დაბადების თემაზე შექმნილ პიესებს.

ზოგმა შესაძლოა თქვას, რომ ეს არის 'ღონისძიება', რომლისგანაც სურს განთავისუფლება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად შეიძლება მოცემულ მოსწავლეებს სასცენო წარმოდგენებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი დავალება მისცენ, მაგალითად, დეკორაციის მომზადება, განათებისა და გახმოვანების დაგეგმვა, მათი დამონტაჟება და შემონახვა; უნდა მომზადდეს პროგრამები. საჭირო იქნებიან კონფერანსიუ და მთხრობელი. საჭირო არიან ჟურნალისტები, რომლებიც პროგრამის აქტიური მონაწილეებისაგან ინტერვიუს აიღებენ, აღწერენ ღონისძიებას და წარმოდგენის შემდეგ საკლასო გაზეთს გამოუშვებენ. ეს არის რამდენიმე მნიშვნელოვანი დავალება, რომელიც შეიძლება შეასრულონ იმ მოსწავლეებმა, რომლებსაც სასცენო წარმოდგენებში უშუალო მონაწილეობა არ სურთ. ასევე არის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება კლასში მათი ბუნებრივი ინტეგრირება, იმავდროულად მათ საშუალება ექნებათ, შეიძინონ მაყურებლის ჩვევები წარმოდგენილი მასალის და მისი წარმოდგენის ფორმის მიმართ.

ზოგმა მშობელმა შეიძლება თქვას, რომ მათი შვილები არ უნდა იყვნენ ჩართული არც სასცენო წარმოდგენებში და არც მათთან დაკავშირებულ რაიმე საქმიანობაში. ეს პოზიცია გათვალისწინებული უნდა იქნეს და ასეთი მოსწავლეებისთვის სხვა დავალებები უნდა მომზადდეს.

7. თანამშრომლობა სკოლასა და ოჯახს შორის — ღიაობა და ობიექტურობა

როდესაც მშობლები დარწმუნებული არიან, რომ საგნის სწავლება არ ეწინააღმდეგება მათ მრწამსს, საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა სკოლასა და ოჯახს შორის.

მშობელთა რელიგიის ცოდნისა და ფილოსოფიური მიმდევრობის საფუძველზე მასწავლებლებს შეუძლიათ შეეცადონ დაგეგმონ მათი სწავლება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს განთავისუფლების საჭიროებას. საგნის სასწავლო გეგმა რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა შემუშავდეს. გეგმაში სკოლამ უნდა აღწეროს დიფერენცირებული შეთავაზებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სვადასხვა რელიგიისა და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად. მშობლებისთვის გეგმის წარდგენა მათ საშუალებას მისცემს განიხილონ კონკრეტული ღონისძიებებისგან განთავისუფლების საჭიროება, თუ ასეთი სურვილი გაუჩნდებათ.

ნაწილობრივ განთავისუფლების მიზნით მშობლებმა წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნონ სკოლას. მათ სასკოლო პროგრამაში უნდა მიუთითონ რომელ ღონისძიებებს მიიჩნევენ სხვა რელიგიის აღმსარებლობად ან ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევრობად. ამის შემდეგ მშობლებმა უნდა გადაწყვიტონ — აირჩიონ დიფერენცირების ზოგადი შემოთავაზება, თუ სკოლას იგი შემუშავებული აქვს, ან, ამასთან ერთად, თუ ეს შესაძლებელია, ინდივიდუალური დიფერენცირებული შემოთავაზება მოითხოვონ. სკოლასა და ოჯახს შორის ამ გზით დამყარებული დიალოგის მეშვეობით შესაძლებელია მოსწავლეთათვის სფეციფიკური სწავლების განსაზღვრა.

თუ მშობლები სკოლას აცნობებენ, რომ სურთ განთავისუფლება მხოლოდ ამკარად რელიგიური ღონისძიებებისგან, რომლებიც კანონმდებლობის მიზნებისთვის აღწერილია, როგორც *‘მრწამსის ან ლოცვათა წარმოთქმა, რელიგიური ტექსტების და ზეპირება, ჰიმნთა მღერაში მონაწილეობა და სხვადასხვა მრევლში რიტუალებსა და ღვთისმსახურებაზე დასწრება’*, ასეთი შეტყობინება ზოგადად სწორედ ამ ტიპის ღონისძიებებს ეხება. აქედან გამომდინარე, თითოეული რელიგიური ღონისძიების შესახებ შეტყობინების გაგზავნა საჭირო არ არის.

სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის პროცესში სკოლის კოლექტივმა პატივი უნდა სცეს მოსწავლეთა განსხვავებულ რელიგიურ კუთვნილებას. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენობრივი და კულტურული უმცირესობების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას.

8. ადმინისტრაციული პროცედურები

განთავისუფლების შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებები ინდივიდუალური დადგენილებებია საჯარო ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე და, აქედან გამომდინარე, მათი გასაჩივრე-

ბა შეიძლება ეროვნული განათლების ოფისებში სავალდებულო სასკოლო განათლების აქტის 34-ე განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილების შესაბამისად. მუნიციპალიტეტს შეუძლია გადაწყვეტილების მიღების დელეგირება მოახდინოს სკოლის დირექტორზე. დადგენილების მიღებამდე საკითხი ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი; იხილე საჯარო ადმინისტრაციული აქტის მე-17 განყოფილება.

9. სახელმძღვანელოები — საგნის სწავლების ერთ-ერთი საშუალება

სამინისტროს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ სავალდებულო სასწავლო პროგრამა და არა სახელმძღვანელოები. საგნის სახელმძღვანელო სწავლების ერთ-ერთი საშუალებაა, მრავალ სხვა საშუალებასთან ერთად, რომლებიც საგნის მიზნების მისაღწევად გამოიყენება.

სავალდებულო სწავლებაში გამოყენებული სახელმძღვანელოები უნდა დამტკიცდეს. მაშინაც კი, როდესაც სახელმძღვანელო უკვე დამტკიცებულია, მასში შეცდომების არსებობის რისკი მაინც არსებობს. თუ მასწავლებელი სახელმძღვანელოში შესაძლო შეცდომას შეამჩნევს, იგი საკითხს უფრო დეტალურად უნდა ჩაუღრმავდეს, რათა საგნის სწორად სწავლება უზრუნველყოს.

მიუხედავად იმისა, რომ საგნის სახელმძღვანელოთა მარეგულირებელი სპეციალური გადასინჯვა გაუქმდა (ყოფილი დებულება სახელმძღვანელოთა შესახებ, განყოფილება 4), სამინისტრო აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელოთა გადასინჯვის სისტემა კვლავ იარსებებს. სხვა სახელმძღვანელოებთან ერთად განხილული იქნება სახელმძღვანელოები რელიგიური და ფილოსოფიური საზოგადოებებისთვის, რათა სხვადასხვა რელიგია და ფილოსოფიური მრწამსი წარმოდგენილი იქნეს მისი კონკრეტული მახასიათებლების შესაბამისად.

49. სამინისტროს მიერ 1999 წელს გამოშვებული ნორვეგიის ათწლიანი სავალდებულო სწავლების პროგრამა ("პროგრამა") აცხადებს:

"საგნის სწავლების მიზანია მოსწავლეებს გადასცეს დეტალური ცოდნა ქრისტიანობისა და ცხოვრებაზე ქრისტიანული შეხედულებების შესახებ, ასევე საკმარისი ცოდნა სხვა რელიგიათა და ფილოსოფიების შესახებ. შესაბამისად, პროგრამის მნიშვნელოვანი ელემენტებია ბიბლიური მოთხრობები და სხვა ბიბლიური მასალა, ქრისტიანობის ისტორიის განვითარების ძირითადი მიმართულებები და მთავარი მოქმედი პირები და ქრისტიანული რწმენისა და ქრისტიანული ეთიკის საფუძვლები. საგანი ასევე მოიცავს დღეისათვის მოქმედ რელიგიათა ძირითად მახასიათებლებს და ფილოსოფიურ მრწამსს, ასევე კაცობრიობის ბუნებასთან დაკავშირებული ფილოსოფიისა და ზოგადი ეთიკის მთავარ საკითხებს. როგორც ქრისტიანობის, ისე სხვა რელიგიებისა თუ მიმდინარეობათა სწავლებისას ერთი და იგივე მეთოდები უნდა გამოიყენებოდეს. საგნის გადაცემა უნდა მოხდეს გახსნილი სახით და მან ხელი უნდა შეუწყოს არსში წვდომას, პატივისცემასა და დიალოგს რწმენათა და ფილოსოფიათა შორის არსებულ საზღვრებში, ასევე რელიგიური და მორალური საკითხების აღქმას და შემწყნარებ-

ლობას. საკლასო ოთახი რომელიმე კონკრეტული რელიგიის ქადაგების ადგილი არ არის. საგნის სწავლების მიზანია კონკრეტული რწმენის შესახებ ინფორმაციის გადაცემა და არა ამ რწმენის დანერგვა. მან ასევე უნდა გაითვალისწინოს ინდივიდუალურ მოსწავლეთა თვითმყოფადობის განცდა და მათი კულტურული კუთვნილება, თუმცა იმავდროულად უნდა განავითაროს დიალოგი ზიარი კულტურის ფარგლებში.

სხვადასხვა რწმენისა და ცხოვრებაზე შეხედულებების უკეთ აღქმის მიზნით ისინი ნაცნობ კონტექსტში უნდა დალაგდეს. სავალდებულო სასკოლო განათლების სისტემაში საგანს სხვადასხვა ფუნქცია აქვს, როგორცაა, ტრადიციების გადაცემა, თვითმყოფადობის განცდის შენარჩუნება, შინაგან ხედვათა დაკავშირება და დიალოგის ხელშეწყობა“.

საგნის სტრუქტურა

| | დაწყებითი ეტაპი | საშუალო ეტაპი | საშუალო განათლების დაბალი ეტაპი |
|------------------------------------------------|--------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------|
| ბიბლიის სწავლა | ცნობილი მოთხრობები ბიბლიიდან | ძირითადი ბიბლიური იგაეები | ბიბლიური ჟანრი; ბიბლია, როგორც წმინდა წერილი; ბიბლიის ისტორია |
| ქრისტიანობის ისტორია | მნიშვნელოვანი ცალკეული ეპიზოდები | ადრინდელი ისტორია: ტენდენციები, პიროვნებები, კულტურული გამოხატვა | თანამედროვე ისტორია: ტენდენციები, პიროვნებები, კულტურული გამოხატვა |
| ქრისტიანობის თანამედროვე შეხედულება ცხოვრებაზე | დღესასწაულები, სიმბოლოები, ქრისტიანობა საზოგადოებაში | ქრისტიანული რწმენა და ეთიკა | ქრისტიანული კონფესიები, მსგავსება და განსხვავება |
| სხვა რელიგიები | სხვა რელიგიები და მიმართულებები, მოთხრობები და დღესასწაულები | ისლამი, იუდაიზმი, ინდუიზმი, ბუდიზმი, საერო ორიენტაცია | თანამედროვე რელიგიური გამოხატვა |
| ეთიკა/ ფილოსოფია | ეთიკური ცნობიერება: ჩემი და შენი, მე და სხვები | ეთიკური ცნობიერება: ღირებულებები და არჩევანი | აღაშინის ფილოსოფიური განმარტება: ღირებულებები და ნორმები |

ვინაიდან საგანი ახალია და იგი მოსწავლეებისთვის არის გამიზნული, მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა მრწამსის მქონე მშობლებმა და მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ სასწავლო გეგმა და მისი შინაარსი. იმისათვის, რომ მშობლებს სრული წრმოდგენა ჰქონდეთ სასწავლო გეგმის შესახებ, იგი იმგვარად უნდა იქნეს ფორმულირებული, რომ ისინი ადვილად მიხვდნენ რა თემებთან ექნებათ შეხება მოსწავლეებს სწავლების სხვადასხვა ეტაპზე.

50. პროგრამაში ჩამოყალიბდა საგნის მთავარი მიზნები და ამოცანები და საგნის ძირითადი ელემენტები I—IV, V—VII და VIII—X კლასებისთვის.

საგნის ძირითადი მიზნები შემდეგი სახით იყო აღწერილი:

- ბიბლიისა და ქრისტიანობის, როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და რწმენის, მორალისა და ცხოვრებაზე შეხედულების ცოცხალი წყაროს, დეტალური გაცნობა მოსწავლეთათვის
- მოსწავლეთათვის ქრისტიანობისა და ჰუმანურ ღირებულებათა გაცნობა, რომლებსაც სასკოლო განათლება ეფუძნება
- მსოფლიოს სხვა რელიგიათა და ორიენტაციების, როგორც რწმენის, მორალისა და ცხოვრებაზე შეხედულების ცოცხალი წყაროს, გაცნობა მოსწავლეთათვის
- რწმენის საკითხებზე განსხვავებული შეხედულებებისა და ცხოვრების განსხვავებული ეთიკური ორიენტაციის მქონე ადამიანებს შორის ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და დიალოგის უნარის განმტკიცების ხელშეწყობა
- მოსწავლეთა პიროვნული აღზრდისა და განვითარების სტიმულირება

I—IV კლასებისთვის ამოცანების ჩამოყალიბების შემდეგ პროგრამაში ჩამოთვლილია საგნის ძირითადი ელემენტები ამ კლასებისთვის. თითოეული მათგანი შემდეგნაირადაა დასათაურებული: “ბიბლიური მოთხრობები”, “თხრობითი მასალა ეკლესიის ისტორიიდან”, “ქრისტიანული დღესასწაულები, რელიგიური სიმბოლოები და ადგილობრივი ქრისტიანული საზოგადოების ცხოვრება”, “მორალური ცნობიერების განვითარება: მე და სხვები”. “სხვა რელიგიები და ეთიკური ორიენტაციები” შეიცავს “იუდაიზმს”, “ისლამს”, “ინდუიზმს”, “ბუდიზმს”, “ჰუმანიზმს” და “ბერძნულ მითოლოგიას”.

პროგრამაში ჩამოყალიბებულია საგანთან დაკავშირებული ამოცანები V—VII კლასებისთვის. მასში არის შემდეგი პასაჟი:

“ქრისტიანული სარწმუნოება და ეთიკა

მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლები და ქრისტიანული ეთიკა, ლუთერის მცირე კატეხიზმოს შუქზე.

სხვა რელიგიები

მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ისლამის, იუდაიზმის, ინდუიზმის და ბუდიზმის ძირითადი მახასიათებლები და მათი მნიშვნელოვანი იგავები.

საერო ორიენტაცია

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ საერო ორიენტაციის შესახებ, ჰუმანისტური ტრადიციებისა და ცხოვრებაზე თანამედროვე ჰუმანისტური შეხედულებების შესახებ.”

V—VII კლასების საგნის ძირითადი ელემენტები მოიცავდა “ბიბლიის ისტორიას”, “ადრეული ქრისტიანობის ისტორიას” (“შუა საუკუნეებს” VI

კლასში და "რეფორმისტულ პერიოდს" VII კლასში), "ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ეთიკას". საგანი "სხვა რელიგიები" მოიცავდა "ისლამს" V კლასში, "იუდაიზმს" VI კლასში და "ინდუიზმს" და "ბუდიზმს" VII კლასში. გარდა ამისა, V—VII კლასებში საგანი შეიცავდა შემდეგ ელემენტებს: "მორალური ცნობიერების განვითარება: ღირებულებები და არჩევანი" და "საერო ორიენტაცია".

VI კლასისთვის, *inter alia*, განსაზღვრული იყო:

"ქრისტიანული სარწმუნოება და ეთიკა

მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ:

- ზეპირად ისწავლონ ათი მცნება და გაეცნონ მთაზე ქადაგების ფუნდამენტურ ეთიკურ იდეალებს;
- ისწავლონ, თუ როგორ გამოიყენებოდა ეს ფუნდამენტური ეთიკური ტექსტები ქრისტიანობის ისტორიაში და როგორ გამოიყენება ისინი დღეს."

ჩამონათვალში, თემის "სხვა რელიგიები, იუდაიზმი" მიმართ, არ იყო ნახსენები "გაცნობის" ტოლფასი ტერმინი.

VIII—X კლასებისთვის საგანთან დაკავშირებული ამოცანების მითითების შემდეგ პროგრამაში ჩამოთვლილი იყო საგნის ძირითადი ელემენტები, კერძოდ, "ბიბლიის ისტორია, მხატვრული ჟანრი ბიბლიაში", "ქრისტიანობის თანამედროვე სხვადასხვა განმარტება", "რელიგიის გამოსხატვა ჩვენს დროში", "ადამიანის ფილოსოფიური განმარტება, ღირებულებები და ნორმები".

საჩივრები

51. განმცხადებელი მშობლები ჩიოდნენ, რომ კომპეტენტური შიდასახელმწიფო ორგანოების მიერ ბავშვების KRL საგნისგან განთავისუფლების მოთხოვნის დაუქმყოფილებლობით დაირღვა მშობლების უფლებები კონვენციის საფუძველზე. რელიგიის სწავლების გაკვეთილებზე ბავშვების სავალდებულო დასწრებით მოხდა მათი მშობლების სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებაში გაუმართლებელი ჩარევა კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე. ამით ასევე დაირღვა მშობელთა უფლება 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს განათლებას და სწავლებას მათი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად.

52. გარდა ამისა, ნაწილობრივ განთავისუფლების უფლების განხორციელების ძირითადი ასპექტებიდან გამომდინარე, სირთულეები წიშნავდა, რომ არაქრისტიან მშობლებს მეტი ტვირთი ეკისრებოდათ, ვიდრე ქრისტიანებს, რადგან მათ არ სჭირდებოდათ KRL საგნისგან განთავისუფლება, რომელიც უმრავლესობის პოზიციის შესაბამისად იყო შემუშავებული. მათი აზრით, ეს დისკრიმინაციის ტოლფასი იყო. ამრიგად, ასევე დაირღვა კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლები და 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

სამართალი

I. 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

53. განმცხადებელი მშობლები ჩიოდნენ როგორც კონვენციის მე-9 მუხლის, ისე 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, იმის გამო, რომ შიდასახელმწიფო ორგანოებმა მათ შვილებს არ მიანიჭეს განთავისუფლება KRL საგნისგან, რომელიც ქრისტიანობას, რელიგიასა და ფილოსოფიას ასწავლიდა ნორვეგიის ათწლიან სავალდებულო სასკოლო განათლების სისტემაში.

54. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე ბავშვთა საჩივრები 2004 წლის 26 ოქტომბერს დაუშვებლად იქნა გამოცხადებული, სასამართლო აღნიშნავს, რომ მშობელთა საჩივრის განხილვა უფრო მიზანშეწონილია 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, როგორც *lex specialis* განათლების სფეროში. აღნიშნული მუხლი აცხადებს:

"არავის არ შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე. ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება."

ა. მხარეთა მოსაზრებები

1. განმცხადებლები

55. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ KRL საგანი არც ობიექტური იყო, არც მნიშვნელოვანი და არც პლურალისტული 1-ლი ოქმის მე-2 მუხლით დაფუძნებულ კრიტერიუმთა მიზნებისთვის, რომლებიც სასამართლომ განსაზღვრა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი*. ამ კონტექსტში ისინი ასევე მიუთითებდნენ "ნეიტრალურობისა და ობიექტურობის" კრიტერიუმზე, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით გამოაცხადა გაეროს კომიტეტმა საქმეში *ჰარტიკაინენი ფინეთის წინააღმდეგ*. მოსწავლეთა რელიგიურ თვითმყოფადობაზე ძირითადი აქცენტის გადატანა, ქრისტიანული მიზნის დებულების სამართლებრივი ჩარჩო, პროგრამა, რომელმაც სრულად შეითვისა რელიგიური ხედვა და აქებდა ქრისტიანულ რწმენას და ტრადიციებს, სახელმძღვანელოები, რომლებიც ტრადიციულ ქრისტიანულ მოძღვრებას შეიცავდა, საბოლოო ჯამში აშკარად მიუთითებდა, რომ პროგრამა ობიექტური არ იყო.

56. სადავო საკითხი, კერძოდ, არღვევდა თუ არა ნორვეგიის დანყებით სკოლის საგანი ადამიანის უფლებათა შესაბამის სტანდარტებს რელიგიის თავისუფლების, მშობელთა უფლებების, პირადი ცხოვრების თავისუფლებისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ქრისტიანული დომინირების მქონე საზოგადოების უფრო ფართო კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. ნორვეგიას ჰქონდა სახელმწიფო რელიგია და სახელმწიფო ეკლესია, სადაც კონსტიტუციური უპირატესობა ქრისტიანულ (ევანგელისტურ-ლუთერანულ) რწმენას ენიჭებოდა. სახელმწიფო სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში ქრისტიანული მიზნის დებულება მოქმედებდა. სახელმწიფო ეკლესიის მღვდელმსახურები იყვნენ შეიარაღებულ ძალებში, ციხეებში, უნივერსიტეტებსა და საავადმყოფოებში. სახელმწიფო მაუწყებლობაში გადასცემდნენ ქრისტიანულ ლოცვებსა და მსახურებას. მოსახლეობის არანაკლებ 86% სახელმწიფო ეკლესიას — ნორვეგიის ეკლესიას მიეკუთვნებოდა.

57. მიუხედავად ამისა, არაქრისტიანი მოსახლეობისთვის რელიგიის თავისუფლება სხვადასხვა სახით იყო უზრუნველყოფილი, მათ შორის, სახელმწიფო სკოლებში მანამდე არსებული ქრისტიანული მოძღვრების სწავლების გაკვეთილებისგან განთავისუფლების სქემებით. ზოგადი განთავისუფლების უფლება, რომლითაც 150-ზე მეტი წლის განმავლობაში სარგებლობდნენ, 1997 წელს KRL საგნის შემოღების შემდეგ გაუქმდა. მთავრობის ერთ-ერთი მიზანი იყო მნიშვნელოვანი საკითხების სწავლებისას — მაგალითად, სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, ან სხვადასხვა წარმომავლობის უკეთ შემეცნება — ყველა მოსწავლის თავმოყრა საკლასო ოთახში.

58. განმცხადებლები არ ეწინააღმდეგებოდნენ კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობისკენ სწრაფვას, პირიქით, ისინი მიიჩნევდნენ, რომ ახალი საგნის შემოღებით დასახული მრავალი მიზანი მისასაღებელი იყო და მტკიცედ უჭერდნენ მხარს. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ KRL საგანი ამ მიზნებს ვერ ახორციელებდა, “ცხოვრების ფილოსოფიის” საგნისგან განსხვავებით, რომელიც განმცხადებლებს მოსწონდათ.

59. განმცხადებლები მიუთითებდნენ 1998 წლის აქტის 2-4 განყოფილებაში ნახსენები რელიგიური ღონისძიებებისგან ნაწილობრივ განთავისუფლების წესზე და აღნიშნავდნენ, რომ ძნელი გასაგები იყო, როგორ შეიძლებოდა ეს მოთხოვნები შეთანხმებული ყოფილიყო “ობიექტურ და ნეიტრალურ” და “პლურალისტულ და კრიტიკულ” სწავლებასთან.

60. განმცხადებლები არ ეთანხმებოდნენ მოსაზრებას, რომ KRL საგანი მხოლოდ რამდენიმე ღონისძიებას შეიცავდა, რომლებიც რელიგიური ხასიათის ღონისძიებებად შეიძლებოდა მიჩნეულიყო. პროგრამა, სკოლებში გამოყენებული სახელმძღვანელოები და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია მიუთითებდა, რომ საგნის ძირითადი ამოცანა — მოსწავლეთა საკუთარი ქრისტიანული საფუძვლის განმტკიცება — სწავლების ძირითადი ძარღვი იყო. KRL საგანს ამოფარებული მთავარი მიზანი იყო რელიგიური საფუძვლის უზრუნველყოფა მოსწავლეთა უმრავლესობისთვის, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრი

იყო. სხვა შემთხვევაში, 1998 წლის აქტის შესავალი დებულებები არ იქნებოდა ფორმულირებული ვალდებულებების სახით, რომლებიც მასწავლებლებისგან მოითხოვდა სწავლება განეხორციელებინათ ქრისტიანული მიზნის დებულების შესაბამისად.

61. შესაბამისი სახელმძღვანელოები შეიცავდა ელემენტებს, რომლებიც შეიძლებოდა მიჩნეულიყო ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობად. მიუხედავად იმისა, რომ კანონით სახელმძღვანელოები საგნის სამართლებრივი ჩარჩოს ნაწილად არ იყო მიჩნეული, მათ ოფიციალური სტატუსი ენიჭებოდა კონტროლისა და დამტკიცების პროცედურის შედეგად, რომელსაც ახორციელებდა სახელმწიფო დანესებულება, კერძოდ, ნორვეგიის სახელმძღვანელოთა სააგენტო (*Norsk Læremiddelsentral*).

62. ნაწილობრივ განთავისუფლების სქემის ქვაკუთხედი ნორმატიული და აღწერილობითი ცოდნის ერთმანეთისაგან გამიჯვნა იყო. შესაძლებელი იყო მოსწავლეთა განთავისუფლება გარკვეული ღონისძიებებისგან, მაგრამ არა ღონისძიების შინაარსის შესახებ ცოდნის მიღებისგან ან მოცემული სწავლებისგან. ისინი შეიძლება გაეთავისუფლებინათ დავალებისგან, მოეთხროთ ბიბლია, ემღერათ რელიგიური სიმღერები, ელოცათ და ა.შ., მაგრამ არა მათი შინაარსის შესახებ ცოდნის მიღებისგან. განთავისუფლების სქემის მთელი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ შესაძლებელი იყო ცოდნისა და მონაწილეობის მენტალური "განცალკევების" შენარჩუნება. ნავარაუდევია იყო, რომ მოსწავლეს შეეძლო "ესწავლა" ტექსტი (მაგალითად, ლოცვები, ფსალმუნები, ბიბლიური მოთხრობები და მრწამსის შინაარსი) ისე, რომ მენტალურად არ დაქვემდებარებოდა არასასურველად მიჩნეულ ზემოქმედებას ან აღზრდას. თუმცა KRL საგნის შეფასებამ უჩვენა, რომ პრაქტიკაში ეს განსხვავება გაცნობიერებული არ ჰქონდათ, თვით მასწავლებლებსაც კი. წარმოდგენილი საქმის განმცხადებელმა მშობლებმა თავიანთ წერილობით ჩვენებებში აღნიშნეს, რომ მათი ბავშვების მიმართ ეს განცალკევება არ განხორციელებულა. ამრიგად, ნაწილობრივ განთავისუფლება მათთვის შესაძლო არჩევანი არ ყოფილა.

63. როდესაც მშობლები მოითხოვდნენ განთავისუფლებას სწავლების იმ ელემენტებისგან, რომლებიც რელიგიურ ღონისძიებათა ჩამონათვალში არ შედიოდა, მათ თავიანთი მოთხოვნა "მოკლედ" უნდა დაესაბუთებინათ, რათა სკოლას შესაძლებლობა ჰქონოდა, განეხილა, იყო თუ არა მოცემული ღონისძიება სხვა რელიგიის აღმსარებლობა ან სხვა ფილოსოფიური მრწამსის მიმდევრობა 1998 წლის აქტის 2-4(4) განყოფილების საფუძველზე. ყველა მშობლისთვის ადვილი როდი იყო დეტალურად სცოდნოდა სწავლების ყველა ელემენტი და მათგან გამოეყო ისინი, რომლებსაც არ ეთანხმებოდა, და მათგან განთავისუფლება მოეთხოვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც KRL საგნის მთელი სტრუქტურა ეფუძნებოდა რელიგიურ კონცეფციას, რომელიც, პრინციპში, განმცხადებელთა ცხოვრების ფილოსოფიას ეწინააღმდეგებოდა.

64. განმცხადებელთათვის არასასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ მათი მოსაზრებები და თავიანთი ფილოსოფიური მრწამსი სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის უნდა ეცნობებინათ და მათი მსჯელო-

ბის საგანი უნდა გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები ფორმალურად შეიძლება ვალდებული არ იყვნენ საკუთარი მრწამსის შესახებ განცხადებინათ, მისი გამჟღავნება მათ ალბათ მაინც მოუწევდათ ნაწილობრივ განთავისუფლების მოთხოვნის დროს მიზეზების ჩამოყალიბებისას. განმცხადებელთა გამოცდილებით ეს მათ პატივსა და ღირსებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა.

65. ნაწილობრივ განთავისუფლების მოთხოვნის პროცედურა პრაქტიკულად მხოლოდ არაქრისტიან მშობლებს ეხებოდა. ზოგი მათგანი ემიგრანტი იყო და ნორვეგიულ სასკოლო სისტემას ცუდად ან სულ არ იცნობდა და მისთვის უცნობი რელიგიის საკითხზე თეორიული დიალოგისთვის საკმარისი არც ენა იცოდა და არც უნარ-ჩვევები ჰქონდა. თუმცა ეს საკითხი არ ეხებოდა განმცხადებლებს, რომლებიც ეთნიკური ნორვეგიელები იყვნენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ზეპირი თუ წერიტი კომუნიკაციის კარგი უნარ-ჩვევები ჰქონდათ, ხოლო ზოგი მათგანი მშვენივრად იცნობდა ნორვეგიის სასკოლო სისტემას, განთავისუფლების მოთხოვნის პროცედურის დროს მათ ძალზე გაუჭირდათ დამაკმაყოფილებელი კომუნიკაცია დაემყარებინათ სკოლის ადმინისტრაციასთან. ერთ-ერთი სირთულე დაკავშირებული იყო იმ ასპექტების გამჟღავნებასთან, რომლებსაც მშობლები თავიანთი ფილოსოფიური მრწამსისთვის შეუსაბამოდ მიიჩნევდნენ. კიდევ ერთი პრობლემა თვით საგნის პრაქტიკული ორგანიზება იყო. იმისათვის, რომ გაერკვია, სწავლების რომელი ნაწილიდან სურდა განთავისუფლება, მშობელს ზუსტად უნდა სცოდნოდა სწავლების რა სახეს სთავაზობდნენ, დროს რომელ პერიოდში, რომელი სახელმძღვანელოები იქნებოდა გამოყენებული და რა სახის ღონისძიებების განხორციელება იყო დაგეგმილი. ისინი გულდასმით უნდა მიჰყოლოდნენ პროგრამას და სწავლებას, შესაძლოა თავიანთი შვილების ყოველდღიური "გამოკითხვით" სწავლების მიმდინარეობისა და შინაარსის შესახებ. თუკი სასწავლო თემების აღქმა თეორიულად შესაძლებელი იყო, მშობლებს მაინც სჭირდებოდათ გაერკვიათ, თუ როგორ გადასცემდა პედაგოგი მასალას. შეფასების მოხსენებებმა უჩვენა, რომ სათანადო ინფორმაციის დროული მოპოვება ძალზე ძნელი იყო, რაც განმცხადებლებმაც გამოსცადეს.

66. გარდა ამისა, ნაწილობრივ განთავისუფლების სქემის შედეგად ზიანდებოდა ურთიერთობა მშობელსა და შვილს შორის. სკოლასა და მშობელს შორის "შუამავლის" როლი და ბავშვთა მიერ სხვებისაგან განსხვავებულობით გამოწვეული ზენოლა ინვევდა უკმაყოფილებას განმცხადებლებსა და მათ შვილებს შორის, ასევე სტიგმის განცდას.

67. ნაწილობრივ განთავისუფლების სქემა არ ფუნქციონირებდა განმცხადებლებისთვის, რომლებიც ცდილობდნენ განხორციელებინათ ეს არჩევანი, რომელიც მათ პრაქტიკულ საშულებას არ სთავაზობდა. სქემა ითვალისწინებდა მათი ცხოვრების ფილოსოფიის დემონსტრირებას — პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით — და აიძულებდა მათ, დეტალურად სცოდნოდან სხვა ფილოსოფიური მრწამსის დეტალები (რათა განთავისუფლების მოთხოვნის საშუალება ჰქონოდათ). მათ მძიმე ტვირთად აწვავდა სწავლების მუდმივი მონიტორინგის აუცილებლობა, შეტყობინებათა გადა-

ცემა, არგუმენტების მოყვანა და სხვა იმედგაცრუების ან სტიგმის განცხადება. განმცხადებლები ხედავდნენ, თუ როგორი ზემოქმედების ქვეშ იყვნენ მათი შვილები იმის გამო, რომ სხვა ბავშვებისაგან გამოირჩეოდნენ. მათ ოჯახსა და სკოლას შორის გარკვეული "შუამავლის" როლის შესრულება უხდებოდათ და ერთგულებასთან წინააღმდეგობრივ გარემოში ცხოვრება უწევდათ. შესაძლებელი იყო განთავისუფლებული ბავშვების გამოყვანა საკლასო ოთახიდან და მათი სხვა ოთახში მოთავსება, სადაც ისინი, მითითებისამებრ, მოცემულ ღონისძიებას არც უსმენდნენ და არც მასში მონაწილეობას არ იღებდნენ. ეს სქემა კონფლიქტისა და სტიგმის დიდი პოტენციის მატარებელი იყო.

68. ასეთ ვითარებაში განმცხადებლებს სხვა არჩევანი არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ სრულად განთავისუფლება მოეთხოვათ, რაზედაც მათ უარი უთხრეს, და ისინიც იძულებული იყვნენ ნაწილობრივ განთავისუფლებით დაკმაყოფილებულიყვნენ, რომლის მოქმედების ფარგლებშიც არ ხდებოდა მათი უფლებების პატივისცემა.

69. განმცხადებელთა აზრით, სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ურთიერთპატივისცემისა და შემწყნარებლობის ხელშეწყობისათვის — რაც ახალი საგნის მიზანიც იყო — ნამდვილად არ იყო საუკეთესო გზა არაქრისტიანული ტრადიციებისა და ფილოსოფიის მქონე ადამიანთა იძულება, მონაწილეობა მიეღოთ სწავლებაში, რომელიც ძირითადად ქრისტიანული რელიგიის მახასიათებლებს ეფუძნებოდა. უკეთესი იქნებოდა ძველი სისტემის შენარჩუნება, სადაც ერთი საგანი ისწავლებოდა ქრისტიანული ოჯახებიდან გამოსული ბავშვებისათვის, ცხოვრების სხვა ფილოსოფიების ჩათვლით, ხოლო სხვებისთვის გათვალისწინებული იყო მეორე, არაკონფესიური საგანი, რომელიც ეფუძნებოდა საერთო მემკვიდრეობას, რელიგიათა ფილოსოფიას და ზოგადი ისტორიისა და ეთიკის საკითხებს. კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა თავი შეეკავებინათ ნორვეგიის სასკოლო სისტემაში ქრისტიანობის, როგორც უპირატესი ელემენტის ჩართვისაგან და შეექმნათ საერთო, ნეიტრალური და ობიექტური საგანი რელიგიისა და ცხოვრების ფილოსოფიის სწავლებისთვის, რომელშიც გათვალისწინებული არ იქნებოდა რაიმე სახის რელიგიური ღონისძიებები ან პრივილეგია არ მიენიჭებოდა კონკრეტულ ქრისტიანულ მიმდინარეობას.

2. მთავრობა

70. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ *კიელდსენის*, *ბუსკ მადსენისა* და *პედერსენის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობდა, რომ არ შეიძლება დადგინდეს 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა KRL საგნის სწავლებისგან სრულად განთავისუფლების უფლების არარსებობის საფუძველზე. როგორც ამ გადაწყვეტილებაშია აღიარებული (§53), ცოდნაზე დაფუძნებული განათლების სისტემათა უმრავლესობამ შესაძლოა წარმოშვას მრწამსის საკითხი. მშობლებს იმის უფლებაც კი არ ჰქონდათ,

ასეთი განათლების მიმართ პროტესტი გამოეთქვათ, რადგან, სხვა შემთხვევაში, "ყველა ინსტიტუციონალიზებული სწავლების პრაქტიკული განხორციელება რისკის ქვეშ დადგებოდა". სრული განთავისუფლების უფლება, როგორც ამას განმცხადებლები მოითხოვდნენ, მოცემულ შემთხვევაში ინსტიტუციონალიზებულ და სავალდებულო სწავლებას კიდევ უფრო განუხორციელებელს ხდიდა.

71. მთავრობამ განაცხადა, რომ ნაწილობრივი დასაშვებობის საკითხზე სასამართლოს მიერ 2004 წლის 26 ოქტომბერს მიღებული დადგენილების შედეგად საქმის ფარგლების გაყოფა მოხდა, რამაც ორი საკითხი წამოჭრა. პირველი — რამდენად მოიცავდა KRL საგანი ზოგადად ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემას ისეთი ფორმით, რომელიც შესაძლებელი იყო ობიექტურად მიეჩნიათ ინდოქტრინაციად, ანუ, არაობიექტურ, არანეიტრალურ და არაპლურალისტულ სწავლებად. თუ ეს დადგინდებოდა, მაშინ დგებოდა მეორე საკითხი, კერძოდ, იყო თუ არა სრულად განთავისუფლების მოპოვების შესაძლებლობა ერთადერთი სასარგებლო ალტერნატივა, რომელიც მშობელთა სურვილებს გაითვალისწინებდა... KRL საგნის სასამართლოსეული შეფასება ობიექტური უნდა იყოს და არა განმცხადებელთა მოსაზრებებზე დაფუძნებული. იგი უნდა დაეყრდნოს ვარაუდს, რომ KRL-საგანი ისწავლებოდა არსებული ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. როგორც ჩანს, განმცხადებელთა აღქმა KRL საგნისა განსხვავდება იმ მოსაზრებებისაგან, რომლებიც შეიძლება ობიექტურად წარმოიშვას ფაქტებიდან.

72. KRL საგანი შეიქმნა სხვადასხვა წარმომავლობის მქონე მოსწავლეთა შორის ურთიერთგაგების, შემწყნარებლობისა და პატივისცემის ხელშესაწყობად და მათი საკუთარი თვითმყოფადობის, ნორვეგიის ეროვნული ისტორიისა და ღირებულებების, ასევე სხვა რელიგიებისა და ცხოვრების ფილოსოფიის მიმართ პატივისცემის განსავითარებლად. შესაბამისად, KRL საგანი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ნორვეგიის ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც მას ეკისრებოდა გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის და გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

73. პროგრამის დაახლოებით ნახევარი გამსჭვალული იყო ბიბლიისა და ქრისტიანობის შესახებ ცოდნის კულტურული მემკვიდრეობისა და ევანგელისტურ-ლუთერანული რწმენის ფორმით გადაცემით, და სხვა ქრისტიანულ მიმდინარეობათა შესახებ ცოდნის გადაცემით. დაახლოებით მეორე ნახევარი ეძღვნებოდა მსოფლიოს სხვა რელიგიებისა და ფილოსოფიების, ეთიკისა და ფილოსოფიური საგნების შესახებ ცოდნის გადაცემას, ქრისტიანული და ჰუმანისტური ღირებულებების აღქმისა და პატივისცემის ხელშესაწყობას და სხვადასხვა რწმენისა და მრწამსის მქონე ადამიანთა შორის ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და დიალოგის განვითარებას. აქედან გამომდინარე, თუ განმცხადებლები თავიანთი შვილების სახელით სრულად განთავისუფლებას მოითხოვდნენ, მაშინ ბავშვები ვერ მიიღებდნენ ცოდნას არა მხოლოდ ქრისტიანობის შესახებ, არამედ აგრეთვე სხვა რელიგიებისა და ფილოსოფიური მრწამსის, ასევე ეთიკური

და ფილოსოფიური საკითხების შესახებ. მთავრობის აზრით, ის უბრალო ფაქტი, რომ საგანი იძლეოდა ცოდნას მსოფლიო რელიგიათა, ცხოვრების ფილოსოფიათა და ეთიკურ და ფილოსოფიურ საკითხთა შესახებ და რომ მისი მიზანი ჰუმანურ ღირებულებათა ხელშეწყობა და სხვადასხვა შეხედულებათა მქონე ადამიანებს შორის დიალოგის განვითარება იყო, საკმარისი უნდა იყოს დასკვნისთვის, რომ კონვენციის საფუძველზე არ შეიძლება მოითხოვებოდეს სრულად განთავისუფლების ნებართვის მიმცემი დებულება. ასეთი მოთხოვნა ხელს შეუშლიდა ნებისმიერ სავალდებულო სწავლებას, რომელიც ეხება არა მხოლოდ რელიგიებს, არამედ ცხოვრების სხვა ფილოსოფიებსა და ეთიკურ საკითხებს. იგი ნორვეგიის მიერ ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებების საფუძველზე ნაკისრი პოზიტიური ვალდებულებების შეუფერებელი იქნებოდა და ხელს შეუშლიდა მათ შესრულებას. მხოლოდ ამ საფუძველზე ყოველგვარი რისკის გარეშე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მშობლებს არ შეეძლოთ კონვენციის საფუძველზე მოეთხოვათ მათი შვილების KRL საგნის სწავლებისგან სრულად განთავისუფლება.

74. მთავრობა არ დაეთანხმა განმცხადებელთა მოსაზრებას, რომ პროპორციულობის სავარაუდო დარღვევას შეეძლო გამოეწვია კონვენციის მე-9 მუხლითა და 1-ლი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საკითხების წამოჭრა. უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთათვის ქრისტიანული ცოდნის სწავლება კონვენციის საფუძველზე თავისთავად არ წარმოშობს საკითხებს, რადგან სწავლება მიმდინარეობდა ობიექტური, პლურალისტური და ბუნებრივი სახით. მეორე, თანამედროვე ნორვეგიულ საზოგადოებას ჰქონდა კანონიერი საფუძვლები მეტი დრო დაეთმო ქრისტიანობის შესახებ ცოდნის გადაცემისთვის, ვიდრე სხვა რელიგიებისა და ცხოვრების ფილოსოფიებისთვის. ეს საფუძვლები ჩამოყალიბებული იყო მოსამზადებელ სამუშაოთა დოკუმენტებში, პროგრამაში და KRL საგნის შემდგომ შეფასებაში.

75. მთავრობის აზრით, 1998 წლის აქტის ქრისტიანული მიზნის დებულებას არ შეეძლო წარმოემვა პრობლემები კონვენციის მე-9 მუხლისა და 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე. პირველი, დებულებაში ნათქვამი იყო, რომ იგი გამოიყენებოდა მხოლოდ "ოჯახთან შეთანხმებითა და თანამშრომლობით". ამრიგად, სკოლის ნებისმიერი დახმარება ბავშვთა ქრისტიანულად აღზრდაში მხოლოდ მშობლებთან შეთანხმებით ხდებოდა. მეორე, ადამიანის უფლებათა აქტის მე-3 განყოფილების საფუძველზე, 1998 წლის განათლების აქტის 1-2 განყოფილება უნდა განიმარტოს და გამოყენებული იქნეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლებიც შიდასახელმწიფო კანონდებლობაშია ჩართული ადამიანის უფლებათა აქტის მეშვეობით. შესაბამისად, ქრისტიანული მიზნის დებულება ნორვეგიულ სკოლებში ქადაგების ან ინდოქტრინაციის სახით სწავლების უფლებას არ იძლევა.

76. KRL საგნის სწავლება პლურალისტული, ობიექტური და კრიტიკული სახითაც რომ ყოფილიყო ნავარაუდები, ეს ფაქტი მაინც არ გამოირიცხავდა ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიჩნეული იქნებოდა რელიგიურ

ღონისძიებებად, როგორცაა, მაგალითად, ექსკურსიები ეკლესიებში, სინაგოგებსა და მეჩეთებში ან ტაძრებში, ან სხვადასხვა რელიგიურ საზოგადოებებში რიტუალებსა და რელიგიურ მსახურებაზე დასწრება. იგი ასევე აუცილებელს არ გახდოდა KRL საგნისგან სრულად განთავისუფლების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

77. KRL საგნის შემუშავებისას მთავრობამ სერიოზული და ჯეროვანი ყურადღება დაუთმო ისეთ ღონისძიებებში ჩართვის პრობლემას, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მშობელთა ფილოსოფიურ ან რელიგიურ მრწამსს. როგორც მთავრობამ, ისე კანონმდებელმა, ალიარა მშობელთა უფლება — თავიანთი შვილებისთვის უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება, მაგრამ იმავდროულად გაითვალისწინა, რომ საზოგადოებას ჰქონდა კანონიერი ინტერესი და ვალდებულება სხვადასხვა რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის მქონე ბავშვთა შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და შემწყნარებლობის განმტკიცების მიმართ. ასევე გაითვალისწინებულ იქნა თვით მოსწავლეთა ინტერესები თავიანთი თვითმყოფადობის განვითარებისა და განმტკიცების მიმართ, ასევე ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების მიმართ, ახალი რელიგიებისა და ცხოვრების ფილოსოფიათა შესახებ ცოდნის მიღების მეშვეობით.

78. კონვენცია ხელს უშლის ინდოქტრინაციას და არა ცოდნის მიღებას: სასკოლო სისტემაში გადაცემული ყველა ინფორმაცია, საგნის საკითხისა და კლასის მიუხედავად, გარკვეული ხარისხით ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას და მას ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. ანალოგიურად, რელიგიისა და ცხოვრების ფილოსოფიის შესახებ ობიექტურ, კრიტიკულ და პლურალისტურ ინფორმაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ბავშვის აზროვნებისა და თვითმყოფადობის ფორმირებას. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ასეთი ინფორმაცია და ცოდნა შესაძლოა ხელს უწყობდეს ბავშვის განვითარებას, კონვენციას არ ეწინააღმდეგება. პირიქით, კონვენციამ ასევე უნდა უზრუნველყოს ბავშვის განათლების უფლება.

79. მოსამზადებელმა სამუშაომ ნათლად უჩვენა, რომ განთავისუფლების შერჩეული სქემა, რომელიც ქვემოთაა მოცემული, ამ ორ ინტერესს შორის კარგად დაბალანსებული კომპრომისის შედეგია. ამ კონკურენტულ ინტერესებს შორის არსებული დილემა გადაიჭრა სამი მექანიზმის შექმნით, რომლებიც ითვალისწინებდა მშობელთა უფლებას, კერძოდ, ბავშვების უზრუნველყოფას თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლებითა და სწავლებით. ეს მექანიზმებია: პირველი, და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, — 1998 წლის განათლების აქტის 2-4 (4) განყოფილება, რომელიც სასწავლო კურსების ნაწილებისგან განთავისუფლების უფლებას იძლეოდა; მეორე, დიფერენცირებული სწავლება, რომელიც მიზნად ისახავდა მშობელთა რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის შედეგად წარმოშობილი პრობლემების გადაჭრას; მესამე, მშობელთა შესაძლებლობა მოეთხოვათ საკითხის ადმინისტრაციული და/ან სასამართლოს საშუალებებით განხილვა, თუ მიიჩნევენ, რომ განათლება ან სწავლება არ შეესაბამებოდა მათ მრწამსს.

80. KRL საგნისგან განთავისუფლებისთვის მშობელთა მხრიდან მიმართვის მოთხოვნა, რომელიც 1998 წლის 2-4 განყოფილების საფუძვე-

ლზეა დადგენილი, არ წარმოშობს მათ პირად ცხოვრებაში ჩარევას კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით. მშობლებს დასაბუთების წარდგენა მოეთხოვებოდათ მხოლოდ იმ ღონისძიებებისგან გასათავისუფლებად, რომლებიც ერთი შეხედვით არ ტოვებდა კონკრეტული რელიგიის პრაქტიკის ან ცხოვრების განსხვავებული ფილოსოფიის მიმდევრობის შთაბეჭდილებას. იმ შემთხვევებში, როდესაც დასაბუთების წარდგენა აუცილებელი იყო, მშობლებს არ მოეთხოვებოდათ ინფორმაცია მიეცათ თავიანთი რელიგიის ან ფილოსოფიური მრწამსის შესახებ.

81. ნებისმიერ შემთხვევაში, განთავისუფლების დებულებით დადგენილი პირობები არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც არაპროპორციული, ან მძიმე. აქედან გამომდინარე, იგი უზრუნველყოფს სრულად განთავისუფლების უფლებას. როგორც უკვე აღინიშნა, იმ შემთხვევაში, როდესაც ღონისძიება აშკარად რელიგიური ხასიათისაა, განთავისუფლების მოთხოვნისას მშობელთა მიერ დასაბუთების წარდგენა საჭირო არ არის. არგუმენტების მოყვანა მოითხოვება მხოლოდ უფრო ფართო განთავისუფლებისთვის, თუმცა ამომწურავი დასაბუთება მაშინაც არ არის აუცილებელი.

82. მთავრობამ ასევე აღინიშნა, რომ განმცხადებლები ვალდებული არ იყვნენ ბავშვები საჯარო სკოლებში შეეყვანათ. ინდივიდუალურ პირებს, პირთა ჯგუფებს, ორგანიზაციებს, მრევლს და სხვა გაერთიანებებს შეეძლოთ, მოთხოვნის საფუძველზე, საკუთარი სკოლები დაეარსებინათ ან ბავშვებისთვის განათლება ოჯახში მიეცათ. აქედან გამომდინარე, ნორვეგიის ჰუმანისტთა ასოციაციას ან მშობლებს, რომლებსაც არ სურდათ მათ შეიღებოს KRL საგანი ესწავლათ — ნაწილობრივ განთავისუფლების დებულების გამოყენების საშუალების მიუხედავად — პრობლემის თავიდან აცილება თავისუფლად შეეძლოთ ალტერნატიული სკოლის დაფუძნებით, მარტო, ან იმავე მრწამსის მქონე სხვა პირებთან თანამშრომლობით. ეს ალტერნატივა რეალისტური და ქმედითი იყო ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან კერძო სკოლების დაარსებისა და მათი ფუნქციონირების ხარჯების 85%-ს სახელმწიფო აფინანსებს.

83. უსაფუძვლოა განმცხადებელთა მტკიცება, რომ არც ერთ ქრისტიან მშობელს არ მიუმართავს განთავისუფლების მოთხოვნით ან საჩივრები არ წარუდგენიათ KRL საგანთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას არა აქვს სტატისტიკა იმ პირთა კულტურული წრემომავლობის შესახებ, რომლებიც KRL საგნისგან განთავისუფლებას ითხოვდნენ, ფაქტია, რომ მრავალმა ქრისტიანულმა საზოგადოებამ, რომელსაც არ აკმაყოფილებდა საჯარო სკოლებში ქრისტიანული მოძღვრების სწავლების ფორმა, კერძო სკოლები გახსნა. მრავალი ასეთი სკოლა გაიხსნა მას შემდეგ, რაც 1997 წელს შემოღებულ იქნა KRL საგნის სწავლება. დღეისათვის 82 კერძო სკოლაა რეგისტრირებული, რომლებიც ცხოვრების ფილოსოფიის საფუძველზე გახსნილი. 2001 წლიდან 36-დან 31 განცხადება ახალი ქრისტიანული კერძო სკოლის გახსნას ეხებოდა. აქედან გამომდინარე, დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული ფილოსოფიის მიმდევარი მშობლების გარკვეული რაოდენობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა KRL საგნის ზოგიერთი ელემენტის მიმართ და მისგან განთავისუფლებას ითხოვდა.

ბ. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

84. სასამართლოს თავის პრეცედენტულ სამართალში (იხ., კერძოდ, *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი დანიის წინააღმდეგ*, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A 23, გვ. 24-28, §§50-54; *კემპბელი და კოსანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1982 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 48, გვ. 16-18, §§36-37; და *ვასლამისი საბერძნეთის წინააღმდეგ*, 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1996-VI, გვ. 2323-24, §§25-28) 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით გაცხადებული აქვს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

(a) 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის ორი წინადადება არა მხოლოდ ერთმანეთის ფონზე უნდა იქნეს განმარტებული, არამედ ასევე კონვენციის, განსაკუთრებით — მისი მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების ფონზე (იხ. საქმე *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი*, ციტ. ზემოთ, გვ. 26, §52).

(b) განათლების ფუნდამენტური უფლებაში გათვალისწინებული პატივისცემა მშობელთა უფლებასა — უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება. პირველი წინადადება, ისევე როგორც მეორე, სახელმწიფო და კერძო სწავლებას შორის რაიმე განსხვავებას არ ადგენს. 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადების მიზანია განათლების სისტემაში პლურალიზმის დაცვა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია "დემოკრატიული საზოგადოების" შესანარჩუნებლად, როგორც ეს კონვენციითაა გათვალისწინებული. თანამედროვე სახელმწიფოს ძალაუფლების გათვალისწინებით, ამ მიზნის რეალიზება, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო სწავლების მეშვეობით უნდა მოხდეს (იხ. საქმე *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი*, ციტ. ზემოთ, გვ. 24-25, §50).

(c) 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი რელიგიის სწავლებასა და სხვა საგნებს შორის განსხვავების დადგენის ნებას არ იძლევა. იგი სახელმწიფოებს ავალებს სახელმწიფო განათლების მთელ პროგრამაში პატივი სცენ მშობელთა მრწამსს, იქნება ეს რელიგიური თუ ფილოსოფიური (იხ. საქმე *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი*, ციტ. ზემოთ, გვ. 25, §51). ეს ფართო ფარგლების მქონე მოვალეობაა, რადგან იგი ეხება არა მხოლოდ განათლების შინაარსსა და მისი გაცემს ფორმას, არამედ ასევე სახელმწიფოზე დაკისრებული ყველა "ფუნქციის" შესრულებას. გამოთქმა "პატივს სცემს" უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ზმნები "აღიარებს" ან "ითვალისწინებს". ძირითადად ნეგატიური ვალდებულების გარდა, იგი სახელმწიფოს გარკვეულ პოზიტიურ ვალდებულებასაც აკისრებს. ტერმინი "მრწამსი", ცალკე აღებული, არ არის სინონიმი სიტყვებისა "მოსაზრება" ან "იდეა". იგი ერთითებს შეხედულებებზე, რომლებიც დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობის და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს აღწევენ (იხ. *ვასლამისის საქმე*, ციტ. ზემოთ, გვ. 2323-24, §§25 და 27; და საქმე *კემპბელი და კოსანსი*, ციტ. ზემოთ, გვ. 16-17, §§36-37).

(d) 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი წარმოადგენს ყველაფერს, რისი დომინირებაც ხდება პირველი წინადადებით. ხელშემკერელი სახელმწიფოები, რომლებმაც ვალდებულება აიღეს "უარი არ უთხრან განათლების უფლებაზე", თავიანთი უარისდიქციის ფარგლებში ყველას უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო ინსტი-

ტუტებზე ხელმისაწვდომობის უფლებით, რომლებიც მოცემულ დროს არსებობს, და ისარგებლონ მიღებული განათლებით, მათ მიერ დასრულებული სწავლების ოფიციალურად აღიარების მეშვეობით (იხ. საქმე *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი*, ციტ. ზემოთ, გვ. 25-26, §52; და *ბელგიის ლინგვისტური საქმე* (არსებითი მხარე), 1968 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A 6, გვ. 31-32, §4).

(ე) ბავშვთა "განათლებასა და სწავლებაზე" უპირველესი პასუხისმგებლობა მშობელთა ბუნებრივი მოვალეობაა, რომლის განხორციელებისას მათ შეუძლიათ სახელმწიფოს მოსთხოვონ თავიანთი რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის პატივისცემა. ამრიგად, მათი უფლება შეეხება მშობელთა პასუხისმგებლობას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული განათლების უფლებით სარგებლობასთან და მის განხორციელებასთან (იქვე).

(ფ) მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური ინტერესები ზოგჯერ შეიძლება ჯგუფურ ინტერესებს ექვემდებარებოდეს, დემოკრატია უზრალოდ არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის შეხედულებები ყოველთვის უნდა პრევალირებდეს: აუცილებელია ნონანსრობის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს უმცირესობათა მიმართ სამართლიან და ჯეროვან მოპყრობას და თავიდან აიცილებს დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენებას (იხ. *ვალსამისის საქმე*, ციტ. ზემოთ, გვ. 2324, §27).

(გ) თუმცა პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა, პრინციპში, სახელმწიფოს კომპეტენციაში შედის. იგი ძირითადად რაციონალურობის საკითხებს მოიცავს, რომლებზედაც სასამართლო რაიმე დადგენილებას ვერ მიიღებს და, რომელთა გადაჭრის გზები შეიძლება ლეგიტიმურად იცვლებოდეს ქვეყნის ან ეპოქის შესაბამისად (იხ. *ვალსამისის საქმე*, ციტ. ზემოთ, გვ. 2324, §28). კერძოდ, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადება სახელმწიფოს ხელს არ უშლის სწავლების ან განათლების საშუალებით გადასცეს პირდაპირი ან არაპირდაპირი რელიგიური ან ფილოსოფიური სახის ინფორმაცია ან ცოდნა. იგი მშობლებს იმის უფლებასაც არ აძლევს შეენიანაღმდეგონ ასეთი სწავლების ან განათლების სასკოლო პროგრამაში ჩართვას, რადგან, სხვა შემთხვევაში, ყველა ინსტიტუციონალიზებული სწავლების განხორციელება რისკის ქვეშ დადგებოდა (იხ. საქმე *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი*, ციტ. ზემოთ, გვ. 26, §53).

(დ) მეორე მხრივ, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადება გულისხმობს, რომ, სახელმწიფომ, განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებისას, უნდა იზრუნოს, რომ პროგრამაში ჩართული ინფორმაცია და ცოდნის გადაცემა ხდება ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტული გზით. სახელმწიფოს ეკრძალება ინდოქტრინაციის სახით სწავლება, რომელიც შესაძლოა მიჩნეული იქნეს, როგორც მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის უპატივცემულობა. ეს ის ფარგლებია, რომლებიც არ უნდა დაირღვეს (იქვე).

(ი) იმისათვის, რომ შესწავლილი იქნეს სადავო კანონმდებლობა 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, როგორც ეს ზემოთაა განმარტებული, გათვალისწინებული უნდა იქნეს მატერიალური სიტუაცია, რომლის მიღწევასაც ცდილობენ, თუმცა ეს უნდა მოხდეს კანონმდებლობის რაციონალურობის შეფასების თავიდან აცილებით. უეჭველია, რომ დარღვევები შეიძლება მოხდეს იმ ფორმათა გამო, რომლითაც კონკრეტული სკოლა ან მასწავლებელი იყენებს დებულებებს. კომპეტენტური ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ ამ დონეზე არ მოხდეს მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის უგულვებელყოფა გულგრილობის, უყურადღებობის ან შეუსაბამო პროზელიტიზმის გამო (იხ. საქმე *კიელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი*, ციტ. ზემოთ, გვ. 27-28, §54).

2. ამ პრინციპების გამოყენება წარმოდგენილ საქმეში

85. ზემოაღნიშნული პრინციპების წარმოდგენილ საქმეში გამოყენებისას სასამართლო გაითვალისწინებს 2004 წლის 26 ოქტომბერს და 2006 წლის 14 თებერვალს მიღებულ დადგენილებებს დასაშვებობის შესახებ, რომლებშიც განსაზღვრულია საქმის არსებითი მხარის შესასწავლი ფარგლები (იხ. ზემოთ, პუნქტი 8). უნდა განისაზღვროს შემდეგი საკითხები: განათლებისა და სწავლების ფუნქციის განხორციელებისას ხელშემკერელმა სახელმწიფომ იზრუნა თუ არა, რომ KRL საგნის პროგრამაში ჩართული ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემა მომხდარიყო ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური სახით; ან, ხომ არ ისახავდა მიზნად ინდოქტრინაციას, რომელიც პატივს არ სცემდა განმცხადებელი მშობლების რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსს და, ამის შედეგად, არღვევდა 1-ლი ოქმის მე-2 მუხლით დადგენილ შეზღუდვას. ამ საკითხის შესწავლისას, სასამართლო, კერძოდ, განიხილავს, KRL საგნის სამართლებრივ ჩარჩოს, მისი ზოგადი გამოყენების ფონზე, დროის იმ პერიოდში, როდესაც საქმე ეროვნულ სასამართლოებში განიხილებოდა.

86. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მე-2 მუხლი, რომლის პირველი პუნქტი რელიგიის თავისუფლებას უზრუნველყოფს, მეორე პუნქტში ადგენს, რომ ევანგელისტურ-ლუთერანული რელიგია ოფიციალური სახელმწიფო რელიგიაა და მის მიმდევრებს ვალდებულებას აკისრებს თავიანთი შვილები შესაბამისად აღზარდონ (იხ. ზემოთ, პუნქტი 9).

87. წარმოდგენილ საქმის ცენტრალური ასპექტია სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც 1998 წლის განათლების აქტშია ჩამოყალიბებული, განსაკუთრებით — მის 1-2(1) და 2-4 განყოფილებებში, ასევე სამინისტროს F-90-97 და F-03-98 ცირკულარულ წერილებში და ათწლიანი სავალდებულო სწავლების პროგრამის შესაბამის თავებში. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს KRL საგნის მიღმა არსებული საკანონმდებლო ასპექტები, როგორც ეს მოსაზრებელი სამუშაოების დროს აისახა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი — განმცხადებელთა შვილების სწავლება მიმდინარეობდა თუ არა ისეთი გზით, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციას — საქმეთა ფარგლებს გარეთ ხვდება, როგორც ეს განისაზღვრა 2004 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებით დასაშვებობის შესახებ. ეს ასევე ეხება მათ არგუმენტს სწავლებასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი მიიჩნევდნენ ქადაგებად და მოსწავლეებზე ზემოქმედების უნარის მქონედ.

88. თუ ჯერ შემუშავების ისტორიას მივუბრუნდებით, კვლავ უნდა ითქვას, რომ KRL საგნის შემოღების ძირითადი მიზანი იყო ქრისტიანული მოძღვრების, სხვა რელიგიებისა და ფილოსოფიების ერთად სწავლებით ხელი შეეწყობა ღია და ჩართული სასკოლო გარემოს შექმნისთვის, მოსწავლეთა სოციალური, რელიგიური, ეროვნული თუ ეთნიკური და სხვა კუთვნილების მიუხედავად. აქ ყურადღება ექცეოდა იმ ფაქტორს, რომ სკოლა უნდა ყოფილიყო არა ქადაგების ან მისიონერული საქმიანობის ადგილი, არამედ სხვადასხვა რელიგიისა და ფილოსოფიური მრწამსის შეხვედრის ადგილი, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებოდათ მიეღოთ ცო-

დნო ერთმანეთის შებედულებების დო ტრადიციების შესახებ (იხ. ჴემოთ, პუნქტი 15). სასომართლოს აზრით, ეს მისწრაფებო ამჴარად ჴარმონიოში იყო პლურალიზმის დო ობიექტურობის პრინციპებთან, რომლებიც 1-ლი ოქმის მე-2 მუხლში ჩომოყალიბებული.

89. ჴემოლნიშნული მისწრაფებო ამჴარადო გამოხატული 1998 წლის გონათლების აქტის 2-4 განყოფილებაში (იხ. ჴემოთ, პუნქტი 23). როგორც მისი ფორმულირებიდან ჩანს, დებულებაში აქცენტი კეთდება არო მხოლოდ ქრისტიანობის, არამედ ასევე მსოფლიოს სხვო რელიგიოთო დო ფილოსოფიოთო შესახებ ცოდნის გოდაციმბზე. იგი კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს სხვოდანსხვო რწმენის დო მრწამსის მქონე დოამინოთო შორის ურთიერთგოგების დო პოტივისციემის დო დიოლოგის ხელშეწყობის აუცილებლობოს. იგი უნდო ყოფილიყო ჩვეულებრივი სასკოლო სოგანი, რომელსაც მოსწოვლებებისთვის ერთად უნდო მოეყარო თოვი დო რომელიც ქდოგების სახით არ უნდო გოდაციოთ. სხვოდანსხვო რელიგიო დო ფილოსოფიო მათი კონკრეტული მახოსოთებლების საფუძველზე უნდო ესწოვებინოთ, ხოლო სხვოდანსხვო თემების სწოვლებისოს ერთი დო იგივე პედოგოგიური მეთოდები უნდო გამოეყენებინოთ. შემუშოვების ისტორიო უჩვენებს, რომ აქცენტი გოკეთდო სექტანტობის თოვიდან აცილებოს დო კულტუროთოშორისი დიოლოგის გონიოთარებოზე. მიჩნეულ იქნო, რომ ურთიერთგოგებო უკეთ იქნებოდო მიღწეული სწორედ ასეთ გარემოში, მოსწოვლეთო მიერ ერთიანი სოგნის შესწოვლით, დო არო სრულად გონთოვისუფლების სქემით ან თემების მიხედვით მოსწოვლეთო დოქსოქსევით სხვოდანსხვო ქვეჯგუფებში (იხ. ჴემოთ, პუნქტი 15). გარდო ამოს, უნდო აღინიშნოს, რომ როგორც 84 (გ) პუნქტში ჩომოყალიბებული პრინციპოდან გომომდინარეობს, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის მეორე ნინოდოდებო არ ითვოლისწინებს მშობელთო უფლებოს თოვიანთი შვილები რელიგიოს დო ფილოსოფიოს სოკითხებში უმეცრები დოსტოვონ. ამიტომ, ის ფოქტი, რომ ქრისტიანობის შესახებ ცოდნის გოდაციემოს დოწყებითი სკოლის დო საშუოლო სკოლის დობალი კლასების პროგრამოში მეტი დდგილი ჴქონდო დოთმობილი, ვიდრე სხვო რელიგიებოს დო ფილოსოფიებს, სასომართლოს აზრით, არ შვიძლებო მიჩნეული იქნეს პლურალიზმის დო ობიექტურობის პრინციპოდან გოდანსხვოდ, რომელიც ინდოქტრინაციის ტოლფოსო (იხ., *mutatis mutandis*, ანგელინი შეედეთის ნინოალმდეგ (dec.), 1041/83, 51 DR (1983)). მოპოსუბე სახელმწიფოს ეროვნულ ისტორიოს დო ტრადიციებში ქრისტიანობის როლის გოთვოლისწინებით, ეს გონილული უნდო იქნეს, როგორც მოპოსუბე სახელმწიფოს შეფოსების ფარგლებში მყოფი, პროგრამის დოგეგმვის დო შემუშოვების თვოლსოზრისით.

90. თუმცო სასომართლო აღნიშნავს, რომ, მიუხედავდ იმოს, რომ აქცენტი ცოდნოზე დოფუძნებულ სწოვლებოზე კეთდება, 2-4(3) განყოფილება მოითხოვს, რომ სწოვლებო გონხორციელდეს მშობლებთან შეთანხმებოთ დო თანამშრომლობოთ, ხოლო ამოსოვოლი ნერტილი 1-2(1) განყოფილების ქრისტიანული მიზნის დებულებო უნდო იყოს, რომლის თანახმოდოც დოწყებითი დო საშუოლო გონათლების მიზნოთო ხელი შეუწყოს მოსწოვლეთო ქრისტიანულ დო მორალურ აღზრდოს (იხ. ჴემოთ, 22-ე დო 23-ე პუნქტები).

91. ასევე უნდო აღინიშნოს, რომ ქრისტიანული მიზნის დებულებისთვის ამჴარად იყო დომოხოსოთებელი სოგნის შინოარსში ქრისტიანობისდმი უპირატესობის მინიჭებო.

92. ამ თვალსაზრისით მითითება უნდა გაკეთდეს 1998 წლის განათლების აქტის 2-4(1)(i) განყოფილებაში ჩამოყალიბებულ მიზანზე: "გადასცემს ბიბლიისა და ქრისტიანობის შესახებ ცოდნას კულტურული მემკვიდრეობისა და ევანგელისტურ-ლუთერანული რწმენის გზით" (ხაზგასმა დამატებულია). მისგან განსხვავებით, საფუძვლიანობა არ მოითხოვება სხვა რელიგიებისა და ფილოსოფიათა შესახებ ცოდნის გადაცემისას (იხ. ზემოთ, პუნქტი 23).

გარდა ამისა, 2-4(1)(ii) განყოფილების შესაბამისად, მიზანი იყო ცოდნის გადაცემა სხვა ქრისტიანული საზოგადოებების შესახებ (იხ. ზემოთ, პუნქტი 23).

აქცენტებს შორის სხვაობა ასევე ასახული იყო პროგრამაში, სადაც ჩამოთვლილ საკითხთა დაახლოებით ნახევარი მხოლოდ ქრისტიანობას ეხებოდა, ხოლო დანარჩენი — სხვა რელიგიებსა და ფილოსოფიებს. შესავალში ნათქვამი იყო, რომ "საგნის სწავლების მიზანია მოსწავლეებს გადასცეს დეტალური ცოდნა ქრისტიანობისა და ცხოვრებაზე ქრისტიანული შეხედულებების შესახებ, ასევე საკმარისი ცოდნა სხვა რელიგიათა და ფილოსოფიების შესახებ [ხაზგასმა დამატებულია]" (იხ. ზემოთ, პუნქტი 49).

93. ნათელი არ არის, სიტყვა "რწმენა" (i) პუნქტში ითვალისწინებს თუ არა ხარისხობრივ განსხვავებას არალუთერანულ რწმენასთან და სხვა ფილოსოფიებთან შედარებით (იხ. ზემოთ, პუნქტი 23). ნებისმიერ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ფაქტორები, რომლებიც აქცენტს აკეთებს ქრისტიანობაზე, უდაოდ იქონიებდა გავლენას 2-4(1) განყოფილებაში ჩამოყალიბებულ სხვა მიზანზე, კერძოდ, რომ სწავლება "(iv) და ჰუმანისტური ღირებულებების გაცნობიერებასა და პატივისცემას [ხაზგასმა დამატებულია]" (იქვე), რაც მიუთითებს უფრო მეტზე, ვიდრე უბრალოდ ცოდნის გადაცემაა. ამ თვალსაზრისით შეიძლება აღინიშნოს, რომ პროგრამა შეიცავდა სწავლების ამოცანებთან დაკავშირებულ ზოგიერთ ნიუანსს, მაგალითად, V-VII კლასში მოსწავლეებმა "უნდა ისწავლონ და ქრისტიანული ეთიკა, ლუთერის მცირე კატეხიზმოს შუქზე" [ხაზგასმა დამატებულია]. თუმცა სხვა რელიგიებთან დაკავშირებით, "მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ისლამის, იუდაიზმის, ინდუიზმის და ბუდიზმის ძირითადი მახასიათებლები და მათი მნიშვნელოვანი იგავეები"; და "მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ საერო ორიენტაციის შესახებ, ჰუმანისტური ტრადიციების განვითარების შესახებ" და ა.შ. [ხაზგასმა დამატებულია]. მე-6 კლასის მოსწავლეთათვის დადგენილია, რომ "მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ: ზეპირად ისწავლონ ათი მცნება და გაეცნონ მათზე ქადაგების ფუნდამენტურ ეთიკურ იდეალებს; [და] ისწავლონ, თუ როგორ გამოიყენებოდა ეს ფუნდამენტური ეთიკური ტექსტები ქრისტიანობის ისტორიაში და როგორ გამოიყენება ისინი დღეს". ჩამონათვალში, თემის "სხვა რელიგიები, იუდაიზმი" მიმართ, არ იყო ნახსენები "გაცნობის" ტოლფასი ტერმინი (იხ. ზემოთ, პუნქტი 50).

94. გარდა ამისა, 2-4(4) განყოფილება ითვალისწინებდა მოსწავლეთა ჩართვას "რელიგიურ ღონისძიებებში", კერძოდ, ლოცვებს, ფსალმუნებს, რელიგიური ტექსტების დაზეპირებას და რელიგიური ხასიათის პიესებში მონაწილეობას (იხ. ზემოთ, 23-ე და 24-ე პუნქტები). მიუხედავად იმი-

სა, რომ, გათვალისწინებული არ იყო, რომ ასეთი ღონისძიებები მხოლოდ ქრისტიანობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და შეიძლებოდა ისინი სხვა რელიგიებსაც შეეხოდა, მაგალითად, მეჩეთის მონახულებას ისლამის შემთხვევაში, პროგრამაში ქრისტიანობაზე გაკეთებული აქცენტი ბუნებრივად აისახებოდა საგანმანათლებლო ღონისძიებათა არჩევანზე, რომელსაც მოსწავლეებს KRL საგნის კონტექსტში სთავაზობდნენ. როგორც 1998 წლის განათლების აქტის 2-4 განყოფილებაში მოცემული ნაწილობრივ განთავისუფლების წესში და F-03-98 ცირკულარულ წერილში იყო აღიარებული, მშობლებს ზემოაღნიშნული რელიგიური ღონისძიებებისგან განთავისუფლების შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნათ; სასამართლოს აზრით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი სახის ღონისძიებაში მონაწილეობას, (იხ., *mutatis mutandis*, დაჰლაბი *შევიცარიის წინააღმდეგ* (dec.), 42393/98, ECHR 2001-V), შეეძლო იმგვარი ზეგავლენა მოეხდინა მოსწავლეთა აზროვნებაზე, განსაკუთრებით — მცირე ასაკის ბავშვებზე, რომ წარმოშობილიყო საკითხი 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე.

95. ამრიგად, როდესაც ერთად შევხედავთ 1998 წლის განათლების აქტის 2-4 განყოფილებაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანული მიზნის დებულებას, KRL საგნის შინაარსის აღწერას და მის მიზნებს და სხვა ტექსტებს, რომლებიც საკანონმდებლო ჩარჩოს ქმნის, დავინახავთ, რომ ქრისტიანობის სწავლებისას, სხვა რელიგიებთან და ფილოსოფიებთან შედარებით, არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი განსხვავებებიცაა გამოყენებული. ამ უთანასწორობის ფონზე ნათელი არ არის როგორ უნდა განხორციელდეს შემდეგი მიზანი, რომელიც (v) პუნქტშია ჩამოყალიბებული: "ხელს უწყობს სხვადასხვა რწმენისა და შეხედულების მქონე ადამიანთა შორის ურთიერთგაგების, პატივისცემისა და დიალოგის ჩამოყალიბების შესაძლებლობათა განმტკიცებას". სასამართლოს აზრით, განსხვავებები ისეთი სახის იყო, რომ სხვადასხვა რელიგიისა და ფილოსოფიის სწავლებისთვის 2-4 განყოფილებით მოთხოვნილი ერთიანი პედაგოგიური მიდგომა მათ ვერ შეასუსტებდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 23).

96. ამის შემდეგ დგება საკითხი, ზემოაღნიშნული დაუბალანსებლობა იყო თუ არა იმ დონის 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, რომ მოსწავლეებს KRL საგნისგან ნაწილობრივ განთავისუფლება მოეთხოვათ 1998 წლის განათლების აქტის 2-4(4) განყოფილების შესაბამისად. ამ დებულების თანახმად "მოსწავლე, მოცემულ სკოლაში მშობლის წერილობითი შეტყობინების წარდგენის შემდეგ, თავისუფლდება სწავლების იმ ელემენტებისგან, რომლებიც, მათი საკუთარი რელიგიისა თუ ცხოვრების ფილოსოფიის თვალსაზრისით, განიხილება, როგორც ტოლფასი სხვა რელიგიის აღმსარებლობისა ან ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევრობისა".

ამ თვალსაზრისით სასამართლო იმეორებს, რომ როგორც დასაშვებობის შესახებ 2006 წლის 14 თებერვლის დადგენილებაში იყო მითითებული, საქმის ფარგლების შეზღუდვები, რომლებიც მომდინარეობს 2004 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებიდან, რომლითაც განაცხადის ნაწილი დაუშვებლად იქნა გამოცხადებული, მას ხელს არ უშლის სრულად განთავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ საჩივრის განხილვისას ასევე განიხილოს ნაწილობრივ განთავისუფლების სქემის ზოგადი ასპექტები (იხ. ზემოთ, პუნქტი 8).

97. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ განთავისუფლების სქემის ფუნქციონირება, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს, რომ მშობლებს სათანადოდ აცნობონ გაკვეთილის გეგმების დეტალების შესახებ, რათა მათ შეძლონ წინასწარ განსაზღვრონ სწავლების ის ელემენტები, რომლებიც მათ მრწამსს და რწმენას არ შეესაბამება და მათგან განთავისუფლება მოითხოვონ. ეს რთული ამოცანა იქნებოდა, როგორც მშობლებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის, რომლებსაც ხშირად უჭირთ შეიმუშაონ გაკვეთილების დეტალური გეგმა და ისინი წინასწარ აცნონ მშობლებს (იხ. ზემოთ, პუნქტი 29). როდესაც არ არსებობს სამართლებრივი ვალდებულება სახელმძღვანელოებზე მიდევნების თვალსაზრისით (იხ. ზემოთ, პუნქტი 48, ქვეპუნქტი "10"), მშობლებისთვის ძნელი იქნება მუდმივად იყვნენ ინფორმირებული სწავლების შინაარსის შესახებ, რომელსაც საკლასო ოთახში ჰქონდა ადგილი და მისგან გამოყონ შეუსაბამო ნაწილები. ამის გაკეთება კიდევ უფრო რთულია მაშინ, როდესაც KRL საგანში საერთო უპირატესობა ქრისტიანობას აქვს მინიჭებული, რაც პრობლემებს ქმნის.

98. მეორე, F-03-98 ცირკულარული წერილის შესაბამისად — იმ შემთხვევათა გარდა, როდესაც განთავისუფლება წმინდა რელიგიური ხასიათის ღონისძიებებს ეხება და დასაბუთების წარდგენა საჭირო არ არის — ნაწილობრივ განთავისუფლების მოსაპოვებლად მშობლებმა მოთხოვნასთან ერთად გონივრული საფუძვლები უნდა ჩამოაყალიბონ (იხ. ზემოთ, პუნქტი 42, ციტატა ცირკულარული წერილიდან უზენაესი სასამართლოს საარგუმენტაციო ნაწილში). სასამართლო აღნიშნავს, რომ რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესახებ ინფორმაცია პირადი ცხოვრების ზოგიერთ ყველაზე ინტიმურ ასპექტს ეხება. იგი ეთანხმება უზენაეს სასამართლოს, რომ სკოლის ხელმძღვანელობისათვის თავიანთი რელიგიის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებამ შეიძლება დაარღვიოს კონვენციის მე-8 მუხლი, ასევე მე-9 მუხლიც (იქვე). წარმოდგენილ საქმეში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკუთარი მრწამსის გამჟღავნების ვალდებულება არ არსებობდა. გარდა ამისა, F-03-98 ცირკულარული წერილი სკოლის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდა ჯეროვანი ყურადღება მიექცია მშობელთა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებისთვის (იქვე). მიუხედავად ამისა, სასამართლო ასკვნის, რომ გონივრული საფუძვლების წარდგენის პირობა ქმნიდა საშიშროებას, რომ მშობლები იძულებული იქნებოდნენ სკოლის ხელმძღვანელობისთვის გაემჟღავნებინათ თავიანთი რელიგიის ან ფილოსოფიური მრწამსის ინტიმური ასპექტები. ასეთი იძულების რისკი ყველაზე უკეთ ჩანს ზემოაღნიშნულ სირთულეებში, რომელთა წინაშე მშობლები აღმოჩნდნენ სწავლების იმ ელემენტების განსაზღვრისას, რომლებიც ტოლფასი იყო სხვა რელიგიის პრაქტიკისა და ცხოვრების სხვა ფოლოსოფიის მიმდევრობისა. გარდა ამისა, საკითხი — იყო თუ არა გონივრული განთავისუფლების მოთხოვნა — ნამდვილად აღვივებდა კონფლიქტს და ქმნიდა სიტუაციას, როდესაც მშობლები ალბათ ამჯობინებდნენ მარტივად დაცილებინათ იგი თავიდან, კერძოდ, არ გამოეხატათ განთავისუფლების სურვილი.

99. მესამე, სასამართლო აღნიშნავს, რომ, მაშინაც კი, როდესაც ნაწილობრივ განთავისუფლების შესახებ მშობლის მოთხოვნა გონივრულად იყო მიჩნეული, ეს ყოველთვის არ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა განთავისუფლებას პროგრამის მოცემული ნაწილისგან. 2-4 განყოფილება მოითხოვს, რომ "სკოლა მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობს საკითხის გადაწყვეტას სასკოლო პროგრამის ფარგლებში დიფერენცირებული სწავლების ხელშეწყობის გზით". F-03-98 ცირკულარულ წერილში დეტალურადაა მოცემული დიფერენცირებული სწავლების მაგალითები, რომელთა საფუძველზედაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელს, მშობლებთან თანამშრომლობით, მოქნილი მიდგომები უნდა გამოეყენებინა, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური კუთვნილება და მოცემული ღონისძიების ტიპი. სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ გარკვეული ღონისძიებებისთვის, მაგალითად, როგორცაა, ლოცვები, ჰიმნთა მღერა, საეკლესიო მსახურება და სასკოლო წარმოდგენები, შეთავაზებული იყო მონაწილეობის დასრებით ჩანაცვლება, რაც მიზნად ისახავდა ცოდნის გადაცემის ინტერესის დაცვას პროგრამის შესაბამისად; განთავისუფლება ეხებოდა თვით ღონისძიებას და არა ამ ღონისძიების მეშვეობით გადაცემულ ცოდნას (იხ. ზემოთ, პუნქტი 48). თუმცა, სასამართლოს აზრით, ღონისძიებასა და ცოდნას შორის ეს განსხვავება სირთულეს ქმნის არა მხოლოდ პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე აკნინებს ნაწილობრივ განთავისუფლების უფლების ეფექტიანობას. გარდა ამისა, წმინდა პრაქტიკულ დონეზე, მშობლებს შესაძლოა გაუჭირდეთ გადაწყვიტონ დააკისრონ თუ არა მასწავლებელს ზედმეტი ტვირთი დიფერენცირებული სწავლების მოთხოვნით (იხ. ზემოთ, პუნქტი 29).

100. ზემოაღნიშნულის ფონზე სასამართლო ასკვნის, რომ ნაწილობრივ განთავისუფლების სისტემას შეეძლო მოცემული მშობლებისთვის მძიმე ტვირთი დაეკისრებინა მათი პირადი ცხოვრების არასასურველი გამჟღავნების თვალსაზრისით და რომ კონფლიქტის მოსალოდნელობას შეეძლო მათზე იმგვარი ზემოქმედება მოეხდინა, რომ მშობლებს განთავისუფლების მოთხოვნა აღარ წარედგინათ. ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით რელიგიური ხასიათის ღონისძიებებთან მიმართებით, დიფერენცირებულ სწავლებას შეეძლო საგულისხმოდ შემცირებინა ნაწილობრივ განთავისუფლების ფარგლები. ძნელია ეს მიჩნეული იქნეს, როგორც შესაბამისი მშობელთა უფლებისა, პატივი სცენ მათ მრწამსს, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის მიზნებისთვის, როგორც იგი განმარტებულია კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლების შუქზე. ამ თვალსაზრისით, უნდა გვახსოვდეს, რომ კონვენცია შექმნილია "არა თეორიული და ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებების უზრუნველსაყოფად" (იხ. *ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ* [GC], 46221/99, §135, ECHR 2005-).

101. როგორც მთავრობამ განაცხადა, განმცხადებელ მშობლებს შეეძლოთ თავიანთი შვილებისთვის ალტერნატიული განათლება მიეცათ კერძო სკოლებში, რომლებსაც ძირითადად მოპასუხე სახელმწიფო აფინანსებდა, რადგან კერძო სკოლების დაფუძნებასთან და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების 85%-ს სახელმწიფო ფარავდა. თუმცა

სასამართლოს მიაჩნია, რომ ნარმოდგენილ საქმეში ასეთი შესაძლებლობის არსებობა სახელმწიფოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან უზრუნველყოს პლურალიზმი საჯარო სკოლებში, რომლებიც ყველასთვის ღიაა.

102. ამ ფონზე, ჩვეულებრივ დანყებით სკოლებსა და საშუალო სკოლების დაბალ კლასებში KRL საგნის შემოღებასთან დაკავშირებული მრავალი მისასალმებელი საკანონმდებლო მიზნის მიუხედავად, არ ჩანს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ სათანადოდ იზრუნა იმისთვის, რომ პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემა მომხდარიყო ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტული გზით 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის მიზნებისთვის.

შესაბამისად, სასამართლო ასკენის, რომ განმცხადებელი მშობლებისთვის მათი შვილების KRL საგნის სწავლებისგან სრულად განთავისუფლების მოთხოვნაზე უარის თქმით ნარმოიშვა 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა.

II. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლთან და 1-ლი ოქმის მე-2 მუხლთან ერთობლიობაში

103. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ ნანილობრივ განთავისუფლების სისტემამ სირთულეები შეუქმნა მშობლებს და დისკრიმინაცია გამოიწვია. ამ სისტემისგან განსხვავებით, საერთო განთავისუფლების ადრინდელი სისტემა და განთავისუფლებული მოსწავლეებისათვის ცხოვრების ფილოსოფიის შესახებ არაკონფესიური, პლურალისტული საგნის სწავლება, დააკმაყოფილებდა როგორც სკოლის ვალდებულებებს, ისე მშობელთა უფლებას, როგორც ეს კონვენციითაა დაცული.

104. მთავრობამ სადავოდ მიიჩნია მშობელთა განცხადება, რომ KRL საგნის გარკვეული ელემენტებისგან განთავისუფლების მოთხოვნა (ნანილობრივ განთავისუფლება) დისკრიმინაციის ტოლფასი იყო მე-14 მუხლის დარღვევით. 1998 წლის განათლების აქტის დებულება განთავისუფლების შესახებ არადისკრიმინაციულია. განთავისუფლება ერთი და იმავე ფარგლებში შესაძლებელი იყო ყველა მშობლისთვის, მე-14 მუხლის სიტყვებით თუ ვიტყვი, "განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის ...". განთავისუფლების დებულება ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა ქრისტიანებსა და არაქრისტიანებს. რელიგიური ან ეთნიკური საკითხები შეიძლება წარმოემვა სხვა საგნებსაც, როგორცაა, მაგალითად, ისტორიის, მუსიკის, ფიზიკური მომზადების და სოციალური კვლევების გაკვეთილები. 1998 წლის განათლების აქტის 2-4 განყოფილებაში ჩართული განთავისუფლების დებულება ყველა საგანს ეხებოდა. მშობელთა აზრით, ამ საგნებისგან მხოლოდ ნანილობრივ განთავისუფლების უფლება ასევე დისკრიმინაციული იქნებოდა. მთავრობის აზრით,

ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი სისტემა, როგორც ამ საგნებისთვის, ისე KRL საგნისთვის, ნაწილობრივ განთავისუფლების უზრუნველყოფა იყო. თუ ეს დისკრიმინაციას წარმოადგენდა, მაშინ მე-14 მუხლი სავალდებულო განათლების უმრავლეს ნაწილს განხორციელების საშუალებას არ მისცემდა.

105. ზემოაღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით (იხ. ზემოთ, პუნქტი 96 და პუნქტი 102), სასამართლოს საჭიროდ არ მიაჩნია ცალკე განიხილოს კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლებთან და 1-ლი ოქმის მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

106. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

"თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს."

ა. ზიანი

107. განმცხადებლები მატერიალური ზიანისთვის კომპენსაციას არ ითხოვდნენ, მაგრამ ითხოვდნენ არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას, მათ საქმეში კონვენციის დარღვევის შედეგად მიყენებული განცდისა და სულიერი ტანჯვისთვის, რომლის ოდენობა სასამართლოს უნდა განესაზღვრა საკუთარი შეხედულებისამებრ.

108. ზემოაღნიშნულ მოთხოვნაზე მთავრობას კომენტარი არ გაუკეთებია.

109. სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენის შედეგები სცდება ამ კონკრეტული საქმის ფარგლებს, რადგან დადგენილი დარღვევა პირდაპირ მომდინარეობს სადავო სამართლებრივი ჩარჩოდან და არა მისი განხორციელების ფორმიდან. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე მთავრობამ მზადყოფნა გამოთქვა გადასინჯოს KRL საგანი, სასამართლო მიიჩნევს, რომ მის მიერ 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევის დადგენა საკმარისია სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნებისთვის კონვენციის 41-ე მუხლის მიზნებისთვის.

ბ. ხარჯები და განუშლი დანახარჯები

110. განმცხადებლები ასევე ითხოვდნენ სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას, ჯამში 979,798 ნორვეგიულ კრონას (დაახლოებით 117 000 ევრო), შემდეგი ხარჯებისთვის:

(a) 308 558 ნორვეგიულ კრონას შიდასახელმწიფო სასამართლოებში განეული ხარჯებისთვის;

(b) 637 066 კრონას ადვოკატის მიერ სასამართლოში 2002 წლიდან 2006 წლამდე განეული სამუშაოს ანაზღაურებისთვის;

(c) 34 174 ნორვეგიულ კრონას ადვოკატის, კონსულტანტების და განმცხადებელთა მგზავრობის ხარჯებისთვის, რომლებიც მათ გასწიეს 2006 წლის 6 დეკემბერს სტრასბურგში საქმის განხილვაზე დასასწრებად.

ზემოაღნიშნული თანხები მოიცავდა დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგ).

111. მთავრობას ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით პროტესტი არ გამოუთქვამს.

112. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, განმცხადებელს უფლება აქვს აუნაზღაუროს ხარჯები და განეული დანახარჯები იმ ფარგლების შესაბამისად, რომელშიც დამტკიცდება, რომ ხარჯები იყო ფაქტობრივი და აუცილებელი, ხოლო ოდენობა — გონივრული. წარმოდგენილ საქმეში სასამართლო ითვალისწინებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას და ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს და გონივრულად მიიჩნევს მთლიანად მიაკუთვნოს (a) და (c) პუნქტებში მოთხოვნილი თანხები. თუმცა (b) პუნქტთან დაკავშირებით სასამართლო იხსენებს განაცხადის იმ ნაწილებს, რომლებიც დაუშვებლად გამოცხადდა და არ არის დარწმუნებული, რომ ყველა ხარჯი და განეული დანახარჯი აუცილებელი იყო კონვენციის დარღვევის გამოსასწორებლად. მად გონივრულად მიაჩნია მიაკუთვნოს ჯამში 70 000 ევრო განმცხადებელთა ხარჯებისა და განეული დანახარჯების ანაზღაურებისთვის (დღგ-ის ჩათვლით).

ბ. საურავი

113. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ოდენობით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტული პუნქტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო

1. ადგენს ცხრა ხმით რვის წინააღმდეგ, რომ დაირღვა 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი;
2. ადგენს ერთხმად, რომ საჭირო არ არის განხილული იქნეს განმცხადებელთა საჩივარი კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე, კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლთან და 1-ლი ოქმის მე-2 მუხლთან ერთობლიობაში;
3. ადგენს ერთხმად, რომ დარღვევის დადგენა თავისთავად საკმარისია განმცხადებლისთვის სამართლიანი დაკმაყოფილების მისაკუთვნებლად არამატერიალური ზიანისთვის;

4. ადგენს ერთხმად:

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებლებს ერთობლივად სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 70 000 ევრო (სამოცდა ათი ათასი) ხარჯებისთვის და განუღი დაანახარჯებისთვის, კონვერტირებული მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, ანგარიშსწორების დღეს არებული კურსით;

(ბ) რომ ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებამდე ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება უბრალო პროცენტები ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;

5. უარყოფს განმცხადებელთა დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია საჯარო სხდომაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2007 წლის 29 დეკემბერს, სასამართლოს დებულების 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ვინსენტ ბერგერი
იურისკონსულტი

უან-პოლ კოსტა
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგ მოსამართლეთა მოსაზრებები:

(ა) ბ-ნი ზუპანჩიჩის და ბ-ნი ბორეგო ბორეგოს ცალკე აზრი;

(ბ) ბ-ნი ვილდჰაბერის, ბ-ნი ლორენზენის, ბ-ნი ბირსანის, ბ-ნი კოვლერის, ქ-ნი სტეინერის, ბ-ნი ბორეგო ბორეგოს, ბ-ნი ჰაჯიევის და ბ-ნი იებენსის ერთობლივი განსხვავებული აზრი.

ინიციალები:

ჯ.-პ.კ.
ვ.ბ.

მოსამართლეების — ზუჰანჩიჩის და ბორეპო ბორეპოს ცალკე აზრი

ჩვენ ვნუხვართ, რომ დიდმა პალატამ ეს განაცხადი დაუშვებლად არ გამოაცხადა და რომ პირველი სექციის 2006 წლის 14 თებერვლის დადგენილება არ გადაისინჯა კონვენციის 35-ემუხლის მე-2 პუნქტი (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

ჩვენი აზრით, ეს განაცხადი დაუშვებელია და დიდ პალატას შეეძლო, და, კიდევ უნდა გამოეცხადებინა იგი დაუშვებლად.

1. დიდ პალატას შეეძლო განაცხადი დაუშვებლად გამოეცხადებინა

კონვენციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ “სასამართლო უკუაგდებს ნებისმიერ განაცხადს, რომელსაც იგი მიიჩნევს დაუშვებლად ამ მიზეზის საფუძველზე. ამის უფლება მას აქვს სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე”. ამ დებულების საფუძველზე, მას შემდეგ რაც იგი პალატამ მიიღო, განაცხადი დაუშვებლად გამოცხადდა (*კობსი, რიჩარდი, უელში და გინი გავრთიანებული სამეფოს ნინაალმდე*, 63684/00, 63475/00, 63484/00 და 63468/00, 2006წლის 14 ნოემბერი). საქმეში *მიჰაილესკუ რუმინეთის ნინაალმდე* ((დეც), 32913/96, 2004 წლის 22 ივნისი), სასამართლომ ასევე გადასინჯა ადრე მიღებული დადგენილება დასაშვებობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას დაუშვებლობასთან დაკავშირებით საჩივარი პროცესის სათანადო ეტაპზე არ წამოუყენებია.

დიდმა პალატამ ადრე გამოაცხადა, რომ მას შეუძლია გადასინჯოს პალატის მიერ მიღებული დადგენილება დასაშვებობის შესახებ, თუ დიდ პალატას მიმართავენ კონვენციის 43-ე მუხლის საფუძველზე, იმის მიუხედავად, მთავრობა პროცესის სათანადო ეტაპზე დააყენებს (*აზინასი კვიპროსის ნინაალმდე* [GC], 56679/00, §32, CEDH 2004-III) თუ არა (*ბლეჯიჩი ხორვატიის ნინაალმდე* [GC], 59532/00, §65, CEDH 2006-) საჩივარს დაუშვებლობის შესახებ.

ბლეჯიჩის საქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, დიდ პალატას შეუძლია საკუთარი შუამდგომლობით ხელახლა განიხილოს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხები, მიუხედავად იმისა, მთავრობამ წარადგინა თუ არა საჩივარი დაუშვებლობის შესახებ. რა თქმა უნდა, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაუმთავრებელი საერთაშორისო პროცესი.

უნდა გვახსოვდეს, რომ წარმოდგენილ საქმეში, დაუმთავრებელი საერთაშორისო პროცესის გათვალისწინებით, მესამე პალატამ გადაწყვიტა “ეს საკითხი განსახილველად სამომავლოდ გადაედო, განმცხადებელთა საჩივრების არსებითი მხარის განხილვასთან ერთად” (2004 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება). შემდგომ საქმე გადაეცა პირველ სექციას, რომელმაც 2006 წლის 14 თებერვალს დაადგინა, რომ “უკუგდებული უნდა იქნეს მთავრობის მოთხოვნა სასამართლოსადმი განაცხადის დაუშვებლად გამოცხადების შესახებ 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე”.

2. დიდ პალატას განაცხადი დაუშვებლად უნდა გამოეცხადებინა

რაც შეეხება საქმის ფარგლებს შიდასახელმწიფო სასამართლოებში, აქ იყო ერთი საქმე: "განმცხადებელთა საჩივრები KRL საგნისგან სრულად განთავისუფლების შესახებ განხილული იქნა ერთ საქმედ, სხვა ოთხი მშობლის საჩივრებთან ერთად. უზენაესი სასამართლოსა და ქვემდგომი სასამართლოების წინაშე ყველა მოსარჩელეს ერთი და იგივე ადვოკატი წარმოადგენდა და ყველა მათგანმა იდენტური საჩივრები წარადგინა. ადვოკატმა ყველა მხარის სახელით ერთადერთი მარტივი პრეზენტაცია გააკეთა და არც უცდია სხვადასხვა მხარის საქმე ინდივიდუალურად გამოეკვეთა. შესაბამისად, შიდასახელმწიფო სასამართლოებმა საჩივრები განიხილეს როგორც ერთი და გადანყვეტილებებიც ერთ საქმეზე მიიღეს, რომლებშიც ყველა მოსარჩელის მოთხოვნები მთლიანობაში იყო განხილული" (2006 წლის 14 თებერვლის დადგენილება).

საქმის ადგილობრივ ორგანოებში განხილვის შემდეგ, 2000 წლის 15 თებერვალს, საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანეს. ერთი თვისა და ათი დღის შემდეგ საქმე წარუდგინეს ადამიანის უფლებათა კომიტეტს ჟენევაში. "წარმომადგენლობითი ინსტიტუტებისადმი გადაცემული საჩივრები არსებითად ერთსა და იმავე საკითხებს ეხებოდა... მათი საჩივრების ძირითადი ნაწილი ერთი და იგივე იყო, სიტყვასიტყვით გამეორებული" (2006 წლის 14 თებერვლის დადგენილება).

მოკლედ, შიდასახელმწიფო პროცესებზე შვიდი ოჯახი ერთ ჯგუფად იყო გაერთიანებული, რომელთა საფუძველზედაც უზენაესმა სასამართლომ ერთი გადანყვეტილება მიიღო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოებში მათ ერთობლივი განაცხადი შეიტანეს, ამ ოჯახთაგან სამმა პეტიცია შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ხოლო ოთხმა — ადამიანის უფლებათა კომიტეტში, ჟენევაში.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 2004 წლის ნოემბერში პეტიცია მიიღო, რადგან "ავტორებმა უჩვენეს, რომ ისინი განსხვავდებიან მშობელთა იმ სამი წყვილისაგან, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ჰქონდა შეტანილი საჩივარი".

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2006 წლის თებერვალში დაადგინა, რომ "სტრასბურგში კონვენციის საფუძველზე შემოტანილ საჩივარსა და ჟენევაში გაეროს პაქტის საფუძველზე შეტანილ საჩივარს შორის არსებული საერთო მახასიათებლების მიუხედავად", ოჯახთა ორ ჯგუფს შორის პირადი იდენტურობა არ არსებობდა და, აქედან გამომდინარე, მან უკუაგდო მთავრობის მოთხოვნა განაცხადის დაუშვებლად გამოცხადების შესახებ.

კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტი და გაეროს პაქტის ფაკულტატიური ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება, კერძოდ, თავიდან იქნეს აცილებული "ერთი და იგივე საკითხისთვის" ორი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოს მიერ განსხვავებული ან ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტების მიცემა.

საქმეში *სერესედა მარტინი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ*

(16358/90), ადამიანის უფლებათა ყოფილმა ევროპულმა კომისიამ განაცხადი დაუშვებლად გამოაცხადა შემდეგი საფუძვლით: *“მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური მსჯელობით, 23 ინდივიდუალური განმცხადებელი არ არის მომჩივანი, რომლებმაც განაცხადი შეიტანეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში, ... მხარეები ძირითადად შეიძლება იდენტიურად იქნენ განხილული”*.

საერთაშორისო ორგანოები იხილავენ შიდასახელმწიფო პროცესებზე მიღებულ დადგენილებებს, რომლებშიც ნებისმიერი მხარე (მოსარჩელე ან ბრალდებული) შეიძლება იყოს ინდივიდუალური პირი ან პირთა ჯგუფი. როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტმა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინასწარი დადგენილების გარეშე), ისე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (რომლისთვისაც ცნობილი იყო ადამიანის უფლებათა კომიტეტის დადგენილება) დაასკვნეს, რომ მთავარი საკითხს არ წარმოადგენდა შიდასახელმწიფო პროცესი იყო თუ არა ერთი, ან ერთი გადაწყვეტილება განიხილა ორმა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანომ, ან ის, რომ ორ ორგანოში წარდგენილი ფაქტები იყო თუ არა იდენტიური. არა. რეალურად საქმე მდგომარეობდა შემდეგში — რადგან განმცხადებლები წარმოადგენდნენ ინდივიდუალურ პირთა ჯგუფს, ზოგმა მათგანმა არჩია ადამიანის უფლებათა კომიტეტში შეიტანა პეტიცია, ხოლო ზოგმა მათგანმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანა განაცხადი. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი და იგივე მხარის სხვადასხვა განმცხადებელმა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოს მიმართა.

დაუშვებელ საერთაშორისო სამართალწარმოებას ადგილი აქვს, თუ საქმე ეხება “ერთსა და იმავე საკითხს”, “ერთსა და იმავე განაჩენს”, “ერთსა და იმავე საჩივარს”, “ერთსა და იმავე მხარეს” და ა.შ. წარმოდგენილ საქმეში, უმრავლესობის მიერ მიცემული განმარტების შესაბამისად, დაუშვებელი საერთაშორისო სამართალწარმოება წყვეტს არსებობას, როდესაც თავდაპირველი ჯგუფიდან სხვადასხვა ინდივიდუალური პირი გადაწყვეტს ორ ჯგუფად გაიყოს და ერთი და იგივე საკითხი განსახილველად ორ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოში წარადგინოს. მიუხედავად ამისა, არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო დადგენილებათა რისკი, რომლებიდანაც წარმოიშობა საერთაშორისო სამართალწარმოების დაუშვებლობა. ეს არის მაგალითი იმისა, რისი თავიდან აცილებასაც ცდილობდა კონვენცია და ფაკულტატური ოქმი. სამწუხაროდ, კომპეტენტური საერთაშორისო ორგანოების შემდგომი განმარტებებით ეს თავდაპირველი არსი დაიკარგა.

სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომელიც ცხრა ხმით მიიღეს რვის წინააღმდეგ, შესაძლოა გვაფიქრებინოს, რომ დაუშვებელი საერთაშორისო სამართალწარმოებიდან გამონაკლისი დაიმარხა, მაშინაც კი — რაოდენ წინააღმდეგობრივადაც არ უნდა მოგვეჩვენოს — როდესაც წარმოდგენილ საქმეში იგი საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურება. ეს სამწუხაროა.

მოსამართლეების — ვილდჰაბერის, ლორენზენის, ბირსანის, კოვლერის, სტეინერის, ბორეგო ბორეგოს, შაჯიევის და იებენსის ერთობლივი განსხვავებული აზრი

ჩვენ არ ვიზიარებთ უმრავლესობის მიერ ზემოთ გამოხატულ მოსაზრებას, რომ წარმოდგენილ საქმეში დაირღვა 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი. ჩვენ ამისთვის შემდეგი საფუძვლები გვაქვს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს საქმის ფარგლები სასამართლოს წინაშე. 2004 წლის 26 ოქტომბერს სასამართლომ ბავშვთა მიმართ განაცხადი დაუშვებლად გამოაცხადა, ასევე დაუშვებლად გამოაცხადა მშობელთა საჩივარი KRL საგნისგან ნაწილობრივ განთავისუფლების შესაძლებლობისა და მოდალურობის შესახებ. დადგენილებები დაუშვებლობის შესახებ დაეფუძნა შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურაობას, რადგან შიდასახელმწიფო სამართალწარმოებაში ბავშვები მხარეებს არ წარმოადგენდნენ, ხოლო განმცხადებელ მშობელთა სარჩელი და მათი აპელაცია უზენაეს სასამართლოში მიმართული იყო ზოგადად KRL საგნისა და მისი განხორციელების წინააღმდეგ, ასევე საგნისგან სრულად განთავისუფლების შესაძლებლობის არარსებობის წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი საქმის ფარგლები უფრო ვიწროა, ვიდრე იმ საქმისა, რომლის არსებითი მხარეც გაეროს კომიტეტმა პარალელურად განიხილა და რომელიც შეტანილი იყო მშობელთა სხვა წყვილების და მათი შვილების მიერ, რომლებიც იმავე შიდასახელმწიფო სამართალწარმოების მხარეები იყვნენ. კომიტეტმა საქმე მთლიანობაში დასაშვებად გამოაცხადა და შეისწავლა არა მხოლოდ ბავშვებთან დაკავშირებული კონკრეტული სიტუაცია, არამედ ასევე ნაწილობრივ განთავისუფლებასთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. გადაწყვეტილების პუნქტები 43-45). აქედან გამომდინარე, ჩვენი დასკვნები არ უნდა იქნეს განხილული, როგორც საწინააღმდეგო, გაეროს კომიტეტის მიერ სხვა საქმეზე მიღებული დასკვნებისა.

როგორც დასაშვებობის შესახებ 2006 წლის 14 თებერვლის დადგენილებაშია მითითებული, საქმის ფარგლების შეზღუდვები, რომლებიც მომდინარეობს დაუშვებლობის შესახებ 2004 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებიდან, სასამართლოს ხელს არ უშლის სრულად განთავისუფლებისგან უარის თქმის გამო წარმოდგენილი საჩივრის განიხილვისას შეისწავლოს ნაწილობრივ განთავისუფლების სქემის ზოგადი ასპექტები. თუმცა, ეს არ იქნებოდა საქმის შეზღუდული ფარგლების შესაბამისი, როგორც ზემოთ განვმარტეთ, თუ სასამართლო ნაწილობრივ განთავისუფლების სქემის შესწავლას დაიწყებდა, ან თუნდაც იმის გარკვევას, როგორ მუშაობს იგი პრაქტიკაში. ჩვენი აზრით, სასამართლოს უმრავლესობამ გადააბიჯა საქმის ფარგლებს, როდესაც განიხილა ნაწილობრივ განთავისუფლების სქემა და მისი მუშაობის დეტალები (იხ. გადაწყვეტილების პუნქტები 97-100). სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი საქმე ამკარად ეხება ზოგადად KRL საგანს, ნაწი-

ლობრივ განთავისუფლების შესაძლებლობით, მაგრამ არა სრულად განთავისუფლების საკითხს. ეს ემთხვევა უზენაეს სასამართლოში წარდგენილ საკითხს. შესაბამისად, ჩვენი შესწავლა არ შეეხება განმცხადებელთა არგუმენტებს სახელმძღვანელოთა შესახებ, რომლებიც სავალდებულოს არ იყო მასწავლებლისთვის და სხვადასხვა სასწავლო საშუალებათა შორის მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენდა.

ჩვენი აზრით, საქმის განსახილველად ორმაგი მიდგომაა საჭირო, კერძოდ, ნორვეგიის თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნათა შუქზე და მისი ისტორიული მონაცემების ფონზე. ერთი მხრივ, ნორვეგიის მოქალაქეთა შორის სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიური მრწამსის მქონე მოქალაქეთა რაოდენობის ზრდა ჩართულობის ღონისძიებებს მოითხოვს, სადაც გათვალისწინებული იქნება სკოლებში რელიგიისა და ეთიკის საერთო სწავლება. მეორე მხრივ, პროგრამის შემუშავებისას არ შეიძლება გათვალისწინებული არ იქნეს ნორვეგიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ნორვეგიაში ქრისტიანობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც რელიგიას და როგორც სასკოლო საგანსაც (იხ. გადაწყვეტილების მე-9 და მე-10 პუნქტები). ეს ასპექტი უნდა აისახოს პროგრამაში, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს ჩართულობაზე ორიენტირებული და ფართო.

კონსტიტუციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი რელიგიის თავისუფლებას უზრუნველყოფს, მაგრამ მე-2 პუნქტი აცხადებს, რომ სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია ევანგელისტურ-ლუთერანული რელიგიაა. მოსახლეობის არანაკლებ 86% სახელმწიფო ეკლესიას მიეკუთვნება (იხ. გადაწყვეტილების მე-9 პუნქტი). გარდა ამისა, მეორე პუნქტი ბავშვთა შესაბამისად განათლების ვალდებულებას ადგენს. თუმცა მას უკვე აღარ ახლავს რაიმე სანქცია და დღეისათვის სამართლებრივ დოქტრინაში სამართლებრივ ვალდებულებად აღარ განიხილება (იხ. *ჯოს ადენესი და არნე ფლიფლეტი, Statsforfatningen i Norge*, მე-10 გამოცემა, 2006, გვ. 391-392).

უმრავლესობისაგან განსხვავებით, ვინც ეს პოზიცია არ დაიკავა, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ, შეუძლია თუ არა კონსტიტუციის მე-2 მუხლის მეორე წინადადებას წარმოშვას საკითხი 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის ან კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე. ჩვენი აზრით, არა. ამ გათვალისწინებული პლურალიზმის ცნებამ დემოკრატიულად არჩეულ პოლიტიკურ უმრავლესობას ხელი არ უნდა შეუშალოს ოფიციალურად აღიაროს კონკრეტული რელიგიის დომინირება და იგი სახელმწიფო დაფინანსებას, რეგულირებასა და კონტროლს დაუქვემდებაროს. ერთი რელიგიური კონფესიისთვის განსაკუთრებული სახელმწიფო სტატუსის მინიჭება თავისთავად არ გამოორიციხავს სახელმწიფოს მხრიდან მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის პატივისცემას მათი შვილების განათლების უზრუნველყოფისას და იგი არც აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების განხორციელებას არ უშლის ხელს.

განმცხადებელთა არგუმენტებმა ჩვენ ვერ დაგვარწმუნა, რომ 2-4(3) განყოფილებაში მითითება იმაზე, რომ 1-2(1) განყოფილების ქრისტიანული მიზნის დებულება სწავლების ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს, სა-

განს მტკიცე ქრისტიანულ საყრდენს უქმნის. როგორც ბოლო დებულების ფორმულირებიდან ნათლად ჩანს, "ბავშვთა ქრისტიანულ და მორალურ აღზრდაში დახმარების განევა" შესაძლებელი იყო მხოლოდ მშობლებთან "შეთანხმებითა და თანამშრომლობით" (იხ. გადანყვეტილების 22-ე პუნქტი). დებულება რაიმე გამონაკლისს არ ანებს და ნინა პუნქტში ჩამოყალიბებული წესიდან, რომ KRL საგანი ჩვეულებრივი სასკოლო საგანი იყო, რომელიც ქადაგების სახით არ უნდა ისწავლებოდეს. იგი მოითხოვს, რომ მასწავლებელმა ყველა განსხვავებული რელიგია და ფილოსოფია მათი კონკრეტული მახასიათებლების საფუძველზე უნდა წარმოადგინოს და სხვადასხვა თემის სწავლებისას ერთი და იგივე პედაგოგიური მეთოდები უნდა გამოიყენოს. ეს პრინციპები პროგრამის ყველა ასპექტს ეხება, ლოცვის, ფსალმუნების, რელიგიური ტექსტების ზეპირად შესწავლის და რელიგიური ხასიათის პიესებში მონაწილეობის მიღების ჩათვლით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ქრისტიანობას მეტი ნაწილი ჰქონდა დათმობილი, ვიდრე მსოფლიოს სხვა რელიგიებსა და ფილოსოფიებს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი მსოფლიო რელიგიებისა და ფილოსოფიათა ფართო სპექტრს მოიცავდა და საგნის ნახევარს, ან შესაძლოა მეტ ნაწილსაც შეადგენდა (იხ. გადანყვეტილების 23-ე პუნქტი). ჩვენ მიზეზს ვერ ვხედავთ ეჭვქვეშ დაყავნოთ, რომ (i)-დან (iii)-მდე პუნქტებში ჩამოყალიბებული მიზნები, რომლებიც ქრისტიანობის და მსოფლიოს სხვა რელიგიებისა და ფილოსოფიათა შესახებ ცოდნის გადაცემას ეხება, ემსახურებოდა შემდგომ მიზანს, რომელიც (v) პუნქტში იყო ჩამოყალიბებული: ხეს იწყობს სხვადასხვა რწმენისა და შეხედულების მქონე ადამიანთა შორის ურთიერთგაგების, პატივისცემისა და დიალოგის ჩამოყალიბების შესაძლებლობათა განმტკიცებას (იქვე). ცნება ცოდნასთან ერთად ხაზგასმულია ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა და კულტურათაშორისი დიალოგი.

გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ (iv) პუნქტში მოცემული მიზანი — "ხელს უწყობს ქრისტიანული და ჰუმანისტური ღირებულების გაცნობიერებასა და პატივისცემას" — არა მხოლოდ ქრისტიანულ, არამედ ასევე ჰუმანისტურ ღირებულებებს მოიცავს. ეს რა თქმა უნდა ასახული იყო პროგრამაში, რომელმაც I—VII კლასების ამოცანად ჩამოაყალიბა "განვითარება და მორალური გაცნობიერება", სადაც I—IV კლასებისთვის განიხილებოდა "მე და სხვები", V—VII კლასებისთვის "ღირებულებები და არჩევანი", ხოლო VIII—X კლასებისთვის — "ადამიანის ფილოსოფიური განმარტება — ღირებულებები და ნორმები".

ამ ფონზე ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ სამართლებრივი ჩარჩო ხარისხობრივ განსხვავებებს ითვალისწინებდა ქრისტიანობის სწავლებისთვის სხვა რელიგიებთან და ფილოსოფიებთან შედარებით. ის ფაქტი, რომ ქრისტიანობას პრიორიტეტი ჰქონდა მინიჭებული, ჭეშმარიტებას შეესაბამება მხოლოდ KRL საგანში სხვადასხვა რელიგიისა და სხვა ელემენტების რაოდენობრივ მახასიათებელთან მიმართებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქრისტიანობა ნორვეგიისთვის მხოლოდ სახელმწიფო რელიგია როდია. იგი ნორვეგიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ქმნის. ჩვენი აზრით, KRL საგანი ნათლად აკმაყოფილებდა ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის

1-ლი ოქმის მე-2 მუხლით მინიჭებულ კომპეტენციას (იხ. მითითება საქმიდან *კელდსენი, ბუსკ მადსენი და პედერსენი*, §53; პუნქტი 84 (გ)).

გარდა ამისა, ჩვენ არ ვეთანხმებით, რომ ნაწილობრივ განთავისუფლების სქემა სვადასხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. პირიქით, KRL საგნისგან ნაწილობრივ განთავისუფლების საშუალება ითვალისწინებს იმ მშობელთა მოთხოვნებს, რომლებიც ქრისტიანობისაგან განსხვავებულ რელიგიას მიეკუთვნებიან, ან საერთოდ არც ერთს არ მიეკუთვნებიან. 2-4(4) განყოფილების საფუძველზე, "მოსწავლე, მოცემულ სკოლაში მშობლის წერილობითი შეტყობინების ნარდგენის შემდეგ, თავისუფლდება სწავლების იმ ელემენტებისგან, რომლებიც, მათი საკუთარი რელიგიისა თუ ცხოვრების ფილოსოფიის თვალსაზრისით, განიხილება, როგორც ტოლფასი სხვა რელიგიის აღმსარებლობისა ან ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევრობისა".

ჩვენი აზრით, არაგონივრული არ იყო ვარაუდი იმისა, რომ მშობლები, რომლებსაც განთავისუფლების სურვილი ექნებოდათ, სათანადო ნაბიჯებს გადადგამდნენ საგნის შინაარსის გაცნობის მიზნით. არც დასაბუთების მოთხოვნაშია რაიმე უჩვეულო ან თავსმოხვეული. უჩვეულო ნამდვილად არ არის, რომ ზოგადი ვალდებულებისგან განთავისუფლების მოპოვების ძიებისას, მოქალაქეებს, ხელისუფლებასთან ურთიერთობისას, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდებას სთხოვენ, მგრძობიარე სახის პირადი ინფორმაციის ჩათვლით. ის ფაქტი, რომ ასეთ შესაძლებლობას უფრო ხშირად ხელს უწყობენ გარკვეული ჯგუფები, თავისთავად არ ნიშნავს, რომ განთავისუფლების სქემა თვითნებურია. ამ შემთხვევაში, ისეთი ღონისძიებებისგან გასათავისუფლებად, როგორიცაა, ლოცვები, ფსალმები, რელიგიური ტექსტების დაზეპირება და რელიგიური ხასიათის პიესებში მონაწილეობა, მშობელთა შეტყობინებაში დასაბუთების ნარდგენას არ მოითხოვდა. დასაბუთება საჭირო იყო იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა პროგრამის სხვა ასპექტებს ეხებოდა, მაგრამ მას ერთადერთი მიზანი ჰქონდა, კერძოდ, სკოლას საშუალება ჰქონოდა შეეფასებინა, იყო თუ არა მართლაც გონივრული მშობელთა შეხედულება, რომ სწავლება იყო სხვა რელიგიის პრაქტიკისა და ცხოვრების სხვა ფილოსოფიის მიმდევრობის ტოლფასი. ეს არ იყო თანაბარი მოთხოვნისა, რომლის თანახმადაც მშობლებს თავინთი მრწამსი უნდა გამეყლავებინათ. ამასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს, რომ 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე საკითხი მდგომარეობს იმაში, სწავლება არის თუ არა მშობელთა "მრწამსის" სანაწილადგეგო, ხოლო ეს ტერმინი არ არის "მოსაზრების" ან "იდეის" სინონიმი, მაგრამ აღნიშნავს შეხედულებებს, რომლებიც აღწევს დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობისა და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს (იხ. *ვალსამისის* საქმე, ციტ. ზემოთ, §25).

ამ მსჯელობათა ფონზე, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ნაწილობრივ განთავისუფლების სქემა გადაჭარბებულ ან არაგონივრულ ტვირთს აკისრებდა მშობლებს, რომლებიც განთავისუფლებას ითხოვდნენ, და არღვევდა მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების ფარგლებს 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, როგორც ეს განმარტებულია კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლების ფონზე.

გარდა ამისა, არსებობდა გარკვეული მექანიზმები მშობელთა ნაწილობრივ განთავისუფლების მოთხოვნათა დასაცავად სკოლის ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას. ასეთი დადგენილებების გასაჩივრება შეიძლებოდა ეროვნული განათლების სამსახურში, ხოლო საბოლოოდ — ეროვნულ სასამართლოში (იხ. გადაწყვეტილების 48-ე პუნქტში ციტირებული მე-8 ქვესათაური).

ჩვენ ასევე გავითვალისწინებთ 2-4(4) განყოფილების დებულებას, რომელიც გამოიყენება ნაწილობრივ განთავისუფლების მოთხოვნის შემთხვევაში, კერძოდ, "სკოლა მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობს საკითხის გადაწყვეტას სასკოლო პროგრამის ფარგლებში დიფერენცირებული სწავლების ხელშეწყობის გზით" (იხ. გადაწყვეტილების 23-ე პუნქტი). დეტალური სქემა, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს დიფერენცირებული სწავლება, F-03-98 ცირკულარულ წერილშია მოცემული, რომელიც უჩვენებს, რომ მასწავლებელს, მშობლებთან თანამშრომლობით, მოქნილი მეთოდები უნდა გამოეყენებინა, რომლებიც გაითვალისწინებდა მშობელთა რელიგიურ და ფილოსოფიურ კუთვნილებას და მოცემული ღონისძიების ტიპს. ჩვენ განსაკუთრებით მივუთითებთ რამდენიმე ღონისძიებაზე, მაგალითად, ლოცვებზე, ჰიმნთა მღერაზე, ეკლესიის მსახურებაზე და სასკოლო წარმოდგენებზე, რომლებშიც მონაწილეობა მხოლოდ დასწრებით შეიძლებოდა ჩანაცვლებულიყო. აქ იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ დაცული იქნებოდა ცოდნის გადაცემის ინტერესი პროგრამის შესაბამისად, ხოლო განთავისუფლება დაკავშირებული იყო ღონისძიებასთან, და არა ცოდნასთან, რომელიც ამ ღონისძიების მეშვეობით გადაიცემოდა (იხ. გადაწყვეტილების 48-ე პუნქტი)...

ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე მიზეზს ამ საკითხის ეჭვქვეშ დასაყენებლად, რომელიც გონივრულობის საკითხს უკავშირდება და რომელიც ეროვნული შეფასების ფარგლებშია მოქცეული პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების თვალსაზრისით.

ამ ფონზე ჩვენ გვაკმაყოფილებს, რომ მოპასუხე სახლემწიფომ, თავისი ვალდებულებების შესრულებისას განათლებისა და სწავლების კონტექსტში, იზრუნა იმისთვის, რომ KRL საგნის პროგრამაში ჩართული ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემა მომხდარიყო ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტული გზით. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ემსახურებოდა ინდოქტრინაციის მიზანს, რითაც ეწინააღმდეგებოდა მშობელთა უფლებას პატივი ეცათ მათი ფილოსოფიური მრწამსისთვის და არღვევდა 1-ლი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.

შესაბამისად, KRL საგნისგან განმცხადებელ მშობელთა შვილების სრულად განთავისუფლებაზე უარის თქმა არ იწვევდა 1-ლი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას.

გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ

Galstyan v. Armenia

გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია
საქმე გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ

CASE OF GALSTYAN v. ARMENIA

(განაცხადი 26986/03)

გადანყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 15 ნოემბერი

საბოლოო

15/02/2008

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე *“გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ”*,
(*Galstyan v. Armenia*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (მესამე სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი ბ.მ. ზუპანჩიჩი, *თავმჯდომარე*,
ბ-ნი კ. ბირსანი,
ქ-ნი ე. ფურა-სანდსტრომი,
ქ-ნი ა. გიულიმინი,
ბ-ნი ე. მაიერი,
ბ-ნი დევიდ თორ ბიორგენსონი,
ქ-ნი ი. ბერო-ლეფევრე, *მოსამართლეები*,
და ბ-ნი ს. ქუესადა, *სექციის მდივანი*,

მოითათბირა 2007 წლის 15 ოქტომბერს და

იმავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (26986/03) სომხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე სომხეთის მოქალაქის, ბ-ნი არშამ გალსტიანის ("განმცხადებელი") მიერ 2003 წლის 1 აგვისტოს.

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ბ-ნი ნ. ეგიაზარიანი. სომხეთის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა მისი აგენტი, ბ-ნი გ. კოსტანიანი, სომხეთის რესპუბლიკის წრმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

3. 2005 წლის 5 აპრილს სასამართლომ გადაწყვიტა მთავრობისთვის შეეტყობინებინა განაცხადის შესახებ. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მან გადაწყვიტა ერთდროულად განეხილა განაცხადის არსებითი მხარე და მისი დასაშვებობა.

ვ ა ქ ე ბ ი

I. საქმის გარემოებები

4. განმცხადებელი დაიბადა 1958 წელს და ცხოვრობს ერევანში.

5. 2003 წელს სომხეთში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის პირველი ტური შედგა 19 თებერვალს. განმცხადებელი არჩევნებზე იყო ოპოზიციის მთავარი კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი (*ქსათახქასანდ*). არჩევნების მეორე ტურის დროს, რომელიც 5 მარტს გაიმართა, განმცხადებელი იყო ერთ-ერთი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი. არჩევნების შემდეგ განმცხადებელი მონაწილეობდა საპროტესტო გამოსვლებში, რომლებიც ერევანში გაიმართა ოპოზიციური პარტიების მიერ.

6. განმცხადებელი ჩიოდა, ხოლო მთავრობა არ უარყოფდა, რომ აპრილის დასაწყისში ერევნის პოლიციის ცენტრალური განყოფილების (*Հ ուսիქასსուქյას წესსას քაղաքի ცხსოიოსსკას Բაძիქს*)) პოლიციელები მივიდნენ განმცხადებლის სახლში, როდესაც იგი შინ არ იმყოფებოდა. ამ ამბის შეტყობის შემდეგ განმცხადებელი პოლიციის განყოფილებაში მივიდა მათი ვიზიტის მიზეზის გასაგებად. პოლიციის განყოფილებაში განყოფილების უფროსის მოადგილემ მას უბრძანა, მონაწილეობა აღარ მიეღო დემონსტრაციებში.

7. 2003 წლის 7 აპრილს, 17:00 საათზე, ერევნის ცენტრში ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი დემონსტრაცია. დემონსტრანტები შეიკრიბნენ მაშტოცის გამზირზე, უძველეს ხელნაწერთა კვლევითი ინსტიტუტის (*Մասենსაդարას*) გვერდით. როგორც ჩანს, დემონსტრაცია პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, სადაც აკრიტიკებდნენ მთავრობას და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების ფორმას.

8. განმცხადებელი ჩიოდა, ხოლო მთავრობა არ უარყოფდა, რომ დემონსტრაცია ქალების მიერ იყო ორგანიზებული და მასში მონაწილეობდა დაახლოებით 30 000 ადამიანი, რომელთა უმრავლესობა ქალი იყო. საგზაო პოლიციამ დემონსტრაციის დაწყებამდე შეაჩერა ავტომობილთა მოძრაობა გამზირის შესაბამის მონაკვეთზე. თავად განმცხადებელი დემონსტრაციაში მონაწილეობას არ იღებდა, რადგან იგი მამაკაცთა უმრავლესობასთან ერთად, რომლებიც გამზირის ორივე მხარეს იდგნენ, გარკვეული დისტანციიდან ადევნებდა მას თვალს. მათი ამოცანა იყო ქალების გამხნეება და შესაძლო პროვოკაციების თავიდან აცილება.

9. როგორც განმცხადებელი ამტკიცებს, დაახლოებით 17 საათსა და 30 წუთზე იგი შინ წავიდა. შინისაკენ მიმავალ გზაზე, დემონსტრაციის ადგილიდან დაახლოებით 100-150 მეტრში, მას მიუახლოვდა ორი პირი სამოქალაქო ტანსაცმლით, რომლებმაც პოლიციის მუშაკის პირადობის მონიშვნები უჩვენეს და პოლიციის ცენტრალურ განყოფილებაში წაიყვანეს.

10. პოლიციის განყოფილებაში, პოლიციის ოფიცრებმა, რომლებმაც იგი დააკავეს, განმცხადებლის დაკავების ოქმი შეადგინეს (*արქასსაგოიქასს*

ქერასნ ხსթაყსქსი მასხს), სადაც აღნიშნული იყო, რომ განმცხადებელი "დააკავეს დაახლოებით 17 საათსა და 30 წუთზე მამტოცის გამზირზე, საგზაო მოძრაობის ხელშეშლისათვის და დემონსტრაციის დროს ანტისაზოგადოებრივი ქცევისთვის".

11. ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელმაც განმცხადებელი დააკავა, პოლიციის განყოფილების უფროსს (*ՀՀ ոստիկանության Նրկաս քաղաքի կենտրონական բաժնի պետ*) შემდეგი პატაკი მისწერა:

"... 2003 წლის 7 აპრილს ჩვენ ვმორიგეობდით მამტოცის გამზირზე, სადაც გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიც ადამიანთა დიდი რაოდენობა მონაწილეობდა. მორიგეობის დროს ჩვენ შევამჩნიეთ ერთი ადამიანი, რომელიც ხელს უშლიდა ტრანსპორტის მოძრაობას, ანტისაზოგადოებრივად იქცეოდა და სხვებსაც მოუწოდებდა მისთვის მიებაძათ. ეს ადამიანი მივიყვანეთ პოლიციის განყოფილებაში..."

12. განმცხადებელი გაჩხრიკეს, თუმცა რაიმე უკანონო ნივთი მას არ აღმოაჩნდა. შეადგინეს შესაბამისი ოქმი.

13. პოლიციის ოფიცრებმა განმცხადებელი დაკითხეს. განმცხადებელმა ჩვენება მისცა წერილობით (*արձանագրության բացատրության վերცხსი მასხს*), სადაც აღნიშნავდა, რომ იგი დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა სამი დღის წინ. 2003 წლის 7 აპრილის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ იგი ამ დემონსტრაციაზედაც წაივიდა. იგი ასევე აცხადებდა, რომ მან ორი დღით ადრე იცოდა დემონსტრაციის ჩატარების შესახებ და გადაწყვეტილი ჰქონდა მასში მონაწილეობის მიღება. განმცხადებელი დასძენდა, რომ მას ამ დემონსტრაციების დროს რაიმე კანონი არ დაურღვევია და არც დაარღვევდა. ეს ჩვენება პოლიციის ოფიცრებმა დახიეს, რომლებმაც განაცხადეს, რომ იგი მელნით იყო დასვრილი, და განმცხადებელს სთხოვეს, თავიდან დაენერა. როდესაც მან იმავე ჩვენების თავიდან წერა დაიწყო და ის-ის იყო უნდა დაენერა, რომ მას რაიმე არამართლზომიერი საქციელი არ ჩაუდენია, პოლიციელებმა იგი გააჩერეს და უთხრეს, რომ რაც დანერა, საკმარისი იყო.

14. პოლიციის ოფიცრებმა შეადგინეს ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ (*վարչական իրավախախտման արձանագրություն*), სადაც აღნიშნული იყო, რომ განმცხადებელი "მონაწილეობდა დემონსტრაციაში, რომლის დროსაც დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი". განმცხადებლის ქმედება დაკვალიფიცირდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (*Վարչական իրավախախտումների վերաբերյալ ՀՀ օրենսգիրք*) 172-ე მუხლით, როგორც წვრილმანი ხულიგნობა. განმცხადებელმა ამ ოქმს ხელი მოაწერა. მან ასევე ხელი მოაწერა პუნქტს, სადაც ნათქვამი იყო, რომ იგი გაეცნო მის უფლებებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 267-ე მუხლის საფუძველზე, და პუნქტს სათაურით – "საქმის განსაზღვრასთან დაკავშირებული სხვა სათანადო ინფორმაცია", სადაც მან ასევე დაამატა — "არ მსურს მყავდეს ადვოკატი".

15. განმცხადებელი ჩიოდა, რომ თავიდან მან ოქმისთვის ხელის მოწერაზე უარი განაცხადა და ადვოკატი მოითხოვა. ამის გამო იგი პოლიციის განყოფილებაში კიდევ ხუთსაათნახევარი ამყოფეს. ამ ხნის განმავლობაში პოლიციის ოფიცრები დაჟინებით მოითხოვდნენ მისგან, ხელი მოეწერა ოქმისთვის და უარი

ეთქვა ადვოკატზე. მათ განმცხადებელს უთხრეს, რომ ასეთ უმნიშვნელო საქმეზე ადვოკატი და მისთვის ფულის ხარჯვა საჭირო არ იყო. მათ ასევე უთხრეს, რომ ეს საქმე მათი ზემდგომების მიერ უკვე გადაწყვეტილი იყო, ასე რომ, ადვოკატი დახმარების ნაცვლად ზიანს უფრო მოუტანდა, რადგან ამის გამო მას პოლიციის განყოფილებაში ყოფნა კიდევ გარკვეული ხნით მოუწევდა. მეორე მხრივ, თუ ის ხელს მოაწერდა ოქმს და უარს იტყოდა ადვოკატზე, მას დაუყოვნებლივ წაიყვანდნენ სასამართლოში, სადაც, უარეს შემთხვევაში, მცირე ოდენობის ჯარიმას დააკისრებდნენ და გაუშვებდნენ. განმცხადებელი საბოლოოდ დანებდა ოქმისთვის ხელის მოწერასა და ადვოკატზე უარის თქმაზე დათანხმდა. იმავე დღეს, 23:00 საათზე იგი მიიყვანეს ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლე 'მ'-სთან (*Երևան քաղաքի Կենտրონის և Նորք-Մարաշ համայնքների առաջին ასიլასի դատարան*), რომელმაც საქმე განიხილა.

16. მთავრობამ ეს განცხადება გააპროტესტა. იგი ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი პოლიციის განყოფილებაში იყო ორი საათის განმავლობაში და 19 საათსა და 30 წუთზე წაიყვანეს მოსამართლე 'მ'-სთან. ამ პერიოდში პოლიციის ოფიცრები მას უხსნიდნენ მის უფლებას ჰყოლოდა ადვოკატი და ურჩევდნენ ეს უფლება გამოეყენებინა, რისი გაკეთებაც მან არ ისურვა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს განმცხადებელმა ხელი ნებაყოფლობით მოაწერა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. გარდა ამისა, განმცხადებელს რაიმე სარჩელი თავისი უფლების დაცვის მიზნით არ შეუტანია, როგორცაა მაგალითად, შუამდგომლობა ან სხვა პროცედურული უფლებები, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 267-ე მუხლითაა გარანტირებული, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია ამ საშუალებათა შესახებ.

17. პოლიციის მიერ მოსამართლე 'მ'-ისთვის გადაგზავნილი განმცხადებლის ადმინისტრაციული საქმის მასალები შემდეგ დოკუმენტებს შეიცავდა: (1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; (2) პოლიციის პატაკი; (3) განმცხადებლის დაკავების ოქმი; (4) განმცხადებლის ჩხრეკის ოქმი; და (5) განმცხადებლის წერილობითი ჩვენება. ყველა ეს დოკუმენტი, პოლიციის პატაკის გარდა, განმცხადებლის მიერ იყო ხელმოწერილი.

18. მოკლე განხილვის შემდეგ მოსამართლე 'მ'-მ განმცხადებელს სამი დღით ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე. მოსამართლის მთელი დასკვნა შემდეგი წინადადებით იყო გამოხატული:

“2003 წლის 7 აპრილს, დაახლოებით 17:00 საათზე ... მაშტოცის გამზირზე, [განმცხადებელმა] სხვა პირთა ჯგუფთან ერთად, ხელი შეუშალა ტრანსპორტის მოძრაობას, დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რაც გამოიხატა ხმაურით და დემონსტრაციის სხვა მონაწილეებსაც მოუწოდებდა ასე მოქცეულიყვნენ...”

19. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ მისი გასაჩივრება შეიძლებოდა სისხლის სამართლისა და სამხედრო სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან (*ՀՀ քրեական և զինվորական գործերով վերաքննիչ դատարանի საქազახ*).

20. სასამართლოს ოქმიდან გამომდინარე, რომელიც ხელნაწერის სახითაა შედგენილი, მოსმენა იყო საჯარო, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსამართლე, მდივანი და განმცხადებელი. მოსამართლემ განმცხადებელს მისი უფლებები განუმარტა და აცნობა, რომ მას შეეძლო აცილება მიეცა მოსამართლისა და მდივნისთვის. განმცხადებელს აცილების სურვილი არ გამოუთქვამს. მოსამართლემ წაიკითხა პოლიციის შუამდგომლობა, რომელშიც განმცხადებლისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას ითხოვდნენ. განმცხადებელი ამბობდა, რომ მისთვის უცნობად ამიანთა ჯგუფთან ერთად გადაკეტა მაშტოცის გამზირის სავალი ნაწილი. მან თქვა, რომ იყო დემონსტრაცია და მან გააკეთა ის, რასაც ყველა აკეთებდა. იგი ხმაურობდა, რადგან ყველა დანარჩენი ადამიანი იმავს აკეთებდა, მაგრამ მას არავისთვის დაუძალებია მისთვის მიებაძა. განმცხადებლისთვის რაიმე შეკითხვა არ დაუსვამთ. ამის შემდეგ მოსამართლემ წაიკითხა და განიხილა პოლიციის მიერ მომზადებული მასალები. განმცხადებელი დაეთანხმა, რომ მან ხელი მოაწერა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, მაგრამ უარს აცხადებდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, რადგან ქმედება, რომელზედაც ბრალდება იყო დაფუძნებული, მასთან ერთად მრავალმა სხვა ადამიანმაც ჩაიდინა. მოსამართლე სათათბირო ოთახში გავიდა, ხოლო დაბრუნების შემდეგ დადგენილება გამოაცხადა. მოსმენის დრო დაფიქსირებული არ იყო.

21. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მთავრობას მკაფიოდ არ უარუყვია, რომ ზემოხსენებული ოქმი ყალბი არ იყო და იგი შეადგინეს გარკვეული მომენტის შემდეგ, კანონიერების შთაბეჭდილების შექმნის მიზნით. სინამდვილეში სასამართლოს მდივანი იქ არ ყოფილა და საქმის განხილვა არ ჩაუწერიათ. მოსმენა დაახლოებით ხუთ წუთს გაგრძელდა და იგი შედგა მოსამართლე 'მ'-ის კაბინეტში. განმცხადებელი ასევე აღნიშნავდა, რომ ოქმისაგან განსხვავებით, მოსმენას ესწრებოდა მოსამართლე, განმცხადებელი და თანმხლები პოლიციელი. ამ უკანასკნელს, როგორც ასეთი, პროცესში მონაწილეობა არ მიუღია და მისი ფუნქცია მხოლოდ განმცხადებლის მოსამართლემდე მიყვანით შემოიფარგლა. მოსამართლემ ჩამოთვალა პოლიციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და განმცხადებელს ჰკითხა – "რა გინდა?". "სამართლიანობა და კანონიერება" – უპასუხა განმცხადებელმა. მოსამართლემ განაგრძო მასალების კითხვა და თქვა: "რადგან თქვენ გყავთ სამი შვილი და თქვენი წარსული დანაშაულით შებღალული არ არის, მე მსუბუქ სასჯელს მოგისჯით — სამი დღით პატიმრობას". პასუხად განმცხადებელი შეეცადა საქმის გარემოებები წარმოედგინა, მოსამართლეს სთხოვდა გამოეძახებინა მონმეები და მოითხოვდა ადვოკატს. მოსამართლემ მდუმარედ მოუსმინა განმცხადებელს, ხელი მოაწერა რაღაც ფურცლებს და განმცხადებელი გაუშვა, რის შემდეგაც იგი წაიყვანეს იზოლატორში, სადაც მან სასჯელი მოიხადა.

22. 2003 წლის 14 აპრილს განმცხადებელმა მიმართა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას "22 თებერვალი" («*Փետրվարի 22-ի իրականացույթայն կազմակերպություն*). მან ზემოაღნიშნული მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიწოდა მას და დახმარება სთხოვა. იგი,

inter alia, აცხადებდა, რომ პოლიციის ოფიცრები მას უბიძგებდნენ ხელი მოეწერა დოკუმენტისთვის, რომელშიც იგი უარს ამბობდა ადვოკატზე, და უმტკიცებდნენ, რომ მის საქმეში ადვოკატი საჭირო არ იყო.

23. 2003 წლის 28 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაციამ განმცხადებლის სახელით საჩივარი შეიტანა გენერალურ პროკურატურაში (*Հ գլխավոր դատախაզ*) და პოლიციის ოფიცრებისა და მოსამართლე 'მ'-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მოითხოვა.

24. კენტრონისა და ნორკ-მარაშის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 27 მაისის წერილით (*Կենտրոնის և Նորք-Մարաշ հասակների դատախაզ*) არასამთავრობო ორგანიზაციას აცნობეს, რომ 2003 წლის 7 აპრილის დადგენილება იყო სათანადოდ დასაბუთებული და პროტესტის საფუძვლები არ არსებობდა.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონი

ა. სომხეთის 1995 წლის კონსტიტუცია (2005 წელს შეტანილ ცვლილებებამდე)

25. კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები აცხადებს:

მუხლი 24

“ყოველ ადამიანს აქვს აზრის გამოხატვის უფლება. დაუშვებელია ვინმეს იძულება უარი თქვას ან შეიცვალოს საკუთარი შეხედულება. ყოველ ადამიანს აქვს გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის და მოსაზრებების თავისუფლად მიღებისა და გავრცელების ჩათვლით, ნებისმიერი საინფორმაციო საშუალებით, საზღვრების მიუხედავად.”

მუხლი 26

“მოქალაქეებს აქვთ მშვიდობიანი შეკრებების, მიტინგების, პროცესიებისა და დემონსტრაციების გამართვის უფლება, საჯაროდ და უიარაოდ.”

მუხლი 39

“ყველას აქვს მისი დარღვეული უფლებების აღდგენის უფლება, ასევე, მის მიმართ წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით.”

მუხლი 40

“ყველას აქვს იურიდიული დახმარების უფლება. უფასო პირადი იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.”

ყველას აქვს უფლება, ჰყავდეს ადვოკატი დაკავების, დაპატიმრების ან ბრალდების წაყენების მომენტიდანვე.”

მუხლი 44

“დაუშვებელია კონსტიტუციის 23-27 მუხლებით გარანტირებულ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის დასაცავად, ან სხვათა უფლებების, თავისუფლებების, პატივისა და ღირსების დასაცავად.”

მუხლი 94

“სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს [სომხეთის რესპუბლიკის] პრეზიდენტი. იგი ხელმძღვანელობს იუსტიციის საბჭოს.”

[მუხლი 94 და 94.1, 2005 წლის შესწორების შემდეგ

“სასამართლოს დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს კონსტიტუცია და კანონი...

იუსტიციის საბჭოს შემდგენლობაში შედის ცხრა მოსამართლე, რომლებსაც ირჩევენ კანონით დადგენილი წესით სომხეთის მოსამართლეთა საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრით, ხუთი წლის ვადით და ოთხი სწავლული იურისტი, რომელთაგან ორს ნიშნავს პრეზიდენტი [სომხეთის], ხოლო ორს – ნაციონალური კრება. იუსტიციის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს საკაცციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც ხმის უფლება არა აქვს.”]

მუხლი 95

“იუსტიციის საბჭო ..., იუსტიციის მინისტრის წინადადებით, ამზადებს და პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს მოსამართლეთა პროფესიული შესაბამისობის და კარიერული წინსვლის ყოველწლიურ ნუსხას, რომლის საფუძველზეც ხორციელდება დანიშვნა...”

მუხლი 96

“მოსამართლის შეცვლა დაუშვებელია. იგი თანამდებობაზე რჩება 65 წლის ასაკამდე.”

მუხლი 97

“მართლმსაჯულების განხორციელებისას, მოსამართლე ... დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.”

ბ. 1985 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

26. ქვემოთ მოცემულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც ძალაში იყო საქმესთან დაკავშირებულ პერიოდში:

მუხლი 9: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება

“პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით კანონის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.”

მუხლი 22: ადმინისტრაციული სახდელის მიზნები

“ადმინისტრაციული სახდელი არის პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად საბჭოთა კანონების დაცვის, სოციალისტური ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდარღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევის ჩადენის აცილების მიზნით.”

მუხლი 23: ადმინისტრაციულ სახდელთა სახეები

[დებულებები “გამასწორებელი სამუშაოები” და “ადმინისტრაციული პატიმრობა” 2005 წლის 16 დეკემბრის შემდეგ ძალაში აღარ არის]

“ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისთვის შეიძლება [inter alia] გამოყენებული იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები:... (2) ჯარიმა; ... (6) გამასწორებელი სამუშაოები; (7) ადმინისტრაციული პატიმრობა.”

მუხლი 31: ადმინისტრაციული პატიმრობა [ძალაში აღარ არის 2005 წლის 16 დეკემბრიდან

“ადმინისტრაციული პატიმრობა დადგინდება და გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ცალკეულ სახეობათა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის თხუთმეტ დღემდე ვადით. ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდება სასამართლო (მოსამართლე).”

მუხლი 172: წვრილმანი ხულიგნობა [ძალაში აღარ არის 2005 წლის 16 დეკემბრიდან

“წვრილმანი ხულიგნობა, ანუ საზოგადოებრივ ადგილებში უცენზურო ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს, გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 150%-დან სამ მინიმალურ ოდენობამდე ან გამასწორებელ

სამუშაოებს ერთიდან ორ თვემდე, გამომუშავებული თანხიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება არასაკმარისად მიიჩნევა — ადმინისტრაციულ პატიმრობას თხუთმეტ დღემდე ვადით.”

მუხლი 223: პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები
 “ამ კოდექსის ... 172-ე მუხლში ჩამოთვლილ [inter alia] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოები.”

მუხლი 249: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის საჯარო განხილვა
 “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება საჯაროდ.”

მუხლი 250: საპროკურორო ზედამხედველობა კანონების შესრულებაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას
 “პროკურორს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელებისას, უფლება აქვს: აღძრას წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ; გაეცნოს საქმის მასალებს; შეამოწმოს ხელისუფლების ორგანოების (თანამდებობის პირთა) მოქმედებების კანონიერება ადმინისტრაციული საქმის წარმოების დროს; მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში; განაცხადოს შუამდგომლობანი და მისცეს დაკვნები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ საკითხებზე...”

მუხლი 251: მტკიცებულებები
 “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულება ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომლის საფუძველზედაც ხელისუფლების ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას და პირის ბრალეულობას მის ჩადენაში, ასევე სხვა გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ეს მონაცემები დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულის და მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ნივთიერი მტკიცებულებებით, და ნივთებისა და დოკუმენტების ამოღების ოქმით და აგრეთვე სხვა დოკუმენტებით.”

მუხლი 254: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი
 “ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს უფლებამოსილი თანამდებობის პირი...”

მუხლი 255: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი

“ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა და გვარი; მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები, თუ ისინი არიან; დამრღვევის ახსნა-განმარტება; საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი...

იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმისთვის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისთვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტება ამ კოდექსის 267-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აღინიშნება ოქმში.”

მუხლი 256: ოქმის გაგზავნა

“ოქმი [ადმინისტრაციული სამართალდარღვევის] ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული საქმე.”

მუხლი 259: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომები

“... ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შეადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე მიღებულ დადგენილებათა აღსრულების უზრუნველსაყოფად დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, ჩხრეკა, ნივთების გასინჯვა და ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.”

მუხლი 260: ადმინისტრაციული დაკავება

“ადმინისტრაციული დაკავების შესახებ შედგება ოქმი. [ოქმში] აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა და გვარი; ცნობები დაკავებული პირის შესახებ; დაკავების დრო, ადგილი და საფუძვლები.”

მუხლი 261: ორგანოები (თანამდებობის პირები), რომლებსაც აქვთ ადმინისტრაციული დაკავების უფლება

“ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის დაკავება შეუძლიათ მხოლოდ იმ ორგანოებს (თანამდებობის პირებს), რომლებიც საამისოდ უფლებამოსილი არიან სსრკ-ის და სომხეთის კანონმდებლობით, [სახელდობრ, *inter alia*,] შინაგან საქმეთა ორგანოებს — წერილმანი ხულიგნობისთვის...”

მუხლი 267: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები

“ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი და საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით.”

მუხლი 271: მონმეები

“ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მონმედ შეიძლება გამოძახებული იქნეს ნებისმიერი პირი, რომელმაც შესაძლოა რაიმე იცოდეს ამ საქმესთან დაკავშირებით დასაადგენ გარემოებათა შესახებ.”

მუხლი 277: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის ვადები

“ამ კოდექსის 172-ე მუხლით განსაზღვრული ... [*inter alia*] ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებს ... განიხილავენ ერთი დღის ვადაში”

მუხლი 278: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის წესი

“განხილვის დანეებისას [განმხილველი ორგანო] აცხადებს რომელი საქმე განიხილება, ვინ არის მიცემული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, განხილვის მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და კითხულობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. [საქმის განმხილველი ორგანო] მოუსმენს საქმის განხილვის მონაწილე პირებს, გამოიკვლევს მტკიცებულებებს და გადაწყვეტს შუამდგომლობებს. თუ საქმის განხილვაში მონაწილეობს პროკურორი, [საქმის განმხილველი ორგანო] მოისმენს მის დასკვნას.”

მუხლი 279: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას გამოსარკვევი გარემოებანი

“ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა; ბრალეულია თუ არა მოცემული პირი მის ჩადენაში; ექვემდებარება თუ არა იგი ადმინის-

ტრაციული სახდელის დაკისრებას; არის თუ არა შემამასუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი; მიყენებულია თუ არა მატერიალური ზიანი...”

მუხლი 286: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრება [(*გასგას*)

“სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით საბოლოოა და ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.”

მუხლი 289: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გაპროტესტება [(*პოიპ*)

“პროკურორს შეუძლია გააპროტესტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება.”

მუხლი 294: საქმის გადასინჯვაში მოსამართლის... [და ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

“მოსამართლის დადგენილება 172-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ ... შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს პროკურორის პროტესტით თვით მოსამართლის მიერ, აგრეთვე მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა პროკურორის პროტესტი — ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.”

ბ. კანონი მოსამართლის სტატუსის შესახებ (ჩასაყიჩი ცარყაყიჩაძის მსახი 22 ოქსე)

მუხლი 5: მოსამართლის დამოუკიდებლობა

“მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლე ანგარიშვალდებული არ არის რომელიმე სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.”

მუხლი 6: მოსამართლის ფუნქციების განხორციელებაში ჩაურევლობის დაუშვებლობა

“დაუშვებელია მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის ფუნქციების განხორციელებაში სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და მათი თანამდებობის პირების, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო გაერთიანებების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩაურევა და იგი იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მოსამართლე არ არის ვალდებული, ახსნა-განმარტება მისცეს საქ-

მესთან დაკავშირებით ან განსახილველი მასალების არსის შესახებ, ან გააცნოს ისინი ვინმეს, გარდა კანონით დადგენილი წესით და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში."

დ. იუსტიციის სამინისტროს დებულება (ՀՀ արդարադատության საქარაიოქას կანონის სარგის სარგის), მიღებულია 2002 წლის 28 ნოემბერს

27. ამ დებულების მე-9 თავი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო შე-
მომგებას, რომლის საფუძველზე იუსტიციის სამინისტრო ამზადებს მო-
სამართლეთა პროფესიული შესაბამისობის და კარიერის განვითარების
ყოვლნოიურ სიებს.

III. შესაბამისი შიდასახელმწიფო დადგენილებები

28. 2003 წლის 16 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ დადგენილე-
ბა მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის მთავარი კანდიდატისაგან
მიღებული საჩივრის საფუძველზე, რომელიც არჩევნების ჩატარებასა და მის
შედეგებს ეხებოდა (*ՀՀ սահմանադրական դատարանի որոշումը ՀՀ საխագահի
2003 թ. մարտի 5-ի ընտրության արդյունքները վիճարկելու վերաբերյալ գործով*).
საკონსტიტუციო სასამართლო, *inter alia*, აღნიშნავდა, რომ არჩევნების მეორე
ტურის დროს ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯა მრავალ უფლებამო-
სილ თანაშემწეს, რის გამოც მათ თავიანთი მოვალეობების შესრულება ვეღარ
შეძლეს. სასამართლო ასევე აღნიშნავდა, რომ არასანქცირებულ დემონსტრა-
ციებსა და მსვლელობებში მონაწილეობისთვის ადმინისტრაციული პატი-
მრობის შეფარდება იყო მშვიდობიანი შეკრების უფლებაში ჩარევა, რომელიც
კონვენციის მე-11 მუხლითაა გარანტირებული. უპირველეს ყოვლისა, ამ პრო-
ცედურის ამგვარი გამოყენება ეწინააღმდეგება "კანონის უზენაესობის" ევრო-
პულ სტანდარტებს. და მეორე, სასამართლოთა მიერ მიღებული ყველა ასეთი
დადგენილება უნდა განეხილა სასამართლოს თავმჯდომარეთა საბჭოს და იუს-
ტიციის საბჭოს როგორც ფორმის, ისე არსებითი მხარის კუთხით.

IV. შესაბამისი რეზოლუციები და დადგენილებები ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესახებ სომხეთში 2003 წლის თებერვლისა და მარტის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, არჩევნების დროს და უშუალოდ მათ შემდეგ

ა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1304 (2002): სომხეთის მიერ ვალდებულებათა შესრულების შესახებ

29. რეზოლუციის შესაბამის ამონარიდებში ნათქვამია:

“9. ასამბლეა ასევე მოუწოდებს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გადასინჯოს ადმინისტრაციული კოდექსი. იგი სთხოვს მას, გააუქმოს დებულებები ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ, ხოლო მანამდე თავი შეიკავოს მისი გამოყენებისაგან. იგი ხელისუფლებას აფრთხილებს იმ დარღვევათა შესახებ, რომელთაც ინვესტის გამოყენება, რომელიც სერიოზულად ეწინააღმდეგება ორგანიზაციის პრინციპებს.”

ბ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ ვალდებულებათა შესრულების კომიტეტის მოხსენება, ოც. 10027, 2004 წლის 12 იანვარი

30. რეზოლუციის შესაბამის ამონარიდში ნათქვამია:

“32. 2003 წლის 9 თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის მეორე დღესვე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებული მრავალი დამონსტრაცია და საპროტესტო მიტინგი გაიმართა ერევანში და მრავალ სხვა ქალაქში.

33. არჩევნების ორ ტურს შორის და 22 თებერვლიდან პოლიციამ ხელისუფლების მითითებით 200-ზე მეტი ადამიანი დააკავა, მათ შორის, ოპოზიციური პარტიის წევრები და მათი საარჩევნო კამპანიის აქტივისტები და ამ პარტიათა წარმომადგენლები. საპარლამენტო ასამბლეის მრავალჯერ განცხადების მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ თითონებურად არ უნდა გამოიყენოს ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პატიმრობა, ეს ადამიანები დააკავეს და საპატიმრო დაწესებულებებში მოათავეს მათი ოჯახებისათვის შეტყობინებისა და სასამართლოს წინაშე წარდგენის გარეშე. 80 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ორი კვირით ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო 65 შემთხვევაში — ჯარიმა. აღნიშნულ პირთა საქმეები განხილულ იქნა დახურულ სხდომაზე და რამდენიმე გამონაკლისის გარდა — ადვოკატის დახმარების გარეშე. მრავალმა მათგანმა ვერ შეძლო, მონაწილეობა მიეღო მეორე ტურში.

34. შემდგომი დაკავებების ტალღა არჩევნების მეორე ტურის შემდეგ დაიწყო. იუსტიციის სამინისტრომ აღიარა, რომ 17-დან 25 მარტამდე 132 ადამიანი დააკავეს, რომელთაგან 69-ს შეეფარდა "ადმინისტრაციული" საპატიმრო სახდელი, ხოლო 63 დააჯარიმეს. ეუთოს ინფორმაციის შესაბამისად, იმ პერიოდში 77 ადამიანს შეუფარდეს პატიმრობა.

35. წინა მოხსენებაში ჩვენ გავაკრიტიკეთ ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ეს აღმაშფოთებელი და თვითნებური გამარტივებული წესი. ეს წესი, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული მართლმსაჯულების კომუნისტური გადმონაშთია, ბრალდებულს ართმევს ოჯახის წევრების შეტყობინებისა და ადვოკატის დახმარების უფლებას, ხოლო მოსამართლეს საშუალებას აძლევს, დაუყოვნებელი დახურული სხდომის მეშვეობით, პირი დააკავოს მაქსიმუმ ორი კვირის ვადით. ეს უბრალოდ სამარცხვინო წესია...

37. 2003 წლის აგვისტოში განხორციელებული ვიზიტის დროს ხელისუფლებამ დემონსტრაციების მონაწილეთა დაკავების და მსჯავრდების შესახებ დადგენილებები იმ არგუმენტით გაამართლა, რომ იგი კანონსა და წესრიგს იცავდა. ხელისუფლება აცხადებდა, რომ დემონსტრაციის მონაწილენი უბრალოდ ყაჩაღები, "ანტისოციალური ელემენტები", ალკოჰოლიკები და ნარკომანები იყვნენ. ასეთი სახის საუბარი ძალზე წააგავს არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი საბჭოთა წარსულის აღორძინებას.

38. ჩვენ ვვლით, რომ მომავალში ხელისუფლება ყველაფერს იღონებს დემონსტრაციის თავისუფლების და დემონსტრაციაზე მისვლის და მისი დატოვების თავისუფლების კანონთან და წესრიგთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ეს უფლება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ყველასთვის და თითოეულისთვის ცალ-ცალკე, განსაკუთრებით არჩევნების დროს. კანონისა და წესრიგის დაცვა არ უნდა ემსახურებოდეს გაერთიანების შექმნის და დემონსტრაციის თავისუფლების არამართლზომიერ ალკეთასთან ან შეზღუდვასთან შეგუებას."

ბ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1361 (2004): სომხეთის მიერ ვალდებულებათა შესრულების შესახებ

31. რეზოლუციის შესაბამის ამონარიდში ნათქვამია:

*14. ასამბლეა შოკირებულია თვითნებური წესების კვლავ გამოყენების გამო, რომლებიც ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პატიმრობას ეხება და აბსოლუტურად შეუსაბამოა 2002 წლის 1364 რეზოლუციის მკაცრად ფორმულირებულ განცხადებასთან, რომელშიც ნათქვამია, რომ სომხეთის ხელისუფლებამ ეს წესები აღარ უნდა გამოიყენოს. ასამბლეა მკაცრად გამოხატავს საპრეზიდენტო არჩევნების ორ ტურს შორის პერიოდში და მეორე ტურის შემდეგ 270 ადამიანის დაკავებასა და მსჯავრდებას, რალებიც იყვნენ ოპოზიციური პარტიების წევრები, მათი მხარდამჭერები და პარტიული თანამდებობის პირები. იგი მოვლის, რომ სომხეთის ხელისუფლებამ, ევროპის საბჭოს ექსპერტებთან ერთად, 2004 წლის თებერვლამდე განიხილოს ადმინისტრაციული პატიმრობის საკითხს, რომელიც ადმინისტრაციული კოდექსითაა გათვალისწინებული და შესწორებათა პროექტს ექსპერტიზისათვის გაუგზავნის ევროპის საბჭოს 2004 წლის აპრილამდე.

15. ასამბლეა სთხოვს სომხეთის ხელისუფლებას, ევროპის საბჭოს ექსპერტებთან ერთად, დაუყოვნებლივ დაიწყოს გაერთიანებისა და დემონსტრაციის თავისუფლებასა და საზოგადოებრივ წესრიგს შორის ბალანსის დაცვის საკითხის შესწავლა და მიიღოს კანონი დემონსტრაციებისა და საჯარო შეკრებების შესახებ, ევროპის საბჭოს პრინციპებსა და სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.”

დ. ჰუმან რაიტს უოჩის (Human Rights Watch) დოკუმენტი, 2003 წლის 23 მაისი, კანონის იმიტაცია: ადგილობრივი პატიმრობის გამოყენება 2003 წელს სომხეთში საპრაზიდეტო არჩევნების დროს

32. დოკუმენტის შესაბამის ამონარიდებში ნათქვამია:

“ოპოზიციის დემონსტრაციები 2003 წლის თებერვალ-აპრილში

[2003 წლის 19 თებერვლიდან] [2003 წლის 5 მარტამდე] საპრაზიდეტო არჩევნების გამაღებული წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში [ოპოზიციის მთავარმა კანდიდატმა] ერევნის ცენტრში მრავალი თავყრილობა გამართა, რომლებშიც ათასობით მისი მხარდამჭერი მონაწილეობდა...

[2003 წლის 5 მარტის] შემდეგ ერევნის ცენტრში [ოპოზიციის მთავარი კანდიდატის] წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში რამდენიმე დღისა თუ კვირის ინტერვალით კვლავ გრძელდებოდა მიტინგები არჩევნების სავარაუდო გაყალბების წინააღმდეგ პროტესტის მიზნით...

ოპოზიციის გამოსვლების უკანონოდ გამოცხადება

მიუხედავად იმისა, რომ... [ოპოზიციის მთავარი კანდიდატის მხარდამჭერი] გამოსვლები და საპროტესტო დემონსტრაციები ძირითადად მშვიდობიანი ხასიათის იყო, მთავრობამ ისინი წარმოადგინა, როგორც საზოგადოებრივი წესრიგისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის საფრთხის მატარებელი, და ეს გამოიყენა დაკავებების საფუძვლად...

დაკავებათა კამპანია

[2003 წლის 21-27 თებერვალი]: დაკავებათა პირველი ტალღა

დაკავებათა პირველი ტალღის დროს [ოპოზიციის მთავარი კანდიდატის] საოლქო და საუბნო წინასაარჩევნო შტაბების დაახლოებით 160 უფროსი და თანამშრომელი [ნდობით აღჭურვილი პირები] და მძღოლებიც კი წაიყვანეს პოლიციის ადგილობრივ განყოფილებებში...

[2003 წლის 21 თებერვალს] ერევანში გამართული 'არასანქცირებული' მიტინგის მომდევნო დღიას, რომელშიც ათიათასობით ადამიანი მონაწი-

ლებოდა, პოლიციამ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში თავიანთ სახლებში დააკავა მის მიერ შერჩეული ათობით აქტივისტი.

პოლიციის ოფიცრებს ოპოზიციის აქტივისტები თავიანთი სახლებიდან გაჰყავდათ იმ საბაბით, რომ ადგილობრივი პოლიციის უფროსებს მათთან საუბარი სურდათ. ზოგი მათგანი საკუთარი ნებით გაჰყავა, ზოგმა კი წინააღმდეგობის განეუვა სცადა, მაგრამ პასუხად მუქარა მიიღო...

ზოგ შემთხვევაში, როდესაც პოლიციას აქტივისტი სახლში არ დახვდა, მან ძალადობრივი ან უკანონო ტაქტიკა გამოიყენა. იყო შემთხვევები, როდესაც პოლიციას მძევლად აჰყავდა ოჯახის წევრი, აქტივისტებს აიძულებდნენ დანებებოდნენ...

[2003 წლის 1-17 მარტი]: პირობითი გათავისუფლება, ზენოლის გაგრძელება საერთაშორისო ზენოლის შემდეგ... [1-2 მარტს] არჩევნებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი დაახლოებით ოთხმოცდაექვსი ადამიანიდან სამოცდათხუთმეტი გაათავისუფლეს...

[2003 წლის 18-22 მარტი]: დაკავებათა მეორე ტალღა

შემდგომ ხუთ დღეში, არჩევნების შემდგომი გამოსვლების გამო, პოლიციამ [ოპოზიციის მთავარი კანდიდატის] დაახლოებით ოთხმოცდაათი აქტივისტი დააკავა ერევანში, აბოვიანში, არტაშატის რაიონში, თალინში და სხვა რაიონებში. მათი უმრავლესობა სახლებიდან წაიყვანეს — ზოგი მათგანი მეორედ. ათობით მათგანს შეუფარდეს ადმინისტრაციული პატიმრობა.

[2003 წლის 7-9 აპრილი]: პრეზიდენტის ინაუგურაციის პერიოდი

[2003 წლის 7 აპრილის] დემონსტრაციის შემდეგ მრავალი ქალი და მამაკაცი დააკავეს ერევნის ცენტრში და მათ ადმინისტრაციული ჯარიმები ან პატიმრობა შეუფარდეს...

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პროცესების კანონიერი პროცედურების დარღვევა

Incommunicado წინასწარი პატიმრობა

ოპოზიციის აქტივისტთა პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ მათ კომუნიკაციის საშუალებას არ აძლევდნენ, ასევე უარს ეუბნებოდნენ იურიდიული დახმარების გამოყენებაზე. ამან პოლიციას საშუალება მისცა აქტივისტები აიძულებინა თავი დამნაშავედ ელიარებიანთ.

მრავალ შემთხვევაში პოლიცია მათ უარს ეუბნებოდა, ნათესავებისთვის და ადვოკატებისთვის ეცნობებინა გაუჩინარებულ პირთა პოლიციაში ტუსალობის შესახებ. ადვოკატმა, რომელიც დაახლოებით ოცდაათი აქტივისტის საქმეს ანარმობდა დაკავების პირველი ტალღის დროს, თქვა, რომ მისი პირველი ამოცანა იყო იმ ადამიანთა მოძიება, რომელთა დაცვაც დაევა, ხოლო უშუალოდ მათი დაცვა მეორე და შორეულ ამოცანას წარმოადგენდა. არმაჯირში დაკავებული აქტივისტის მეუღლემ განაცხადა: 'ხუთი დღის განმავლობაში მათ არაფერი გვაცნობეს. ჩვენ არ ვიცოდით, ჩემი ქმარი ცოცხალი იყო თუ მკვდარი.'

როდესაც ადვოკატები, ნათესავები თუ ადამიანის უფლებათა დამცველები დაპატიმრებულ პირთა მოძიებას ცდილობდნენ, პოლიცია მათთან არ თანამშრომლობდა. ადვოკატმა [ტ. ტ-ი] თქვა: 'როდესაც ჩვენ პოლიციის განყოფილებებში მივდიოდით, გვეუბნებოდნენ, რომ პატიმარი სასამართლოში იყო. სასამართლოში მისვლისას კი გვეუბნებოდნენ, რომ იგი პოლიციის განყოფილებაში ჰყავდათ. ამ გაუგებრობაში სასამართლოს უკვე გამოჰქონდა თხუთმეტი დღით ადმინისტრაციული პატიმრობის ვერდიქტი.'

სომხეთში პოლიციის განყოფილებაში ყველა პატიმრის სავალდებულო და გამჭვირვალე რეგისტრაციის სისტემა არ არის. ადვოკატმა [ტ. ტ-ი] აღნიშნა: "სადაც მივდიოდით, ყველგან გვეუბნებოდნენ: 'ის აქ არ არის'. დაპატიმრების შესახებ დოკუმენტების არარსებობა კამათს შეუძლებელს ხდის. მათ შეუძლიათ შემდეგ თქვან, რომ ჩვენი მისვლისას პატიმარი იქ არ იმყოფებოდა." ორ შემთხვევაში *ჰუმან რაითს უორშმა* დააფიქსირა, რომ პოლიცია აცხადებდა, რომ თითქოსდა პატიმრები პოლიციის იმ განყოფილებაში არ ჰყავდათ, მაშინ, როცა ისინი ნამდვილად იქ იმყოფებოდნენ.

პოლიცია დაპატიმრებულ პირებს იმდენი ხნით ამყოფებდა ტუსალობაში, რამდენსაც თვითონ მიიჩნევდა საჭიროდ, ხოლო პროცედურული უფლებები პრაქტიკულად მინიმალურ შემთხვევებში იყო დაცული...

ვინაიდან მათი უმრავლესობა წაყვანილი იყო პოლიციის უფროსთან "საუბრის" საბაბით, მათი დაპატიმრების სამართლებრივი საფუძველი თავიდანვე ნათელი არ იყო — იყვნენ თუ არა ისინი დაკავებულები, ხოლო თუ იყვნენ, — ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე. ზოგიერთ დაპატიმრებულ აქტივისტთან მიმართებით პოლიცია თავდაპირველად დაიბნა კიდევ, რადგან არ იცოდა რა ბრალდება წაყენებინათ მისთვის. სხვა შემთხვევებში პოლიცია ბუნდოვანებით მანიპულირებდა, აშინებდა მათ როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციული ბრალდებებით. ეჩმიაძინის პოლიციის განყოფილებაში პოლიციის მუშაკები [ერთ ბრალდებულს] სისხლის სამართლის ბრალდების წაყენებით ემუქრებოდნენ, თუ იგი არ აღიარებდა, რომ წინააღმდეგობა გაუწია და უცენზურო სიტყვებით მიმართა პოლიციელებს, რომლებმაც იგი სახლიდან წაიყვანეს. იგი იხსენებდა: 'მე ხელი იმიტომ მოვანერე, რომ შემპირდნენ, რომ მხოლოდ ადმინისტრაციულ პატიმრობას შემიფარდებდნენ ორი დღის ვადით.'

მარტის შუა რიცხვების შემდეგ პოლიციამ ცემის მუქარით მრავალი აქტივისტისაგან იძულებით მიიღო წერილობითი აღიარება, ან დაპირება, რომ ისინი გამოსვლებში მონაწილეობას აღარ მიიღებდნენ. ერევნის ქალაქის პოლიციის განყოფილებაში დაპატიმრებულმა [ერთმა ბრალდებულმა] განაცხადა, რომ დაკითხვისას სამი ოფიცერი გამუდმებით მიუთითებდა ეზოში არსებულ საპყრობილეზე, რომელიც, მათი თქმით, სავსე იყო ქალებით, და რომ მათ იმ ღამით ხელკეტებით გაუსწორდებოდნენ: 'შემდეგ მათ მე დამანახეს შავი ლაქები ხალიჩაზე და მითხრეს, რომ ეს სისხლის ლაქები იყო. ასეთი ზენოლით ისინი მაიძულებდნენ დამენერა, რომ მონაწილეობას ვლებულობდი გამოსვლებში და ხელს ვუშლიდი ტრანსპორტის მოძრაობას'. მრავალ შემთხვევაში პოლიციამ ძალა

გამოიყენა: [ერთმა ბრალდებულმა] განაცხადა, რომ მას წყლით სავსე პლასტმასის ბოთლი ჩაართყეს თავში; ხოლო მეორე [ბრალდებულმა] აღნიშნა, რომ იგი ჯერ პისტოლეტის ტარით ცემეს, ხოლო შემდეგ მუშტები და წიხლები დაუშინეს.

ხარვეზიანი სასამართლო განხილვები

ოპოზიციის აქტივისტთა მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სასამართლო პროცესები თითქმის ყველა შემთხვევაში დახურული და ზედაპირული იყო. სასამართლოები მხოლოდ პოლიციის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს განიხილავდნენ და ბრალდებულებს ადვოკატის ან დაცვის მონმეთა გამოძახების საშუალებას არ აძლევდნენ.

მრავალი ფაქტორი მიუთითებს, რომ მოსამართლეები პოლიტიკური ორგანოების ზეგავლენით მოქმედებდნენ. მრავალ შემთხვევაში მოსამართლეები ოპოზიციის აქტივისტებს უმკაცრეს ადმინისტრაციულ სასაჯელს უფარდებდნენ — თხუთმეტი დღით პატიმრობას. ზოგი მოსამართლე [კენტრონისა და ნორკ-მარაშის რაიონულ სასამართლოში] საკმაოდ გულახდილად ეუბნებოდა ბრალდებულებს, რომ ყველას მიმართ ტარდებოდა ერთი სასაჯელის პოლიტიკა. ერთმა მოსამართლემ [ბრალდებულს] უთხრა: “ჩვენ ვაპირებთ თხუთმეტი დღე პატიმრობა მიუუსაჯოთ ყველას, ვინც გამოსვლებაში ლებულობდა მონაწილეობას”. როდესაც [ერთმა ბრალდებულმა] მოსამართლეს სთხოვა მისთვის უფრო ხანმოკლე ვადით პატიმრობა შეეფარდებინა, მან უპასუხა: “მან მოგვცა ინსტრუქცია ყველა თხუთმეტი დღით გვყავდეს იზოლირებული — არც ერთი დღით ნაკლები”. მოსამართლეთა მიერ ბრალდებულებისადმი დასმული შეკითხვები აშკარად პოლიტიკური ხასიათის იყო, მაგალითად — “რატომ ხართ ოპოზიციის მხარეს?”, ან — “რატომ ლანძღვთ მთავრობას?”. ზოგ მათგანს აფრთხილებდნენ გამოსვლებაში მონაწილეობა აღარ მიელოთ.

როგორც ჩანს, პოლიცია ადმინისტრაციული პროცესების მიმდინარეობისას სასამართლოს აკონტროლებდა. [2003 წლის 22-28 თებერვლის] კვირის განმავლობაში, როდესაც [ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის რაიონული სასამართლო] [ოპოზიციის მთავარი კანდიდატის] ასამდე მხარდამჭერის საქმეს განიხილავდა, “მწვანებერეტიანებმა” შენობა საზოგადოებისთვის ჩაკეტეს. სასამართლოს თავმჯდომარემ აღიარა, რომ მათი განლაგება პოლიციის ხელმძღვანელობის ინიციატივით მოხდა და ეს სასამართლოსთან შეთანხმებული არ ყოფილა...

ზოგი ბრალდებული ადვოკატს მოითხოვდა, მაგრამ სასამართლოს მოხელეები და პოლიცია პასუხობდნენ, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე ‘ადვოკატი საჭირო არ იყო’, ან ‘ნებადართული არ იყო’. მიუხედავად იმისა, რომ [ბრალდებულს] კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული ადვოკატთან, [ნ.ბ.] 2003 წლის 22 თებერვალს [ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის რაიონულ სასამართლოში] თავისი კლიენტის დასაცავად არ შეუშვეს.

საზოგადოებრივი კონტროლის ან ადვოკატის არარსებობის პირობებში საქმეების განხილვისას მოსამართლეთა დასაბუთება იყო უგულისყურო ან თვითნებური, ან არგუმენტები სულაც არ იყო წარმოდგენილი.

უმრავლეს შემთხვევაში საქმის განხილვა რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე გრძელდებოდა, ხოლო წერილობითი განაჩენი წინასწარ იყო მომზადებული. [ერთი ბრალდებულის] საქმის განხილვისას მოსამართლემ პროცესი განაჩენის წაკითხვით დაიწყო — თხუთმეტი დღის ვადით პატიმრობა არასანქცირებულ მსვლელობაში მონაწილეობისთვის. როგორც [ერთმა ბრალდებულმა] განაცხადა, მან უარყო მსვლელობაში მონაწილეობა, რაზედაც მოსამართლემ უთხრა: 'ეს დამტკიცებულია' და 'პოლიციელს დაუძახა რათა დარბაზიდან გავეყვანე' — დასძინა მან.

თუ ზოგიერთი მოსამართლე მტკიცებულებაზე მიუთითებდა, მაგრამ მის წარმოდგენას საჭიროდ არ მიიჩნევდა, ზოგი მათგანი ჰიპოთეტურ ფრაზებს იყენებდა, როგორიცაა: "თქვენ მონაწილეობა მიიღეთ არასანქცირებულ მსვლელობაში და თქვენ ჩაიდინეთ ხულიგნობა მაშტოცის გამზირზე. თქვენ ყვიროდით ან რალაცეებს ამტვრევდით, ასე არ არის?". ზოგ პროცესზე მოსამართლეებს არგუმენტები საერთოდ არ წამოუყენებიათ. [ოპოზიციური] პარტიის ორ აქტივისტს ერევნის შენგავითის რაიონიდან სამ-სამი დღით პატიმრობა მიუსაჯეს, ბრალდების ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე. ამ დროს მოსამართლეს [სხვა ბრალდებული] უმტკიცებდა, რომ არ არსებობდა მის წინააღმდეგ ინფორმაცია და მისი თხუთმეტი დღით დაკავების საფუძვლები. მოსამართლემ მას მკაცრად გაანყვეტინა: 'მადლობა თქვი, რომ სისხლის სამართლის ბრალდება არ წავიყენეთ'.

გარე კონტროლის არარსებობამ მოსამართლეებს საშუალება მისცა მრავალი საქმე აშკარად თვითნებურად გადაეწყვიტათ. 2003 წლის [22 თებერვალს] ერევნის კენტრონის და ნორკ-მარაშის რაიონულმა სასამართლომ ზოგ შემთხვევაში ადმინისტრაციული პატიმრობის განაჩენი ბრალდებულების თანდასწრებით ყოველგვარი განხილვის გარეშე გამოიტანა. სასამართლოს ეზოში შემოვიდა სულ მცირე პოლიციის ერთი მიკროავტობუსი, რომელშიც დაკავებული აქტივისტები იმყოფებოდნენ. მათ სასამართლოს მოხელეები შეეგებნენ და თანმხლებ პოლიციის ოფიცრებს გამზადებული განაჩენები გადასცეს. ამის შემდეგ მიკროავტობუსმა ისე დატოვა ტერიტორია, რომ ბრალდებულებს სასამართლოში ფეხიც კი არ შეუდგამთ..."

სამართალი

I. მთავრობის წინასწარი პროტესტი

1. მხარეთა მოსაზრებები

ა. მთავრობა

33. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებელს, 2003 წლის 7 აპრილის დადგენილებასთან მიმართებით, შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებები არ ამოუწურავს, როგორც ამას კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი მოითხოვს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 286-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების დადგენილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. ასეთი გამონაკლისები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევებზე, ამავე კოდექსის 294-ე მუხლშია დადგენილი. ეს მუხლი სასამართლოს დადგენილების გაუქმების ორ შესაძლებლობას იძლეოდა — პროკურორისაგან პროტესტის წარდგენის მოთხოვნით ან უშუალოდ ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარესთან საჩივრის შეტანით. ამრიგად, თუ მხარე მიმართავდა პროკურორს, მაგრამ იგი პროტესტის შეტანაზე უარს იტყოდა, მაშინ ამ მხარეს უფლება ჰქონდა დადგენილება ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარესთან გაესაჩივრებინა. გარდა ამისა, მხარეს უფლება ჰქონდა საჩივარი უშუალოდ ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარისთვის წარედგინა, პროკურორისთვის წინასწარი მიმართვის გარეშე. განმცხადებელს აცნობეს ამ შესაძლებლობის შესახებ, რადგან 2003 წლის 7 აპრილის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ 'იგი ექვემდებარება სისხლის სამართლისა და სამხედრო სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან გასაჩივრებას', მაგრამ მან მხოლოდ პირველი ორი შესაძლებლობა გამოიყენა, ხოლო თავმჯდომარისთვის არ მიუმართავს.

ბ. განმცხადებელი

34. განმცხადებელი მთავრობის პროტესტს არ დაეთანხმა. პირველი, იგი აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 294-ე მუხლის ფორმულირებიდან ნათლად არ ჩანდა რომელი "ზემდგომი სასამართლოსთვის" უნდა მიემართა მას — როგორც ამას მთავრობა აცხადებდა, რადგან ზემდგომ და ქვემდგომ სასამართლოებად დაყოფა საბჭოთა სასამართლო სისტემისთვის იყო დამახასიათებელი და იგი სომხეთში უკვე აღარ არსებობდა.

და. თუ ვივარაუდებთ, რომ ფრაზა — “ზემდგომი სასამართლო” — სისხლის სამართლისა და სამხედრო სააპელაციო სასამართლოს გულისხმობს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა არც 294-ე და არც რომელიმე სხვა მუხლი ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების დადგენილების გასაჩივრების უფლებას არ ითვალისწინებს. 294-ე მუხლის ფორმულირიბიდან ასევე შეიძლება გამომდინარეობდეს, რომ, ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია გადასინჯოს საქმე საკუთარი შუამდგომლობის საფუძველზე. ეს პროცედურა უცხო არ იყო საბჭოთა სასამართლო სისტემისთვის. თუ ეს მუხლი გაითვალისწინებდა გასაჩივრების უფლებას და არა მის გადასინჯვას, მაშინ საჩივარს განიხილავდა სააპელაციო სასამართლოს სამი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია და არა მისი თავმჯდომარე, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცედურა შესაბამისობაში იქნებოდა სომხეთის როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის წარმოებასთან.

35. მეორე, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ 294-ე მუხლი ითვალისწინებდა საბოლოო დადგენილების გადასინჯვას თვით მოსამართლის მიერ — პროკურორის პროტესტის საფუძველზე, ან ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, იმის მიუხედავად პროკურორი წარადგენდა პროტესტს თუ არა. ეს იყო სამართლებრივი დაცვის ორი თანაბარი გზა. უკმაყოფილო პირს უფლება ჰქონდა ერთ-ერთი აერჩია და იგი ვალდებული არ იყო ორივე გამოეყენებინა ერთმანეთის მიმდევრობით. ნებისმიერ შემთხვევაში, იგი ვალდებული არ იყო ამოენურა საშუალებები, რომლებიც არ იყო ეფექტიანი და ადეკვატური საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების შესაბამისად. 294-ე მუხლის საფუძველზე ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარესთან გასაჩივრება ასეთი საშუალება ვერ იქნებოდა, რადგან მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებმა წარუმატებლად ჩაიარა, მსგავსი საჩივარი შეიტანა მრავალმა სხვა პირმა, რომლებსაც ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის.

36. განმცხადებელმა წარმოადგინა მსგავსი დადგენილებების ასლები, სადაც 2002 წლის აპრილსა და მაისში ადმინისტრაციული სახდელები ჰქონდათ შეფარდებული სხვა პირებს. ყველა დადგენილება მიუთითებდა, რომ იგი იყო საბოლოო, გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა და მისი გაპროტესტება შეეძლო პროკურორს.

2. სასამართლოს შეფასება

37. სასამართლო მიუთითებს, რომ შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამონურვის წესი, რომელიც კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტითაა გათვალისწინებული, მოითხოვს, რომ ინდივიდუალურმა პირებმა, რომლებიც სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივრის წარდგენას აპირებენ საერთაშორისო სასამართლო ორგანოში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ამონურონ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში არსებული საშუალებები. ამით სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ, საერთაშორისო ორგანოს წინაშე პასუხის გა-

ცემამდე საკითხი საკუთარი სამართლებრივი სისტემების მეშვეობით მოაგვარონ. ამ ნუსთან შესაბამისობის მიზნით განმცხადებელმა ჩვეულებრივი სარჩელი უნდა შეიტანოს სამართლებრივი დაცვის ორგანოებში, რომლებიც არის ხელმისაწვდომი და ქმედითი სავარაუდო დარღვევათა გამოსწორებისათვის (იხ. ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, 24760/94, §85, 1999-VIII).

38. გარდა ამისა, 35-ე მუხლის შესაბამისად, არსებული და ქმედითი საშუალებები უნდა იყოს საკმარისად დამაჯერებელი არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკაშიც, რის გარეშეც ისინი ვერ დააკმაყოფილებენ ხელმისაწვდომობის და ეფექტიანობის მოთხოვნებს (იხ., მაგ., *დე იონგი, ბალეტი და ვან დენ ბრინკი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, 1984 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, სერია A 7, გვ. 19, §39; და *ვერნილო საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 198, გვ. 11-12, §27). მთავრობამ, რომელიც ამოუწურავობის საკითხზე დავობს, სასამართლოს უნდა დაუმტკიცოს, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება იყო ეფექტიანი, მოცემულ დროს არსებობდა როგორც თეორიულად ისე პრაქტიკაში, ამასთანავე, იგი იყო ხელმისაწვდომი, შეეძლო განმცხადებლის საჩივრების დაკმაყოფილება და მას წარმატების გონივრულ პერსპექტივას სთავაზობდა (იხ. *აკდივარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, 1996 წლის 16 სექტემბერი, *Reports of Judgments and Decisions* 1996-IV, გვ. 1211, §68).

39. სასამართლო ასევე მიუთითებს მის მდიდარ პრეცედენტულ სამართალზე იმ თვალსაზრისით, რომ საქმის ხელახალი განხილვა ან სხვა საგანგებო სამართლებრივი დაცვის საშუალებები, როგორც ზოგადი წესი, ვერ იქნება მხედველობაში მიღებული კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის (იხ. მაგ., *'რ' დანიის წინააღმდეგ*, 10326/83, კომისიის 1983 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება, *დადგენილებები და მოხსენებები* (DR) 35, გვ. 218; *პრისტავსკა უკრაინის წინააღმდეგ* (dec.) 21287/02, 2002 წლის 17 დეკემბერი; და *დენისოვი რუსეთის წინააღმდეგ* (dec.), 33408/03, 2004 წლის 6 მაისი). გარდა ამისა, სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომელთა გამოყენება თანამდებობის პირთა დისკრეციულ უფლებამოსილებაზეა დამოკიდებული, ვერ ჩაითვლება ეფექტიან საშუალებად კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით (იხ. *ტუმლიოვიჩი რუსეთის წინააღმდეგ*, 47033/99, 1999 წლის 2 ივნისი; *გურუკა უკრაინის წინააღმდეგ*, 61406/00, §60, 2005 წლის 6 სექტემბერი). ასევე ვერ იქნება ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის ის საშუალება, რომელსაც არა აქვს საქმის განხილვის დადგენილი ვადა, რაც ქმნის გაუგებრობას და ფუჭად აქცევს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ ექვსი თვის წესს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული შიდასახელმწიფო საშუალებათა ამონურვის მოთხოვნასთან (იხ. *ბერძენიშვილი რუსეთის წინააღმდეგ* (dec.), 31697/03, 2004 წლის 29 იანვარი; *დენისოვის საქმი*, ციტ. ზემოთ).

40. სასამართლო უბრუნდება წარმოდგენილი საქმის გარემოებებს და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 286-ე მუხლი მკაფიოდ აცხადებს, რომ სასამართლოს (მოსამართლის) დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ არის "საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება". ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 294-ე მუხლი ადგენს, რომ "იგი შეიძლება გაუქმ-

დეს ან შეიცვალოს პროკურორის პროტესტით თვით მოსამართლის მიერ, აგრეთვე მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა პროკურორის პროტესტი — ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ". სასამართლოს მიაჩნია, რომ, უპირველეს ყოვლისა, პროკურორისათვის მიმართვის მოთხოვნა მისი მხრიდან პროტესტის წარდგენის მიზნით აშკარად არ არის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით, რამეთუ იგი არ არის უშუალოდ ხელმისაწვდომი და პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე დამოკიდებული.

41. ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმის გადასინჯვასთან დაკავშირებით მხარეები ვერ შეთანხმდნენ ეს პროცესი განხორციელდა დაინტერესებული მხარის მიმართვის თუ თავმჯდომარის საკუთარი შუამდგომლობის საფუძველზე. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ამ პროცედურის რაიმე დამატებით დეტალებს არ შეიცავს. 286-ე მუხლი გამოწვევებს შემთხვევებს ითვალისწინებს. თუმცა, მთავრობის განცხადების საწინააღმდეგოდ, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ 294-ე მუხლი შეიძლება ასეთ გამოწვევასად ჩაითვალოს. უეჭველია, რომ თუ ამ მუხლის ფორმულირებას, კერძოდ, "გაუქმდეს ან შეიცვალოს თავმჯდომარის მიერ" დაუპირისპირებთ მეორე დებულებას — "შეიძლება მისი გასაჩივრება", რომელიც გამოყენებულია სომხეთის როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის პროცესში, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მუხლი გადასინჯვის უფლება უფროა, ვიდრე გასაჩივრებისა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ასევე შეუსაბამოა ამ პროცედურის პრაქტიკული გამოყენება: მაშინ, როცა 2003 წლის 7 აპრილის დადგენილება აცხადებს, რომ "იგი ექვემდებარება თავმჯდომარის მიერ გადასინჯვას", სასამართლოს მიერ მიღებულ მრავალ სხვა დადგენილებაში — რომელთა ასლებიც განმცხადებელმა წარმოადგინა — ნათქვამია, რომ იგი "საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება", ან "შეიძლება გააპროტესტოს პროკურორმა". მთავრობამ თავის მხრივ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რომელიც განამტკიცებდა მის მიერ 294-ე მუხლისთვის მიცემულ განმარტებას. ასეთ გარემოებებში სასამართლო მთავრობის განმარტებას დამაჯერებლად არ მიიჩნევს და თვლის, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 294-ე მუხლი თავმჯდომარეს ანიჭებს გადასინჯვის უფლებას და არა მხარეს გასაჩივრების უფლებას. თუ ვივარაუდებთ, რომ მხარეს — სწორედ ისე, როგორც პროკურორისთვის მიმართვის შემთხვევაში — ასეთი გადასინჯვის მოთხოვნა შეეძლო, არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ თავმჯდომარე ვალდებული იყო, მხარის მოთხოვნის შესაბამისად ემოქმედა. გარდა ამისა, არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და არც თვით 2003 წლის 7 აპრილის დადგენილება არ ითვალისწინებდა გადასინჯვის ვადას.

42. ზემოაღნიშნულის შუქზე სასამართლო ასკვნის, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 294-ე მუხლით უზრუნველყოფილი გადასინჯვის შესაძლებლობა უფრო არაორდინალური საშუალებაა, ვიდრე აპელაციის ჩვეულებრივი პროცედურა და იგი არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე, მთავრობის წინასწარი პროტესტი უარყოფილი უნდა იქნეს.

II. კონვენციის მე-5 მუხლის სავარაუდო დარღვევა

43. განმცხადებელი ჩიოდა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთ საფუძველად არ ითვალისწინებს პირის დაპატიმრებას ადმინისტრაციული სახდელის სახით. იგი კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ასევე ჩიოდა, რომ მას უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა პატიმრობის კანონიერება, რომელიც მას 2003 წლის 7 აპრილის დადგენილებით შეეფარდა.

მე-5 მუხლის შესაბამისი ნაწილი აცხადებს:

*1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ესენია:

(ა) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრებული პირის კანონიერი დაპატიმრება;

(ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

(ც) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძველიანი ეჭვი, ან საფუძველიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

(დ) არასრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარადგენად;

(ე) პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულთ ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მანანწალების კანონიერი დაპატიმრება;

(ფ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.

...

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება კანონიერი არ არის."

დასაშვებობა

1. მხარეთა მოსაზრებები

44. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლის "ადმინისტრაციული პატიმრობა" დასაშვები იყო კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტით, რადგან მას სასამართლომ მსჯავრი დასდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი პირის დაპატიმრების უფლებას იძლევა, თუ იგი დამნაშავედ იქნა აღიარებული დანაშულის ჩადენაში, იქნება ეს სისხლის სამართლის, დისციპლინური თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, როგორც ეს წარმოდგენილ საქმეშია. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს უფლება ჰქონდა მისი დაპატიმრების მართლზომიერება გაესაჩივრებინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 294-ე მუხლის საფუძველზე.

45. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც სახდელის ფორმა, არ შეიძლება ჩართული იქნეს პატიმრობის საფუძვლებში, რომლებიც კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტითაა დასაშვები, რადგან ამ პროცედურის გამოყენება დაგმობილ იქნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციით 1304 (2002). გარდა ამისა, მაშინაც კი თუ კონვენციის მე-5 მუხლის მნიშვნელობით დაპატიმრების მართლზომიერება დამოკიდებული არ იყო მსჯავრის კანონიერებასთან, მისი საქმე კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად რომ განეხილათ, მას თავისუფლებას არ აღუკვეთდნენ. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით, განმცხადებელი, შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის ამოუწურავობასთან დაკავშირებით მის მიერ ნამოყენებულ არგუმენტებთან (იხ. ზემოთ, პუნქტები 34-36) ერთად, ასევე მიუთითებდა, რომ მას 2003 წლის 7 აპრილის დადგენილების გაპროტესტების საშუალება არ ჰქონდა, რადგან მას დადგენილების ასლი მოგვიანებით, მხოლოდ პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ გადასცეს.

2. სასამართლოს შეფასება

ა. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი

46. სასამართლო მიუთითებს, რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი ითვალისწინებს "უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერ დაპატიმრებას". ეს დებულება რაიმე განსხვავებას არ ადგენს სამართალდარღვევის ბუნების საფუძველზე, რომლის ჩადენაშიც პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი. იგი ეხება ნებისმიერ "მსჯავრდებას",

რომელმაც "სასამართლოს" მიერ გამოცხადებული თავისუფლების აღკვეთა გამოიწვია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის იგი კლასიფიცირებული მოცემული სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობაში (იხ. *ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A 22, გვ. 27-28, §68; *გურუქას* საქმე, ციტ. ზემოთ, §39).

47. წარმოდგენილ საქმეში განმცხადებელს ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის რაიონულმა სასამართლომ ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა მას შემდეგ, რაც მას მსჯავრი დასდო წვრილმანი ხულიგნობისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ სახდელის ამ ფორმას "ადმინისტრაციული პატიმრობა" ჰქვია, ეს ტერმინი ფაქტობრივად გამოიყენებოდა მოკლევადიანი სასჯელის სახელწოდებისთვის, რომელსაც სასამართლო უფარდებს სამართალდარღვევისთვის, რომელიც შიდასახელმწიფო სამართალში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახელითაა ცნობილი და, ჩვეულებრივ, წვრილმანი ბუნებით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობით განმცხადებელს თავისუფლება აღეკვეთა "მსჯავრის" დადების შემდეგ.

48. დასადგენი დარჩა ეს მსჯავრი იყო თუ არა შეფარდებული "კომპეტენტური სასამართლოს" მიერ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 223-ე მუხლის თანახმად 172-ე მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ საქმეებს პირველი ინსტანციის სასამართლო განიხილავს. წარმოდგენილ საქმეში განმცხადებლის ადმინისტრაციული საქმე განიხილა ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ('მ'), რომლის ტერიტორიულ ქვემდებარებაშიც შედიოდა მოცემული სამართალდარღვევის განხილვა. აქედან გამომდინარეობს, რომ განმცხადებელს სასჯელი შეუფარდა "კომპეტენტურმა სასამართლომ", როგორც ამას კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი მოითხოვს.

49. ბოლოს, სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების მართლზომიერებასთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი ავტონომიური დებულებაა, რომლის მოთხოვნებიც კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან ერთად ყოველთვის არ არსებობს (იხ. *ენგელი და სხვები*, ციტ. ზემოთ, გვ. 27-28, §68). საქმის კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, მე-6 მუხლის საფუძველზე საჩივრების არსებითი მხარისთვის ზიანის მიყენების გარეშე, სასამართლო მიიჩნევს, რომ წვრილმანი ხულიგნობისთვის განმცხადებლისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება გათვალისწინებული იყო სომხეთის კანონმდებლობით და მისი შეფარდება მოხდა კანონით დადგენილი წესით (იხ., *mutatis mutandis*, იქვე; და *გურუქას* საქმე, ციტ. ზემოთ, §39).

50. ზემოაღნიშნულის შუქზე სასამართლო ასკვნის, რომ განაცხადის ეს ნაწილი ამკარად არასათანადოა დასაბუთებული და იგი უკუგდებული უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე.

ბ. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი

51. სასამართლო მიუთითებს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ხელშე-
მკერეულ სახელმწიფოებს ავალებს უზრუნველყონ სასამართლოში გასაჩი-
ვრების უფლება როდესაც პირის თავისუფლების აღკვეთის დადგენილებას
ადმინისტრაციული ორგანო იღებს, მაგრამ არაფერი მიუთითებს იმაზე,
რომ იგივე ეხება დადგენილებას, რომელსაც სასამართლო იღებს პროცესის
დასრულებისას. როდესაც "კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდე-
ბული პირის" მიმართ პატიმრობის სასაჯელი ცხადდება, მე-5 მუხლის მე-4
პუნქტით მოთხოვნილი ზედამხედველობა დადგენილებაში უნდა იყოს ჩარ-
თული (იხ. *დე უილდე, რომსი და ვერსიპი ბელგის წინააღმდეგ*, ციტი. ზემოთ,
გვ. 32, §77; და *მენემევა რუსეთის წინააღმდეგ*, 59261/00, §103, 2006-...).

52. ზემოაღნიშნულის ფონზე, ის ფაქტი, რომ წარმოდგენილ საქმეში არ
არსებობდა ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის რაიონული სასამართ-
ლოს მიერ მიღებული დადგენილების ჩვეულებრივი გასაჩივრების ნუსი (იხ.
ზემოთ, პუნქტები 40-42), არ წარმოშობს პრობლემას მე-5 მუხლის მე-4
პუნქტის საფუძველზე.

53. აქედან გამომდინარე, განაცხადის ეს ნაწილი აშკარად არასათანა-
დოდაა დასაბუთებული და იგი უკუგდებული უნდა იქნეს კონვენციის 35-
მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე.

III. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

54. განმცხადებელმა რამდენიმე საჩივარი წარმოადგინა კონვენციის
მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-3 პუნქტის (b) და (c) ქვეპუნქტების
საფუძველზე. კერძოდ, იგი აცხადებდა, რომ: (1) სასამართლო, რომელმაც
მისი საქმე განიხილა, არ იყო დამოუკიდებელი, რადგან სომხეთში დამოუ-
კიდებელი სასამართლო არ არსებობს, ვინაიდან მოსამართლეები ინიშნე-
ბიან იუსტიციის საბჭოს მიერ, რომელსაც თავმჯდომარეობენ სომხეთის
პრეზიდენტი და იუსტიციის მინისტრი; (2) სასამართლო პროცესი არ იყო
სამართლიანი, ხოლო სასამართლო არ იყო მიუკერძოებელი: საქმე პრა-
ქტიკულად არ განუხილავთ და მთელი პროცესი დაახლოებით ხუთ წუთს
გაგრძელდა, მოსამართლემ ყველა არგუმენტი ისე უგულვებელყო, რომ
მათი გაბათილებაც კი არ უცდია, ხოლო დადგენილება მხოლოდ ადმინის-
ტრაციული სამართალდარღვევის ოქმს დააფუძნა, რომელიც პოლიციის
მიერ იყო შედგენილი; (3) სასამართლო განხილვა არ იყო საჯარო, რად-
გან იგი დახურულად წარიმართა მოსამართლის კაბინეტში 23:00 საათ-
ზე; (4) მას არ მისცეს საკმარისი დრო და საშუალებები საკუთარი დაცვის
მოსამზადებლად; და (5) მას მოტყუებით უარი ათქმევინეს ადვოკატის
დახმარებაზე.

კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისი ნაწილი ადგენს:

"სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

(ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

(ც) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული ადვოკატის მეშვეობით...;"

ა. დასაშვებობა

1. მე-6 მუხლის გამოყენება

55. მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის გამოყენება ადმინისტრაციულ პროცესებში დავის საგანს არ წარმოადგენს, სასამართლოს საჭიროდ მიანია ეს საკითხი საკუთარი შუამდგომლობის საფუძველზე განიხილოს. ქვემოთ მოყვანილი მიზეზების გამო იგი თვლის, რომ ეს პროცესები მოიცავდა განმხადებლის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრას.

56. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მიზნებისთვის სამართალდარღვევის "სისხლისსამართლებრივად" დაკვალიფიცირებისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს აღნიშნული სამართალდარღვევის განმსაზღვრელი დებულება მოქმედებდა სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში სისხლის სამართალს მიეკუთვნება თუ არა; ამის შემდეგ განხილული უნდა იქნეს "სამართალდარღვევის უშუალო ბუნება" და მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრის ხარისხი (იხ., სხვა წყაროებს შორის, ენგელი და სხვები, ციტ. ზემოთ, გვ. 34-35, §82; *ოზთურქი გერმანიის წინააღმდეგ*, 1984 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 73, გვ. 18, §50; *დემიკოლი მალტას წინააღმდეგ*, 1991 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, სერია A 210, გვ. 15-17, §§31-34).

57. რაც შეეხება შიდასახელმწიფო კლასიფიკაციას, სასამართლომ ადრე შეისწავლა სფერო, რომელიც ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში განსაზღვრულია როგორც "ადმინისტრაციული" და დაადგინა, რომ იგი მოიცავს გარკვეულ სამართალდარღვევებს, რომლებიც თავიანთი ბუნებით სისხლისსამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენენ, მაგრამ ძალზე უმნიშვნელო არიან იმისთვის, რომ მათი რეგულირება სისხლის სამართლის კანონმდებლობითა და პროცედურებით მოხდეს (იხ. *პალაო-*

რო ავსტრიის წინააღმდეგ, 1995 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია A 329-B, გვ. 38, §§33-35). როგორც ჩანს, ეს სომხეთის სისტემასაც ეხება.

58. ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მითითება, მე-6 მუხლის მიზნისთვის გადამწყვეტი არ არის და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოცემული სამართალდარღვევის უშუალო ბუნებას (იხ. *კემპბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1984 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A 80, გვ. 36, §71; *ვებერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1990 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, სერია A 177, გვ. 18, §32). სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლი ეხება ყველა მოქალაქეს. გარდა ამისა, განმცხადებლის მიმართ შეფარდებული სანქცია იყო ნმინდა სადამსჯელო ხასიათის და გამოყენებულ იქნა დაშინების მიზნით.

59. ბოლოს, სასჯელის სიმკაცრესთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთა ზოგადად სისხლის სამართლის სფეროს მიეკუთვნება, თუ იგი თავისი ბუნებით, ხანგრძლიობით ან აღსრულების ფორმით არსებითი ხასიათის ზიანს არ იწვევს (იხ. *ენგელი და სხვები*, ციტ. ზემოთ, გვ. 34-35, §82; *ეზე და კონორსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [GC], 39665/98 და 40086/98, §§69-130, ECHR 2003-X). წარმოდგენილ საქმეში განმცხადებელს თავისუფლება აღეკვეთა სამი დღის ვადით და იგი მისჯილი ვადის განმავლობაში საპყრობილეში იყო ჩაკეტილი. გარდა ამისა, პატიმრობის მაქსიმალური ვადა შეიძლება ყოფილიყო 15 დღე.

60. ეს მოსაზრებები საკმარისია იმის დასადგენად, რომ სამართალდარღვევა, რომლის ჩადენაშიც განმცხადებელი დამნაშავედ იქნა მიჩნეული, კონვენციის მიზნისთვის შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც "სისხლის სამართლის" დანაშაული (იხ. *mutatis mutandis*, *მენუშევას* საქმე, ციტ. ზემოთ, §§94-98).

2. სასამართლოს დამოუკიდებლობა

61. სასამართლო აღნიშნავს, რომ ორგანოს "დამოუკიდებლობის" განსაზღვრისათვის — განსაკუთრებით აღმასრულებელი ორგანოს და საქმეში მონაწილე მხარეთა — საჭიროა გათვალისწინებული იქნეს მისი წევრების დანიშვნის ფორმა და მათი პოსტზე ყოფნის ვადა, გარე ზეწოლისაგან დაცვის გარანტიები და დამოუკიდებლობის დამადასტურებელი ასპექტები (იხ. *კემპბელისა და ფელის* საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 39-40, §78).

62. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა, მოსამართლეთა დანიშვნის სისტემის მიმართ ზოგადი უკმაყოფილების გამოხატვის გარდა, ვერ დაასაბუთა, თუ როგორ უქმნის საფრთხეს ეს სისტემა იმ სასამართლოს დამოუკიდებლობას, რომელმაც მისი კონკრეტული საქმე განიხილა. რაც შეეხება თვით სისტემას, სასამართლო მიუთითებს, რომ საქმესთან დაკავშირებულ დროს მოქმედი კონსტიტუციის

შესაბამისად, მოსამართლეთა დანიშვნაზე პასუხისმგებელ ორგანოს, კერძოდ, იუსტიციის საბჭოს, სომხეთის პრეზიდენტი თავმჯდომარეობდა. თუმცა ის ფაქტი, რომ სასამართლოს წევრებს აღმასრულებელი ხელისუფლება ნიშნავს, თავისთავად ეჭვქვეშ არ აყენებს მის დამოუკიდებლობას (იქვე, გვ. 40, §79). სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლეები თანამდებობებზე დანიშნეს სპეციალური საკვალიფიკაციო ტესტის საფუძველზე. გარდა ამისა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დამცავი მექანიზმები, როგორცაა მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადის დაცვა, მათი სამსახურიდან დათხოვნის დაუშვებლობა და გარე მითითებებისაგან ან ზეწოლისაგან თავისუფლება, კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით იყო გარანტირებული. სასამართლოს აზრით, ეს დამცავი მექანიზმები საკმარისი იყო, რათა გამოირიცხოს განმცხადებლის შიში მის საქმეში სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

63. სასამართლო ასკვნის, რომ განაცხადის ეს ნაწილი აშკარად არასათანადოდაა დასაბუთებული და იგი უკუგდებული უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე.

3. სამართლიანი სასამართლოს სხვა გარანტიები

64. მთავრობამ მიუთითა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტაზე საქმეში მარფი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (4681/70, კომისიის 1972 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება, კრებული 43, გვ. 1) და განაცხადა, რომ დაცვის მოსამზადებლად არასაკმარისი დროისა და შესაძლებლობების შესახებ საჩივართან დაკავშირებით განმცხადებელმა ვერ ამონურა შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ვინაიდან მას სასამართლოში არ წარუდგენია შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე. თუ განმცხადებელს მიაჩნდა, რომ მას საკუთარი დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დრო არ ჰქონდა, მას შეეძლო მოეთხოვა სხდომის გადადება ან პროტესტი გამოეხატა ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებების მიმართ.

65. განმცხადებელს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

66. სასამართლოს მიაჩნია, რომ მთავრობის პროტესტი მჭიდრო კავშირშია განმცხადებლის მიერ მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივრის არსებით მხარესთან და იგი არსებით განხილვასთან უნდა გაერთიანდეს.

67. ამ მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივრების დანარჩენ ნაწილთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივრები არ არის აშკარად არასათანადოდ დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ისინი არც რაიმე სხვა საფუძველზე არის დაუშვებელი. აქედან გამომდინარე, ისინი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებობის მხარე

1. მხარეთა მოსაზრებები

ა. მთავრობა

68. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს საკუთარი დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დრო ჰქონდა. მთავრობამ მიუთითა საქმეზე *ალბერტი და ლე კომპტე ბელგიის წინააღმდეგ* (1983 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 58, გვ. 20-21, §41) და განაცხადა, რომ საქმის გარემოებათა კუთხით შეფასებისათვის "საკმარისი დრო" არსებობდა, საქმის სირთულისა და სასამართლო პროცესის ეტაპის ჩათვლით. განმცხადებელი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს 17 საათსა და 30 წუთზე, ხოლო სასამართლო განხილვა დაიწყო 19 საათსა და 30 წუთზე. ამ დროის განმავლობაში მან ვერ გამოიყენა მისი პროცედურული უფლებები, პოლიციის ოფიცერთა ძალისხმევის მიუხედავად. განმცხადებელს გააცნეს მის მიმართ აღძრული საქმის მასალები და განუმარტეს შუამდგომლობის და აცილების წარდგენის უფლებები, რაც მან არ გამოიყენა. განმცხადებელმა ნებაყოფლობით მოაწერა ხელი სამართალდარღვევის ოქმს და ამით იგი დაეთანხმა მის შინაარსს, რითაც ფაქტობრივად აღიარა დანაშაული. იმის გათვალისწინებით, რომ მან ოქმს ხელი მოაწერა, უარი თქვა ადვოკატის დახმარებაზე, არ შეუტანია რაიმე შუამდგომლობა და არ გამოუყენებია სხვა პროცედურული უფლებები, პოლიციის ოფიცრებმა ორი საათი საკმარისად ჩათვალეს განმცხადებლის დაცვის მოსამზადებლად. გარდა ამისა, განმცხადებელს ჰქონდა უფლება, საქმის განხილვის გადადება მოეთხოვა, რაც მას ასევე არ გაუკეთებია. ვინაიდან მან საქმის განხილვის გადადება არ მოითხოვა, განმცხადებელი პრაქტიკულად დათანხმდა, რომ მას საკუთარი დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დრო ჰქონდა. და ბოლოს, სასამართლოსთვის საქმის დაუყოვნებელი გადაცემით პოლიციის ოფიცრებმა უზრუნველყვეს სასამართლოს წინაშე განმცხადებლის გონივრულ ვადაში წარდგენის მოთხოვნა.

69. მთავრობა ასევე აცხადებდა, რომ განმცხადებლის საქმე საჯაროდ იქნა განხილული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, საქმის დახურული განხილვისთვის საჭიროა მიღებული იქნეს სპეციალური დადგენილება. განმცხადებლის საქმეში ასეთი დადგენილება არ მიუღიათ, რაც მიუთითებს, რომ სხდომა ღიად ჩატარდა.

70. ბოლოს მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებელს თავად არ სურდა ადვოკატის დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის ოფიცრებმა მას განუმარტეს ადვოკატის დახმარების უფლების შესახებ და ურჩიეს ეს უფლება გამოეყენებინა. გარდა ამისა, განმცხადებელს ადვოკატის დახმარების სურვილი არც მთელი პროცესის მანძილზე არ გამოუქვამს,

სასამართლო სხდომის ჩათვლით, რის შესახებაც მას მითითებული აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში. საბოლოოდ, განმცხადებლის პროცესი მთლიანობაში შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილ გარანტიებს.

ბ. განმცხადებელი

71. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესი არ იყო სამართლიანი. სამართლიანი პროცესი ნიშნავს საქმის გარემოებათა მიუკერძოებელ, ობიექტურ და დეტალურ შესწავლას, მაშინ, როცა ყველა მასალა მიუთითებს, რომ საქმის ასეთი განხილვა არ ჩატარებულა. მან ასევე განაცხადა, რომ 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში როგორც პოლიცია, ისე სასამართლოები ყველაფერს აკეთებდნენ ოპოზიციის აქტივისტების დასასჯელად, რაც გაუმჭვირვალე პირობებში ხდებოდა. პოლიცია, როგორც წესი, თავის “მსხვერპლს” ეძებდა არა უშუალოდ დემონსტრაციებზე, არამედ მის შემდეგ, სხვადასხვა ადგილებში. ზოგჯერ საზოგადოება და ნათესავები მსჯავრდების შესახებ მხოლოდ სასამართლოს მიერ დადგენილების მიღების შემდეგ იგებდნენ, როდესაც მსჯავრდებული უკვე საპყრობილეში იმყოფებოდა. იმისთვის, რომ შეითხნოლი საქმეები დაემალათ, ხელისუფლება ადვოკატებს მონაწილეობის საშუალებას არ აძლევდა, ხოლო სასამართლო სხდომები გვიან ტარდებოდა, რითაც საკმაოდ ეფექტიანად გამოირიცხავდნენ განხილვების საჯაროობას.

72. განმცხადებელი ასევე მიუთითებდა მის ადრინდელ კომენტარზე, რომლის მიხედვით, სასამართლო სხდომა, მთავრობის განცხადებისაგან განსხვავებით, 23:00 საათზე გაიმართა და მას მოსამართლისა და თანმხლები პოლიციის ოფიცრის გარდა არავინ არ ესწრებოდა. ამ უკანასკნელს პროცესში რაიმე მონაწილეობა არ მიუღია. მოსამართლემ დადგენილება მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს დააფუძნა, ხოლო განმცხადებლის არგუმენტები სრულიად უგულებელყო, რაიმე შეკითხვის დასმის გარეშე. მთელი პროცესი სულ ხუთ წუთს გრძელდებოდა და განხილვა, როგორც ასეთი, არ შემდგარა. განმცხადებელს ადვოკატზე უარი არც მანამაღდე და არც სასამართლო განხილვის დროს არ უთქვამს.

73. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით მთავრობის განცხადებები მხოლოდ ვარაუდებს წარმოადგენდა, რომლებიც ეფუძნებოდა იმ უბრალო ფაქტს, რომ მან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ხელი მოაწერა. თუმცა ეს ოქმი შეითხნოლი იყო ისევე, როგორც მისგან გამომდინარე სასამართლოს დადგენილება, რომელიც სტანდარტული ტექსტის გარდა არაფერს არ შეიცავდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ოქმი შეიძლება აღიარებად იქნეს მიჩნეული, სხვა მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში იგი მსჯავრის დასადებად საკმარისი საფუძველი ვერ იქნებოდა.

74. რაც შეეხება საქმის ლიად განხილვას, განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ეს იყო ამ მოვლენის უფრო *დე ფაქტო* და არა *დე იურე* ასპექტი, რომელიც მხედველობაში იყო მისაღები. მოსამართლის კაბინეტში 23:00 საათზე გამართული სხდომა არ შეიძლება ჩაითვალოს "საჯაროდ".

2. სასამართლოს შეფასება

75. იმისთვის, რომ დადგინდეს, განმცხადებლის მიმართ წარმოებული პროცესი აკმაყოფილებდა თუ არა მე-6 მუხლის მოთხოვნებს, სასამართლო ინდივიდუალურად განიხილავს ამ თვალსაზრისით წარმოშობილ საჩივრებს (იხ. ბორისოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, 56891/00, §40, 2006 წლის 21 დეკემბერი).

ა. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: სამართლიანი და საჯარო განხილვა მიუქარძობელი სასამართლოს მიერ

76. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ განმცხადებელი დაობდა მის მიმართ წარმოებული სასამართლო პროცესის გარემოებათა გამო, იმ სახით, როგორც ეს სასამართლოს ოქმში იყო წარმოდგენილი. იგი ამტკიცებდა, რომ პრაქტიკულად საქმის რაიმე განხილვას ადგილი არ ჰქონია, სხდომაზე არ იმყოფებოდა სხდომის მდივანი და მისი ჩანერა არ ხდებოდა, ხოლო ზემოხსენებული ოქმი გააყალბეს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას ეს მოსაზრება მკაფიოდ არ უარუყვია, სასამართლოს მიაჩნია, რომ ოფიციალური დოკუმენტის გაყალბებულად მისაჩნევად მას მტკიცებულებები ესაჭიროება. ის რომ ოქმი ხელითაა დაწერილი, უდავო ფაქტია, რაც სასამართლოს აფიქრებინებს, რომ იგი შეიძლება სხდომის შემდეგ დაწერეს ან გადანერეს. მიუხედავად იმისა, რომ ამან შესაძლოა წარმოშვას გარკვეული ეჭვი ოქმის სიზუსტესთან მიმართებით, სასამართლოსთვის ეს მაინც არ არის საკმარისი დაასკვნას, რომ ოქმი გაყალბებულია. აქედან გამომდინარე, სასამართლო ვარაუდობს, რომ სხდომა იმ ფორმით ჩატარდა, როგორც ეს ოქმშია დაფიქსირებული, რომლიდანაც ჩანს, რომ სასამართლო განხილვა შედგა, თუნდაც ძალზე ხანმოკლე.

77. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ სასამართლომ თავისი დადგენილება პოლიციის მიერ მომზადებულ მასალებს დააფუძნა, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, ხოლო მისი ყველა არგუმენტი უგულვებელყო. თუმცა სასამართლო მიუთითებს, რომ მისი საქმიანობის სფეროში არ შედის ფაქტებისა და მტკიცებულებების მისეული შეფასებით შეცვალოს შიდასახელმწიფო სასამართლოების მიერ გაკეთებული შეფასება, ვინაიდან, როგორც ზოგადი წესი, მათ წინაშე წარდგენილი მტკიცებულებები ამ სასამართლოებმა უნდა შეაფასონ (იხ. სხვა მასალებს შორის, *ედვარდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1992 წლის 16 დეკემბერი, სერია A 247-B, გვ. 34-35, §34; *ბერნარდი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and*

Decisions 1998-II, გვ. 879, §37). გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ, მე-6 მუხლი სამართლიან განხილვას უზრუნველყოფს, იგი მტკიცებულების დასაშვებობის წესს არ განსაზღვრავს, რაც უპირველეს ყოვლისა ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ფუნქციაში პრინციპულად არ შედის დასაშვები მტკიცებულების კონკრეტული სახეების ან განმცხადებლის ბრალეულობის საკითხის განსაზღვრა. კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, შემდეგში მდგომარეობს: იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, მტკიცებულებათა მოპოვების გზების ჩათვლით. იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა მთლიანობაში სამართალწარმოება სამართლიანი, ყურადღება აგრეთვე უნდა მიექცეს თუ რამდენად იქნა დაცული დაცვის უფლება. კერძოდ, შესწავლილი უნდა იქნეს, ჰქონდა თუ არა განმცხადებელს საშუალება მოეთხოვა მტკიცებულების ავთენტურობის დადგენა და შეინააღმდეგებოდა მის გამოყენებას. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს მტკიცებულების ხარისხს, მისი მოპოვების გარემოებების ჩათვლით, კერძოდ, ხომ არ ინვესტა ეჭვს ეს გარემოებები საიმედოობისა და სიზუსტის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანობის საკითხი უცილობლად არ წარმოიშობა როდესაც მტკიცებულება სხვა მასალებით გამყარებული არ არის, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც მტკიცებულება საკმაოდ მყარია და მის საიმედოობასთან მიმართებით საშიშროება არ არსებობს, გამამყარებელი მტკიცებულებების აუცილებლობა შესაბამისად სუსტდება (იხ. *იალოპი გერმანიის წინააღმდეგ* [GC], 54810/00, §§94-96, ECHR 2006-...).

78. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიმართ წაყენებული ბრალდება და შემდგომი მსჯავრდება დაფუძნებული იყო პოლიციის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე, როგორც ამას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი უჩვენებს, ასევე პოლიციის მიერ მომზადებულ სხვა მასალებზე. სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის პროცესში ერთადერთი მტკიცებულება პირის დამკავებელი პოლიციის ოფიცრის ჩვენებაა, თავისთავად კონვენციის მე-6 მუხლს არ ეწინააღმდეგება, თუკი ბრალდებულს საშუალება აქვს გამოიკვლიოს ეს მტკიცებულება შეჯიბრებითობის პრინციპით წარმართულ პროცესზე. წინამდებარე საქმეში, განმცხადებელს, თუნდაც ძალზე ხანმოკლე განხილვისას, საშუალება ჰქონდა მოსაზრებები გამოეთქვა საკუთარი პოზიციის დასაცავად. მეორე მხრივ, სასამართლოში არ გამოუძახებიათ და არ დაუკითხავთ არც ერთი პოლიციის ოფიცერი, რომელიც მის დაკავებაში ლებულობდა მონაწილეობას. თუმცა ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ მონების გამოკვლევის უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ამის სურვილს გამოთქვამს (იხ. *კარდოტი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, სერია A 200, გვ. 18-19, §§35-36), რისი გაკეთებაც განმცხადებელმა ვერ მოახერხა.

79. განმცხადებელი ასევე აღნიშნავდა, რომ სასამართლო არ იყო მიუკერძოებელი. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული "მიუკერძოებლობის" მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს

პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუყერ-ძობელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველ-ყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. *გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1998-III, გვ. 1030-31, §58; *მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუყერ-ძობლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდე-ბა (იხ. *ჰაუსჰიდტი დანიის წინააღმდეგ*, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A 154, გვ. 21, §47; *დაკარასი ლიტივის წინააღმდეგ*, 42095/98, §30, ECHR 2000-X). წარმოდგენილ საქმეში განმცხადებელი ჩიოდა, რომ მოსამართლე მიკერძოებული იყო პოლიტიკური მიზეზებით. ამ თვალსაზრისით სასამართ-ლოს მიაჩნია, რომ, თუმცა საქმის ზოგიერთი მასალა, როგორცაა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დოკუმენტები და *ჰუმან რაითს უოჩის* მოხსენება, უჩვენებს, რომ 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდი ძლიერი პოლიტიკური მგრძობელობით გამოირჩეოდა, ეს მაინც არ არის საკ-მარისი დასკვნისთვის, რომ მოსამართლე, რომელიც განმცხადებლის საქმეს წარმართავდა, მიკერძოებული იყო პოლიტიკური ნიშნით. სასამართლო ასე-ვე აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ მიუთითებია რაიმე სხვა არგუმენტზე, რომელიც საეჭვოს გახდიდა მისი საქმის განმხილველი მოსამართლე 'მ'-ის სუბიექტურ თუ ობიექტურ მიუკერძოებლობას.

80. ბოლოს განმცხადებელი ჩიოდა, რომ პროცესი არ იყო საჯარო, რადგან იგი სავარაუდოდ მოსამართლის კაბინეტში ჩატარდა 23 საათსა და 30 წუთზე. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ სასამართლო პროცესის საჯაროობა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ფუნდამენტური პრინციპია (იხ. *შუ-ლერ-ზგრაგენი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1993 წლის 24 ივნისის გადაწყვეტი-ლება, სერია A 263, გვ. 19-20, §58). საჯარო განხილვის უფლება არა მხოლოდ დამატებითი გარანტიაა ჭეშმარიტების დადგენისაკენ მიმართული ძალისხმე-ვის უზრუნველსაყოფად, არამედ იგი აგრეთვე ეხმარება ბრალდებულს დარწ-მუნდეს, რომ მის საქმეს განიხილავს სასამართლო, რომლის დამოუკიდებლო-ბისა და მიუკერძოებლობის შემონახვა მას შეუძლია. სასამართლო ორგანო-ში პროცესის საჯარო ხასიათი პროცესის მხარეს მართლმსაჯულების საი-დუმლოდ და საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე განხორციელებისაგან იცავს; იგი ასევე ზემდგომი თუ ქვემდგომი სასამართლოების მიმართ ნდობის განმტკიცების საშუალებაა. მართლმსაჯულების ღიად განხორციელება და მისი საჯაროობა ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნის მიღწევას, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დამკვიდრებას, რომლის უზრუნველყოფაც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტუ-რი პრინციპია კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში (იხ. *ფეიდუ შვედეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია A 212-C, გვ. 67-68, §28; *ტიერსი და სხვები სან მარინოს წინააღმდეგ*, 24954/94, 24971/94 და 24972/94, §92, ECHR 2000-IX).

81. წარმოდგენილ საქმეში სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ მოცემული სასამართლო განხილვა ფორმალურად საჯარო იყო. მიუხე-

დავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ კონვენციის მიზანია უზრუნველყოს არა თეორიული ან ილუზორული უფლებები, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი (იხ., სხვა მასალებს შორის, *სუბორუბჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, 69315/01, §43, 2005 წლის 10 თებერვალი). სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო განხილვის უფლება ილუზორული იქნება, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს შიდასახელმწიფო სამართლებრივი სისტემა სასამართლოს უფლებას აძლევს, განახორციელოს ფორმით საჯარო, მაგრამ რეალურად საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელი პროცესი, მათ შორის, სასამართლოს სხდომის გამართვის დროისა და ადგილის თვალსაზრისით (იხ., *mutatis mutandis*, *რიეპანი ავსტრიის წინააღმდეგ*, 315115/97, §29-31, ECHR 2000-XII). თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს სხდომის ოქმიდან ნათლად არ ჩანს, რომელ საათზე ჩატარდა განმცხადებლის პროცესი. ვერც განმცხადებელმა წარმოადგინა რაიმე დამატებითი მტკიცებულება თავისი პრეტენზიის გასამყარებლად, რომ სხდომა 23:00 საათზე დაიწყო. აქედან გამომდინარე, ობიექტურად შეუძლებელია დადგინდეს სასამართლო სხდომის გამართვის დრო, ასევე ის, უშლიდა თუ არა ეს ხელს პროცესის საჯაროობას. სხდომის გამართვის ადგილთან დაკავშირებით მთავრობას არ უარუყვია, რომ სასამართლოს სხდომა ჩატარდა მოსამართლე 'მ'-ის კაბინეტში, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებდა, და არა სასამართლოს სხდომათა დარბაზში (იხ. ზემოთ, პუნქტი 21). თუმცა სასამართლოს ოქმიდან გამომდინარეობს, რომ მოსამართლე გარკვეულ მომენტში სათათბირო ოთახში გავიდა, რაც მიუთითებს, რომ სხდომა დარბაზში ჩატარდა და არა მოსამართლის კაბინეტში. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ სასამართლო პროცესს საზოგადოების წევრები არ ესწრებოდნენ, ავტომატურად არ იწინავს, რომ იგი საჯარო არ იყო. სასამართლო ბოლოს აღნიშნავს, რომ განმცხადებელს რაიმე სხვა არგუმენტი არ წარმოუდგენია, გარდა იმისა, რომ არასაჯარო განხილვასთან დაკავშირებით თავის განცხადებას იგი სავარაუდოდ დროსა და ადგილზე აფუძნებდა. ასეთ გარემოებებში სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასკვნისთვის, რომ მოცემული სასამართლო განხილვა საჯარო არ იყო.

82. ზემოაღნიშნული ფაქტორების შუქზე სასამართლო ასკენის, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ დარღვეულა მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განმცხადებლის საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებასთან მიმართებით.

ბ. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან ერთობლიობაში

83. სასამართლო იმეორებს, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები განხილული უნდა იქნეს როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების კონკრეტული ასპექტები, რომლებიც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტითაა გარანტირებული. აქედან გამომდინარე, სასამართლო ერთობლივად განიხილავს შესაბამის საჩივრებს ორივე დებულების საფუძველზე (იხ. ფ.ა.ბ.

იტილის წინააღმდეგ, 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება, სერია A 208-B, გვ. 20, §29; *პუატრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1993 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A 277-A, გვ. 13, §29).

i. საკუთარი დაცვის მოსამზადებლად ადკევატური დროისა და შესაძლებლობების უფლება

84. სასამართლო მიუთითებს, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (b) ქვე-პუნქტი ბრალდებულს უზრუნველყოფს, ჰქონდეს "საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად", და ამიტომ იგი ითვალისწინებს, რომ მისი სახელით განხორციელებული რეალური დაცვა შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს, რაც "აუცილებელია" ძირითადი განხილვის მოსამზადებლად. ბრალდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს, საკუთარი დაცვის ორგანიზება სათანადო გზით მოახდინოს და შეზღუდული არ იყოს, სასამართლოს წარუდგინოს დაცვის ყველა რელევანტური არგუმენტი, რაც მას საშუალებას მისცემს, ზეგავლენა მოახდინოს პროცესის შედეგზე (იხ. *კანი ავსტრიის წინააღმდეგ*, 9300/81, კომისიის მოხსენება, 1984 წლის 12 იელისი, სერია A 96, §53; *კონოლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (dec.), 27245/95, 1996 წლის 26 ივნისი; *მაიზიტი რუსეთის წინააღმდეგ*, 63378/00, §78, 2005 წლის 20 იანვარი). გარდა ამისა, შესაძლებლობანი, რომლებიც უნდა ჰქონდეს ყოველ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მოიცავს შესაძლებლობას, რომ პირი, საკუთარი დაცვის მომზადების მიზნით, გაეცნოს სამართალწარმოების მთელი პროცესის განმავლობაში მიმდინარე გამოძიების შედეგებს (იხ. *ს.გ.პ. ნიდერლანდების წინააღმდეგ*, (dec.), 29835/96. 1997 წლის 15 იანვარი; *ფურერი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1997 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1997-II, §§26-38). ბრალდებულის საკმარისი დროითა და შესაძლებლობებით უზრუნველყოფის საკითხი უნდა შეფასდეს თითოეული კონკრეტული საქმის გარემოებათა ფონზე.

85. ამ საქმეზე სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საქმე დაჩქარებული წესით იქნა განხილული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 277-ე მუხლის შესაბამისად, წერილმან ხულიგნობასთან დაკავშირებულ დანაშაულთა საქმეები ერთ დღეში უნდა განიხილოს. თუმცა სასამართლო მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე დაჩქარებული პროცესის არსებობა და გამოყენება თავისთავად კონვენციის მე-6 მუხლს არ ეწინააღმდეგება, თუ იგი უზრუნველყოფს ამ მუხლით დადგენილ გარანტიებს (იხ. *ბორისოვას საქმე*, ციტი. ზემოთ). მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს შეეძლო მოეთხოვა საქმის გადადება, თუ მას მიაჩნდა, რომ საკუთარი დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დრო არ ჰქონდა, რაც მას არ გაუკეთებია. თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 277-ე მუხლი დადგენილი წესიდან გამონაკლის შემთხვევებს არ ითვალისწინებს. ადმინისტრაციულ

სამართალწარმოებაში ბრალდებულის უფლებათა შორის არც საქმის გადადების უფლებაა მკაფიოდ გათვალისწინებული (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 267-ე მუხლი). ასეთი უფლების არსებობასთან დაკავშირებით მთავრობამ ვერც რაიმე სხვა სამართლებრივ საფუძველზე მიუთითა. გარდა ამისა, არც განმცხადებლის ადმინისტრაციული საქმის მასალები და არც მთავრობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ უჩვენებს, რომ განმცხადებელს პოლიციამ ან სასამართლომ განუმარტა ასეთი შესაძლებლობის არსებობა. ასეთ გარემოებებში სასამართლოს მიაჩნია, რომ მთავრობამ დამაჯერებლად ვერ წარმოადგინა, რომ განმცხადებელს — როგორც კანონით, ისე პრაქტიკაში — მკაფიოდ ჰქონდა მისი საქმის განხილვის გადადების უფლება, რათა მომზადებულიყო საკუთარი დაცვისათვის, და რომ განმცხადებლის საქმის განხილვას გადადებდნენ, მას რომ ეს მოეთხოვა (იხ. *a contrario*, მარფის საქმე, ციტ. ზემოთ).

86. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის განცხადების შესაბამისად, მთელი წინასასამართლო პროცესი ორ საათს გრძელდებოდა, 17 საათსა და 30 წუთიდან 19 საათსა და 30 წუთამდე. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ვინაიდან განმცხადებლის საქმე არ იყო რთული, ორი საათი საკმარისი დრო იყო, მით უმეტეს, რომ მან უარი განაცხადა ადვოკატზე, არ გამოიყენა შუამდგომლობისა და გასაჩივრების უფლება და ნებაყოფლობით მოანერგა ხელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. თუმცა სასამართლოს მიაჩნია, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა ხელი მოანერგა დოკუმენტს, რომელშიც იგი უარს ამბობდა ადვოკატზე და თავის დაცვა პირადად ამჯობინებდა, არ ნიშნავს, რომ მისთვის არ უნდა მიეცათ საკმარისი დრო და შესაძლებლობანი სასამართლო პროცესისთვის ეფექტიანი დაცვის მოსამზადებლად. ის, რომ განმცხადებელმა მოკლევადიანი წინასწარი გამოძიების პერიოდში კონკრეტული შუამდგომლობა არ დააყენა, უცილობლად არ ნიშნავს, რომ მას დამატებითი დრო არ სჭირდებოდა — ადეკვატურ პირობებში — რათა სათანადოდ შეეფასებინა მისთვის წაყენებული ბრალდება და განეხილა თავის დაცვის სხვადასხვა ეფექტიანი გზა. და ბოლოს, სასამართლო ეთანხმება, რომ განმცხადებელს უფლება ჰქონდა, ხელი არ მოენერგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისთვის. თუმცა მთავრობის განცხადების საწინააღმდეგოდ, არც კანონი და არც განმცხადებლის ადმინისტრაციული საქმის მასალები არ მიუთითებს, რომ განმცხადებლის მიერ ოქმის ხელმოწერას რაიმე სხვა მიზანი ჰქონდა, გარდა იმისა, რომ დაედასტურებინა ოქმის გაცნობის ფაქტი და გაცნობობდა თავის უფლებებს და მისთვის წაყენებულ ბრალდებას.

87. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შეიცავდა ბრალდებას და განმცხადებლის საწინააღმდეგო ერთადერთი მტკიცებულება იყო, კონკრეტულად არ მიუთითებს რომელ საათზე წარუდგინეს მას ეს დოკუმენტი და დროის რა პერიოდი მისცეს ოქმის შესასწავლად. ეს არ დასტურდება არც პოლიციის პატაკიდან და არც პოლიციის მიერ მომზადებული სხვა მასალიდან. მხარეებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ სასამართლო განხილვამდე პერიოდის სიზუსტესთან დაკავშირებით; ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადია, რომ იგი რამდენიმე საათს არ აღემატებოდა. სა-

სამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში განმცხადებელი ან სასამართლოში გადაჰყავდათ, ან პოლიციის განყოფილებაში იმყოფებოდა, გარე სამყაროსთან ყოველგვარი კონტაქტის გარეშე. გარდა ამისა, პოლიციის განყოფილებაში ამ ხანმოკლე ყოფნის დროს განმცხადებლის მიმართ ჩატარდა რამდენიმე საგამოძიებო ღონისძიება, დაკითხვისა და ჩხრეკის ჩათვლით. თუნდაც განმცხადებლის საქმე რთული არ ყოფილიყო, სასამართლოს ეჭვი ეპარება, რომ განმცხადებლის სასამართლო პროცესის წარმოების გარემოებები, მისი დაკავებიდან მსჯავრის დადებაამდე, მას საშუალებას არ აძლევდა სათანადოდ გაცნობოდა და ადეკვატურად შეეფასებინა მისთვის წაყენებული ბრალდება და მისი საწინააღმდეგო მტკიცებულებები, იგი ვერც საკუთარი დაცვის ქმედითი სტრატეგიის შემუშავებას ვერ შეძლებდა.

88. სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელს არ მიეცა ადეკვატური დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან ერთობლიობაში.

ii პირის მიერ საკუთარი თავის ჰირადად ან მის მიერ არჩეული ადვოკატის მიხედვით დაცვის უფლება

89. სასამართლო იმეორებს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ყოველი პირის უფლება — ეფექტიანად დაიცვას თავი ადვოკატის მეშვეობით — მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური უფლება არ არის, საჭიროების შემთხვევაში კანონით არის გათვალისწინებული და სამართლიანი სასამართლოს ფუძემდებლური მახასიათებელია (იხ. *კრომბაჩი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 29731/96, §89, ECHR 2001-II). გარდა ამისა, მე-6 მუხლი ასევე შესაძლებელია რელევანტური იყოს საქმის სასამართლოში გადაგზავნამდე და მისი თავიდანვე დაუკმაყოფილებლობით შესაძლოა ზიანი მიადგეს სასამართლო პროცესის ობიექტურობას (იხ. *იმბრიოსცია შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1993 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A 275, გვ. 13, §36; *ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ* [GC], 46221/99, § 131, ECHR 2005-...). გამოძიების პერიოდში მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის (c) ქვეპუნქტის გამოყენება სამართალწარმოების პროცესის კონკრეტულ მახასიათებლებზე და საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებზე დამოკიდებული. მე-6 მუხლი, ჩვეულებრივ, მოითხოვს, რომ ბრალდებულს საშუალება ჰქონდეს, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით პოლიციის მიერ მისი დაკითხვის ადრეული ეტაპიდანვე (იხ. *ჯონ მურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1996 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1996-I, გვ. 54-55, §63, *ოჯალანის საქმე*, ციტ. ზემოთ, §131). სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ ბრალდებულის მიერ სისხლის სამართლის პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის მიღება ზოგადად მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს სხდომაზე დასწრების უფლებას, არამედ ასევე, საჭიროების შემთხვევაში, იურიდიული დახმარების უფლებას (იხ. *ლაგერბლომი შვედეთის წინააღმდეგ*, 26891/95, 2003 წლის 14 იანვარი, §49).

90. თუმცა წარმოდგენილ საქმეზე სასამართლო აღნიშნავს, რომ ადვოკატის დახმარება თვით განმცხადებელს არ მოუთხოვია არც სასამართლო პროცესამდე და არც პროცესის დროს. ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციით გარანტირებული უფლების გამოყენებაზე უარის თქმა — დასაშვებ ფარგლებში — მკაფიო ფორმით უნდა დადგინდეს და იგი მისი მნიშვნელობის შესაბამისი მინიმალური დამცავი მექანიზმებით უნდა იქნეს აღჭურვილი (იხ. *კოლოზა იტალიის წინააღმდეგ*, 1985 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 89, გვ. 14, §28; *ობერსჩლიკი ავსტრიის წინააღმდეგ* (1), 1991 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება, სერია A 204, გვ. 23, §51; და *სეიდოვიჩი იტალიის წინააღმდეგ* [GC], 56581/00, §86, ECHR 2006-...). სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ პრინციპებით დადგენილი მოთხოვნები ამ საქმეში დაკმაყოფილებულია შემდეგ მოსაზრებათა გამო.

91. სასამართლო აღნიშნავს, რომ, მის ხელთ არსებული მასალების მიხედვით, განმცხადებელმა მკაფიო ფორმით განაცხადა უარი ადვოკატის დახმარების უფლებაზე, როგორც სასამართლომდე, ისე სასამართლო პროცესზე (იხ. ზემოთ, მე-14 და მე-20 პუნქტები). მიუხედავად იმისა, რომ კონვენციით დაცული ზოგიერთი უფლების ბუნება ისეთია, რომ იგი გამოირიცხავს უფლებაზე უარის განმცხადებლის მიერ მის განხორციელებას (იხ. საქმე *დე უილდე, რომსი და ვერსიპი*, ციტ. ზემოთ, გვ. 36, §65), იგივე არ შეიძლება ითქვას გარკვეულ უფლებათა შესახებ (იხ. საქმე *ალბერტი და ლეკომპტი*, ციტ. ზემოთ, გვ. 19, §35). მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ტექსტიდან ნათელია, რომ ბრალდებულს აქვს არჩევანი, კერძოდ, "დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული ადვოკატის მეშვეობით". ამრიგად, თუ ბრალდებული არჩევს, თავად წარმოადგინოს საკუთარი თავი თავისი სურვილის შესაბამისად, ამით ეს მუხლი არ ილვევა, თუ მართლმსაჯულების ინტერესები სხვაგვარად არ მოითხოვს. წარმოდგენილ საქმეში არ არის რაიმე მტკიცებულება, რომ განმცხადებელმა საკუთარი თავის პირადად დაცვა რაიმე მუქარის ან ფიზიკური ძალადობის შედეგად გადაწყვიტა. უფრო მეტიც, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მას "თაღლითობით" ათქმევინეს უარი ადვოკატის დახმარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ 79-ე პუნქტში მითითებული ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და *ჰუმან რაითს უოჩის* მოხსენებები რელევანტურ ინფორმაციას შეიცავს, ეს მასალა სასამართლოსთვის მაინც არ არის საკმარისი დასკვნისთვის, რომ ქმედებები, რომლებიც მსგავსია ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში აღწერილი ქმედებების მსგავსია, ნამდვილად იყო განმცხადებლის საქმეში. ბოლოს სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებელს ბრალი ედებოდა უმნიშვნელო დანაშაულში, რომელიც სასჯელის მაქსიმალურ შესაძლო ზომად 15 დღით პატიმრობას ითვალისწინებს, რის გამოც იგი განსხვავებულად ვერ მიუდგება მართლმსაჯულების ნებისმიერ ინტერესს, რომელიც მოითხოვდა სავალდებულო იურიდიულ დახმარებას.

92. სასამართლო ასკვნის, რომ ადვოკატის მომსახურებაზე უარი განმცხადებელმა საკუთარი სურვილით განაცხადა, და მიიჩნევს, რომ ხელი-სუფლებას ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მას აღმი-

ნისტრაციულ პროცესზე იურიდიული წარმომადგენელი არ ჰყავდა. შესაბამისად, არ ხდება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3 პუნქტის (c) ქვეპუნქტის ერთობლივი დარღვევა.

IV. კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების სავარაუდო დარღვევა

93. განმცხადებელი ჩიოდა, რომ 2003 წლის 7 აპრილის დადგენილებით მისთვის შეფარდებული სასჯელით მოხდა მის გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლებაში უკანონო ჩარევა, რომლებიც გარანტირებულია შესაბამისად კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებით. ეს მუხლები აცხადებს:

მუხლი 10

“1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...”

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.”

მუხლი 11

“1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა...”

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დანესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად...”

ა. დასაშვებობა

94. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივრები არ არის ამჟამად არასათანადოდ დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშ-

ვენლობით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ისინი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით. აქედან გამომდინარე, ისინი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებული მხარე

1. განმცხადებლის საჩივართა ფარგლები

95. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის გარემოებებში მე-10 მუხლის მე-11 მუხლთან ურთიერთობა განხილული უნდა იქნეს როგორც ლეხ გენერალის, ლეხ სპეციალის. აქედან გამომდინარე, მე-10 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივრის ცალკე განხილვა საჭირო არ არის (იხ. *ეზელინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 26 აპრილი, სერია A 202, გვ. 20, §35).

96. მეორეს მხრივ, წარმოდგენილ საქმეში, მე-11 მუხლი, მისი ავტონომიური როლისა და გამოყენების კონკრეტული სფეროს მიუხედავად, ასევე განხილული უნდა იქნეს მე-10 მუხლის შუქზე. მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი პირადი შეხედულებების დაცვა ერთ-ერთი მიზანია მე-11 მუხლით განსაზღვრული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლებისა (იქვე, §37).

2. ჰქონდა თუ არა ადგილი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების განხორციელებაში ჩარევას

97. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის მიმართ მე-11 მუხლით გარანტირებულ მშვიდობიანი შეკრების უფლებაში ჩარევა არ მომხდარა, რადგან, როგორც თვითონ აცხადებდა, იგი აღნიშნულ დემონსტრაციაში არ მონაწილეობდა. მთავრობის განცხადების თანახმად, იგი დემონსტრაციის ადგილიდან მოშორებით იმყოფებოდა და უბრალო ხულიგნური მიზნით სავალი გზის ნაწილის ბლოკირებას ახდენდა, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო დემონსტრაციასთან. აუცილებელი არ არის, ასეთი ქმედება, განხილული იქნეს, როგორც პირის მშვიდობიანი შეკრების უფლების განხორციელებაში ჩარევა.

98. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ განმცხადებელს, რომელიც დემონსტრაციისაგან მოშორებით იმყოფებოდა და მასში მონაწილეობას არ იღებდა, მხოლოდ გამოხატვის უფლების განხორციელება შეეძლო, ან, უფრო ზუსტად, მე-10 მუხლით გარანტირებული ინფორმაციის მიღების უფლებისა. თუმცა არც ამ უფლების განხორციელებაში ჩარევა მომხდარა, რადგან განმცხადებელმა ინფორმაციის მიღების უფლება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განახორციელა. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებლისთვის შეფარდებული სასჯელი დაკავშირებული არ იყო მის მიერ მე-10 მუხლით განსაზღვრული უფლებების განხორციელებასთან, რადგან მას მსჯავრი დაედო წვრილმანი ხულიგნობისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე.

99. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, რომ იგი დემონსტრაციაში არ მონაწილეობდა, და, აქედან გამომდინარე, არ მომხდარა მის მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევა, ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი სასამართლოს დასკვნებს, რომელთა თანახმად, იგი თითქოსდა ანტისოციალურად იქცეოდა 2003 წლის 7 აპრილის დემონსტრაციაზე. თუ მან გადაკეტა ქუჩა, რასაც დემონსტრაციასთან საერთო არაფერი ჰქონდა, — როგორც ამას მთავრობა ამტკიცებდა — ამ ფაქტს უდავოდ დაადგენდა საგამოძიებო ორგანო და უცილობლად იქნებოდა გამოყენებული მის მიმართ წარმოებულ ადმინისტრაციულ საქმეში.

100. სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციის მასალებიდან და სასამართლოს დადგენილებიდან აშკარად ჩანს, რომ განმცხადებელი დააკავეს და დამნაშავედ ცნეს დემონსტრაციის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, კერძოდ, 2003 წლის 7 აპრილის დემონსტრაციის დროს, რომელიც მამუტოცის გამზირზე გაიმართა. ქმედებები, რომლებმაც განმცხადებლისთვის სახდელის დაკისრება გამოიწვია, მოსამართლის დასკვნის შესაბამისად, “ტრანსპორტის მოძრაობის ხელშეშლა” და “ხმაური” იყო, რომლებიც მან დემონსტრაციის დროს ჩაიდინა, რაც, სასამართლოს აზრით, დემონსტრაციაში მისი მონაწილეობის უშუალო შედეგს წარმოადგენდა. ამრიგად, მთავრობის მტკიცება, რომ განმცხადებელს დემონსტრაციაში მონაწილეობა არ მიუღია და გადაკეტა ქუჩა, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო დემონსტრაციასთან, შიდასახელმწიფო ორგანოს დასკვნებით, საფუძველზე მოკლებულია. აქედან გამომდინარეობს, რომ განმცხადებელს სასჯელი დემონსტრაციის დროს მისი ქცევისთვის შეუფარდეს.

101. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ დემონსტრაცია მშვიდობიანი არ იყო. გარდა ამისა, საქმეში არსებული მასალებიდან არ ჩანს, რომ იგი იყო აკრძალული ან არასანქცირებული (იხ. ა ცონტრარიო, *ზილიბერბერგი მოლდოვას წინააღმდეგ* (dec.), 61821/00, 2004 წლის 4 მაისი), ან რომ ხელისუფლება მის დაშლას ცდილობდა ან მის მონაწილეებს — განმცხადებლის ჩათვლით — დაშლისკენ მოუწოდებდა იმის გამო, რომ დემონსტრაცია იყო უკანონო ან არასანქცირებული ან ხელს უშლიდა საგზაო მოძრაობას (იხ. *a contrario*, ‘გ’ *გერმანიის წინააღმდეგ*, 13079/87, კომისიის 1989 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება, DR 60, გვ. 256; *სტილი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1998-VI, გვ. 2725, §7; *ლუკასი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (dec.), 39013/02, 2003 წლის 18 მარტი). მთავრობას არც ასეთი მოსაზრებები არ წარმოუდგენია. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ დემონსტრაცია აკრძალული არ იყო. დემონსტრანტებთან შეერთებით განმცხადებელმა გამოიყენა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლება, ხოლო მისთვის ამის გამო სასჯელის შეფარდება ამ უფლებაში ჩარევის ტოლფასია.

102. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ კანონიერ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღების გამო განმცხადებლისთვის სასჯელის შეფარდება მის მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევის ტოლფასია.

3. იყო თუ არა ჩარევა დასაბუთებული

103. ჩარევა წარმოადგენს მე-11 მუხლის დარღვევას, თუ იგი არ არის "კანონით გათვალისწინებული", არ ემსახურება მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე კანონიერ მიზანს და არ არის "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" ამ მიზნების მისაღწევად.

ა. "კანონით გათვალისწინებული"

104. მთავრობამ განაცხადა, რომ, თუ სასამართლო დაასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებლის მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევას, იგი კანონით გათვალისწინებული ჩარევა იქნებოდა. განმცხადებელმა სხვა პირთა ჯგუფთან ერთად გადაკეტა მაშტოცის გამზირი, რითაც დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი. ეს ქმედება კვალიფიცირდება როგორც წვრილმანი ხულიგნობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე.

105. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ეს ქმედებები არ ხვდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამ მუხლის შესაბამისად, წვრილმანი ხულიგნობა არის საზოგადოებრივ ადგილებში უცენზურო ლანძღვა-გინება ან მოქალაქეზე შეურაცხყოფელი გადაკიდება, ასევე სხვა ამგვარი ქმედებები, რომლებიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს. ქუჩის გადაკეტვა არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო ზემოაღნიშნულთა მსგავს ქმედებად.

106. სასამართლო მიუთითებს, რომ ნორმა ვერ იქნება მიჩნეული "კანონად", თუ იგი საკმაო სიზუსტით არ არის ჩამოყალიბებული, რომელიც მოქალაქეს, საჭიროების შემთხვევაში, საშუალებას არ აძლევს სიტუაციის მიხედვით გონივრული ხარისხით განჭვრიტოს მოცემული მოქმედებით გამოწვეული შედეგები. ეს შედეგები განჭვრეტადი უნდა იყოს აბსოლუტური დამაჯერებლობით: გამოცდილება უჩვენებს, რომ ეს მიუღწეველია. შესაბამისად, მრავალი კანონი, მეტ-ნაკლები ხარისხით ბუნდოვანია და მათი განმარტება და გამოყენება პრაქტიკაზე დამოკიდებული (იხ., სხვა მასალათა შორის, *რეკენი უნგრეთის წინააღმდეგ* [GC], 25390/94, 34, ECHR 1999-III).

107. წარმოდგენილ საქმეში განმცხადებელს ბრალი დაედო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს, *inter alia*, მოქმედებისთვის, რომელიც იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევას. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს ნორმა საკმაო სიზუსტითაა ფორმულირებული და იგი აკმაყოფილებს მე-11 მუხლის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩარევა კანონით იყო გათვალისწინებული.

ბ. კანონიერი მიზანი

108. მთავრობამ განაცხადა, რომ ჩარევა აუცილებელი იყო უნესრიგობის აღსაკვეთად და სხვათა უფლებების დასაცავად, რადგან განმცხადებელი დემონსტრაციის დროს უშუალოდ მონაწილეობდა უკანონო მოქმედებებში.

109. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დემონსტრაციის დროს მას ქუჩის გადაკეტვაში მონაწილეობა არ მიუღია. იგი ასევე აცხადებდა, რომ მას ეს რომც ჩაედინა, ეს მოქმედება, თავისი არსით, საზოგადოებისთვის საშიშროების ხარისხით და მოსალოდნელი შედეგებით არ შეიძლება და კონვენციის მე-11 მუხლით დაცული ღირებულებებისთვის სარისკოდ მიჩნეულიყო და ამიტომ იგი სანქციებს არ მოითხოვდა.

110. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს სასჯელი აშკარად შეეფარდა მოქმედებებისთვის, რომლებიც ხელისუფლების მიერ დაკვალიფიცირებულია როგორც საზოგადოებრივი უნესრიგის დარღვევა. შესაბამისად, ჩარევას ჰქონდა კანონიერი მიზანი, კერძოდ, "უნესრიგობის აღკვეთა".

ბ. "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში"

111. მთავრობამ განაცხადა, რომ ჩარევა იყო პროპორციული, რადგან იგი მიზნად ისახავდა განმცხადებლის არამართლზომიერ მოქმედებათა აღკვეთას და საზოგადოებრივი უნესრიგობის თავიდან აცილებას. მოცემული ჩარევის აუცილებლობის განსაზღვრისას, ხელშემკერეული მხარეები სარგებლობდნენ შეფასების ფარგლებით და შიდასახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოდგენილი საფუძვლები საკმარისი იყო.

112. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას 2003 წლის 7 აპრილის დემონსტრაციის მიმდინარეობისას რაიმე უკანონო მოქმედება არ ჩაუდენია, ხოლო მისი დაკავება და დამნაშავედ აღიარება ძირითადად მიზნად ისახავდა მისი, როგორც ოპოზიციის აქტივისტის მონაწილეობის აღკვეთას მომავალ დემონსტრაციებში. ეს მოსაზრება გამყარებულია იმ ფაქტით, რომ დემონსტრაციამდე რამდენიმე დღით ადრე პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილე მოითხოვდა თავი დაენებებინათ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის.

113. განმცხადებელი ასევე მიუთითებდა მის ადრინდელ მოსაზრებაზე, რომლის თანახმადაც მას არ შეეძლო ხელი შეეშალა ტრანსპორტის მოძრაობისთვის, რადგან მაშტოცის გამზირის შესაბამის მონაკვეთზე დაახლოებით 30 000 ადამიანი იმყოფებოდა, ხოლო ტრანსპორტის მოძრაობა დემონსტრაციის დაწყებამდე თვით პოლიციამ შეწყვიტა. გარდა ამისა, დემონსტრაცია გრძელდებოდა 19:00 საათამდე და მას ქუჩის მსვლელობა მოჰყვა, რაშიც მას მონაწილეობა არ მიუღია. სხვა შემთხვევაში, ხელისუფლება ვერ დააკონკრეტებდა, რომ მან ანტისაზოგადოებრივი ქმედება ჩაიდინა. დემონსტრაციაზე ხმაური და ლოზუნგების წამოძახება, სადაც ათასობით ადამიანი იგივეს აკეთებს ყოველგვარი უცნაურობის გარეშე, არ შეიძლება ჩაითვალოს ანტისაზოგადოებრივ ქმედებად.

114. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ შეკრების თავისუფლების უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური უფლებაა და იგი საზოგადოების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს (იხ. 'გ' გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ციტ. ზემოთ; რაი, ალმონდი და 'ნეგო-შიატე ნაუ' გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 25522/94, კომისიის 1995 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, DR 81-A, გვ. 146). ეს უფლება, რომლის ერთ-ერთი მიზანი პირადი შეხედულებების დაცვაა, მთელ რიგ გამონაკლის გარემოებებს ექვემდებარება, რომელთა განმარტება უნდა მოხდეს ვინაობა, ხოლო თითოეული შეზღუდვის აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული. როდესაც ხდება განსაზღვრა — კონვენციით გარანტირებულ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა შეიძლება თუ არა განხილულ იქნეს, როგორც "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში", ხელშემკერეელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული, მაგრამ არა შეუზღუდავი ფარგლებით. ნებისმიერ შემთხვევაში, შეზღუდვის კონვენციასთან შესაბამისობის საკითხზე გადაწყვეტილება ევროპულმა სასამართლომ უნდა მიიღოს და ეს უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის გარემოებათა შეფასებით (იხ. ოსმანი და სხვები ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის, მაკედონიის წინააღმდეგ (dec.), 50841/99, 2001 წლის 11 ოქტომბერი).

115. სასამართლო მიუთითებს, რომ მსჯავრდება მოქმედებისთვის, რომელიც ძალადობისკენ აქეზებს დემონსტრანტებს, გარკვეულ გარემოებებში შესაძლოა დასაშვებ ზომად იქნეს მიღებული (იქვე). გარდა ამისა, არასანქცირებულ დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო სასჯელის შეფარდება ანალოგიურად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მე-11 მუხლის გარანტიებთან შესაბამისად (იხ. ზილიბერბერგის საქმე, ციტ. ზემოთ). მეორე მხრივ, მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობის უფლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს სანქციას — თუნდაც ყველაზე მინიმალურ ადმინისტრაციულ სასჯელს — დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო, რომელიც აკრძალული არ იყო, იმ პირობით, რომ ამ ღონისძიების მიმდინარეობისას ეს პირი თავად არ ჩაიდენს რაიმე მავნე ქმედებას (იხ. ეზელინის საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 23, §53).

116. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეზელინის საქმისაგან განსხვავებით, წარმოდგენილ საქმეში განმცხადებელი უფრო მკაცრ სასჯელს დაექვემდებარა, ანუ სამი დღით თავისუფლების აღკვეთას დემონსტრაციის დროს "ქუჩის გადაკეტვისა" და "ხმაურისათვის", როგორც ეს მითითებული იყო კენტრონისა და ნორკ-მარაშის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 აპრილის დადგენილებაში. არც ამ დადგენილებაში და არც პოლიციის მიერ მომზადებულ მასალებში რაიმე სხვა დეტალები მითითებული არ არის, თუ რა გარემოებებში იქნა ჩადენილი ეს მოქმედებები. მეორე მხრივ, პოლიციის პატაკიდან ნათლად ჩანს, რომ ეს მოხდა მაშტოცის გამზირზე, სადაც დემონსტრაცია იმართებოდა და რომელიც ხალხით იყო სავსე (იხ. ზემოთ, პუნქტი 11), ხოლო მთავრობას არ უარუყვია, რომ პოლიციამ ქუჩა დემონსტრაციის დაწყებამდე გადაკეტა (იხ. ზემოთ, პუნქტი 8). გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ხელისუფლებას არ უცდია დაეშალა დემონსტრაციის მონაწილენი "გზის საეალი ნაწილის გადაკეტვის" გამო, რისთვისაც განმცხადებელი დამნაშავედ

ცნეს. იგი ფიზიკურად იმყოფებოდა ქუჩაში, სადაც დემონსტრაცია მიმდინარეობდა და რომელიც ხელისუფლებამ მანამდე გადაკეტა აშკარად იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს კანონიერი დემონსტრაციის ჩატარებისთვის. რაც შეეხება ხმაურს, არაფერი არ მიუთითებს, რომ იგი შეურაცხყოფელი იყო ან ვინმეს ძალადობისკენ მოუწოდებდა. თუმცა საამართლოსთვის ძნელად წარმოსადგენია მასშტაბური პოლიტიკური დემონსტრაცია, სადაც ხალხი საკუთარ მოსაზრებას გარკვეული ხმაურის გამოწვევის გარეშე გამოხატავს.

117. ზემოაღნიშნულის შუქზე სასამართლო ასკენის, რომ განმცხადებელს მსჯავრი დაედო მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ იგი იმყოფებოდა მოცემულ დემონსტრაციაზე და იყო აქტიური, და არა მისი მიმდინარეობისას რაიმე უკანონო, ძალადობრივი ან შეურაცხყოფელი მოქმედების ჩადენისთვის. ამ თვალსაზრისით სასამართლოს მიაჩნია, რომ მშვიდობიანი შეკრების უფლების მთავარი არსი დაკნინდება, თუ სახელმწიფო არ აკრძალავს დემონსტრაციას, ხოლო შემდეგ მის მონაწილეებს, რაიმე მანერაში მოქმედების ჩადენის გარეშე, სანქციებს შეუფარდებს, განსაკუთრებით ისეთ მკაცრ სანქციას, როგორც იყო ამ საქმეში. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკენის, რომ განმცხადებლის შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევა არ იყო "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".

118. შეესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი.

V. მე-7 ოქმის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

119. ბოლოს, განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას არ ჰქონდა 2003 წლის 7 აპრილის დადგენილების გასაჩივრების უფლება. სასამართლომ გადანეყიტა, ეს საჩივარი შეესწავლა მე-7 ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, რომელიც აცხადებს:

"1. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლებათა განხორციელება, იმ საფუძველების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც ის შეიძლება განხორციელდეს, მონესრიგებულია კანონით.

2. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა მიმართ, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით..."

ა. დასაშვებობა

120. სასამართლო მიუთითებს, რომ როდესაც დადგინდება, რომ დანაშაული სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ყველა გარანტიით სარგებლობს, იგი ასევე სარგებლობს მე-7 ოქმის მე-2 მუხლით დადგენილი გარანტიებით (იხ. გუ-

რეპკას საქმე, ციტ. ზემოთ, §55). წარმოდგენილ საქმეში მოცემული სამართალწარმოების მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენება დასაშვებად იქნა მიჩნეული (იხ. ზემოთ, პუნქტი 60). შესაბამისად, მე-7 ოქმის მე-2 მუხლი ანალოგიურად მიესადაგება ამ საქმეს.

121. აქედან გამომდინარე, სასამართლო ამ საჩივარს დასაშვებად აცხადებს.

ბ. არსებული მხარე

122. მთავრობამ გაიმეორა მის მიერ წინასწარი შეპასუხების დროს წარმოდგენილი არგუმენტები და განაცხადა, რომ განმცხადებელს მისი მსჯავრდების გადასინჯვის უფლება ჰქონდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 294-ე მუხლის საფუძველზე.

123. განმცხადებელმაც ანალოგიურად გაიმეორა მისი არგუმენტები, რომელიც მან მთავრობის წინასწარი მოსაზრებების პასუხად წარმოადგინა და განაცხადა, რომ 2003 წლის 7 აპრილის დადგენილების გასაჩივრება მხოლოდ პროკურორთან შეიძლებოდა.

124. სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს, რომ განმცხადებელს მსჯავრი დაედო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, რომელიც სახდელს აკისრებს დანაშაულის იმ სახეებისთვის, რომლებიც შიდასახელმწიფო კანონით სისხლის სამართლის სფეროს არ მიეკუთვნება. ამან შესაძლოა წარმოშვას საკითხი — იყო თუ არა სამართალდარღვევა, რომლისთვისაც განმცხადებელს მსჯავრი დაედო, მცირე მნიშვნელობის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით და მიესადაგებოდა თუ არა მას ამ დებულებით განსაზღვრული გამოწვევის. სასამართლო იხსენებს, რომ კომისიამ ადრე დაადგინა სამართალდარღვევა, როგორცაა "სასამართლოში წესრიგის დარღვევა", რომელიც მაქსიმალური ჯარიმის სახით ითვალისწინებდა 10 000 ავსტრიულ შილინგს, ან, თუ ეს აუცილებელი იყო სასამართლოში წესრიგის შესანარჩუნებლად, — მაქსიმუმ რვა დღით პატიმრობას, და რომელსაც ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი "მცირე მნიშვნელობის" დანაშაულად ახასიათებდა. (იხ. პუცი ავსტრიის წინააღმდეგ, 18892/91, კომისიის 1993 წლის 3 დეკემბრის დადგენილება, ლ 76-A, გვ. 51). წარმოდგენილ საქმეში განმცხადებელს სამი დღის ვადით პატიმრობა შეუფარდეს. თუმცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს სასჯელი შეუფარდეს, მაქსიმალური სასჯელის სახით 15 დღით პატიმრობას ითვალისწინებდა. სასამართლოს მიაჩნია, რომ 15 დღით პატიმრობა საკმაოდ მკაცრი სასჯელია, რათა დანაშაული არ დაკვალიფიცირდეს, როგორც "მცირე მნიშვნელობის" მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

125. სასამართლო მიუთითებს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები, მე-7 ოქმის მე-2 მუხლით გარანტირებული უფლების განხორციელების უზრუნველყოფის შეფასებისას, საკმაოდ ფართო ფარგლებით სარგებლობენ. ზოგ ქვეყანაში, ბრალდებულს, რომელსაც გასაჩივრების სურ-

ვილი აქვს, ამისთვის ნებართვის აღება ესაჭიროება. თუმცა შიდასახელმწიფო კანონმდებლობაში არსებული გადასინჯვის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების ანალოგიურად, კანონიერ მიზანს ემსახურება და იგი უფლების არსს არ არღვევს (იხ. *კროპახის* საქმე, ციტ. ზემოთ, §96; *გურუქას* საქმე, ციტ. ზემოთ, §59).

126. სასამართლო ყურადღებას აქცევს თავის ზემოაღნიშნულ დასკვნას, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 294-ე მუხლით გათვალისწინებული გადასინჯვის პროცედურა ინდივიდუალურ პირს გასაჩივრების მკაფიო და ხელმისაწვდომ უფლებას არ ანიჭებს (იხ. ზემოთ, პუნქტები 40-42). ეს მუხლი გადასინჯვის უფლებამოსილებას ანიჭებს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს, პირის მოთხოვნის საფუძველზე ან ამის გარეშე, რისთვისაც მკაფიო პროცედურა ან ვადა არ არსებობს და პრაქტიკაში თანმიმდევრულად არ გამოიყენება. სასამართლოს აზრით, გადასინჯვის ასეთი პროცედურა მე-7 ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისი ვერ იქნება. აქედან გამომდინარეობს, რომ განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი არ იყო გასაჩივრების პროცედურა, რომელიც ამ მუხლის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა.

127. შესაბამისად, დაირღვა ეს დებულება.

VI. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

128. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მალალი ხელშემკერევი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

ა. ზიანი

129. განმცხადებელი მთლიანობაში მოითხოვდა 2 250 000 სომხურ დრამს (იმ დროს დაახლოებით 3570 ევრო) მატერიალური ზიანისთვის. კერძოდ, მან განაცხადა, რომ ხელი მოაწერა კონტრაქტს სამშენებლო კომპანიასთან, რომლის თანახმადაც, 2003 წლის 12 თებერვლიდან 12 მაისამდე ელექტრიკოსად უნდა ემუშავა 5000 სომხური დრამის (დაახლოებით 8 ევრო) ოდენობის დღიური ანაზღაურებით. აპრილში დანყებული სახალხო მღელვარების, მისი დაპატიმრებისა და ამით გამოწვეული დეპრესიის გამო იგი სამუშაოზე ვერ გამოცხადდა და სამსახური დაკარგა, რის შედეგადაც დაკარგა 250 000 სომხური დრამი (დაახლოებით 396 ევრო). გარდა ამისა, ბოლო ორწლიანხვერის განმა-

ვლობაში მან, როგორც ოპოზიციის აქტივისტმა, სამუშაო ვერ იძოვა, რამაც გამოიწვია ზარალი 2 000 000 სომხური დრამის (დაახლოებით 3 174 ევრო) ოდენობით. განმცხადებელი ასევე ითხოვდა არამატერიალური ზიანის კომპენსაციას, რომლის განსაზღვრასაც იგი სასამართლოს სთხოვდა.

130. მთავრობამ მისი მოთხოვნები გააპროტესტა. მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით მთავრობამ განაცხადა, რომ სავარაუდო დარღვევებსა და მოთხოვნილ თანხას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობდა. განმცხადებელი უმუშევარი იყო 2003 წლის 24 იანვრიდან, როდესაც იგი დასაქმების სამსახურში დარეგისტრირდა და მის უმუშევრობაზე დაპატიმრებას რაიმე ზეგავლენა არ მოუხდენია. რაც შეეხება სამშენებლო კომპანიასთან სავარაუდო საკონტრაქტო ვალდებულებას, განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა რაიმე დოკუმენტი, რომელიც ასეთი ვალდებულებების და სავარაუდო ანაზღაურების ჭეშმარიტებას დაადასტურებდა. არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით მთავრობამ განაცხადა, რომ დარღვევის აღიარება საკმარისი უნდა იყოს, რადგან განმცხადებელმა კონკრეტულად ვერ მიუთითა, თუ რა სახის მორალური ზიანი მიადგა მას, და ვერ გამოიანგარიშა შესაბამისი კომპენსაცია.

131. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა რაიმე დოკუმენტი, მაგალითად, შრომითი კონტრაქტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ მან ვერ შეძლო საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება და მისი მსჯავრდების გამო ზიანი მიადგა. რაც შეეხება მატერიალურ ზიანთან დაკავშირებულ დანარჩენ საჩივრებს, სასამართლო ეთანხმება მთავრობას, რომ დადგენილ დარღვევებსა და მოთხოვნილ თანხას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობს; აქედან გამომდინარე, სასამართლო ამ საჩივარს უკუაგდებს. მეორე მხრივ, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელს უდავოდ მიადგა არამატერიალური ზიანი დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო სასჯელით, რომელიც მას არაობიექტური სამართალწარმოების მეშვეობით შეუფარდეს და რომელმაც მისი სამი დღით პატიმრობა გამოიწვია. ამის საფუძველზე სასამართლო სამართლიანად მიიჩნევს, მიანიჭოს განმცხადებელს 3000 ევრო არამატერიალური ზიანისათვის.

ბ. ხარჯები და განუშლი დანახარჯები

132. განმცხადებელს არ წარმოუდგენია რაიმე მოთხოვნა ამ თავის შესაბამისად.

ბ. საურავი

133. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ოდენობით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტული პუნქტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო

1. აცხადებს ერთხმად დასაშვებად საჩივრებს, რომლებიც დაკავშირებულია მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სამართლიან და საჯარო განხილვასთან, დაცვის უფლების დარღვევასთან, გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების დარღვევასთან და ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობის არქონასთან კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის (b) და (c) ქვეპუნქტების, მე-10 მუხლისა და მე-11 მუხლის და მე-7 ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, ხოლო დაუშვებლად აცხადებს განაცხადის დარჩენილ ნაწილს;

2. ადგენს ერთხმად, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი განმცხადებლის საქმის მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლების თვალსაზრისით;

3. ადგენს ერთხმად, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (b) ქვეპუნქტთან ერთობლიობაში;

4. ადგენს ხუთი ხმით სამის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (c) ქვეპუნქტთან ერთობლიობაში;

5. ადგენს ერთხმად, რომ საჭირო არ არის საჩივრის შესწავლა კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე;

6. ადგენს ერთხმად, რომ დაირღვა კონვენციის მე-11;

7. ადგენს ერთხმად, რომ დაირღვა მე-7 ოქმის მე-2 მუხლი;

8. ადგენს ერთხმად

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 3000 (სამი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისთვის, მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში კონვერტირებული ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით, დამატებული აღნიშნულ თანხაზე გათვალისწინებული ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა;

(ბ) რომ აღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებამდე ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება უბრალო პროცენტები ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;

9. უარყოფს ერთხმად განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2007 წლის 15 ნოემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სანტიაგო ქუესადა
სექციის მდივანი

ბოსტიან მ. ზუპანჩიჩი
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს დებულების 74-ე წესის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას ერთვის ქალბატონ ე. ფურა-სანდსტრომის განსხვავებული მოსაზრება, რომელსაც შეუერთდა ბატონი ბ. მ. ზუპანჩიჩი.

ინიციალები:

ბ.მ.ზ.

ს.ქ.

მოსამართლე ფურა-სანდსტრომის განსხვავებული მოსაზრება, რომელსაც შეუერთდა მოსამართლე ზუპანჩიჩი

1. მე არ ვეთანხმები უმრავლესობას და მიმაჩია, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (c) ქვეპუნქტთან ერთობლიობაში, რადგან განმცხადებელი იძულებული იყო, თავად დაეცვა თავი ადვოკატის დახმარების გარეშე, მას შემდეგ, რაც მან მონაწილეობა მიიღო ერევანში დედის დღისადმი მიძღვნილ დემონსტრაციაში.

2. სადავო არ არის, რომ განმცხადებელმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე ხელმოწერით, უარი განაცხადა მის უფლებაზე პყლოდა ადვოკატი. ეს ფაქტი მოგვიანებით სასამართლოს წინაშეც დადასტურდა. განმცხადებელმა ხელი მოაწერა პუნქტს, სადაც აღნიშნული იყო, რომ იგი გაეცნო თავის უფლებებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 267-ე მუხლის საფუძველზე და დაამატა — "ადვოკატი არ მსურს". სასამართლოს სხდომის ოქმიდან გამომდინარე, განმცხადებელს მისი უფლებები მოსამართლემაც განუმარტა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მან იცოდა მისი უფლებების შესახებ და არ ითხოვდა ადვოკატს (იხ. გადაწყვეტილების მე-14 და მე-20 პუნქტები).

3. მე აღვნიშნავ, გადაწყვეტილების 90-ე პუნქტის უმრავლეს ნაწილთან ერთად, რომ ასეთი უარი არაორაზროვნად არ უნდა ჩამოყალიბდეს და იგი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ალჭურვილი უნდა იყოს მინიმალური დამცავი მექანიზმებით. მაგრამ მე ასევე ვიტყვოდი, რომ უარის დასაბუთებულობის შესწავლისას სასამართლომ ადრე მნიშვნელობა მიანიჭა ისეთ ფაქტორებს, როგორცაა, *inter alia*, განმცხადებლის არჩევანი ყოფილიყო თავისუფალი, არაორაზროვანი და დაცული გარე სიტუაციებისაგან (იხ. *ტომპსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 36256/97, §44, 2004 წლის 15 ივნისი) და განმცხადებლის მიერ მისი ქმედებების შედეგის გაცნობიერება (იხ. *ბონევი ბულგარეთის წინააღმდეგ*, 60018/00, §41, 2006 წლის 8 ივნისი).

4. მე ასევე აღვნიშნავ, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა მკაფიოდ გამოხატა მისი უარი გამოყენებინა ადვოკატის დახმარება, ამ უარის გამომწვევი გარემოებები კვლავ ბუნდოვანია და იგი მხარეთა შორის დავის მთავარ ასპექტს წარმოადგენს. განმცხადებლის მიერ ადვოკატზე უარის თქმის ფაქტი — მიუხედავად იმისა, რომ უარი წერილობითაა გამოხატული — უცილობლად არ ნიშნავს, რომ ეს უარი იყო პოლიციის ოფიცერთა მხრიდან გარკვეული ზენოლის ან მოტყუების შედეგი. მაშინ, როცა მთავრობის პოზიციის გამამყარებელი რაიმე ობიექტური მტკიცებულება არ არსებობს, მე მივუთითებდი ისეთ ობიექტურ ინფორმაციაზე, როგორცაა *ჰუმან რაითს უორჩის დასკვნა*, სადაც დეტალურადაა აღწერილი ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული პროცესების ბოროტად გამოყენება — განსაკუთრებით პოლიციის მიერ — საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში (იხ. გადანყვეტილების 32-ე პუნქტი).

5. ადვოკატის დახმარების უფლება საკუთარი თავის დადანაშაულების საწინააღმდეგო ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც ამერიკულ დოქტრინაში ცნობილია "მირანდას წესის" სახელწოდებით. მას აღწერენ როგორც "კამ-კამა ზღვარის" წესს (რომელსაც არავინ არ უნდა გადააბიჯოს), რომელიც ძალადობის სამუდამოდ აღმოფხვრას ისახავს მიზნად. ეს წესი ემსახურება გარკვეული ფსიქოლოგიური სირთულეების განეიტრალებას, რომლებსაც ეჭვმიტანილი პოლიციისთან ურთიერთობისას აწყდება. წარმოდგენილი საქმე გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისი დაცვა.

6. მე მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო *ჰუმან რაითს უორჩის* დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია პოლიციის მიერ გამოყენებული მეთოდები და მის მიერ შექმნილი დაბრკოლებები, რომლებსაც იგი იყენებდა იმ მიზნით, რომ ოპოზიციის აქტივისტებს იურიდიული დახმარების გამოყენების საშუალება არ ჰქონოდათ, რაც მხარს უჭერს განმცხადებლის

მოსაზრებებს მოვლენებთან დაკავშირებით. ანალოგიური ინფორმაციაა წარმოდგენილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მოხსენებაში (იხ. გადანყვეტილების 29-ე – 31-ე პუნქტები).

7. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელმა საკმაოდ თანმიმდევრულად აღწერა მოვლენები. მისი მსჯავრედებიდან რამდენიმე დღის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციისთვის წარდგენილ საჩივარში მან ანალოგიური მოსაზრებები დააფიქსირა (იხ. გადანყვეტილების 22-ე პუნქტი).

8. და ბოლოს, მე ყურადღებით ვეკიდები სასამართლოს დასკვნას, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა საკმარისი დრო მის მიმართ წაყენებული ბრალდების შესაფასებლად, რაც, ჩემი აზრით, ასევე მოიცავს იურიდიული დახმარების საჭიროების შეფასებას.

9. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი, რომლებიც საკმარისი არ აღმოჩნდა სასამართლოსთვის, რათა დარწმუნებულიყო, რომ განმცხადებელს, როგორც ის თავად ამტკიცებდა, "მოტყუებით" ათქმევინეს უარი ადვოკატის დახმარებაზე, ჩემში მაინც წარმოშობს სერიოზულ ეჭვს ორ საკითხთან მიმართებით, კერძოდ, იყო თუ არა მისი უარი ნებაყოფლობითი და სრულად ჰქონდა თუ არა მას გააზრებული ასეთი უარის შედეგები.

10. აქედან გამომდინარე, მე ვერ დავასკვნი, რომ ადვოკატის დახმარებაზე უარი დასაბუთებულია კონვენციის თვალსაზრისით. ამ დასკვნის შედეგად და იმავე ფაქტორების საფუძველზე მე მიმაჩნია, რომ განმცხადებელს სასამართლო განხილვის დაწყებამდე, რომელიც დაახლოებით ხუთ წუთს გაგრძელდა, არ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, გადაეწყვიტა, იყო თუ არა საჭირო ადვოკატის ჩართვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მას არ ჰქონდა მისი არჩევისა თუ დანიშვნის შესაძლებლობა.

11. ზემოაღნიშნულისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (c) ქვეპუნქტის საფუძველზე მჭიდროდაა დაკავშირებული და ნაწილობრივ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (b) ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივრიდან გამომდინარეობს, მე მიმაჩნია, რომ დაირღვა ადვოკატის მეშვეობით დაცვის უფლება.

ისტრატი და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ

Istratii and others v. Moldova

ისტრატი და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ

გეოთხე სექცია

საქმე ისტრატი და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ

CASE OF ISTRATII AND OTHERS v. MOLDOVA

(განაცხადები 8721/05, 8705/05 და 8742/05)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 27 მარტი

საბოლოო

27/06/2007

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაეყვებოდეს არს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე *ისტრათი და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ*,
(*Istratii and others v. Moldova*)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

სერ ნიკოლას ბრატუა, *თავმჯდომარე*,

ბ-ნი ჯ. კასადევალი,

ბ-ნი გ. ბონელო,

ბ-ნი კ. ტრაია,

ბ-ნი ს. პავლოვსჩი,

ბ-ნი ლ. გარლიცკი,

ბ-ნი ჯ. შიკუტა, *მოსამართლეები*

და ქ-ნი ფ. არაჩი, *სექციის მდივანი*,

მოითათბირა 2006 წლის 28 ნოემბერს და
იმავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადებიდან 8721/05, 8705/05 და 8742/05) მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილი იქნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში "კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე მოლდოვის მოქალაქეების, ბ-ნ ვიორელ ისტრატის, ბ-ნ ალექსანდრუ ბურცოვსჩის და ბ-ნ რომან ლიტკანის (შემდგომში "განმცხადებელი") მიერ 2005 წლის 5 მარტს.

2. განმცხადებლებს წარმოადგენდა ბ-ნი ტანასე, ადვოკატი კიშინოვი-დან. მოლდოვას მთავრობას (შემდგომში "მთავრობა") წარმოადგენდა მისი წარმომადგენელი, ბ-ნი ვ. პარლოგი.

3. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ისინი იმყოფებოდნენ არაადამიანურ პირობებში და მათ არ უზრუნველყოფდნენ სამედიცინო დახმარებით, რომ სასამართლომ ვერ წარმოადგინა მათი დაპატიმრების სათანადო და საკმარისი დასაბუთება, რომ მოსამართლეებს, რომლებმაც მათი პატიმრობის დადგენილება მიიღეს, არ ჰქონდათ ამის კანონიერი უფლებამოსილება და რომ მათ არ ჰქონდათ თავიანთ ადვოკატებთან კონფიდენციალური კომუნიკაციის საშუალება.

4. განაცხადები მიიღო სასამართლოს მეოთხე სექციამ (სასამართლოს დებულების 52-ე წესის 1-ლი პუნქტი). ამ სექციის პალატის შემადგენლობა, რომელსაც საქმე უნდა განეხილა (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), 26-ე წესის 1-ლი პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა.

5. 2005 წლის 15 ივნისს სექციის პალატამ გადაწყვიტა მთავრობისთვის შეეტყობინებინა განაცხადის შესახებ. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მან გადაწყვიტა ერთდროულად განეხილა განაცხადის არსებითი მხარე და მისი დასაშვებობა.

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

6. განმცხადებლები, ბ-ნ ვიორელ ისტრატი, ბ-ნ ალექსანდრუ ბურცო-ვსჩი და ბ-ნ რომან ლიტკანი არიან მოლდოვას მოქალაქეები, დაბადებული, შესაბამისად, 1971, 1970 და 1976 წლებში და ცხოვრობენ კიშინიოვში.

7. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საქმესთან დაკავშირებული საქმები შეიძლება შემდეგი სახით შეჯამდეს (მოვლენათა უმრავლესობა ყველა განმცხადებელთან დაკავშირებით წარიმართა იმავე გზით და იმავე დროს; ტექსტში დაკონკრეტებულია განსხვავებული ფაქტების შემთხვევები).

1. სისხლის სამართლის პროცესი განმცხადებელთა წინააღმდეგ და მათი პატიმრობა

8. 2004 წლის 25 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო და საინფორმაციო დანაშაულის დეპარტამენტმა სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო განმცხადებელთა წინააღმდეგ თაღლითობისთვის, რომელიც დაკავშირებული იყო მინის ნაკვეთის შექმნასთან, რის შედეგადაც სახელმწიფოს, საეარაუდოდ, 15 000 ევრო ზიანი მიაღდა.

9. 2004 წლის 12 ნოემბერს პროკურორმა განმცხადებელთა წინასწარი პატიმრობის სანქცია მოითხოვა. იმავე დღეს, ბუიუკანის რაიონული სასამართლოს სამმა მოსამართლემ განმცხადებელთა ათი დღით პატიმრობის დადგენილებები მიიღეს შემდეგი დასაბუთებით:

"[თითოეული განმცხადებელი] ეჭვმიტანილია სერიოზული დანაშაულის ჩადენაში, რომელიც კანონით ორ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს; სასამართლოს წინაშე არმოდგენილი მტკიცებულებები კანონიერი გზითაა მოპოვებული; ეჭვმიტანილის საზოგადოებისაგან იზოლირება აუცილებელი; იგი შეიძლება დაემალოს სამართალდამცავ ორგანოებს ან სასამართლოს; შეიძლება ხელი შეუშალოს სისხლის სამართლის გამოძიების პროცესში ჭეშმარიტების დადგენას ან კვლავ ჩაიდინოს დანაშაული".

10. 2004 წლის 15 ნოემბერს განმცხადებლებმა გაასაჩივრეს სასამართლოს დადგენილებები მათ მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ, სადაც ეჭვქვეშ აყენებდნენ პატიმრობის საფუძვლებს. ისინი აცხადებდნენ, რომ უწყების მღებისტანავე ისინი გამოცხადდნენ საგამოძიებო ორგანოში და არ უცდიათ რაიმე სახით ხელი შეეშალათ გამოძიებისთვის ან მიმალულებდნენ. თითოეული განმცხადებელი ხაზს უსვამდა, რომ იგი ადრე ნასამართლევ იყო, ჰქონდათ ოჯახი, ჰყავდა შეილები, მათ შორის მცირეწლოვანი და მუდმივი საცხოვრებელი კომუნიოვში, და ესაჭიროებოდა სპეციალური სამედიცინო დახმარება. ბატონმა ბურკოვსჩმა განაცხადა, რომ იგი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო და მისი დაპატიმრება სერიოზულ სირთულეებს

შეუქმნიდა მის ოჯახს, მისი ხანდაზმული დედის ჩათვლით, რომელსაც გულის სერიოზული დაავადება ჰქონდა. ბატონმა ლუტკანმა დასძინა, რომ იგი საგამოძიებო ორგანოში პირდაპირ სამშობიარო სახლიდან მივიდა და თავისი ვაჟი ჯერაც არ ენახა, რომელიც მისი დაკავების დღეს დაიბადა, რის გამოც ვერანაირ დახმარებას ვერ უწევდა თავის მეუღლესა და ვაჟს.

11. 2004 წლის 18 ნოემბერს, კიშინიოვის სააპელაციო სასამართლომ, ზემოაღნიშნულ განცხადებებზე კონკრეტული პასუხის გაცემის გარეშე, სააპელაციო სარჩელი არ დააკმაყოფილა. მან ბ-ნი ისტრატის სააპელაციო სარჩელი უარყო შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

"გამონაკლის გარემოებებში, სისხლის სამართლის საქმის სირთულიდან და დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე დაროდესაც არსებობს საშიშროება რომ ბრალდებული მიიმალება ან ზემოქმედებას მოახდენს მოწმეებზე, წინასწარი პატიმრობის ვადა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პერიოდში შეიძლება გაგრძელდეს... იმის გათვალისწინებით, რომ ბ-ნი ისტრატი ეჭვმიტანილია განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულის ჩადენაში, რომ არსებობს საშიშროება, რომ მან შესაძლებელია ზემოქმედება იქონიოს მოწმეებზე, დამალოს სამართალდამცავ ორგანოებს; ეჭვმიტანილის საზოგადოებისაგან იზოლირება კვლავ აუცილებელია".

ბ-ნი ბურკოვსჩის სარჩელი უარყვეს შემდეგი საფუძველებით:

"ბატონ ბურკოვსჩის პატიმრობაში ყოფნის მოთხოვნა შესწავლილ იქნა კანონით დადგენილ ვადებში და იგი მართებულად იქნა მიღებული სისხლის სამართლის საქმეში არსებული დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც ინიცირებული იყო კანონის შესაბამისად და ეჭვმიტანილის დაპატიმრების აუცილებლობიდან გამომდინარე".

სააპელაციო სასამართლომ ბ-ნი ლუტკანის სარჩელი შემდეგი არგუმენტების საფუძველზე უარყო:

"ბ-ნი ლუტკანი ეჭვმიტანილია სერიოზული დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ითვალისწინებს ორ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას; მას შეეძლო მიმალვა სამართალდამცავი ორგანოებისაგან ან სასამართლოსაგან; შეეძლო ხელი შეეშალა გამოძიების პროცესში ქვშმარიტების დადგენაში... დაბალი ინსტანციის სასამართლომ, რაიმე პროცედურული დარღვევის გარეშე, სწორად დაასაბუთა განმცხადებლის პატიმრობის აუცილებლობა".

2. განმცხადებელთა დაპატიმრების ვადის გაგრძელება

12. 2004 წლის 18 ნოემბერს ბუიუკანის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელთა პატიმრობის ვადა კიდევ 30 დღით გააგრძელა. განმცხადებლებმა სარჩელი შეიტანეს ვადის გაგრძელების გამო. სასამართლომ იგივე დასაბუთებები წარმოადგინა თითოეულ საქმეზე. მან მიუთითა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის მე-3 პუნქტზე ("სსსკ", იხ. ქვემოთ, პუნქტი 24).

13. 2004 წლის 24 ნოემბერს კიშინიოვის სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა. თითოეულ საქმეზე სასამართლომ იგივე დასაბუთება გამოიყენა, სადაც აღნიშნა:

"გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მსი დაპატიმრებას, კვლავ ძალაშია; არსებობდა საშიშროება, რომ [განმცხადებელს] შესაძლოა ზემოქმედება მოეხდინა დაზარალებულებსა და მონმეებზე. პატიმრობის ვადის გაგრძელების შესწავლისას არ დადგინდა კანონდარღვევა, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა დადგენილების მართლზომიერებაზე".

14. პროკურორმა ბუიუკანის რაიონული სასამართლოსგან სამჯერ მიიღო დადგენილებები წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ — 2004 წლის დეკემბერში, 2005 წლის იანვარში და 2005 წლის თებერვალში. სააპელაციო სასამართლომ სამივე დადგენილება ძალაში დატოვა. თითოეულ გაგრძელებაასთან დაკავშირებული დასაბუთება მსგავსი იყო იმ დასაბუთებისა, რომელიც მოყვანილი იყო ზემოაღნიშნულ 18 და 24 ნომბრის სასამართლო დადგენილებებში.

3. Habeas corpus მოთხოვნები

15. განმცხადებლებმა ბუიუკანის რაიონული სასამართლოს გამოძიების მოსამართლეს *habeas corpus* მოთხოვნები წარუდგინეს, რომლებშიც, *inter alia*, მიუთითებდნენ, რომ მათი საკუთრების გარკვეული ნაწილი სასამართლოს მიერ იქნა ჩამორთმეული და რომ ეს შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც კიდევ ერთი გარანტია, რომ ისინი სათანადოდ მოიქცეოდნენ. ეს მოთხოვნები უარყოფილ იქნა 2004 წლის დეკემბერში და 2005 წლის თებერვალში. სასამართლომ თითოეულ საქმეზე მსგავსი დასაბუთება გამოიყენა, რომლებშიც აღნიშნავდა:

"[განმცხადებელი] ეჭვიმტანილი იყო განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორზე მეტი წლით; ბრალდების საქმე არ არის სრულყოფილი და უნდა ჩატარდეს დამატებითი გამოძიება; არსებობს საშიშროება, რომ იგი შეიძლება დაემალოს სამართალდამცავ ორგანოებს; კვლავ არსებობს მისი საზოგადოებისაგან იზოლირების აუცილებლობა და მისი პატიმრობაში ყოფნის საფუძვლები კვლავ ძალაშია".

16. 2005 წლის 29 აპრილს, პატიმრობის კანონიერების განხილვის კიდევ ერთი მოთხოვნის შემდეგ, რიშკანის რაიონულმა სასამართლომ მიიღო განმცხადებელთა გათავისუფლების ბრძანება, ქვეყნიდან გაუსვლელიობის ვალდებულებით. ბრძანებაში ნათქვამი იყო:

"[განმცხადებლები] ადრე მსჯავრდებულები არ იყვნენ, ყოველ მათგანს ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მათ პატივს სცემენ სამსახურში, ჰყავთ ოჯახები და კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი შვილები. ბატონ ლუტკანს სერიოზული დაავადება აქვს, ბატონ ისტრატის პატიმრობის პერიოდში გაუკეთდა ოპერაცია და მკურნალობა სჭირდება, ყველას აქვს სამუშაო და არც ერთი მათგანი არ გაქცევია გამოძიებას; არ არსებობს მტკიცებულება, რომ ისინი რაიმე გზით ხელს უშლიდნენ

გამოძიებას; სისხლის სამართლის საქმე მზად არის სასამართლოში წარსადგენად; პროკურატურას უკვე შეგროვებული აქვს ყველა მტკიცებულება და ყველა მოწმეს მიცემული აქვს ჩვენებები.

შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებული ვერ დაემალემა სასამართლოს, ხელს ვერ შეუშლის სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას ან ვერ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, და შესაძლებლად მიიჩნევს, შეცვალოს აღკვეთის ღონისძიება – წინასწარი პატიმრობა ქვეყნიდან გაუსვლელობის ვალდებულებით”.

4. პატიმრობის პირობები

ა. ბატონ ისტრატის სამედიცინო მკურნალობა პატიმრობის პერიოდში

17. 2004 წლის 12 ნოემბრიდან 2005 წლის 12 ნოემბრამდე ბ-ნი ისტრატი იმყოფებოდა კიშინიოვის ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის იზოლატორში (შემდგომში, “იზოლატორი”).

18. როგორც აცხადებენ, 2004 წლის 11 თებერვლამდე ამ დაწესებულებას სამედიცინო პერსონალი არ ჰყავდა. 2004 წლის 18 ნოემბერს განმცხადებელს ჰქონდა პარაპროქტიტის მწვავე შეტევა რექტალური ჰემოროით. იგი საავადმყოფოში შეტევიდან სამი საათის შემდეგ გადაიყვანეს. ოპერაციის გაკეთებამდე — 2004 წლის 19 ნოემბრამდე იგი ხელბორკილებით იყო მიბმული კედელთან, გამათბობელ ბატარეაზე და მას იზოლატორის ორი ოფიცერი დარაჯობდა.

ოპერაციიდან დაახლოებით ოთხი საათის შემდეგ იზოლატორის ოფიცრებმა მისი პრუნკულის პატიმართა საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვეს. პატიმარი სამოქალაქო საავადმყოფოდან გამოყვანის შემდეგ, სადაც მას ოპერაცია გაუკეთდა, პატიმართა საავადმყოფომ ორსაათნახევრის შემდეგ მიიღო. გადაყვანის შემდეგ შესრულებული სამედიცინო ჩანაწერი უჩვენებს, რომ ბ-ნი ისტრატი ოპერაციის შემდგომ პრობლემებს უჩიოდა გადაყვანიდან ერთი თვის განმავლობაში.

19. განმცხადებლის ადვოკატის შეკითხვებს ექიმი მ.ი.-მ, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა განმცხადებელს, წერილობით უპასუხა, რომ ასეთი ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელების პერიოდი, ჩვეულებრივ, ერთ თვეს შეადგენს და რომ 2004 წლის 18-19 ნოემბერს განმცხადებელი ხელბორკილებით იყო მიბმული გამათბობელ ბატარეაზე იზოლატორის ოფიცერთა მოთხოვნით, რომლებიც მის პალატაში იმყოფებოდნენ. ექიმ მ.ი.-ის განცხადებით პატიმარს ოპერაციის შემდეგ განძრევა არ შეეძლო ტკივილისა და სისხლდენის საშიშროების გამო.

მთავრობამ თავის 2006 წლის იანვრის მოსაზრებებს თან დაურთო ექიმ მ.ი.-ის განმარტებითი ბარათი. ექიმი აღნიშნავდა, რომ ბ-ნი ისტრატის ოპერაციის დროს ხელბორკილები არ ედო, მაგრამ ოპერაციის გაკეთებამ-

დე ხელბორკილებით იყო მიბმული გამათბობელ ბატარეაზე და მის მიმართ რაიმე არასათანადო მოპყრობას ადგილი არ ჰქონია. ექიმი ადასტურებდა, რომ იმ სახის ოპერაციის შემდეგ, რომელიც განმცხადებელს გაუკეთდა, გამოჯანსაღებას ჩვეულებრივ ერთი თვე სჭირდება.

ბ. სამივე განმცხადებლის პატიმრობის პირობები იუსტიციის სამინისტროს საპატიმრო ცენტრში

20. 2005 წლის 23 თებერვალს სამივე განმცხადებელი გადაიყვანეს იუსტიციის სამინისტროს საპატიმრო ცენტრში, კიშინიოვში (ასევე ცნობილია 3 საპყრობილის სახელით). როგორც განმცხადებლები ამტკიცებენ მათი საპატიმრო პირობები იყო არაადამიანური და ღირსების შემლახველი (იხ. ქვემოთ, პუნქტები 61-65).

ამ საპყრობილეში პატიმრობის პირობები სამჯერ შეისწავლა ნამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპულმა კომიტეტმა (ნამების აღკვეთის კომიტეტი, იხ. ქვემოთ, პუნქტი 29). საპატიმრო დანესებულების გადატვირთულობის პრობლემა და სარემონტო სახსრების, ასევე ხორცის, თევზის, რძის პროდუქტების და თეთრეულის შესაძენად საჭირო თანხების ნაკლებობა ასევე ხაზგასმული იყო ორ ადგილობრივ მოხსენებაში (იხ. ქვემოთ, პუნქტი 28).

5. სავარაუდო ჩარევა განმცხადებელთა და მათი ადვოკატების კომუნიკაციაში

21. განმცხადებელთა ადვოკატები თავიანთ კლიენტებთან კონფიდენციალურ შეხვედრებს ითხოვდნენ. მათ სთავაზობდნენ ოთახს, სადაც ისინი თავიანთი კლიენტებისაგან შუშის კედლით იყვნენ გამოყოფილი და, როგორც ამბობენ, ერთმანეთისთვის ხმის მიწვდენა მხოლოდ ყვირილით შეეძლოთ. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან და ვიდეორჩანანერებიდან ჩანს, რომ იზოლატორში, ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრების ოთახში, პატიმრის ადგილი ოთახის დანარჩენი ნაწილისგან კარებითა და ფანჯრითაა გამოყოფილი. ფანჯარას, როგორც ჩანს, ორმაგი შუშა აქვს. შუშის ორივე ფენაში გაბურღულია პატარა ხვრელები, თუმცა ეს ხვრელები ერთმანეთს არ ემთხვევა, ასე რომ, ფანჯარაში რაიმეს გადანოდება შეუძლებელია. გარდა ამისა, შუშის ფენებს შორის არის მჭიდროდ ნაქსოვის მწვანე ბადე, რომელიც დამზადებულია ვინრო რკინის მავთულისგან ან პოლიეთილენის თოკისგან, რომელიც ფანჯრის გაბურღულ ნაწილებს ფარავს. როგორც ჩანს, იქ ადვოკატსა და მის კლიენტს შორის დოკუმენტების გადასაცემად ადგილი არ არსებობს.

22. როგორც განმცხადებლები ამტკიცებენ, მათ შეეძლოთ მოესმინათ საუბარი სხვა პატიმრებსა და მათ ადვოკატებს შორის, რაც მათ ხელს უშლიდათ სრულყოფილად განეხილათ საკუთარი საქმეები. მთავრობამ ეს განხილვა არ უარყო.

II. შესაბამისი არაკონვენციური მასალები

ა. შიდასახელმწიფო კანონი და პრაქტიკა

23. შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონი მოყვანილია საქმეში *სარბანი მოლდოვას წინააღმდეგ* (345/05, §§51-56, 2005 წლის 4 ოქტომბერი).

24. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები აცხადებენ:

მუხლი 176

“(1) აღკვეთის ღონისძიებები შეიძლება გამოყენებული იქნეს დევნის ორგანოს ან სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ბრალდებული... მიიმალება, ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ან შეიძლება გამოყენებული იქნეს სასამართლოს მიერ სასჯელის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით.

(2) წინასწარი პატიმრობა ან სხვა ალტერნატიული საპატიმრო ღონისძიებები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალად ედებათ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი ვადით. იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის ჩადენისთვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე ნაკლები ვადით, ისინი შეიძლება გამოყენებული იქნეს თუ... ბრალდებულს უკვე ჩადენილი აქვს 1-ლ პუნქტში აღნიშნული ქმედებები.

(3) აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტილას პროკურორი და სასამართლო ითვალისწინებენ შემდეგ დამატებით კრიტერიუმებს:

- 1) დანაშაულით გამონვეულ ზიანს,
- 2) ბრალდებულის... პიროვნებას,
- 3) ბრალდებულის ასაკს და ჯანმრთელობას,
- 4) მის საქმიანობას,
- 5) მის ოჯახურ მდგომარეობას და მის კმაყოფაზე მყოფ პირთა არსებობას,
- 6) მის ეკონომიკურ მდგომარეობას,
- 7) მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არსებობას,
- 8) სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს.

მუხლი 186

(3) გამონაკლის გარემოებებში, სისხლის სამართლის საქმის სირთულიდან და დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე და როდესაც არსებობს საშიშროება რომ ბრალდებული მიიმალება ან ზემოქმედებას მოახდენს

მონმებზე, გაანადგურებს ან გააყალბებს მტკიცებულებებს, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პერიოდში ნინასნარი პატიმრობის ვადა შეიძლება გაგრძელდეს...”

25. 2004 წლის 1 და 3 დეკემბერს შორის მოლდოვას ადვოკატთა კოლეგია გაიფიცა. ისინი უარს ამბობდნენ დასწრებოდნენ ნებისმიერ პროცესს, რომელიც ეხებოდა იზოლატორში დაპატიმრებულ პირებს, ვიდრე ადმინისტრაცია ადვოკატებისთვის არ უზრუნველყოფდა კლიენტებთან კონფიდენციალური შეხვედრების შესაფერის ოთახს. ადვოკატთა კოლეგიამ მოთხოვნებზე უარი მიიღო (იხ. *სარბანი მოლდოვას ნინაალმდეგ*, 3456/05, §126, 2005 წლის 4 ოქტომბერი).

26. 2005 წლის 26 მარტს მოლდოვას ადვოკატთა კოლეგიამ შეკრება მოაწყო, სადაც ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარემ და სხვა ადვოკატებმა დასწრეთ აცნობეს, რომ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად მათ მონანილეობა მიიღეს კომისიის მუშაობაში, რომელმაც იზოლატორის შემონმება განახორციელა. შემონმების დროს მათ მოითხოვეს შუშის ტიხრის აღება, რათა შეემონმებინათ, რომ იქ დამონტაჟებული არ იყო სასმენი მონყობილობა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ტიხრის მოსახსნელად საკმარისი იყო რამდენიმე ხრახნის ამოღება, ხოლო ადვოკატთა კოლეგია ადმინისტრაციას ტიხრის შემონმებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის დაფარვას სთავაზობდა. ადმინისტრაციამ ეს ნინადადება არ მიიღო.

27. 2003 წლის 24 ოქტომბერს პარლამენტმა მიიღო დადგენილება 415-XV ადამიანის უფლებათა სფეროში 2004-2008 წლებში ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. გეგმა მოიცავს მთელ რიგ ამოცანებს, რომლებიც მიზნად ისახავს პატიმრობის პირობების გაუმჯობესებას 2004-2008 წლებში, საპატიმრო დაწესებულებათა გადატვირთულობის შემცირების, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, პატიმართა შრომაში ჩაბმის და რეინტეგრაციის ჩათვლით, ასევე პერსონალის სწავლებას. გეგმის განხორციელების შესახებ უნდა მომზადდეს რეგულარული მოხსენებები.

28. იუსტიციის სამინისტრომ დაამტკიცა “მოხსენება იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტის 2003 წლის 24 ოქტომბრის 415-XV დადგენილებით დამტკიცებული ადამიანის უფლებათა სფეროში 2004-2008 წწ ეროვნული სამოქმედო გეგმის მე-14 თავის განხორციელების შესახებ”, რომლის მიღების თარიღიც მითითებული არ არის. 2005 წლის 25 ნოემბერს ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომისიამ ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ მოხსენება დაამტკიცა. ეს ორივე მოხსენება მიუთითებდა არასაკმარის დაფინანსებაზე და სხვა დაბრკოლებებზე, ასევე სამოქმედო გეგმის შესრულების ხარვეზებზე მოლდოვას საპატიმრო დაწესებულებებში, კიშინიოვის მე-3 საპყრობილეს ჩათვლით. პირველ მოხსენებაში, *inter alia*, აღნიშნული იყო, რომ “ვიდრე [ეროვნული სამოქმედო გეგმის] მიზნებისა და ღონისძიებებისთვის არ არსებობს საჭირო ფინანსური მხარდაჭერა... სახელმწიფოსთვის მხოლოდ კეთილი მცდელობა იქნება ადამიანის უფლებათა დაცვა, რომელიც პარლამენტის 2003 წლის 24 ოქტომბრის 415-XV დადგენილებაშია აღწერილი, რომელსაც განხორციელება არ უნერია, ან მხოლოდ

წინააღმდეგ განხორციელდება". 2005 წლის 28 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო დადგენილება 370-XVI "პარლამენტის სპეციალური კომისიის მიერ პენიტენციალური დეპარტამენტის 13 საპყრობილეში წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ". დადგენილებაში, *inter alia*, აღნიშნულია, რომ "იუსტიციის სამინისტროს საქმიანობა პატიმართა პირობების უზრუნველყოფის სფეროში არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს."

ბ. არაკონვენციური მასალა

1. წამების აღკვეთის კომისიის (CPT) დასკვნები

29. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) შესაბამის დასკვნებში ნათქვამია (არაოფიციალური თარგმანი):

ა. ვიზიტი მოლდოვაში 1998 წლის 11-21 ოქტომბერს (არაოფიციალური თარგმანი)

"76. მიუხედავად იმისა, რომ არასათანდო მოპყრობა წინასწარგამიზნულ ხასიათს არ ატარებს, წამების აღკვეთის კომიტეტი მიუთითებს, რომ 3 საპყრობილეში პატიმართა უმრავლესობა მთელი რიგი უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებას განიცხდის, ესენია — გადატვირთულობა, უმძიმესი ფიზიკური და პიგიურული პირობები, დასაქმების პროგრამების პრაქტიკული არარსებობა, რაც შესაძლებელია მარტივად დახასიათდეს როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა.

ამის საპირისპიროდ, ყველა სხვა საპატიმრო დაწესებულებაში, პატიმართა უმრავლესობის ცხოვრების პირობები მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს. საკანთა უმრავლესობაში თითოეულ პატიმარზე საცხოვრებელი ფართობი მინიმალურ სტანდარტზე მნიშვნელოვნად ნაკლებია და გადატვირთულობა აუტანელ დონეს აღწევს... გარდა ამისა, დელეგაციამ დააფიქსირა, რომ 8-9 კვადრატული მეტრი ფართობის საკნებში ოთხი ადამიანი ჰყავთ განთავსებულნი.

ამასთან ერთად საკნებში ძალზე შეზღუდულია ბუნებრივი განათება, არასაკმარისია ხელოვნური განათება, ხოლო ჰაერი არაჯანსაღი და დაბინძურებულია. კიდევ უფრო მძიმეა გამოძიების პროცესში მყოფი პატიმრების (ანუ 700-ზე მეტი პატიმრის) მდგომარეობა. მათ საკნებში პრაქტიკულად არ აღწევს დღის შუქი, რადგან ფანჯრები გარედან დაფარულია ლითონის ფურცლებით. გარემოებათა გამო ინვენტარის რაოდენობა მინიმუმამდეა შემცირებული. საკნებში დგას ლითონის სანოლები ან ე.წ. ნარე-

ბი, რომლებიც სრულიად მოძველებულია და ცუდ მდგომარეობაშია, ერთი მაგიდა და ერთი ან ორი ძელსკამი. გარდა ამისა, მრავალ საკანში არ არის საკმარისი რაოდენობის სანოლი და პატიმრები იძულებული არიან მორიგეობით იძინონ. ასევე ცუდ მდგომარეობაშია თეთრეული; ლეიბების, საბნებისა და ზენრების მცირე რაოდენობა საკმარისი არ არის და პატიმრებს, რომლებსაც ოჯახი არ ჰყავთ ან საშუალება არა აქვთ, პირდაპირ სანოლზე და/ან მხოლოდ ლეიბზე სძინავთ

საკნებს აქვს სანიტარიული წერტილი, რომელიც ნამდვილი ინფექციის წყაროა. აზიური ტუალეტის ზემოთ დამაგრებულია ონკანი, რომელიც გამოიყენება როგორც ტუალეტის ჩასარეცხად, ისე დასაბანად. გარდა ამისა, ეს ადგილი გამოყოფილია ნაწილობრივი ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლის ტიხრით, რომელიც ფარულობის მოთხოვნებს ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს.

მნიშვნელოვან შემოთვბას იწვევს საკნების ფლიგელების საერთო სახე — რემონტისა და სისუფთავის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მრავალი საკანი სავსეა ტარაკნებით და სხვა მწერებით, ხოლო პატიმრები ჩიოდნენ, რომ საკნებში ასევე მრავლად არიან მღრღნელები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პატიმართა უმრავლესობის ცხოვრებისა და ჰიგიენური პირობები შემადრწუნებელია, უფრო ზუსტად, ისინი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას."

ბ. ვიზიტი მოლდოვაში 2001 წლის 10-22 ივნისს (არაოფიციალური თარგმანი)

"37. ნამების აღკვეთის კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება დაპატიმრების მომენტიდანვე იყოს სრულად უზრუნველყოფილი პრაქტიკაში. იგი ასევე რეკომენდაციას იძლევა, რომ პატიმრებს ადვოკატებთან შეხვედრის საშუალება ჰქონდეთ ისეთ პირობებში, სადაც სრულადაა დაცული მათი საუბრის კონფიდენციალობა...

70. ზოგიერთ ციხეში, განსაკუთრებით საპრობილეებში, სიტუაციას ამწვავებს უზომო გადატვირთულობა (კიშინიოვის 3 საპრობილე, სადაც 2001 წელს 1892 პატიმარი იმყოფებოდა, მაშინ როცა იგი 1480 პატიმარზეა გათვლილი)...

2001 წლის ვიზიტმა აჩვენა თუ რაოდენ სასწრაფოა ხელისუფლებისათვის საკანონმდებლო რეფორმების თავიანთ გეგმებში გათვალისწინება; საპატიმრო დანესებულებათა გაფართოება პრობლემას ვერ გადაჭრის. როგორც ნამების აღკვეთის კომიტეტის წინა მოხსენებაში უკვე იყო ხაზგასმული, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მოქმედი კანონმდებლობის და პრაქტიკის გადასინჯვა, რომლებიც ეხება პატიმრობას, სასჯელის შეფარდებას და სასჯელის მოხდას, ასევე სხვადასხვა სახის არასაპატიმრო სასჯელების არსებობას. ეს არის *sine qua non* (აუცილებელი პირობა, მთარგმნელის შენიშვნა), თუ გვინდა უახლოეს მომავალში ციხეებში ნორმალური პირობების შექმნის იმედი გვქონდეს. ...

82. ... კომინიოვის 3 საპყრობილეში განმეორებითი ვიზიტის შედეგად პოზიტიური ცვლილებები გამოვლინდა, რასაც წამების აღკვეთის კომისია მიესალმება. იგი განსაკუთრებით ადასტურებს, რომ დანესებულების შიდა ეზოში გამავალი ფანჯრებიდან მოხსნეს მძიმე ლობურები.

იმავდროულად I, II და III კორპუსებში, დროებითი საკნების ჩათვლით, ცხოვრების მძიმე პირობები არ შეცვლილა, რომლებიც წინა მოხსენების მე-80 და 81-ე პუნქტებში იყო აღწერილი (გარდა ბუნებრივი განათების გაუმჯობესებისა). ცხადია, რომ ამ კორპუსებში გადატვირთულობის მაღალმა დონემ მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. რამდენიმე საკანი კარგად არის მოწყობილი, მაგრამ ეს თვით პატიმრების დამსახურებაა, რომლებმაც შეძლეს საკუთარი ოჯახებიდან მიეღოთ მათთვის საჭირო ინვენტარი."

ბ. ვიზიტი მოლდოვაში 2004 წლის 20-30 სექტემბერი (არაოფიციალური თარგმანი)

"ბ. ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის საპყრობილე"

53. ამ დანესებულების მატერიალური პირობები ამჟამად განსხვავებულია იუსტიციის სამინისტროს საპყრობილის პირობებისაგან. დაახლოებით 14 მ² ფართობის საკნები 4 პატიმარზეა გათვლილი. საკნებში შემოდის დღის შუქი, არის საკმარისი ხელოვნური განათება და ვენტილაცია. საკნებს აქვთ ნაწილობრივ იზოლირებული ტუალეტები და საპირფარეშოები, ასევე ქვეშაგებლის სრული კომპლექტი (ლეიბები, ზენრები, ბალიშები, საბნები). ...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ საპყრობილის მატერიალური მდგომარეობა ამტკიცებს, რომ მოლდოვაში სავსებით შესაძლებელია პატიმრებისათვის ადეკვატური მატერიალური პირობების შექმნა.

55. პენიტენციურ დანესებულებათა უმრავლესობა, რომლებიც დელეგაციამ მოინახულა, ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, რთულ მდგომარეობაშია. ისინი, მატერიალური პირობებისა და პატიმრობის რეჟიმების თვალსაზრისით კვლავ იმ პრობლემების წინაშე დგანან, რომლებიც 1998 და 2001 წლებში განხორციელებული ვიზიტების დროს იქნა დაფიქსირებული.

ამას ემატება გადატვირთულობის პრობლემა, რომელიც კვლავ სერიოზულია. რეალურად, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მონახულებული პენიტენციური დანესებულებები სრული დატვირთვით არ მუშაობდნენ — როგორც ეს ხდებოდა 3 საპყრობილეში, სადაც პატიმართა რაოდენობა წინა ვიზიტთან შედარებით საგრძნობლად შემცირებული იყო — გადატვირთულობის დონე კვლავ მაღალი რჩება. ფაქტობრივად, განთავსების შესაძლებლობები კვლავ ეფუძნება 2 კვადრატულ მეტრს თითოეულ პატიმარზე, რაც კრიტიკის საგანია; პრაქტიკაში ხშირად ეს მაჩვენებელი 2 კვადრატულ მეტრზე ნაკლებიცაა.

77. კომინიოვის 3 საპყრობილის ხელახალი მონახულებით დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება არ შექმნილა. მიღწეული პროგრესი მინიმალურია და იგი ძირითადად გარკვეული სარემონტო სამუშაოებით შემოიფარგლება. სავენტილაციო სისტემის რემონტი შესაძლებელი გახდა სამოქალაქო

საზოგადოების (ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების) მხარდაჭერით, ხოლო ყოველდღიური გასასეირნებელი ადგილები თვით პატიმრებისა და მათი ოჯახების დახმარებით შეიქმნა.

საკნების შეკეთებაზე, განახლებაზე და მოვლა-პატრონობაზე მხოლოდ თვით პატიმრები და მათი ოჯახები არიან პასუხისმგებელი, რომლებიც საჭირო მასალებსაც თავად ყიდულობენ. მათ ასევე თვითონ უნდა შეიძინონ თეთრეული და საბნები, ხოლო დანესებულებას მათთვის მხოლოდ ნახმარი ლეიბების მიცემა შეუძლია.

79. ... დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების პირობები I და II კორპუსების საკნებში და დროებით საკნებში კვლავ სავალალოა...

და ბოლოს, გადატვირთულობის რადიკალური შემცირების მიუხედავად, საკნებში სიმჭიდროვის დონე კვლავ შემამოფოთებელია.

83. ... პატიმართა საკვების რაოდენობა და ხარისხი ყველგან პრობლემურია. დელეგაციამ მოისმინა საჩივრების ნიაღვარი ხორცისა და რძის პროდუქტების ნაკლებობასთან დაკავშირებით. საკვები მარაგისა და მენიუს გაცნობის შემდეგ დელეგაცია დარწმუნდა, რომ ეს საჩივრები საფუძველს მოკლებული არ არის. მის მიერ აღმოჩენილი ფაქტების საფუძველზე იგი ასევე დარწმუნდა, რომ გარკვეულ ადგილებში (3 საპყრობილეში) კერძები ცუდად მომზადებული და საკვებად უვარგისი იყო (მაგალითად, მათში იპოვიდით მწერებს და პარაზიტებს). სამზარეულოებისა და მათი მნიერი მონყობილობების ფონზე ეს გასაკვირი არ არის.

პატიმართა სათანადო კვებასთან დაკავშირებით მოლდოვას ხელისუფლება მუდმივად მიუთითებდა ფინანსურ სირთულეებზე. თუმცა კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ეს არის სიცოცხლის ფუნდამენტური მოთხოვნა, რომელიც პირიქებისთვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, და მას ამ პასუხისმგებლობისგან არაფერი ათავისუფლებს. ..."

2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის აქტები

30. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (73) 5 პატიმართა მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1973 წლის 19 იანვარს) შესაბამის დებულებებს შეიცავს, კერძოდ:

"93. პატიმარს, რომლის საქმეც სასამართლოში განხილული არ არის, აქვს უფლება, საპატიმროში მოთავსებისთანავე აირჩიოს ადვოკატი ან მიიღოს უფასო იურიდიული დახმარება, სადაც ასეთი დახმარება შესაძლებელია, შეხედეს თავის ადვოკატს თავის დაცვის მიზნით და მოამზადოს და გადასცეს ან მიიღოს კონფიდენციალური მითითებები. ამისთვის საჭირო საშუალებებით იგი უნდა უზრუნველყონ მისი მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ, აღმინისტრაციასთან და ადვოკატთან კონტაქტისას იგი უნდა უზრუნველყონ თარჯიმნის უფასო დახმარებით. პატიმარსა და მის ადვოკატს შორის საუბარი შეიძლება შედგეს ისეთ ადგილას, რომელსაც შეიძლება ხედავდნენ პოლიციის ან დანესებულების მუშაკები, მაგრამ არ ისმინებოდეს პირდაპირი ან ირიბი გზით."

31. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 ნევრი სახელმწიფოებისთვის ევროპული პენიტენციური წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე სხდომაზე), შესაბამის დებულებებს შეიცავს, კერძოდ:

“23.1 ყველა პატიმარს აქვს იურიდიული დახმარების უფლება, ხოლო საპატიმრო დაწესებულების ხელმძღვანელობამ იგი ასეთ დახმარებაზე ხელმისაწვდომობით უნდა უზრუნველყოს...”

23.4 დაცული უნდა იქნეს პატიმართა და მათ ადვოკატთა შორის კონსულტაციებისა და კომუნიკაციის კონფიდენციალობა, კორესპონდენციის ჩათვლით...”

23.6 პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე, ან უფლება ჰქონდეთ მათი შენახვისა.”

სამართალი

32. განმცხადებლები ჩიოდნენ მათი პატიმრობის პირობებისა და სამედიცინო მომსახურების მიუღებლობის გამო, რომლებიც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს, რომელიც აცხადებს:

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას”

33. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ მათ მიმართ წინასწარი პატიმრობის შესახებ დადგენილებები არ იყო მიღებული “გამოძიების მოსამართლის” მიერ, როგორც ამას კანონი მოითხოვდა. ისინი ასევე ჩიოდნენ, რომ სასამართლოებმა განმცხადებელთა წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებულ დადგენილებებში არასაკმარისი დასაბუთება წარმოადგინეს. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს:

“ამ მუხლის (c) პუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლება-მოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმეულობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.”

34. კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე განმცხადებლები ასევე ჩიოდნენ, რომ თავიანთ ადვოკატებთან შეხვედრისას მათ ერთმანეთისგან შუშის ტიხარი ჰყოფდა და მათი საუბარი ესმოდათ, ან შესაძლოა იწერდნენ კიდევ, და რომ ხელისუფლებამ მათი და მათი ადვოკატების კერძო საუბრებისთვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა ვერ შეძლო. სასამართლომ, რომელსაც შეუძლია საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს კვალიფიციური დახასია-

თება მისცეს კანონის კონტექსტში (იხ. გუერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ, 1998 წლის 19 თებერელის გადანყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1998-I, § 44), გადანყვიტა, რომ განმცხადებელთა მიერ წამოჭრილი ეს პრობლემა შეისწავლოს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და გაეცნოს მხარეთა მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისი დებულება აცხადებს:

“ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი”.

I. განაცხადის დასაშვებობა

35. თავიანთ თავდაპირველ განაცხადებში განმცხადებლები კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ჩიოდნენ, რომ მოსამართლეები, რომლებმაც გამოსცეს მათი დაპატიმრების და შემდეგ პატიმრობის ვადის გაგრძელების ბრძანება, არ იყვნენ “გამოძიების მოსამართლეები”, როგორც ამას კანონი მოითხოვდა და მათ არ ჰქონდათ მათი გათავისუფლების ბრძანების გაცემის უფლებამოსილება.

36. თუმცა განმცხადებლებმა 2005 წლის დეკემბერში წარმოდგენილ მოსაზრებებში, *სარბანის* საქმეზე (ციტ. ზემოთ) გაკეთებული დასკვნების ფონზე, ამ საჩივრის უკან გატანა მოითხოვეს. ამრიგად, სასამართლო ამ საჩივარს აღარ განიხილავს.

37. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლებს არ ამოუნურავთ შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის ყველა არსებული საშუალება. კერძოდ, მათ შეეძლოთ, მაგრამ არ გამოიყენეს კონსტიტუციის 53-ე მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 1405-ე მუხლის და 1545 კანონის დებულებები. ამ შესაძლებლობას ადასტურებდა *დუკას* საქმე (ციტ. *სარბანის* საქმე, §§57-59), სადაც განმცხადებელმა შიდასახელმწიფო დონეზე კომპენსაცია 1545 კანონის საფუძველზე მიიღო.

38. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან შეისწავლა წინასწარი გამორიცხვის საკითხი, რომელიც იმავე არგუმენტს ეფუძნებოდა, რომელიც *სარბანის* საქმეში (ციტ. ზემოთ, §§57-62) იყო მოყვანილი, და დაასკვნა, რომ საშუალებები, რომლებზედაც მთავრობა მიუთითებდა, ეფექტიანი არ იყო ამ საქმეში, რომელშიც მსგავსი საჩივრები იყო წამოჭრილი კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების საფუძველზე. მას მიაჩნია, რომ მთავრობამ ვერ წარმოდგინა რაიმე არგუმენტი, რომელიც მას ამ საქმეზე გაკეთებული დასკვნებიდან გადახვევის ან წარმოდგენილი განაცხადების მიმართ განსხვავებული მიდგომის აუცილებლობაში დაარწმუნებდა.

39. ზემოაღნიშნული გათვალისწინებით სასამართლო ასკვნის, რომ განაცხადები არ შეიძლება დაუშვებლად გამოცხადდეს შიდასახელმწიფო

სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოუნურავობის გამო. შესაბამისად, მთავრობის პროტესტი უარყოფილი უდნა იქნეს.

40. სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე განმცხადებელთა საჩივრებმა კანონის საკითხები წარმოშვეს, რომლებიც საკმარისად სერიოზულია იმისთვის, რომ მათი განსაზღვრა არსებით მხარეზე იყოს დამოკიდებული, ხოლო მათი დაუშვებლად გამოცხადების რაიმე სხვა საფუძველი არ დადგინდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო ამ საჩივრებს დასაშვებად აცხადებს. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად (იხ. ზემოთ, პუნქტი 5), სასამართლო ახლა განიხილავს ამ საჩივართა არსებით მხარეს.

II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

41. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ 2004 წლის 12 ნოემბრიდან 2005 წლის 11 თებერვლამდე იზოლატორში სამედიცინო დახმარების მიუღებლობა და 2005 წლის 23 თებერვლის შემდეგ იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეში მათი პატიმრობის პირობები ტოლფასი იყო არაადამიანური და ღირსების შეზღავნული მოპყრობისა, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს.

ა. მხარეთა არგუმენტები

1. იზოლატორში პატიმრობის პირობები და სავარაუდო არასაკმარისი სამედიცინო დახმარება

ა. განმცხადებელთა არგუმენტები

42. ბატონმა ბურკოვსჩიმ და ბატონმა ლუტკანმა იზოლატორში სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით ზოგადი ხასიათის საჩივრები წამოაყენეს. ისინი არ ჩიოდნენ, რომ მათ რაიმე კონკრეტული დახმარება სჭირდებოდათ ან რომ ეს დახმარება მოთხოვნისთანავე არ მიიღეს.

ბ-ნი ისტრატი კონკრეტულად ჩიოდა, რომ როდესაც მას 2004 წლის 18 ნოემბერს გადაუღებელი სამედიცინო დახმარება სჭირდებოდა, მათ შორის, სერიოზული სისხლდენი გამო, იგი საავადმყოფოში დახმარების მოთხოვნიდან მხოლოდ სამი საათის შემდეგ წაიყვანეს. გარდა ამისა, იგი ჩიოდა, რომ იზოლატორის ოფიცრები მუდმივად იმყოფებოდნენ მის პალატაში და რომ იგი პატიმართა საავადმყოფოში ოპერაციიდან ძალზე მოკლე ხანში გადაიყვანეს, სათანადო გამოჯანმრთელებამდე.

ბ. მთავრობის არგუმენტები

43. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელთა მიმართ მოპყრობა არ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-3 მუხლის მინიმალურ ზღვარს. ნებისმიერი ტან-

ჯვა, რომელიც მათ განიცადეს, არ სცდებოდა ზოგადად პატიმრობისთვის და-
მასახიათებელ ფარგლებს. იზოლაციაში პირობები შესაბამისი იყო. იქ მუშაობ-
და ექიმი. გადაუდებელ შემთხვევაში შესაძლებელი იყო პატიმართა უახლოეს
საავადმყოფოში გადაყვანა (ზემოთ ციტირებულ *სარბანის* საქმეში მთავრობა
მიუთითებდა, რომ მუნიციპალური საავადმყოფო იზოლაციიდან 500 მეტრში
მდებარეობდა), როგორც ეს მოხდა ბატონი ისტრატის შემთხვევაში 2004 წლის
18 ნოემბერს. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, არ არ-
სებობდა პატიმართა საპატიმრო ადგილებიდან გადაყვანის ვალდებულება, თუ
მათ ადგილზე უზრუნველყოფდნენ სათანადო სამედიცინო დახმარებით.

44. 2004 წლის 18-19 ნოემბერს ბატონი ისტრატის მკურნალობასთან
დაკავშირებით მთავრობამ განაცხადა, რომ ბ-ნი ისტრატი ამ დაავადებით
დაპატიმრებამდე დაავადდა და რომ იზოლაციის ხელმძღვანელობამ დაუ-
ყოვნებელი რეაგირება მოაძინა მის მოთხოვნაზე სამედიცინო დახმარებას-
თან დაკავშირებით და იგი საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელო-
ბის მდგომარეობა არ იყო ძალიან მძიმე, რადგან მას ოპერაცია გაუკეთეს
არა საავადმყოფოში მიყვანისთანავე, არამედ მომდევნო დღეს. გარდა ამისა,
მას დახმარების გარეშე სიარული შეეძლო და აშკარად საღ გონებაზე იყო.

45. მთავრობა აცხადებდა, რომ ბ-ნი ისტრატის ოპერაციის დროს ხელ-
ბორკილები არ ედო, რაც ექიმმა 'მ.ე.'-მ დაადასტურა (იხ. ზემოთ, პუნქტი
19). განმცხადებელი ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს ოპერაციიდან
ოთხი საათის შემდეგ, რაც მისი რეაბილიტაციისთვის საკამრისი დრო იყო.
მას არ ჰქონდა სისხლდენა და არც გონება დაუკარგავს და გადაყვანის
დროს თავს შედარებით კარგად გრძნობდა.

ბ. სასამართლოს შეფასება

46. სასამართლო მიუთითებს, რომ, მისი პრეცედენტული სამართლის
შესაბამისად, მე-3 მუხლის ფარგლებში მოსახვედრად არასათანადო მო-
პყრობამ სისასტიკის მინიმალურ დონეს უნდა მიაღწიოს. ამ მინიმალური
დონის შეფასება, მოვლენათა ბუნებიდან გამომდინარე, ფარდობითია.
იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორცაა მოპყრო-
ბის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტი, ხოლო ზოგ
შემთხვევაში, დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარე-
ობა (იხ. *კუდტა პოლონეთის წინააღმდეგ* [GC], 30210/96, 91, და *სარ-
ბანის* საქმე, ციტირ. ზემოთ, 75-ე და მომდევნო პუნქტები). მიუხედავად
იმისა, რომ ასეთი მოპყრობა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, გან-
საკუთრებით ის ფაქტორი, იყო თუ არა იგი გამიზნული პირისთვის შეუ-
რაცხყოფის მისაყენებლად ან მის დასამცირებლად, ასეთი მიზნის არარ-
სებობას უცილობლად არ მივყავართ დასკვნამდე, რომ კონვენციის მე-3
მუხლი არ დარღვეულა (*პირის საბერძნეთის წინააღმდეგ*, 28524/95, §74,
ECHR 2001-III).

47. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი ჯანმრთელო-
ბის საფუძველზე დაპატიმრებული პირის გათავისუფლების ზოგად ვალ-

დებულებას არ წარმოშობს, იგი სახელმწიფოებს მაინც ავალდებულებს დაიცვან თავისუფლებაალკვეთილ პირთა ჯანმრთელობა, მაგალითად, მათ მიერ მოთხოვნილი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფით (იხ. *პურ-ტადო შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1994 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, სერია A 280-A, კომისიის მოსაზრება, გვ. 15-16, §79). სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა ყველა პატიმრის უფლებას პატიმრობის პერიოდში ჰქონდეს ადამიანის ღირსების შესაფერი პირობები, რათა შეფარდებული ზომების განხორციელების ფორმა და მეთოდები არ იწვევდეს მათ სულიერ ტანჯვას და სირთულეებს, რომელთა სიმწვავე აღემატება პატიმრობისთვის დამახასიათებელ გარდაუვალ ტანჯვას; გარდა ამისა, ჯანმრთელობასთან ერთად სათანადოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი მათი კეთილდღეობა, ტუსალობის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით (იხ. *კუდტას საქმე*, ციტი. ზემოთ, §94).

48. განმცხადებლები ჩიოდნენ მათი იზოლატორში პატიმრობის პერიოდში სამედიცინო მომსახურების ხარვეზებზე. სასამართლო მიუთითებს, რომ *სარბანის* საქმეზე (ციტი. ზემოთ, § 81) მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც 2005 წლის 11 თებერვლამდე იზოლატორში სამედიცინო პერსონალის არსებობას დაადასტურებდა. მას ასეთი მტკიცებულება არც ამ საქმეზე წარმოუდგენია.

49. ორი განმცხადებელი რაიმე რეგულარული ან გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ არ ჩიოდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 42). სასამართლოს მიაჩნია, რომ სამედიცინო დახმარების არარსებობა ისეთი გარემოებებში, როდესაც იგი საჭირო არ არის, თავისთავად კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის ტოლფასი არ არის.

50. მეორეს მხრივ, 2004 წლის 18 ნოემბერს სამედიცინო დახმარება მოითხოვა ბატონმა ისტრატიმ, როდესაც მას პარაპროქტიტის მწვავე შეტევა ჰქონდა რექტალური ჰემოროით. იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს სამი საათის შემდეგ (იხ. ზემოთ, პუნქტი 18).

51. მხარეებისთვის ცნობილია, რომ ბ-ნ ისტრატის ეს დაავადება დაკავებამდე ჰქონდა. ამრიგად, მისთვის ცნობილი იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაძლო გაუარესების შესახებ. იმავდროულად, 2004 წლის 18 ნოემბერს, როდესაც მას მწვავე შეტევა ჰქონდა, იგი ვერ მიიღებდა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, რადგან იზოლატორში სამედიცინო პერსონალი არ ჰყავდათ (იხ. ზემოთ, პუნქტი 48).

52. მიუხედავად მთავრობის მტკიცებისა, რომ გადაუდებელ შემთხვევაში სამედიცინო დახმარების განევა ხდება დაგვიანების გარეშე — პაციენტის სასწრაფო დახმარების მეშვეობით უახლოეს საავადმყოფოში გადაყვანით (იხ. ზემოთ, პუნქტი 43), ავადმყოფისათვის ასეთი დახმარების განევის სამი საათით დაგვიანებასთან დაკავშირებით მას რაიმე განმარტება არ გაუქეთებია. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით დადგინდა, რომ შეტევა ძალიან საშიში ხასიათის არ იყო, ავადმყოფს ამ პერიოდის განმავლობაში ჰქონდა ტკივილი და იგი შეშფოთებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მან არ იცოდა, ზუსტად რა სჭირდა მას და როდის მიიღებდა კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას.

53. ამ თვალსაზრისით სასამართლო მიუთითებს *სარბანის* საქმეზე მის მიერ გაკეთებულ დასკვნებზე (ციტ. ზემოთ, პუნქტი 87, საბოლოო დასკვნა), რომლებშიც ნათქვამია, რომ "სასწრაფო დახმარების გამოძახებამდე ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის ადმინისტრაციამ მისი გამოძახების ნებართვა უნდა გასცეს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღება პროფესიული სამედიცინო პერსონალის რჩევის გარეშე ძნელია". სასწრაფო დახმარების გამოძახების დაგვიანებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი საქმე კიდევ უფრო ამყარებს სასამართლოს შეხედულებას ამ საკითხზე.

54. აქედან გამომდინარეობს, რომ განმცხადებელმა იზოლატორში ვერ მიიღო დროული სამედიცინო დახმარება და იგი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ალელევებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

55. ბ-ნი ისტრატი ასევე ჩიოდა გამოჯანმრთელების გარეშე ციხის საავადმყოფოში მისი გადაყვანისა და საავადმყოფოში ხელბორკილების დადების გამო. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი პატიმართა საავადმყოფოში ოპერაციიდან ოთხი საათის შემდეგ გადაიყვანეს, ხოლო გადაყვანას ორსაათნახევარი დასჭირდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 18). იგი ასევე აღნიშნავდა, რომ ასეთი ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციას ერთი თვე სჭირდება და რომ ექიმ 'მ.ე.'-ის თანახმად, რომელმაც განმცხადებელს ოპერაცია გაუკეთა, მას ოპერაციის შემდეგ დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო ტკივილისა და სისხლდენის საშიშროების გამო (იხ. ზემოთ, პუნქტი 19).

56. ასეთ პირობებში, როდესაც განმცხადებლის გაქცევის საშიშროება არ არსებობდა, ხოლო სარეაბილიტაციო დრო იყო ძალზე მოკლე და მგზავრობის დრო — საკმაოდ ხანგრძლივი, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ განმცხადებლის შესაძლო გაქცევას შეეძლო გადაენონა მისი გამოჯანმრთელების უზრუნველყოფის ამკარა აუცილებლობა.

57. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას რაიმე ახსნა-განმარტება განმცხადებლისთვის ხელბორკილების დადების აუცილებლობასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია, გარდა იმისა, რომ ოპერაციის მიმდინარეობისას მას ხელბორკილები არ ეკეთა. უდავოა, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა (როგორც ოპერაციამდე, ისე მის შემდეგ) მისი მიმალვის ან მისი მხრიდან რაიმე ძალადობის გამოვლენის საშიშროებას ამკარად გამორიცხავდა, როგორც ეს ზემოთ, 54-ე პუნქტშია მითითებული. ასევე არ არსებობს რაიმე ინფორმაცია, რომ იგი ადრე ძალადობრივ ქმედებებში იყო შემჩნეული. ასეთ გარემოებებში და იმ ფაქტის ფონზე, რომ იზოლატორის ორი ოფიცერი განმცხადებელს პალატაში დარაჯობდა, გათბობის ბატარეაზე მისი ხელბორკილებით მიბმა უსაფრთხოების ზომების არაპროპორციული იყო, რითაც განმცხადებელი გაუმართლებელ დამცირებას დაექვემდებარა, იმის მიუხედავად, ეს განზრახ ჩაიდინეს თუ არა (შედარებისთვის, *მუისელი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 67263/01, §47, ECHR 2002-IX; *პენაფი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 65436/01, §52, ECHR 2003-XI).

58. სასამართლოს მიაჩნია, რომ ის ფაქტები, რომ გადაუდებელ შემთხვევაში განმცხადებელს დროული სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს,

სათანადო რეაბილიტაციამდე იგი გადაყვანილ იქნა სხვა საავადმყოფოში, ხოლო საავადმყოფოში ყოფნისას იგი თავს გრძნობდა დამცირებულად ხელბორკილების გამო — არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ტოლფასია კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით (იხ. კუდტას სქმე. ციტ. ზემოთ, §94; ფაბრტუსი ლატვიის წინააღმდეგ, ციტ. ზემოთ. 51; ნევმერტიციკი უკრაინის წინააღმდეგ, 54825/00, §106, 2005 წლის 5 აპრილი).

59. შესაბამისად, ბ-ნი ისტრატის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. იგივე მუხლი იზოლატორში სამედიცინო მომსახურების არარსებობის გამო არ დარღვეულა ბ-ნი ბურკოვსჩის და ბ-ნი ლუტკანის მიმართ.

2. განმცხადებელთა პირობები იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეში

ა. განმცხადებლები

60. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეში არსებული პირობები იყო არაადამიანური და ღირსების შემლახველი (იხ. ზემოთ, პუნქტი 20).

61. კერძოდ, ისინი ჩიოდნენ საკნების გადატვირთულობის გამო, სადაც 10 მ² ფართობის საკანში 4-6 ადამიანი იყო განთავსებული (ამრიგად, ერთ ადამიანზე დაახლოებით 1,6-დან 2,5-მდე მ² მოდიოდა). ბატონი ისტრატის საკანში პერიოდულად მეშიდე პატიმარიც შეჰყავდათ და მას იატაკზე ეძინა. განმცხადებელთა ადვოკატის მიერ დახაზული საკნის სქემის მიხედვით, მისი ფართობის უმეტესი ნაწილი წარის ტიპის სამ საწოლს, ტუალეტსა და მაგიდას ეკავა, ხოლო საკნის შუაში ძალზე მცირე თავისუფალი ფართობი იყო დარჩენილი.

62. საკამების უქონლობის გამო პატიმრები იძულებული იყვნენ ფეხზე მდგომთ ეჭამათ. ბ-ნი ლუტკანის საკანში მაგიდა ტუალეტის გვერდით იდგა. ტუალეტს ბაკი არ ჰქონდა. შლანგს იყენებდნენ როგორც ტუალეტის ჩასარეცხად, ისე ხელების დასაბანად და საჭმლის მოსამზადებლად. ღამით წყალი არ მოდიოდა, რის გამოც პატიმრები ცდილობდნენ ტუალეტით არ ესარგებლათ, რათა თავიდან აეცილებინათ საკანში არასასიამოვნო სუნის.

63. საკნის ფანჯარა სამფენა, სხვადასხვა ზომის ლითონის ბადით იყო დაფარული, რომელიც მზის შუქს პრაქტიკულად ფარავდა. ვენტილაციას არ რთავდნენ. ზამთრის პერიოდში საკანში ძალიან ციოდა (12°C). შუქს დღის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე საათით რთავდნენ, რის გამოც საჭმლის მომზადება ჭირდა. პატიმრებს შხაპის მიღების უფლება მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ ჰქონდათ.

64. ციხეებში სამედიცინო მომსახურების არასაკამრისი დაფინანსების გამო (ყველა ციხისთვის 64 000 ევრო წელიწადში) სამედიცინო დახმარება არასახარბიელო იყო. ქვეშაგებელი და თეთრეული მხოლოდ პატიმართა 25% ჰყოფნიდა, ხოლო მათი უმრავლესობა გაცვეთილი იყო. ციხის ადმინისტრაცია პატიმრებს არც ტანისამოსს და არც ფეხსაცმელს არ აძლევდა.

65. კერძები ცუდი ხარისხის იყო; ბიუჯეტიდან ერთი პატიმრის კვებაზე დღიურად 0.28 ევრო იყო გამოყოფილი, ანუ, ხელისუფლების შეფასებით, მინიმალურის 30%. ხორცის, თევზის და რძის პროდუქტებს მხოლოდ იმ პატიმრებს აძლევდნენ, რომელთათვისაც ეს აუცილებელი იყო, ხოლო დანარჩენებს — “არსებული რესურსების შესაბამისად”, როგორც ეს იუსტიციის სამინისტროს მოხსენებაშია დადასტურებული.

66. განმცხადებლები დაეყრდნენ სასამართლოს დასკვნებს მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით საქმეზე *ოსტროვარი მოლდოვას წინააღმდეგ* (35207/03, 2005 წლის 13 სექტემბერი), რომელიც ეხებოდა პატიმრობის პირობებს იმავე საპრობილეში, რომელსაც წარმოდგენილ საქმეში უჩივიან. ისინი ასევე დაეყრდნენ წამების აღკვეთის კომიტეტის 1998, 2001 და 2004 წლის მოხსენებებში გაკეთებულ დასკვნებს ამ დანესებულების შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა შიდასახელმწიფო მოხსენებებს (იხ. ზემოთ, პუნქტი 28).

ბ. მთავრობა

67. მთავრობამ განაცხადა, რომ იზოლატორში პატიმრობის პირობები მისაღები იყო: თითოეულ საკანში შედიოდა დღის შუქი, იყო საკმარისი ვენტილაცია, წყლის ონკანი და ტუალეტი (რომელიც ტიხრით იყო გამოყოფილი), ასევე გათბობის სისტემა. პატიმრებს უფლება ჰქონდათ გამოეყენებინათ საკუთარი ტელევიზორი და რადიომიმღები, ხელი მიუწვდებოდათ სპორტულ ინვენტარზე და დღეში ერთი საათი სეირნობდნენ სუფთა ჰაერზე. საკვებს პატიმრებს აძლევდნენ მათი საჭიროების მიხედვით, მთავრობის მიერ დადგენილი დონეების შესაბამისად, ხორცისა და თევზის ჩათვლით “ხელმისაწვდომობის ფარგლებში”. მათ შეეძლოთ საკვებისა და პირადი ჰიგიენის ნივთების შეძენა (თვეში 12 ევროს ფარგლებში) და ამანათის მიღება თვეში ერთხელ. გარდა ამისა, იზოლატორის ხელმძღვანელობას რაიმე განზრახვა არ ჰქონია პატიმრები დაქვემდებარებოდნენ არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას და მუდმივად ცდილობდა გაეუმჯობესებინა მათი პატიმრობის პირობები. ამ მიზნით მიღებულ იქნა მრავალი დადგენილება და სამოქმედო გეგმები (იხ. ზემოთ, პუნქტი 27).

ბ. სასამართლოს შეფასება

68. სასამართლო აღნიშნავს, რომ იუსტიციის სამინისტროს საპატიმრო ცენტრში პატიმრობის პირობები განხილულია წამების აღკვეთის კომიტეტის 1998, 2001 და 2004 წლების მოხსენებებში და თითოეულ მათგანში სერიოზული ხარვეზებია დაფიქსირებული, თუმცა მითითებულია გარკვეულ სარემონტო სამუშაოებზე, რომლებიც ძირითადად თვით პატიმრების ან საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ იყო დაფინანსებული (იხ. ზემოთ, პუნქტი 29). ამ დაკვნებს ამყარებს შიდასახელმწიფო ორგანოების მიერ მომზადებული მოხსენებები (იხ. ზემოთ, პუნქტი 28).

69. სასამართლო არ გამოირიცხავს, რომ წამების აღკვეთის კომიტეტის ბოლო ვიზიტიდან (2004 წლის სექტემბერი) განმცხადებელთა დაპატიმრებამდე (2—5 წლის თებერვალი-მარტი) შესაძლოა ადგილი ჰქონდა პატიმართა პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ მთავრობას ასეთი გაუმჯობესების შესახებ რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

70. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელთა ზოგიერთი საჩივრის (ვენტილაციის გამორთვა, ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდების პერიოდული შეწყვეტა, საკნებში დაბალი ტემპერატურა) გადამოწმება შეუძლებელია, რადგან მთავრობა მათ არ აღიარებს, ხოლო რეალური სურათის დამამტკიცებელი სხვა საბუთი არ არსებობს. თუმცა სხვა საჩივრები თანხვდება წამების აღკვეთის კომიტეტის დასკვნებს, რომლებსაც სასამართლო ათელის წერტილად აიღებს და მათ შეადარებს ნებისმიერ მტკიცებულებას, რომელსაც მთავრობა მათ საპირისპიროდ წარმოადგენს. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ წამების აღკვეთის კომიტეტის ბოლო მოხსენებაში დადასტურებულია "ძალზე მაღალი, პრაქტიკულად აუტანელი" გადატვირთულობა, როდესაც თითოეულ პატიმარზე საშუალოდ 2 კვ.მ მოდის (იხ. ზემოთ, პუნქტი 29). ეს ემთხვევა განმცხადებელთა საჩივარს, რომ მათ საკნებში თითოეულ პატიმარზე 1,6 და 2,5 კვ.მ მოდიოდა. გარდა ამისა, განმცხადებელთა საჩივარი საკვების ხარისხისა და რაოდენობის შესახებ ასევე ემთხვევა წამების აღკვეთის კომიტეტის დასკვნებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ "კერძები არის ზიზღის მომგვრელი და პრაქტიკულად საკვებად უვარგისი" და მათში არის მღრღნელები და მწერები. განმცხადებლებმა თავიანთი საჩივრები გაამყარეს შიდასახელმწიფო ორგანოების მოხსენებებზე მითითებით (იხ. ზემოთ, პუნქტი 28), რომლებიც, *inter alia*, ადასტურებს როგორც ციხეების გადატვირთულობას, ისე არასაკმარის დაფინანსებას, რაც იწვევს, რომ საკვების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის უზრუნველყოფა იყო შესაძლებელი. ზემოხსენებულ შიდასახელმწიფო მოხსენებები ასევე ადასტურებს ქვეშაგებისა და თეთრეულის სიმცირეს, რომელთა უმრავლესობა სრულიად შეუსაბამოა ცვეთის გამო. მთავრობას კომენტარი არ გაუკეთებია განმცხადებელთა საჩივარზე, რომელშიც ისინი მიუთითებდნენ საკნის ფანჯრებზე დამაგრებულ სამფენოვან რკინის გისოსებზე, რომლებიც ხელს უშლიდა ბუნებრივი შუქის შემოსვლას. მთავრობამ ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ის განაცხადა, რომ საკნებში დღის შუქი შედიოდა. მთავრობას კომენტარი არც საკნებში პატიმართა რაოდენობაზე გაუკეთებია. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლები ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ზემოაღნიშნულ პირობებში ყოველდღიურად 23 საათს ატარებდნენ (იხ. ზემოთ, პუნქტი 67).

71. სასამართლოს მიაჩნია, რომ მათი პატიმრობის პირობები 3 საპრობილში, უმრავლეს შემთხვევაში მისი გადატვირთულობა და საკვების არასაკმარისი რაოდენობა და დაბალი ხარისხი, ადეკვატური ქვეშაგებისა და თეთრეულის უქონლობა და ძალზე შეზღუდული დღის შუქი, ასევე არასათანადო სანიტარული პირობები ტოლფასია არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

72. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი სამივე განმცხადებლის მიმართ.

III. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

73. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ დადგენილებები მათი დაპატიმრების და პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ, ასევე მათი პატიმრობის პირობების შესწავლის (*habeas corpus*) მოთხოვნების უარყოფასთან დაკავშირებული დადგენილებები არ იყო დაფუძნებული რელევანტურ და საკმარის არგუმენტებზე. სასამართლოები ძირითადად მიუთითებდნენ კანონის დებულებებზე და რეაგირება არ მოუხდენიათ დაპატიმრების საფუძვლებთან დაკავშირებით განმცხადებელთა მიერ წარდგენილ არგუმენტებზე; მათ არ წარმოადგინეს დეტალური დასაბუთება, თუ რატომ იყო ნებისმიერი საფუძველი თითოეულ საქმეში კარგად არგუმენტირებული.

74. მთავრობამ განაცხადა, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოებმა თავიანთი დადგენილებები საკმაოდ დეტალურად დაასაბუთეს, რადგან გონივრული ეჭვის არსებობა საკმარისი იყო გამოძიების სტადიაზე პატიმრობისთვის, ხოლო ბრალდებულთათვის მათი დანაშაულის დამტკიცების ვალდებულება არ არსებობდა.

75. მთავრობამ დასძინა, რომ განმცხადებელთა საქმეების გამოძიებამ გამოავლინა მათი მონაწილეობა რამდენიმე მსგავს დანაშაულში და რომ ისინი ცდილობდნენ ზემოქმედება მოეხდინათ გარკვეულ მოწმეებზე, რათა მათ ყალბი ჩვენებები მიეცათ. გარდა ამისა, ზოგიერთმა მოწმემ განმცხადებლებს გარკვეული დოკუმენტები შესთავაზა თანხის სანაცვლოდ, რაც ამტკიცებდა, რომ ეს მოწმეები ზეგავლენას ექვემდებარებოდნენ.

76. სასამართლო მიუთითებს, რომ "გონივრული ეჭვის არსებობა, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, *sine qua non* (აუცილებელი, მთარგმნელის შენიშვნა) პირობაა პატიმრობის გაგრძელების კანონიერებისათვის, მაგრამ დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი საკმარისი აღარ არის. ასეთ შემთხვევებში, სასამართლომ უნდა დაადგინოს არის თუ არა სასამართლო ორგანოების მიერ წარმოდგენილი სხვა საფუძვლები კვლავ ძალაში თავისუფლების აღკვეთის გასამართლებლად. იქ სადაც ასეთი საფუძვლები არის "რელევანტური" და "საკმარისი", სასამართლო ასევე უნდა დარწმუნდეს, თუ რამდენად "გულმოდგინედ" იქცეოდა კომპეტენტური ეროვნული ხელისუფლება პროცესების წარმოებისას (იხ. *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ* [GC], 26772/95, §153, ECHR 2000-IV).

77. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მან დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა საქმეზე *სარბანი მოლდოვას წინააღმდეგ* (ციტ. ზემოთ, §104). მის წინაშე წარმოდგენილი მასალის

შენსავლის საფუძველზე სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არ არის რაიმე ელემენტი, რომლის საფუძველზეც იგი წინამდებარე საქმეში განსხვავებულ დასკვნას გააკეთებდა. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოებმა თავიანთ დადგენილებებში არ განიხილეს განმცხადებელთა არგუმენტები, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ისინი ვალდებული იყვნენ ასეთი ფაქტორები განეხილათ (იხ. ზემოთ, პუნქტი 24). გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის მე-3 პუნქტის (იხ. ზემოთ, პუნქტი 24) თანახმად, პატიმრობის გაგრძელების გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს "გამონაკლის გარემოებებში". განმცხადებელთა პატიმრობის ვადის გაგრძელებისას არც ერთ სასამართლოს არ გამოუვლენია რაიმე განსაკუთრებული გარემოება, რომელიც ასეთ გაგრძელებას მოითხოვდა. ამასთანავე გასაკვირია, რომ სასამართლომ განმცხადებელთა გათავისუფლების ბრძანება მხოლოდ 2005 წლის 29 აპრილს გამოსცა, და სწორედ იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომლებზედაც ისინი პატიმრობის დასაწყისიდანვე მიუთითებდნენ (იხ. ზემოთ, პუნქტი 16). როგორც ჩანს, ეს ამტიკიცებს, რომ სასამართლოებს ამ თარიღამდე განმცხადებელთა პატიმრობის გაგრძელების დასაბუთებულობისთვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ.

78. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

IV. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

79. განმცხადებლები ჩიოდნენ საპრობილის ხელმძღვანელობის მხრიდან მათი ადვოკატებთან კომუნიკაციის უფლებაში ჩარევის გამო.

1. მხარეთა არგუმენტები

80. განმცხადებლები ამტიკიცებდნენ, რომ თავიანთ ადვოკატებთან საუბრისას მათ ერთმანეთისაგან შუშის ტიხარი ჰყოფდა, რომელსაც ხერხელები ჰქონდა დატანებული და ცუდი აკუსტიკის გამო ყვირილი უხდებოდათ, რაც დანესებულების მუშაკების ან სხვა პატიმართა მიერ მათი საუბრების მოსმენის საშიშროებას ქმნიდა. ისინი აცხადებდნენ, რომ ასეთი შეხვედრების დროს მათ ესმოდათ სხვა პატიმართა და მათი ადვოკატების საუბრები, რაც კიდევ უფრო ზღუდავდა მათი საუბრის შინაარსს და შესაბამისად ძალზე ამცირებდა მათი დაცვის ქმედითობას. სხვა პატიმრისგან მათ ასევე შეიტყვეს, რომ მას მოსთხოვეს ხელმძღვანელობისთვის გადაეცა მის ადვოკატთან საუბრის შინაარსი. მთავრობას ეს განცხადება არ გაუპროტესტებია. 2005 წლის თებერვლამდე, ანუ სხვა საპრობილეში გადაყვანა-

მდე, მათ საკუთარ ადვოკატებთან თავისუფლად საუბარი არ შეეძლოთ, ხოლო იქ ადვოკატებმა შეძლეს კარგად მოემზადებინათ დაცვის საქმე, რის შედეგადაც 2005 წლის აპრილში განმცხადებლები გაათავისუფლეს.

81. განმცხადებლებმა წარმოადგინეს მოლდოვას ადვოკატთა კოლეგიის დადგენილების ასლი 2004 წლის 1-3 დეკემბერს გაფიცვის ორგანიზების შესახებ, სადაც ისინი უარს ამბობდნენ დასწრებოდნენ ნებისმიერ პროცესს, რომელიც ეხებოდა იზოლატორში მყოფ ბრალდებულთა საქმეებს, ვიდრე ადმინისტრაცია ადვოკატებისთვის არ უზრუნველყოფდა კლიენტებთან კონფიდენციალური შეხვედრების შესაფერის ოთახს (იხ. ზემოთ, პუნქტი 25). განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ ადვოკატები ეჭვობდნენ, რომ იზოლატორში მათ კლიენტებთან შეხვედრების საუბრები ისმინებოდა და ასეთი გზით მოპოვებული ინფორმაცია შეიძლებოდა მათი კლიენტების წინააღმდეგ გამოეყენებინათ.

82. მთავრობამ განაცხადა, რომ თავიანთ თავდაპირველ განაცხადებში განმცხადებლები მე-8 მუხლის საფუძველზე ჩიოდნენ მხოლოდ ადვოკატებთან კომუნიკაციის უფლებაში სავარაუდო ჩარევის გამო და სარბანის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ფონზე სასამართლოს სთხოვდნენ, საკითხი კონვენციის მხოლოდ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე განეხილა.

83. ის ასევე აცხადებდა, რომ შიდასახელმწიფო კანონი უზრუნველყოფდა ადვოკატისა და კლიენტის კონფიდენციალური შეხვედრების უფლებას, მათი რაოდენობისა და ხანგრძლივობის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (განმცხადებლებმა ეს უფლება მრავალჯერ გამოიყენეს), აგრეთვე უზრუნველყოფდა განმცხადებელთა და მათი ადვოკატების უსაფრთხოებას. დანაშაულთა საშიში ხასიათიდან გამომდინარე, რომლებზედაც მუშაობს ეკონომიკური დანაშაულისა და კიშინიოვის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი, მის იზოლატორს უნდა ჰქონოდა ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრების ოთახი, სადაც ისინი ერთმანეთისაგან გაყოფილი იქნებოდნენ ხვრელებიანი შუშის ტიხრით, რათა მათ ნორმალური საუბრის შესაძლებლობა მისცემოდათ. გარდა ამისა, ადვოკატსა და კლიენტს შორის ფიზიკური ბარიერის არარსებობა ადვოკატს დოკუმენტების გაყალბების საშუალებას მისცემდა, მაგალითად, დოკუმენტებზე მისი კლიენტის ხელმოწერის საშუალებით. მთავრობა ხაზს უსვამდა, რომ შეხვედრების ოთახში არასდროს არ ყოფილა დამონტაჟებული რაიმე სასმენი ან ჩამწერი მონაცემილობა, რასაც ადასტურებს ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრიდან წარმოდგენილი სურათები და ვიდეომასალა.

84. ისინი დაეყრდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას სარბანის საქმეზე (ციტ. ზემოთ, § 131), ასევე კიშინიოვის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 3 დეკემბრის დადგენილებას მსგავსი საჩივრის პასუხად (სარბანის საქმე, ციტ. ზემოთ, § 127). გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს საპრობილემში მათი გადაყვანის შემდეგ განმცხადებლებს თავიანთ ადვოკატებთან თავისუფალი კომუნიკაციის საშუალება ჰქონდათ, რადგან იქ, შეხვედრების ოთახში, შუშის ტიხრები არ იყო.

2. სასამართლოს შეფასება

85. ამ საჩივრის კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე განხილვის წინააღმდეგ მთავრობის მიერ გამოთქმულ პროტესტთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ მას შეუძლია საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს კვალიფიციური დახასიათება მისცეს კანონის კონტექსტში (იხ. ზემოთ, პუნქტი 34). ვინაიდან განმცხადებელთა საჩივრის არსი ეხებოდა შუშის ტიხარს ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრის ოთახში, სადაც მათ არ შეეძლოთ კონფიდენციალურად განეხილათ მათი თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებული პროცესის საკითხები, სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში უფრო შესაბამისია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

86. საქმეზე — რეინპრესტი ავსტრიის წინააღმდეგ, 67175/01, §31, ECHR 2005-... სასამართლომ შეაჯამა მისი პრეცედენტული სამართლიდან წარმოშობილი პრინციპები მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესახებ:

"(ა) კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი დაკავებულ და დაპატიმრებულ პირს უფლებას აძლევს დაიწყოს სასამართლო პროცესი, რომელიც განხილავს პროცედურულ და არსებით პირობებს, რომლებიც, კონვენციის ტერმინებით, აუცილებელია მათი თავისუფლების აღკვეთის "მართლზომიერებისთვის" (იხ. სხვა მრავალ საქმეთა შორის, *ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1988 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერიას A 145-B, გვ. 34-35, §65).

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის აუცილებელი არ არის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურას თან სდევდეს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო პროცესებისათვის კონვენციის მე-6 მუხლით მოთხოვნილი გარანტიები, მას უცილობლად უნდა ჰქონდეს სასამართლოს ბუნება და მოცემული თავისუფლების აღკვეთის სახისთვის სათანადო გარანტიები უნდა უზრუნველყოფდეს (იხ., მაგალითად, *ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, *Reports of Judgments and Decisions* 1998-VIII, გვ. 3302, §162, და *ვტოჩი პოლონეთის წინააღმდეგ*, 27785/95, 125, ECHR 2000-XI, ორივე საქმეში მითითებულია საქმეზე *მეგერი გერმანიის წინააღმდეგ*, 1992 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება, სერიას A 237-A, გვ. 11, §22).

(ც) პროცესი უნდა იცავდეს შეჯიბრებითობის პრინციპს და იგი ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს მხარეებს შორის "იარაღთა თანასწორობას" (იხ. *ლამი ბელგიის წინააღმდეგ*, 1989 წლის 30 მარტი, სერიას A 151, §29). იმ შემთხვევაში, როდესაც პირის დაპატიმრება ხვდება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ც) ქვეპუნქტის ფარგლებში, მოითხოვება სასამართლო განხილვა (იხ. *ნიკოლოვა ბულგარეთის წინააღმდეგ* [GC], 31195/96, §58, ECHR 1999-II; *ასენოვი და სხვები*, ციტ. ზემოთ, §162, მითითებები საქმეზე *შესერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1979 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერიას A 34, გვ. 13, §§30-31; *სანჩეზ-რეისე შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1986 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერიას A 107, გვ. 19, §51; და *კამპანისი საბერძნეთის წინააღმდეგ*, 1995 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, სერიას A 318-B, გვ. 45, §47).

(დ) გარდა ამისა, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს, რომ ნინასნარ პატიმრობაში მყოფ პირს უფლება აქვს მისი პატიმრობის საკითხი დროის გონივრულ ინტერვალებში განხილული იქნეს სასამართლოს მიერ მისი პატიმრობის მართლზომიერების საკითხის დადგენის მიზნით (იხ. *ასენოვი და სხვები*, ციტ. ზემოთ, გვ. 3302, §162, მითითება საქმეზე *ბეზირერი იტალიის წინააღმდეგ*, 1989 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერიას A 164, გვ. 10-11, §§20-21)."

87. აღიარებულ იქნა, რომ მე-6 მუხლი შეიძლება გარკვეულწილად გამოყენებული იქნეს წინასწარი პატიმრობის ეტაპზე (იხ. მაგალითად, *ობრიოსცია შეეცარიის ნინაალმდეა*, 1993 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A 275, გვ. 13, §36, და *ჯონ მურეი გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეა*, 1996 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება, *მოხსენებები*, 1996-I, გვ. 54, §62), რომლის განმავლობაშიც ჩვეულებრივ ადგილი აქვს წინასწარი პატიმრობის მართლზომიერების განხილვას. თუმცა ეს გამოყენება გარკვეული ასპექტებითაა შეზღუდული.

მიჩნეულია, რომ მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიები, რომლებიც ეხება ადვოკატზე ხელმისაწვდომობას, ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს *habeas corpus* პროცესებში (იხ., მაგალითად, *უინთერვერპი ნიდერლანდების ნინაალმდეა*, 1979 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია A 33, §60). საქმეში *ბუამარი ბელგიის ნინაალმდეა* (1988 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 129, §60), სასამართლომ დაადგინა, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ ინდივიდუალურ პირს მისი საქმის განხილვის საშუალება ჰქონდეს, არამედ ისიც, რომ მან მიიღოს მისი ადვოკატისაგან ეფექტიანი დახმარება.

88. ამ საქმეში სასამართლოს ამოცანაა დაადგინოს, ჰქონდათ თუ არა განმცხადებლებს მათი ადვოკატებისაგან ეფექტიანი დახმარების მიღების საშუალება, რომელიც ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.

89. ადვოკატის მიერ მისი კლიენტის ინტერესების ეფექტიანი წარმოდგენის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი მათ შორის ინფორმაციის გაცვლის საიდუმლოების დაცვის პრინციპია. ეს უფლება ხელს უწყობს კლენტსა და ადვოკატს შორის გულახდილ და პატიოსან ურთიერთობას. სასამართლო იხსენებს, რომ მან ადრე უკვე დაადგინა, რომ პირის ადვოკატთან კომუნიკაციის კონფიდენციალობა კონვენციითაა დაცული, როგორც პირის დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი (იხ. მაგალითად, *კემპელი გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეა*, 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, სერია A 233, §46 და რეკომენდაცია Rec(2006)2 (იხ. ზემოთ, პუნქტი 31)).

90. ბუნებრივია, რომ თუ ადვოკატს საშუალება არ ჰქონდა, თავისი კლიენტისთვის გადაეცა ან მისგან მიეღო კონფიდენციალური ინსტრუქციები თვალთვალის გარეშე, მისი დახმარება პრაქტიკულად უსარგებლო იქნებოდა, მაშინ, როცა კონვენცია მოწოდებულია დაიცვას უფლებები, რომლებიც არის პრაქტიკული და შედეგიანი (იხ., *inter alia*, *არტიკო იტალიის ნინაალმდეა*, 1980 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, სერია A 37, გვ. 16, §33).

91. სასამართლოს მიაჩნია, რომ ადვოკატისა და კლიენტის უფლებაში ჩარევა, და, ამრიგად, დაპატიმრებული პირის დაცვის უფლებაში ჩარევა, აუცილებელი არ არის განხორციელდეს ფაქტობრივი მოსმენით ან მიყურადებით. სასამართლოს აზრით, გონივრულ საფუძვლებზე დაყრდნობილი რეალური რწმენა, რომ მათი საუბარი ისმინებოდა, შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს ადვოკატის დახმარების ეფექტიანობის შესაზღუდად. ასეთი რწმენა უდაოდ შეუძლის ხელს ადვოკატისა და კლიენტის თავისუფალ დისკუსიას და ზიანს მიაყენებს პირის უფლებას გაასაჩივროს მისი დაპატიმრების მართლზომიერება.

92. აქედან გამომდინარე, სასამართლომ აუცილებლად უნდა დაადგინოს, ჰქონდათ თუ არა განმცხადებლებსა და მათ ადვოკატებს გონივრულ საფუძვლებზე დაყრდნობილი რეალური რწმენა, რომ მათი საუბარი ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრის ოთახში კონფიდენციალური არ იყო. განმცხადებელთა მოსაზრებებიდან ჩანს, რომ მათი შიში საუბრების მოსმენასთან დაკავშირებით არ იყო რეალურ საფუძველს მოკლებული. სასამართლო ასევე განიხილავს, ექნებოდა თუ არა მოსმენის ან მიყურადების შიში ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრის ოთახში ობიექტურ, სამართლიან და ინფორმირებულ დამკვირვებელს.

93. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრის ოთახში კონფიდენციალობის სავარაუდო ხარვეზი მოლდოვას ადვოკატთა მთელი კორპუსის სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რასაც მოლდოვას ადვოკატთა კოლეგიის გაფიცვა მოჰყვა (იხ. ზემოთ, პუნქტი 25). ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის ადმინისტრაციამ ადვოკატთა კოლეგიას შუშის ტიხრის შემონებაზე უარი უთხრა (იხ. ზემოთ, პუნქტი 26), რომელშიც, ამ უკანასკნელთა ვარაუდით, სასმენი მონყობილობა იყო დამონტაჟებული. ამ უარით, როგორც ჩანს, ადვოკატთა ეჭვი კიდევ უფრო გამყარდა. ეს შეშფოთება და ადვოკატთა კოლეგიის პროტესტი, სასამართლოს აზრით, საკამარისია ობიექტური დამკვირვებლისთვის ეჭვი გაუჩნდეს კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.

94. განმცხადებელთა მითითება, რომ მათ ესმოდათ სხვა პატიმართა და მათ ადვოკატთა შორის მიმდინარე საუბარი (იხ. ზემოთ, პუნქტი 80) ვერ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრის ოთახში ხდებოდა მიყურადება. თუმცა ადვოკატთა კოლეგიის ზოგადი შეშფოთების ფონზე ასეთი ვარაუდი შესაძლოა საკამარისი აღმოჩნდეს ობიექტური დამკვირვებლის ეჭვების გასამყარებლად.

95. შესაბამისად, სასამართლო ასკენის, რომ განმცხადებლებსა და მათ ადვოკატებს საკმაო საფუძვლები ჰქონდათ ერწმუნათ, რომ ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრის ოთახში მათი საუბრები კონფიდენციალური არ იყო.

96. გარდა ამისა, მთავრობის განცხადების საწინააღმდეგოდ, რომ განმცხადებლებსა და მათ ადვოკატებს ადვილად შეეძლოთ გაეცვალათ დოკუმენტები, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი სურათები (იხ. ზემოთ, პუნქტები 21 და 83) უჩვენებს, რომ ეს ასე არ იყო, რადგან შუშის ტიხარს რაიმე ჭრილი არ ჰქონდა. ეს, სასამართლოს აზრით, კიდევ უფრო ართულებდა ადვოკატთა ამოცანას.

97. სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში *სარბანი მოლდოვას წინააღმდეგ*, რომელიც განხილულ იქნა კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე, მან უკუაგდო მსგავსი საჩივარი, რადგან განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა მისი საჩივრის გამამყარებელი მტკიცებულება. ამასთანავე, სასამართ-

ლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელსა და მის ადვოკატს შორის ურთიერთობის ბარიერები ხელს ვერ შეუშლიდა შიდასახელმწიფო ორგანოებში მისი ეფექტიანი დაცვის წარმოდგენას. თუმცა, მის ხელთ არსებული დამატებითი ინფორმაციის გათვალისწინებით, კერძოდ, შუშის ტიხრით შექმნილი ბარიერისა, რომელიც რეალურად უშლიდა ხელს კონფიდენციალურ საუბრებსა და დოკუმენტების გაცვლას ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის იზოლატორში, სასამართლო ახლა დარწმუნებულია, რომ შუშის ტიხრის არსებობა დაბრკოლებას უქმნის დაცვის უფლებას.

98. მთავრობა მიუთითებდა საქმეზე *კროჩერი და მოლერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, სადაც ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული შუშის ტიხარი არ იქნა მიჩნეული კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლების დარღვევად. სასამართლო მიუთითებს, რომ *კროჩერის და მოლერის საქმეში* განმცხადებლებს ბრალი ედებოდათ განსაკუთრებით ძალადობრივ ქმედებებში და ისინი საშიშ დამნაშავეებად ითვლებოდნენ. წინამდებარე საქმეში განმცხადებლები ადრე ნასამართლედ არ არიან და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო არაძალადობრივი დანაშაულისთვის. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის იზოლატორში პატიმართა პიროვნული თვისებებისთვის რაიმე ყურადღება არ მიუქცევიათ. შუშის ტიხარი იყო საერთო ბარიერი, რომელიც იზოლატორში ყელაზე ახდენდა ზემოქმედებას, პატიმართა პირადი გარემოებების მიუხედავად.

99. მთავრობის მიერ მითითებული უსაფრთხოების მიზნები დამაჯერებელი არ არის, რადგან საქმის მასალებში უსაფრთხოების რისკზე არაფერი მიუთითებს. გარდა ამისა, გამონაკლის შემთხვევებში, სადაც ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრებზე ზედამხედველობა შეიძლება გამართლებული იქნეს, ასეთი მიზნებისთვის საცხებით საქმარისი იქნებოდა ვიზუალური თვალთვალი.

100. ზემოაღნიშნულის ფონზე სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელთა მიერ თავიანთ ადვოკატებთან მათ დაცვასთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხების განხილვის წინაშე არსებულმა დაბრკოლებებმა და მათი პატიმრობის გასაჩივრებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ზემოქმედება მოახდინა დაცვის უფლებაზე.

101. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

102. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

"თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშეწყვეტილი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლო-

ბას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

ა. ზიანი

103. განმცხადებლები არამატერიალური ზიანის კომპენსაციისთვის ითხოვდნენ: ბ-ნი ისტრატი - 11 000 ევროს, ბ-ნი ბურკოვსჩი და ბ-ნი ლუტკანი — 8000 ევროს თითოეული. ისინი მიუთითებდნენ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე და აღნიშნავდნენ, რომ იგივე რაოდენობის თანხა სასამართლოს მანამდე მიკუთვნებული ჰქონდა კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლის დარღვევებისთვის.

104. მთავრობა არ დაეთანხმა განმცხადებელთა მიერ მოთხოვნილ თანხას; სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ფონზე მან ეს თანხა გადაჭარბებულად მიიჩნია. მთავრობა აღნიშნავდა, რომ განმცხადებელთა მიერ მითითებული პრეცედენტული სამართალი ეხებოდა სიტუაციებს, რომლებსაც არაფერი ჰქონდა საერთო მათ საქმესთან დაკავშირებული სავარაუდო დარღვევების ბუნებასთან და სიმძიმესთან განმცხადებლებზე მოხდენილი ზემოქმედებისა და სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულების თვალსაზრისით.

105. სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლები უდავოდ იყვნენ აღელვებულები და განიცდიდნენ გარკვეულ ტანჯვას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სასამართლოებმა მათი დაპატიმრების შესახებ ბრძანება სათანადო და საკმარისი დასაბუთების გარეშე გამოსცეს, ხოლო შემდეგ, 2005 წლის 23 თებერვლიდან 29 აპრილამდე, ხელისუფლებას ნება დართეს, ისინი არაადამიანურ და ღირსების შემლახველ პირობებში ყოფილიყვნენ პატიმრობაში. გარდა ამისა, განსაკუთრებით დაზარალდა ბ-ნი ლუტკანი, რადგან მას საშუალება არ ჰქონდა, ენახა თავისი მეუღლე და ახალდაბადებული შვილი, ხოლო ბ-ნი ისტრატი იტანჯებოდა ტკივილებისა და მღელვარებისაგან, რადგან იგი ხელისუფლებამ გადაუდებელ სიტუაციაში დროული სამედიცინო დახმარებით ვერ უზრუნველყო. იგი ასევე დაამცირეს საავადმყოფოში და მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა, რადგან ოპერაციიდან მოკლე ხანში კვლავ საპატიმრო დაწესებულებაში დააბრუნეს.

106. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და გადაწყვეტილების სამართლიანობის საფუძველზე მიღებით, სასამართლო აკუთვნებს 4000 ევროს ბ-ნი ბურკოვსჩის, 5000 ევროს ბ-ნი ლუტკანს და 6000 ევროს ბ-ნი ისტრატის, არამატერიალური ზიანის კომპენსაციის სახით.

ბ. ხარჯები და განუშლი დანახარჯები

107. განმცხადებლები მოითხოვდნენ 8 140 ევროს სასამართლო ხარჯებისთვის. მათ წარმოადგინეს საქმის მომზადებისთვის დახარჯული საათების რაოდენობა (77 საათი) და თითოეული საქმიანობისთვის საათობრივი

ანაზღაურების ნიხრი. ისინი მიუთითებდნენ ფაქტზე, რომ მათ ადვოკატებს ადამიანის უფლებათა სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. მათ ჩამონათვალში ასევე ჩართეს სწრაფი საფოსტო გზავნილების ხარჯები.

108. მთავრობამ წარმოდგენილი მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიიჩნია. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოძიებისთვის 15 საათის დახარჯვა და განმცხადებლის მოსაზრებების ჩამოყალიბებისათვის მრავალი საათის დახარჯვა მან საეჭვოდ მიიჩნია. მთავრობა დაინტერესდა ხარჯებში ჩართული გადასახადების ბუნებითა და ფარგლებით, რადგან მან არ იცოდა, თუ რა სახის გადასახადზე უთითებდნენ განმცხადებლები.

109. მთავრობამ ხაზგასმით მიუთითა სამივე საქმის მსგავსებაზე და მათ მსგავსებაზე სარბანის საქმესთან, რომელშიც განმცხადებელს იგივე ადვოკატი წარმოადგენდა. შესაბამისად, ადვოკატს საქმის მომზადებაზე უდავოდ ნაკლები დრო უნდა დაეხარჯა. მთავრობამ სასამართლოს სთხოვა, უკუეგდო განმცხადებელთა მოთხოვნა ხარჯებისა და განეული დახარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, როგორც ეს მანამდე ხდებოდა მთელი რიგი საქმეების შემთხვევაში.

110. სასამართლო მიუთითებს, რომ იმისათვის, რომ 41-ე მუხლის საფუძველზე მოხდეს ხარჯების ანაზღაურება, უნდა დადგინდეს, რომ იგი იყო რეალური და აუცილებელი, ხოლო მათი ოდენობა — დასაბუთებული (კროიტორუ მოვლადიანი ნინააღმდეგ, 18882/02, §35, 2004 წლის 20 ივლისი).

111. ამ საქმეში, განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილ პუნქტობრივ ნუსხის, განმცხადებელთა რაოდენობის და განსახილველ საკითხთა რაოდენობისა და სირთულის გათვალისწინებით, სასამართლო ყველა განმცხადებელს ერთობლივად აკუთვნებს 4000 ევროს ყველა სასამართლო ხარჯისთვის.

ბ. საშუალო

112. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ოდენობით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტული პუნქტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს დასაშვებად განაცხადებს;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი ბატონი ისტრატის მიმართ არასათანადო სამედიცინო დახმარებისა და მისი დამცირების გამო, ხოლო დანარჩენი ორი განმცხადებლის მიმართ ეს მუხლი არ დარღვეულა;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი თითოეული განმცხადებლის მიმართ 3 საპრობილემო არსებული პატიმრობის პირობების გამო;
4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი თი-

თოვლი განმცხადებლის მიმართ მათი დაპატიმრების არასაკმარისი დასაბუთების გამო;

5. ადგენს, რომ დაირღვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი თითოეული განმცხადებლის მიმართ, კონფიდენციალურ გარემოში ადვოკატებთან ურთიერთობის უფლებაში ჩარევის გამო;

6. ადგენს,

(a) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ დღიდან, როდესაც გადანყვეტილება საბოლოო ვახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 4000 (ოთხი ათასი) ევრო ბატონ ბურკოვსჩის, 5000 (ხუთი ათასი) ევრო ბატონ ლუტკანს და 6000 (ექვსი ათასი) ევრო ბატონ ისტრატის, კონვერტირებული მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით, დამატებული ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა;

(b) რომ ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებამდე ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება უბრალო პროცენტები ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;

7. უარყოფს განმცხადებელთა დანარჩენ მოთხოვნებს

სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2007 წლის 27 მარტს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ფატომ არაჩი
ხრისტოს როზაკისი
სექციის მდივანი

ნიკოლას ბრატზა
თავმჯდომარე

კოვაჩი უკრაინის წინააღმდეგ

Kovach v. Ukraine

კოვარი უკრაინის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეხუთე სექცია

საქმე კოვარი უკრაინის წინააღმდეგ

CASE OF KOVACH v. UKRAINE

(განაცხადი 39424/02)

გადანმეტილება

სტრასბურგი

2008 წლის 7 თებერვალი

საბოლოო

07/05/2008

ეს გადანმეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე “*კოვაჩი უკრაინის წინააღმდეგ*”,
(*Kovach v. Ukraine*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (მეხუთე სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

პერ ლორენზენი, *თავმჯდომარე*,
კარელ კოვლერი,
კარელ იუნგვიერტი,
ვოლოდიმირ ბუტკევიჩი,
მარგარიტა ცაცა-ნიკოლოვსკა,
ჰავიერ ბორეგო-ბორეგო,
რენატე იაეგერი,
მარკ ვილიგერი, *მოსამართლეები*,
და კლაუდია ვესტერდიეკი, *სექციის მდივანი*,

მოითათბირა 2008 წლის 15 იანვარს და

იმავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (39424/02) უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე უკრაინის მოქალაქის, ბ-ნი მიკოლა მიკოლას ძე კოვაჩის ("განმცხადებელი") მიერ 2002 წლის 17 ოქტომბერს.

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ქ-ნი ნ. პეტროვა, კიევში მოღვაწე ადვოკატი. უკრაინის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა მისი წარმომადგენელი, ბ-ნი იური ზაიცევი.

3. 2006 წლის 14 თებერვალს სასამართლომ გადაწყვიტა მთავრობისთვის შეეტყობინებინა განაცხადის შესახებ. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მან გადაწყვიტა ერთდროულად განეხილა განაცხადის არსებითი მხარე და მისი დასაშვებობა.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

1. მოვლენები, რომელთა საფუძველზედაც წარმოიშვა განმცხადებლის ქვემოთ მოცემული საჩივრები

4. განმცხადებელი იყო 2002 წლის 31 მარტის საპარლამენტო არჩევნების კანდიდატი ზაკარპატიეს ოლქის 72 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში (*Одномаандатний виборчий округ № 72*).

5. ამ ოლქში დარეგისტრირებულ კანდიდატთა შორის იყო ბატონი 'გ', რომელსაც საქმესთან დაკავშირებულ დროს ეკავა ზაკარპატიეს მხარის ბერეგოვოს რაიონის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტი (*Берегівська державна адміністрація Закарпатської області*).

6. 2002 წლის 13 და 28 მარტს ადგილობრივ უნგრულენოვან გაზეთებში — ბერენგიფო (*Bereginfo*) და კარპატი იგაზ სზო (*Karpati Igaz Szo*) — გამოქვეყნდა შემდეგი მიმართვა ამომრჩევლებისადმი:

"ჩვენ მტკიცედ გვნამს, რომ ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც პატივს სცემს [ბატონ 'გ'-ს] თავისი მხარდაჭერით, კვირას შეუძლია სუფთა სინდისით გამოხატოს საკუთარი რწმენა და ნდობა მის მიმართ, რითაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის შესაძლო საუკეთესო მომავალს. იგი ერთადერთი კანდიდატია, რომელიც პატივს სცემს ყოველი ჩვენგანის ინტერესებს და ამ ინტერესების უმაღლეს დონეზე წარმოდგენისა და დაცვის უნარი შესწევს. ეს არის კაცი, რომელიც არასოდეს არ უღალატებს თქვენს ნდობას და ყველაფერს გააკეთებს მომავალში ამომრჩეველთა სრული მხარდაჭერის შესანარჩუნებლად."

7. მოწოდებას თან ახლდა მრავალი ხელმოწერა, მათ შორის, ქ-ნი 'დ'-ის, 72 ოლქის საარჩევნო კომისიის (*Округна виборча комісія*) მდივნის, და ამავე კომისიის თავმჯდომარის, ბ-ნი 'ო'-ის.

8. 2002 წლის 31 მარტს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების დროს, დამკვირვებელმა, რომელიც ბატონ 'გ'-ს წარმოადგენდა 72 ოლქის მე-14 უბანზე, შეადგინა აქტი (*акт*), სადაც იგი წერდა, რომ შეესწრო როგორ ავდებდა უცნობი პირი საარჩევნო ყუთში ერთდროულად რამდენიმე ბიულეტენს (მისი აზრით შეიძლება ბიულეტენი იქნებოდა). აქტს ხელს აწერდა ორი ამომრჩეველი. საარჩევნო კანონის დარღვევებთან დაკავშირებით მსგავსი აქტები შეადგინეს ბ-ნი 'გ'-ის დამკვირვებლებმა 45 და 58 უბნებზე, სადაც მათ საარჩევნო ყუთში შესაბამისად ხუთი და ათი ბიულეტენის ერთდროული ჩაგდება დააფიქსირეს.

9. კომპიუტერული სისტემით შეჯამებული პირველი შედეგების შესაბამისად, განმცხადებელმა მოაგროვა 33 567 ხმა, ხოლო მისმა ძირითადმა ოპონენტმა, ბატონმა 'გ'-მ, — 33 524. მე-14 საარჩევნო უბანზე საერთო 1570 ბიულეტენიდან განმცხადებელმა მიიღო 537 ხმა, ხოლო ბატონმა 'გ'-მ

— 291. 45-ე უბანში 1244 ხმიდან 711 ხმა განმცხადებელმა მიიღო, ხოლო 372 — მისმა ოპონენტმა. 58-ე უბანზე 830 ხმიდან 475 მიიღო განმცხადებელმა და 219 — ბატონმა 'გ'-მ. 67-ე უბანზე 1480 ხმიდან 765 ხმა განმცხადებელმა მიიღო, ხოლო 387 — განმცხადებლის ოპონენტმა. საბოლოოდ, ზემოაღნიშნულ ოთხ საარჩევნო უბანზე განმცხადებელმა მიიღო 2488 ხმა, ხოლო ბატონმა 'გ'-მ — 1269.

10. 72 ოლქის საარჩევნო კომისიის 2002 წლის 2 აპრილის 36 დადგენილებით, დამკვირვებელთა ზემოაღნიშნული ოქმების საფუძველზე, მე-14, 45-ე და 58-ე საარჩევნო უბნების შედეგები ბათილად გამოცხადდა იმ საფუძველით, რომ ადგილი ჰქონდა საარჩევნო კანონის სერიოზულ დარღვევებს. ასევე დადგინდა, რომ 2002 წლის 1 აპრილს გამთენიისას, უბნების დახურვისა და დათვლის შემდეგ, 67-ე უბნის საარჩევნო კომისიის წევრებმა უკანონოდ გახსნეს დალუქული საარჩევნო უბანი და ამოიღეს კენჭისყრის ჩანაწერების ორიგინალები და მრავალი ბათილად ცნობილი ბიულეტენი. მომდევნო დღეს ამ უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ეს ჩანაწერები და ბიულეტენები 72 ოლქის საარჩევნო კომისიაში მიიტანა. ამ მოქმედებასთან დაკავშირებით რაიმე განმარტება არ მიუციათ. აქედან გამომდინარე, ასევე ბათილად გამოცხადდა 67-ე უბნის შედეგები. იმავე დღეს განმცხადებელმა ეს დადგენილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (*Центральна виборча комісія*, შემდგომში "ცესკო") გაასაჩივრა.

11. 72 ოლქის საარჩევნო კომისიამ 37 დადგენილებით კენჭისყრის საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმად განმცხადებელმა მიიღო 31 079 ხმა, ხოლო ბატონმა 'გ'-მ — 32 255. ეს შედეგები შეესაბამებოდა კენჭისყრის ზემოაღნიშნულ პირველ შედეგებს, მე-14, 45-ე, 58-ე და 67-ე უბნებზე მიღებული ხმების გამოკლების შემდეგ. შესაბამისად, გამოცხადდა, რომ ბ-ნი 'გ' არჩეულ იქნა პარლამენტის წევრად ამ ოლქიდან.

2. კენჭისყრის შედეგების გაუქმების პროცედურა ოთხ საარჩევნო უბანზე

12. 2002 წლის 3 აპრილს მე-14, 45-ე, 58-ე და 67-ე საარჩევნო უბნების კომისიების თავმჯდომარეებმა განცხადება გაუგზავნეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელშიც მიუთითებდნენ, რომ არც ერთ ოფიციალურ დამკვირვებელს არჩევნების ან ხმების დათვლის მიმდინარეობისას რაიმე დარღვევა არ დაუფიქსირებია და რომ იმ დამკვირვებელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც დარღვევებზე მიუთითებდა, შეიქმნა ბიულეტენების დათვლის შემდეგ, "რომლის შედეგები არც ერთ კანდიდატს არ გაუსაჩივრებია".

13. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განმცხადებლის 2002 წლის 2 აპრილის საჩივრის საფუძველზე, 2002 წლის 5 აპრილის 750 დადგენილებიდან გააუქმა 36 დადგენილება და 72 ოლქის საარჩევნო კომისიას დაავალა, დასაბუთებული დადგენილება მიეღო ოთხ უბანზე კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებით. საპარლამენტო არჩევნების შესახებ აქტის 70-ე განყოფილების 1-ლ პუნქტზე

მითითებით ცესკომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული დადგენილება სათანადოდ არ იყო დასაბუთებული და არ არსებობდა დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ ადგილი ოყო დარღვევები ან უკანონოდ ჩაყრილი ბიულეტენების რაოდენობა თითოეულ საარჩევნო უბანზე ხმათა 10 პროცენტს აღემატებოდა.

14. 2002 წლის 6 აპრილს 72 ოლქის საარჩევნო კომისიის სხდომაზე (ცხრა ხმით ორის წინააღმდეგ, სამმა თავი შეიკავა) მიიღეს 40 და 41 დადგენილებები, რომელთა საფუძველზე მე-14, 45-ე, 58-ე და 67-ე უბნებზე კენჭისყრის შედეგები ბათილად გამოცხადდა იმავე მიზეზების გამო, რომლებზედაც მანამდე მიუთითეს. ამ დადგენილებებში კომისიამ აღნიშნა, რომ საპარლამენტო არჩევნების შესახებ აქტის 72-ე განყოფილების მე-12 პუნქტი იძლევა კენჭისყრის შედეგების გაუქმების საშუალებას, თუ "სხვა გარემოებები შეუძლებელს ხდის დადგინდეს ამომრჩეველთა ნების გამოხატვის შედეგები", იმ გარემოებებთან ერთად, რომლებიც აქტის 70-ე განყოფილებაშია ჩამოთვლილი. კომისიამ ასევე მიუთითა, რომ, ვინაიდან 72-ე განყოფილებაში ეს "სხვა გარემოებები" ჩამოთვლილი არ არის, საკითხის გადაწყვეტა მის ექსკლუზიურ კომპეტენციაში ექცევა. და ბოლოს, 72 ოლქის საარჩევნო კომისიამ დაასკვნა, რომ მის მიერ დადგენილი დარღვევები და დამკვირვებელთა მიერ აღნიშნული დარღვევები შეიძლება მიჩნეულიყო "სხვა გარემოებებად", რომლებიც ამომრჩეველთა ნების გამოხატვის შედეგების დადგენას შეუძლებელს ხდიდა.

15. 2002 წლის 9 აპრილს განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა 2002 წლის 6 აპრილის 40 და 41 დადგენილებების გაუქმების შესახებ. იგი აცხადებდა, რომ 72 ოლქის საარჩევნო კომისიამ არ დაიცვა ცესკოს ინსტრუქცია, რომელიც მან ამ უკანასკნელის 2002 წლის 5 აპრილის დადგენილებით მიიღო და რომელიც სათანადო საფუძვლების წარდგენას ითხოვდა.

16. 2002 წლის 12 აპრილის 858 დადგენილებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის 2002 წლის 9 აპრილის საჩივარი იმ საფუძველით, რომ, საპარლამენტო არჩევნების შესახებ აქტის 72-ე განყოფილების თანახმად, ხმების ბათილად გამოცხადების გამომწვევი "სხვა გარემოებების" დადგენის ამოცანა საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

17. განმცხადებელმა ეს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით მხარი დაუჭირა ცესკოს დასკვნებს, მათ შორის, საპარლამენტო არჩევნების შესახებ 2001 წლის აქტის 72-ე განყოფილებაში განსაზღვრული "სხვა გარემოებების" დადგენასთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიის ექსკლუზიური უფლებამოსილების თაობაზე.

3. პროცედურები საარჩევნო კანონის დანარჩენ სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით

18. 2002 წლის 3 აპრილს განმცხადებლის დამკვირვებელმა, ბატონმა 'ვ'-მ, სხვა კანდიდატთა დამკვირვებლების, 72 ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და ორი წევრის თანდასწრებით შეადგინა აქტი საარჩევნო

კანონის დარღვევის შესახებ. ავტორთა აზრით, საარჩევნო კომისიის ოფისში, რომელიც ბერეგოვოს სახელმწიფო ადმინისტრაციის შენობის სარდაფში მდებარეობს, არ იყო სათანადო პირობები ბიულეტენების უსაფრთხოდ და დაუზიანებლად შენახვის უზრუნველსაყოფად; კერძოდ, ისინი აცხადებდნენ, რომ კარები და ბიულეტენის შესავსები კაბინები დალუქული არ იყო, ხოლო ერთ კარს საკეტი საერთოდ არ ჰქონდა.

19. 2002 წლის 5 აპრილს განმცხადებელმა გაასაჩივრა ცესკოს 2002 აპრილის 37 დადგენილება, რომლითაც ბ-ნი 'გ' 72 ოლქში არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადდა.

20. 2002 წლის 7 აპრილს, ცესკოს მიერ 750 დადგენილების (იხ. ზემოთ, პუნქტი 13) მიღების შემდეგ, მე-14, 45-ე, 58-ე და 67-ე უბნებზე ხმების ხელახალი დათვლა გაიმართა. ხელახალი დათვლის შემდეგ 72 ოლქის საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა ოლქში კენჭისყრის შედეგების დეტალური ოქმი, რომელიც 2002 წლის 7 აპრილით იყო დათარიღებული და მასში გამოვრებული იყო 37 დადგენილებაში მითითებული შედეგები.

21. იმავე დღეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა, ორი წარუმატებელი კანდიდატის ორ დამკვირვებელთან ერთად, ცესკოს სახელზე მემორანდუმი მოამზადა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ბიულეტენების შეკვრები 67-ე უბნის საარჩევნო კომისიას არ დაუღუქავს, რომ ზოგიერთი ბიულეტენი დაზიანებული იყო და ამ ფაქტორების გამო გამორიცხული არ იყო ამ ბიულეტენებზე მესამე მხარეთა ხელმისაწვდომობა.

22. 2002 წლის 14 აპრილს 72 ოლქის საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის შედეგების შესწორებული ოქმი (იხ. ქვემოთ, პუნქტი 27) შეადგინა.

23. იმავე დღეს 67-ე უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ და სამმა წევრმა მემორანდუმი გაუგზავნეს ცესკოს, რომელშიც ისინი აცხადებდნენ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ და მდივანმა, მუნიციპალური საბჭოსა და სახელმწიფო ადმინისტრაციის ოთხი ოფიციალური პირის თანხლებით, რომლებიც ბ-ნი 'გ'-ის მიერ დანიშნული დამკვირვებლები იყვნენ, მათ სახლებში მიაკითხეს და მოსთხოვეს ხელი მოეწერათ კენჭისყრის შედეგების შესწორებული ოქმისთვის. დოკუმენტის ხელმოწერმა პირებმა ეჭვი გამოთქვეს 2002 წლის 14 აპრილის ოქმში დაფიქსირებული ციფრების მიმართ.

24. 2002 წლის 15 აპრილს კენჭისყრის შედეგების შესწორებული ოქმი ცესკოს გაეგზავნა.

25. 2002 წლის 16 აპრილს განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა ცესკოში და 2002 წლის 14 აპრილის ოქმის ძალადაკარგულად გამოცხადება მოითხოვა. მან მიუთითა 2002 წლის 13 და 28 მარტს გაზეთებში — *ბერეგინო* და *კარპატი იგაზ სზო* — გამოქვეყნებულ მიმართვაზე ამომრჩევლებისადმი და გააკრიტიკა კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მონაწილეობა მისი ოპონენტის კამპანიაში. იგი ასევე მიუთითებდა, რომ, პირობები, რომელშიც ინახებოდა კენჭისყრის მასალები და, ასევე კენჭისყრის ახალი ოქმის შექმნა, ეჭვქვეშ აყენებდა კენჭისყრის შედეგებს, რომლებიც 2002 წლის 7 აპრილს ხელახალი დათვლის შემდეგ გამოქვეყნდა.

26. 2002 წლის 18 აპრილით დათარიღებული წერილით 72 ოლქის საარჩევნო კომისიამ ცესკოს შეატყობინა, რომ კომისიის ოფისი სათანადოდ იყო დაცული ზაკარპატიეს ოლქის პოლიციის დეპარტამენტის (*ГУ МВС України в Закарпатській області*) ინსტრუქციების შესაბამისად და რომ მასში რაიმე უკანონო შეღწევას ადგილი არ ჰქონია.

27. 2002 წლის 18 აპრილის დადგენილებით ცესკომ განიხილა და არ დააკმაყოფილა განმცხადებლის 2002 წლის 5 და 16 აპრილის საჩივრები. მან აღნიშნა, რომ კენჭისყრის ოქმი, რომელიც 2002 წლის 7 აპრილის ხელახალი დათვლის შემდეგ შეადგინეს, არ შეიცავდა გარკვეულ მონაცემებს, კერძოდ, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას და რომ 2002 წლის 14 აპრილის შესწორებულ ოქმში ეს ხარვეზი გასწორდა. ცესკომ ასევე მიუთითა, რომ 2002 წლის 2 აპრილს მიღებული 37 დადგენილება კანონიერი და იურიდიული ძალის მქონე იყო, რადგან, კენჭისყრის შესწორებული ოქმის შესაბამისად, ბატონმა 'გ'-მ ხმათა უმრავლესობა მიიღო. გარდა ამისა, არაფერი არ მიუთითებდა იმაზე, რომ ხელახალი დათვლის ორგანიზების ფორმამ ზემოქმედება იქონია კენჭისყრის შედეგების სიზუსტეზე. ამასთან დაკავშირებით, ცესკომ მიუთითა 72 ოლქის საარჩევნო კომისიის 2002 წლის 18 აპრილის წერილზე, რომელიც მისი ოფისის უსაფრთხოების საკითხებს ეხებოდა. და ბოლოს, ცესკომ დაასკვნა, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო საპარლამენტო არჩევნების შესახებ აქტი მიეთითებინა რაიმე საფუძველზე, რომელიც 72 ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის თანამდებობიდან განთავისუფლებას უზრუნველყოფდა.

28. განმცხადებელმა ეს დადგენილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც 2002 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დააკმაყოფილა. მან დაადგინა, რომ 2002 წლის 18 აპრილის დადგენილება მიიღეს ცესკოს კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონით დადგენილი წესის დაცვით.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონი

ა. უკრაინის კონსტიტუცია

29. კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი ადგენს:

“მუხლი 76

... უკრაინის მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღეს შეუსრულდა ოცდაერთი წელი, აქვს ხმის უფლება და თუ მოქალაქე უკრაინის ტერიტორიაზე ცხოვრობდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მას უფლება აქვს არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრად...”

ბ. 2001 წლის 18 ოქტომბრის აქტი საპარლამენტო არჩევნების შესახებ (ძალაში იყო საქმისთან დაკავშირებულ დროს)

30. საქმესთან დაკავშირებულ დროს უკრაინის საარჩევნო სისტემა რეგულირდებოდა აქტის 1-ლი განყოფილებით. იგი ეფუძნებოდა შერეულ პროპორციულ სისტემას, სადაც *ვერხოვნა რადას* (უკრაინის ერთპალატიანი პარლამენტი) 450 წევრიდან 225-ს ირჩევდნენ ერთმანდატიანი ოლქებიდან ხმათა უბრალო უმრავლესობით (იხ. *სუხოვეცი უკრაინის წინააღმდეგ*, 13716/02, ECHR 2006-...), ხოლო დანარჩენი 225 ადგილი განკუთვნილი იყო პარტიული სიებით წარმოდგენილი კანდიდატებისთვის (იხ. *მელნიჩენკო უკრაინის წინააღმდეგ*, 17707/02, ECHR 2004-X).

31. აქტის მე-18 განყოფილების შესაბამისად, საარჩევნო კომისიების სისტემაში შედიოდა ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო საარჩევნო კომისიები და საუბნო კომისიები. თითოეულ საარჩევნო ოლქში მრავალი უბანი შედიოდა.

32. აქტის 29-ე განყოფილება ადგენდა, რომ კანდიდატებს შეეძლოთ ზემდგომ საარჩევნო კომისიებში ან სასამართლოებში გაესაჩივრებინათ საარჩევნო კომისიების დადგენილებები, მოქმედებები და გადაცდომები. უფრო მაღალი საფეხურის საარჩევნო კომისიას, ასეთი განცხადების, სასამართლო გადაწყვეტილების ან საკუთარი შუამდგომლობის საფუძველზე, შეეძლო გაეუქმებინა მასზე დაბალი საფეხურის საარჩევნო კომისიის დადგენილება და მიეღო ახალი დადგენილება, ან შესაბამისი კომისიისთვის საკითხის გადასინჯვა დაევალებინა. ცესკოს გადაწყვეტილებების, მოქმედებებისა და გადაცდომების გასაჩივრება შეიძლებოდა უზენაეს სასამართლოში.

33. აქტის 70-ე განყოფილება განსაზღვრავდა საარჩევნო უბანზე ამ უბნის საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის ბათილად გამოცხადების პროცედურას.

ამ განყოფილების 1-ლი პუნქტი აცხადებდა:

“უბნის საარჩევნო კომისიას შეუძლია უბანზე კენჭისყრა ბათილად გამოაცხადოს, თუ ამ აქტის დარღვევის შემთხვევაში შეუძლებელია დადგინდეს ამომრჩეველთა ნების გამოხატვის შედეგები. საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის ბათილად გამოცხადება შეუძლია შემდეგ გარემოებებში:

1. თუ რეალურად დადგინდა ხმის უკანონოდ მიცემა (საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაგდება პირის მიერ, რომელზედაც ეს ბიულეტენი არ არის გაცემული; ხმის მიცემა ამ უფლების არმქონე პირთა მიერ; ხმის მიცემა პირთა მიერ, რომლებიც მოცემული უბნის ამომრჩეველთა სიებში არ არიან, ან პირთა მიერ, რომლებიც არასწორად არიან შეტანილი სიებში; ერთი ამომრჩევლის მიერ ხმის მრავალჯერ მიცემა) და თუ გაყალბებით მიცემულ ხმათა რაოდენობა ხმათა საერთო რაოდენობის 10%-ს აღემატება;

2. თუ საარჩევნო ყუთი იმგვარად დაზიანდა ან განადგურდა, რომ შეუძლებელია მასში მოთავსებული ბიულეტენების შინაარსის დადგენა, და თუ დაზიანებული ბიულეტენის რაოდენობა ხმათა საერთო რაოდენობის 10%-ს აღემატება.

3. თუ ბიულეტენების რაოდენობა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას ათი ან მეტი პროცენტით აღემატება.”

34. აქტის 72-ე განყოფილება საოლქო კომისიების მიერ საუბნო კომისიებიდან შემოსული ოქმების შემონმების პროცედურას არეგულირებდა.

ამ განყოფილების მე-12 პუნქტი აცხადებდა:

“თუ საოლქო საარჩევნო კომისია დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა 70-ე განყოფილების 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილ ან სხვა გარემოებებს, რომლებიც შეუძლებელს ხდის დადგინდეს უბანზე ამომრჩეველთა მიერ გამოხატული ნება, მას შეუძლია მოცემულ უბანზე კენჭისყრა ბათილად გამოაცხადოს.”

35. 2004 წლის აქტი (2005 წლის შესწორებული ვარიანტი) საპარლამენტო არჩევნების შესახებ არჩევნებში პროპორციულ წარმომადგენლობას განსაზღვრავს. 2004 წლის აქტის 90-ე განყოფილება საუბნო საარჩევნო კომისიებს უნარჩუნებს უფლებამოსილებას, დაუშვებლად გამოაცხადონ ბიულეტენი, თუ გაყალბებულ ხმათა რაოდენობა ხმათა საერთო რაოდენობის 10 პროცენტს აღემატება. 92-ე განყოფილება ადგენს, რომ ხელახალი დათვლის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია გააუქმოს საარჩევნო უბანში კენჭისყრა, თუ დადგინდა 90-ე განყოფილებაში ჩამოთვლილი გარემოებები, ან თუ იყო განზრახი ქმედებები, რომელთა საშუალებითაც მოხდა საარჩევნო კომისიის წევრების ან კანდიდატთა დამკვირვებლების მუშაობაში არამართლზომიერი ჩარევა.

სამართალი

I. საქმის ფარგლები

36. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე მთავრობისათვის განაცხადის შესახებ შეტყობინების შემდეგ და მთავრობის მიერ განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ უარის თქმის საპასუხოდ, განმცხადებელმა დამატებითი საჩივარი წარმოადგინა, რომელშიც აცხადებდა, რომ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში განმცხადებელსა და მის მხარდამჭერებს მუდმივად ავიწროებდნენ ხელისუფლების ორგანოები. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ მისი ძირითადი ოპონენტი, ბერეგოვოს ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის უფროსი, ბ-ნი 'გ', თავის თანამდებობას საარჩევნო კამპანიაზე და არჩევნების შედეგებზე ზემოქმედებისთვის იყენებდა.

37. ამ საკითხზე მთავრობას კომენტარი არ გაუკეთებია.

38. სასამართლოს აზრით, ახალი საჩივარი მოცემული საქმის ძირითად არსთანაა დაკავშირებული, მაგრამ არ არის განმცხადებლის თავდაპირ-

ველი საჩივარი, რომელიც შემოიფარგლებოდა 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებზე 72 საარჩევნო ოლქში სავარაუდო არასამართლიანი დათვლის პროცედურით. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი განაცხადის კონტექსტში ამ საკითხის ცალკე გამოყოფა მიზანშეწონილი არ არის (იხ., *inter alia*, *პირიანიკი უკრაინის წინააღმდეგ*, 75788/01, §20, 2005 წლის 19 აპრილი, და *ლიაშკო უკრაინის წინააღმდეგ*, 21040/02, §29, 2006 წლის 10 აგვისტო).

II. პირველი ოქმის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

39. განმცხადებელი ჩიოდა, რომ, პირობები, რომელშიც არჩევნები ჩატარდა 72 საარჩევნო ოლქში, ვერ უზრუნველყოფდა ხალხის თავისუფალი აზრის გამოხატვას კანონმდებლის არჩევის თვალსაზრისით. კერძოდ, იგი ჩიოდა მე-14, 45-ე, 58-ე და 67-ე უბნებზე კენჭისყრის ბათილად ცნობისა და შემდგომი ხელახალი დათვლის სავარაუდო არაობიექტურობის გამო. იგი ასევე ჩიოდა, რომ საოლქო კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნეს მიმართვა ამომრჩევლებისადმი, რომლითაც თავიანთი მიკერძოებული დამოკიდებულება გამოავლინეს. იგი მიუთითებდა 1-ლი ოქმის მე-3 მუხლზე, რომელიც აცხადებს:

“მაღალი ხელშემკერელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომელიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.”

ა. დასაშვებობა

40. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელმა ზოგადად ვერ ამონურა შიდასახელმწიფო სამართლებრივი საშუალებები, როგორც ამას კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია და მისი ოქმები უკრაინის კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს, განმცხადებელს კონვენციის დებულებათა დარღვევის საკითხი არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და არც უზენაეს სასამართლოში არ დაუყენებია.

41. განმცხადებელი მთავრობის კომენტარს არ დაეთანხმა.

42. შიდასახელმწიფო სამართლებრივ საშუალებათა ამონურვის წესი, ჩვეულებრივ, მოითხოვს, რომ საერთაშორისო დონეზე განსახილველად გამიზნული საჩივრები წარდგენილი უნდა იქნეს შიდასახელმწიფო სასამართლოებში, სულ მცირე, არსებითი განხილვისთვის და შიდასახელმწიფო კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და ვადების შესაბამისად (იხ. *აზინასი კვიპროსის წინააღმდეგ* [GC], 56679/00, §38, ECHR 2004-III). ეჭვს არ იწვევს, რომ განმცხადებელმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო

შემდეგ — უზენაეს სასამართლოში, საჩივარი შეიტანა მე-14, 45-ე, 58-ე და 67-ე საარჩევნო უბნებში კენჭისყრის ბათილად ცნობასთან და 2002 წლის 7 აპრილს ხმების ხელახალ დათვლასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, საკითხები სრულად იყო წარდგენილი ეროვნული ხელისუფლების წინაშე. მთავრობას არ უთქვამს, რომ რაიმე შიდასახელმწიფო პროცედურა კონვენციაზე მითითებას მოითხოვდა, არც ის აღუნიშნავს, რომ კონვენციის 1-ლი ოქმის მე-3 მუხლზე დამატებითი მითითება ზეგავლენას მოახდენდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში თუ უზენაეს სასამართლოში საქმის შესწავლაზე ან მის შედეგებზე. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელმა ეს საკითხები სათანადო სახით დააყენა შიდა სახელმწიფო ორგანოების წინაშე, და უკუავადებს მთავრობის პროტესტს.

43. სასამართლოს აღნიშნავს, რომ ეს საჩივრები არ არის აშკარად არასათანადოდ დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. ის ასევე აღნიშნავს, რომ ეს საჩივრები არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით. ამრიგად, ისინი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

44. რაც შეეხება განმცხადებლის საჩივარს ადგილობრივ გაზეთში 72 ოქტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით ამომრჩევლებისადმი მიმართვის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელმა ვერ ამონურა შიდასახელმწიფო სამართლებრივი საშუალებები, რადგან მას ეს საჩივარი ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და უზენაეს სასამართლოში არ შეუტანია. განმცხადებელმა მოუთითა, რომ ეს საკითხი მან დააყენა 2002 წლის 16 აპრილს მის მიერ ცესკოში შეტანილ განცხადებაში. თუ განცხადება მხოლოდ ამ საკითხს ეხებოდა, მაშინ სასამართლოს უწინდება ეჭვი, შეიძლებოდა თუ არა, ცესკოში განცხადების შეტანა, უზენაეს სასამართლოში მისი შემდგომი გასაჩივრების გარეშე, მიჩნეული ყოფილიყო როგორც საკმარისი შიდასახელმწიფო სამართლებრივი საშუალებების ამოსაწურად. თუმცა, ამ საქმის ფაქტებთან დაკავშირებით — რომლებშიც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიკერძოებულ მიდგომასთან დაკავშირებული საჩივარი მჭიდროდ უკავშირდება განმცხადებლის თავისუფალი არჩევნების უფლების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრის სხვა ასპექტებს — სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია დაეთანხმოს მთავრობის პროტესტს განაცხადის არსებით მხარესთან დაკავშირებით. საჩივარი რაიმე სხვა საფუძვლით დაუშვებელი არ არის და, აქედან გამომდინარე, იგი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებითი მხარე

1. მხარეთა მოსაზრებები

45. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მან მის მოწინააღმდეგე კანდიდატზე მეტი ხმა მიიღო, მაგრამ ხმის დათვლის უსამართლო პროცედურის გამო პარლამენტში ვერ მოხვდა, რაც საოლქო საარჩევნო კომისიის შეუზღუდავმა დისკრეციულმა უფლებამ გამოიწვია.

46. მთავრობა აცხადებდა, რომ 72 საარჩევნო ოლქში არჩევნების დროს საარჩევნო კანონმდებლობა სერიოზულად არ დარღვეულა, ხოლო არსებული ხარვეზების შესახებ სათანადოდ და დროულად ეცნობა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელმაც ისინი გამოასწორა.

47. მთავრობა აცხადებდა, რომ ორი კანდიდატის, განმცხადებლისა და ბ-ნი 'გ'-ის, მიერ მიღებულ ხმებს შორის იმდენად უმნიშვნელო სხვაობა იყო, რომ ხმათა მცირე რაოდენობასაც კი შეეძლო წონასწორობის დარღვევა. ის ამტკიცებდა, რომ 72 საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებზე ზეგავლენა იქონია ე. წ. "დაკარგული ხმების" ფენომენმა, რომელიც მხოლოდ უკრაინისთვის არ არის დამახასიათებელი და სხვა საარჩევნო სისტემებშიც გვხვდება. ამიტომ ამ ფაქტით არ შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო "საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას ხალხის ნება-სურვილის თავისუფალი გამოხატვის" უზრუნველყოფა. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ 72 ოლქის საარჩევნო კომისია მივიდა დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ არჩევნების დღეს აღნიშნულ ოთხ უბანზე საარჩევნო კანონის დარღვევებმა დაბრკოლება შეუქმნა ამომრჩეველთა ნება-სურვილის დადგენას. ეს დასკვნა განიხილეს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და უზენაესმა სასამართლომ და იგი კანონიერად და დასაბუთებულად იქნა მიჩნეული.

2. სასამართლოს შეფასება

48. ერთი შეხედვით, 1-ლი ოქმის მე-3 მუხლი განსხვავდება კონვენციითა და ოქმებით გარანტირებული სხვა უფლებებისაგან, რადგან იგი ფორმულირებულია მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის ვალდებულების დაკისრების სახით, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას, და კონკრეტული უფლების ან თავისუფლების ფორმულირებისათვის დამახასიათებელი ფრაზებით არ არის ჩამოყალიბებული. თუმცა ოქმის მე-3 მუხლის მოსამზადებელი სამუშაოსა და ამ დებულების კონვენციის მთლიან კონტექსტში განმარტების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ იგი უზრუნველყოფს ინდივიდუალურ უფლებას, ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩათვლით (იხ., სხვა მნიშვნელოვან ნყაროებს შორის, *მათიე-მოჰინი და კლერფაიტი ბელგიის წინააღმდეგ*, 1987 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, სერია A 113, გვ. 22-23, §§46-51; *ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2)*[GC], 74025/01, 58278/00, § 102, 2006 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება). გარდა ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ მუხლი უზრუნველყოფს პირის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, ხოლო არჩევის შემთხვევაში — გახდეს პარლამენტის წევრი (იხ. *ლიკურე ზოსი საბერძნეთის წინააღმდეგ*, 33554/03, §50, ECHR 2006-...).

49. 1-ლი ოქმის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებები უმნიშვნელოვანესია ეფექტიანი და მკაფიო მიზნის მქონე დემოკრატიის საფუძვლის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად, რომელიც კანონის უზენაესობით იმარ-

თება. მიუხედავად ამისა, ეს უფლებები არ არის აბსოლუტური უფლებები. აქ შეიძლება ნავარაუდევნი იქნეს "შესაძლო შეზღუდვა", ხოლო მონაწილე სახელმწიფოებს ამ სფეროში გარკვეული შეფასების ფარგლები უნდა მიეცეთ. ხელშემკერელ სახელმწიფოებს ამ სფეროში შეფასების საკმაოდ ფართო ფარგლები აქვთ, იმ პირობით, რომ, მათ ყველა მოქალაქის მიმართ თანაბარი მოპყრობა უნდა უზრუნველყონ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ხმას არჩევნების შედეგებში აუცილებლად უნდა ჰქონდეს თანაბარი წონა, ან ყველა კანდიდატს აუცილებლად ჰქონდეს გამარჯვების თანაბარი შანსები. ამრიგად, ვერც ერთი საარჩევნო სისტემა ვერ აღკვეთს "დაკარგული ხმების" ფენომენს (იხ. საქმე *მათიე-მოპინი და კლერფაიტი*, ციტი. ზემოთ, §54).

50. თუმცა სასამართლომ უნდა განსაზღვროს, არის თუ არა დაცული 1-ლი ოქმის მე-3 მუხლის მოთხოვნები; იგი უნდა დარწმუნდეს, რომ არსებული პირობებით მოცემული უფლებები არ შეიზღუდა ისეთი ხარისხით, რომელმაც მათი ძირითადი არსი დააკნინა და ეფექტიანობა წაართვა; რომ ისინი შემოღებულ იქნა კანონიერი მიზნის მისაღწევად; და რომ გამოყენებული საშუალებები დისპროპორციული არ იყო (იხ. *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ* [GC] 26772/95, §201, ECHR 2000-IV). საყოველთაო კენჭისყრის პრინციპიდან ნებისმიერი გადახვევა საფრთხეს უქმნის ამგვარად არჩეული კანონმდებლის და მის მიერ მიღებული კანონების დემოკრატიულ ლეგიტიმურობას. შესაბამისად, საერთო მოსახლეობიდან რომელიმე ჯგუფის ან კატეგორიის გამორიცხვა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს 1-ლი ოქმის მე-3 მუხლის ფუძემდებლურ მიზნებს (იხ. *სუხოვეციკი უკრაინის წინააღმდეგ*, 13716/02, §52, 2006-...).

51. წარმოდგენილ საქმეში განმცხადებლის საჩივრები ფოკუსირებულია ხმის დათვლის ფორმაზე საარჩევნო ოლქში, სადაც იგი იყო რეგისტრირებული. კერძოდ, იგი დავობდა, რომ მე-14, 45-ე, 58-ე და 67-ე საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის ბათილად ცნობის შესახებ დადგენილება იყო უსამართლო და უსაფუძვლო.

52. მთავრობამ მიუთითა "დაკარგული ხმების" აღკვეთის სირთულეებზე და განაცხადა, რომ 72 ოლქის საარჩევნო კომისიის სადავო დადგენილებები მიზნად ისახავდა ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოხატვაზე საარჩევნო კანონის დარღვევით გამოწვეული საზიანო ზემოქმედების აღკვეთას. სასამართლო საეჭვოდ ხდის პრაქტიკას, რომელიც დასაშვებად მიიჩნევა ყველა ხმის მოკლებას საარჩევნო უბანზე, სადაც იყო დარღვევები, დარღვევათა ფარგლებისა და ოლქში შედეგებზე ზემოქმედების მიუხედავად. მას მიაჩნია, რომ ძნელია ასეთი პრაქტიკა განხილული იქნეს, როგორც კანონიერი მიზნის მიღწევისკენ მიმართული, პირველი ოქმის მე-3 მუხლის მიზნებისთვის.

53. საგანი და მიზანი კონვენციისა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტია, მოითხოვს, რომ მისი დებულებები იმგვარად იქნეს განმარტებული და გამოყენებული, რომ მათი შინაარსი იყოს არა თეორიული ან ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი (იხ., მაგალითად, *თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-

1, გვ. 18-19, §33, და ჩასაგნუ და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ [GC], 25088/94, 28331/95 და 28443/95, §100, ECHR 1999-III).

54. საქმეში *პოდკოლზინა ლატვიის წინააღმდეგ* სასამართლომ გაიმეორა, რომ არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლება, რომელიც 1-ლი ოქმის მე-3 მუხლითაა გარანტირებული და ჭეშმარიტი დემოკრატიული სისტემისთვის დამახასიათებელი კონცეფციაა, მხოლოდ ილუზორული იქნება, თუ ამ უფლების წართმევა ვინმეს თვითნებურად შეუძლია ნებისმიერ მომენტში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს შეეფასების საკმაოდ ფართო ფარგლები აქვთ, როდესაც სამართლებრივი დოკუმენტით აფუძნებენ არჩევნებში მონაწილეობის პირობებს, უფლების ეფექტიანობის პრინციპი მოითხოვს დადგინდეს, რომ ამა თუ იმ კანდიდატმა ვერ დააკმაყოფილ ეს პირობები მთელი რიგი კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც თვითნებური გადაწყვეტილებების აღკვეთის მიზნით არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, ასეთი დადგენილება შეიძლება მიიღოს ორგანომ, რომელიც მისი მიუკერძოებლობის მინიმალურ მოთხოვნებს უზრუნველყოფს. ანალოგიურად, ამ ორგანოსთვის მინიჭებული დისკრეტია არ უნდა იყოს განუზომლად ფართო; იგი საკმარისი სიზუსტით უნდა იყოს შეზღუდული შიდასახელმწიფო კანონის დებულებებით. და ბოლოს, პირის კანდიდატად გამოცხადება ისეთი სახით უნდა მოხდეს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილება და თავიდან იქნეს აცილებული შესაბამისი ორგანოს მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (*პოდკოლზინა ლატვიის წინააღმდეგ*, 46726/99, §35, ECHR 2002-II).

55. წარმოდგენილი საქმე ეხება არა არჩევის პირობებს, როგორც ასეთი, არამედ იმ ფორმას, რომლითაც მოხდა არჩევნების შედეგების შემონიშნება პასუხისმგებელი შიდასახელმწიფო ორგანოების მიერ. სახელმწიფოს თავისუფლების ფარგლები ამ სფეროშიც ფართოა, მაგრამ ეს სასამართლოს ხელს ვერ შეუშლის, განიხილოს, იყო თუ არა მოცემული დადგენილება თვითნებური.

56. მაგალითისთვის, ორ წინა საქმეში, *ი. ზ. საბერძნეთის წინააღმდეგ* (იხ. *ი. ზ. საბერძნეთის წინააღმდეგ*, 189997/91, კომისიის 1994 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და მოხსენებები (DR)) და *ბაბენკო უკრაინის წინააღმდეგ* (იხ. *ბაბენკო უკრაინის წინააღმდეგ* (dec.), 43476/98, 1999 წლის 4 მაისი), კონვენციის ორგანოებმა შეისწავლეს წარუმატებელი კანდიდატთა საჩივრები არასამართლიანი საარჩევნო პროცედურების თაობაზე. ეს საჩივრები უკუგდებულ იქნა, რადგან მოცემული არჩევნების შედეგების რეალური დამახინჯების არარსებობის ფონზე, გასაჩივრებული სიტუაცია არ იყო ხალხის თავისუფალ ნებაში ჩარევის ტოლფასი. თუმცა ეს მიდგომა არ შეიძლება მიესადაგოს ამ საქმეს, რადგან მოცემულ ოთხ უბანზე კენჭისყრის გაუქმებამ პირდაპირ გამოიწვია ბ-ნი "გ"-ის გამოცხადება გამარჯვებულად, და არა — განმცხადებლის. ამ მოსაზრებას მთავრობაც დაეთანხმა.

57. 2001 წლის აქტი საპარლამენტო არჩევნების შესახებ ადგენდა, რომ საარჩევნო უბანზე კენჭისყრა შეიძლებოდა ბათილად გამოცხადებულიყო 70-ე განყოფილებაში ჩამოთვლილ გარემოებათა საფუძველზე ან "სხვა გარემოებების" საფუძველზე, რომლებიც შეუძლებელს ამომრჩეველთა ნების დადგენას, როგორც ეს 72-ე განყოფილებითაა გათვალისწინებული (იხ. ზემოთ, პუნქტები 33 და 34).

58. ამ კანონის 70-ე განყოფილება კონკრეტულად განიხილავს ერთი პირის მიერ რამდენიმე ბიულეტენის ჩაყრის სიტუაციას და ადგენს, რომ, უბანზე კენჭისყრა შეიძლება ბათილად გამოცხადდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაფუჭებულ ბიულეტენთა რაოდენობა ხმათა საერთო რაოდენობის 10%-ს აღემატება. 72-ე განყოფილებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი დებულება ან პრაქტიკა, რომელიც "სხვა გარემოებების" განმარტებას უზრუნველყოფდა. კერძოდ, ნათელი არ იყო რა მიეკუთვნებოდა "სხვა გარემოებებს", რომლებიც გათვალისწინებული არ იყო 70-ე განყოფილებაში, ან აძლევდნენ თუ არა ისინი საშუალებას საარჩევნო კომისიებს, ხოლო საჩივრის შემთხვევაში – სასამართლოებს, ესარგებლათ 70-ე განყოფილების რედაქციით და განემარტათ "სხვა გარემოებები", როგორც ამ დებულებაში შემავალი საკითხები. გარდა ამისა, მაშინ, როცა 70-ე განყოფილებაში ჩამოთვლილი იყო მოვლენები არჩევნების დროს, რომლებსაც შეეძლო კენჭისყრის ბათილად გამოცხადება გამოენვია, 72-ე განყოფილება კენჭისყრის ოქმის შემონმების პროცედურას არეგულირებდა და არა უშუალოდ მოვლენებისადმი მიდგომას.

59. საპარლამენტო არჩევნების შესახებ 2001 წლის აქტის 72-ე განყოფილების ეს ბუნდოვანება და პოტენციური საშიშროება, რომელიც საარჩევნო უფლებებით სარგებლობას ემუქრებოდა ადგილობრივი ორგანოების მიერ მათი განმარტების თავისებურებების გამო, ამ ორგანოებისაგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდა. თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის 41 და 42 დადგენილებებში უბრალოდ მიუთითა ადრინდელ დადგენილებებზე და განაცხადა, რომ, დაფიქსირებული და დამკვირვებელთა მიერ მითითებული დარღვევები წარმოადგენდა "სხვა გარემოებებს", რომლებიც ამომრჩეველთა მიერ გამოხატული ნების დადგენის საშუალებას არ იძლეოდა. ადრინდელი დადგენილება 36, რომელზედაც მითითება გაკეთდა, აცხადებდა, რომ რამდენიმე ბათილი ბიულეტენის ჩაყრა, რასაც ბ-ნი 'გ'-ის დამკვირვებლები შეესწრნენ მე-14, 45-ე და 58-ე უბნებზე, და ის ფაქტი, რომ 67-ე უბნის საარჩევნო კომისიამ გახსნა დალუქული საარჩევნო უბანი და ამოიღო კენჭისყრის ოქმი და რამდენიმე გაუქმებული ბიულეტენი (იხ. ზემოთ, პუნქტი 10), საკმარისი იყო ამ უბნებზე ყველა ხმის გასაუქმებლად.

60. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ან უზენაესი სასამართლოს არც ამ და არც შემდგომ დადგენილებებში არ განუხილავთ საპარლამენტო არჩევნების შესახებ აქტის 70-ე და 72-ე განყოფილებებს შორის არსებული წინააღმდეგობა, არც არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა სუბიექტებისადმი ნდობის საკითხი არ დასმულა. გარდა ამისა, არც ერთ დადგენილებაში არ იყო ახსნილი თუ როგორ (განსაკუთრებით 70-ე განყოფილების შუქზე) შეუშალა ხელი ნავარაუდევმა დარღვევებმა კენჭისყრის შედეგებს მე-14, 45-ე, 58-ე და 67-ე უბნებზე ისეთი ხარისხით, რომ შეუძლებელი გახდა ამომრჩეველთა ნების დადგენა.

61. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ოთხ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის გაუქმება განხილული უნდა იქნეს როგორც თვითნებური და მთავრობის მიერ დასახული კანონიერი მიზნის არაპროპორციული. შესაბამისად, დაირღვა 1-ლი ოქმის მე-3 მუხლი.

62. ამის გამო სასამართლოს საჭიროდ არ მიაჩნია, გადაწყვეტილება მიიღოს განმცხადებლის საჩივარზე იმასთან დაკავშირებით, რომ 72 ოლქის საარჩევნო კომისიის წევრები არ აკმაყოფილებდნენ მიუკერძოებლობის დადგენილ კრიტერიუმებს, რადგან მათ გამოაქვეყნეს მიმართვა ამომრჩევლებისადმი, რომ 2002 წლის 7 აპრილს ხელახალი დათვლა შიდასახელმწიფო საარჩევნო კანონის დარღვევით ჩატარდა და რომ საარჩევნო ყუთების უსაფრთხოება დაცული არ იყო. ასევე საჭირო არ არის შესწავლილი იქნეს მთავრობის განცხადება შიდასახელმწიფო სამართლებრივი საშუალებების ამოუნურაგობის შესახებ მოცემული საარჩევნო კომისიის მუშაკთა მიკერძოებულ მიდგომასთან დაკავშირებულ საჩივართან მიმართებით.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

63. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

ა. მატერიალური ზიანი

64. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მისი საჩივარი მატერიალურ ზიანთან მიმართებით დაკავშირებულია მის — როგორც *ვერხოვნა* რადას წევრის — მიერ ხელფასის დაკარგვასთან. იგი კომპენსაციის სახით ითხოვდა 144 000 აშშ დოლარს (USD) (107 250 ევრო), რაც გამომდინარეობდა პარლამენტის წევრის საშუალო ხელფასიდან, რომელსაც იგი მიიღებდა, პარლამენტის წევრად რომ აერჩიათ.

65. მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ კომპენსაციასა და დადგენილ დარღვევას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობდა.

66. როგორც ზემოთ, 55-ე პუნქტში იყო აღნიშნული, ოთხ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის შედეგების გაუქმებამ პირდაპირ გამოიწვია გამარჯვებულად ბ-ნი 'გ'-ის გამოცხადება, და არა განმცხადებლის. მართალია ის, რომ არჩევის შემთხვევაში განმცხადებელი მიიღებდა პარლამენტის წევრის ხელფასს. თუმცა ეს საკმარისი არ არის, რათა მას მიეკუთვნოს მის მიერ მოთხოვნილი თანხა, რამეთუ ამ თანხას უნდა დაუპირისპირდეს სხვა შემოსავალი, რომელსაც შესაძლოა იგი ღებულობდა იმ პერიოდში და რომელსაც ვერ მიიღებდა არჩევის შემთხვევაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქმეში *ლუკურეზოსი საბერძნეთის წინააღმდეგ* (ციტ. ზემოთ, §64, სადაც განმცხადებელს შეუწყვიტეს უფლებამოსილება). განმცხადებელმა წარმოადგინა ხელფასის დეტალები, რომელსაც იგი მიიღებდა პარლამენ-

ტის წევრად არჩევის შემთხვევაში, მაგრამ არ დაუკონკრეტებია. რა რაოდენობის იქნებოდა მისი წმინდა დანაკარგი. შესაბამისად, სასამართლო არ აკმაყოფილებს ამ განმცხადებლის მიერ ამ თავში წარმოდგენილ საჩივარს.

ბ. არამატერიალური ზიანი

67. განმცხადებელი ითხოვდა 56 000 აშშ დოლარს (41 715 ევრო) კომპენსაციის სახით იმ განცდისა და სულიერი ტკივილისთვის, რომელიც მას სავარაუდოდ მიადგა საარჩევნო უფლებების დარღვევის გამო.

68. მთავრობა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ თანხას დაუსაბუთებლად და გადაჭარბებულად მიიჩნევდა.

69. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს მიადგა არამატერიალური ზიანი დადგენილი დარღვევის შედეგად. შესაბამისად, სამართლიანობის საფუძველზე და საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო განმცხადებელს ამ თავის საფუძველზე აკუთვნებს 8000 ევროს.

ბ. ხარჯები და განუღებელი დანახარჯები

70. განმცხადებელს ამ თავის საფუძველზე დადგენილ ვადაში რაიმე საჩივარი არ წარმოუდგენია; აქედან გამომდინარე, სასამართლო რაიმე ანაზღაურებას ამ თვალსაზრისით არ ანესებს.

დ. საურავი

71. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ოდენობით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტული პუნქტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. ეთანხმება მთავრობის პრეტენზიას სამართლებრივი დაცვის შიდა-სახელმწიფო საშუალებათა ამონურვის შესახებ განმცხადებლის საჩივართან მიმართებით, რომელიც საარჩევნო კომისიის მუშაკთა მიკერძოებულ მიდგომას ეხება, და მიიჩნევს, რომ მისი შესწავლა საჭირო არ არის;
2. აცხადებს საჩივრის დანარჩენ ნაწილს დასაშვებად;
3. ადგენს, რომ დაირღვა 1-ლი ოქმის მე-3 მუხლი;
4. ადგენს
(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ დღიდან, როდესაც გადანყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბა-

მისად, განმცხადებელს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 8000 (რვა ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისათვის, რომელიც კონვერტირებული უნდა იქნეს მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში გადახდის დღეს არსებული კურსით, დამატებული ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა;

(b) რომ ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებამდე ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება უბრალო პროცენტები ევროპის ცენტრალური ბანკის ზღერული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;

5. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2008 წლის 17 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

კლაუდია ვესტერდიეკი
სექციის მდივანი

პერ ლორენზენი
თავმჯდომარე

რადიო ტვისტი, ა.ს. სლოვაკეთის წინააღმდეგ

Radio Twist, A.S. v. Slovakia

რადიო ტვისტი, ა.ს. სლოვაკეთის წინააღმდეგ
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეოთხე სეჰცია

საქმე რადიო ტვისტი, ა.ს. სლოვაკეთის წინააღმდეგ

CASE OF RADIO TWIST, A.S. v. SLOVAKIA

(განაცხადი 62202/00)

გადანყვეტილება

სტრასბურგი

2006 წლის 19 დეკემბერი

საბოლოო

19/03/2007

ეს გადანყვეტილება საბოლოო ვახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე *“რადიო ტვისტი, ა.ს. სლოვაკეთის წინააღმდეგ”*,
(*Radio Twist, A.S. v. Slovakia*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ (მეოთხე სექცია),
რომლის პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

სერ ნიკოლას ბრატზა, *თავმჯდომარე*,
ბ-ნი ჯ. კასადევალი,
ბ-ნი გ. ბონელო,
ბ-ნი მ. პელონპაა,
ბ-ნი კ. ტრაია,
ბ-ნი ლ. მიჯოვიჩი,
ბ-ნი ჯ. შიკუტა, *მოსამართლეები*
და ბ-ნი ტ.ლ. ეარლი, *სექციის მდივანი*,

მოითათბირა 2006 წლის 28 ნოემბერს და

იმავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (62202/00) სლოვაკეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე სლოვაკეთში რეგისტრირებული კერძო სააქციო კომპანიის — "რადიო ტვისტი, ა.ს." ("განმცხადებელი") მიერ 2000 წლის 20 ივლისს.

2. განმცხადებელ კომპანიას წარმოადგენდა ბრატისლავაში მოღვაწე ადვოკატი, ბატონი ბლაჰუშიაკი. იგი შეცვალა ბატონმა მ. ჰანუსეკმა, რომელიც ბრატისლავაში ეწევა საადვოკატო საქმიანობას. სლოვაკეთის მთავრობას (შემდგომში "მთავრობა") წარმოადგენდა მისი აგენტი, ქ-ნი ა. პოლაჩკოვა.

3. განმცხადებელი კომპანია ჩიოდა, რომ სასამართლო დადგენილებებით, რომლებიც კომპანიის მიერ ინდივიდუალური პირის მიმართ ცილისწამების სარჩელს ეხებოდა, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი მისი უფლება, კერძოდ, ინფორმაციის გავრცელების უფლება.

4. 2005 წლის 8 ნოემბრის დადგენილებით სასამართლომ განაცხადი დასაშვებად გამოაცხადა.

5. შემდგომი წერილობითი მოსაზრებები წარმოადგინა მთავრობამ, მაგრამ არა განმცხადებელმა (ნესი 59 § 1).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი არის სამაუწყებლო კომპანია, რომელიც ბრატისლავაში შეიქმნა და დარეგისტრირდა 1991 წელს.

ა. ფაქტობრივი ინფორმაცია

7. საქმესთან დაკავშირებულ დროს განმცხადებელი კომპანია სლოვაკეთში მაუწყებლობდა ხუთ სიხშირეზე და მის ყოველდღიურ აუდიტორიას 400 000 მსმენელი შეადგენდა. მისი საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს დემოკრატია და დამოუკიდებლობა წარმოადგენდა.

8. საქმესთან დაკავშირებულ დროს *“სლოვენსკა პოიშტოვნა, ა.ს.”* (“SP”) სლოვაკეთის ძირითადი სადაზღვევო კომპანია იყო. მას სახელმწიფო აკონტროლებდა პრივატიზაციის ეროვნული სააგენტოს (*Fond národného majetku* – “FNM”) მეშვეობით.

9. 1994 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, იმ დროისათვის ხელისუფლებაში მყოფი კოალიციური პარტიების პოლიტიკური შეთანხმების შედეგად, “SP”-ის მმართველი საბჭო დაინიშნა. კოალიციაში შედიოდა *მოდრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისთვის* (*Hnutie za demokratické Slovensko* – “HZDS”) და სლოვაკეთის ეროვნული პარტია (*Slovenská národná strana* – “SNS”).

10. იმ დროისათვის პრივატიზაციის ეროვნული სააგენტოს მიერ კონტროლირებულ ორგანოებში უმრავლესობას წარმოადგენდნენ პარტია “მოდრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისთვის” მიერ დანიშნული პირები.

11. 1996 წლის 1 ივნისს “SP”-ის სამეთვალყურეო საბჭომ კომპანიის დირექტორთა საბჭოდან დაითხოვა პარტიის “მოდრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისთვის” მიერ დანიშნული პირები და ახალი მმართველი გუნდი დანიშნა. არსებული მმართველმა გუნდი ამ ცვლილებას პროტესტით შეხვდა.

12. 1996 წლის 3 ივნისს ყოფილმა მმართველმა გუნდმა “SP”-ის მთავარი ოფისი დაიკავა. მას ეხმარებოდნენ კერძო დაცვის ოფიცრები და სახელმწიფო პოლიციის ჯგუფი, რომელსაც ეს დავალება მისცა სლოვაკეთის პოლიციის კორპუსის თავმჯდომარემ, რომელიც სლოვაკეთის ეროვნული პარტიის მიერ იყო დანიშნული. მათ ახალდანიშნული მმართველი გუნდი აიძულეს, შენობა დაეტოვებინა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ახალმა გუნდმა საკუთარი კერძო დაცვის სამსახურის დახმარებით კვლავ ხელში აიღო კომპანიისა და მისი კუთვნილი შენობების კონტროლი.

13. ამ ბრძოლის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა მათი სურვილი მონაწილეობა მიეღოთ “SP”-ის პრივატიზაციაში. სლოვაკეთის ეროვნუ-

ლი პარტიის მიერ დანიშნული პირების მმართველი გუნდიდან დათხოვნა სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევდა მთავრობის დონეზე.

14. საქმესთან დაკავშირებულ დროს ბატონი 'კ' იყო პრემიერ- მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი, ხოლო ბატონი 'დ' — იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი. სამინისტროებში სახელმწიფო მდივნებად პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი პირები ინიშნებოდნენ. ამიტომ ეს პოლიტიკური თანამდებობები იყო და სამოქალაქო სამსახურის ნაწილს არ ქმნიდნენ.

15. საჩივართან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ ბ-ნი 'დ' საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩიეს.

ბ. სატელეფონო საუბრების გადაცემა

16. 1996 წლის 12 ივნისს, საღამოს 6 საათზე განმცხადებელმა კომპანიამ ახალი ამბების პროგრამაში "ჟურნალი" გადასცა ბ-ნი 'კ'-ის და ბ-ნი 'დ'-ის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი.

17. გადაცემას თან ახლდა განმცხადებელი კომპანიის ჟურნალისტის კომენტარები. მონაწილე პირთა გვარები სრულად იქნა მოხსენიებული. ქვემოთ მოყვანილია ეს კომენტარი:

"როგორც შუადღის პროგრამაში აღვნიშნეთ, ჩვენ მოვახერხეთ მოგვეპოვეთ ბნა სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, საიდანაც ნათელი ხდება, რომ [ბ-ნი 'კ'], პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი მონაწილეობას ღებულობდა *სლოვენსკა პოიშტოვნასთან* დაკავშირებულ მოვლენებში. ბუნებრივია, რადიო ტვისტისთვის მიუღებელია ნებისმიერი სატელეფონო მიყურადება თუ ის სასამართლოს ბრძანების საფუძველზე არ არის განხორციელებული. [მოცემული ჩანაწერი] ჩვენ მიგვაჩნია უკანონოდ და არ ვეთანხმებით იმ გზას, რომლითაც იქნა იქნა მოპოვებული. მაგრამ, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე ეხება საერთო ინტერესს, რომლის დაფარვაც არ შეიძლება... ჩვენ გვსურს შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და ინფორმაცია მივანოდოთ საზოგადოებას. ამავდროულად ჩვენ გვსურს შეკითხვა დავესვათ კომპეტენტურ ორგანოებს ჩვენს ქვეყანაში უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ, რადგან, როგორც ჩანს, შესაძლებელია [...] მაღალი თანამდებობის პირთა სატელეფონო საუბრების მოსმენა. ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებულ საქმიანობაში მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მონაწილეობის ფაქტი უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა განიხილო. ახლა მოვისმინოთ ჩანაწერი, რომელიც, მისი ტექნიკური ხარისხის გამო, პრაქტიკულად გაურკვეველია. მეორე პირი, რომელიც ტელეფონით საუბრობს, ალბათ არის [ბ-ნი 'დ'], იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი."

18. ამ კომენტარის შემდეგ დაუყოვნებლივ გაუშვეს ეთერში ბ-ნი 'კ'-ის და ბ-ნი 'დ'-ის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი. ქვემოთ მოყვანილია საუბრის ტექსტი:

ბ-ნი 'კ': "... პოლიცია, პოლიციელების [და] დაცვის სამსახურის რამდენიმე მუშაკის დახმარებით შევიდა და შენობა აიღო, მათ დაცალეს შენობა..."

ბ-ნი 'დ': "მაგრამ ეს უჩვეულოა, პოლიციის ჩარევა, რა შეიძლებოდა

ყოფილიყო მათი მოქმედების საფუძველი...”

ბ-ნი 'კ': "რა თქმა უნდა, ეს იყო დაცვის ოფიცრების კრაზი, მათი, ვინც იმ მომენტში იქ იყო, ალბათ ეს დილექტანტური მიდგომა იყო, რადგან... როგორც ჩანს, ყველა გარემოებიდან გამომდინარე, პოლიციელები საკმაოდ უხეშად იქცეოდნენ. იცი რა, პოლიციის შეჭრა ალბათ [ბ-ნი ჰ-ის] მეშვეობით იყო ორგანიზებული, შენ იცი, სლოვაკეთის ეროვნული პარტია. ჰო, აბა ეს იყო სულ რისი თქმაც მინდოდა, რომ იქ ის...”

ბ-ნი 'დ': "კრების თავმჯდომარე შენ იქნები?"

ბ-ნი 'კ': "კი, მაგრამ ბოსი მოვა და დღის წესრიგის ორ საკითხზე ის ისაუბრებს."

ბ-ნი 'დ': "აჰა. სხვა შემთხვევაში მე მევალებოდა ეს ამოცანა, რადგან იგი ბანსკა ბისტრიცაში მიდის."

ბ-ნი 'კ': "კარგი, ეს ნათელია, სულ ამის თქმა მინდოდა..."

ბ-ნი 'დ': "ჩემს საქმეში ჩარევას არავინ აპირებს..."

ბ-ნი 'კ': "რა თქმა უნდა არა."

ბ-ნი 'დ': "რადგან მან ჯერ არც კი იცის მე რას ვაკეთებ..."

ბ-ნი 'კ': "[ბ-ნი 'დ'-ის სახელი], ამიტომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება..."

ბ-ნი 'დ': "მე ნავალ და პირადად შევამონმებ ამას დილით, კრების დანყება-მდე..."

ბ-ნი 'კ': "მე მინდა შენ გთხოვო ეს, რადგან ეს იქნება ხაზგასმა იმ ფაქტისა, რომ მათ ეს გააკეთეს..."

ბ-ნი 'დ': "ცხადია."

ბ-ნი 'კ': "მათ მე ზუსტად ნახევარი საათის წინ დამირეკეს..."

ბ-ნი 'დ': "ძალიან კარგი, მეც მინდა ეს ვიცოდე, რომ ამის შესახებ ხვალ იქ ვილაპარაკო."

ბ-ნი 'კ': "ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება."

ბ-ნი 'დ': "მამ კარგი, პირველი რაც ხვალ დილით უნდა გავაკეთო ეს არის მოხსენება, თუ როგორც მიდის საქმეები."

ბ-ნი 'კ': "სხვა შემთხვევაში, შენ მე უნდა მომიბრუნდე, ის ქალი მე მოვავგარე, მარტივად რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი ჩემი ორგანიზებულია, ამიტომ..."

ბ-ნი 'დ': "დიახ, დიახ."

ბ-ნი 'კ': "მე კიდევ რომ არ დავესწრო, მოგვიანებით პირდაპირ ნავალ მთავრობის სხდომაზე, მაგრამ [ქ-ნი 'მ'-ის] მეშვეობით, მათ ზუსტად იციან, პრაქტიკულად ისინი კარგად არიან ორინტირებული საგანზე..."

ბ-ნი 'დ': "მე ჩემი ინსტრუქცია მივიღე."

ბ-ნი 'კ': "ცხადია, ეს ინსტრუქციები გამოიყენე."

ბ-ნი 'დ': "აბა კარგად, შეხვედრამდე."

ბ-ნი 'კ': "[ბ-ნი 'დ'-ის სახელი], დიდი მადლობა, შეხვედრამდე... ნახვამდის..."

19. ჟურნალისტის შემდეგი კომენტარი, სადაც მონაწილეთა სახელები სრულად არის ნახსენები:

"მოდი, დავინყოთ მოვლენათა ახსნა. *სლოვენსკა პოისტოვენას* გარშემო გარიგების საკითხი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ორშაბათს, 1996 წლის 3 ივნისს. მარტივად ვთქვათ: *სლოვენსკა პოისტოვენას* ათი მენეჯერი, დავარქვათ მათ ბ-ნი ['ტ'] და კომპანია, დაცვის კერძო სამსახურის მუშაკებმა შაბათ-კვირის დასვენების დღეების შემდეგ თავიანთი შენობიდან გამოყარეს. დაცვის სამსახური გამოიძახა *სლოვენსკა პოისტოვენას* ახალმა მმართველმა გუნდმა — მოდი, დავარქვათ მას ქალბატონი

['ბ'] და კომპანია. ბ-ნ ['ტ']-ს და კომპანიას მხარს უჭერდა პოლიცია და, როგორც ეს სატელეფონო საუბრის ჩანაწერიდან დასტურდება, ცხადია, რომ პოლიციის კორპუსის თავმჯდომარე არის სლოვაკეთის ეროვნული პარტიის პროტყეე. ყოფილმა მმართველმა გუნდმა — ['ტ']-მ და კომპანიამ პოლიციის დახმარებით აიღო შენობა, როგორც ეს თავიდანვე იყო ნათელი, ეს იყო *სლოვენსკა პოისტოვნას* შენობა. ეს მოხდა გასული კვირის სამშაბათს და იმავე დღეს ეს მენეჯერები კვლავ თავიანთ სავარძლებში იხსდნენ. როგორც სატელეფონო საუბარი უჩვენებს, ამ ადამიანებმა ისაუბრეს გასულ ორშაბათს, 3 ივნისს, ხოლო იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ბ-ნი 'დ', რალაც უფრო ადვილი პარტინორი ჩანს მინისტრ ['კ']-ისთვის, ვიდრე იუსტიციის მინისტრი [ბ-ნი 'ლ'], რომელიც იმ დღეს ბანსკა ბისტრიცაში იმყოფებოდა. ჩვენ გადავამოწმეთ ეს ფაქტი და ეს რეალურად ასე იყო. უბრალოდ რომ დავასრულოთ ეს ინფორმაცია, უნდა აღინიშნოს, რომ გასული კვირის სამშაბათს მთავრობის სხდომას ბ-ნი ['კ'] თავმჯდომარეობდა. ბატონ ['კ']-სა და ბატონ ['დ']-ს შორის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის ცუდი ტექნიკური ხარისხის გამო, ვფიქრობ ღირს კიდევ ერთხელ მოვისმინოთ იგი."...

"იუსტიციის სამინისტროს ეთხოვეთ გამოეთქვა თავისი აზრი. სამინისტროს პრესმდივანმა [პ. ს.] ... ჩანაწერის შინაარსი არ იცოდა, რადგან იგი სლოვაკეთში ვერ საჯაროდ გამოქვეყნებული არ არის. გასაგებია, რომ ამიტომაც არ სურდა მას მასზე რეაგირება. სამინისტროსაგან პასუხს ხვალ ველოდებით. ჩვენ ასევე მიემართეთ ['კ'] მინისტრს:"

ბ-ნი 'კ': "მისმინეთ, მე კომენტარს არ გავაკეთებ საკითხებზე, რომლებიც დემოკრატიას ენინააღმდეგება. მე ვფიქრობ, რომ ჟურნალისტები ალბათ სხვაგვარად უნდა მიუდგნენ მთავრობის ნევრების სატელეფონო მიყურადების საკითხს. ამრიგად, მე ვერ გავაკეთებ კომენტარს რალაცაზე, რაც ჩემი თანხმობის გარეშე გამოქვეყნდა. ცხადია, რომ ეს ინფორმაცია ეხება იმ ფაქტს, რომ გარკვეული ზენოლა იყო... *სლოვენსკა პოისტოვნაში*."

ბ. სარჩელი ცილისწამებასთან დაკავშირებით

20. ბატონმა 'დ'-მ განმცხადებელი კომპანიის წინააღმდეგ ბანოვიჩე ნად ბებრავუს საოლქო სასამართლოში (*Okresný súd*) შეიტანა სამოქალაქო სარჩელი მისი პირადი ხელშეუხებლობის დაცვის საკითხზე.

იგი ჩიოდა, რომ კომპანიამ ეთერში გაუშვა სატელეფონო საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკანონო გზით იყო მოპოვებული. მაუწყებლობა მისი პირადი ხელშეუხებლობის უფლებაში ჩაერია და ზიანი მიაყენა საზოგადოებაში მის რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას. გარდა ამისა, გადაცემაში გაჟღერდა დამახინჯებული და არასრული ინფორმაცია, რომელსაც მისი დისკრედიტაცია შეეძლო.

მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ შემდეგ ეს ინფორმაცია მიიღო ჩეხეთის სატელევიზიო არხმა "ნოვა", ხოლო სტატიები გამოქვეყნდა სლოვაკეთის ყოველდღიურ გაზეთებში "სმე /SME/", "პრაკა /Práca/" და "სლოვენსკა რეპუბლიკა /Slovenská republika/". ამის შედეგად შეირყა ნდობა იუსტიციის მინისტრსა და მოსარჩელეს შორის.

მან აღიარა, რომ იმ დროს, როდესაც ჩანაწერი იყო გაკეთებული, იგი რამდენიმე ადამიანს ესაუბრა, ასევე დაადასტურა რომ ჩანაწერში მისი ხმა იყო. ჩანაწერი და კომენტარები, როგორც ასეთი, კონტექსტიდან

იყო ამოვარდნილი, ხოლო სატელეფონო საუბარი სრულად არ გადაუციათ. მოსარჩელე უარყოფდა, რომ საუბრის თემა კომენტატორის მიერ წარმოდგენილ მოვლენებს ეხებოდა, რადგან მისი თანამდებობა მას არ აძლევდა ამ საქმეში ჩარევის უფლებას, როგორც ეს გადაცემაში იყო წარმოდგენილი.

21. საპასუხოდ განმცხადებელმა კომპანიამ თავის მოსაზრებებში განაცხადა, რომ ჩანაწერი კომპანიის საფოსტო ყუთში უცნობმა პირმა ჩააგდო. ამ ჩანაწერთან დაკავშირებით სპეკულირება დაიწყო გადაცემამდე ერთი კვირით ადრე, რის შედეგადაც კოალიციური მთავრობა განხეთქილების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. გადაცემის ეთერში გაშვებამდე, კომპანიის შიდა განაწესის შესაბამისად, განმცხადებელი კომპანიის თანამშრომლები ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ აღნიშნულ პირებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერი თითქმის გაურკვეველი იყო, განმცხადებელმა კომპანიამ, როგორც საინფორმაციო საშუალებამ, საჭიროდ ჩათვალა საზოგადოებისთვის ეცნობებინა რა ხდებოდა იმ დროის პოლიტიკურ წრეებში. გადაცემის მასალაზე კომენტარის გაკეთებისას ყურნალისტმა აღნიშნა, რომ განმცხადებელ კომპანიას მიუღებლად მიაჩნდა ის გზა, რომლითაც ჩანაწერი მოიპოვეს.

22. საოლქო სასამართლომ მოუსმინა მხარეებს და სამ მონმეს, ასევე შეისწავლა სადავო გადაცემის ტექსტი და სხვა დოკუმენტური მტკიცებულებები.

23. 1999 წლის 16 მარტის გადანყვეტილებაში საოლქო სასამართლომ განმცხადებელ კომპანიას შესთავაზა წერილობით მოეხადა ბოდიში მოსარჩელისთვის, ხოლო მობოდიშების ტექსტი ეთერში გადაეცა 15 დღის განმავლობაში. ტექსტი შემდეგი სახის უნდა ყოფილიყო:

"ჩვენ ბოდიშს ვუხდით [ბ-ნ 'დ'] სლოვაკეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ყოფილ სახელმწიფო მდივანს, რომელიც ამჟამად არის სლოვაკეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, 1996 წლის 12 ივნისს, საღამოს 6 საათზე უკანონოდ მოპოვებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერის ეთერში გაშვებისათვის."

24. გარდა ამისა, განმცხადებელ კომპანიას დაეკისრა 100 000 სლოვაკური კორუნასის² (SKK) გადახდა ბ-ნი 'დ'-ის სასარგებლოდ მის მიერ არამატერიალური ზიანის და მის მიერ განეული სასამართლო ხარჯების კომპენსაციისათვის.

25. საოლქო სასამართლო თავის გადანყვეტილებაში, *inter alia*, შემდეგ საფუძვლებს დაეყრდნო. განმცხადებელს, როგორც რადიომაუწყებლობის ლიცენზირებულ კომპანიას, უფლება ჰქონდა, პირის წინასწარი თანხმობის გარეშე აუდიოჩანაწერი გამოეყენებინა სამეცნიერო და მხატვრული მიზნებისთვის და ახალი ამბების გადაცემებში. თუმცა,

² SKK 100 000 დაახლოებით არის 2600 ევროს ეკვივალენტი.

სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, ასეთი გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოცემული პირის დასაბუთებულ ინტერესს. განმცხადებელ კომპანიას ხელი არ შეშლია, კომენტარი გაეკეთებინა წარმოშობილ სიტუაციასთან დაკავშირებით და წარმოედგინა თავისი მოსაზრება. თუმცა ამის გასაკეთებლად აუცილებელი არ იყო უკანონო გზით მოპოვებული ჩანანერის ეთერში გადაცემა. საოლქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საკითხის პრესითა და ტელევიზიით გაშუქებამ მოსარჩელის, როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირის, ღირსება შელახა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებელ კომპანიას მისთვის აენაზღაურებინა არამატერიალური ზიანი სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

26. განმცხადებელმა კომპანიამ სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა. იგი აცხადებდა, რომ კონსტიტუცია არ მოითხოვდა ჩანანერის გამოყენებამდე მისი კანონიერების დადგენას და რომ ფორმალურად არ ჩანდა, რომ ჩანანერი უკანონო გზით იყო მოპოვებული. მოსარჩელე სახელმწიფო თანამდებობის პირი იყო და ჩანანერის შინაარსი მისი საჯარო ფუნქციის განხორციელებას ეხებოდა. ჩანანერის შესახებ მისი ეთერში გადაცემამდე ერთი კვირის განმავლობაში საუბრობდნენ. სატელეფონო საუბრის გადაცემით განმცხადებელმა კომპანიამ შეასრულა თავისი მოვალეობა საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების თვალსაზრისით. და ბოლოს, განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მოსარჩელე გარკვეული დროის შემდეგ გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე და არ შეიძლება იმის თქმა, რომ მას გადაცემის შედეგად რაიმე ზიანი მიაღდა.

27. 2000 წლის 22 თებერვალს ზილინას სამხარეო სასამართლომ (*Krajský súd*) მხარი დაუჭირა საოლქო სასამართლოს გადანყვეტილებას. სამხარეო სასამართლო დაეთანხმა, რომ საინფორმაციო საშუალებების მიერ ინფორმაციის გავრცელება დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ზედამხედველობის მნიშვნელოვანი მექანიზმია. საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების შესახებ ინფორმირება და კრიტიკა მასმედიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ხოლო ასეთი ინტერესის კონსტიტუციური დაცვა უზრუნველყოფილია გამონახვის თავისუფლების და ინფორმაციის მიღების უფლების გარანტიებით. თუმცა განსახილველ საქმეში დაირღვა სატელეკომუნიკაციო სამსახურების მომხმარებელთა კომუნიკაციის თავისუფლების უფლება, ხოლო სატელეფონო საუბრის საჯაროდ გადაცემის შედეგად მოხდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა. ეს ფაქტი გახდა მომჩივნის უფლებებში განმცხადებელი კომპანიის დაუსაბუთებელი ჩარევის მთავარი ლერძი, რადგან, როგორც საოლქო სასამართლომ დაადგინა, საიდუმლოების დაცვა სახელმწიფო თანამდებობის პირთა საუბრებზედაც ვრცელდებოდა.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფო სამართალი

ა. კონსტიტუცია

28. მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი უზრუნველყოფს პიროვნების ხელშეუხებლობისა და პირადი ცხოვრების დაცვას. მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

29. 22-ე მუხლი უზრუნველყოფს კორესპონდენციის, კომუნიკაციის სხვა საშუალებებისა და საფოსტო გზავნილების, ასევე პირადი ინფორმაციის საიდუმლოების დაცვას (§1). დაუშვებელია ჩარევა წერილებში, კომუნიკაციის სხვა საშუალებებში და წერილობით გზავნილებში, პირადად შენახული იქნება ის თუ ფოსტის ან სხვა საშუალებით გაგზავნილი, სატელეფონო კომუნიკაციის ჩათვლით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა (§2).

30. 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას და ინფორმაციის უფლებას. ამ მუხლის მე-2 პუნქტი, *inter alia*, ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება გამოთქვას თავისი აზრი და თავისუფლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს მოსაზრებები და ინფორმაცია. ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის თავისუფლად მოძიების, მიღების და გავრცელების უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, *inter alia*, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

31. 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, რომელიც საქმესთან დაკავშირებულ დროს იყო ძალაში, სახელმწიფო ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ევალებოდათ სათანადო ფორმით მიენოვებინათ ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ. ამ თვალსაზრისით დამატებითი დეტალები განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სპეციალური კანონით.

ბ. სამოქალაქო კოდექსი

32. სამოქალაქო კოდექსში პირის პირადი ხელშეუხებლობის უფლება მე-11 და მისი მომდევნო მუხლებითაა გარანტირებული.

33. მე-11 მუხლის შესაბამისად, ფიზიკურ პირს უფლება აქვს, დაცული იქნეს მისი პიროვნება, კერძოდ, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, სამოქალაქო და ადამიანური ღირსება, პირადი ცხოვრება, რეპუტაცია და პირადი მონაცემები.

34. მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი, *inter alia*, უზრუნველყოფს, რომ ფიზიკურ პირთან ან პირადი ხასიათის მის განცხადებებთან დაკავშირებული აუდიოჩანაწერები შეიძლება გაკეთდეს ან გამოყენებული იქნეს მხოლოდ მოცემული პირის თანხმობით. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე თანხმობა არ მოითხოვება, თუ დოკუმენტები ან ჩანაწერები გამოიყენება

ოფიციალური მიზნით, კანონის შესაბამისად. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სურათები და აუდიოჩანაწერები შეიძლება სათანადო ფორმით გაკეთდეს და გამოყენებული იქნეს მოცემული პირის თანხმობის გარეშე სამეცნიერო და მხატვრული მიზნებისთვის, ასევე პრესის, კონფესიოლოგიური, რადიო- და სატელევიზიო საშუალებებით ახალი ამბების პროგრამებში გადაცემის მიზნით. თუმცა ასეთი გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოცემული პირის დასაბუთებულ ინტერესებს.

35. მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ყოველ ფიზიკურ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს, რომ გაცემულ იქნეს ბრძანება მის პირად ხელშეუხებლობაში არამართლზომიერი ჩარევის აღკვეთის შესახებ, ასეთი ჩარევის ზემოქმედების შეწყვეტის შესახებ და სათანადო კომპენსაციის მინიჭების შესახებ.

36. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ, როდესაც მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე მინიჭებული დაკმაყოფილება საკმარისი არ არის, განსაკუთრებით როდესაც დაზარალებული მხარის ღირსება ან საზოგადოებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვანად შეილახა, დაზარალებულ მხარეს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს არამატერიალური ზიანის ფულადი კომპენსაცია.

ბ. აქტი პერიოდული პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ (კანონი 81/1966 ჩოლლ.)

37. აქტი არეგულირებს მოქალაქეთა (*občan*) მიერ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენებას გამოხატვის და პრესის თავისუფლების უფლების (განყოფილება 1(1)) შესაბამისად, რომელიც კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი. აქტის მე-5 ნაწილი (*časť*) არეგულირებს გამოხატვის და პრესის თავისუფლების ხელყოფისაგან დაცვის საკითხს. იგი, *inter alia*, შეიცავს შემდეგ წესებს.

38. ნებისმიერი პირი, რომელიც იყენებს გამოხატვისა და პრესის თავისუფლების უფლებას, უზრუნველყოფილია სამართლებრივი დაცვის საშუალებით (განყოფილება 16(1))

39. მე-16 განყოფილების მე-2 პუნქტში, ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებისა და მოქალაქეთა კანონით დაცულ ინტერესებს, განხილულია როგორც გამოხატვის ან პრესის თავისუფლების ხელყოფა. საზოგადოებისა და მოქალაქეთა გამოხატვისა და პრესის თავისუფლების ხელყოფისაგან დაცვა ევალება გამომცემელს, მთავარ რედაქტორს, რედაქტორსა და ავტორს. დეტალები უნდა განისაზღვროს სპეციალური კანონით, რომელიც იმავდროულად დაარეგულირებს გამომცემლის პასუხისმგებლობას პრესისა და საინფორმაციო საშუალებებით მიყენებული ზიანისთვის.

სამართალი

I. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

40. განმცხადებელი კომპანია ჩიოდა, რომ ბ-ნი 'დ'-ის სარჩელზე მიღებული სასამართლო დადგენილებებით დაირღვა მისი ინფორმაციის გავრცელების უფლება. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-10 მუხლს, რომელიც აცხადებს:

"1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა, ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, პქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გააერცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კონომატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ნებსებს, პრობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემორკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მოუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად."

ა. მხარეთა არგუმენტები

41. მთავრობამ აღიარა, რომ საქმესთან დაკავშირებულ დროს ბ-ნი 'დ' იყო საჯარო პირი, რადგან იგი ჩართული იყო პოლიტიკაში, მაგრამ სატელეფონო საუბრის ჩანაწერი პირადი ხასიათის იყო. მთავრობა დაეყრდნო საქმეს *ტამერი იტალიის წინააღმდეგ* (41205/98, ECHR 2000-I) და განაცხადა, რომ დასაშვები კრიტიკის განსაკუთრებით ვიწრო ფარგლები, რომლებიც სხვა შემთხვევებში პოლიტიკოსების მიმართ ნებადართულია, მათ პირად საქმეებს არ მოიცავს.

42. გარდა ამისა, მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემული ჩანაწერი გაკეთდა უკანონოდ და კორექსონდენციისა და კომუნიკაციის სხვა სახეების საიდუმლოების კონსტიტუციური დაცვის დარღვევით. განმცხადებელმა იცოდა, რომ ჩანაწერი უკანონო წარმოშობის იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ეთერში გაშვება გადაწყვიტა, რაც გონივრული არ იყო. ამ დასკვნის გასამყარებლად მთავრობამ მიუთითა, რომ ჩანაწერი პრაქტიკულად გაურკვეველი იყო, რომ არსებობდა ეჭვი, ეკუთვნოდა თუ არა ჩანერილი ხმა ბ-ნი 'დ'-ს, და რომ ჩანაწერის შინაარსის გაურკვეველი და ბუნდოვანი ხასიათის გამო შეუძლებელი იყო მისგან რელევანტური ინფორმაციის მიღება.

43. ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, მთავრობას მიაჩნია, რომ ჩანაწერის ეთერში გაშვებას საჯარო განხილვაში რაიმე

წელილი არ შეუტანია, გარდა იმისა, რომ განმცხადებელმა კომპანიამ ამით ეჭვქვეშ დააყენა ჟურნალისტური ეთიკის დაცვის საკითხი. ნებისმიერ შემთხვევაში მან არასწორი შთაბეჭდილება შექმნა, რამაც ზიანი მიაყენა ბ-ნი 'დ'-ის რეპუტაციას, კერძოდ, გაჟღერდა, რომ იგი გარეული იყო "SP"-ის პრივატიზაციის გარშემო მიმდინარე მოვლენებში.

44. მთავრობამ რელევანტურად და საკმარისად მიიჩნია წარმოდგენილი არგუმენტები, განსაკუთრებით საოლქო სასამართლოს არგუმენტები. რაც შეეხება შეფარდებულ სანქციებს, ისინი კანონიერი მიზნის პროპორციული იყო. მთავრობამ დაასკვნა, რომ ჩარევა საჭირო იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში იმდენად, რამდენადაც იგი გამონეუული იყო მწვავე სოციალური საჭიროებით და დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული იყო.

45. და ბოლოს, კონვენციის მე-17 მუხლზე დაყრდნობით, მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელი კომპანია ვერ მოითხოვდა დაცვას კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე, რამეთუ მისი მოქმედებით ადგილი ჰქონდა გამიზნულ ჩარევას ბ-ნი 'დ'-ის უფლებებში, რომლებიც ასევე კონვენციითაა გარანტირებული. კერძოდ, განმცხადებელ კომპანიას არაფერი არ უშლიდა ხელს, კომენტარი გაეკეთებინა არსებული სიტუაციის შესახებ და გაეკრიტიკებინა მასში ჩართული პირები გონივრული სახით, უკანონო გზით მოპოვებული ჩანანერის ეთერში გაშვების გარეშე.

46. განმცხადებელი კომპანია ამტკიცებდა, რომ გასაჩივრებული ჩარევა არ იყო დაკავშირებული რაიმე სოციალურ საჭიროებასთან, რომელიც საკმარისად მწვავე იქნებოდა იმისთვის, რომ გადაეწონა საზოგადოებრივი ინტერესი მასმედიისა და საზოგადოების საერთო ინტერესის მქონე საკითხების შესახებ ინფორმირების თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით.

ბ. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

47. გამომხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი და მისი განვითარებისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. იგი ექვემდებარება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს და მიესადაგება არა მხოლოდ "ინფორმაციას" ან "შეხედულებებს", რომლებიც მიღებულია კეთილი ნებით ან მიჩნეულია უვნებლად ან ნეიტრალურად, არამედ ასევე ისეთ ინფორმაციას თუ შეხედულებებს, რომლებიც ინვევენ წყენას, შოკს ან განბილებას. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და მასშტაბური აზროვნების მოთხოვნა, რომლის გარეშეც "დემოკრატიული საზოგადოება" ვერ იარსებებს. ეს თავისუფლება ექვემდებარება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ გამოწვევებს, რომლებიც განსაკუთრებული სიზუსტით უნდა დადგინდეს. ნებისმიერი შეზღუდვის საჭიროება დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს (იხ., მაგალითად, *ნილსენი და ჯონსენი ნორვეგიის წინააღმდეგ* [GC], 23118/93, §43, 1999-VIII).

48. პირის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა იწვევს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, თუ იგი არ ხვდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი რომელიმე გამონაკლისის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, სასამართლომ თანმიმდევრობით უნდა შეისწავლოს ასეთი ჩარევა იყო თუ არა "კანონით გათვალისწინებული", მისი მიზანი ან მიზნები იყო თუ არა კანონიერი მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და იყო თუ არა იგი "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" ზემოაღნიშნული მიზნის ან მიზნების მიხედვით (იხ., მაგალითად, *სანდვი ტაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1), 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A 30, §45).

49. ზედსართავი სახელი "აუცილებელი", მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით, "მწვავე სოციალურ საჭიროებას" მოიცავს. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული შეფასების ზღვარი, რომელსაც ისინი ასეთი საჭიროების არსებობის დასადაგენად იყენებენ, მაგრამ იგი ევროპულ ზედამხედველობასთან ერთად ხორციელდება და მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ისე მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას, იმ გადაწყვეტილებების ჩათვლით, რომლებსაც დამოუკიდებელი სასამართლო იღებს. აქედან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს განჩინება, იყო თუ არა "შეზღუდვა" შესაბამისი გამოხატვის თავისუფლებისა, როგორც ეს მე-10 მუხლითაა დაცული (იხ. მაგალითად, *იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ* [GC], 25716/94, §30, 1999-I).

50. თავისი საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელებისას სასამართლომ უნდა შეისწავლოს სადავო ჩარევა მთელი საქმის ფონზე, განმცხადებლის საწინააღმდეგოდ გამოთქმული კომენტარების შინაარსისა და მათი კონტექსტის ჩათვლით. კერძოდ, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა მოცემული ჩარევა "მისაღწევი კანონიერი მიზნის პროპორციული" და იყო თუ არა მის გასამართლებლად ეროვნული ხელისუფლების მიერ ნარმოდგენილი არგუმენტები "რეალისტური და საკმარისი" (იხ. მაგალითად, *ბარფორდი დანიის წინააღმდეგ*, 1989 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 149, გვ. 12, §28). ამის განხორციელებისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიყენა სტანდარტები, რომლებიც შეესაბამება მე-10 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს, ასევე იმაში, თუ რამდენად დაეყრდნო იგი შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას (იხ., მაგალითად, *იერსილდი დანიის წინააღმდეგ*, 1994 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A 298, გვ. 23, §31).

51. სასამართლო კვლავ მიუთითებს იმ მნიშვნელოვან ფუნქციაზე, რომელსაც პრესა დემოკრატიულ საზოგადოებაში ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ პრესამ გარკვეულ საზღვრებს არ უნდა გადააბიჯოს, კერძოდ, სხვათა რეპუტაციისა და უფლებების შელახვისა და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების თვალსაზრისით, საზოგადოების ინტერესებში შემავალი საკითხების შესახებ ინფორმაციისა და შეხედულებების გავრცელება მაინც მის მოვალეობად რჩება, რაც მან მისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობებისთვის შესაფერისი ფორმით უნდა გააკეთოს (იხ. მაგალითად, *ბლადეტ ტრომსო და სტენსაასი ნორვეგიის წინააღმდეგ* [GC], 21980/93, § 58, ECHR 1999-III). გარდა ამისა, სასამართლო გულისყურით უდგება იმ ფაქტს, რომ ჟურნალისტური თავისუფლება იმავდროულად მოიცავს შესაძლო გასაჩივრებას გარკვეული გაზ-

ვიადებისთვის ან თუნდაც პროვოცირებისთვის (იხ., მაგ., *პერნა იტალიის წინააღმდეგ* [GC], 48898/99, §39, 2003-V).

52. პოლიტიკური განცხადებებისა და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე დებატების შეზღუდვის თვალსაზრისით კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ძალზე ვიწრო ფარგლებს ადგენს (იხ. მაგალითად, *სურეკი თურქეთის წინააღმდეგ* (1) [GC], 26682/95, §61, ECHR 1999-IV). გარდა ამისა, დასაშვები კრიტიკის თვალსაზრისით, ფარგლები უფრო ფართოა პოლიტიკოსების მიმართ, ვიდრე კერძო პირთა მიმართ. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, პოლიტიკოსები, გარდაუვლად და შეგნებულად უქვემდებარებენ თავიანთ გამონათქვამებს და ქმედებებს ჟურტალისტიკისა და ფართო საზოგადოების უფრო ინტენსიურ ცონტროლს. ამიტომ მათ შემგუებლობის მეტი ხარისხი უნდა გამოავლინონ (იხ., მაგალითად, *ინჩალი თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 9 ივნისი, *მოხსენებები* 1998-IV, გვ. 1567, §54).

53. ბოლოს სასამართლო იმეორებს, რომ ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დაკისრებული სანქციების ბუნებისა და სიმკაცრის ფაქტორი (იხ., მაგალითად, *ჩეილანი თურქეთის წინააღმდეგ* [GC], 23556/94, §37, 1999-IV). ამ თვალსაზრისით მომავალში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს დაკისრებული სანქციებით გამოწვეული პოტენციური მკაცრი შედეგი პრესისთვის, რომელიც ინფორმაციის მიმწოდებლისა და საზოგადოებრივი მაკონტროლებლის ფუნქციებს ახორციელებს (იხ. *mutatis mutandis*, *გოდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1996 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1996-II, გვ. 500, §39 და *ბართოლდი გერმანიის წინააღმდეგ*, 1985 წლის 25 მარტი, სერია A 90, გვ. 26, §58).

2. ზოგადი პრინციპების გამოყენება წარმოდგენილ საქმეში

ა. ჩარევა, კანონიერება და კანონიერი მიზანი

54. სასამართლო მიიჩნევს — და ეს მხარეებს შორის დავის საგანი არ ყოფილა — რომ საოლქო და სამხარეო სასამართლოების საპროცესო გადაწყვეტილებები ბ-ნი 'დ'-ის პიროვნული ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ წარმოდგენდა განმცხადებელი კომპანიის ინფორმაციის გავრცელების უფლებაში ჩარევას კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე.

55. გარდა ამისა, სასამართლო მიიჩნევს — და არც ეს ყოფილა სადავო მხარეებს შორის — რომ გასაჩივრებული ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-11 და მისი მომდევნო მუხლებით და იგი ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, კერძოდ, სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვას. ამრიგად, გასარკვევი რჩება საკითხი, იყო თუ არა ჩარევა "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".

ბ. აუცილებლობა

56. ახლა სასამართლო განიხილავს განმცხადებელი კომპანიის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელის შეტანის საშუალება იყო თუ არა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ბ-ნი 'დ'-ის რეპუტაციისა და უფლებების დასაცავად, ანუ, ემსახურებოდა თუ არა იგი ამ თვალსაზრისით მწვავე სოციალურ საჭიროებას.

57. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი 'დ', როგორც ეს შიდასახელმწიფო სასამართლოებმა აღიარეს, საქმესთან დაკავშირებულ დროს იყო სახელმწიფო თანამდებობის პირი. მას ეკავა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მდივნის პოსტი, პოლიტიკური თანამდებობა, რომელიც სამოქალაქო სამსახურის ნაწილს არ წარმოადგენს (იხ. ზემოთ, პუნქტი 14).

შიდასახელმწიფო სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირს აქვს უფლება, მისი პირადი ცხოვრება დაცული იქნეს კანონით, და დაადგინეს, რომ ჩანერილი და ეთერში გადაცემული სატელეფონო საუბარი კერძო ხასიათის იყო და, აქედან გამომდინარე, იგი არ უნდა გადაეცათ.

58. სასამართლო ამ დასკვნას ვერ დაეთანხმება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სატელეფონო საუბარი შედგა მთავრობის მაღალი რანგის ორ წარმომადგენელს — იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მდივანსა და პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, ფინანსთა მინისტრს შორის. იგი ეხებოდა 1996 წელს ორ ჯგუფს შორის ძალაუფლებისთვის მიმდინარე ბრძოლას, სადაც თითოეულ მხარეს ზურგს უმაგრებდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ქვეყნის ძირითადი სადაზღვევო ორგანიზაციის — "SP"-ის პრივატიზაციით.

ამრიგად, საუბრის კონტექსტი და შინაარსი წმინდა პოლიტიკური ხასიათის იყო და სადავო მოვლენებში სასამართლომ პირადი ცხოვრების ელემენტები ვერ დაინახა. აქედან გამომდინარე, გამოსაყენებელია კონვენციის პრეცედენტული სამართლით დაფუძნებული შემგუებლობის სპეციალური სტანდარტი (იხ. *ინკალის* საქმე, ციტ. ზემოთ §54).

ანალოგიურად, სასამართლოს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოს მენეჯმენტი და მისი პრივატიზაცია, ყოველგვარი ეჭვის გარეშე და მისი განმარტებით, საერთო ინტერესებში შემავალი საკითხია. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკურად და პოლიტიკურად გარდამავალ პერიოდში. მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი არ არის, იყო თუ არა ჩანანერის სმენადობა დამაკმაყოფილებელი ან გამოიწვია თუ არა მან შემდგომი დებატები.

59. სასამართლოს მიაჩნია, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოებმა განსჯადობის ორივე დონეზე გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს იმ ფაქტს, რომ რადიომარცხებლობის ჩანანერი უკანონო გზით იყო მოპოვებული.

მათ დაასკვნეს, რომ ასეთი ჩანანერის ეთერში გაშვება თავისთავად იყო მოსარჩელის პირადი ხელშეუხებლობის დაცვის უფლების დარღვევა. ეს გამომდინარეობს როგორც საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან (იხ. ზემოთ, პუნქტი 23), ისე საოლქო და სამხარეო სასამართლოების არგუმენტაციიდან (იხ. ზემოთ, პუნქტები 25 და 27).

60. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ეტაპზე არ ნამოუყენებიათ პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელი კომპანია ან მისი თანამშრომლები თუ წარმომადგენლები რაიმე სახით პასუხისმგებელი იყვნენ ჩანანერზე, ან რომ უურნალისტებმა მისი მოპოვებით ან გადაცემით სისხლის სამართლის კანონმდებლობა დაარღვიეს. ჩანანერის გაკეთებასთან დაკავშირებული გარემოებების კონტექსტში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შიდასახელმწიფო დონეზე ამ საკითხის გარშემო რაიმე გამოძიება არ ჩატარებულა. ეს შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, რადგან საქმე ეხებოდა სატელეფონო საუბარს მთავრობის ორ მაღალჩინოსანს შორის და რადგან არ შეიძლებოდა *a priori* გამორიცხვა ეჭვისა, რომ ჩანანერი ოფიციალური უფლებამოსილების გადამეტებით გაკეთდა.

61. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოებს არ დაუდგენიათ, რომ ჩანანერი შეიცავდა რაიმე არასწორ ან დამახინჯებულ ინფორმაციას, ან რომ განმცხადებელი კომპანიის უურნალისტების მიერ გადაცემულმა ინფორმაციამ ან მათ მიერ გამოთქმულმა შეხედულებებმა რაიმე განსაკუთრებული ზიანი მიაყენა მოსარჩელის პირად ხელშეუხებლობას ან რეპუტაციას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ სადავო რადიოგადაცემის შემდეგ მოსარჩელე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩიეს (იხ. ზემოთ, პუნქტი 15), და ძნელია ვივარაუდოთ, რომ მისი რეპუტაცია შეილახა.

62. სასამართლოს ასევე მიაჩნია, რომ განმცხადებელი კომპანია დაისაჯა ძირითადად იმ მარტივი ფაქტის გამო, რომ მან ვილაცის მიერ უკანონოდ მოპოვებული ინფორმაცია გადასცა. თუმცა სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ ჩანანერი კანონის დარღვევით მესამე პირის მიერ იყო მოპოვებული, განმცხადებელ კომპანიას შეიძლება ნაერთვას კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული დაცვა.

აქედან გამომდინარეობს, რომ ჩარევის მითითებული საფუძვლები არის ძალზე ვიწრო და ამიტომ – არასაკმარისი.

63. ბოლოს სასამართლოს მიაჩნია, რომ არაფერი არ მიაჩნებდა იმაზე, რომ განმცხადებელი კომპანია ბოროტი სურვილებით მოქმედებდა, ან რომ მას ამოძრავებდა რაიმე სხვა მიზანი, გარდა იმისა, რომ თავს ვალდებულად თვლიდა, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გაეხადა საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია (იხ. ზემოთ, პუნქტი 17).

64. ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მოცემული სატელეფონო ჩანანერის გადაცემით განმცხადებელი კომპანია ისეთი სახით ჩაერია ბ-ნი 'დ'-ის რეპუტაციასა და უფლებებში, რომელიც ამართლებს მის მიმართ გამოყენებულ სანქციას. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის გავრცელების მის უფლებაში ჩარევა არც მწვავე სოციალურ საჭიროებას შეესაბამებოდა და არც მისაღწევი კანონიერი მიზნის პროპორციული იყო. ამრიგად, იგი არ იყო "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".

65. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

66. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

67. განმცხადებელ კომპანიას სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით მოთხოვნა არ წარმოუდგენია.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2006 წლის 19 დეკემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ტ. ლ. ეარლი
სექციის მდივანი

ნიკოლას ბრატზა
თავმჯდომარე

რამაზანოვა და სხვები
აზერბაიჯანის წინააღმდეგ
Ramazanova and others v. Azerbaijan

რამაზანოვა და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი სექცია

საქმე რამაზანოვა და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ

CASE OF RAMAZANOVA AND OTHERS v. AZERBAIJAN

(განაცხადი 44363/02)

გადანყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 1 თებერვალი

საბოლოო

01/05/2007

ეს გადანყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე "რამაზანოვა და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ"
(*Ramazanova and others v. Azerbaijan*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (პირველი სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი კ.ლ. როზაკისი, *თავმჯდომარე*,
ბ-ნი ლ. ლუკაიდესი,
ქ-ნი ფ. ტულკენსი,
ქ-ნი ე. სტიენერი,
ბ-ნი კ. ჰაჯიევი,
ბ-ნი დ. სპიელმანი,
ბ-ნი ს.ე. იებენსი, *მოსამართლეები*,
და ბ-ნი ს. ნილსენი, *სექციის მდივანი*,

მოითათბირა 2007 წლის 11 იანვარს და

იმავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (44363/02) აზერბაიჯანის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე აზერბაიჯანის მოქალაქეების — ქალბატონ ნაბატ რამაზანოვას, ბატონ ემინ ზეინალოვას, ქალბატონ ზაფირა განბაროვასა და ბატონ ელდარ ალიზადეს ("განმცხადებლები") მიერ 2002 წლის 22 ნოემბერს.

2. განმცხადებლებს წარმოადგენდა ბაქოში მოღვაწე ადვოკატი ბ-ნი ი. ალიევი. აზერბაიჯანის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა მისი წარმომადგენელი, ბატონი ს. ასგაროვი.

3. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათი საზოგადოებრივი გაერთიანების რეგისტრაციის დაგვიანებით დაირღვა მათი გაერთიანების უფლება, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოები არ იყვნენ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და რომ სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფო საშუალებები არ იყო ეფექტიანი იმ სარჩელების განხილვისას, რომლებიც ასოციაციამ წარადგინა აზერბაიჯანის იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ.

4. 2003 წლის 4 სექტემბერს სასამართლომ გადაწყვიტა მთავრობისთვის შეეტყობინებინა განაცხადის შესახებ. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მან გადაწყვიტა ერთდროულად განეხილა განაცხადის არსებითი მხარე და მისი დასაშვებობა.

შეჯამება

I. საქმის გარემოებები

5. განმცხადებლები დაიბადნენ, შესაბამისად, 1947, 1949, 1952 და 1947 წლებში და ცხოვრობენ ბაქოში.

6. 2001 წლის 4 აპრილს განმცხადებლებმა დააფუძნეს საზოგადოებრივი გაერთიანება "ადამიანის უფლებათა დაცვის მხარდაჭერა ბაქოს უსახლკარო და მონყვლადი მცხოვრებლებისთვის" ("Evsiz və Məzlum Bakılıların İnsan Hüquqlarının Müdafiəsinə Yardım" İctimai Birliyi). ეს იყო არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც უსახლკარო ადამიანების ინტერესების დაცვის მიზნით შეიქმნა.

ა. რეგისტრაციის მოთხოვნა განმცხადებელთა მიერ და თავდაპირველი სასამართლო პროცესები

7. 2001 წლის 9 აპრილს განმცხადებლებმა გაერთიანების რეგისტრაცია მოსთხოვეს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო რეგისტრს (შემდგომში ასევე მოხსენიებული იქნება როგორც "სამინისტრო"), რომელიც იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი უწყებაა. როგორც მთავრობა აცხადებს, ეს მოთხოვნა შეიტანეს 2001 წლის 12 აპრილს. შიდასახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად არასამთავრობო ორგანიზაციას იურიდიული პირის სტატუსი მხოლოდ სამინისტროს მიერ რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ენიჭება.

8. 2001 წლის 18 მაისს სამინისტრომ სარეგისტრაციო დოკუმენტები განმცხადებლებს დაუბრუნა "რაიმე მოქმედების განხორციელების გარეშე", ანუ სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის და გაერთიანების რეგისტრაციაზე უარის ოფიციალურად თქმის გარეშე. თანდართულ წერილში სამინისტრო მიუთითებდა, რომ გაერთიანების წესდება არ შეესაბამებოდა არასამთავრობო ორგანიზაციათა შესახებ კანონის მე-6 მუხლს, რადგან მასში არ იყო დებულება გაერთიანების საქმიანობის ტერიტორიული არეალის შესახებ.

9. განმცხადებლებმა შეცვალეს წესდება სამინისტროს მითითების შესაბამისად და 2001 წლის 4 ივნისს ხელმეორედ შეიტანეს რეგისტრაციის მოთხოვნა, რომელსაც წესდების ახალი ვარიანტი დაურთეს. 2001 წლის 10 სექტემბერს სამინისტრომ კიდევ ერთი უარით უპასუხა, სადაც აცხადებდა, რომ წესდება კვლავ არ შეესაბამებოდა არასამთავრობო ორგანიზაციათა შესახებ კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, მასში მითითებული არ იყო გაერთიანების საზედამხებველო საბჭოს უფლებამოსილების ვადა, როგორც ამას ზემოაღნიშნული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი მოითხოვდა.

10. განმცხადებლებმა კვლავ შეასწორეს წესდება და 2001 წლის 2 ოქტომბერს შესამედ მოითხოვეს რეგისტრაცია.

11. პასუხის რამდენიმე თვის ლოდინის შემდეგ, 2002 წლის 22 მაისს, განმცხადებლებმა იასამალის რაიონულ სასამართლოს მიმართეს. ისინი ჩიოდნენ, რომ სამინისტრო “თავს არიდებდა” მათი ორგანიზაციის რეგისტრაციას და ითხოვდნენ სამინისტროსთვის მათი რეგისტრაციაში გატარება დაევალებინათ. ისინი ასევე 25 000 000 აზერბაიჯანულ მანათს (AZM) ითხოვდნენ მორალური ზიანისთვის.

12. 2002 წლის 5 ივლისს სამინისტრომ წერილი გაუგზავნა სასამართლოს, რომელშიც ატყობინებდა, რომ სამინისტრომ კვლავ დაუბრუნა წერილი განმცხადებლებს “რამე მოქმედების განხორციელების გარეშე”. ამჯერად რეგისტრაციაში გაუტარებლობის მიზეზად დაასახელეს, რომ ნესდებში მითითებული არ იყო ასოციაციის წევრობის პირობები, როგორც ამას არასამთავრობო ორგანიზაციათა შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს.

13. 2002 წლის 15 ივლისს იასამალის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელთა საჩივარი არ დააკმაყოფილა, რადგან სამინისტროს მოქმედებებში არამართლზომიერი ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანების წესდება კანონის შესაბამისად არ იყო შემუშავებული.

14. განმცხადებლებმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. 2002 წლის 19 სექტემბერს სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. 2002 წლის 20 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომ.

15. ამ დროის განმავლობაში განმცხადებლებმა ორგანიზაციის წესდება კიდევ ერთხელ შეასწორეს სამინისტროს ბოლო კომენტარების შესაბამისად და 2002 წლის 29 ივლისს მეოთხედ მიმართეს სამინისტროს რეგისტრაციისთვის. მას შემდეგ, რაც კანონით დადგენილ ხუთ დღეში პასუხი არ მიიღეს, მათ იასამალის რაიონულ სასამართლოში ახალი სარჩელი შეიტანეს, რომელშიც ჩიოდნენ, რომ სამინისტრომ კვლავ დაარღვია პროცედურა და უკანონოდ გააჭიანურა მათი სარეგისტრაციო დოკუმენტების შესწავლა.

16. სამინისტროს წარმომადგენლებმა სასამართლოში განაცხადეს, რომ განმცხადებელთა სარეგისტრაციო დოკუმენტების შესწავლის დაყოვნება გამოიწვია სამინისტროს იურიდიულ პირთა რეგისტრაციის დეპარტამენტის სამუშაოს დიდმა მოცულობამ.

17. 2002 წლის 5 სექტემბერს იასამალის რაიონულმა სასამართლომ სარჩელის “განხილვის გარეშე დატოვების” პროცედურული დადგენილება (*garardad*) მიიღო, ანუ განმცხადებლის სარჩელი დაუშვებლად გამოაცხადა. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელთა მოთხოვნა რეგისტრაციაში გატარების შესახებ იუსტიციის სამინისტროში კვლავ განხილვის სტადიაზე იყო და რომ განმცხადებლებმა სასამართლოში სარჩელი საკითხის გადაწყვეტის არასასამართლო საშუალებების ამონურვის გარეშე შეიტანეს. 2002 წლის 1 ნოემბერს ეს დადგენილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ, ხოლო 2003 წლის 13 იანვარს — საკონსტიტუციო სასამართლომ.

18. მაშინ, როდესაც მეორე სარჩელი ჯერ კიდევ სააპელაციო განხილვის სტადიაზე იყო, განმცხადებლებმა, რომლებსაც 2002 წლის დეკემბრის შემდეგ რაიმე პასუხი მიღებული არ ჰქონდათ, კიდევ ერთი სარჩელი შეიტანეს, რომელშიც სასამართლოს სთხოვედნენ, სამართლებრივად განემარტათ მათთვის, ჰქონდა თუ არა სამინისტროს უფლება შიდასახელმწიფო კანონმდებლობის საფუძველზე გაეჭიანურებინა ან თავი აერიდებინა ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარებისთვის, და სამინისტროს მოქმედებათა კონსტიტუციურობის საკითხი განსახილველად გადაეცა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. 2002 წლის 18 დეკემბერს იასამალის რაიონულმა სასამართლომ სარჩელის მიღებაზე უარი განაცხადა. მან მიუთითა, რომ განმცხადებელთა წინა სააპელაციო საჩივარი ჯერ კიდევ განხილვის სტადიაზე იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ, იმ დროს მოქმედი შიდასახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განსახილველად თხოვნა თვით საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა შეეტანათ. 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ საბოლოო დადგენილება ძალაში დატოვა.

19. 2003 წლის იანვარში, 2002 წლის იელისში განმცხადებელთა მიერ რეგისტრაციაში გატარებასთან დაკავშირებული მეოთხე მოთხოვნიდან დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ, სამინისტრომ კიდევ ერთხელ განაცხადა უარი ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარებაზე. როგორც ჩანს, უფრო მოგვიანებით, რომლის თარიღიც მითითებული არ არის, განმცხადებლებმა კვლავ შესწორებული წესდება მეხუთედ წარადგინეს რეგისტრაციის მოთხოვნით.

20. იმავდროულად განმცხადებლებმა ახალი სარჩელი შეიტანეს სამინისტროს ბოლო უარის თაობაზე. 2003 წლის 26 თებერვალს იასამალის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი არ მიიღო, რადგან განმცხადებელთა წინა სააპელაციო სარჩელები ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო ზემდგომ სასამართლოებში. 2003 წლის 3 სექტემბრის საბოლოო დადგენილებით უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

21. ბოლოს განმცხადებლებმა დამატებითი საკასაციო სარჩელი შეიტანეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომელშიც ისინი ითხოვდნენ პროცესის ხელახლა დანიშვნას და საქმის უზენაესი სასამართლოს კოლეგიისთვის გადაცემას. 2003 წლის 10 ნოემბრის წერილით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განმცხადებლებს მოთხოვნაზე უარი უთხრა. მან მიუთითა, რომ საქმის ხელახალი განხილვის საფუძველი არ არსებობდა.

ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება

22. განმცხადებლებმა შიდასახელმწიფო სასამართლოების გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ საკონსტიტუციო სარჩელი შეიტანეს, რომელშიც ისინი ჩიოდნენ, რომ დაირღვა მათი რამდენიმე კონსტიტუციური უფლება. 2004 წლის 23 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ მათი სარჩელი მიიღო საქმის არსებითი განხილვისთვის.

23. 2004 წლის 11 მაისის დადგენილებით საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ იასამალის რაიონული სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს ყველა განჩინებით და დადგენილებით დაირღვა კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სამართლებრივი გარანტიები. საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ პირველი სასამართლო განხილვების დროს შიდასახელმწიფო სასამართლებმა გულმოდგინედ არ შეისწავლეს განმცხადებელთა საჩივარი და ობიექტურად არ შეაფასეს მტკიცებულებები. კერძოდ, პირველ სამოქალაქო პროცესებზე სასამართლოებმა დეტალურად არ შეისწავლეს განმცხადებელთა გაერთიანების თავისუფლების სავარაუდო დარღვევის საკითხი და არ დაადგინეს საქმეში ამ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოებმა დაარღვიეს კონსტიტუციის მე-60 მუხლი და 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლებიც ინდივიდუალურ უფლებათა და თავისუფლებათა სამართლებრივ გარანტიებს უზრუნველყოფს, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რამდენიმე დებულება. მან ასევე დაადგინა, რომ მომდევნო სასამართლო პროცესებზე შიდასახელმწიფო სასამართლოებმა იმავე სახით დაარღვიეს კონსტიტუციის იგივე დებულებები.

24. საკონსტიტუციო სასამართლომ ბათილად გამოაცხადა განმცხადებელთა საქმეზე მიღებული ყველა შიდასახელმწიფო განჩინება და დადგენილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის საერთო განსჯადობის სასამართლოებს გადასცა. მან განსაკუთრებით მიუთითა სასამართლოებს განმცხადებელთა გაერთიანების თავისუფლების უფლების სავარაუდო დარღვევაზე, რომელიც კონსტიტუციის 58-ე მუხლითაა გარანტირებული.

ბ. გაერთიანების რეგისტრაციაში ბატარეა და შემდგომი სასამართლო პროცესები

25. იუსტიციის სამინისტრომ, განმცხადებელთა მიერ მეხუთედ წარდგენილი რეგისტრაციის მოთხოვნის შემდეგ, გაერთიანება რეგისტრაციაში გაატარა 2005 წლის 18 თებერვალს და რეგისტრაციის სერტიფიკატი გასცა.

26. იმავე დღეს იასამალის რაიონულმა სასამართლომ ხელახლა განიხილა განმცხადებელთა საჩივარი სამინისტროს მოქმედებათა კანონიერების და 25 000 000 აზერბაიჯანული რუბლის ოდენობის კომპენსაციის შესახებ, რომელსაც ისინი მათი გაერთიანების თავისუფლების სავარაუდო დარღვევისთვის ითხოვდნენ. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მან მიუთითა, რომ საქმის ხელახალი განხილვის დროს ორგანიზაცია უკვე რეგისტრირებული იყო და, აქედან გამომდინარე, სადავო საკითხი — ამონაშროლი. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შიდასახელმწიფო კანონმდებლობა არ უზრუნველყოფდა ასეთ სიტუაციაში მორალური ზიანის ანაზღაურებას.

27. 2005 წლის 22 ივლისს სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. 2005 წლის 22

დეკემბერს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები.

28. როგორც ჩანს, ამის შემდეგ განმცხადებლებმა ახალი სარჩელი შეიტანეს, რომელშიც იუსტიციის სამინისტროს მიერ შიდასახელმწიფო კანონის დარღვევის აღიარებას ითხოვდნენ. 2006 წლის 14 სექტემბერს იასამალის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი უკუაგდო. 2006 წლის 8 დეკემბერს სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით დაადგინა, რომ განმცხადებელთა რეგისტრაციის მოთხოვნაზე იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი უწყების განმეორებითი დაგვიანებები იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნების დარღვევა იყო. სასამართლომ ოთხიდან სამ განმცხადებელს — ქ-ნ რამაზანოვას, ბ-ნ ალიზადეს და ქ-ნ განბაროვას — მორალური ზიანის კომპენსაციის სახით, ერთობლივად მიაკუთვნა 800 ახალი აზერბაიჯანული მანათი (AZN)³, რაც დაახლოებით 705 ევროს (EUR) შეადგენს. ეს თანხა უნდა გადაეხადა იუსტიციის სამინისტროს შესაბამის მუშაკს, რომელიც გაერთიანების სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების დაგვიანებაზე იყო პასუხისმგებელი.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონი

ა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის 1995 წლის 12 ნოემბრის კონსტიტუცია

მუხლი 58. გაერთიანების უფლება

“I. ყველას აქვს ყფლება სხვებთან ერთად გაერთიანების თავისუფლებისა.

II. ყველას აქვს ნებისმიერი გაერთიანების შექმნის უფლება, პოლიტიკური პარტიების, სავაჭრო კავშირების ან სხვა საზოგადოებრივი ასოციაციების ჩათვლით, ან არსებულ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება. გაერთიანებათა თავისუფალი საქმიანობა უზრუნველყოფილია...”

მუხლი 60. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სამართლებრივი გარანტიები

“I. ყოველი პირის უფლებათა და თავისუფლებათა სამართლებრივი დაცვა უზრუნველყოფილია.

II. ყოველ პირს აქვს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს სახელმწიფო ორგანოების, პოლიტიკური პარტიების, სავაჭრო კავშირებისა და სხვა

³ ეროვნული ვალუტის დენომინაციის შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვარს, 1 AZN 5 AZM-ის ტოლფასია.

საზოგადოებრივი გაერთიანებების, ასევე სახელმწიფო თანამდებობის პირთა დადგენილებები და ქმედებები (ან გადაცდომები).”

მუხლი 71. ადამიანის და სამოქალაქო უფლებათა და თავისუფლებათა გარანტიები

“1. აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს და დაიცვას კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ...”

ბ. აზარბაიჯანის რესპუბლიკის 2000 წლის სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 47. იურიდიული პირის წესდება

“47. 1. იურიდიული პირის წესდება, რომელიც დამტკიცებულია მისი დამფუძნებლების მიერ, იურიდიული პირის დამფუძნებელი დოკუმენტია. ...

47.2. იურიდიული პირის წესდებაში მითითებულია იურიდიული პირის სახელი, მისამართი, საქმიანობის მართვის პროცედურა და მისი ლიკვიდაციის წესი. არაკომერციული იურიდიული პირის წესდება განსაზღვრავს მისი საქმიანობის სფეროს და მიზანს. ...”

მუხლი 48. იურიდიული პირის რეგისტრაციაში გატარება

“48.1. იურიდიული პირი ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებას შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ. ...

48.2. იურიდიული პირის დაფუძნების პროცედურის დარღვევა ან მისი წესდების შეუსაბამობა ამ კოდექსის 47-ე მუხლთან იურიდიული პირის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის საფუძვლებს წარმოადგენს. ...”

ბ. 1996 წლის 6 თებერვლის კანონი იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების შესახებ

მუხლი 9

“იურიდიული პირისგან ან უცხოური იურიდიული პირის ფილიალისგან ან წარმომადგენლობითი ოფისისგან სახელმწიფო რეგისტრაციის განცხადების მიღებისას სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებისთვის პასუხისმგებელი ორგანო ვალდებულია:

- მიიღოს დოკუმენტები განსახილველად;
- ათი დღის განმავლობაში გასცეს განმცხადებელზე რეგისტრაციის სერტიფიკატი ან რეგისტრაციაში გატარებაზე უარის შესახებ წერილობითი შეტყობინება; ან

- განიხილოს ხელახლა შემოტანილი დოკუმენტები მათში ადრე არსებული ხარვეზების გასწორების შემდეგ და ხუთ დღეში მიიღოს სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების შესახებ გადაწყვეტილება.”

დ. 2000 წლის 13 ივნისის კანონი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ (საზოგადოებრივი გაერთიანებები და ფონდები)

მუხლი 6. არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობის [ტერიტორიული სფერო

“6.1. არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება შეიქმნას და საქმიანობა აწარმოოს სრულიად აზერბაიჯანის, რეგიონული ან ადგილობრივი სტატუსით. არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობის სფერო განისაზღვრება დამოუკიდებლად, ორგანიზაციის მიერ.

6.2. სრულიად აზერბაიჯანის სტატუსის მქონე ორგანიზაციების საქმიანობა ვრცელდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა მოიცავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ორ ან მეტ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მოქმედებენ ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში. ...”

მუხლი 10. საზოგადოებრივ გაერთიანებათა წევრები

“3. საზოგადოებრივ გაერთიანებაში განწევრების და წევრობის შეწყვეტის პროცედურა განისაზღვრება მისი წესდებით. წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი გაერთიანების წესდება უზრუნველყოფს საჩივრის ასოციაციის ფარგლებში და სასამართლოში შეტანის უფლებას. ...”

მუხლი 16. არასამთავრობო ორგანიზაციათა სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარება

“16.1. არასამთავრობო ორგანიზაციათა სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებას ახორციელებს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო, იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

16.2. არასამთავრობო ორგანიზაციებს იურიდიული პირის სტატუსი ენიჭებათ მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.”

მუხლი 17. უარი სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებაზე

“17.1. არასამთავრობო ორგანიზაციას სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ არსებობს იმავე სახელწოდების სხვა ორგანიზაცია, ან თუ რეგისტრაციისთვის წარმოდგენილი

დოკუმენტები ეწინააღმდეგება აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციას, ამ კანონს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სხვა კანონებს, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

17.2. სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებაზე უარი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს უნდა წარუდგინონ წერილობით, რომელშიც მითითებული იქნება უარის თქმის საფუძვლები, ასევე კანონმდებლობის ის დებულებები და მუხლები, რომლებიც დარღვეულია დამფუძნებელი დოკუმენტების მომზადებისას.

17.3. რეგისტრაციაში გატარებაზე უარი ორგანიზაციას ხელს არ უშლის კვლავ, მოითხოვოს რეგისტრაციაში გატარება მის სარეგისტრაციო დოკუმენტებში ხარვეზების გასწორების შემდეგ.

17. 4. რეგისტრაციაში გატარებაზე უარის გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში."

მუხლი 25. საზოგადოებრივ გაერთიანებათა მართვის პრინციპები

"25.1. საზოგადოებრივი გაერთიანების წესდება, ამ კანონის და სხვა კანონების შესაბამისად, განსაზღვრავს საზოგადოებრივი გაერთიანების სტრუქტურასა და შემადგენლობას; მისი მმართველი ორგანოების კომპეტენციას, შექმნის პროცედურას და უფლებამოსილების ვადას; ასევე გადანყვეტილების მიღების და საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენლობის პროცედურას. ..."

ე. 1998 წლის 17 აპრილის კანონი გრანტივის შესახებ მუხლი 1. გრანტი

*1. გრანტი არის ამ კანონის შესაბამისად განეული დახმარება, რომელიც გამოიყენება პუმანიტარული, სოციალური და ეკოლოგიური პროექტების განხორციელებისათვის, სამეწარმეო და სოციალური დანიშნულების მქონე დანგრეული ობიექტების, ომის ან ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, იურიდიული დახმარების, საინფორმაციო, საგამომცემლო, სპორტული, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. გრანტი გაიცემა მხოლოდ კონკრეტული მიზნისთვის (ან მიზნებისთვის).

2. გრანტი გაიცემა ფულადი და/ან ნატურალური ფორმით. გრანტი გაიცემა უსასყიდლოდ და მისი რაიმე ფორმით ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელია. ..."

მუხლი 3. გრანტის მიმღები

"1. გრანტით მოსარგებლე არის დონორისაგან გრანტის მიმღები.

2. გრანტის მიმღები შეიძლება იყოს:

- აზერბაიჯანის სახელმწიფო, შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს სახით;

- მუნიციპალური ორგანოები;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში რეზიდენტი ან არარეზიდენტი იურიდიული პირები, მათი ფილიალები, წარმომადგენლობები და განყოფილებები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, რომელთა ძირითადი მიზანი, მათი გაერთიანების მუხლების შესაბამისად, არის საქველმოქმედო საქმიანობა ან პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, რომლებიც გრანტის მიღებას ექვემდებარება და რომლებიც გრანტის მეშვეობით მოგების პირდაპირი დაგროვებისკენ არ არის მიმართული; და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები. ..."

სამართალი

I. კონვენციის მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევა

29. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ მათი ორგანიზაციის დროულად რეგისტრაციაში გაუტარებლობა მათი გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის ტოლფასი იყო. იმის გამო, რომ, სამინისტრო, საკმაო დაგვიანებით, თავს არიდებდა მათი სარეგისტრაციო მოთხოვნის განხილვას და ოფიციალური პასუხისთვის კანონით დადგენილ ვადას არღვევდა, მათ ვერ მოახერხეს იურიდიული სტატუსის მიღება. ეს სავარაუდოდ მათი გაერთიანების თავისუფლების უფლების დარღვევა იყო, რომელიც კონვენციის მე-11 მუხლითაა დადგენილი. ეს მუხლი აცხადებს:

"1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც ვათვალისწინებელია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, დაანესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ."

ა. დასაშვებობა

1. შესაბამისობა რატიონე ტემპორის

30. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელთა საჩივარი წარმოშვა გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც დაკავშირებულია 2002 წლის 15 აპრილამდე პერიოდთან, ანუ იმ თარიღამდე, როდესაც კონვენცია ძალაში შევიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. სასამართლო მიუთითებს, რომ იგი უფლებამოსილია განიხილოს კონვენციის დარღვევები, რომლებიც მოხდა მოცემულ სახელმწიფოში კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ (იხ., მაგალითად, *კაზიმოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ* (dec.), 40368/02, 2003 წლის 6 მარტი).

31. შესაბამისად, სასამართლოს უფლებამოსილება შემოიფარგლება იმ მოვლენებით, რომლებიც მოხდა 2002 წლის 15 აპრილის შემდეგ, ხოლო განმცხადებელთა მიერ პირველად და მეორედ რეგისტრაციის მოთხოვნასთან, ასევე მესამე მოთხოვნასთან დაკავშირებულ მოვლენათა ნაწილი მისი უფლებამოსილების ფარგლებში *ratione temporis* არ შედის. მიუხედავად ამისა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს მოვლენათა განვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა განსახილველი პერიოდის დასაწყისიდანვე.

2. განმცხადებელთა, როგორც მსხვერპლის სტატუსი

32. მთავრობამ მიუთითა იუსტიციის სამინისტროს მიერ 2005 წლის 18 თებერვალს გაერთიანების რეგისტრირების ფაქტზე და, განაცხადა, რომ საკითხი გადაწყვეტილი იყო და სასამართლოს სთხოვა, განაცხადი საქმეთა სიიდან ამოერიცხა. სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს მოთხოვნა, თავისი არსით, ნიშნავდა იმის დადასტურებას, რომ განმცხადებლები უკვე აღარ იყვნენ კონვენციის სავარაუდო დარღვევის შედეგად დაზარალებულები.

33. განმცხადებლები არ დაეთანხმნენ. მათ აღნიშნეს, რომ შიდასახელმწიფო ორგანოებმა არ აღიარეს მათი გაერთიანების თავისუფლების უფლების დარღვევა და არ მიაკუთვნეს კომპენსაცია ამ დარღვევის საფუძველზე.

34. სასამართლო აღნიშნავს, რომ სიტყვა "დაზარალებული" მიუთითებს პირზე, რომელზედაც უშუალო ზემოქმედება იქონია ქმედებამ ან გადაცდომამ (იხ., მაგალითად, *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ*, 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A 31, გვ. 13, §27). ამ საქმეში, განმცხადებლები, რომლებიც საზოგადოებრივი გაერთიანების უშუალო დამფუძნებლები იყვნენ, გაერთიანების რეგისტრაციის თვითნებური გაჭიანურების გამო ჩიოდნენ, რის შედეგადაც გაერთიანებამ ვერ შეძლო იურიდიული პირის სტატუსის მოპოვება და ნორმალური ფუნქციონირება. ამან პირდაპირი ზემოქმედება მოახდინა განმცხადებელთა გაერთიანების თავისუფლების

უფლებზე, რის გამოც მათ საშუალება არ მიეცათ ერთობლივად ან ინდივიდუალურად განეხორციელებინათ გაერთიანების წესდებით დასახული ამოცანები, ხოლო აქედან გამომდინარე — ზემოაღნიშნული უფლება (იხ. *mutatis mutandis*, *სიდროპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1998-IV, გვ. 1612, §31; იხ. აგრეთვე ქვემოთ, პუნქტები 54-60).

35. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ განმცხადებლის სასარგებლოდ მიღებული დადგენილება ან ღონისძიება პრინციპში საკმარისი არ არის მისთვის "დაზარალებულის" სტატუსის ჩამოსართმევად, ვიდრე მის სტატუსს ეროვნული ორგანოები მკაფიოდ ან არსებითად არ აღიარებენ, ხოლო შემდეგ კონვენციის დარღვევის გამოსწორების საშუალებას არ მისცემენ (იხ. *ამური საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1996 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1996-III, გვ. 846, §36; და *დელბანი რუმინეთის წინააღმდეგ* [GC], 28114/95, §44, ECHR 1999-VI). მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს პირობები დაკმაყოფილებულია, კონვენციის დამცავი მექანიზმის სუბსიდიური ბუნება ხელს უშლის განაცხადის შესწავლას.

36. სასამართლოს მიაჩნია, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ, საგრძნობი გაჭიანურების შემდეგ, საბოლოოდ რეგისტრაციაში გაატარა გაერთიანება, ამ საქმეში არ შეიძლება ავტომატურად მიჩნეული იქნეს განმცხადებელთათვის კონვენციის საფუძველზე დაზარალებულთა სტატუსის მოხსნის საფუძველად.

37. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2006 წლის დეკემბრამდე არც შიდასახელმწიფო სასამართლოებს და არც ხელისუფლების ორგანოებს განმცხადებელთა კონვენციით დაფუძნებულ უფლებებში ჩარევა არ უღიარებიათ. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა საერთო განსჯადობის სასამართლოთა ადრინდელი გადაწყვეტილებები და დადგენილებები, მას არ დაუდგენია განმცხადებელთა გაერთიანების თავისუფლების უფლების დარღვევის ფაქტი. საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ საკითხის ხელახალი განხილვის ბრძანება გასცა, რათა დაედგინათ, დაირღვა თუ არა განმცხადებელთა ეს უფლებები. ბოლოს, 2006 წლის 6 დეკემბერს სააპელაციო სასამართლომ აღიარა, რომ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის დეპარტამენტის შესაბამისმა მუშაკებმა დაარღვიეს შიდასახელმწიფო პროცედურული მოთხოვნები და განმცხადებლებისათვის მორალური ზიანის კომპენსაციის ბრძანება გამოსცა. როგორც აცხადებენ, ეს სახელმწიფოს მხრიდან განმცხადებელთა გაერთიანების უფლების დარღვევის აღიარება იყო. თუმცა სასამართლოს საჭიროდ არ მიაჩნია ამ საკითხის განსაზღვრა შემდეგი მიზეზების გამო.

38. რომც ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებამ აღიარა განმცხადებელთა კონვენციით დადგენილი უფლებების დარღვევა, სასამართლო მიუთითებს, რომ მორალური კომპენსაცია მათ საბოლოოდ მიეკუთვნათ მესამე სასამართლო განხილვათა სერიის შემდეგ, ოთხიდან სამ განმცხადებელს, მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპენსაციას ოთხივე განმცხადებელი მოითხოვდა ყველა წინა პროცესზე. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ გაერთიანების სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარება თითქმის ოთხი წლით

დაყოვნდა და განმცხადებლებს თავიანთი უფლებების დაცვა მრავალ სასამართლო პროცესზე მოუხდათ, სასამართლოს მიაჩნია, რომ სამი განმცხადებლისთვის ერთობლივად 705 ევროს ოდენობის კომპენსაციის მიკუთვნება არ შეიძლება ჩაითვალოს განმცხადებელთა კონვენციური უფლებების დარღვევის სრულ გამოსწორებად. ამ გარემოებათა ფონზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ გაერთიანების სახელმწიფო რეგისტრაცია, რომელიც ამკარად წარმოადგენდა განმცხადებლებისთვის ხელსაყრელ ღონისძიებას, მაინც არ იყო საკმარისი მათთვის "დაზარალებულის" სტატუსის მოსახსნელად.

39. შესაბამისად, სასამართლო უკუაგდებს მთავრობის მოთხოვნას განმცხადებლებისთვის დაზარალებულის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით.

3. შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებები

40. მთავრობამ განაცხადა, რომ სასამართლოში განაცხადის შეტანის დროს განმცხადებლებს ამონაწერი არ ჰქონდათ შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებები. კერძოდ, მათ უზენაესი სასამართლოს კოლეგიაში დამატებითი საკასაციო სარჩელი არ შეუტანიათ. გარდა ამისა, მთავრობა გამოთქვამდა პრეტენზიას, რომ განმცხადებლები შიდასახელმწიფო სასამართლოებში მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს სავარაუდო უკანონო მოქმედებებზე ჩიოდნენ და მათ კონკრეტულად არ მიუთითებიათ, რომ ეს მოქმედებები გაერთიანების უფლების დარღვევის ტოლფასი იყო.

41. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ სასამართლოში განაცხადის შეტანამდე მათ დამატებითი საკასაციო სარჩელის შეტანა არ მოეთხოვებოდათ, რადგან უზენაესი სასამართლოს კოლეგია ეფექტიანი საშუალება არ იყო. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ მათი საჩივარი სამინისტროს მიერ "არასამთავრობო ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარებისთვის თავის არიდებასთან" დაკავშირებით მათი გაერთიანების თავისუფლების დარღვევისთვის არსებითი საჩივარი იყო.

42. სასამართლო მიუთითებს, რომ როდესაც განმცხადებელი განაცხადის შეტანის შემდეგ განაგრძობს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფო საშუალებათა ამონაწერას, მაგრამ განაცხადის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, სასამართლო განიხილავს შიდასახელმწიფო საშუალებათა ამონაწერის საკითხს იმ დროის მდგომარეობით, როდესაც იგი საჩივრის დასაშვებობის საკითხს წყვეტს, და არა განაცხადის შეტანის დროს არსებული მდგომარეობის შესაბამისად (იხ., მაგალითად, *იოლჩუ თურქეთის წინააღმდეგ* (dec.), 34684/97, 2001 წლის 3 მაისი).

43. სასამართლო ასევე მიუთითებს თავის ადრინდელ დასკვნებზე, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიაში დამატებითი საკასაციო პროცედურა არ არის ჩვეულებრივი და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლის ამონაწერაც განმცხადებლებს მოეთხოვებოდათ 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით (იხ. *ბაბაევა ზერბაიჯანის წინააღმდეგ* (dec.), 36454/03, 2004 წლის 27 მაისი). თუმცა სასამართლოს მიაჩნია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოში ამ

განაცხადის შემოტანის შემდეგ, განმცხადებლებმა პრაქტიკულად დამატებითი საკასაციო სარჩელი შეიტანეს, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ უკუაგდო. გარდა ამისა, მათი საკონსტიტუციო სარჩელი დასაშვებად გამოაცხადეს და იგი არსებითად განიხილა საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც გააუქმა ადრინდელი დადგენილებები და გადანყვეტილებები და საქმის ხელახალი განხილვა დანიშნა. შესაბამისად, განმცხადებლებმა კიდევ ერთხელ ამონურეს ყველა ჩვეულებრივი საშუალება, რომელიც შიდასახელმწიფო კანონით იყო უზრუნველყოფილი.

44. მთავრობის არგუმენტთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლები შიდასახელმწიფო ორგანოებში კონკრეტულად მათი გაერთიანების უფლების დარღვევაზე არ ჩიოდნენ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მათი სარჩელი იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ და კომპენსაციის მოთხოვნა არსებითად ასეთი საჩივარი იყო. ეს დადასტურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებით, რომელმაც შიდასახელმწიფო კანონის საფუძველზე დაადგინა, რომ საერთო სასამართლოებში ადგილობრივი სარჩელების საგან იყო განმცხადებელთა გაერთიანების თავისუფლების სავარაუდო დარღვევა.

45. ზემოაღნიშნულ მიზეზებზე დაყრდნობით სასამართლო უკუაგდებს მთავრობის პრეტენზიას შიდასახელმწიფო სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამონურევასთან დაკავშირებით.

4. დასკვნა

46. ზემოაღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საჩივარი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძველით და რომ იგი არ არის ამჟამად არასათანადოდ დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე, იგი დასაშვებად უნდა იქნეს გამოცხადებული იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია 2002 წლის 15 აპრილის შემდგომ მოვლენებთან.

ბ. არსებობის მხარე

1. მხარეთა მოსაზრებები

47. მთავრობა ამტკიცებდა, რომ არ მომხდარა განმცხადებელთა გაერთიანების უფლებაში ჩარევა. პირველი, მთავრობამ აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტროს მათთვის რეგისტრაციაში გატარებაზე უარი არ უთქვამს. იგი დამფუძნებლებს დოკუმენტებს უკან უბრუნებდა მათში ხარვეზების გასწორებისა და შიდასახელმწიფო კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მთავრობა აცხადებდა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ "საზოგადოებრივი გაერთიანების რეგისტრაციაში გატარებაზე უარი შეიძლება განხილული იქნეს როგორც გაერთიანების თავისუფლების უფლე-

ბის დარღვევა, [სახელმწიფო რეგისტრაციის მოთხოვნაზე] დაგვიანებული პასუხი ამ უფლების დარღვევა არ არის".

48. მეორე, მთავრობა აცხადებდა, რომ რეგისტრაციის გაჭიანურებამ გაერთიანებისთვის მხოლოდ იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების დროებითი შეფერხება გამოიწვია. თუმცა, შიდასახელმწიფო კანონის საფუძველზე, იურიდიული პირის სტატუსის არქონა გაერთიანებას ხელს არ უშლის, გააგრძელოს თავისი საქმიანობა და დადოს კონტრაქტები, როგორცაა შენობის იჯარით ალება, საბანკო ანგარიშის გახსნა და სხვა სახის საქმიანობა.

49. გარდა ამისა, მთავრობამ აღნიშნა, რომ გაერთიანების დამფუძნებლები ვალდებული იყვნენ გაერთიანების დამფუძნებელი დოკუმენტები შესაბამისობაში მოეყვანათ სამართლებრივ მოთხოვნებთან, რაც იუსტიციის სამინისტროში სახელმწიფო რეგისტრაციის გავლის წინაპირობა იყო. თუმცა განმცხადებლები "გამუდმებით უარს აცხადებდნენ მათი დამფუძნებელი დოკუმენტების არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე და ცდილობდნენ მიეღოთ ... რეგისტრაცია დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც [წინააღმდეგებოდა] კანონს. იუსტიციის სამინისტროს ევალუაცია არა შეცდომების გასწორება, არამედ განმცხადებლებისთვის რჩევის მიცემა, ასე მოქცეულიყვნენ."

50. რაც შეეხება სამინისტროს მიერ კანონით დადგენილი ათდღიანი და ხუთდღიანი რეგისტრაციის ვადების დარღვევას, მთავრობამ განაცხადა, რომ ეს მხოლოდ სამინისტროს სამუშაოს დიდმა მოცულობამ გამოიწვია.

51. განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ რეგისტრაციის მოთხოვნაზე პასუხის გაჭიანურება, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა შიდასახელმწიფო კანონით დადგენილ ვადას, გაერთიანების თავისუფლების უფლებაში ჩარევა და ამ უფლების დარღვევა იყო. გარდა ამისა, განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ დოკუმენტების ყოველი მომდევნო დაბრუნებისას სამინისტრო სხვა ხარვეზზე მიუთითებდა. თუმცა შიდასახელმწიფო კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტრო ვალდებული იყო რეგისტრაციის პირველი მოთხოვნისთანავე დაედგინა ყველა ხარვეზი, ხოლო დამფუძნებელთა მიერ ამ ხარვეზების გასწორების შემდეგ, მათი მეორე მოთხოვნის შესაბამისად, სამინისტრო ვალდებული იყო საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო, ანუ რეგისტრაციაში გაეტარებინა გაერთიანება ან ოფიციალურად ეთქვა უარი რეგისტრაციაზე.

52. განმცხადებლები ასევე მიუთითებდნენ, რომ იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების გარეშე გაერთიანებას სათანადო ფუნქციონირება და მისი პირველადი ღონისძიებების განხორციელება არ შეეძლო. კერძოდ, შიდასახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად, "გრანტის" მიმღები შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სათანადოდ რეგისტრირებული ორგანიზაცია. იმის გათვალისწინებით, რომ "გრანტი" არასამთავრობო ორგანიზაციითაა საქმიანობის ძირითადი (და უმრავლეს შემთხვევაში ერთადერთი) ფინანსური წყარო, იურიდიული სტატუსის გარეშე გაერთიანება სათანადოდ ვერ იფუნქციონირებდა. ამასთანავე, საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო შეღავათებით მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგისტრაციაში გატარებული არასამთავრობო ორგანიზაციები სარგებლობდნენ და მხოლოდ მათ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ფინანსურ თუ სხვა სახის საქმიანობაში.

53. და ბოლოს, განმცხადებლები არ ეთანხმებიან მთავრობის განცხადებას, რომ მათ გულმოდგინედ არ იმუშავეს გაერთიანების დამფუძნებელ დოკუმენტებში ხარვეზების გასასწორებლად. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სამინისტროს ყოველ შენიშვნაზე მათი სწრაფი რეაგირება და რეგისტრაციის მოთხოვნათა რაოდენობა სწორედ იმ გულმოდგინებაზე მიუთითებს, რომლითაც ისინი დოკუმენტების არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ცდილობდნენ.

2. სასამართლოს შეფასება

ა. კომნდა თუ არა ადგილი ჩარევას

54. სასამართლო იმეორებს, რომ გაერთიანების შექმნის უფლება მე-11 მუხლით დადგენილი უფლების განუყოფელი ნაწილია. ის, რომ მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ იურიდიული ერთეულის შექმნა საერთო ინტერესების სფეროში კოლექტიური საქმიანობისთვის, გაერთიანების თავისუფლების უფლების უნიშვნელოვანესი ასპექტია, რომლის გარეშეც ეს უფლება ყოველგვარ აზრს კარგავს. ამ უფლების ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინება და ხელისუფლების მიერ მისი პრაქტიკული გამოყენება მოცემულ ქვეყანაში დემოკრატიის მდგომარეობის მაჩვენებელია. რა თქმა უნდა, სახელმწიფოებს უფლება აქვთ დარწმუნდნენ, რომ გაერთიანების მიზანი და მისი საქმიანობა შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებს, მაგრამ მათ ეს ისეთი გზით უნდა გააკეთონ, რომ იგი შეესაბამებოდეს მათ მიერ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს და ექვემდებარებოდეს კონვენციის ინსტიტუტების კონტროლს (იხ. *სიდიროპულოსი და სხვები*, ციტ. ზემოთ, გვ. 1614, §40).

55. საერთო ინტერესების სფეროში კოლექტიური საქმიანობის მიზნით იურიდიული ერთეულის შექმნის საშუალება გაერთიანების თავისუფლების უნიშვნელოვანესი ასპექტია, რომლის გარეშეც ეს უფლება ყოველგვარ აზრს კარგავს. სასამართლო მუდამ მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომ შიდა-სახელმწიფო ორგანოების მიერ ინდივიდუალურ პირთა გაერთიანებისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა განმცხადებელთა გაერთიანების თავისუფლების უფლებაში ჩარევის ტოლფასია (იხ., მაგალითად, *გორზელიკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ* [GC], 44148/98, §52, 2004 წლის 17 თებერვალი; *სიდიროპულოსის* საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 1612, §31; და *აქეჰ ილდოზოტიენეკ ს ზოვეტსეგე /PEH Üldözötteinek Szövetsége/ და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ* (dec.), 32367/96, 1999 წლის 31 აგვისტო).

56. სასამართლო ითვალისწინებს მთავრობის არგუმენტს, რომ იმ დროს მოქმედი შიდასახელმწიფო კანონის შესაბამისად, დამფუძნებელი დოკუმენტების დაბრუნება ხარვეზების გამოსწორების მიზნით არ იყო გაერთიანების რეგისტრაციაში გატარებაზე ოფიციალური და საბოლოო უარი, ან მისი საქმიანობის სრული აკრძალვა. თუმცა სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდ-

გენილ საქმეში რეგისტრაციის პროცედურა მნიშვნელოვნად გაჭიანურდა იუსტიციის სამინისტროს მიერ განმცხადებელთა რეგისტრაციის მოთხოვნაზე შიდასახელმწიფო კანონით დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობის გამო. უფრო კონკრეტულად, 2001 წლის 9 აპრილს განმცხადებელთა პირველი მოთხოვნის შეტანის დღიდან თითქმის ოთხი წელი გავიდა 2005 წლის 18 თებერვლამდე — გაერთიანების რეგისტრაციის დღემდე. აქედან თითქმის სამი წელი მიეკუთვნება დროის მონაკვეთს 2002 წლის 15 აპრილის შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება.

57. საქმესთან დაკავშირებული ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტების განმცხადებლებისთვის ყოველი დაბრუნების შემდეგ ისინი ასწორებდნენ სამინისტროს წერილში მითითებულ ხარვეზებს და დაუყოვნებლივ შეჰქონდათ რეგისტრაციის ახალი მოთხოვნა (ჩვეულებრივ, სამინისტროს კომენტარების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა). მეორე მხრივ, სამინისტრო თითოეულ მოთხოვნაზე პასუხს თვეობით აგვიანებდა. შესაბამისად, სადავო არ არის, რომ გაერთიანების რეგისტრაციის თითქმის ოთხი წლით დაგვიანება მნიშვნელოვანწილად გამოიწვია სამინისტროს მიერ პასუხის არადროულად გაცემამ.

58. გაერთიანებას ფაქტობრივად იურიდიული პირის სტატუსი არ მიენიჭა რეგისტრაციის გაჭიანურებული პროცესის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ხარვეზების გასასწორებლად დოკუმენტების დაბრუნება შიდასახელმწიფო კანონმდებლობის საფუძველზე არ შეიძლება მიჩნეული იქნეს როგორც რეგისტრაციაში გატარებაზე ოფიციალური და საბოლოო უარის თქმა, სასამართლო არ ითვალისწინებს "ოფიციალური უარის" შიდასახელმწიფო განმარტებას და მიიჩნევს, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ გაერთიანების რეგისტრაციაში გატარების თაობაზე კონკრეტული დადგენილების გამოტანის მრვალგზის შეფერხება გაერთიანების რეგისტრაციაზე *დე ფაქტო* უარის ტოლფასია.

59. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ გაერთიანებას სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებამდე არსებობის უფლება თეორიულად რომც ჰქონოდა, შიდასახელმწიფო კანონმდებლობა იურიდიული პირის სტატუსის გარეშე მას სათანადო ფუნქციონირების საშუალებას არ აძლევდა. მას, *inter alia*, არ შეეძლო რაიმე "გრანტის" ან ფინანსური შემოწირულობის მიღება, რაც აზერბაიჯანში არასამთავრობო ორგანიზაციათა დაფინანსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა (იხ. კანონი გრანტის შესახებ, მუხლი 3). სათანადო დაფინანსების გარეშე გაერთიანება ვერ განახორციელებდა საქველმოქმედო საქმიანობას, რომელიც მისი შექმნის ძირითადი მიზანი იყო. ამიტომ ცხადია, რომ იურიდიული პირის სტატუსის გარეშე გაერთიანების იურიდიული შესაძლებლობები ვერ იქნებოდა სახელმწიფოს მიერ რეგისტრაციაში გატარებული არასამთავრობო ორგანიზაციათა შესაძლებლობის იდენტური.

60. სასამართლოს მიაჩნია, რომ, რადგან განმცხადებლები იყვნენ დამფუძნებლები გაერთიანებისა, მისი სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების დაყოვნება, რის გამოც გაჭიანურდა იურიდიული პირის სტატუსის მიღება, განმცხადებელთა მიერ მათი გაერთიანების თავისუფლების უფლებაში სახელმწიფოს ჩარევის ტოლფასია.

ბ. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

61. ასეთი ჩარევა არ იქნება გამართლებული კონვენციის მე-11 მუხლის საფუძველზე, თუ იგი არ არის "კანონით გათვალისწინებული", არ ემსახურება ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ერთ ან რამდენიმე კანონიერ მიზანს და არ არის "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" ამ მიზნის ან მიზნების მისაღწევად (იხ. მაგ., *პასაგნუ და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ* [GC], 25088/94, 28331/95 და 28443/95, §104, ECHR 1999-III).

62. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოთქმა "კანონით გათვალისწინებული" მოითხოვს, რომ სადავო ღონისძიება გამყარებული იყოს შიდასახელმწიფო კანონით და მოცემული კანონის ხარისხზე მიუთითებს. კანონი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოცემული პირებისთვის და იგი საკმარისი სიზუსტით უნდა იყოს ფორმულირებული, რათა მათ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რჩევის შედეგად, მოცემულ გარემოებებში გონივრული ხარისხით შესძლონ კონკრეტული ქმედებით გამოწვეული შედეგების განჭვრეტა (იხ., მაგალითად, *მაესტრი იტალიის წინააღმდეგ* [GC], 39748/98, §30, 2004-I; *ადალი თურქეთის წინააღმდეგ*, 38187/97, §272, 2005 წლის 31 მარტი; და *რეკენი უნგრეთის წინააღმდეგ* [GC], 25390/94, §34, 1999-III). იმისათვის, რომ შიდასახელმწიფო კანონმა ეს მოთხოვნები დააკმაყოფილოს, იგი კონვენციით გარანტირებულ უფლებებში ხელისუფლების თვითნებური ჩარევისაგან სამართლებრივი დაცვის ღონისძიებებს უნდა უზრუნველყოფდეს. საკითხებში, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ფუნდამენტურ უფლებებზე, კანონის უზენაესობის საწინააღმდეგო იქნება აღმასრულებლისთვის ძალზე ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, რამეთუ კანონის უზენაესობა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომელიც კონვენციითაა დაცული. შესაბამისად, კანონი საკმარისი სიზუსტით უნდა მიუთითებდეს ნებისმიერ ასეთ გადახვევაზე და მისი განხორციელების ფორმაზე (იხ. *პასანი და ჩაუში ბულგარეთის წინააღმდეგ* [GC], 30985/96, §84, ECHR 2000-XI; და *მაესტრის* საქმე, ციტ. ზემოთ, §30).

63. სასამართლოსთვის ცნობილი ფაქტია, რომ დროის იმ მომენტის შემდეგ, როდესაც განვითარებული მოვლენების შედეგად ეს საჩივარი წარმოიშვა, იურიდიული პირის რეგისტრაციაში გატარებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანის კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები შევიდა. თუმცა ამ საჩივრის მიზნებისთვის სასამართლო გაითვალისწინებს შესაბამის დროს მოქმედ შიდასახელმწიფო კანონმდებლობას.

64. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1996 წლის 6 თებერვლის კანონი იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ, კერძოდ, მისი მე-9 მუხლი, ათდღიან ვადას ადგენს სამინისტროს მიერ იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების შესახებ ან რეგისტრაციაზე უარის დადგენილების მისაღებად. იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიული პირის დამფუძნებელ დოკუმენტებში არსებული ხარვეზები გასწორებას ექვემდებარება, სამინისტრომ დოკუმენტები დამფუძნებლებს უნდა დაუ-

ბრუნოს ათი დღის ვადაში და ხარვეზებზე უნდა მიუთითოს. გასწორებული დოკუმენტების ხელახლა წარდგენის შემდეგ კანონი ოფიციალური პასუხისთვის ხუთ დღეს ითვალისწინებს. თუმცა წარმოდგენილ საქმეში რეგისტრაციის მოთხოვნის ყოველი წარდგენის შემდეგ სამინისტრო თვეობით აგვიანებდა პასუხის გაცემას. კერძოდ, 2001 წლის 2 ოქტომბერს მესამედ შეტანილ მოთხოვნაზე პასუხის გაცემა ცხრა თვეზე მეტი ხნით დაგვიანდა. ასეთ გარემოებებში სასამართლოს ისლა დარჩენია, დაასკვნას, რომ სამინისტრომ პროცედურული ვადა დაარღვია.

65. აქედან გამომდინარეობს, რომ შიდასახელმწიფო კანონში არ არსებობდა ასეთი საგულისხმო გაჭიანურების საფუძველი. მთავრობის არგუმენტი, რომ დაგვიანება სამინისტროს სამუშაოს დიდმა მოცულობამ გამოიწვია, ვერ გამართლებს იმ აშკარა ფაქტს, რომ რეგისტრაციის მოთხოვნის განხილვის არაგონივრულად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაგვიანებით სამინისტრომ დაარღვია შიდასახელმწიფო კანონის პროცედურული მოთხოვნები. ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია მოაწესრიგოს სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემა და მიიღოს სათანადო სამართლებრივი დაცვის ზომები, რათა შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა დააკმაყოფილონ კანონით დადგენილი ვადები და თავიდან აიცილონ ზედმეტი გაჭიანურება (იხ. შედარებისთვის, *მარტინს მორეირა პორტუგალიის წინააღმდეგ*, 1988 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია A 143, გვ. 19, §§53-54; *უნიონ ალიმენტარია სანდერს ს.ა. ესპანეთის წინააღმდეგ*, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A 157, გვ. 15, 40; და *ციმერმანი და სტეინერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1983 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A 66, გვ. 12-13, §29). წარმოდგენილ საქმეში არ არის რაიმე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა რაიმე ზომები მიიღეს სიტუაციის გამოსასწორებლად საქმესთან დაკავშირებულ დროის მონაკვეთში. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ სამინისტროს სავარაუდოდ დატვირთული სამუშაო არ არის საპატიო მიზეზი ისეთი ხანგრძლივი დაგვიანებისთვის, როგორც ამ საქმეში მოხდა.

66. გარდა ამისა, კანონის ხარისხთან დაკავშირებით სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონი საკმარისი სიზუსტით არ მიუთითებდა სამინისტროს მიერ კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შედეგებზე. კერძოდ, კანონი არ ითვალისწინებდა იურიდიული პირის ავტომატურ რეგისტრირებას ან სხვა სამართლებრივ შედეგებს იმ შემთხვევაში, როდესაც სამინისტრო ზომების მიღებას კანონით დადგენილ ვადაში ვერ შეძლებდა, რითაც ზიანი ადგებოდა პროცედურული ვადის ობიექტს. გარდა ამისა, კანონი არ აკონკრეტებდა რამდენჯერ შეეძლო სამინისტროს "მოქმედებების განხორციელების გარეშე" დამფუძნებლებისთვის უკან დაებრუნებინა დოკუმენტები, რითაც მას, რეგისტრაციის თითოეული მოთხოვნის განხილვის თვითნებურ დაგვიანებასთან ერთად, რეგისტრაციის მთელი პროცესის თვითნებური გაჭიანურების საშუალებასაც აძლევდა. სამინისტროს შეეძლო არ მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება და გაუთავებლად ეპოვა ხარვეზები სარეგისტრაციო დოკუმენტებში და დამფუძნებლებისთვის დაებრუნებინა გასასწორებლად. შესაბამისად, კანონი განმცხადებლებს არ უზრუნველყოფდა სათანადო სამართლებრივი დაცვით იუსტიციის სამინისტროს თვითნებური მოქმედებებისაგან.

67. სასამართლომ დაადასტურა, რომ იუსტიციის სამინისტრომ დაარღვია გაერთიანების სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების კანონით დადგენილი ვადა, ხოლო შიდასახელმწიფო კანონი ასეთი დაგვიანების წინააღმდეგ საკმარის დაცვას არ უზრუნველყოფდა. აღნიშნულის ფონზე სასამართლო ასკვნის, რომ ჩარევა არ იყო "კანონით გათვალისწინებული" კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

68. ამ დასკვნის შემდეგ სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს დარწმუნდეს, იყო თუ არა დაკმაყოფილებული მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის სხვა მოთხოვნები (კანონიერი მიზანი და ჩარევის აუცილებლობა).

69. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი.

II. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

70. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოები, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სანინააღმდეგოდ, არ იყვნენ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. ისინი აღნიშნავენ, რომ საქმესთან დაკავშირებულ დროს მოქმედი კანონის შესაბამისად, მოსამართლეთა თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევა ხდებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული იუსტიციის საბჭოს მიერ, რომელსაც იუსტიციის მინისტრი თავმჯდომარეობდა. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ასეთ ვითარებაში შიდასახელმწიფო სასამართლოთა მოსამართლეები ვერ იქნებოდნენ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ მიმართულ პროცესებში, რადგან სასამართლოში მათი შემდგომი დანიშვნა დამოკიდებული იქნებოდა იუსტიციის მინისტრზე, როგორც იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეზე. გარდა ამისა, მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან ერთობლიობაში განმცხადებლები კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე ჩიოდნენ, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოები არ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რამეთუ მათ არასდროს არ გამოუტანიათ იუსტიციის სამინისტროს სანინააღმდეგო განჩინებები საქმეებზე, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციათა რეგისტრაციაში გატარების დაგვიანებას ეხებოდა.

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივრები თავიანთი არსით მსგავსია იმ საჩივრებისა, რომლებიც სასამართლომ განიხილა საქმეში *ასადოვი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ* (dec.), 138/03, 2006 წლის 12 იანვარი). *ასადოვის* საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივარი აშკარად არასათანადოდ იყო დასაბუთებული. წარმოდგენილ საქმეში რაიმე არსებითი ახალი არგუმენტის თუ მტკიცებულების არარსებობის ფონზე სასამართლოს არავითარი საფუძველი არა აქვს გადაუხვიოს დასკვნიდან, რომელიც მან *ასადოვისა და სხვების* საქმეზე გააკეთა.

72. აქედან გამომდინარეობს, რომ საჩივრები აშკარად არასათანადო-დაა დასაბუთებული და ისინი უკუდებული უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

73. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

"თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს."

ა. ზიანი

1. მატერიალური ზიანი

74. განმცხადებლები მოითხოვდნენ 25 000 ევროს მატერიალური ზიანისთვის. ისინი აცხადებდნენ, რომ ოთხი წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ მათი გაერთიანების რეგისტრაციაში გაუტარებლობით მათ ვერ მოიპოვეს რაიმე ფინანსური რესურსი გაერთიანების საქმიანობისთვის 2001-2005 წლებში.

75. ამასთან დაკავშირებით მთავრობას რაიმე მოსაზრება არ გამოუთქვამს.

76. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლებს ამ საჩივართან დაკავშირებით რაიმე დოკუმენტური მტკიცებულებები ან დასაბუთება არ წარმოუდგენიათ. ასეთ გარემოებებში სასამართლო ვერ ივარაუდებს, მართლაც შეძლება თუ არა გაერთიანება ფინანსური რესურსების მოპოვებას იგი დროულად რომ ყოფილიყო დარეგისტრირებული ან, თუნდაც ასე რომ ყოფილიყო, რა ოდენობის თანხის მოპოვებას შეძლებდნენ ისინი. აქედან გამომდინარე, სასამართლო უკუაგდება განმცხადებელთა საჩივარს მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით.

2. არამატერიალური ზიანი

77. განმცხადებლები მოითხოვდნენ 10 000 ევროს თითოეული, სულ — 40 000 ევროს, არამატერიალური ზიანისთვის.

78. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნილი თანხა იყო დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული.

79. სასამართლო მიიჩნევს, რომ გაერთიანების სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების თვითნებურმა დაგვიანებამ დაბრკოლებები შეუქმნა განმცხადებლებს, როგორც გაერთიანების დამფუძნებლებს. მიუხედავად ამისა, მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულია. სამართლიანი შეფასების საფუძველზე, როგორც ამას კონვენციის 41-ე მუხლი მოითხოვს, სასამართლო განმცხადებლებს ერთობლივად აკუთვნებს 4000 ევროს მორალური ზიანისთვის, რომელსაც უნდა დაემატოს ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა.

ბ. ხარჯები და განუხლები დანახარჯები

80. განმცხადებლები ასევე მოითხოვდნენ 5200 ევროს შიდასახელმწიფო სასამართლოებში განუხლები ხარჯებისთვის და 199 ევროს სასამართლოში განუხლები ხარჯებისთვის (თარგმანის, საფოსტო გზავნილების და ფოტოასლების ხარჯების ჩათვლით, მაგრამ არა იურიდიული მომსახურების ხარჯებისა).

81. მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები და რომ მათთვის არ უნდა მიეკუთვნებინათ რაიმე კომპენსაცია შიდასახელმწიფო პროცესებზე განუხლები ხარჯებისთვის.

82. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ხარჯების და განუხლები დანახარჯების ანაზღაურება იმ ფარგლებში, რამდენადაც დადგინდება, რომ ასეთი ხარჯები ნამდვილად იქნა განუხლები, ხოლო მისი ოდენობა იყო გონივრული. ამ საქმეში, მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია 2000 ევროს მიკუთვნება ხარჯებისთვის ყველა თავის საფუძველზე, დამატებული ამ თანხისთვის გათვალისწინებული ნებისმიერი სახის საგადასახადო ბეგარა.

ბ. საურავი

83. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ოდენობით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტული პუნქტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს დასაშვებად საჩივარს განმცხადებელთა გაერთიანების თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებით და დაუშვებლად — განაცხადის დანარჩენ ნაწილს;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი;
3. ადგენს,
(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბა-

მისად, განმცხადებლებს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 4000 (ოთხი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 2000 (ორი ათასი) ევრო ხარჯებისთვის, აზერბაიჯანულ მანათში კონვერტირებული ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით, დამატებული ამ თანხებზე გათვალისწინებული ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა.

- (b) რომ ზენოაღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებამდე შემოსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება უბრალო პროცენტები ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;
4. უარყოფს განმცხადებელთა დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2007 წლის 1 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სორენ ნილსენი
სექციის მდივანი

კრისტოს როზაკისი
თავმჯდომარეს:

სმირნოვი რუსეთის წინააღმდეგ

Smirnov v. Russia

სმირნოვი რუსეთის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი სექცია

სმირნოვი რუსეთის წინააღმდეგ

CASE OF SMIRNOV v. RUSSIA

(განაცხადი 71362/01)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 7 ივნისი

საბოლოო

12/11/2007

ეს გადაწყვეტილება საბოლოო ვახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე “სმირნოვი რუსეთის წინააღმდეგ”,
(*Smirnov v. Russia*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (პირველი სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი კ.ლ. როზაკისი, *თავმჯდომარე*,
ბ-ნი ა. კოვლერი,
ქ-ნი ე. სტეინერი,
ბ-ნი კ. ჰაჯიევი,
ბ-ნი დ. სპიელმანი,
ბ-ნი ს.ე. ჯებენსი,
ბ-ნი გ. მალინვერნი, *მოსამართლეები*,
და ბ-ნი ს. ნილსენი, *სექციის მდივანი*,

მოითათბირა 2007 წლის 15 მაისს და
იმავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (71362/01) რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე რუსეთის მოქალაქის, ბ-ნი მიხეილ ვლადიმერის ძე სპირნოვის ("განმცხადებელი") მიერ 2000 წლის 27 ნოემბერს.

2. რუსეთის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა ბ-ნი პ. ლაპტევი, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

3. განმცხადებელი, კერძოდ, ჩიოდა, რომ მის მიმართ დაირღვა საცხოვრებლით და საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისა და მისი კომპიუტერის ჩამორთმევის გამო. იგი ასევე ჩიოდა, რომ მას არ მიეცა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება თავის ბოლო საჩივართან დაკავშირებით.

4. 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სასამართლომ განცხადი ნაწილობრივ დასაშვებად გამოაცხადა.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1956 წელს და ცხოვრობს სანკტ-პეტერბურგში. იგი ადვოკატია; აღნიშნულ მოვლენათა დროს იგი იყო სანკტ-პეტერბურგის ადვოკატთა კოლეგიის წევრი (*Санкт-Петербургская объединенная коллегия адвокатов*).

ა. განმცხადებლის საცხოვრებლის ჩხრეკა

6. 1999 წლის 20 იანვარს სანკტ-პეტერბურგის ქალაქის პროკურატურამ დაიწყო სისხლის სამართლის საქმე 7806 ბ-ნი 'შ'-ის, ბ-ნი 'გ'-ის და თხუთმეტი სხვა პირის მიმართ, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ ორგანიზებული დანაშაულებრივი სანარმოს ფორმირებასა და მასში მონაწილეობაში, ასევე სხვა სერიოზულ სამართალდარღვევებში.

7. 2000 წლის 7 მარტს ბატონმა 'დ'-მ, პროკურატურის სერიოზულ დანაშაულთა სამმართველოს გამომძიებელმა, ჩხრეკის შესახებ ბრძანება გამოსცა, რომლის სრული ტექსტი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული:

"იმის გათვალისწინებით, რომ [განმცხადებლის] საცხოვრებელ ბინაში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე [განმცხადებლის ბინის მისამართი], შესაძლოა იყოს ნივთები და დოკუმენტები, რომლებიც საინტერესოა სისხლის სამართლის საქმის [7806] გამომძიებისათვის; ვბრძანებ ჩატარდეს სათავსების ჩხრეკა მისამართზე [განმცხადებლის ბინის მისამართი], სადაც [განმცხადებელი] მუდმივად ცხოვრობს, და ჩხრეკის პროცესში მოხდეს ნივთებისა და დოკუმენტების ამოღება."

8. იმავე დღეს ჩხრეკის დადგენილება დაამტკიცა სანკტ-პეტერბურგის პროკურორის მოადგილემ და ხელი მოაწერა ბრძანებას.

9. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელი არ წარმოადგენდა მხარეს 7806 სისხლის სამართლის საქმეში და არც საქმეში ჩართული რომელიმე მხარის წარმომადგენელი არ ყოფილა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იგი წარმოადგენდა:

(ა) ბატონ 'ს'-ს, რომელიც 7806 საქმეში თავდაპირველად იყო ეჭვმიტანილი, ხოლო შემდეგ – მონაწილე. 2000 წლის 21 თებერვალს განმცხადებელი ბატონ 'ს'-ს წარმოადგენდა სასამართლო პროცესზე სანკტ-პეტერბურგის ოქტიაბრსკის სასამართლოში, სადაც იხილებოდა საჩივარი გამომძიებელ 'დ'-ის მიერ მიღებული დადგენილების წინააღმდეგ. განმცხადებელი 1999 წლის 25 მაისს გაცემული უფლებამოსილების დოკუმენტის საფუძველზე 'ს'-ს ასევე წარმოადგენდა სამოქალაქო პროცესზე, რომელიც აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული არ იყო;

(ბ) ბატონ 'იუ'-ს, რომელიც 7806 საქმეში იყო ბრალდებული და რომელსაც განმცხადებელი წარმოადგენდა 1998 წლის 10 ივლისიდან 25 დეკემბრამდე;

(ც) ბატონ 'ბ'-ს, რომელიც დაზარალებულს წარმოადგენდა მისი ვაჟის მკვლელობასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეში. მოგვიანებით ეს საქმე გაერთიანდა 7806 საქმესთან. განმცხადებელი ბატონ 'ბ'-ს წარმოადგენდა 2000 წლის 11 თებერვლიდან 23 მარტამდე;

(დ) ბატონ 'შ'-ს, რომელიც ბრალდებული იყო 7806 საქმეში და რომელსაც განმცხადებელი სასამართლოში წარმოადგენდა (განაცხადი 29392/02).

10. 2000 წლის 9 მარტს გამომძიებელმა 'დ'-მ განმცხადებლის თანდასწრებით ჩხრეკა ჩაატარა განმცხადებლის ბინაში, რაშიც მას ეხმარებოდნენ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული სამმართველოს (ПВБОП) პოლიციის მუშაკები, ხოლო ჩხრეკას ესწრებოდა ორი დამსწრე (попыты). როგორც ჩხრეკის ოქმიდან ჩანს, განმცხადებელს შესთავაზეს "ნებაყოფლობით გადაეცა... სახელმწიფო კომპანია 'ტ'-სთან და ფედერალურ ინდუსტრიულ ჯგუფ 'რ'-სთან დაკავშირებული დოკუმენტები". განმცხადებელმა უპასუხა, რომ მას არ ჰქონდა ასეთი დოკუმენტები, და სხვებთან ერთად ხელი მოაწერა ამ ჩვენებას.

11. გამომძიებელმა იპოვა და ამოიღო ოცზე მეტი დოკუმენტი, რომლებზედაც განმცხადებელმა განაცხადა, რომ ისინი მისი არ იყო, და ასევე განმცხადებლის კომპიუტერის ცენტრალური ნაწილი. ჩხრეკის ოქმის თანახმად, განმცხადებელს ჩხრეკის მიმდინარეობასთან დაკავშირებით საჩივარი არ ჰქონია, თუმცა იგი შეენიანაღმდეგა კომპიუტერის ცენტრალური ნაწილის ჩამორთმევას, რადგან იგი შეიცავდა ორ ხისტ დამაგროვებელს (hard disks), რომლის ღირებულება 1000 აშშ დოლარს შეადგენდა. ამოღებულ დოკუმენტთა შორის, კერძოდ, იყო: ბ-ნი 'ს'-ის მიერ 1999 წლის 25 მაისს გაცემული ადვოკატის უფლებამოსილების დოკუმენტი და ამონარიდები ბ-ნი 'ბ'-ის საქმის მემორანდუმიდან.

12. იმავე დღეს გამომძიებელმა 'დ'-მ ოფიციალურად დაკითხა განმცხადებელი 7806 საქმესთან დაკავშირებით.

13. 2000 წლის 17 მარტს გამომძიებელმა 'ლ'-მ გამოსცა ბრძანება განმცხადებლის ბინიდან ამოღებული დოკუმენტებისა და მისი კომპიუტერის ცენტრალური ნაწილის 7806 სისხლის სამართლის საქმისთვის "ნივთმტკიცებად" დართვის თაობაზე.

ბ. ჩხრეკისა და ამოღების ბრძანებების სასამართლო განხილვა

14. განმცხადებელმა სასამართლოში იჩივლა. იგი ითხოვდა უკანონოდ გამოეცხადებინათ ჩხრეკა და დოკუმენტების ამოღება. კერძოდ, იგი ჩიოდა, რომ კომპიუტერის ცენტრალური ნაწილი, მისი პირადი პორტატიული კომპიუტერი და მისი კლიენტების ფაილები და ჩანაწერები სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული არ იყო და საქმისთვის მათი მტკიცებულებების სახით დართვა არ შეიძლებოდა, რადგან ასეთი ამოღებით დაირღვა მისი კლიენტების დაცვის უფლება.

15. 2000 წლის 19 აპრილს სანკტ-პეტერბურგის ადმირალტიკის რაიონის ოქტიაბრსკის სასამართლომ განმცხადებლის საჩივარი განიხილა. სასამართლომ დაადგინა, რომ ჩხრეკა სანქცირებული იყო, შიდასახელმწიფო კანონის შესაბამისი დებულებების დაცვით ჩატარდა და ამიტომ კანონიერი იყო. კომპიუტერის ნივთმტკიცებად საქმისთვის დართვასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

“... ჩხრეკის მიზანი იყო სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ნივთებისა და დოკუმენტების პოვნა. ჩხრეკის დროს ამოღებული იქნა მრავალი დოკუმენტი და კომპიუტერის ცენტრალური ნაწილი; გამოძიებელმა ისინი გულდასმით შეისწავლა, რასაც ამტკიცებს ამოღებული ნივთების გამოკვლევის ოქმი და კომპიუტერის ცენტრალური ნაწილიდან ამობეჭდილი ფაილები.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული უჩვენებს, რომ ჩხრეკის მიზანი მიღწეული იქნა; თუმცა ამოღებული ნივთებისა და დოკუმენტების სისხლის სამართლის საქმისთვის მტკიცებულებად დართვის ბრძანება [განმცხადებლის] საკუთრების კონფისკაციის ტოლფასია, რადგან ისინი მისგან წაიღეს და უკან აღარ დაუბრუნებიათ, მაშინ, როცა [განმცხადებელი] აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში არც ეჭვმიტანილი იყო და არც ბრალდებული, და იგი დაკითხეს როგორც მონქე.

ასეთი გარემოებების საფუძველზე დაირღვა განმცხადებლის კონსტიტუციური უფლება, რადგან მას ჩამოართვეს მისი საკუთრება. ჩხრეკის მიზნის მიღწევის და მიღებული შედეგების დაფიქსირების შემდეგ, გამოძიებელმა, რაიმე დამაჯერებელი და კანონიერი საფუძვლის გარეშე, [განმცხადებლის საკუთრება] ნივთმტკიცებად გამოაცხადა...”

16. რაიონულმა სასამართლომ გამოსცა ბრძანება განმცხადებლისთვის დაებრუნებინათ დოკუმენტები, მისი პორტატული კომპიუტერი და კომპიუტერის ცენტრალური ნაწილი.

17. 2000 წლის 25 მაისს სანკტ-პეტერბურგის საქალაქო სასამართლომ გააუქმა 2000 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის სხვა შემადგენლობის სასამართლოს გადასცა. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ნივთების მტკიცებულებად დართვის შესახებ ბრძანება განმცხადებლის საკუთრების კონფისკაციად არასწორად მიიჩნია.

18. 2000 წლის 6 ივნისს გამოძიებელმა განმცხადებელს დაუბრუნა პორტატული კომპიუტერი და რამდენიმე დოკუმენტი, მაგრამ კომპიუტერი არ დაუბრუნებია.

19. 2000 წლის 2 აგვისტოს განმცხადებელმა სამოქალაქო სარჩელი შეიტანა სანკტ-პეტერბურგის საქალაქო პროკურატურის და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ, რომელშიც იგი მისი საკუთრების ჩამორთმევით გამოწვეული არამატერიალური ზიანის კომპენსაციას ითხოვდა.

20. 2000 წლის 17 აგვისტოს სანკტ-პეტერბურგის ოქტიაბრსკის სასამართლომ განმცხადებლის სარჩელის ახალი განხილვა მოაწყო. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის ბინის ჩხრეკა იყო დასაბუთებული და კანონიერი და რომ განმცხადებლის საჩივრის დანარჩენი ნაწილი სასამართლო განხილვას არ ექვემდებარებოდა.

21. 2000 წლის 12 სექტემბერს სანკტ-პეტერბურგის საქალაქო სასამართლომ გააუქმა 2000 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის სხვა შემადგენლობის სასამართლოს გადასცა. საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ, პირველი ინსტანციის სასამართლომ სათანადო გულმოდგინებით არ შეისწავლა, ჰქონდა თუ არა გამოძიებულს საკმარისი საფუძველი პირის ბინის ჩხრეკისთვის, რომელსაც რაიმე სისხლის სამართლის ბრალდება წაყენებული არ ჰქონდა.

22. 2000 წლის 17 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგის ოქტიაბრსკის სასამართლომ განმცხადებლის საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. ჩხრეკის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

“ჩხრეკის შესახებ ბრძანება გაიცა იმიტომ, რომ არსებობდა საკმარისი საფუძველი [რწმენისთვის], რომ [განმცხადებლის საცხოვრებლის მისამართზე] სადაც [განმცხადებელი] ცხოვრობდა, შეიძლებოდა ყოფილიყო ნივთები და დოკუმენტები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო მტკიცებულებად 7806 სისხლის სამართლის საქმის რომელიმე ბრალდების პუნქტისთვის. ეს ფაქტი დაადგინა სასამართლომ და იგი დადასტურებულია საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, გამოძიებულ 'დ'-ის 2000 წლის 16 ნოემბრის განცხადებით, 1999 წლის 22 თებერვლის დადგენილებით ბრალდების წაყენების თაობაზე, 2000 წლის 10 ივლისის [? — ნათელი არ არის] გადაწყვეტილებით თავდებობით პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ განცხადების შეტანასთან დაკავშირებით, 1998 წლის 22 სექტემბრის 200409 ნერილით და სხვა მასალებით; აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკენის, რომ [განმცხადებლის] ბინის ჩხრეკა გამართლებულია რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის საფუძველზე...”

23. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ ჩხრეკა ჩატარდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ზუსტი დაცვით. რაც შეეხება განმცხადებლის საჩივრის დანარჩენ ნაწილს, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მისი გამოკვლევა მის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა, მაგრამ განმცხადებელს გამოძიებლის დადგენილებები შეეძლო გაესაჩივრებინა ამ უკანასკნელის ზედამხედველ პროკურორთან.

24. 2000 წლის 19 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა განმცხადებლის სააპელაციო სარჩელზე. მან მხარი დაუჭირა რაიონული სასამართლოს დასკვნას, რომ განმცხადებლის ბინაში ჩატარებული ჩხრეკა იყო დასაბუთებული და პროცედურულად სწორი და რომ ნივთების მტკიცებულებად დართვის შესახებ ბრძანება სასამართლო განხილვას არ ექვემდებარებოდა, რადგან შიდასახელმწიფო კანონი ასეთი გასაჩივრების საშუალებას არ იძლეოდა.

25. ზიანის ანაზღაურებაზე განმცხადებლის საჩივარი დღემდე განხილული არ არის.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. პირის საცხოვრებლის ჩხრეკა

26. კონსტიტუციის 25-ე მუხლი საცხოვრებლის ხელშეუხებლობას იცავს. არავინ არ შეიძლება შევიდეს საცხოვრებელში მის მობინადრეთა სურვილის გარეშე, თუ ეს სხვაგვარად არ არის დადგენილი ფედერალური კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

27. რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლი ("ჩხრეკის ჩატარების საფუძვლები") ადგენს, რომ გამოძიებელს უფლება აქვს ჩატაროს ჩხრეკა საგნების ან დოკუმენტების პოვნის მიზნით, რომლებიც საქმესთანაა დაკავშირებული, თუ არსებობს საკმარისი საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ ასეთი საგნები და დოკუმენტები შეიძლება ნაპოვნი იქნეს კონკრეტულ ადგილას, ან ინახება კონკრეტულ პირთან. ჩხრეკა ტარდება გამოძიებლის მიერ გაცემული დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს პროკურორი.

28. ჩხრეკას და ამოღებას უნდა ესწრებოდეს ის პირი, რომლის შენობის ჩხრეკაც ხდება, ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრი. ჩხრეკას ასევე უნდა ესწრებოდეს ორი დამსწრე (მუხლი 169). ჩხრეკის მონმე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც საქმის მიმართ რაიმე ინტერესი არა აქვს. მონმეებმა უნდა დაადასტურონ ჩხრეკის ფარგლები და შედეგები და შეუძლიათ გააკეთონ შენიშვნები, რომლებიც ჩხრეკის ოქმში უნდა დაფიქსირდეს (მუხლი 135).

29. გამოძიებლის მოქმედებები შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ პროკურორთან ან იმ პირის მეშვეობით, რომლის წინააღმდეგაც საჩივარია მიმართული. ამ უკანასკნელი შემთხვევის დროს მოცემული პირი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში წარუდგინოს პროკურორს საჩივარი მის ახსნა-განმარტებასთან ერთად (მუხლი 218). პროკურორმა უნდა შეისწავლოს საჩივარი სამი დღის განმავლობაში და უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით (მუხლი 219).

30. 1999 წლის 23 მარტს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიებლებისა და პროკურორთა მოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია ჩხრეკასთან, საკუთრების ამოღებასთან, საქმის წარმოების შეჩერებასთან და წინასწარი გამოძიების ვადის გაგრძელებასთან, უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო განხილვას, იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის უფლებებიც დაირღვა.

ბ. ნივთიერი მტკიცებულება

31. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლში ნივთიერი მტკიცებულება განსაზღვრულია როგორც "ნებისმიერი საგანი, რომელზედაც

არის სისხლის სამართლის დანაშაულის კვალი... და ნებისმიერი სხვა საგანი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს დანაშაულის გამოსავლენად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, დამნაშავეთა გამოსავლენად ან, ბრალდების უარყოფისთვის ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად”.

32. ნივთიერი მტკიცებულება უნდა ინახებოდეს მსჯავრის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან გასაჩივრების ვადის გასვლამდე. თუმცა იგი შეიძლება მეპატრონეს მანამდე დაუბრუნდეს, თუ ასეთი დაბრუნებით ზიანი არ მიადგება სისხლის სამართლის საქმის წარმოებას (მუხლი 85). სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებაში სასამართლომ უნდა გამოსცეს ბრძანება ნივთიერი მტკიცებულების კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნების თაობაზე (მუხლი 86).

ბ. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია

33. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2000) 21 ნვერი სახელმწიფოებისათვის, რომელიც ადვოკატის პროფესიული საქმიანობის თავისუფალ განხორციელებას ეხება, *inter alia*, მიუთითებს შემდეგზე:

“პრინციპი I — ადვოკატის პროფესიული საქმიანობის თავისუფალი განხორციელების ზოგადი პრინციპები

... 6. ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული ადვოკატისა და მისი კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ პრინციპიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამისია კანონის უზენაესობასთან.”

სამართალი

I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

34. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც აცხადებს:

“1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უსაფრთხოების ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.”

35. მთავრობამ ეს საჩივარი გააპროტესტა.

ა. ჰქონდა თუ არა აღზიდული ჩარევას

36. სასამართლოს მიაჩნია, რომ გამომძიებლის ბრძანებით განხორციელებული ჩხრეკა და ამოღება დაკავშირებული იყო განმცხადებლის საცხოვრებელ ბინასთან, სადაც მას ჰქონდა კომპიუტერი და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა მასალები. მე-8 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნული "საცხოვრებლის" ცნების მნიშვნელობის განმარტებისას სასამართლო მუდამ აღნიშნავდა, რომ იგი ეხება როგორც კერძო პირთა საცხოვრებლებს, ისე პირთა პროფესიულ ოფისებს (იხ. *ბუკი გერმანიის წინააღმდეგ*, 41604/98, §31, ECHR 2005-IV; და *ნიემეცი გერმანიის წინააღმდეგ*, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A 251-B, გვ. 33-34, §§29-31). აქედან გამომდინარეობს, რომ წარმოდგენილ საქმეში მოხდა განმცხადებლის საცხოვრებლის პატივისცემის უფლებაში ჩარევა.

ბ. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

37. ამის შემდეგ, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, იყო თუ არა ჩარევა გამართლებული მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ანუ, იყო თუ არა იგი "კანონის შესაბამისი" და ემსახურებოდა თუ არა ამ პუნქტში მოცემულ ერთ ან რამდენიმე კანონიერ მიზანს და, იყო თუ არა "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" ამ ერთი ან რამდენიმე მიზნის მისაღწევად.

1. იყო თუ არა ჩარევა "კანონის შესაბამისი"

38. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ჩარევა არ იყო "კანონის შესაბამისი", რადგან ჩხრეკის შესახებ ბრძანება გამოცხადდა პროკურორის მოადგილემ და არა სასამართლომ, როგორც ამას კონსტიტუცია მოითხოვს. სასამართლოს მიაჩნია, რომ, რუსეთის კონსტიტუციის შესაბამისად, პირის საცხოვრებლის უფლებაში ჩარევა დასაშვებია ფედერალური კანონის ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე (იხ. ზემოთ, პუნქტი 26). რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – რომელსაც რუსეთის სამართლებრივ სისტემაში ფედერალური კანონის სტატუსი აქვს – ჩხრეკის შესახებ ბრძანების პროკურორის თანხმობით გამოცემის უფლებამოსილებას აკისრებს გამომძიებლებს (იხ. ზემოთ, პუნქტი 27). სასამართლო კმაყოფილია, რომ ეს პროცედურა ამ საქმეში დაცული იქნა და, აქედან გამომდინარე, ჩარევა იყო "კანონის შესაბამისი".

2. ემსახურებოდა თუ არა ჩარევა კანონიერ მიზანს

39. მთავრობამ განაცხადა, რომ ჩარევა ემსახურებოდა სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კანონიერ მიზანს.

40. სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩხრეკის მიზანი, როგორც ეს გამომძიებლის დადგენილებაშია აღნიშნული, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენა

იყო, რომელიც შესაძლოა სერიოზული დანაშაულის გამოძიებისათვის ყოფილიყო სასარგებლო. შესაბამისად, იგი ემსახურებოდა საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესების, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილების და სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კანონიერ მიზნებს.

3. იყო თუ არა ჩარევა “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში”

41. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი საცხოვრებლის ჩრეკა განხორციელდა მისი კლიენტების სანინალმდეგო მტკიცებულების მოპოვების მიზნით, ბ-ნი 'ს'-ის, ბ-ნი 'იუ'-ის, ბ-ნი 'ბ'-ის და სხვა მრავალის ჩათვლით, ასევე მის კომპიუტერში შენახული მისი კლიენტების ფაილების მოსაპოვებლად. ჩხრეკით დაირღვა ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის უფლება და მას მოჰყვა კანონიერი დაკითხვა, რომლის დროსაც გამომძიებელი 'დ' მას ეკითხებოდა იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა, როგორც მისი კლიენტების წარმომადგენლისთვის.

42. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის ბინის ჩხრეკის შესახებ დადგენილება დაფუძნებული იყო მონმის ჩვენებაზე და რომ ჩხრეკა აუცილებელი იყო, რადგან განმცხადებლის ბინაში შესაძლოა ეპოვათ “7806 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ნივთები და დოკუმენტები”. განმცხადებელს ჩრეკის ჩატარებაზე უარი არ განუცხადებია.

43. სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის საფუძველზე, ცნება “აუცილებელი” ნიშნავს, რომ ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას და, განსაკუთრებით, იგი კანონიერი მიზნის პროპორციული უნდა იყოს. იმის დასადგენად, იყო თუ არა ჩარევა “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში”, სასამართლო მხედველობაში მიიღებს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა გარკვეულ დასაშვებ ზღვარს (იხ., სხვა ავტორიტეტულ წყაროებს შორის, *კამენზიდი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1997 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები განაჩენთა და გადაწყვეტილებათა შესახებ 1997-III, გვ. 2893, §44). თუმცა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისები ვინროდ უნდა იქნეს განმარტებული და მოცემულ საქმეში მათი საჭიროება დამაჯერებლად უნდა იქნეს დადგენილი (იხ. *ბუკის* საქმე, ციტ. ზემოთ, §44).

44. რაც შეეხება, კერძოდ, შენობების ჩხრეკასა და ამოღებას, სასამართლო მუდმივად აცხადებდა, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა შესაძლოა ეს ღონისძიებები საჭიროდ მიიჩნიონ კონკრეტულ დანაშაულებთან დაკავშირებული ნივთმტკიცების მოპოვების მიზნით. სასამართლო შეაფასებს, იყო თუ არა ასეთი ღონისძიებების გასამართლებლად წარმოდგენილი მიზეზები “რელევანტური” და “საკმარისი” და რამდენად იყო დაცული ზემოაღნიშნული პროპორციულობის პრინციპი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, უნდა დარწმუნდეს, რომ შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა ინდივიდუალურ პირებს უზრუნველყოფს დარღვევებისაგან დაცვის ადეკვატური და ეფექტიანი მექანიზმებით.

მეორე, იმის დასადაგენად, კონკრეტულ საქმეში იყო თუ არა მოცემული ჩარევა მიზნის პროპორციული, სასამართლომ აუცილებლად უნდა განიხილოს თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებანი. კრიტერიუმები, რომლებსაც სასამართლო ამ უკანასკნელის დადგენისას ითვალისწინებს, სხვა ასპექტებთან ერთად, არის ის გარემოებები, რომლებშიც გაიცა ჩხრეკის შესახებ ბრძანება, კერძოდ, ითვალისწინებს იმ დროისათვის არსებულ მტკიცებულებებს, ბრძანების შინაარსსა და ფარგლებს, ჩხრეკის ჩატარების ფორმებს, ჩრეკის დროს დამოუკიდებელ დამკვირვებელთა დასწრების ჩათვლით, მუშაობის შესაძლო შედეგებს და იმ პირის რეპუტაციას, რომლის ჩხრეკაც განხორციელდა (იხ. ბუკის საქმე, ციტ. ზემოთ, §45; ჩაპელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1989 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, სერია A 152-A, გვ. 25, §60; კამენზიდის საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 2894-95, §46; ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ, 1993 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 256-A, გვ. 25, §57; და ნიემეცის საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 35-36, §37).

45. რუსეთის კანონმდებლობაში დარღვევებისაგან პირის დაცვის არსებულ მექანიზმებთან დაკავშირებით სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოს დადგენილების წინასწარი მოთხოვნის არარსებობის პირობებში საგამოძიებო ორგანოებს ჩხრეკისა და ამოღების რაციონალურობისა და ფარგლების შეფასების შეუზღუდავი დისკრეცია ჰქონდათ. ფუნკეს, კრემიესის და მიილჰეს საქმეებში, რომლებიც საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, სასამართლომ მიიჩნია, რომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სასამართლო ბრძანების არარსებობის წყალობით "კანონით განსაზღვრული შეზღუდვები და პირობები... აღმოჩნდა სუსტი და შემოვლითი საშუალებების მიმცემი განმცხადებლის უფლებებში ჩარევისათვის, რომლებიც დასახული კანონიერი მიზნის მიმართ მკაცრად პროპორციული უნდა ყოფილიყო", და დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (იხ. ფუნკეს საქმე, ციტ. ზემოთ, და კრემიესის საფრანგეთის წინააღმდეგ და მიილჰეს საფრანგეთის წინააღმდეგ (1), 1993 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებები, სერია A 256-B და 256-C). თუმცა მოცემულ საქმეში წინასწარი სასამართლო ბრძანების არარსებობა გარკვეულწილად დაბალანსდა *ex post factum* სასამართლო განხილვის შესაძლებლობით. განმცხადებელს შეეძლო საჩივარი შეეტანა სასამართლოში, რაც მან გააკეთა კიდევ, ხოლო სასამართლოს უნდა შეეფასებინა ჩხრეკის შესახებ ბრძანების როგორც კანონიერება, ისე მისი დასაბუთებულობა. ადგილობრივი სასამართლოების მიერ ფაქტობრივი განხილვის ეფექტიანობა მხედველობაში იქნება მიღებული შემდგომ ანალიზში, რომელიც ჩარევის აუცილებლობას ეხება.

46. სასამართლო მიიჩნევს, რომ თვით განმცხადებელს რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულში ან არამართლზომიერ ქმედებაში ბრალი არ ედებოდა და არც ეჭვმიტანილი ყოფილა. მეორე მხრივ, განმცხადებელმა წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც უჩვენებს, რომ იგი სხვადასხვა დროს იყო 7806 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ოთხი პირის წარმომადგენელი, რის გამოც გაიცა ჩხრეკის შესახებ ბრძანება. ასეთ გარემოებებში სასამართლოს განსაკუთრებით ამფოთებს ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც განმცხადებლის ბინის ჩხრეკის შესახებ ბრძანება გაიცა,

უზრუნველყოფილი არ ყოფილა პროფესიული საიდუმლოების შემცველი მასალების დაცვის მექანიზმები.

47. ჩხრეკის შესახებ ბრძანება ძალზე ზოგადი ტერმინებითაა დაწერილი, რომლებიც კონკრეტულის გარეშე მიუთითებს "რაიმე საგნებსა და დოკუმენტებზე, რომლებიც [იყო] საინტერესო სისხლის სამართლის საქმის [7806] გამოძიებისათვის", ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ბრძანებაში არ არის რაიმე ინფორმაცია მიმდინარე გამოძიების შესახებ, არც ჩხრეკის მიზნისა და იმ ვარაუდების შესახებ, რომელთა საფუძველზედაც მიჩნეულ იქნა, რომ განმცხადებლის ბინაში შესაძლოა ეპოვათ დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებები (შეადარე *ნიემეცის* საქმეს, ციტ. ზემოთ, გვ. 33-35, §37, და საქმეს *ერნსტი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ*, 33400/96, § 116, 2003 წლის 15 ივლისი). მხოლოდ მას შემდეგ, რაც პოლიცია მის ბინაში შევიდა, განმცხადებელს მოსთხოვეს გადაეცა მათთვის "კომპანია 'ტ'-სთან და ფედერალურ ინდუსტრიულ ჯგუფ 'რ'-სთან დაკავშირებული დოკუმენტები". თუმცა არც ბრძანებაში და არც ზეპირად არ განუმარტავთ, რატომ უნდა აღმოჩენილიყო განმცხადებლის ბინაში ორი კერძო კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლებშიც განმცხადებელს რაიმე თანამდებობა არ ეკავა (შეადარე *ბუკის* საქმეს, ციტატა ზემოთ, §50). *Ex post factum* სასამართლო განხილვას არაფერი არ გაუკეთებია ჩხრეკის შესახებ ბრძანებაში დასაბუთებულებასთან დაკავშირებული ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ოქტიანბრსკის სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ დასკვნით, რომ ბრძანება დასაბუთებული იყო. მან მიუთითა ოთხ დასათაურებულ დოკუმენტზე და სხვა დაუდგენელ მასალაზე, მათი შინაარსის აღწერის გარეშე (იხ. ზემოთ, პუნქტი 22). სასამართლოს მის მიერ მითითებული მასალების რელევანტობასთან დაკავშირებით რაიმე კომენტარი არ გაუკეთებია. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ჩხრეკის შემდეგ ოთხი დოკუმენტიდან მხოლოდ ორი წაიღეს. სასამართლოს მიაჩნია, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა ჩხრეკის შესახებ ბრძანების გაცემისათვის საჭირო "რელევანტური და საკმარისი" საფუძველების უზრუნველსაყოფად.

48. ჩხრეკის ჩატარების ფორმასთან დაკავშირებით სასამართლოს ასევე მიაჩნია, რომ ჩხრეკის შესახებ ბრძანების გადაჭარბებულად ზოგადმა ტერმინოლოგიამ პოლიციას შეუზღუდავი დისკრეციული უფლება მისცა განმარტებისთვის, თუ რომელი დოკუმენტები იყო "საინტერესო" სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისთვის; ამან გამოიწვია ფართომასშტაბიანი ჩხრეკა და ამოღება. ამოღებული მასალები არ შემოფარგლულა მხოლოდ ორი კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტებით. გარდა ამისა, პოლიციამ თან წაიღო განმცხადებლის პერსონალური პორტატული კომპიუტერი, მისი კომპიუტერის ცენტრალური ნაწილი და სხვა მასალები, მათ შორის, მისი კლიენტის მიერ სამოქალაქო პროცესთან დაკავშირებით გაცემული უფლებამოსილების დოკუმენტი, რომელსაც საქმესთან რაიმე კავშირი არ ჰქონდა, და კიდევ ერთი სხვა საქმის მემორანდუმის პროექტი. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, პროფესიულ საიდუმლოებაში ჩხრეკისაგან დაცვის მექანიზმები, როგორც ასეთი, არ არსებობდა, მაგალითად, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ამოღების აკრძალვა ან ჩხრეკის ზედამხედველობა დამოუ-

კიდებული დამკვირვებლის მიერ, რომელსაც საგამოძიებო ჯგუფისგან დამოუკიდებლად შეუძლია დაადგინოს იურიდიული პროფესიის რომელი დოკუმენტებია ხელშეუხებელი (იხ. *სალინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ*, 50882/99, §89, 2005 წლის 27 სექტემბერი, და *ტამოსიუსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (dec.), 62002/00, ECHR 2002-VIII). შემონგებული და ამოღებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ჩხრეკის შედეგად მოხდა პროფესიულ საიდუმლოებაში ჩარევა ისეთ ფარგლებში, რომლებიც არაპროპორციული იყო ნებისმიერი კანონიერი მიზნისა, რომლის მიღწევაც სურდათ. ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ იქ, სადაც ადვოკატია ჩართული, პროფესიულ საიდუმლოებაში ჩარევა მესაძლოა ზეგავლენა იქონიოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე და, აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებებზე (იხ. *ნიემცის* საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 35-36, §37).

49. ბოლოს სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის ბინაში ჩხრეკა ჩატარდა სათანადო და საკმარისი საფუძვლების გარეშე და არ არსებობდა პროფესიული საიდუმლოების დაცვის მექანიზმები; ვინაიდან განმცხადებელი იყო არა ექვმიტანილი რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულში, არამედ ბრალდებულების წარმომადგენელი იმავ სისხლის სამართლის საქმეში, ჩხრეკა არ იყო "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში". ადგილი აქვს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

II. 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

50. განმცხადებელი ჩიოდა მისი საკუთრების უფლების დარღვევის გამო 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, რომელიც გამოიწვია მისი დოკუმენტებისა და კომპიუტერის ჩამორთმევამ. 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი აცხადებს:

"ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინამდებარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების უზრუნველსაყოფად."

ა. მხარეთა მოსაზრებები

51. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ კომპიუტერის ცენტრალური ნაწილის ამოღება მისი საკუთრების უფლებაში არაპროპორციული ჩარევა იყო,

რითაც მას მძიმე ტვირთი დაანვა. ცენტრალური ნაწილი თავისთავად ვერ იქნებოდა გამოყენებული მტკიცებულებად სისხლის სამართლის საქმეში, რადგან იგი არ იყო დანაშაულის იარაღი, საგანი ან პროდუქტი და მასზე არ იყო დანაშაულის რაიმე კვალი. გარდა ამისა, მასზე მოთავსებულ მონაცემებს არ შეიძლება ჰქონოდათ რაიმე მტკიცებულებითი ღირებულება, რამეთუ ეს ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში პროკურატურის ხელში იყო და შესაძლებელი იყო მონაცემთა ნაშლა ან მოდიფიცირება. განმცხადებელი ეთანხმება საფუძვლებს, რომლებიც სასამართლო დადგენილებაშია ჩამოყალიბებული. მისი აზრით, უმჯობესი იყო პროკურატურას შეესრულებინა ეს დადგენილება, ვიდრე ედავა მასთან დაკავშირებით გასაჩივრებისას. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ამოღების ჭეშმარიტი მიზანი იყო მისი პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლა. მისი კომპიუტერის უკანონო ჩამორთმევით მას ხელი აღარ მიუწვდებოდა ორასზე მეტი კლიენტის ფაილებზე, რამაც მთლიანობაში გამანადგურებლად იმოქმედა მის, როგორც იურისტის, პრაქტიკაზე. და ბოლოს, განმცხადებელმა მიუთითა, რომ მოგვიანებით მას დაუბრუნეს პორტატული კომპიუტერი და ზოგიერთი დოკუმენტი.

52. მთავრობამ განაცხადა, რომ კომპიუტერის ცენტრალური ნაწილი დაილუქა და იგი ნივთმტკიცების სახით დაერთო 7806 სისხლის სამართლის საქმეს, მონაცემთა დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით. სისხლის სამართლის საქმის შესწავლა ჯერ დასრულებული არ არის. განმცხადებლის დოკუმენტები და კომპიუტერის ცენტრალური ნაწილი სანკტ-პეტერბურგის საქალაქო სასამართლოში უნდა ინახებოდეს განაჩენის გამოტანამდე. შესაბამისად, განმცხადებლის მიერ მისი საკუთრებით სარგებლობის უფლება შეიზღუდა საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე, 7806 სისხლის სამართლის საქმეში ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

ბ. სასამართლოს შეფასება

53. სასამართლოს აღნიშნავს, რომ, განმცხადებლის ბინის ჩხრეკას თან მოჰყვა გარკვეული დოკუმენტების, მისი პორტატული კომპიუტერისა და მისი კომპიუტერის ცენტრალური ნაწილის (ანუ მონაცემების შემცველი ხისტი დამაგროვებლის) ამოღება. ვინაიდან განმცხადებელს დროთა განმავლობაში დაუბრუნდა მისი კუთვნილი პორტატული კომპიუტერი და დოკუმენტები, სასამართლო მოვლენათა გაანალიზებისას შემოიფარგლება განმცხადებლის კომპიუტერის ჩამორთმევის საკითხით, რომელიც მისთვის დღემდე არ დაუბრუნებიათ და განიხილავს ამ ფაქტის შესაბამისობას განმცხადებლის მიერ თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებასთან.

54. უდავოა, რომ განმცხადებელი არის მისი კომპიუტერის კანონიერი მფლობელი; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპიუტერი იყო მისი "საკუთრება". გამომდინებელმა გასცა ბრძანება, რომ კომპიუტერი შეენახათ, როგორც ნივთმტკიცება სისხლის სამართლის საქმეში, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს მტკიცებულებათა გამოყენებას. სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს სიტუაცია შესწავლილი უნდა

იქნეს იმ პოზიციიდან, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს გააკონტროლოს საკუთრებით სარგებლობა საერთო ინტერესის შესაბამისად.

55. 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომ საკუთრებით შეუფერხებელ სარგებლობაში საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს კანონიერი. კერძოდ, 1-ლი მუხლის მეორე აბზაცი, მოუხედავად იმისა, რომ იგი აღიარებს სახელმწიფოთა მიერ საკუთრებით სარგებლობის კონტროლის უფლებას, ამ უფლების განხორციელებას უქვემდებარებს "კანონების" მიღების პირობას. გარდა ამისა, კანონიერების პრინციპი ითვალისწინებს, რომ შიდასახელმწიფო სამართლის შესაბამისი დებულებები იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი და ზუსტი, ხოლო მათი გამოყენება – განჭვრეტადი (იხ., მაგალითად, *ბაკლანოვი რუსეთის წინააღმდეგ*, 68443/01, §§39-40, 2005 წლის 9 ივნისი, შემდგომი მითითებებით).

56. სასამართლო აღნიშნავს, რომ კომპიუტერის ჩამორთმევის შესახებ განწყვეტილება დაეფუძნა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს, რომლებიც სისხლის სამართალწარმოებაში ნივთმტკიცებათა გამოყენების საკითხს არეგულირებს (იხ. ზემოთ, პუნქტები 31 და 32). გამოძიებულს ჰქონდა დისკრეციული უფლება, გაცეა ბრძანება ნებისმიერი საგნის ჩამორთმევისა, რომელსაც იგი სასარგებლოდ მიიჩნევდა გამოძიებისათვის, როგორც ეს იყო განმცხადებლის კომპიუტერის შემთხვევაში. სასამართლო ეჭვობს, რომ ასეთი ფართო დისკრეცია, რომელსაც არ ახლავს ქმედითი სასამართლო ზედამხედველობა, დააკმაყოფილებდა "კანონის ხარისხის" ტესტს, მაგრამ მას ამ მიდგომის დეტალური შესწავლა საჭიროდ არ მიიჩნია შემდეგი მიზეზებით.

57. სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს, რომ ნივთიერი მტკიცებულების ჩამორთმევა შესაძლოა საჭირო იყოს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისთვის, რაც არის საზოგადოების "საერთო ინტერესებში" შემავალი "კანონიერი მიზანი". თუმცა იგი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებისას უცილობლად უნდა არსებობდეს გონივრული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის, ინდივიდუალურ პირთა საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის გამიზნული ღონისძიებების ჩათვლით. ეს მოთხოვნა გამოხატულია ცნებით "სამართლიანი ბალანსი", რომელიც დაცული უნდა იქნეს საზოგადოების საერთო ინტერესების მოთხოვნებსა და ინდივიდუალური პირის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის (იხ. *ედვარდსი მალტის წინააღმდეგ*, 17647/04, §69, 2006 წლის 24 ოქტომბერი, შემდგომი მითითებებით).

58. სასამართლო ეთანხმება განმცხადებლის მოსაზრებას, რომელზედაც არ დავობს მთავრობა, რომ თავად კომპიუტერი არ იყო რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულის იარაღი, საგანი ან პროდუქტი (შეადარე საქმეს *ფრი ზენი რუსეთის წინააღმდეგ*, 58254/00, 29-31, 2005 წლის 24 მარტი). გამოძიებისათვის ღირებული და გამოსადეგი იყო ხისტ დამაგროვებელზე მოთავსებული ინფორმაცია. 2000 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ გამოძიებელმა ინფორმაცია შეისწავლა, ამოებჭდა და საქმის მასალა დაურთო (იხ. ზემოთ, პუნქტი 15). ამ გარემოებებში სასამართლოს არ შეუძლია გამოარჩიოს რომელიმე აშკარა საფუძველი, რომლის გამოც გაჭიანურდა ცენტრალური ნაწილის ჩამორთმევის პერიოდი. ასეთი საფუძველი არც შიდასახელმწიფო სასამართ-

ლო განხილვებზე და არც სასამართლოში არ წარუდგენიათ. მიუხედავად ამისა, კომპიუტერის ცენტრალური ნაწილი დღემდე ადგილობრივ ხელისუფლებასთან ინახება, ანუ ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ კომპიუტერი იყო განმცხადებლის პროფესიული ინსტრუმენტი, რომელსაც იგი იყენებდა იურიდიული დოკუმენტების შესაქმნელად და კლიენტთა ფაილების შესანახად. კომპიუტერის ჩამორთმევით განმცხადებელმა არა მხოლოდ პირადი დისკომფორტი განიცადა, არამედ ასევე ხელი შეეშალა მის პროფესიულ საქმიანობას; ამას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესაძლოა ემოქმედა მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

59. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ვერ დაიცვა “სამართლიანი ბალანსი” საერთო ინტერესების მოთხოვნებსა და განმცხადებლის მიერ მისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლების დაცვის მოთხოვნას შორის. ამრიგად, დაირღვა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი.

III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში

60. კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას არ ჰქონდა სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალება მისი საკუთრების უფლებათა შეზღუდვის თვალსაზრისით 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე. მე-13 მუხლი ადგენს:

“ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.”

ა. მხარეთა მოსაზრებები

61. განმცხადებელმა მიუთითა, რომ ადგილობრივი სასამართლოების განხილვა შემოიფარგლა მხოლოდ ჩხრეკის კანონიერების საკითხით. რაც შეეხება მის საჩივარს საკუთრებასთან დაკავშირებით, სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ეს საკითხები არ ექვემდებარებოდა სასამართლო განხილვას. მისი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 23 მარტის განჩინება განმარტებული უნდა იქნეს, როგორც სასამართლო განხილვისთვის გზის გახსნა ყველა სახის გადანყვეტილებაზე, რომელიც ზეგავლენას ახდენს პირის საკუთრების უფლებაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი სამოქალაქო სარჩელი ზიანის შესახებ სხვადასხვა საბაბით უკვე ოთხი წელია არ განუხილავთ.

62. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელმა სადავო გადანყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში, რომელმაც იგი განიხილა და მისი

საჩივარი არ დააკმაყოფილა (საბოლოო ინსტანციაში 2000 წლის 19 დეკემბერს). გარდა ამისა, ზიანის შესახებ მისი სამოქალაქო სარჩელი სანქტ-პეტერბურგის საქალაქო პროკურატურისა და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ ამჟამად განსახილველადაა წარდგენილი სანქტ-პეტერბურგის ოქტიაბრსკის სასამართლოში.

ბ. სასამართლოს შეფასება

63. მე-13 მუხლის განმარტებისას სასამართლო მუდამ მიუთითებს, რომ, იგი მოითხოვს, რომ შიდასახელმწიფო კანონი უზრუნველყოფდეს სამართლებრივ დაცვას იმ პრეტენზიებისთვის, რომლებიც შეიძლება "სადავოდ" იქნეს მიჩნეული კონვენციის თვალსაზრისით (იხ., მაგალითად, *ბოილე და რაისე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1998 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A 131, გვ. 23-24, §54). მოცემულ საქმეში დარღვეულია 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი და ამიტომ განხილული უნდა იქნეს მე-13 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივარი. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, უზრუნველყო თუ არა რუსეთის სამართლებრივმა სისტემამ განმცხადებელი "ეფექტიანი" სამართლებრივი დაცვით, რომელიც კომპეტენტურ "ეროვნულ ხელისუფლებას" როგორც საჩივრის განხილვის, ისე სათანადო სამართლიანი დაკმაყოფილების საშუალებას აძლევდა (იხ. *კამენ ზიდის* საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 2896-97, §53).

64. განმცხადებელი ითხოვდა მის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების და მისი კომპიუტერის ნივთმტკიცების სახით ჩამორთმევის შესახებ დადგენილების კანონიერების სასამართლო განხილვას. ადგილობრივმა სასამართლოებმა განიხილეს ჩხრეკასთან და ამოღებასთან დაკავშირებული საჩივარი, მაგრამ მათ დაუშვებლად გამოაცხადეს განმცხადებლის საჩივარი მისი კომპიუტერის დაბრუნების თაობაზე, იმ საფუძველით, რომ, კომპიუტერის ჩამორთმევის შესახებ დადგენილება სასამართლო განხილვას არ ექვემდებარებოდა (იხ. ზემოთ, 22-ე და მომდევნო პუნქტები). ამის ნაცვლად განმცხადებელს შესთავაზეს ზემდგომი პროკურორისთვის მიემართა. ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს მის დაფუძნებულ პრეცედენტულ სამართალს, რათა მიუთითოს, რომ ზემდგომ პროკურორთან იერარქიული გასაჩივრება პირს საშუალებას არ აძლევს გამოიყენოს მისი უფლება, სახელმწიფომ განახორციელოს საზედამხედველო უფლებამოსილება და, ამ საფუძველით იგი არ წარმოადგენს "ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის" საშუალებას (იხ., მაგალითად, *კორვატი ხორვატიის წინააღმდეგ*, 51585/99, §47, ECHR 2001-VIII).

65. რაც შეეხება მიმდინარე სამოქალაქო სარჩელს ზიანთან დაკავშირებით, რომელზედაც მთავრობა მიუთითებდა, სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სასამართლო არ არის კომპეტენტური განიხილოს სისხლის სამართლის პროცესში გამოძიებულთა მიერ მიღებული დადგენილებების კანონიერება.

66. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ გარემოებებში განმცხადებელს არ ჰქონდა "სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელი-

სუფლებისაგან", რომელიც მას საშუალებას მისცემდა, გამოეხატა თავისი საჩივარი, რომელიც წარმოშობილი იყო 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის შედეგად. ამრიგად, დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

67. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

"თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს."

68. სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს რეგლამენტის მე-60 წესის საფუძველზე, სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი პუნქტობრივად უნდა გამოიყოს და წერილობით უნდა იქნეს წარმოდგენილი სათანადო გამამყარებელ დოკუმენტებთან და დამადასტურებელ მასალებთან ერთად, "რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში პალატას შეუძლია უარი თქვას საჩივარზე მთლიანად, ან მის ნაწილზე".

69. 2005 წლის 5 ივლისის წერილით, მას შემდეგ რაც განცხადება დასაშვებად გამოცხადდა, სასამართლომ განმცხადებელს სთხოვა სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საჩივარი წარმოედგინა 2005 წლის 7 სექტემბრამდე. მას ასეთი საჩივარი დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია.

70. ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო არ იღებს რაიმე გადაწყვეტილებას 41-ე მუხლის საფუძველზე.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი;
2. ადგენს, რომ დაირღვა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში;
4. გადაწყვეტილებას იღებს არ მიიღოს დადგენილება კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2007 წლის 7 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სორენ ნილსენი
სექციის მდივანი

კრისტოს როზაკისი
თავმჯდომარე

სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ

Stoll v. Switzerland

სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმე სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ

CASE OF STOLL v. SWITZERLAND

(განაცხადი 69698/01)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 10 დეკემბერი

ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, მაგრამ იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე “სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ”,
(*Stoll v. Switzerland*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი ჯ. პ. კოსტა, თავმჯდომარე
ბ-ნი ლ. ვილდჰაბერი,
ბ-ნი ბ.მ. ზუჰანჩიჩი,
ბ-ნი პ. ლორენზენი,
ბ-ნი რ. ტურმენი,
ქ-ნი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა,
ბ-ნი ა. ბ. ბაკა,
ბ-ნი მ. უგრეხელიძე,
ბ-ნი ა. კოვლერი,
ბ-ნი ვ. ზაგრებელსკი,
ქ-ნი ა. მულარონი
ქ-ნი ე. ფურა-სანდსტრომი,
ქ-ნი რ. იაგერი,
ბ-ნი ე. მიჯერი,
ბ-ნი დ. პოპოვიჩი,
ქ-ნი ი. ზიემელე,
ქ-ნი ი. ბერო-ლეფევრე, მოსამართლეები,
და ბ-ნი ვ. ბერგერი, იურისკონსულტი

მოითათბირა 2007 წლის 7 თებერვალს და 7 ნოემბერს და 7 ნოემბერს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (69698/01) შვეიცარიის კონფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე შვეიცარიის მოქალაქის, ბ-ნი მარტინ სტოლის ("განმცხადებელი") მიერ 2001 წლის 14 მაისს.

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ციურიხში მოღვაწე ადვოკატი, ბ-ნი ჰ. კელერი. შვეიცარიის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა მისი აგენტი, ბ-ნი ფ. შურმანი, იუსტიციის ფედერალური დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა და ევროპის საბჭოს სექციის უფროსი.

3. განმცხადებელი ჩიოდა მისი მსჯავრდების გამო "საიდუმლო ოფიციალური მოსაზრებების" გამოქვეყნებისთვის, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-10 მუხლს.

4. განაცხადი გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს დებულების 52-ე წესის 1-ლი პუნქტი). ამ სექციაში, პალატის შემადგენლობა, რომელსაც საქმე უნდა განეხილა (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), 26-ე წესის 1-ლი პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა.

5. 2004 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ სექციების შემადგენლობა შეცვალა (წესი 25, პუნქტი 1). ეს საქმე გადაეცა მეოთხე სექციის (წესი 25, პუნქტი 1) ახალ შემადგენლობას. ამ სექციაში, პალატის შემადგენლობა, რომელსაც საქმე უნდა განეხილა (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), 26-ე წესის 1-ლი პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა.

6. 2005 წლის 3 მაისს, პალატამ რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: სერ ნიკოლას ბრაჭზა, *თავმჯდომარე*, *მოსამართლეები*: ბ-ნი ჯ. კასადევალი, ბ-ნი ლ. ვილდჰაბერი, ბ-ნი რ. მარუსტი, ბ-ნი ჯ. ბორეგო ბორეგო, ბ-ნი ჯ. შიკუტა და *სექციის რეგისტრატორი*, ბ-ნი მ. ო'ბოილე, განაცხადი დასაშვებად გამოაცხადა.

7. 2006 წლის 25 აპრილს პალატამ, ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ, მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. მან მიიჩნია, რომ დარღვევის დადგენა თავისთავად საკმარისი იყო განმცხადებლის სამართლიანი დაკმაყოფილებისთვის მის მიმართ მიყენებული არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. განმცხადებელს ხარჯებთან დაკავშირებული მოთხოვნა არ წარუდგენია.

8. 2006 წლის 14 ივლისს მთავრობამ საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა ითხოვა, კონვენციის 43-ე მუხლისა და სასამართლოს დებულების 73-ე წესის საფუძველზე. დიდი პალატის კოლეგიამ 2006 წლის 13 სექტემბერს მთავრობის თხოვნა დააკმაყოფილა.

9. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და სასამართლოს დებულების 24-ე წესის შესაბამისად.

10. მთავრობამ, მაგრამ არა განმცხადებელმა, არსებით მხარესთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრებები წარმოადგინა. განმცხადებელმა წარმოადგინა საჩივარი სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.

11. გარდა ამისა, მესამე მხარეთა კომენტარები მიიღეს საფრანგეთისა და სლოვაკეთის მთავრობებიდან, რომლებსაც თავმჯდომარემ წერილობით პროცედურაში ჩარევის უფლება მისცა (კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 44-ე წესის მე-2 პუნქტი).

12. საჯარო განხილვა გაიმართა 2007 წლის 7 თებერვალს, სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში (წესი 59, პუნქტი 3).

სასამართლოს სხდომაზე გამოცხადნენ:

ა. მთავრობის სახელით

ბ-ნი ფ. შურმანი, იუსტიციის ფედერალური დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა და ევროპის საბჭოს სექციის უფროსი, *წარმომადგენელი*

ბ-ნი პ. სეგერი, ელჩი, იურისკონსულტი, საგარეო ურთიერთობათა ფედერალური დეპარტამენტის საერთაშორისო საჯარო სამართლის დირექტორატის უფროსი,

ბ-ნი ა. შეიდეგერი, ადამიანის უფლებათა და ევროპის საბჭოს სექციის უფროსის მოადგილე,

ქ-ნი დ. სტიეგერი, ადამიანის უფლებათა და ევროპის საბჭოს სექციის იურისტი, *ადვოკატი*;

ბ. განმცხადებლის სახელით

ქ-ნი პ. კელერი, *წარმომადგენელი*,

ბ-ნი ს. კანონიკა, იურიდიული მრჩეველი, TA მედია,

ბ-ნი ა. დურიხი, რედაქტორი, *სონტაგს-ცაიტუნგი*,

ბ-ნი ა. ნფიშერი, ციურიხის უნივერსიტეტის ლექტორი,

ქ-ნი დ. კუჰნე, ციურიხის უნივერსიტეტის ლექტორი,

ქ-ნი მ. ფოროვიჩი, ციურიხის უნივერსიტეტის ლექტორი, *მრჩეველი*.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა განმცხადებელი.

სასამართლომ მოისმინა ქ-ნი პ. კელერის, ბ-ნი ფ. შურმანის და ბ-ნი პ. სეგერის მიმართვები. მხარეთა წარმომადგენლებმა უპასუხეს ერთი მოსამართლის მიერ დასმულ შეკითხვებს.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

13. განმცხადებელი დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობს შვეიცარიაში.

ა. ინფორმაცია საქმის შესახებ

14. 1996 და 1997 წლებში გაიმართა მოლაპარაკებები — სხვა მოლაპარაკებებთან ერთად — ებრაელთა მსოფლიო კონგრესსა და შვეიცარიის ბანკებს შორის, რომლებიც ეხებოდა პოლოკოსტის მსხვერპლთა მიერ შვეიცარიის ბანკებში შეტანილი მოუქითხავი აქტივების კომპენსაციას.

15. ამ ფონზე 1996 წლის 19 დეკემბერს კარლო იაგმეტიმ, რომელიც იმ დროს აშშ-ში შვეიცარიის ელჩი იყო, შეადგინა "სტრატეგიული დოკუმენტი", გრიფით "საიდუმლო", რომელიც ფაქსით გადაუგზავნეს თომას ბორერს, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც ამ საკითხზე მუშაობის მიზნით შეიქმნა საგარეო საქმეთა ფედერალურ დეპარტამენტში, ბერნში. ასლები გაეგზავნა ცხრამეტ პირს შვეიცარიის მთავრობაში, ფედერალურ ორგანოებში, ასევე შვეიცარიის დიპლომატიურ მისიებს თელ-ავივში, ნიუ-იორკში, ლონდონში, პარიზსა და ბონში.

16. ქვემოთ მოყვანილია ნაწყვეტი დოკუმენტიდან, რომელიც აღებულია 1997 წლის 27 იანვარს, *ტაგეს-ანცაიგერში* გამოქვეყნებული სტატიიდან "სულ ეს არის, რაც ჩვენ გვინდა" ანუ განმცხადებლის სტატიების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს (არაოფიციალური თარგმანი):

"ელჩი,

შვეიცარიის წინააღმდეგ წარმოებული კამპანია და მისი თანმდევი მოთხოვნები, რომლებიც გამოხატულია ებრაულ ორგანიზაციათა საქმიანობაში, ამერიკელ პოლიტიკოსთა განცხადებებში და ჯგუფურ სარჩელებში, უკვე გარკვეული პერიოდია როგორც ხელისუფალთა, ისე საზოგადოების დიდ ყურადღებას იპყრობს ატლანტიკის ორივე მხარეს... თუმცა რეალურ რყევებს მაშინ შევიგრძნობთ, როცა ყველა მოსალოდნელი მოთხოვნის განხილვა დასრულდება, სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნები დაკმაყოფილდება, სასამართლო პროცესები დასრულდება და საქმის ისტორიული, პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური ასპექტები მონესრიგდება. ამას სულ მცირე სამი წელი დასჭირდება, შესაძლოა ბევრად მეტიც. გარდა ამისა, შეუძლებელია დღეს განეჭვრიტოთ, როგორი იქნება შვეიცარიის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა მრავალი წლის შემდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, ქვეყნის წინაშე მდგარი შიდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, ევროპის საკითხთან დაკავშირებული გაურკვე-

ვლობა (ევროკავშირი, უსაფრთხოება და ა.შ.) და გლობალიზაციის პრობლემები უკვე იწვევს შვეიცარიელი ხალხის გარკვეულად მტკივნეულ თვითკრიტიკულ ანალიზს.

ჩვენ ახლა ძალიან გვჭირდება კომენტარები ამერიკიდან. მოულოდნელად, ანმყოსა და მომავლის გაურკვეველობის ფონზე, ჩვენ უცილობლად უნდა მივალნიოთ წარსულთან მორიგებას. ამიტომ, შვეიცარიის წინააღმდეგ კამპანია უკვე რთული კლიმატის ფონზე მიმდინარეობს...

შვეიცარიის მთელი ძალისხმევა მიმართულია კრიზისის დროს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისკენ, საფრთხეების აღმოფხვრის თუ არა, შეჩერებისკენ და საერთაშორისო ურთიერთობების შენარჩუნებისკენ (განსაკუთრებით — შეერთებულ შტატებთან); ასევე ცდილობენ თავიდან ავიცილოთ რაიმე არსებითი ზარალი. ყველა შუალედური ამოცანა განხილული უნდა იქნეს მხოლოდ ძირითად მიზანთან კავშირში. მოკლევადიანმა წარმატებებმა, როგორცაა 'დროებითი ზავი', მასმედიის მხრიდან დროებითი პოზიტიური რეაქცია, ზოგიერთი პროექტის დამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა, ისტორიული ხედვა — რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს შვეიცარიისთვის, ან მოლაპარაკებებში ჩართული საზღვარგარეთელი პარტნიორების კონსტრუქციული შენიშვნები, კარგად უნდა შეფასდეს, რათა არ დაგვაბრმავოს გრძელვადიანი რეალობის განჭვრეტისას. შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ინდივიდუალური ბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ ეს არის ბრძოლა, რომელიც აუცილებლად უნდა მოიგოს შვეიცარიამ...

თუ დავუშვებთ, რომ ებრაული ორგანიზაციებისა და სენატორ დ'ამატოს მოთხოვნები სასწრაფოდ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შემდეგ სარჩელები კვლავ დღის წესრიგში დადგეს, რეალური გარიგება შეიძლება მოცემულ ორგანიზაციებზე იერიშის მიტანით. ნაცვლად "ყესტისა", რომელიც ამჟამად განხილდება, ჩვენ შეგვეძლო დაუყოვნებლივ მოგვეგვარებინა საკითხი თანხის ერთდროული გადახდით, რითაც ერთხელ და სამუდამოდ დავეკმაყოფილებდით ყველა პრეტენზიას. იმის გათვალისწინებით, რომ ეს საკითხი ზემოქმედებას ახდენს მრავალ ჯგუფზე და ქვეყანაზე, ხოლო ახლა საერთაშორისო საზოგადოება პასუხს შვეიცარიას სთხოვს, გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ასპექტები და იგი გრძელვადიან სტრატეგიას უნდა ეფუძნებოდეს. იგი შეიძლება დაახლოებით ასე წარმოვიდგინოთ:

- დღემდე დაგეგმილი ზომები (ექსპერტთა მოხსენებების გამოქვეყნება აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში კომპენსაციის შეთანხმების შესახებ, ისტორიის კომისიის მუშაობის დაწყება, ვოლკერის კომიტეტის მოკლევადიანი ეფექტიანად იქნება განხორციელებული შვეიცარიის მიერ, საჭირო რესურსების გამოყენებით და რეალისტურ ვადებში, ყოველგვარი სირთულის ენერგიული გადაჭრით;
- აუცილებლად უნდა გაგრძელდეს კორექტული და მომრიგებლური სახის დიალოგი ყველა შესაბამის ჯგუფთან, ყოველგვარი შუალედური დათმობების გარეშე, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მთელ პროცესს;

- რაც შეეხება უცხო ქვეყნების მთავრობათა და პარლამენტთა მოქმედებებს (განსაკუთრებით აშშ-ში და გაერთიანებულ სამეფოში), აქ მთავარია დამყარდეს კეთილგანწყობილი ორმხრივი თანამშრომლობა, რომელიც ძირითადად ფოკუსირებული იქნება ჭეშმარიტების დადგენასა და პოლემიკის თავიდან აცილებაზე. რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია მკაფიო და მტკიცე პოზიციის დაკავება, განსაკუთრებით, თუ ადგილი ექნება შვეიცარიის დისკრედიტაციას ან მის დადანაშაულებას აბსოლუტურად მკაფიო საფუძვლების გარეშე;
- როდესაც მოპოვებული იქნება საგულისხმო შუალედური მონაცემები, და განსაკუთრებით მოკვლევების დასრულების შემდეგ, საჭირო იქნება მოლაპარაკებების გამართვა, რათა ჩამოყალიბდეს დასკვნები და განისაზღვროს, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ყადაღისგან განთავისუფლებული ფონდები. ეს უნდა განხორციელდეს მთავრობის დონეზე, ან მრავალმხრივ ფორმატში — თუ შესაძლებელია, ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან (მათ შორის, ყველა მოკავშირე ქვეყანასთან, იმ დროს ნეიტრალურ ქვეყნებთან, ისრაელთან და გერმანიასთან), ან ცალმხრივ ფორმატში — ისრაელთან (რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ხანგრძლივი პოზიციის დათმობას და უნდა აღიარებდეს არაბული სამყაროს მტრული რეაქციის რისკს), ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ძალზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჩვენს მონინააღმდეგეთა სტრატეგიაზე. თუმცა საჭიროა ამ საკითხის საერთაშორისო დონეზე დაყენება და პასუხისმგებლობა სხვა ქვეყნებსაც უნდა დაეკისროს. წამყვანი როლი უნდა შეასრულოს შვეიცარიამ, რომელმაც თავისი მოკვლევებით კარგი მაგალითი შექმნა და ინიციატივა კვლავაც უნდა შეინარჩუნოს...

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სცენარები და სტრატეგიები დაუცველი არ არის გარეშე ზემოქმედებისგან და ნებისმიერ დროს შეიძლება ნაგანყდეთ რაიმე მოვლენებს ან ახალ ტენდენციებს, რაც ეჭვქვეშ დააყენებს ყველაფერს ან, სულ მცირე, საგულისხმო მოქნილობას მოგვთხოვს. ამიტომ, შესაძლებლობის ფარგლებში, უფრო რეალისტური იქნება საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული შერეული მოქმედებები და შუალედური გადახდები. თავიდანვე ამ შერეული ვარიანტის არჩევა ალბათ გარდაუვლად გამოიწვევს პრაგმატულ მიდგომას, რომელიც ყოველდღიურად განვითარდება და მას 'სტრატეგიის' ამბიციურ სახელწოდებას ვერ მივანიჭებთ... შვეიცარია ამ საკითხის ხლართებში ვერ გაეხვევა.

რომელი სტრატეგიაც არ უნდა იქნეს არჩეული, მოქმედებები საჭიროა გარე ფრონტზე, რათა შვეიცარიის ძალისხმევამ ნდობა დაიმსახუროს. ეს შეიძლება იმავე გზით გაკეთდეს, ძირითადად, რეაგირებაზე ორიენტირებული პოზიციით, ან უფრო ინიოვაციური მიდგომით. როგორც ამ უკანასკნელის მონაწილე, მე მხარს ვუჭერ პოლიტიკურ ნრევებსა და მასმედიაში სისტემატურ კამპანიას, ამერიკის ადმინისტრაციასთან არსებული კონტაქტების შენარჩუნებას — შედეგების შედარებისა და დახვეწის მიზნით, მეგობრული ფორმებით ებრაულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განვითარებას, სა-

დაც ეს შესაძლებელია, მაგრამ მუხლმოდრეკის გარეშე, და საზოგადოებასთან ურთიერთობის კარგად ორგანიზებულ კამპანიას, სემინარებისა და მრგვალი მაგიდის დისკუსიების ჩათვლით. თუმცა საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით განცხადებები უნდა გაკეთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ახალი იქნება სათქმელი, და, ამასთანავე შესაფერის დროს და შესაფერის ადგილზე. საზღვარგარეთ პილიგრიმობა საუკეთესოდ შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ტაქტიკურ საფუძვლებზე და შიდასახელმწიფო პოლიტიკის ასპექტების გათვალისწინებით...

სრულიად ჩვეულებრივია, რომ გამოჩნდება სხვადასხვა მიდგომების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ასპექტები. თუმცა ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი პერსპექტივიდან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ 'გარიგება' დამაკმაყოფილებელი ვერასდროს ვერ იქნება. მაინც, იდეალურ შემთხვევაში, არჩევანი უნდა შეჩერდეს სამართლებრივ სტრატეგიაზე. ეს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ყველა ჩართულ მხარეს და მოითხოვს ინიციატივებს, დროს და ენერგიას, ხარჯებზე რომ არაფერი არ ვთქვათ. თუმცა ძირითადი მიზნის გათვალისწინებით, ჩვენ ალბათ გვირჩევენ, შევცვალოთ ეს გრძელვადიანი მიდგომა და საჭირო ფონდები შევქმნათ ყოველგვარი უღირსი ვაჭრობის გარეშე. ნება მომეცით გავიმეორო: ეს არის ომი, რომელიც შეეიცარიამ უნდა ანარმოს და მოიგოს, როგორც გარე, ისე შიდა ფრონტებზე. ჩვენი მონინაალმდეგეების უმრავლესობის ნდობა არ შეიძლება. სხვა ქვეყნების მხრიდან ბოიკოტით ან თუნდაც სამართლებრივი ზომებით შეეიცარიისთვის მიყენებული ზიანი ძალზე დიდია. ამასთან შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება თვით ჩვენი საპენსიო დაზღვევის სქემების მაჩვენებლები ან, მაგალითად, ახალი ტრანს-ალპური რკინიგზის დამაკავშირებელი ხაზების მშენებლობა. შეეიცარიამ უნდა გახსნას ერთიანი და გადამწყვეტი ფრონტი...

კარლო იაგმეტი, შვეიცარიის ელჩი"

17. განმცხადებელმა ასლი მოიპოვა. ცხადია, იგი დოკუმენტს ვერ მოიპოვებდა იმ პირის მიერ ოფიციალური საიდუმლოების დარღვევის გარეშე, რომლის ვინაობაც უცნობია.

ბ. განმცხადებლის სადავო სტატიები

18. 1997 წლის 26 იანვარს, ციურიხის საკვირაო გაზეთ *სონტაგს-ცაიტუნგში* განმცხადებელმა გამოაქვეყნა შემდეგი სტატია (არაოფიციალური თარგმანი):

"ელჩი იაგმეტი შეურაცხყოფს ებრაელებს [სათაური გერმანულად (ორიგინალში): *Botschafter Jagmetti beleidigt die Juden*]

საიდუმლო დოკუმენტი: 'ჩვენი მონინაალმდეგეების უმრავლესობის ნდობა არ შეიძლება' [*Geheimpapier: 'Mann kann dem Gegner nicht vertrauen'*]

ავტორი განმცხადებელი

ბერნი/ვაშინგტონი — კიდევ ერთი სკანდალი, რომელშიც ჩართულია შვეიცარიის ელჩი შეერთებულ შტატებში: კარლო იაგმეტი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მოუკითხავ აქტივებთან დაკავშირებულ სტრატეგიულ დოკუმენტში საუბრობს 'ომზე, რომელიც შვეიცარიამ უნდა ანარმოს' და 'მონინაალმდეგეებზე', რომელთა 'ნდობა არ შეიძლება'.

დოკუმენტი არის გრიფთი 'საიდუმლო'. იგი დაწერა კარლო იაგმეტიმ, შვეიცარიის ელჩმა შეერთებულ შტატებში. 19 დეკემბერს 64 წლის მაღალი რანგის დიპლომატმა ვაშინგტონიდან ბერნში სამუშაო ჯგუფს თავისი მოსაზრება გაუგზავნა, რომელშიც მან აღწერა 'კამპანია შვეიცარიის წინააღმდეგ'. ეს ანგარიში მოიპოვა *სონტაგს-ცაიტუნგმა* და იგი ნამდვილი ნაღმია. შინაარსის თვალსაზრისით იგი სიტუაციის ჩეულბერივი აღწერაა, მაგრამ კარლო იაგმეტის აგრესიულმა ენამ მკითხველზე ელექტროშოკის ეფექტი მოახდინა. 'ეს არის ომი', წერს ელჩი, 'ომი, რომელიც შვეიცარიამ უნდა ანარმოს და მოიგოს როგორც გარე, ისე შიდა ფრონტებზე'. იგი სენატორ დ'ამატოს და ებრაულ ორგანიზაციებს 'მონინაალმდეგეებს' უწოდებს და ამბობს, რომ 'ჩვენი მონინაალმდეგეების უმრავლესობის ნდობა არ შეიძლება'.

თავის დოკუმენტში კარლო იაგმეტი მიუთითებს ხელშეკრულების დადებაზე, რადგან 'ებრაული ორგანიზაციებისა და სენატორ დ'ამატოს მოთხოვნები სასწრაფოდ უნდა დაკმაყოფილდეს'. იგი ამ კონტექსტში ხმარობს სიტყვას 'გარიგება'. ელჩი იაგმეტი გეთავაზობს ებრაელებს გადაუხადონ 'ერთდროულად', რათა 'ერთხელ და სამუდამოდ დაკმაყოფილდეს ყველა პრეტენზია'. შემდეგ იგი წერს — 'სიმშვიდე აღდგება'.

'გარე ფრონტზე' საუბრისას კარლო იაგმეტი ამბობს, რომ შვეიცარიამ სისტემატურად უნდა ანარმოს 'კამპანია პოლიტიკურ წრეებში და მასმედიაში'. ებრაულ ორგანიზაციებთან 'ურთიერთობები უნდა განვითარდეს', მაგრამ მეგობრული გზით და 'მუხლმოდრეკის' გარეშე, ადვოკატთა ფირმების დახმარებით და 'საზოგადოებასთან ურთიერთობის კარგად ორგანიზებული კამპანიის [წარმოებით], ... სემინარებისა და მრგვალი მაგიდის დისკუსიების ჩათვლით'.

ამ ცნობილი დიპლომატის სტრატეგიულ დოკუმენტზე გუშინ კომენტარი არ გაუკეთებია (მომავალ გაზაფხულზე მისი პენსიაზე გასვლის გამო) არც ფლავიო კოტის [შვეიცარიის დიპლომატიური სამსახურის ხელმძღვანელი] საგარეო ურთიერთობათა ფედერალური დეპარტამენტიდან და არც სამუშაო ჯგუფს, რომელსაც თომას ბორერი უდგას სათავეში. ამ გაზეთისთვის კომენტარი არც კარლო იაგმეტის არ გაუკეთებია.

ებრაულ თემთა შვეიცარიის ფედერაციის (SIG/FSCI) პრეზიდენტმა მარტინ როზენფელდმა კარლო იაგმეტის რემარკები შეაფასა, როგორც 'შოკის მომგვრელი და ძალზე შეურაცხმყოფელი'. მან თქვა, რომ იგი ბატონ იაგმეტის 'პენსიამდე რთულ გზას' უწინასწარმეტყველებს."

19. *სონტაგს-ცაიტუნგის* 1997 წლის 26 იანვრის იმავე ნომერში გამოქვეყნდა განმცხადებლის შემდეგი სტატია (არაოფიციალური თარგმანი):

"ელჩი სააბაზანო ხალათში და ფეხზე წრიაპით [Mit Bademantel und Bergschuhen in den Fettnapf]

შვეიცარიის ელჩის, კარლო იაგმეტის დიპლომატიური შეცდომა [Der Schweizer Botschafter Carlo Jagmetti trampelt übers diplomatische Parkett]

ავტორი [განმცხადებელი

ბერნი/ვაშინგტონი — შვეიცარიის ელჩი კარლო იაგმეტი მუდმივად ცდილობს, შესამჩნევი ფიგურა იყოს დიპლომატიურ არენაზე. თავისი უტაქტო კომენტარებით ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მოუკითხავი აქტივების შესახებ მან არეულობა შეიტანა შვეიცარიის საგარეო პოლიტიკაში და ეს პირველი შემთხვევა არ არის.

პარასკევს დილით ვაშინგტონში, შვეიცარიის საელჩოში, ტემპერატურის მატება შეიმჩნეოდა. 'ჩვენ არ ვაკეთებთ კომენტარს შიდა დოკუმენტებზე', კატეგორიულად განუცხადა საელჩოს პრესმდივანმა გაზეთის ნარმომადგენელს... თუმცა მომდევნო დღეს [ყოველდღიური გაზეთის] *ნოიე ციურხიზერ ცაიტუნგის (Neue Zürcher Zeitung)* რედაქტორმა უკვე დაიწყო თავისი ძველი მეგობრის, კარლო იაგმეტის დაცვა. სტატიაში სათაურით 'ინფორმაციის გაფორმვა არ მცირდება', მან განაცხადა, რომ 'ეს დაბალანსებული დოკუმენტი, რომლის ზოგიერთი სეგმენტი, რა თქმა უნდა, შესაძლოა ზიანის მომტანი სახით არის ჩამოყალიბებული, ალბათ ამ კვირის ბოლოს გამოქვეყნდება'.

აქედან გამომდინარე, ვაშინგტონში გამართული თამაშის მთავარი მიზანი ზიანის შემცირება იყო. ელჩმა კარლო იაგმეტმა, რომელიც 34 წელია შვეიცარიას წარმოადგენს საზღვარგარეთ, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რა აფეთქებასაც გამოიწვევდა მისი 1996 წლის 19 დეკემბრით დათარიღებული სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ებრაელთა მოუკითხავი აქტივებს ეხებოდა. დოკუმენტში იგი საუბრობს ომის შესახებ, რომელიც 'შვეიცარიამ უნდა აწარმოოს და მოიგოს როგორც გარე, ისე შიდა ფრონტებზე'. იგი ასრულებს მხატვრული დასკვნით: 'ჩვენი მონინალმდევების უმრავლესობის ნდობა არ შეიძლება'.

თუმცა შვეიცარიის საელჩოს ვაშინგტონში კრიზისების მართვის გამოცდილება აქვს. კარლო იაგმეტი, საელჩოს მეთაური, მუდამ ფეხს ჰყოფს ასეთ კრიზისებში. 1993 წელს, პრესტიჟულ კათედრალის ავენიუზე თავის ოფისში შესვლიდან ერთი თვის შემდეგ, ამ მაღალი რანგის დიპლომატმა თავისი პირველი *faux pas* (მძიმე შეცდომა, *მთარგმნელის შენიშვნა*) დაუშვა. *შვეი ზერ ილუსტრირეტესთვის* მიცემულ ინტერვიუში იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამერიკის ადმინისტრაციის მიმართ. მან თქვა: 'მე გარკვეული არათავაზიანი მოპყრობის მონმე გავხდი'. ინტერვიუში გაკრიტიკებული იყო ბილ კლინტონიც, რომელიც თურმე 'სრულიად შეუფერებელ მომენტში ხარხარებს'. როგორც ჩანს, ბატონმა კლინტონმა [კარლო იაგმეტი] 'ოთხ თვეს ალოდინა', ვიდრე რწმუნების სიგელს ჩაიბარებდა. ელჩის აზრით, სრულიად კანონიერი იყო, დასმულიყო ზოგადი ჟღერადობის შეკითხვა, თუ 'ვინ მართავდა სინამდვილეში შეერთებულ შტატებს'.

ბერნმა ელჩს საყვედური გამოუცხადა ცუდად შერჩეული კომენტარების-თვის და საზოგადოებაში არატრადიციული ფორმით გამოჩენისთვის (კარლო

იაგმეტი და მისი მეუღლე [გაზეთ *შეიზერ ილუსტრირეტეში* გამოქვეყნებულ სურათზე] საბანაო ხალათებში იყვნენ გამოწყობილი, მაგრამ ელჩს დიდი თავშეკავება არც შემდგომ გამოსვლებში არ გამოუჩენია. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა აქტივებთან დაკავშირებულ აქტუალურ დებატებში კარლო იაგმეტიმ კვლავ დატოვა შთაბეჭდილება ადამიანისა, რომელმაც დიპლომატიურ სცენაზე რამდენიმე ზომით დიდი ფეხსაცმლით შეაბოტა. მან ამერიკის პრესის წინაშე გააკრიტიკა ჰოლოკოსტს გადარჩენილი გერდა ბიერი, კერძოდ, მან თქვა, რომ ამ ქალბატონის მოთხოვნები დასაბუთებული არ იყო, რადგან ბიძამისს შვეიცარიის ბანკის ანგარიშზე არაფერი არ დაუტოვებია. ამასთან, ინციდენტებისკენ მიდრეკილების მქონე დიპლომატმა, თავისი კომენტარი დააფუძნა არა დადასტურებულ ფაქტებს, არამედ უსაფუძვლო მოარულ ეჭვებს.

ბერნს არჩევანი აღარ ჰქონდა და ზიანის შემცირების მიღწევის მიზნით ბოდიში მოიხდა არადიპლომატიური გამოთქმებისთვის.

ეს გამოთქმები, რომლებიც საქვეყნოდ გახდა ცნობილი, კიდევ უფრო სამარცხვინოა ახლა, როდესაც დაძაბულობა თითქოს შესუსტდა. გასულ პარასკევს სენატორი დ'ამატო და ებრაელთა მსოფლიო კონგრესი პირველად მიესალმა შვეიცარიის გადაწყვეტილებას ჰოლოკოსტის მსხვერპლთათვის ფონდის შექმნის გამო.

შვეიცარიელი დიპლომატები ახლა კულისებს მიღმა მოქმედებენ, რათა თავიდან აიცილონ კარს მომდგარი კრიზისი, და ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ კარლო იაგმეტი მალე პენსიაზე გადის. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი აცხადებენ, რომ ბატონმა იაგმეტიმ ძალზე უმნიშვნელო როლი შეასრულა ებრაულ ორგანიზაციებსა და ამერიკელ სენატორ დ'ამატოს შორის ბოლო პერიოდში გამართულ მოლაპარაკებებში.

თავად კარლო იაგმეტიმ კომენტარს თავი აარიდა. პარასკევს იგი არ დაესწრო მსოფლიო პრესის წარმომადგენელთა წინაშე სენატორ დ'ამატოს მიერ გამართულ პრესკონფერენციას. როგორც თქვეს, იგი ფლორიდაში ისვენებდა.”

ბ. პრესაში გამოქვეყნებული სხვა სტატიები

20. მესამე სტატია, რომელიც ასევე სონტაგს-ცაიტიუნგში 1997 წლის 26 იანვარს გამოქვეყნდა და რედაქტორ უელი ჰალდიმანს ეკუთვნოდა, ასე იყო დასათურებული: "ელჩი ბუნკერის მენტალიტეტით" (*Botschafter mit Bunkermentalität*).

21. ორშაბათს, 1997 წლის 27 იანვარს, ციურიხის ყოველდღიურმა გაზეთმა *ტაგეს-ანციგერმა* გრძელი ნაწყვეტი გამოაქვეყნა სტრატეგიული დოკუმენტიდან, სათაურით 'სულ ეს არის, რაც ჩვენ გვინდა' (*Das hat gerade noch gefehlt*). შემდეგ დოკუმენტიდან ამონარიდი გამოაქვეყნა კიდევ ერთმა გაზეთმა, *ნუეო ქუოტიდიენმა*.

დ. შვეიცარიის პრესის საბჭოს აზრი

22. ამ სტატიების გამოქვეყნების შემდეგ შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ (*Bundesrat*) შვეიცარიის პრესის საბჭოს (*Presserat*) საქმის შესწავლა დაავალა.

23. შვეიცარიის პრესის საბჭო მასმედიასთან დაკავშირებული საჩივრების შემსწავლელი ორგანოა. იგი არის შვეიცარიის კერძო სამართლის სუბიექტი, რომელშიც შედის ჟურნალისტთა ოთხი ასოციაცია და ქმნის ფონდს (*Stiftung*). იგი ორგანიზებას უწევს და აფინანსებს პრესის საბჭოს საქმიანობას. პრესის საბჭოს დებულების თანახმად, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს მასმედიასთან დაკავშირებული ძირითადი ეთიკური საკითხების განხილვაში. საბჭოს ამოცანაა, დაიცვას პრესისა და ინფორმაციის თავისუფლება. საკუთარი ინიციატივით ან საჩივრებზე რეაგირების შედეგად საბჭო აყალიბებს მოსაზრებებს ჟურნალისტური ეთიკის საკითხების შესახებ. შვეიცარიის პრესის საბჭომ მიიღო დეკლარაცია ჟურნალისტთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში.

24. 1997 წლის 4 მარტს პრესის საბჭომ თავისი დასკვნები წარადგინა მოცემულ საქმესთან (1/97, ს.ჯ./სონტაგს-ცაიტუნგი) დაკავშირებით (არაოფიციალური თარგმანი):

“II. დასკვნები

2. კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით რელევანტურია ამონარიდი დეკლარაციიდან ჟურნალისტთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ:

(a) ['ჟურნალისტთა'] პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე [აღემატება] მათ პასუხისმგებლობას ... განსაკუთრებით ... ხელისუფლების ორგანოების წინაშე' (პრეამბულა).

(b) ჟურნალისტებს თავისუფლად მიუწვდებათ ხელი 'ინფორმაციის ყველა წყაროზე და [უფლება აქვთ] დაუბრკოლებლად გამოიძიონ საზოგადოებისთვის საინტერესო ნებისმიერი ფაქტი; სახელმწიფო ან კერძო საკითხების საიდუმლოებასთან დაკავშირებული პროტესტი შეიძლება წამოიჭრას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თითოეულ საქმეზე საკმარისი დასაბუთების უზრუნველყოფით' (უფლებათა დეკლარაციის (a) პუნქტი).

(c) ჟურნალისტებმა უნდა გამოაქვეყნონ მხოლოდ 'ისეთი ინფორმაცია, დოკუმენტები [ან] გამოსახულებები, რომელთა წყარო მათთვის ცნობილია; [მათ არ უნდა დამალონ] ინფორმაცია ან ძირითადი ელემენტები [და არ უნდა] დაამახინჯონ ტექსტი, დოკუმენტი, გამოსახულება ... ან სხვათა მიერ გამოხატული შეხედულებები. [მათ] დაუსაბუთებელი ახალი ამბები საკმარისი სიცხადით უნდა წარმოადგინონ [და] უნდა მისცენ განმარტება, როდესაც სურათი ნათელი გახდება'. მათ უნდა დააკმაყოფილონ გონივრული ვადები (პასუხისმგებლობათა დეკლარაციის მე-3 პუნქტი).

(d) ურნალისტებმა 'ინფორმაციის ... გამოსახულებების ან დოკუმენტების მოსაპოვებლად არ უნდა გამოიყენონ არასწორი მეთოდები' (პასუხისმგებლობათა დეკლარაციის მე-4 პუნქტი).

(e) მათ პატივი უნდა სცენ 'რედაქციის საიდუმლოებას და არ უნდა გაამჟღავნონ კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო' (პასუხისმგებლობათა დეკლარაციის მე-6 პუნქტი)

(f) მათ არ უნდა დაუშვან 'რაიმე კეთილგანწყობა ან დაპირებები, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მათ პროფესიულ დამოუკიდებლობას ან ხელი შეუშალოს მათი შეხედულებების გამოხატვას' (პასუხისმგებლობათა დეკლარაციის მე-9 პუნქტი).

...

5. უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, დიპლომატთა ანგარიშები იყო თუ არა არსებითად საინტერესო. ფედერალურ ორგანოებს და მათ, ვინც საკუთარი აზრი გამოხატა, მიაჩნიათ, რომ ეს ანგარიშები ძალზე დელიკატური ხასიათისაა და ისინი უნდა შეფასდეს ფედერალური საბჭოს მიერ წარმოებული მოლაპარაკებებისა და ასეთი მოლაპარაკებების შესახებ მომზადებული მოხსენებების ფონზე. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთ დოკუმენტებს მეტი დაცვა სჭირდება, ვიდრე, მაგალითად, ექსპერტთა მოხსენებებს ან საპარლამენტო კომიტეტების სხდომათა ოქმებს. საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი და ფედერალური საბჭო ვერ შექმნის საერთაშორისო ურთიერთობათა ზუსტ სურათს, თუ მათ ელჩები დამატებით ინფორმაციას არ მიაწვდიან, რომელიც განსხვავდება მასმედიის მიერ მიწოდებული ინფორმაციისაგან და უფრო მგრძობიარეა. დიპლომატები შესაბამის ორგანოებს ასევე აწვდიან კონფიდენციალური წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას კულუარული ან დაუნერული საშუალებებით. მათ სჭირდებათ, მაგალითად, მარტივი ენით გამოხატონ თავიანთი აზრი ადამიანის უფლებათა დარღვევების და ირანთან პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ, ნარკოტიკებით ვაჭრობაში წამყვანი კოლუმბიელი პოლიტიკოსების მონაწილეობის შესახებ და კრემლში ძალაუფლების ბალანსისა და ინტრიგების შესახებ. თუ, მიუხედავად ყველაფრისა, ასეთი სახის ანგარიში გამოქვეყნდა, ამ ელჩს მასპინძელი ქვეყანა ავტომატურად გამოაცხადებს *persona non grata*-დ. თუ მსგავსი ანგარიშების გამოქვეყნება რეგულარულ ხასიათს მიიღებს, ელჩებს საშუალება აღარ ექნებათ ანგარიშები წარადგინონ მოვლენათა განვითარების შესახებ. ეს ზიანს მიაყენებს შვეიცარიის საგარეო პოლიტიკას, შესაძლოა მისი სრული პარალიზებაც კი გამოიწვიოს. ხოლო თუ ყველაფერი საჯარო უნდა იყოს, მაშინ შვეიცარიას შეუძლია გამოიწვიოს თავისი დიპლომატები და ისინი მასმედიით ჩანაცვლოს. თავისი კრიტიკული და მაკონტროლებელი როლის შესრულებისას მასმედია ყოველთვის უნდა აქცევდეს ყურადღებას საკუთარ პასუხისმგებლობას. ეს განსაკუთრებით ეხება საგარეო პოლიტიკის სფეროს, რადგან საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ მოხსენებებს საზღვარგარეთაც კითხულობენ. თუნდაც მხოლოდ ამ მიზეზით ისინი ბევრად უფრო მგრძობიარეა, ვიდრე შიდა პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებული მოხსენებები.

პრესის საბჭო აცნობიერებს, რომ დაცული უნდა იქნეს დიპლომატიური კორესპონდენციის კონფიდენციალობა. წარსულში შვეიცარიის მასმედია ამ პრინციპს არსებითად იცავდა და დიპლომატიის შიდა სამუშაოს საჯარო განსჯის საგნად არ ხდიდა; შვეიცარიაში საგარეო პოლიტიკის სფეროს საკითხთა გამომზეურება უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე წესი. მასმედიის ხელმძღვანელებმა კარგად იციან ამ სფეროში მასმედიის, როგორც კრიტიკოსისა და მაკონტროლებლის, როლისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობის შესახებ.

ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასმედიის მიერ საგარეო ურთიერთობათა სფეროს საკითხთა გამომზეურება სხვა ქვეყნებისთვისაცაა დამახასიათებელი, განსაკუთრებით — შვერთებული შტატებისთვის, გაერთიანებული სამეფოსა და ისრაელისთვის. ცხადია, რომ სხვა მთავრობებსა და მათ დიპლომატებს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნების წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლა და ამ ფენომენის გათვალისწინებით ცხოვრების სწავლა მოუწევთ. მოსწონს მას ეს თუ არა, შვეიცარიის ხელისუფლებამაც უნდა ისწავლოს იმ სიტუაციათა მოგვარება, სადაც საგარეო პოლიტიკაზე მასმედიის ყურადღება ისევეა ფოკუსირებული, როგორც საშინაოზე და სადაც ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლოა მომდინარეობდეს როგორც შვეიცარიის მასმედიიდან, ისე უცხოური მედიიდანაც. მიდგომა, რომელიც საზოგადოების ინტერესების მიმართ ძალზე მკაცრ კონფიდენციალობას ანებს, არც რეალისტურია და არც კანონიერი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ დიპლომატიური ხასიათის ანგარიშები რეგულურულად ეგზავნება მრავალ სამთავრობო ორგანოს.

უეჭველია, რომ *სონტაგს-ცაიტუნგში* და *ტაგეს-ანციგერში* გამჟღავნებულმა ინფორმაციამ ჩრდილი მიაყენა და პრობლემები შეუქმნა შვეიცარიის საგარეო პოლიტიკას, თუმცა მას მანევრირების საგულისხმო საშუალება დაუტოვა. დიპლომატიური ანგარიშების კონფიდენციალობის დაცვა უფლებითაა გარანტირებული, მაგრამ, თუ დაკმაყოფილებულია პირობები, რომლებიც გამოქვეყნების უფლებას იძლევა, მაშინ უპირატესობა პრესის თავისუფლებას უნდა მიენიჭოს (დასკვნა 2/94, მოზერ/რეიმანის საპარლამენტო შეკითხვები).

6. პრესის საბჭომ ახლა უნდა შეისწავლოს, არის თუ არა ბ-ნი იაგმეტის სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსი იმდენად მნიშვნელოვანი, რომ იგი საზოგადოების ინტერესებში შედიოდა, და შეიძლებოდა თუ არა მისი გამოქვეყნება. *სონტაგს-ცაიტუნგის* რედაქტორის, უელი ჰალდიმანის აზრით, საზოგადოების ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს უნდა სცოდნოდეთ, თუ რას ფიქრობს შვეიცარიის ელჩი ვაშინგტონში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მოუკითხავი აქტივების რთული საკითხის შესახებ და რა აგრესიული ტერმინოლოგია გამოიყენა მან. ჰალდიმანის განცხადების თანახმად, მის გაზეთს რაიმე გაჟონილი ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია მანამ სანამ იგი საზოგადოების ინტერესის ცენტრში არ მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ინფორმაციის გაჟონვა უფრო ხშირად ხდება, ადგილი ვიდრე წარსულში, ამას რაიმე პრინციპული ზიანი არ მოუტანია და ხშირად მავნე ქმედებების შეწყვეტის ერთადერთი საშუალებაც კი იყო...

პრესის საბჭოს აზრით, ამის შემდეგ უნდა შეფასდეს ბ-ნი იაგმეტის დოკუმენტის სტრატეგიული მნიშვნელობა. ბატონმა იაგმეტმა ამ დოკუმენტში სიტუაციის შესანიშნავად დასაბუთებული ანალიზი გააკეთა და მთელი რიგი კონსტრუქციული წინადადებები ჩამოაყალიბა. მან განიხილა ორი 'ექსტრემალური' არჩევანი. პირველი ითვალისწინებდა გარკვეული სახის 'გარიგებას', ხოლო მეორე — 'სამართლებრივ სტრატეგიას'. დოკუმენტი მიზნად ისახავს ჭეშმარიტების დადგენას, პრობლემის ფინანსური გზით გადაჭრის საშუალებების მოძიებას, შვეიცარიის ინტერესების დაცვას და კარგი ურთიერთობების განვითარებას შეერთებულ შტატებთან. თუმცა თვით ჩვეულებრივ მკითხველს არ გამოჩნებოდა მხედველობიდან ბ-ნი იაგმეტის ძალზე აგრესიული ენა, ასევე არც ის, რომ იგი მოლაპარაკებების პარტნიორებს მოწინააღმდეგეებად მოიხსენიებდა, რომლებიც სანდო არ იყვნენ და რომლებსაც გარკვეულ შემთხვევაში პასუხი უნდა ეგოთ. გამოყენებული ენა ამჟღავნებს დამოკიდებულებას, რომელიც პრობლემატურია თვით შიდა მოხმარების დოკუმენტისთვის, რადგან დამოკიდებულება ასევე გამოიხატება მოლაპარაკებების დროს და არაფორმალურ კონტაქტებში. ამასთან დაკავშირებით, ბ-ნი იაგმეტი, თანამდებობაზე მისი ყოფნის ბოლო ექვსი თვის მანძილზე, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა აქტივებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დისკუსიებში უნდა ყოფილიყო ჩაბმული.

პრესის საბჭო გულისხმიერებით ეკიდება იმ ფაქტს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის მიმართ საზოგადოების ინტერესი ვერ განისაზღვრება მთლიანად ობიექტური მანერით, რადგან იგი დამოკიდებულია იმ იდეოლოგიურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სარეკლამო კონტექსტზე, რომელშიც მასმედიის საშუალება მოქმედებს. მიუხედავად ამისა, ბატონ იაგმეტის სტრატეგიული დოკუმენტის შემთხვევაში, საზოგადოების ინტერესი ნათლად იყო გამოკვეთილი, რადგან 1996 წლის ბოლოს და 1997 წლის დასაწყისში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა აქტივებისა და მეორე მსოფლიო ომში შვეიცარიის როლის შესახებ ცხარე პოლემიკა მიმდინარეობდა და მას საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა, ამასთანავე, შვეიცარიის ელჩს ვაშინგტონში მომავალ მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეკავებინა. იმის ცოდნა, თუ რას ფიქრობდა ელჩი და როგორ აყალიბებდა იგი თავის შეხედულებებს, შექმნილ სიტუაციაში იყო სრულიად რელევანტური და არა უბრალო ინტერესი. თუ გვერდზე გადავდებთ საზოგადოების ინტერესს და ელჩის კომენტარების რელევანტობას, ამ კონფიდენციალური დოკუმენტის გამოქვეყნება შეიძლება გამართლებული იქნეს ეთიკური მოსაზრებით, რადგან მხოლოდ მისი გამოქვეყნების შემდეგ გახდა ნათელი, რომ პასუხისმგებელ პირებს, მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი იყო საშუალო ჯგუფი, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული მკაფიო შეხედულებები შვეიცარიის პასუხისმგებლობისა და მისაღები ზომების შესახებ. პოლიტიკური გამჭვირვალების პერსპექტივიდან გამომდინარე, კონფიდენციალური დოკუმენტის გამოქვეყნება — მიუხედავად იმისა, რომ მისი შექმნიდან ერთი თვე იყო გასული და ამ პერიოდში უკვე დაიწყო მოლაპარაკება ჰოლოკოსტის მსხვერპლთათვის ფონდის შექმნის შესახებ — მთავრობას იძულებულს გახდიდა, პრობლემის მოგვარების მიზნით დება-

ტეპში ჩაბმულიყო, ლიდერობა გამოეჩინა და დამაჯერებელი გამოსავალი მოეფიქრებინა.

7. ბოლოს, აუცილებელია შეფასდეს, მიენოდა თუ არა ინფორმაცია საზოგადოებას სათანადო ფორმით. მოაზროვნეთა ერთი სკოლის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ მასმედია არის ხელისუფლების პოზიციაში, რადგან იგი არა მხოლოდ ინფორმაციას აწვდის, არამედ ამ ინფორმაციის შეფასების გზებზედაც მიუთითებს თვით ინფორმაციის მინოდების ფორმის მეშვეობით. ნარმოდგენილ საქმეში, როგორც აცხადებენ, *სონტაგს-ცაიტუნგმა* შემოკლებული სახით წარმოადგინა საგარეო პოლიტიკის შიდა ანალიზი და იგი გამოაქვეყნა მესამე მხარის კომენტარებთან ერთად, რომელსაც ტექსტის ორიგინალი არც კი უნახავს. ამგვარი მოქმედებით ხალხს გაუჩნდა აზრი, რომ ელჩმა იაგმეტიმ 'შეურაცხყოფა მიაყენა ებრაელებს'. გაზეთმა, ბატონ იაგმეტის ანტისემიტიზმში დადანაშაულებით, უპასუხისმგებლო მანერით დაიწყო ჭორების გავრცელება. სრული ტექსტის გამოქვეყნება ბატონ იაგმეტის იმავე სახის პრესის ქვეშ არ მოაქცევდა და არ აიძულებდა გადამდგარიყო. ამრიგად, ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმა გახდა პრობლემებისა და შიშის წყარო.

ამ მიმდინარეობის მონინაალმდევე სკოლის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ აუცილებელია გაანალიზდეს ბატონი იაგმეტის კომენტარების აქტუალური პუნქტები. *სონტაგს-ცაიტუნგის* მიხედვით ელჩ იაგმეტის ანტისემიტიზმში დადანაშაულების საკითხი არ დამდგარა. თუმცა გაზეთის რედაქტორმა არაოფიციალურად აღიარა, რომ უფრო გონივრული იქნებოდა დოკუმენტი სრულად გამოქვეყნებინათ. ისინი ამტკიცებენ, რომ გამოქვეყნების დღეს გაზეთისთვის კიდევ ერთი გვერდის დამატების რეალური საშუალება არ არსებობდა, ხოლო ინტერნეტში სრული ტექსტის გამოქვეყნების გეგმა ტექნიკური პრობლემების გამო ვერ განხორციელდა.

პრესის საბჭო ამ არგუმენტს უსუსურად მიიჩნევს და ეთანხმება გამოქვეყნების ფორმასთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკას. *სონტაგს-ცაიტუნგმა* ნათლად არ უჩვენა, რომ ელჩი იაგმეტი თავის სტრატეგიულ დოკუმენტში ხაზგასმით მიუთითებდა რამდენიმე არჩევანზე, რომელთაგან 'გარიგება' მხოლოდ ერთ-ერთი იყო. არც მოვლენათა განვითარების დროა საკმაოდ ნათლად ნაჩვენები, განსაკუთრებით ის, რომ დოკუმენტი გამოქვეყნებამდე ხუთი დღით ადრე დაინერა და იგი ადრესატებამდე მივიდა შვეიცარიის პრეზიდენტის (რომელიც მალე პოსტს ტოვებდა) ინტერვიუდღე, რომელიც მან *24 heures/Tribune*-ს მისცა. გაზეთმა ამ საქმისგან განზრახ შექმნა შოკის და სკანდალის ეფექტი, რადგან სტატია გამოქვეყნდა სათაურით 'ელჩი იაგმეტი შეურაცხყოფს ებრაელებს'. მან შეცდომაში შეიყვანა მკითხველი, თითქოსდა კომენტარები წინა დღეს იყო გაკეთებული. არ არის სწორი, რომ ბატონი იაგმეტის წერილმა ზიანი მიაყენა პროცესს, რომელიც იანვარში დაიწყო, რადგან დოკუმენტი წინასწარ გავრცელდა და მანამდე საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყო. ამიტომ იგი ქვეყნის პარტნიორებთან მოლაპარაკებებზე უარყოფითად ვერ იმოქმედებდა — ვერც შინ და ვერც გარეთ. როდესაც *სონტაგს-ცაიტუნგმა* 24 იანვარს, პარასკევს, კომენტარების მიღების მიზნით ბატონ იაგმეტისთან დაკავშირება სცადა, მაგრამ მისი ფლორიდაში ყოფნის გამო ვერ მოახერხა, გაზეთის რედაქტორებმა ალბათ

იფიქრეს, რომ ერთი კვირით გადადება გონივრული არ იყო. ასეთ შემთხვევაში მათ საშუალება ექნებოდათ დოკუმენტის ამონარიდებთან ერთად კარლო იაგმეტის ინტერვიუც გამოექვეყნებინათ. ის ფაქტი, რომ, ყველაფრის მიუხედავად, სტატია მომდევნო ნომერში დაიბეჭდა, ალბათ მხოლოდ კონკურენციის შიშის შედეგია, რაც დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის საკმარისი გამამართლებელი საფუძველი ნამდვილად არ არის. ამრიგად, *სონტაგს-ცაიტუნგმა*, სტრატეგიული დოკუმენტის ასეთი სახით გამოქვეყნების შედეგად, გამოტოვა ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთები, რითაც დაირღვა დეკლარაცია ჟურნალისტთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ (პასუხისმგებლობათა დეკლარაცია, პუნქტი 3).

III. დასკვნები

1. პრესის თავისუფლება იმდენად ფუნდამენტური უფლებაა, რომ, პრინციპში, იგი სახელმწიფოს ინტერესებს არ უნდა ექვემდებარებოდეს. მასმედიის, როგორც კრიტიკოსისა და მაკონტროლებლის, როლი მოითხოვს, რომ მან ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, როდესაც ეს ინფორმაცია საზოგადოების ინტერესებში შედის, მიუხედავად იმისა, ინფორმაციის წყარო თავისუფლად ხელმისაწვდომია თუ კონფიდენციალური.

2. კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნებისას კარგად უნდა აიზონოს ყველა პოზიტიური და ნეგატიური ასპექტი. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ პროცესის განმავლობაში ზიანი არ მიაღგეს ინტერესების დაცვის არსებით მხარეს.

3. დიპლომატთა შიდა მოხსენებები კონფიდენციალურია, მაგრამ მათ ყველა შემთხვევაში არ ენიჭებათ დაცვის მაღალი ხარისხი. მასმედიის, როგორც კრიტიკოსისა და მაკონტროლებლის როლი, საგარეო პოლიტიკაზე ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მასმედიამ უპასუხისმგებელ პირებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ დიპლომატიური მოხსენებები, თუ მათ მიაჩნიათ, რომ მათი შინაარსი საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება.

4. ბატონი იაგმეტის შემთხვევაში უნდა ვალიაროთ, რომ მისი სტრატეგიული დოკუმენტის მიმართ საზოგადოების ინტერესი არსებობდა, ისევე, როგორც ის ფაქტი, რომ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მოუკითხავ აქტივებზე მიმდინარე საზოგადოებრივი დებატების მნიშვნელობის ფონზე მისი გამოქვეყნება ლეგიტიმური იყო, ასევე იმის გამო, რომ ვაშინგტონში შვეიცარიის ელჩს მნიშვნელოვანი პოსტი ეკავა, და თვით დოკუმენტის შინაარსის გამო.

5. ამ საქმეში *სონტაგს-ცაიტუნგის* უპასუხისმგებლო მოქმედებამ ბატონი იაგმეტის შეხედულებები შოკისმომგვრელად და სკანდალურად წარმოაჩინა, რასაც ამ დოკუმენტის ნაწყვეტების გამოქვეყნებით მიაღწია, ხოლო მოვლენათა მიმდინარეობის დრო მკაფიოდ არ მიუთითა. აქედან გამომდინარე, გაზეთმა დაარღვია დეკლარაცია ჟურნალისტთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ (პასუხისმგებლობათა დეკლარაცია, პუნქტი 3). მეორე მხრივ, *ტაგეს-ანციეგერმა* და *ნუვო ჟოურნალი* და საკითხი მის სწორ კონტექსტში წარმოაჩინეს, რასაც სრული დოკუმენტის გამოქვეყნებით მიაღწიეს."

ე. სამართალწარმოება განმცხადებლის მიმართ

1. სამართალწარმოება კანტონის დონეზე

25. სტატიების გამოქვეყნების შემდეგ ციურიხის კანტონის ხელისუფლებამ განმცხადებლის მიმართ გამოძიება დაიწყო. ფედერალური საჯარო პროკურატურის 1998 წლის 6 მარტის დადგენილებით გაიცა ბრძანება გამოძიების შეჩერების შესახებ ოფიციალური საიდუმლოს დარღვევის (*Verletzung des Amtsgeheimnisses*) ბრალდების გამო, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 320-ე მუხლის მნიშვნელობით. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლით გათვალისწინებული ოფიციალური მოსაზრებების გამოქვეყნების ბრალდებით საქმე გადაეცა ციურიხის კანტონის დევნის ორგანოს.

26. 1998 წლის 5 ნოემბერს ციურიხის რაიონულმა ოფისმა (*Statthalteramt des Bezirkes Zürich*) განმცხადებელი 4000 შვეიცარული ფრანკით (დღევანდელი კურსით დაახლოებით 2382 ევრო) დააჯარიმა შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევისთვის (იხ. ქვემოთ, პუნქტი 35), კერძოდ, სტატიების გამოქვეყნებისთვის სათაურით: 'ელჩი იაგმეტი შეურაცხყოფს ებრაელებს' და 'ელჩი საბანაო ხალათში და ფეხზე წრიაპით'.

27. 1999 წლის 22 იანვარს, მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა დადგინების გაუქმება მოითხოვა, ციურიხის რაიონულმა სასამართლომ (*Bezirksgericht*) მას მსჯავრი დასდო დანაშაულისთვის, რომელიც გათვალისწინებულია შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, მაგრამ ჯარიმის თანხა 800 შვეიცარიულ ფრანკამდე (დღევანდელი კურსით დაახლოებით 476 ევრო) შეუმცირა.

28. ქვემოთ მოყვანილია შესაბამისი ამონარიდები რაიონული სასამართლოს განაჩენიდან (არაოფიციალური თარგმანი):

"5.2.2 ფედერალური სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ეფუძნება საიდუმლოების მარტო ცნებას, რომლის შესაბამისად, დოკუმენტის, მოლაპარაკებების ან გამოძიების კონფიდენციალობა გამომდინარეობს არა მათი შინაარსიდან, არამედ იმ ფაქტიდან, რომ ისინი კონფიდენციალურად იქნა კლასიფიცირებული კომპეტენტური ორგანოს მიერ. ფედერალური სასამართლოს ამ მიდგომიდან გამომდინარე, მოცემული სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც იყო გრიფით 'საიდუმლო' (დოკუმენტი 2/2), კანონის არსით საიდუმლო დოკუმენტის ტოლფასია და შესაბამისად იგი დაცულია სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლით.

რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის განმარტებას, გამობატვის თავისუფლება და პრესის თავისუფლება (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი და ფედერალური კონსტიტუციის 55-ე მუხლი), პრინციპში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განმცხადებლის სასარგებლოდ. 1997 წლის 10 ოქტომბერს სისხლის

სამართლის კოდექსის განახლების შემდეგ, რომლის საფუძველზედაც უმნიშვნელო ხასიათის საიდუმლოს შემცველი დოკუმენტის გამოქვეყნება შემამსუბუქებელ გარემოებად იქნა მიჩნეული (293-ე მუხლის მე-3 პუნქტი), კანონმდებელმა 293-ე მუხლით განსაზღვრულ საიდუმლოების ცნებას არსებითი კომპონენტი დაუმატა. მაგრამ, რომც ვივარაუდოთ, რომ სასამართლოს — ფედერალური სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საწინააღმდეგოდ — თავისი დადგენილება საიდუმლოების წმინდა სუბსტანციურ განმარტებაზე უნდა დაეფუძნებინა, მისი შედეგი მოსარჩელის სასარგებლო ვერ იქნებოდა.

ელჩი იაგმეტის მიერ თავის სტრატეგიულ დოკუმენტში გამოხატული შეხედულებები საზოგადოებისთვის არ იყო განკუთვნილი. უფრო მეტიც, ეს აშკარად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ გავრცელებულმა ინფორმაციამ და მისი ანალიზის ფორმამ მოსარჩელის სტატიებს 'სენსაციური' ხასიათი შესძინა. აქ ნაკლებად რელევანტურია, მოუხდებოდა თუ არა ელჩ იაგმეტის სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსის გამჟღავნება თავის ინტერვიუში. თუმცა ეჭვისთვის საკმაო საფუძველი არსებობს, რადგან დოკუმენტი პირთა ძალზე შეზღუდულ წრეს გაეგზავნა. გარდა ამისა, განმცხადებლის პრეტენზიების საწინააღმდეგოდ, სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსი საგულისხმოდ სცდებოდა 'ჩვეულებრივის' ფარგლებს. დოკუმენტი შეიცავდა შეიცარიის დელიკატური საგარეო პოლიტიკის სიტუაციის შეფასებას, რომელშიც ქვეყანა 1997 წელს აღმოჩნდა მოუკითხავი აქტივების გამო, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე. მასში ასევე ჩამოყალიბებული იყო სხვადასხვა სტრატეგიები, რომლებიც ქვეყანას რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში დაეხმარებოდა. საელჩოს დონეზე შეხედულებების ფორმირებისა და გადანყვებილების მიღების უმნიშვნელოვანეს ელემენტს ხშირად წარმოადგენს დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც გულდასმით ფორმულირებულ შეფასებებს შეიცავენ. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა მტკიცე თუ განსხვავებული პოზიციების შესახებ, ვიდრე კონკრეტულ პოზიციაზე არ შეთანხმდებიან. სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლით გარანტირებული დაცვა ასევე ეხება შეხედულებების ჩამოყალიბებას მაქსიმალურად თავისუფალი ფორმით და არამართებული გარე ზეწოლის გარეშე (BGE (ფედერალური სასამართლოს მოხსენებები) 107 IV 188). ამ თვალსაზრისით, მოცემული დოკუმენტის მიზანი იყო, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელისთვის მოსაზრებათა ჩამოყალიბებაში შეეწყო ხელი, ზემოქმედება მოეხდინა მოვლენათა განვითარებაზე და ქვეყანას ამ აქტივებთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაში დახმარებოდა. ასეთი სახის შიდა მოხმარების დოკუმენტების გამოქვეყნებამ, რომლებიც შეხედულებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, შეიძლება გამანადგურებლად იმოქმედოს მოლაპარაკებებზე. შესაბამისად, მისი აფეთქებაუნარიანი შინაარსისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მას საზოგადოება არ იცნობდა, დოკუმენტი ასევე საიდუმლო იყო თავისი არსით. ამრიგად, სამართლიანი იქნება თუ ვივარაუდოთ, რომ კვლავ ღიად რჩება შემდეგი საკითხი — ფედერალური სასამართლოს მიერ შემუშავებულ საიდუმლოების ფართო ფორმალურ ცნებას უნდა მიენიჭოს თუ არა უპირატესობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მიმართ...

6. თავისი მოქმედების გასამართლებლად მოსარჩელე აცხადებს, რომ იგი კანონიერ ინტერესებს იცავდა. ფედერალური სასამართლოს შესაბამისად, კანონით გაუთვალისწინებელი ასეთი გამართლების იმედი შეიძლება ვიქონიოთ, 'თუ მოცემული მოქმედება აუცილებელი და გონივრული საშუალებაა კანონიერი მიზნის მისაღწევად, მოქმედების განხორციელების ერთადერთი შესაძლო

გზა და აშკარად ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე ის ინტერესები, რომელთა დაცვასაც სამართალდამრღვევი ცდილობს' (BGE 120 IV 213). მოსარჩელე ამტკიცებს, რომ *სონტაგს-ცაიტუნგის* რედაქტორებმა, ვიდრე საზოგადოებრივ ინტერესს მეტ წონას მიანიჭებდნენ, სიტუაცია კარგად შეაფასეს. მათ მიიჩნიეს, რომ საზოგადოებას უფლება ჰქონდა მიეღო ინფორმაცია, როდესაც წამყვანი დიპლომატები ისეთი ფენით საუბრობდნენ, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა შვეიცარიის ოფიციალური პოზიციისაგან (დოკუმენტი 2/5, გვ. 2). ისინი ამბობდნენ, რომ ელჩის ტონი იმდენად შეუსაბამოდ ჟღერდა, რომ მისი გამოქვეყნება აუცილებელი იყო (დოკუმენტი 2/7). რედაქტორთა აზრით, ელჩი იაგმეტი არ იყო შესაბამისი პიროვნება, რომელსაც სენატორ და ამპატოსთან და ებრაულ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინა, რადგან მას აკლდა ის მოქნილობა, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობისთვისაა საჭირო (დოკუმენტი 17, გვ. 13). აქედან გამომდინარე, კონფიდენციალური მოხმარების გიული დოკუმენტის გამოქვეყნებით მოსარჩელე თითქოსდა ცდილობდა, მოლაპარაკების პროცესისთვის ჩამოეშორებინა წამყვანი დიპლომატი, რომლის მუშაობის სტილიც მას არ მოსწონდა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მოსარჩელის მიერ გამოხატული აღშფოთება — თუნდაც ეს გულახდილი აღშფოთება ყოფილიყო — დოკუმენტის ტონთან დაკავშირებით ცოტა მიამიტურად ჟღერს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მართლაც სურს მიიღოს ინფორმაცია ასეთი სახის შიდა მოხმარების დოკუმენტის შესახებ, ეს მაინც არ არის ლეგიტიმური ინტერესი. უფრო მეტიც, მოსარჩელემ წამდვილად დაარღვია თავისუფლების ატმოსფერო, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დიპლომატიურ ურთიერთობებში, რითაც შეასუსტა შვეიცარიის პოზიცია მოლაპარაკებებში ან, სულ მცირე, არსებითი საფრთხე შეუქმნა მას. საზოგადოებრივი ინტერესის შეფასებამ, რომელსაც მოსარჩელე დაეყრდნო კანონიერი მიზნების არასამართლებრივ დასაბუთებასთან დაკავშირებით ფედერალური სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მოთხოვნების საფუძველზე, ცხადად აჩვენა, რომ: პირველი — *სონტაგს-ცაიტუნგის* მიერ გამოყენებული საშუალებები, რომლებსაც საიდუმლო ოფიციალური დოკუმენტის გამოქვეყნება შეიცავდა, არც აუცილებელი და არც გონივრული არ იყო; და მეორე — ამის შედეგად დაზარალებული ინტერესები 'აშკარად' ნაკლები მნიშვნელობის არ იყო. ამასთანავე, საზოგადოებრივი დებატები პოლოკოსტის მსხვერპლთა აქტივების გარშემო, რომელთა გააქტიურებაც მომზივანს სურდა, შეიძლებოდა მშვენივრად განხორციელებულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის დარღვევის გარეშე. აქედან გამომდინარე, კანონიერი ინტერესების დაცვა არ შეიძლება ასეთი დასაბუთების იმედზე დარჩეს...

8. სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმნიშვნელო ხასიათის საიდუმლოს გამოქვეყნება შემამსუბუქებელ გარემოებადაა მიჩნეული. თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წარმოდგენილ საქმეში გამჟღავნებული საიდუმლო უმნიშვნელო ბუნების არ იყო. სტრატეგიული დოკუმენტის გამოქვეყნებამ, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანი იყო საგარეო საქმეთა ფედერალურ დეპარტამენტში და ფედერალურ საბჭოში მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად, შეიძლება რეალურად არ შეასუსტა შვეიცარიის პოზიცია გარე სამყაროს წინაშე, კერძოდ, მოლაპარაკებებში, მაგრამ მის რეპუტაციას დროებით მაინც შეუქმნა საფრთხე. ამ დოკუმენტის კონფიდენციალობის დაცვა მხოლოდ იმის გამო არ იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი "საიდუმლო" დოკუმენტის კატეგორიას მიეკუთვნებოდა. შვეიცარიის საგარეო პოლიტიკისთვის სადისკუსიო საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სტრატეგიული დოკუმენტი

უფრო ფრთხილ მოპყრობას მოითხოვდა. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე სამართალდარღვევის ფაქტებთან მიმართებით შემამსუბუქებელი გარემოებები არ არსებობს.

...

ჩადენილი სამართალდარღვევა უმნიშვნელოდ ვერ იქნება მიჩნეული, რადგან მოსარჩელის მიერ გამოყვანილი საიდუმლო მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის არ არის. სტრატეგიული დოკუმენტის გამოქვეყნებით მოსარჩელემ დაუფიქრებლად ზიანი მიაყენა შვეიცარიის სტრატეგიულ პოზიციას მოლაპარაკებებში. მიუხედავად ამისა, სამართალდარღვევა არ არის ძალიან სერიოზული, რადგან მომჩივანს არ გაუმჟღავნებია რეალური სახელმწიფო საიდუმლოება, რომლის გამოქვეყნებაც ძირს გამოუთხრიდა ქვეყნის სიძლიერეს. არც მოსარჩელის დანაშაული უნდა გავაზვიადოთ ზედმეტად — მით უმეტეს, რომ მის მოქმედებებს ზურგს უმაგრებდა გაზეთის რედაქტორი და მისი იურიდიული განყოფილება — რადგან სხვა ასპექტებთან ერთად მას ჰქონდა კანონიერი სწრაფვა ღია დებატები დაეწყო მოუკითხავი აქტივების საკითხთან დაკავშირებულ ყველა ასპექტზე. ამრიგად, 800 შვეიცარიული ფრანკის ოდენობის ჯარიმა შესაბამისია...

29. განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა გაუქმების საფუძველების (*Nichtigkeitsbeschwerde*) შესახებ, რომელიც 2000 წლის 25 მაისს ციურხის კანტონის სააპელაციო სასამართლომ (*Obergericht*) არ დააკმაყოფილა.

2. სამართალწარმოება ფედერალურ დონეზე

30. განმცხადებელმა შეიტანა სარჩელი ფედერალურ სასამართლოში (*Bundesgericht*) გაუქმების საფუძველების შესახებ, ასევე საჯარო სამართლის (*staatsrechtliche Beschwerde*) აპელაცია. იგი ამტკიცებდა, რომ შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის საფუძველზე ჟურნალისტისთვის მსჯავრი შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში დაედოთ, კერძოდ, თუ გამოქვეყნებული საიდუმლოება განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო და მისი გამოქვეყნება ძირს უთხრიდა ქვეყნის სიმტკიცეს. იგი მიუთითებდა საზოგადოების ინტერესზე ელჩის კომენტარების მიმართ და ჟურნალისტის, როგორც მაკონტროლებლის, როლზე დემოკრატიულ საზოგადოებაში.

31. 2000 წლის 5 დეკემბერს ფედერალურმა სასამართლომ მიიღო ორი განჩინება, რომლითაც ქვემდგომი სასამართლოების დადგენილებები ძალაში დატოვა და განმცხადებლის სარჩელები არ დააკმაყოფილა.

32. გაუქმების საფუძველების შესახებ სარჩელის განხილვისას ფედერალურმა სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით აღნიშნა გარკვეული მოსაზრებები სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის შესახებ (არაოფიციალური თარგმანი):

"2(a) პრეცედენტული სამართლისა და ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი მიზნად ისახავს საიდუმლოებათა დაცვას მათი ნორმატიული მნიშვნელობით. დოკუმენტის, გამოძიების ან შეხედულებების საიდუმლოება დგინდება კანონის საფუძველზე, ან მათ ასეთ კატეგორიას

მიაკუთვნებენ უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებით. აქ ნაკლებად რელიევანტურია, ისინი კლასიფიცირებულია, როგორც 'საიდუმლო' თუ 'კონფიდენციალური'; სრულიად ცხადია, რომ მათი კლასიფიცირება ხდება გამოქვეყნების თავიდან ასაცილებლად... საიდუმლოების ნორმატიული მნიშვნელობა განსხვავდება მისი არსებითი მნიშვნელობისაგან, რომელთანაც დაკავშირებულია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების უმრავლესობა, რომლებიც საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებას ეხება, მაგალითად, 267-ე მუხლი (დიპლომატიური ლაღატი) ან მუხლი 320 (სამსახურობრივი საიდუმლოს გაცემა). ფაქტი საიდუმლო არსებითი მნიშვნელობით, თუ მასზე ხელი მიუწვდება პირთა მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას, თუ მოცემულ ორგანოს სურვილი აქვს იგი საიდუმლოდ შეინახოს და თუ ეს სურვილი გამართლებულია ინტერესებით, რომლებიც დაცვას იმსახურებენ...

მრავალი ექსპერტი მხარს უჭერს 293-ე მუხლის სრულ გაუქმებას. ისინი ამბობენ, რომ, სულ მცირე, უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა საიდუმლოს გამოქვეყნება მისი არსებითი მნიშვნელობით დასჯადი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დიდი მნიშვნელობისაა...

2(b) მასმედიასთან დაკავშირებული სისხლის სამართლისა და საპროცესო დებულებების გადასინჯვის ფარგლებში ფედერალურმა საბჭომ სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის გაუქმების წინადადება შემოიტანა, მისი სხვა დებულებით ჩანაცვლების გარეშე. მის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში (BBI (Federal Gazette) 1996 IV 525 და მომდევნო) ფედერალური საბჭო აღნიშნავდა, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის უზრუნველყოფის დასჯა არ იქნებოდა სამართლიანი, თუ თანამდებობის პირი ან შესაბამისი ორგანოს წარმომადგენელი, რომელმაც თავიდან ხელი შეუწყო მასალის გამოქვეყნებას, დაუსჯელი დარჩებოდა, რადგან ვერ დადგინდებოდა მისი ვინაობა... ფედერალური საბჭოს თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი, რომელიც ნორმატიული თვალსაზრისით იცავდა საიდუმლოს..., ზედმეტად ზღუდავდა მასმედიის მოქმედების თავისუფლებას. მისი აზრით, გამჟღავნებული საიდუმლოს 'მეორადი გამოქვეყნება' (მაგალითად, მასმედიის მუშაკის მიერ), პოტენციური დანაშაულის და უკანონობის თვალსაზრისით, ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საიდუმლოს გამჟღავნება პირის მიერ, რომელიც მას ფლობდა. გარდა ამისა, უზრუნველყოფისთვის ყოველთვის ვერ იქნებოდა ცნობილი, რომ მის მიერ მიღებული ინფორმაცია საიდუმლოს გამჟღავნების გზით იყო მოპოვებული. ინფორმაციის 'მეორადი' მომხმარებლის მოქმედებები შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს იმ შემთხვევებში, როდესაც გამჟღავნებული ინფორმაცია რეალურადაა სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოება. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლისგან დამოუკიდებლად, მოქმედი კანონმდებლობა მაინც შეიცავდა დიპლომატიურ ლაღატთან (სისხლის სამართლის კოდექსის 267-ე მუხლი) და სამხედრო საიდუმლოს გამჟღავნებასთან (სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლი) დაკავშირებულ დებულებებს, რომლებიც ასეთ შემთხვევებში ორდონიან დაცვას უზრუნველყოფდა. პირველი მიმართული იყო საიდუმლოს მისი მფლობელისაგან გამჟღავნების წინააღმდეგ, ხოლო მეორე — საიდუმლოს 'მეორადი მომხმარებლის' მიერ გამჟღავნების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ფედერალური საბჭოს აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის გაუქმება ზიანს არ მიაყენებდა მნიშვნელოვან სფეროებში საიდუმლოების დაცვას სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე. პროტესტი, რომ 293-ე მუხლი ასევე იცავდა ინდივიდუალურ ინტერესებს, არაპირდაპირი სახით ყველაზე უფრო რელიევანტურია, ვინაიდან ინდივიდუალური პირის კერძო და პირადი ცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, დაცული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით და სამოქალაქო კოდექსის დებულებებით, რომლებიც პიროვნულ უფლებებს იცავს...

ფედერალური ორგანოები, რომლებიც მხარს უჭერენ 293-ე მუხლის სრულ გაუქმებას, ასევე აღნიშნავენ, რომ მოცემული დებულება ძალზე იშვიათად გამოიყენება და იგი არ არის ეფექტიანი. ისინი ამტკიცებენ, რომ იგი არასამართლიანი დებულებაა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მხოლოდ ჟურნალისტს სჯის, რომელიც "მეორადი მომხმარებელია", ხოლო თავდაპირველი დამნაშავეის, კერძოდ, თანამდებობის პირის ან შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლის ვინაობა კვლავ უცნობი რჩება ... და, აქედან გამომდინარე, მას ოფიციალური საიდუმლოს გამჟღავნებისთვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მათ მიაჩნიათ, რომ 293-ე მუხლი კიდევ რომ გაუქმდეს, ჟურნალისტის მიერ რეალურად მნიშვნელოვანი საიდუმლოს გამჟღავნება მაინც დასჯადი ქმედება იქნება, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 267-ე მუხლის (დიპლომატიური ლალატი) ან 329-ე მუხლის (სამხედრო საიდუმლოს გამჟღავნება) საფუძველზე. 293-ე მუხლის გაუქმების მონიშნულმდეგენი ამტკიცებდნენ ... რომ ეს დებულება ახლა უფრო საჭიროა, ვიდრე არასდროს, რადგან საიდუმლო ან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს..."

33. ამის შემდეგ ფედერალური სასამართლო წარმოდგენილი საქმის გარემოებებს მიუბრუნდა:

"8. 'საიდუმლო ოფიციალური მოსაზრებების გამოქვეყნება' (სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) კვლავ განხილული უნდა იქნეს, როგორც საიდუმლოს ოფიციალურ ცნებაზე დაფუძნებული, და იგი ფედერალური სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს უნდა შეესაბამებოდეს. ამ თვალსაზრისით არაფერი არ შეცვლილა 293-ე მუხლზე მე-3 პუნქტის დამატებით. თუმცა, ვინაიდან დღეს სისხლის სამართლის სასამართლოებს შეუძლიათ არ შეუფარდონ რაიმე სასჯელი, მათ წინასწარ აუცილებლად უნდა განსაზღვრონ, შეიძლება თუ არა გრიფი 'საიდუმლო' გამართლებული იქნეს გამჟღავნებული დოკუმენტის მიზნისა და შინაარსის ფონზე. სწორედ ამასთანაა დაკავშირებული ეს საქმე.

კონფიდენციალური დოკუმენტიდან მოსარჩელის მიერ გამოქვეყნებული ამონარიდები ასევე საიდუმლოა არსებითი მნიშვნელობითაც. მოსარჩელე სწორად იქცევა, როცა პრეტენზიას არ გამოთქვამს, რომ ამონარიდები მცირე მნიშვნელობისაა სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. როდესაც მოსარჩელე მოითხოვს, რომ 293-ე მუხლი მიესადაგოს მხოლოდ იმ საქმეებს, სადაც გამჟღავნებული საიდუმლო საგულისხმო მნიშვნელობისაა და საფრთხეს უქმნის ქვეყნის საფუძველს, ამით იგი ცდილობს მიღებული იქნეს ისეთი დადგენილება, რომელიც ყოველმხრივ სცდება 293-ე მუხლის განმარტების ფარგლებს (კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად), რომელიც ფედერალურმა სასამართლომ უნდა დაიცვას ახალი ფედერალური კონსტიტუციის 191-ე მუხლის შესაბამისად. იგივე ეხება არგუმენტს, რომლის თანახმადაც მასმედიის მუშაკი შეიძლება მსჯავრდებული იქნეს საიდუმლო ოფიციალური მოსაზრებების გამოქვეყნებისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამჟღავნებული დოკუმენტის კონფიდენციალობის დაცვის მიმართ სახელმწიფოს ინტერესი აღემატება საზოგადოების მიერ ინფორმაციის მიღების ინტერესს. მოცემული ინტერესების შედარება მნიშვნელოვანი დანაშაულის ელემენტებს არ ითვალისწინებს, თუმცა იგი შეიძლება ითვალისწინებდეს კანონიერი ინტერესების დაცვის არანორმატიულ

გამართლებას. ნებისმიერ შემთხვევაში, წარმოდგენილი საქმის გარემოებანი არ არის იმგვარი ხასიათის, რომ საშუალებას იძლეოდეს დავეყრდნოთ კანონიერი ინტერესების დაცვას საიდუმლო ოფიციალური მოსაზრებების გამოქვეყნების გასამართლებლად.

9. ეს დასკვნა წარმოდგენილ საქმეში არსებული ინტერესების შედარებას ზედმეტს ხდის. აქედან გამომდინარე, საჭირო არ არის პასუხი გაეცეს მოსარჩელის კრიტიკას იმ გზის მიმართ, რომლითაც კანტონის ხელისუფლებამ ეს ინტერესები დააბალანსა.

თუმცა სრულყოფილების მიზნით მაინც უნდა აღინიშნოს, რომ, ფედერალური ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული დასაბუთებიდან გამომდინარე, მოცემული სტრატეგიული დოკუმენტის კონფიდენციალობის დაცვას მეტი ნონა ჰქონდა, ვიდრე საზოგადოების ინტერესს გაზეთში გამოქვეყნებული ამონარიდების მიმართ. გამეორების თავიდან აცილების მიზნით სასამართლო აქ მიუთითებს მოსაზრებებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია სადავო გადაწყვეტილებაში და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში. სტრატეგიული დოკუმენტის საიდუმლო ბუნების დაცვა არა მხოლოდ ელჩის ან ფედერალური საბჭოს ინტერესში შედიოდა, არამედ მთელი ქვეყნის. ამოგლეჯილი ნაწყვეტების გამოქვეყნებას შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებში და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მას შეეძლო კიდევ უფრო გაერთულებინა საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ისედაც რთული მოლაპარაკებები; ეს ქვეყნის ინტერესებში არ შედიოდა. მეორე მხრივ, კონტექსტიდან ამოგლეჯილი და მყვირალა სათაურებით გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის მიმართ სენსაციის მაძიებელი საზოგადოების ნევრთა ნამიერი ინტერესი სამართლებრივი თვალსაზრისით შედარებით უმნიშვნელოა. ეს სიმართლეა, რადგან 'ტონი', რომელიც სპეციფიკურ კონტექსტში დანერგილ დოკუმენტშია (და რომლის შინაარსი, სტატიის მიხედვით, სიტუაციის ჩვეულებრივი შეფასებაა) გამოყენებული და რომელსაც მოსარჩელე აკრიტიკებს, მკითხველს ელჩის 'შენტალიტეტის' შესახებ ნათელი და დამაჯერებელი დასკვნების გაკეთების საშუალებას ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ აძლევს, ხოლო მასზე დაკისრებული ამოცანის შესრულების უნართან დაკავშირებით კიდევ უფრო ნაკლებ ინფორმაციას აწვდის..."

34. ფედერალურმა სასამართლომ განმცხადებლის საჯარო სამართლის სააპელაციო სარჩელზე მიღებულ განჩინებაში აღნიშნა (არაოფიციალური თარგმანი):

"3. განმცხადებელი თავის საჯარო სამართლის სარჩელში მოითხოვს, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნეს კანონის დარღვევის (*Gleichbehandlung im Unrecht*) წინაშე თანასწორობის პრინციპი, და სხვა ასპექტებთან ერთად სასამართლოს წინაშე კანონიერების პრინციპის დარღვევის საკითხს აყენებს...

(b) აქ საჭირო არ არის დეტალურად იქნეს შესწავლილი, თუ რატომ გადაწყვიტა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაეწყო მოსარჩელის მიერ ნახსენები სხვა ჟურნალისტების მიმართ, რომლებმაც თავიანთ სტატიებში საიდუმლო ოფიციალური მოსაზრებები გამოაქვეყნეს, ან რატომ არ განიხილა, იყო თუ არა ეს მიზეზები საკმარისი. ბოლო კითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაშიც კი მოსარჩელისთვის სასარგებლო შედეგი არ დადგებოდა.

სადავო გადაწყვეტილებასა (მოსაზრებები IV, მე-5 და მომდევნო გვერდები) და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაში (მოსაზრებები IV, გვ. 3) ჩამოყალიბებული განმარტებებიდან ნათელია, რომ აქ არ მიესადაგება გამონაკლისი შემთხვევები, რომელთა დროსაც ფედერალური სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კანონის დარღვევის წინაშე თანასწორობას აღიარებს. ამ საქმეში პროკურატურის ორგანოების მიდგომა თავისთავად არ არის 'თანმიმდევრული' (სავარაუდოდ, უკანონო) პრაქტიკა — არც იმ თვალსაზრისით, რომ კონკრეტული არსებითი საფუძვლების არარსებობისას ჟურნალისტების მიმართ საიდუმლო ოფიციალური მოსაზრებების გამოქვეყნებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აღიძვრება და არა სისტემატურად, და არც იმ თვალსაზრისით, რომ, როდესაც ერთი და იმავე კონფიდენციალურ დოკუმენტს სხვადასხვა სტატიაში რამდენიმე ჟურნალისტი აქვეყნებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის მუდამ არჩევენ ჟურნალისტს, რომელიც რაიმე საფუძვლით — იქნება ეს სტატიის წერის ფორმა თუ ამონარიდების შერჩევა — ყველაზე დამნაშავედ გამოიყურება. გარდა ამისა, ასევე არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ (შესაძლო უკანონო) პრაქტიკა მომავალში იქნება დანერგილი..."

II. შესაბამისი შიდასახელმწიფო, საერთაშორისო და შედარებითი სამართალი და პრაქტიკა

ა. შვეიცარიის კანონი და პრაქტიკა

35. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი, რომლის სათაურია "საიდუმლო ოფიციალური შეხედულებების გამოქვეყნება", აცხადებს (არაოფიციალური თარგმანი):

"1. ნებისმიერი პირი, რომელიც სათანადო უფლებამოსილების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გამოაქვეყნებს ნებისმიერი ორგანოს დოკუმენტებს, გამოძიების მასალებს ან მოსაზრებებს, რომლებიც საიდუმლოებას მიეკუთვნება კანონის საფუძველზე ან ამ ორგანოს მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ექვემდებარება სასჯელს, პატიმრობის ან ჯარიმის სახით.

2. ასეთ ქმედებაში თანამონაწილეობა დასჯადია.

3. სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პირს არ შეუფარდოს სასჯელი, თუ მოცემული საიდუმლოება მცირე მნიშვნელობისაა".

36. 1981 წლის 27 ნოემბრის განაჩენში (BGE 107 IV 185) ფედერალურმა სასამართლომ დააზუსტა, რომ საიდუმლოების ცნება, რომელზედაც სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლია დაფუძნებული, წმინდა ფორმალური ბუნების იყო.

37. 2004 წლის 17 დეკემბერს შვეიცარიის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო აქტი ფედერალური ადმინისტრაციის გამჭვირვალების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 1 ივლისს (ფედერალურ კანონთა კრებული 152.3). აქტის შესაბამის დებულებებში, რომლებიც მიზნად ისახა-

ეს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას აღნიშნულია (არაოფიციალური თარგმანი):

“ნაწილი 1: ზოგადი დებულებანი განყოფილება 1 — მიზანი და საგანი

ამ აქტის მიზანია განამტკიცოს გამჭვირვალება ხელისუფლების ორგანოების ამოცანების, ორგანიზებისა და საქმიანობის სფეროში. ამ მიზნით იგი წვლილს შეიტანს საზოგადოების ინფორმირების გაუმჯობესებაში, მისთვის ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის მეშვეობით.

ნაწილი 2: ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლება განყოფილება 6 — გამჭვირვალების პრინციპი

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება განიხილოს ოფიციალური დოკუმენტები და ინფორმაცია მიიღოს ხელისუფლების ორგანოებისაგან მათი შინაარსის შესახებ.

2. დაინტერესებულ პირს შეუძლია ოფიციალურ დოკუმენტს გაეცნოს *in situ* (ადგილზე, *მთარგმნელის შენიშვნა*) ან მოითხოვოს მისი ასლი, საავტორო უფლების კანონმდებლობის დარღვევის გარეშე.

3. თუ ოფიციალური დოკუმენტი კონფედერაციის მიერ უკვე გამოქვეყნებულია სტამბური წესით ან ელექტრონული სახით, მაშინ 1-ლ და მე-2 პუნქტებში ჩამოყალიბებული პირობები შესრულებულად მიიჩნევა.

განყოფილება 7 — გამონაკლისი

1. ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელება შეიძლება შეიზღუდოს, დაყოვნდეს ან აიკრძალოს, თუ ოფიციალურ დოკუმენტს:

(a) შეუძლია მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი შეხედულებათა და მისწრაფებათა თავისუფლად ფორმირების პროცესს ამ აქტით გათვალისწინებულ ორგანოებში, სხვა საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ ორგანოებში ან სასამართლო ორგანოებში;

(b) შეუძლია მოცემულ ორგანოს ხელი შეუშალოს მისი ამოცანების შესაბამისად მიღებული ზომების განხორციელებში;

(c) შეუძლია ზიანი მიაყენოს ქვეყნის შიდა ან საგარეო უსაფრთხოებას;

(d) შეუძლია ზიანი მიაყენოს შვეიცარიის ინტერესებს საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროებში;

...

38. 1990 წლის 10 დეკემბრის ბრძანება საჯარო ხელისუფლების ინფორმაციის კლასიფიკაციისა და დამუშავების შესახებ (ფედერალურ კანონთა კრებული 172.015), რომელიც ძალაში იყო საქმესთან დაკავშირებულ დროს, კლასიფიცირების სხვადასხვა დონეებს განსაზღვრავს (არაოფიციალური თარგმანი):

“ნაწილი 1: ზოგადი დებულებანი განყოფილება 1 — საგანი

ეს ბრძანება აყალიბებს დებულებებს საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენება საჯარო ხელისუფლების ინფორმაციის (შემდგომში “ინფორმაცია”) მიმართ, რომელიც, სახელმწიფოს მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დროებით გადაეცეს სხვა პირებს ან გამჟღავნდეს; იგი ამას აკეთებს ინსტრუქციების მეშვეობით ინფორმების შესახებ, რომლებიც დაცული უნდა იქნეს ასეთი ინფორმაციის დასაიდუმლოებისას და მისი დამუშავებისას.

ნაწილი 2: დასაიდუმლოება განყოფილება 5 — დასაიდუმლოების კატეგორიები

ინფორმაციის შემქმნელი ორგანო (შემდგომში “ორგანო”) ინფორმაციის დასაიდუმლოებას ახდენს მისი დაცვის მოთხოვნების საფუძველზე. დასაიდუმლოებული ინფორმაციის ორი კატეგორია არსებობს: ‘საიდუმლო’ და ‘კონფიდენციალური’.

განყოფილება 6 — ‘საიდუმლო’ ინფორმაცია

‘საიდუმლო’ კატეგორიას მიეკუთვნება შემდეგი ინფორმაცია:

(a) ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს შვეიცარიის საგარეო ურთიერთობებს ან ხელი შეუშალოს ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს ქვეყნის შიდა და საგარეო უსაფრთხოების დაცვას, მაგალითად, მთავრობის საქმიანობის განხორციელება საგანგებო სიტუაციების დროს ან სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საქონლით ან მომსახურებით უზრუნველყოფა — თუ იგი ცნობილი გახდება არაუფლებამოსილი პირისთვის.

(b) ინფორმაცია, რომელზედაც ხელი მიუწევდა პირთა მხოლოდ ძალზე შეზღუდულ რაოდენობას.

განყოფილება 7 — ‘კონფიდენციალური’ ინფორმაცია

1. ინფორმაცია, რომელიც მე-6 განყოფილებაში განსაზღვრულ ინფორმაციაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია და მასზე ხელი მიუწევდა პირთა უფრო ფართო წრეს, კლასიფიცირდება, როგორც ‘კონფიდენციალური’ ინფორმაცია.

2. გრიფი ‘კონფიდენციალური’ უნდა მიეკუთვნოს ასევე ინფორმაციას, რომელიც, თუ იგი არაუფლებამოსილი პირისთვის ცნობილი გახდება:

(a) გამოიწვევს მთავრობის საქმიანობაში ჩარევას;

(b) ხელს შეუშლის სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას;

(c) გამოიწვევს სანარმოო საიდუმლოების ან კომერციული საიდუმლოების გამჟღავნებას;

- (d) ხელს შეუშლის სისხლის სამართლის პროცესს;
- (e) ზიანს მიაყენებს ძირითად ინფრასტრუქტურას.

განყოფილება 8 — პირები, რომლებსაც ინფორმაციის დასაიდუმლოების უფლება აქვთ

დეპარტამენტების უფროსები, ფედერალური კანცლერი, გენერალური მდივნები, სამსახურების დირექტორები და მათი მოადგილეები პასუხისმგებელი არიან ინფორმაციისთვის საიდუმლო გრიფის მიკუთვნებაზე და დასაიდუმლოების შესწორებაზე ან მის განსაიდუმლოებაზე. გარკვეულ შემთხვევებში მათ შეუძლიათ თავიანთი უფლებამოსილების დელეგირება.”

ეს ბრძანება მოგვიანებით შეიცვალა 2007 წლის 4 ივლისის ბრძანებით ფედერალური ინფორმაციის დაცვის შესახებ (ფედერალურ კანონთა კრებული 510.411), რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის 1 აგვისტოს.

ბ. საერთაშორისო სამართალი და პრაქტიკა

39. 2006 წლის 19 დეკემბერს გამოხატვის თავისუფლების ოთხმა სპეციალურმა წარმომადგენელმა (ბ-ნი ამბეი ლიგაბო, გაეროს სპეციალური მომხსენებელი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე; ბ-ნი მიკლოს ჰარასცი, ეუთოს წარმომადგენელი მასმედიის თავისუფლების საკითხებში; ბ-ნი იგნასიო ხ. ალვარეზი, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების სფეროში; ქ-ნი ფაიტ პანსი ტლაკულა, ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიის სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების სფეროში) ერთობლივი დეკლარაცია მიიღო.

ქვემოთ მოცემულია ამონარიდი დეკლარაციიდან:

“ყურნალისტებს არ უნდა ეკისრებოდეთ პასუხისმგებლობა საიდუმლო ან კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის, თუ მათ ინფორმაციის მოპოვებისას თავად არ ჩაიდინეს რაიმე არამართლზომიერი ქმედება. კანონიერად დასაიდუმლოებული ინფორმაციის დაცვა მისი მფლობელი საჯარო ორგანოს მოვალეობაა.”

40. 2007 წლის 19 აპრილს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია შპიონაჟისა და სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების შესახებ. წარმოდგენილ საქმესთან დაკავშირებულ პუნქტებში აღნიშნულია:

"სამართლიანი სასამართლოს საკითხები სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებიც ეხება შპიონაჟს და სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებას (რეზოლუცია 1551 (2007))

1. საპარლამენტო ასამბლეა მიიჩნევს, რომ ოფიციალური საიდუმლოების მიმართ სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი არ უნდა გახდეს გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის და ადვოკატებისა და ადამიანის უფლებათა სხვა დამცველთა მუშაობის არამართებული შეზღუდვის საბაზი.

2. იგი მოუთითებს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც შესაძლებელი უნდა იყოს კორუფციის, ადამიანის უფლებათა დარღვევების, გარემოსთვის ზიანის მიყენების და ხელისუფლების სხვა დარღვევების გამოვლენა.

...

5. ასამბლეა აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს მრავალი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ოფიციალური საიდუმლოების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი ან ძალზე ფართოა, რაც ხელს უშლის მასში ჟურნალისტთა, მეცნიერთა, ადვოკატთა ან ადამიანის უფლებების სხვა დამცველთა კანონიერი საქმიანობის ფართო სპექტრის ასახვას.

6. ... თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ "არაპროპორციულად" მიიჩნია გაერთიანებული სამეფოს გაზეთში ნიგნის (*Spycatcher*) შინაარსის შესახებ სტატიების გამოქვეყნების სასამართლოს ძალით აკრძალვა, რომელიც, სავარაუდოდ, საიდუმლოებას შეიცავდა, მაშინ, როცა ნიგნი საზღვარგარეთ თავისუფლად იყიდებოდა.

...

9. იგი მოუწოდებს ყველა შესაბამისი ქვეყნის სასამართლო ხელისუფლებას და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ჯეროვანი ბალანსი დაამყარონ ერთი მხრივ, ოფიციალური საიდუმლოების დაცვის მიმართ სახელმწიფო ინტერესსა და, მეორე მხრივ, გამოხატვის თავისუფლებას და სამეცნიერო ინფორმაციის თავისუფლად გაცვლას, ასევე ძალაუფლების გადაშენების გამოვლენის მიმართ საზოგადოების ინტერესს შორის.

10. ასამბლეა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების საკითხებზე წარმოებული სისხლის სამართლის პროცესები განსაკუთრებით მგრძობიარეა და მათი დარღვევა ხშირად ხდება პოლიტიკური მიზნებით. აქედან გამომდინარე, მას მიაჩნია, რომ ასეთ პროცესებზე სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგ პრინციპებს:

10.1. ინფორმაცია, რომელიც უკვე ცნობილია საზოგადოებისთვის, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო საიდუმლოებად, და ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება არ შეიძლება იყოს დასჯადი ქმედება, როგორც შპიონაჟი, მაშინაც კი, თუ მოცემული პირი ასეთ ინფორმაციას აგროვებს, აჯამებს, აანალიზებს ან მასზე კომენტარებს აკეთებს. იგივე ეხება საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში მონაწილეობას და კორუფციის, ადამიანის უფლებათა დარღვევების, გარემოსთვის ზიანის მიყენების ან საჯარო ხელისუფლების სხვა დარღვევების გამოვლენას (განგაშის სიგნალის მიცემა);

10.2. კანონმდებლობა ოფიციალური საიდუმლოების შესახებ, საი-

დუმლო მონაცემთა ნუსხის ჩათვლით, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველია, უნდა იყოს ნათელი და, რაც მთავარია, — საჯარო. საიდუმლო დეკრეტები, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ადგენს, არ შეესაბამება ევროპის საბჭოს სამართლებრივ სტანდარტებს და ისინი ყველა ნეერ სახელმწიფოში უნდა გაუქმდეს;...”

41. რაც შეეხება ევროპის საბჭოს დოკუმენტების კლასიფიცირებას, მინისტრთა კომიტეტის 2001 წლის 12 ივნისის რეზოლუცია Res(2001)6 ევროპის საბჭოს დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის შესახებ მკაფიო პრინციპს აყალიბებს: ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს, ხოლო კლასიფიცირება უნდა მოხდეს გამონაკლის შემთხვევებში. შესაბამისად, იგი ადგენს კლასიფიცირების ოთხ კატეგორიას: (1) დოკუმენტები, რომლებიც რაიმე სახის დასაიდუმლოებას არ ექვემდებარება და საჯაროა; (2) დოკუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია გრიფით “შეზღუდული სარგებლობისთვის”; (3) დოკუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია გრიფით “კონფიდენციალური”; და (4) დოკუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია გრიფით “საიდუმლო”. არ არსებობს რაიმე განმარტება, რომელიც დოკუმენტის კლასიფიცირებას მისი შინაარსის მიხედვით ადგენს. Res(2001)6 რეზოლუციის მიღების შემდეგ, რომელიც ხელს უწყობს გამჭვირვალებას, გამოქვეყნება ნორმა ხდება. როგორც ჩანს, მისი მიღების შემდეგ, მინისტრთა კომიტეტის არც ერთი დოკუმენტისთვის არ მიუნიჭებიათ გრიფი “საიდუმლო”.

42. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 2001 წელს მიღებულ დასკვნებში გააკრიტიკა გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება მის მიერ ოფიციალური საიდუმლოების შესახებ აქტის განხორციელებისა და ჟურნალისტების საქმიანობაზე მისი ზემოქმედების გამო (დასკვნები, doc. CCPR/CO/73/UK, 2001 წლის 6 დეკემბერი):

“... ”

21. კომიტეტი ნუსხს, რომ ოფიციალური საიდუმლოების შესახებ 1989 წლის აქტით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება ხელს უშლის ყოფილ სამეფო მოხელეებს, საზოგადოებას გააცნონ მისთვის რეალურად საინტერესო საკითხები, და ჟურნალისტებს ასეთი საკითხების გამოქვეყნების საშუალებას არ აძლევს.

მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ძალაუფლება, რომელიც მას ეროვნულ საიდუმლოებასთან რეალურად დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის მიზნით აქვს, ვინაობა იქნეს გამოყენებული და შემოიფარგლოს იმ შემთხვევებით, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნების ალკვეთა აუცილებელია.”

43. საქმეზე კლოდ რეიესი და სხვები ჩილეს წინააღმდეგ, რომელიც ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ განიხილა (2006 წლის 19 სექტემბერი, სერია C 151), ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა კომისიამ განაცხადა:

“58. ... სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ინფორმაციის გამჟღავნება ძალზე დიდ როლს ასრულებს დემოკრატიულ საზოგადოებაში, რამეთუ იგი

სამოქალაქო საზოგადოებას საშუალებას აძლევს, გააკონტროლოს მთავრობის საქმიანობა, რომელსაც მან საკუთარი ინტერესების დაცვა მიანდო. ...”

ინტერამერიკულმა სასამართლომ შემდეგი დასკვნა გააკეთა:

“84. ... ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მრავალ რეზოლუციაში აღნიშნა, რომ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანესი პირობაა დემოკრატიის განხორციელებისთვის, მეტი გამჭვირვალებისა და ანგარიშვალდებულებული საჯარო ადმინისტრაციის არსებობისთვის, ხოლო, დემოკრატიულ სისტემებში, რომლებიც წარმომადგენლობისა და მონაწილეობის პრინციპებზეა დაფუძნებული, მოქალაქეები თავიანთ კონსტიტუციურ უფლებებს ახორციელებენ გამომხატვის ფართო თავისუფლებისა და ინფორმაციაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის მეშვეობით.

...

86. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს მოქმედებები საჯარო ადმინისტრირებისას უნდა რეგულირდებოდეს გამჟღავნებისა და გამჭვირვალების პრინციპებით, რაც მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ყველა პირს საშუალებას მისცემს დემოკრატიული კონტროლის განახორციელოს ამ მოქმედებებზე, რათა საზოგადოებას შეეძლოს მოიკვლიოს, გამოიძიოს და განიხილოს, თუ რამდენად ადეკვატურად სრულდება საჯარო ფუნქციები. ...

87. საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით საზოგადოების მიერ დემოკრატიული კონტროლის განხორციელება გამჭვირვალებას განამტკიცებს სახელმწიფოს საქმიანობის სფეროებში და ხელს უწყობს სახელმწიფო თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულებას მათი საჯარო საქმიანობის მიმართ. ...”

ბ. შედარებითი სამართალი და პრაქტიკა

44. 1551(2007) რეზოლუციის (იხ. ზემოთ, პუნქტი 40) მომხსენებელმა, ბატონმა ქრისტოს პურგურიდესმა, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შედარებითი კვლევა განახორციელა. თავის მოხსენებაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზოგიერთი ტიპის კლასიფიცირებული ინფორმაციის გამჟღავნება დასჯადი ქმედებაა ყველა ქვეყანაში, მაგრამ საკმაოდ დიდია განსხვავება მიდგომებს შორის. მოხსენებაში აგრეთვე მითითებულია კლასიფიცირებისთვის გამოყენებულ მეთოდებზე. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ამონარიდი მოხსენებიდან:

“ზოგადად თუ ვიტყვით, შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი მიდგომა: პირველი შეიცავს ოფიციალური ან სახელმწიფო საიდუმლოების (ან მისი ეკვივალენტის) ცნების მოკლე და ზოგად განსაზღვრას, რომელიც, სავარაუდოდ, თითოეული საქმის საფუძველზე კიდევ უფრო ივსება. მეორე კლასიფიცირებული ინფორმაციის დეტალური და გრძელი ნუსხა. მესამე მიდგომა არის პირველი და მეორე მიდგომების კომბინაცია, რომელიც განსაზღვრავს ძირითად სფეროებს, რომლებშიც ხდება ინფორმაციის დასაიდუმლოება, ხოლო შემდეგ, შემდგომი ადმინისტრაციული ან სამთავრობო დეკრეტებით, კონკრეტულად განისაზღვრება, რა ტიპის ინფორმაცია უნდა მიეკუთვნოს საიდუმლო კატეგორიას.

...

59. სახელმწიფოების კანონმდებლობათა შორის, რა თქმა უნდა, მრავალი სხვა განსხვავებაცაა, რომლებზედაც მე არ შეეჩერდები. ზოგ სახელმწიფოში (მაგალითად, ავსტრიასა და გერმანიაში) 'ოფიციალური საიდუმლოება' და 'სახელმწიფო საიდუმლოება' ერთმანეთისაგან განსხვავდება, რომელთა დარღვევისთვის უფრო მკაცრი სანქციებია დაწესებული. სახელმწიფოთა უმრავლესობას დადგენილი აქვს სხვადასხვა ხარისხის საიდუმლოება (კლასიფიცირებული ან შეზღუდული მოხმარებისთვის, საიდუმლო, სრულიად საიდუმლო და ა.შ.). ასევე განსხვავებულია გათვალისწინებულ სასჯელთა სიმკაცრე, რომლებიც ნაკლებ სერიოზულ შემთხვევებში შეიძლება ჯარიმით შემოიფარგლოს. ზოგიერთ ნორმატიულ აქტში საჯარო მოხელეებსა და ჩვეულებრივ მოქალაქეებს განსხვავებული პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული. ზოგი მათგანი მკაფიოდ აწესებს სასჯელს გულგრილობით გამოწვეული დარღვევისთვის, ხოლო ზოგი მათგანი სასჯელს მხოლოდ დანაშაულის შემთხვევაში ითვალისწინებს. ჩვენი კონკრეტული მიზნისთვის ამ განსხვავებებს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

68. საბოლოოდ ვხედავთ, რომ თითოეული ეს საკანონმდებლო მიდგომა საშუალებას იძლევა სამართლიანად გადაიჭრას რთული ამოცანა, რომელიც ითვალისწინებს, წინასწარ განისაზღვროს ინფორმაციის სახეები, რომელთა დაცვის მიმართაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი აქვს, თუმცა ინფორმაციის თავისუფლების დაცვა და სამართლებრივი კონტროლის მექანიზმების უზრუნველყოფა მაინც აუცილებელია. მაგრამ ნებისმიერი ადმინისტრაციული თუ სამთავრობო დეკრეტი, რომელიც უფრო ზოგადად ჩამოყალიბებულ საკანონმდებლო აქტს აძლევს შინაარსს, სულ მცირე, საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამასთანავე, ფხიზელი და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სასამართლოს და დამოუკიდებელი მასმედიის არარსებობის შემთხვევაში, რომლებიც მზად არიან გამოავლინონ ძალაუფლების გადაამეტების ნებისმიერი შემთხვევა, უფლებამოსილების გადაამეტება ყველა შესწავლილი საკანონმდებლო სქემის ფარგლებში შეიძლება მოხდეს.”

სამართალი

კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

45. განმცხადებელი ჩიოდა, რომ “საიდუმლო ოფიციალური მოსაზრებების” გამოქვეყნების გამო მისი მსჯავრდებით დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლების უფლება კონვენციის მე-10 მუხლის მნიშვნელობით. მე-10 მუხლი აცხადებს:

“1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიკალური მანუვრებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შენაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ნებსებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის, უნესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.”

ა. ჰქონდა თუ არა ადგილი ჩარევას

46. პალატამ მიიჩნია, და ეს საკითხი სადავო არ ყოფილა, რომ განმცხადებლის მსჯავრდება მისი გამოხატვის თავისუფლებაში “ჩარევის” ტოლფასი იყო.

47. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს ამ საკითხთან დაკავშირებით პალატის მიერ მიღებული დასკვნებიდან გადახვევისთვის.

ბ. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

48. ასეთი ჩარევა დაარღვევდა მე-10 მუხლს, თუ ის არ დააკმაყოფილებდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა ჩარევა “კანონით გათვალისწინებული”, ემსახურებოდა თუ არა იგი მე-2 პუნქტში მითითებულ ერთ ან რამდენიმე კანონიერ მიზანს და იყო თუ არა იგი “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში” ამ მიზნების მისაღწევად.

1. “კანონით გათვალისწინებული”

49. პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მსჯავრდება დაეფუძნა სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლს (იხ. ზემოთ, პუნქტი 35).

50. მხარეებს ეს დასკვნა არ გაუპროტესტებიათ. სასამართლო თავის მხრივ რაიმე მიზეზს ვერ ხედავს სხვა პოზიციის დასაკავებლად.

2. კანონიერი მიზნები

ა. პალატის გადაწყვეტილება

51. სასამართლომ უბრალოდ შენიშნა, რომ მხარეები დათანხმდნენ, რომ სადავო ზომა მიზნად ისახავდა “კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების” თავიდან აცილებას. შესაბამისად, მას საჭიროდ არ მიაჩნია შეისწავლოს, განმცხადებლისთვის დაკისრებული ჯარიმა ემსახურებოდა თუ არა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ რომელიმე მიზანს.

ბ. მხარეთა მოსაზრებები

52. განმცხადებელი დაეთანხმა, რომ "კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების" თავიდან აცილება ერთ-ერთი საფუძველი იყო, რომელიც მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებებში ჩაიყვანა ამართლებდა. თუმცა მან არ გაიზიარა მოპასუხე მთავრობის მოსაზრება, რომ დოკუმენტის გამოქვეყნებამ საფრთხე შეუქმნა "ეროვნულ უშიშროებას" და "საზოგადოებრივ უსაფრთხოებას". მისი აზრით, მოხსენების გამოქვეყნება ზიანს ვერ მიაყენებდა ქვეყნის ფუნდამენტურ და სასიცოცხლო ინტერესებს. გარდა ამისა განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი არ შეიცავდა სხვათა უფლებების დაცვას და, აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ საქმეში — ელჩის რეპუტაციის დაცვას, რომელმაც მოცემული მოხსენება დაწერა. მან დასძინა, რომ შესაბამის ორგანოებს მის მიმართ ცილისწამების გამო საქმე არ აღუძრავთ, თუმცა ამის გაკეთება შეეძლოთ.

53. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლისთვის დაკისრებული ჯარიმა მიზნად ისახავდა არა მხოლოდ "კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების" თავიდან აცილებას, არამედ ასევე "ეროვნული უშიშროების" და "საზოგადოებრივი უსაფრთხოების" დაცვას, რადგან მოხსენების ავტორის კომენტარები მაღალი მგრძობიანობის პოლიტიკურ საკითხს ეხებოდა. მთავრობა იზიარებდა პრესის საბჭოს შეხედულებას იმის თაობაზე, რომ მოხსენების გამოქვეყნებას შეეძლო მისი ავტორის რეპუტაცია და საიმედოობა შეეღაზა მოლაპარაკებების პარტნიორთა თვალში ("სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვა").

ბ. სასამართლოს შეფასება

54. სასამართლო არ დაეთანხმა, რომ შეფარდებული ჯარიმა მიზნად ისახავდა "ეროვნული უშიშროების" და "საზოგადოებრივი უსაფრთხოების" დაცვას. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა მიეთითოს, რომ შიდა-სახელმწიფო ორგანოებს არ დაუწყიათ სისხლისსამართლებრივი დევნა განმცხადებლის ან მესამე მხარის მიმართ სამართალდარღვევისთვის ან დანაშაულისთვის, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ამ ინტერესებს. სიმართლეს შეესაბამება, რომ სამართალწარმოების სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლზე დაფუძნებამ შეიძლება გამოიწვიოს "ეროვნული უშიშროების" და "საზოგადოებრივი უსაფრთხოების" საკითხების ჩართვა. თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ ციურისის რაიონულმა სასამართლომ 1999 წლის 22 იანვრის განაჩენში მიუთითა, რომ საქმეში არსებობდა შემამსუბუქებელი გარემოებანი, რადგან მიიჩნია, რომ კონფიდენციალური დოკუმენტი ზიანს არ აყენებდა ქვეყნის ძლიერებას. გარდა ამისა, ეს კონცეფციები შეზღუდულად უნდა იქნეს გამოყენებული და ასევე შეზღუდულად უნდა იქნეს განმარტებული. მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც აშკარად აუცილებელია ინფორ-

მაციის გამჟღავნების აღკვეთა ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით (იხ. ზემოთ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნები, პუნქტი 42).

55. რაც შეეხება "სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვას", უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის მიმართ რაიმე სისხლის სამართლის პროცესი არ უნარმოებიათ სხვისი პატივის ხელყოფისათვის, განსაკუთრებით — შურადაცხყოფისთვის ან ცილისწამებისთვის.

56. მეორე მხრივ, სასამართლო იზიარებს მთავრობის მოსაზრებას, რომ განმცხადებლის მსჯავრდება ემსახურებოდა კონკრეტულ მიზანს, კერძოდ, "საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის" გამჟღავნების თავიდან აცილებას მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

57. სასამართლოს — მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს ეს საკითხი წარმოდგენილ საქმეში არ დაუყენებიათ — მიზანშეწონილად მიაჩნია განიხილოს განმარტების საკითხი, რომელიც გაუგებრობას იწვევს.

58. მაშინ, როცა კონვენციის ფრანგულ ვარიანტში მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი აუცილებელ ზომებს ითვალისწინებს "*pour empêcher la divulgation d'informations confidentielles*", ინგლისურ ტექსტში ზომები აუცილებელია "საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად". ეს უკანასკნელი ფორმულირება შესაძლოა ითვალისწინებდეს, რომ დებულებები ეხება მხოლოდ იმ პირს, რომელიც დაკავშირებულია საიდუმლო დოკუმენტის ავტორთან, და, შესაბამისად, იგი არ მოიცავს მესამე მხარეებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაკთა ჩათვლით.

59. სასამართლო არ ეთანხმება ისეთ განმარტებას, რომელსაც იგი ზედმეტად შემზღუდავად მიიჩნევს. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ორი ტექსტი, და, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ავთენტიკურია, მაგრამ ერთმანეთს სრულად არ შეესაბამება, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიუთითოს ვენის 1969 წლის კონვენციის ხელშეკრულებათა შესახებ კანონის 33-ე მუხლზე, რომლის მე-4 პუნქტი ასახავს საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს ორ ან მეტ ენაზე ავთენტიკური ხელშეკრულებების განმარტებასთან დაკავშირებით (იხ. *ლაგრანდის* საქმე, საერთაშორისო სასამართლო, 2001 წლის 27 ივნისი, I.C.J. Reports 2001, §101).

60. 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე "იგულისხმება, რომ ხელშეკრულების დებულებებს თითოეულ ავთენტიკურ ტექსტში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს". მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ როდესაც ავთენტიკური ტექსტების შედარებისას აღმოჩნდება, რომ არსი განსხვავებულია და გადმოცემული, მიღებული უნდა იქნეს მნიშვნელობა, რომელიც უკეთ შეესაბამება ტექსტს, ხელშეკრულების მიზნისა და საგნის გათვალისწინებით (იხ., ამ თვალსაზრისით, *სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1), 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A 30, გვ. 30, §48; და *ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1986 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 98, გვ. 31, §42).

61. სასამართლო ადასტურებს, რომ დებულებები, რომლებიც კონვენციით აღიარებულ უფლებებში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს, ვინრო

ფარგლებში უნდა განიმარტოს. მიუხედავად ამისა, ვენის კონვენციის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის შუქზე, მე-10 მუხლის შემუშავების დროს რაიმე სანინაალმდეგო მოსაზრების არარსებობის ფონზე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია ჩამოაყალიბოს განმარტება ფრაზისა "საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად", რომელიც მოიცავს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას პირის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია კონფიდენციალობის დაცვაზე, ან მესამე მხარის მიერ, კერძოდ, წარმოდგენილ საქმეში, უურნალისტის მიერ.

62. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ მთავრობას ჰქონდა უფლება მიეთითებინა "საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების" თავიდან აცილებაზე, როგორც კანონიერ მიზანზე.

3. "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში"

ა. პალატის გადაწყვეტილება

63. პალატა ითვალისწინებს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და სხვა ასპექტებს, მათ შორის, ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ინტერესს პრესის თავისუფლების უზრუნველყოფისადმი, სახელმწიფოების შეფასების ვიწრო ფარგლებს, როდესაც საქმე ეხება საზოგადოებისთვის საინტერესო ინფორმაციას, მოუკითხავი აქტივების საკითხის გაშუქებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, დასაიდუმლოების შედარებით დაბალ ხარისხს ("კონფიდენციალური") და იმ ფაქტს, რომ მოცემული დოკუმენტის გამჟღავნება, თვით შეეიცარიის სასამართლოთა შეფასებით, ზიანს ვერ მიაყენებდა ქვეყნის ძლიერებას, და მიაჩნია, რომ განმცხადებლის მსჯავრდება არ იყო გონიერულად პროპორციული მისაღწევი მიზნის მიმართ (იხ. პალატის გადაწყვეტილება, პუნქტები 44 - 59).

ბ. მხარეთა მოსაზრებები

i. განმცხადებელი

64. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ საიდუმლოების წმინდა ფორმალური ცნება, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი ეფუძნებოდა და რომელიც ფედერალურმა სასამართლომ დაადასტურა, უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა გამობატვის თავისუფლებაზე. ამ დებულების შესაბამისად, ჩინოვნიკის მიერ ნებისმიერი დოკუმენტის გამოქვეყნება, რომელიც საიდუმლოდ ან კონფიდენციალურად არის გამოცხა-

დებული, მისი შინაარსის მიუხედავად, დასჯად ქმედებად მიიჩნევა, შეფარდებული სასჯელის კონვენციის მე-10 მუხლთან შესაბამისობის განხილვის შესაძლებლობის გარეშე. განმცხადებლის აზრით, საიდუმლოების ასეთი განსაზღვრა აშკარად ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნებს.

65. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ შვეიცარიის სასამართლოებმა იგი არასწორად დასაჯეს, ვინაიდან მას დაეკისრა ჯარიმა, როგორც ჟურნალისტს, რომელმაც მოხსენება მოიპოვა სახელმწიფოს წარმომადგენლის მხრიდან ინფორმაციის გაჟონვის შედეგად, რომელსაც ამ საქმეში სისხლისსამართლებრივი დევნისგან იმუნიტეტი იცავდა.

66. გარდა ამისა, განმცხადებელს მიაჩნდა, რომ შესაბამისი ორგანოები სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლს ყოველთვის შერჩევითი მიდგომით იყენებდნენ, რაც მიზნად ისახავდა სახელმწიფო თანამდებობის პირთა ან მის წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილებას, ან სახელმწიფო ადმინისტრაციაში არსებული პრობლემების გამჟღავნების აღკვეთას. 2006 წლის 1 ივლისიდან, როდესაც მიიღეს აქტი ფედერალური ადმინისტრაციის გამჭვირვალების შესახებ, მოცემული დებულება ანაქრონიზმად იქცა (იხ. ზემოთ, პუნქტი 37).

67. განმცხადებლის აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი უნდა გაუქმდეს, რადგან განსაკუთრებით დელიკატური ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის (სამხედრო ვალდებულების დარღვევის პროვოცირება ან წაქეზება) საფუძველზე ან სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლის (შპიონაჟი და ლალატი სამხედრო საიდუმლოების გათქმის გამო) და 106-ე მუხლის (სამხედრო საიდუმლოების გათქმა) საფუძველზე. და ბოლოს, ჟურნალისტებს სასჯელი აგრეთვე შეიძლება შეეფარდოთ სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე და 320-ე მუხლების საფუძველზე, ოფიციალური საიდუმლოების გათქმის გამო.

68. განმცხადებელს საეჭვოდ არ გაუხდია პრინციპი, რომელიც დიპლომატიური კორპუსის საქმიანობის დაცვას ითვალისწინებს. თუმცა მას სახიფათოდ მიაჩნია დიპლომატიური კორპუსის წევრებისთვის აბსოლუტური იმუნიტეტის მინიჭება ყველა სახის ინფორმაციასთან მიმართებით. მან მიუთითა სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის საფუძველზე წარმოებულ პროცესებზე, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს შვეიცარიაში ჟურნალისტების წინააღმდეგ. მათ ბრალად ედებათ შვეიცარიის საიდუმლო სამსახურებისაგან ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც ევროპაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საპატიმრო ცენტრების არსებობას ეხება.

69. განმცხადებლის აზრით, მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო საიდუმლოებას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, მე-10 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. ეს ნამდვილად არ იქნა გათვალისწინებული ამ საქმეში. მისი აზრით, საეჭვო იყო, შეეძლო თუ არა დოკუმენტს გამოემჟღავნებინა სახელმწიფო საიდუმლოება, რომელიც ზიანს მიაყენებდა "ეროვნულ უშიშ-

რობას" და "საზოგადოებრივ უსაფრთხოებას" შვეიცარიაში. ორ სტატიამი გამოხატული შეხედულებები ძალზე ზოგადი ხასიათის იყო, რაც ებრაულ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებზე შვეიცარიის დელეგაციის პოზიციას ვერ შეასუსტებდა.

70. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ მოხსენების გამჟღავნებით გავივიდა სასარგებლო დებატები, კერძოდ, იყო თუ არა ბ-ნი იაგმეტი შესაფერისი პიროვნება, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებში. გარდა ამისა, მოხსენების გამოქვეყნება გახდა საბაბი მომდევნო დღეს ელჩის გადადგომისა. სტატიის გამოქვეყნებამ აშკარად შეუწყო ხელი მოუკითხავი აქტივების დელიკატურ საკითხზე შვეიცარიის ხელისუფლების მიერ უფრო ფრთხილი მიდგომის შემუშავებას. იმავედროულად, მან უჩვენა, რომ შვეიცარიის ხელისუფლებას იმ ეტაპზე არ ჰქონდა ჩამოყალიბებული მკაფიო და თანმიმდევრული პოზიცია მოცემულ საკითხში შვეიცარიის პასუხისმგებლობის შესახებ და არ ჰქონდა მიღებული დეტალური სტრატეგია საკითხიდან წარმომობილი პრეტენზიების მოსაგვარებლად.

71. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ მოუკითხავ აქტივებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების მნიშვნელობიდან და ბუნებიდან გამომდინარე, საზოგადოება დაინტერესებული იყო მეტი ინფორმაცია მიეღო იმის შესახებ, თუ როგორ აპირებდნენ საგარეო საქმეთა დეპარტამენტის შესაბამისი მუშაკები მოლაპარაკებათა წარმართვას, რომლებიც მიზნად ისახავდა შვეიცარიის ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების წინააღმდეგ მიმართულ საჩივრებზე შეთანხმების მიღწევას. ამ თვალსაზრისით განმცხადებელს მიაჩნდა, რომ ბ-ნი იაგმეტის დამოკიდებულება და შეხედულებები, რომელიც, მისი აზრით, ძირითად როლს ასრულებდა მოუკითხავი აქტივების საქმეში, მრავალ ასპექტს გამოამზეურებდა.

72. ჟურნალისტთა ეთიკურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით განმცხადებელს არ უარუყვია, რომ შესაძლებელი იყო სტატიების უფრო დაბალანსებული ფორმით წარმოდგენა. თუმცა მან მიუთითა, რომ მას სტატიების დასაწერად დიდი დრო არ ჰქონდა და ამასთანავე უნდა დაეცვა გარკვეული მოთხოვნები ფორმატთან მიმართებით. ამიტომ მან გადაწყვიტა მეტი კონცენტრირება მოეხდინა იმ ფორმაზე, რომლითაც ელჩი თავის შეხედულებებს გამოხატავდა და არა მოხსენების შინაარსზე. გარდა ამისა, ეს ზუსტად შეესაბამებოდა კომენტარებს, რომლებიც გაზეთის რედაქტორმა იმავე ნომერში გამოაქვეყნა.

73. მიუხედავად იმისა, რომ სტატიები შოკისმომგვრელი აღმოჩნდა, კონკრეტულ სამიზნეს წარმოადგენდა ბ-ნი იაგმეტის მიერ თავის მოხსენებაში გამოყენებული ენა, რომელიც, განმცხადებლის აზრით, არ შეეფერებოდა შვეიცარიის კონფედერაციის მაღალი თანამდებობის პირს და ნაკლებად შეესაბამებოდა შვეიცარიის ოფიციალურ საგარეო პოლიტიკას.

74. გარდა ამისა, განმცხადებელი მნიშვნელოვნად მიიჩნევდა წარმოეჩინა პრესის საბჭოს ბუნება და ფუნქციები, რომელიც ჟურნალისტთა ოთხი ასოციაციის მიერ შექმნილი კერძო სამართლის ორგანოა. იგი მიზნად ისახავს მასობრივი ინფორმაციის სფეროში მომუშავე პირთა ზედა-

მხედველობას მათ მიერ ეთიკური სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით, რომლებიც საბჭოს მიერაა შემუშავებული. პრესის საბჭოს გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებამოსილება არა აქვს და ამიტომ მის მიერ გაკეთებული ნებისმიერი უარყოფითი დასკვნა სასამართლოებისთვის სავალდებულო არ არის.

75. განმცხადებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული, რომლის საფუძველზედაც მას ჯარიმა დაეკისრა, “მცირე მნიშვნელობის” დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, იგი მაინც ითვალისწინებდა სასჯელს პატიმრობის სახით. მიუხედავად იმისა, რომ შეფარდებული ჯარიმა მცირე ოდენობისაა, იგი ზიანს აყენებს მისი, როგორც ყურნალისტის, რეპუტაციას და შესაძლოა მომავალში ხელი შეუშალოს მაკონტროლებლის როლის შესრულებაში, რომელიც პრესას დემოკრატიულ საზოგადოებაში ეკისრება.

ii. მთავრობა

76. მთავრობის მოსაზრებებში მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების ფარგლებთან მიმართებით გადამწყვეტ ფაქტორებად მითითებული იყო შემდეგი: პოლიტიკური კონტექსტი; ის ფაქტი, რომ მოცემული დოკუმენტის ავტორი იყო თანამდებობის პირი, რომელიც ვარაუდობდა, რომ დოკუმენტი საუდუმლოდ დარჩებოდა; ფორმა, რომლითაც მოხსენება გამოქვეყნდა; განმცხადებლის მოტივები ამ უკანასკნელის მიმართ; და შეფარდებული სასჯელის ბუნება და სიმკაცრე.

77. ასევე გასათვალისწინებელია, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოებმა გულდასმით შეისწავლეს ეს დელიკატური და მგრძობიარე საქმე და რომ ფედერალურმა სასამართლომ მოსმენების საფუძველზე ორი გადანყვეტილება მიიღო, მათ შორის, გაუქმების საფუძველზე აპელაციის გადანყვეტილება, რომელიც ფედერალური სასამართლოს მოხსენებათა კრებულში (BGE 126 IV 236-დან 255-მდე) გამოქვეყნდა. ხელისუფლების შეფასების ფარგლების განხილვისას ყურადღება ასევე უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ საკითხი შიდასახელმწიფო დონეზე სიღრმისეულად იქნა შესწავლილი. ასეთი განხილვა აუცილებელი იყო სუბსიდიურობის პრინციპის მოქმედებისთვის. ეს არის ფაქტი, რომელმაც სასამართლოს შეზღუდვისკენ უნდა მიუთითოს.

78. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი ორგანოების შეფასების ფარგლების განსაზღვრისას გადამწყვეტი ფაქტორია არა კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის ავტორის პოზიციის ბუნება და მნიშვნელობა, არამედ ის, თუ რამდენად შეგნებულად დაექვემდებარა მოცემული პირი მისი ყველა სიტყვისა თუ ქმედების დეტალურ შესწავლას, როგორც ამას პოლიტიკოსების შემთხვევაში აქვს ადგილი. წარმოდგენილ საქმეში ნათელი იყო, რომ, ელჩი იაგმეტი სრულიად საფუძვლიანად ვარაუდობდა, რომ მისი მოხსენების კონფიდენციალობა დაცული იქნებოდა.

79. მთავრობამ ასევე მიუთითა, რომ 1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენციაში დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, კერძოდ მის 24-

— 27-ე მუხლებში, ყველა დიპლომატიური მიმონერის კონფიდენციალობის დაცვა განსაზღვრულია, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის აბსოლუტური პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია მისი მუხლების დარღვევისთვის რაიმე სისხლის სამართლის სასჯელს არ ითვალისწინებს, *pacta sunt servanda* (ხელშეკრულება დაცული უნდა იქნეს, *მთარგმნელის შენიშვნა*) პრინციპი და უკანონო ქმედებებთან დაკავშირებული სახელმწიფოთა საერთაშორისო ვალდებულებების წესები გულისხმობს, რომ 1961 წლის ვენის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა ამ დოკუმენტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეასრულონ.

80. მთავრობის აზრით, განმცხადებელმა თავის ორ სტატიაში მხოლოდ “გარიგების” საკითხი გააშუქა. ასეთი სახის მოლაპარაკებებისთვის, მეგობრულ გარიგებაზე ორიენტირებული ნებისმიერი მოლაპარაკების მსგავსად, აუცილებელი იყო მისი კონფიდენციალურ გარემოში მომზადების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, განმცხადებლის სტატიები გამოქვეყნდა ელჩის მიერ დოკუმენტის დაწერიდან ხუთი კვირის შემდეგ, როდესაც მხარეებს შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებული იყო.

81. ელჩმა კომენტარები გააკეთა მაღალი პოლიტიკური მგრძობელობის ფონზე. მათი გამჟღავნებით შეირყა შვეიცარიის პოზიცია და საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მოლაპარაკებები მოუკითხავი აქტივების საკითხზე, რომლებშიც იგი იმ დროს იყო ჩართული.

82. იაგმეტის მოხსენება განსაკუთრებით დელიკატურ დროს გამოქვეყნდა. განმცხადებელმა მიკერძოებული და არასრული სახით გაამჟღავნა ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი არჩევანი, რომელსაც ფედერალურ საბჭოს და სამუშაო ჯგუფს სთავაზობდნენ. გამოქვეყნების დროს დოკუმენტის დაწერიდან უკვე ერთი თვე იყო გასული და იმ მომენტში დაწყებული იყო მოლაპარაკებები პოლოკოსტის მსხვერპლთა ფონდის შექმნის შესახებ. აქედან გამომდინარე, დოკუმენტის გამოქვეყნებას შეეძლო სერიოზული ზიანი მიეყენებინა ქვეყნის ინტერესებისათვის.

83. მთავრობის აზრით, განმცხადებლის მიზანი — რომელიც სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსს “ჩვეულებრივად” მიიჩნევს — არ იყო საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხზე დებატების ხელშეწყობა. იგი, უპირველეს ყოვლისა, ისწრაფოდა სენსაციისკენ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პირადად ელჩ იაგმეტიზე იქნებოდა ფოკუსირებული. აქედან გამომდინარე, შიდასახელმწიფო სასამართლოებმა არ გაიზიარეს საფუძველების არსებობა — რომლებიც კანონით არ იყო გათვალისწინებული — რომლებიც გაამართლებდა გამჟღავნებას, სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის დარღვევით, “კანონიერი ინტერესების დაცვის” საფუძველზე.

84. მთავრობამ აღნიშნა, რომ *სონტაგს-ცაიტუნგის* რედაქტორებმა თავად აღიარეს, რომ უმჯობესი იყო დოკუმენტის სრულად გამოქვეყნება, მაგრამ მიუთითეს, რომ ტექნიკური მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა. ამ არგუმენტს პრესის საბჭომ “ილუზორული” უწოდა. მთავრობის აზრით, პალატამ საკმარისი სიცხადით არ ახსნა, თუ რატომ არ მიესადაგებოდა წარმოდგენილ საქმეს მთლიანად გამოქვეყნების პრინციპი, რომლის მნიშვნე-

ლობა და ღირებულება მტკიცედაა დამკვიდრებული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.

85. გარდა ამისა, კონტექსტიდან მონყვევით დოკუმენტის მხოლოდ გარკვეული ამონარიდების გამოქვეყნებით გამოწვეული ეფექტი განმცხადებლის სტატიების ტონმა და მათი წარმოდგენის ფორმამ კიდევ უფრო გაამძაფრა. პრესის საბჭომ განაცხადა, რომ “გაზეთმა ამ საქმისგან განზრახ შექმნა შოკის და სკანდალის ეფექტი, რადგან სტატია გამოქვეყნდა სათაურით ‘ელჩი იაგმეტი შეურაცხყოფს ებრალებს’. მან შეცდომაში შეიყვანა მკითხველი, თითქოსდა კომენტარები წინა დღით იყო გაკეთებული”. განმცხადებლის, როგორც ჟურნალისტის მოვალეობა და პასუხისმგებლობა, გულისხმობს, რომ მას მკითხველისთვის უნდა ეცნობებინა, რომ დოკუმენტი ხუთი კვირით ადრე იყო დაწერილი.

86. მთავრობას ასევე ნიშანდობლივად მიაჩნია, რომ პრესის საბჭომ, რომელიც პრესის მიერ შექმნილი კერძო დამოუკიდებელი ორგანოა, განმცხადებელი გააკრიტიკა პროფესიონალიზმის ნაკლებობისთვის და მოქმედებებისთვის, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა “დეკლარაციას ჟურნალისტთა უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ”. გარდა ამისა, სხვა გაზეთები გაემიჯნენ განმცხადებლის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებს, როგორც ფორმალური თვალსაზრისით — სტრატეგიული დოკუმენტის პრაქტიკულად სრული ტექსტის გამოქვეყნებით, ისე არსებით ჭრილში, რადგან ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ კონფიდენციალური დოკუმენტის გამოქვეყნებას.

87. შეფარებული სასჯელის ბუნებასა და სიმკაცრესთან დაკავშირებით მთავრობამ აღნიშნა, რომ პალატის დასკვნა, რომ, თუმცა სამართალდარღვევა იყო ნაკლებმნიშვნელოვანი, ხოლო ჯარიმა — მცირე (800 შვეიცარიული ფრანკი), საქმე ეხებოდა არა სასჯელის სიმსუბუქეს, არამედ იმ ფაქტს, რომ განმცხადებელს საერთოდ დაედო მსჯავრი. მთავრობის აზრით, ამ ორი ელემენტის ერთმანეთთან შეთანხმება ძნელია.

ბ. პროცესში ჩართულ მესამე მხარეთა მოსაზრებები

i. საფრანგეთის მთავრობა

88. საფრანგეთის მთავრობამ გაიზიარა შვეიცარიის მთავრობის შეხედულება და გაკვირვება გამოხატა, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი პოლიტიკოსებთან დაკავშირებით, რომელიც დასაბუთებულია ამ უკანასკნელთა სურვილით, მიიღონ კრიტიკა პრესის მხრიდან, შეიძლებოდა გავრცელებულიყო ოფიციალურად შემუშავებულ კონფიდენციალურ მოხსენებაზე. მან მიიჩნია, რომ ელჩები უცილობლად და შეგნებულად არ უქვემდებარებენ მათ მიერ ნათქვამ ყოველ სიტყვას ან ქმედებას ჟურნალისტებისა თუ მოსახლეობის ფართო ფენების სკურპულოზურ შემომხედებას, რაც კიდევ უფრო ნაკლებია კონფიდენციალურ მოხსენებათა კონტექსტში.

89. მან გაიზიარა პალატის უმცირესობის აზრი, რომ არ არსებობს ქვეყანა, სადაც დიპლომატიური ხასიათის მოხსენებები კონფიდენციალური არ იყოს. მან ასევე აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ მყოფ ელჩებს საშუალება უნდა ჰქონდეთ დაუკავშირდნენ თავიანთ მთავრობას და თავისუფლად და შეუზღუდავად გამოხატონ საკუთარი შეხედულებები, საკუთარი ხელისუფლების ორგანოებთან "დიპლომატიური ენის" გამოყენების გარეშე, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის ურთიერთობისთვის.

90. გარდა ამისა, თუ პალატის გადაწყვეტილებაში მითითებულ მიდგომას დავიცავთ და დიპლომატებს ექნებათ შიში, რომ მათ მიერ მთავრობისადმი მიწერილ მემორანდუმებს გაზეთებში გამოქვეყნებულს იხილავენ, ისინი ალბათ თავიანთი კომუნიკაციის ან არსებით მხარეს შეზღუდავენ, ან მის ფორმას; ეს უცილობლად დაამახინჯებს სახელმწიფოთა მიერ ამ არხებით მიღებულ ინფორმაციას და, აქედან გამომდინარე, გეზს შეუცვლის მათი საგარეო პოლიტიკის ხარისხსა და რელევანტობას. ამრიგად, საფრანგეთის მთავრობის აზრით, ასეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნება უდავოდ მიაყენებს ზიანს საზღვარგარეთ მყოფი დიპლომატების რეპუტაციას, ხოლო ამის შედეგად, უარყოფითად იმოქმედებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზე.

91. საფრანგეთის მთავრობა ვერ დაარწმუნა პალატის არგუმენტმა, რომ საკითხი, არის თუ არა იგი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე, "მოცემული საკითხის მასშედიანში გაშუქების" კონტექსტში უნდა შეფასდეს (იხ. პალატის გადაწყვეტილება, პუნქტი 49). მისი აზრით, ამ არგუმენტს ორი ხარვეზი აქვს. პირველი, ეს შესაძლოა ნიშნავდეს, რომ პრესამ, საკითხის გაშუქების მეშვეობით, თავად შეიძლება განსაზღვროს საკუთარი გამოხატვის თავისუფლების საზღვრები; მეორე, ელჩების მიერ თავიანთი მთავრობებისთვის გაგზავნილ მოხსენებებში ძალზე ცოტაა ისეთი, რომელიც საზოგადოების ინტერესს არ ინევეს.

92. საფრანგეთის მთავრობის აზრით, პალატამ მოცემულ საქმეში მკაფიოდ დაადგინა, რომ ჟურნალისტური ეთიკის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იყო, როგორც ამას პრესის საბჭო აღნიშნავდა, მაგრამ ამის საფუძველზე სათანადო დასკვნები არ გაუკეთებია.

93. საფრანგეთის მთავრობა აღნიშნავდა, რომ დასაბუთება, რომელსაც პალატის დადგენილება დაეფუძნა, ფუჭს ხდის ჩარევის პროპორციულობის გამოკვლევას. ეს კიდევ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებს, რადგან სახელმწიფოთა სწრაფვა — დაიცვან გარკვეულ დოკუმენტთა კონფიდენციალობა, განსაკუთრებით დიპლომატიური დოკუმენტებისა, მიმართულია არა კერძო პირთა ინტერესების დაცვისაკენ, არამედ სახელმწიფოს ფართო ინტერესებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ჰარმონიის დაცვისაკენ.

ii. სლოვაკეთის მთავრობა

94. სლოვაკეთის მთავრობის აზრით, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ასევე მოიცავს "კონფიდენციალურ" ინფორმაციას და, აქედან გამომდინარე,

უფრო ნაკლები ხარისხით — სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განსაზღვრულ კონფიდენციალობას.

95. სლოვაკეთის მთავრობამ მიიჩნია, რომ არც ერთი სამართლებრივი სისტემა ჟურნალისტებს დიპლომატიურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობას არ უწესებს. აქედან გამომდინარე, დოკუმენტის მოპოვებაზე უარის თქმა არ შეიძლება გაუტოლდეს მე-10 მუხლის დარღვევას.

96. მან ასევე აღნიშნა, რომ დიპლომატიური კორესპონდენცია დიპლომატიურ სამსახურებს საერთაშორისო ურთიერთობებში ან სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის გაცემის საშუალებას აძლევს, რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთანაა დაკავშირებული.

97. მან არ გაიზიარა პალატის დასკვნა, რომ კონფიდენციალური დოკუმენტის გამოქვეყნება შეიძლება, თუ იგი ზიანს არ აყენებს "ეროვნულ უშიშროებას" და "საზოგადოებრივ უსაფრთხოებას", ან ძირს არ უთხრის ქვეყნის ძლიერებას.

98. სლოვაკეთის მთავრობამ მიიჩნია, რომ განმცხადებელმა დოკუმენტის მხოლოდ ნაწყვეტები გამოაქვეყნა, სადაც ელჩი საკუთარ შეხედულებებს არანეიტრალური ტერმინებით გამოხატავდა, რითაც სტატიებმა მოკისმომგვრელი და სენსაციური სახე მიიღო.

99. სლოვაკეთის მთავრობის აზრით, განმცხადებელი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მან კონფიდენციალური დოკუმენტის ასლი მოიპოვა მესამე მხარის მიერ ოფიციალური საიდუმლოების დარღვევის გზით.

100. მან მიიჩნია, რომ პალატის მიერ დადგენილი ჟურნალისტური წესების დარღვევა დიდმა პალატამ უფრო დეტალურად უნდა შეისწავლოს. გარდა ამისა, პალატის გადაწყვეტილებამ, რომელშიც ამ წესების დარღვევა არაადეკვატურად იყო განხილული, გამოხატვის თავისუფლების საზღვრები ძალზე გააფართოვა, რამაც მომავალში შესაძლოა საკმაოდ უარყოფითი ასახვა ჰპოვოს.

დ. სასამართლოს შეფასება

i. სასამართლოს მიერ შემუშავებული პრინციპები

101. მთავარი საკითხი, რომელიც უნდა განისაზღვროს, არის ის, თუ რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა "დემოკრატიულ საზოგადოებაში". სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ეს ფუნდამენტური პრინციპები კარგად არის შემუშავებული და დასკვნის სახით შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული (იხ., მაგალითად, *პერტელი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1998 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1998-VI, გვ. 2329 და შემდგომი გვერდები, §46; და *სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 68416/01, §87, ECHR 2005-II):

"(i) გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი და მისი განვითარებისა და თითოეული ინდივიდის

თვითრელიზების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. იგი ექვემდებარება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს და მიესადაგება არა მხოლოდ "ინფორმაციას" ან "შეხედულებებს", რომლებიც მიღებულია კეთილი ნებით ან მიჩნეულია უვნებლად ან ნეიტრალურად, არამედ, აგრეთვე ისეთ ინფორმაციას თუ შეხედულებებს, რომლებიც ინვევენ წყნას, შოკს ან განბილებას. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და მასშტაბური აზროვნების მოთხოვნა, რომლის გარეშეც "დემოკრატიული საზოგადოება" ვერ იარსებებს. ეს თავისუფლება ექვემდებარება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ გამონაკლისებს, რომლებიც განსაკუთრებული სიზუსტით უნდა დადგინდეს. ნებისმიერი შეზღუდვის საჭიროება დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს...

(ii) ზედსართავი სახელი "აუცილებელი", მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით, "მწვავე სოციალურ საჭიროებას" მოიცავს. ხელშემკერდ სახელმწიფოებს აქვთ ვარკვეული შეფასების ზღვარი, რომელსაც ისინი ასეთი საჭიროების არსებობის დასადაგენად იყენებენ, მაგრამ იგი ევროპულ ზედამხედველობასთან ერთად ხორციელდება და მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ისე მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას, იმ გადაწყვეტილებების ჩათვლით, რომლებსაც დამოუკიდებელი სასამართლო იღებს. აქედან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს განჩინება, იყო თუ არა "შეზღუდვა" გამოხატვის თავისუფლების შესაბამისი, როგორც ეს მე-10 მუხლითაა დაცული.

(iii). თავისი საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელებისას სასამართლოს ამოცანაა არა კომპეტენტური ეროვნული ორგანოების შეცვლა, არამედ მათ მიერ მე-10 მუხლის საფუძველზე მიღებული დადგენილებების განხილვა მათთვის მინიჭებული შეფასების ფარგლების გათვალისწინებით. სასამართლომ უნდა შეინახოს სადავო ჩარევა მთელი საქმის ფონზე, განმცხადებლის სანინააღმდეგოდ გამოთქმული კომენტარებისა და მათი კონტექსტის ჩათვლით. ეს არ ნიშნავს, რომ ზედამხედველობა შემოიფარგლება მხოლოდ იმის დადგენით, თუ რამდენად გონივრულად, გულდასმით და პატიოსნად განახორციელა მოპასუხე სახელმწიფომ მისი დისკრეციული უფლება; სასამართლომ სადავო ჩარევა უნდა განიხილოს მთელი საქმის შუქზე და უნდა დაადგინოს, იყო თუ არა მოცემული ჩარევა "მისაღწევი კანონიერი მიზნის პროპორციული" და, იყო თუ არა მის გასამართლებლად ეროვნული ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები "რეგულაციური და საკმარისი" ... ამის განხორციელებისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიყენა სტანდარტები, რომლებიც შეესაბამება მე-10 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს, ასევე იმაში, თუ რამდენად დაეყრდნო იგი შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას ..."

102. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ ყველა პირს, ჟურნალისტთა ჩათვლით, ვინც ახორციელებს გამოხატვის თავისუფლებას, ეკისრება გარკვეული "მოვალეობები და პასუხისმგებლობები", რომელთა ფარგლები დამოკიდებულია მათ სიტუაციაზე და მათ მიერ გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებებზე (იხ., მაგალითად, *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A 24, გვ. 23, §49). ამრიგად, დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის განსაკუთრებული როლის მიუხედავად, ჟურნალისტები, პრინციპში, ვერ განთავისუფლდებიან ჩვეულებრივი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მათ-

ვის მე-10 მუხლით მინიჭებული დაცვის საფუძველზე. გარდა ამისა, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი გამოხატვის თავისუფლებას არ უზრუნველყოფს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, თვით საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხების პრესაში გაშუქების თვალსაზრისითაც (იხ., მაგალითად, *ბლადეტ ტრომსო და სტენსაასი ნორვეგიის წინააღმდეგ* [GC], 21980, §65, ECHR 1999-III; და *მონა შვეიცარიის წინააღმდეგ*, 73604/01, §66, ECHR 2006-...).

103. ამრიგად, საზოგადოების საერთო ინტერესებში შემავალი საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებული გარანტიები, რომლებსაც მე-10 მუხლი ჟურნალისტებს ანიჭებს, ექვემდებარება მოთხოვნას, რომ ისინი უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და ზუსტი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, და აწვდიდნენ "საიმედო და ზუსტ" ინფორმაციას ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად (იხ., მაგალითად, საქმე ფრესოზი და რუარი საფრანგეთის წინააღმდეგ [GC], §29183/95, §54, ECHR 1999 I; მონას საქმე, ციტ. ზემოთ, §67; და პედერსენი და ბაადსგაარდი დანიის წინააღმდეგ [GC], §49017/99, §78, ECHR 2004 XI).

104. ეს შეხედულებები განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, თანამედროვე საზოგადოებაზე მასმედიის ზემოქმედების გათვალისწინებით: იგი დღეს არა მხოლოდ ინფორმაციას ავრცელებს, არამედ აგრეთვე მის მიერ ინფორმაციის მიწოდების ფორმების მეშვეობით შეუძლია ინფორმაციის მიმღებს შესთავაზოს, თუ როგორ შეაფასოს იგი. მსოფლიოში, სადაც ადამიანი უზღვევ ინფორმაციას იღებს ტრადიციული თუ ელექტრონული მასმედიის საშუალებებით და ამ სფეროში ჩართულ სუბიექტთა რაოდენობა მუდმივად იზრდება, ჟურნალისტურ ეთიკასთან შესაბამისობის მონიტორინგი მხოლოდ დამატებითი მნიშვნელობის ხდება. (სასამართლოს პრეცედენტული სამართლით მკვიდრად დაფუძნებული პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს, რომ კონვენციის განმარტება თანამედროვე პირობების ფონზე უნდა მოხდეს, იხილე საქმეებში: *ტირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1978 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A 26, გვ. 15, §31; *აირეი ირლანდიის წინააღმდეგ*, 1979 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია A 32, გვ. მე-14 და მომდევნო გვერდები, §26; *ვო საფრანგეთის წინააღმდეგ* [GC], 53924/00, §82, ECHR 2004-VIII; და *მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ* [GC], 46827/99 და 46951/99, §121, ECHR 2005-I).

105. როდესაც საქმე ეხება "პრესის" თავისუფლებას, ხელისუფლებას "მწვავე სოციალური საჭიროების" არსებობის შესაფასებლად შეზღუდული ფარგლები აქვს (მაგალითისთვის იხ., *ედიშენს პლონ საფრანგეთის წინააღმდეგ*, 58148/00, §44, მე-3 ქვეპუნქტი, ECHR 2004-IV).

106. გარდა ამისა, კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი საზოგადოების ინტერესებში შემავალ საკითხებზე პოლიტიკური გამოსვლების ან დებატების შესაზღუდავად ძალზე მცირე არეალს ტოვებს (იხ. მაგალითად, *ვინგროვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1996 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, *მოსხენებები* 1996-V, გვ. 1957, §58). სასამართლოს მხრიდან განსაკუთრებით დეტალური შემოწმება, ისევე, როგორც წარმოდგენილ საქმეში, საჭიროა მაშინ, როდესაც ეროვნული ხელისუფლების მიერ

მიღებულ ზომებს ან შეფარდებულ სანქციებს შეუძლია ხელი შეუშალოს პრესის მონაწილეობას საზოგადოების კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებულ დებატებში (იხ. მაგალითად, *ბლადეტ ტრომსოს და სტენსაასის საქმე*, ციტი. ზემოთ, §64; და *იერსილდი დანიის წინააღმდეგ*, 1994 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A 298, გვ. 25, §35).

107. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ მიიღო წესები, რომლებიც მიზნად ისახავს გარკვეული სახის კონფიდენციალური ან საიდუმლო ბუნების მქონე ინფორმაციის დაცვას და ამ მიზნის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედებების სისხლისსამართლებრივ დევნას, ეს წესები ერთმანეთისგან საგრძობლად განსხვავდება, გამომდინარე იქიდან, თუ როგორ არის განსაზღვრული საიდუმლოება და როგორ ხდება წესებით გათვალისწინებული სფეროების მართვა. განსხვავებულია ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკული მიდგომები და პირობები იმ პირთა მიმართ, რომლებმაც უკანონოდ გაამჟღავნეს ინფორმაცია (იხ. ზემოთ, პუნქტი 44, ბატონ კრისტოს პორგურიდესის შედარებითი კვლევა). აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ შეფასების გარკვეული ფარგლები ამ სფეროში.

ii. ამ პრინციპების გამოყენება წარმოდგენილ საქმეში

(ა) *წარმოდგენილი საქმის არსებითი საკითხი: კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება*

108. წარმოდგენილ საქმეში შიდასახელმწიფო სასამართლოებმა განმცხადებელს 800 შვეიცარიული ფრანკის გადახდა დააკისრეს "საიდუმლო ოფიციალური მოსაზრებების" გამოქვეყნებისთვის, სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის საფუძველზე. შვეიცარიის სასამართლოთა აზრით, განმცხადებელმა ყოველკვირეულ გაზეთში აშშ-ში შვეიცარიის ელჩის კონფიდენციალური მოხსენების გამოქვეყნებით დანაშაული ჩაიდინა. მოხსენებაში განხილული იყო პოზიცია, რომელიც შვეიცარიის მთავრობას უნდა დაეკავებინა ებრაელთა მსოფლიო კონგრესსა და შვეიცარიის ბანკებს შორის მოლაპარაკებებში, რომლებიც ეხებოდა ჰოლოკოსტის მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემას შვეიცარიის ბანკებში შეტანილი მოუკითხავი აქტივების საფუძველზე.

109. აქედან გამომდინარე, განსახილველი საკითხი არის კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება. ამ სფეროში სასამართლოს და კომისიას უკვე აქვთ მიღებული განჩინებები, თუმცა იმ საქმეთა გარემოებები გარკვეულწილად განსხვავდებოდა მოცემული საქმის გარემოებებისაგან (იხ., განსაკუთრებით, შემდეგი საქმეები, რომლებიც ქრონოლოგიურადაა ჩამოთვლილი: '*შ*' *შვეიცარიის წინააღმდეგ*, 10343/83, კომისიის 1983 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება, DR 35, გვ. 229-234; *ვებერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1990 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, სერია A 177; *ობსერვერი და გარდიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1991 წლის 26

ნომბრის გადაწყვეტილება, სერია A 216; *ოუფენ დორ ანდ დუბლინ უნლ ვუმენ ირლანდიის წინააღმდეგ*, 1992 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება სერია A 246-A; *ჰაჯიანასტასიუ საბერძნეთის წინააღმდეგ*, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A 252; *ვერენიგინგ ვიკბლადი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, 1995 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A 306-A; საქმე *ფრესოზი და რუარე*, ციტ. ზემოთ; საქმე *ედიშენს პლონ*, ციტ. ზემოთ; *ტურანჩო და ჯული საფრანგეთი წინააღმდეგ*, 53886/00, 2005 წლის 24 ნოემბერი; *დამანი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 77551/01, 2006 წლის 25 აპრილი; და *ლემპოელი & ს.ა. ე.დ. გინე რევეუ ბელგიის წინააღმდეგ*, 64772/01, 2006 წლის 9 ნოემბერი).

110. სასამართლო ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნული პრინციპები მიესადაგება წარმოდგენილ საქმეს. პრესის თავისუფლება მით უფრო მნიშვნელოვანია ისეთ გარემოებებში, როდესაც სახელმწიფოს მოქმედებები და გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება დემოკრატიულ ან სასამართლო კონტროლს მათი კონფიდენციალური ან საიდუმლო ბუნების გამო. კონფიდენციალური ან საიდუმლო დოკუმენტის გამოქვეყნებისთვის უზრუნავისტის მსჯავრდებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს მასმედიის მუშაკებს საზოგადოებისთვის მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში. ამის შედეგად პრესამ შეიძლება ვეღარ შეასრულოს თავისი, როგორც "საზოგადოებრივი მაკონტროლებლის", გადამწყვეტი როლი და ამან უარყოფითად იმოქმედოს პრესის შესაძლებლობებზე ზუსტი და საიმედო ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით (იხ., *mutatis mutandis*, *გუდინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1996 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1996-II, გვ. 500, §39).

111. ეს განაკუთრებით დადასტურებულია ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული პრინციპით, რომლის საფუძველზედაც დოკუმენტების გამოქვეყნება არის წესი, ხოლო მათი დასაიდუმლოება — გამოწაკლისი (იხ. ზემოთ, პუნქტი 41; და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1551 (2000) სამართლიანი სასამართლოს შესახებ სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებიც ეხება შპიონაჟს ან სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებას, იხ. ზემოთ, პუნქტი 40). ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია მიიჩნევს, რომ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელსაც ფლობს სახელმწიფო, მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიულ საზოგადოებაში, რადგან იგი სამოქალაქო საზოგადოებას საშუალებას აძლევს გააკონტროლოს მოქმედებები მთავრობისა, რომელსაც მან თავისი იტერესების დაცვა მიანდო (იხ. ზემოთ, პუნქტი 43, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს მოსაზრებები საქმეზე *კლოდ რეიესი და სხვები ჩილეს წინააღმდეგ*, 2006 წლის 19 სექტემბერი).

112. იმის დასადგენად, რომ სადავო ღონისძიება წარმოდგენილ საქმეში, ამასთანავე, აუცილებელი იყო, შესწავლილი უნდა იქნეს რამდენიმე სხვადასხვა ასპექტი: საქმესთან დაკავშირებული ინტერესების ბუნება (β), შიდასახელმწიფო სასამართლოების მიერ მოცემული ღონისძიების განხილვა (γ), განმცხადებლის ქცევა (δ) და იყო თუ არა დაკისრებული ჯარიმა პროპორციული (ε).

ბ. საქმესთან დაკავშირებული ინტიმესები

— ინტერესების ბუნება

113. წარმოდგენილი საქმე სხვა მსგავსი საქმეებისაგან იმით განსხვავდება, რომ მოცემული დოკუმენტის შინაარსი მთლიანად უცნობი იყო საზოგადოებისთვის (იხ., კერძოდ, საქმე *ფრესოზი და როირე*, ციტ. ზემოთ, §53; საქმე *ობზერვერი და გარდიანი*, ციტ. ზემოთ, გვ. 34, §69; *ვებერის* საქმე, ციტ. ზემოთ, 22-ე და მომდევნო გვერდები, §49; საქმე *ვერენიგინგ ვიკლადი Bluff*, ციტ. ზემოთ, მე-15 და მომდევნო გვერდები, 43-ე და მომდევნო პუნქტები; საქმე *ოუფენ დორ და დუბლინ ველ ვუმენ*, ციტ. ზემოთ, გვ. 31, §76; და საქმე *ელიშენს პლონ*, ციტ. ზემოთ, §53).

114. ამ კონტექსტში სასამართლო იზიარებს შვეიცარიისა და საფრანგეთის მთავრობათა მოსაზრებას, რომ ამ საქმეში შიდასახელმწიფო ორგანოთა შეფასების ფარგლები არ უნდა განისაზღვროს დოკუმენტის ავტორის მიერ დაკავებული თანამდებობის ბუნებისა და მნიშვნელობის საფუძველზე, ანუ მალალი დონის საჯარო მოსამსახურის პოსტის შესაბამისად, რადგან ელჩი დარწმუნებული იყო, რომ მისი მოხსენების შინაარსი საიდუმლოდ დარჩებოდა.

115. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ საქმეში, სხვა მსგავსი საქმეებისაგან განსხვავებით, საზოგადოების ინტერესი ინფორმაციის მიღების მიმართ უნდა შეუდარდეს არა კერძო ინტერესს — რადგან მოხსენება ელჩის პირად ცხოვრებასთან არ არის დაკავშირებული — არამედ საზოგადოების სხვა ინტერესს (იხ, ამის საწინააღმდეგოდ, საქმე *ფრესოზი და როირე*, ციტ. ზემოთ, §53, რომელიც ეხებოდა კომპანიის მმართველი დირექტორის გაცხადებულ შემოსავლებს და ამიტომ დაკავშირებული იყო ფისკალურ კონფიდენციალობასთან). მოუკითხავი აქტივების პრობლემის გადაჭრა, რომელიც საკმაოდ დიდ თანხასთან იყო დაკავშირებული, არა მხოლოდ შვეიცარიის მთავრობისა და ბანკების ინტერესებში შედიოდა, არამედ ასევე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადარჩენილთა და მათი ოჯახებისა და შთამომავლების ინტერესებში, რადგან იგი დაკავშირებული იყო ჰოლოკოსტის მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემასთან. აქედან გამომდინარე, საგულისხმო ფინანსურ ინტერესებთან ერთად სააკითხს უდიდესი მორალური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან მის მიმართ ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობა იჩენდა ინტერესს.

116. შესაბამისად, ამ საქმეში შვეიცარიის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიების აუცილებლობის საკითხის შეფასებისას უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოებრივი ბუნების მქონე იყო ერთმანეთთან დაპირისპირებული ორივე ინტერესი: მკითხველთა ინტერესი — მიელო ინფორმაცია აქტუალურ საკითხზე და ხელისუფლების ინტერესი — პოზიტიური და დამაკმაყოფილებელი შედეგით დაესრულებინა დიპლომატიური მოლაპარაკებები.

— საზოგადოების ინტერესი სტატიების გამოქვეყნების მიმართ

117. სასამართლოს აზრით, მოცემული პუბლიკაციის ფორმა განხილული უნდა იქნეს არა მხოლოდ *სონტაგს-ცაიტუნგში* გამოქვეყნებულ სტატიებზე მითითებით, არამედ ამ საკითხის მასმედიაში გაშუქების უფრო ფართო კონტექსტში (იხ., *mutatis mutandis*, საქმე *ბლადეტ ტრომსო და სტენსაასი*, ციტ. ზემოთ, §63).

118. ამ თვალსაზრისით სასამართლო იზიარებს პალატის შეხედულებას, რომ შვეიცარიის ელჩის დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია საზოგადოების ინტერესებში შედიოდა (იხ. პალატის გადაწყვეტილება, პუნქტი 49). სტატიები გამოქვეყნდა საზოგადოებრივი დებატების კონტექსტში. იგი ეხებოდა საკითხს, რომელსაც ფართოდ აშუქებდა შვეიცარიის მასმედია და მის გარშემო შვეიცარიაში მკვეთრად განსხვავებული საზოგადოებრივი აზრი იყო ჩამოყალიბებულ, კერძოდ, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მიერ შვეიცარიის ბანკებში შეტანილი მოუკითხავი აქტივების შესახებ. 1996 წლის ბოლოს და 1997 წლის დასაწყისში საკმაოდ გამძაფრდა დებატები ჰოლოკოსტის მსხვერპლთა აქტივებისა და მეორე მსოფლიო ომში შვეიცარიის როლის შესახებ და მან საერთაშორისო მნიშვნელობა მიიღო (ix., *mutatis mutandis*, *ბლადეტ ტრომსო და სტენსაასი*, ციტ. ზემოთ, 63-ე და 73-ე პუნქტები).

119. გარდა ამისა, *მონას* საქმეზე (ციტ. ზემოთ) მიღებული გადაწყვეტილება ნათლად მიუთითებს საჯარო დებატების მნიშვნელობაზე და მეორე მსოფლიო ომში შვეიცარიის როლის შესახებ საზოგადოებაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე (იქვე, §59). სასამართლო აღნიშნავს, რომ *მონას* საქმეში სატელევიზიო დოკუმენტური მასალა, რომელმაც შვეიცარიის საზოგადოებაში მწვავე განცდა და მძაფრი კრიტიკა გამოიწვია, ეთერში გავიდა 1997 წლის 11 მარტს, ანუ წარმოდგენილ საქმესთან დაკავშირებული სტატიების გამოქვეყნებიდან (1997 წლის 26 იანვარს) ორ თვეზე ნაკლები დროის შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ ფედერალური სასამართლოს მიერ მაცურებელთა საჩივრების დასაშვებად გამოცხადება კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია (იქვე, §69).

120. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ უდავოდ არსებობდა საზოგადოების ინტერესი მოუკითხავი აქტივების მიმართ, რომლებმაც შვეიცარიაში მღელვარე დებატები გამოიწვია, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც განმცხადებელმა თავისი სტატიები გამოაქვეყნა.

121. სასამართლოს აზრით, ასევე მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნეს, შეეძლო თუ არა მოცემულ სტატიებს ხელი შეეწყოს ამ საკითხის გარშემო მიმდინარე საჯარო დებატებისთვის.

122. პალატამ, პრესის საბჭოს მსგავსად, მიიჩნია, რომ მოცემული დოკუმენტის გამოქვეყნებით, სხვა ასპექტებთან ერთად ცნობილი გახდა, რომ საკითხზე მომუშავე პირებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული მკაფიო მოსაზრებები შვეიცარიის პასუხისმგებლობისა და იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მთავრობას უნდა გადაეღვა. პალატამ დაადასტურა, რომ საზოგადოებას ჰქონდა კანონიერი ინტერესი ინფორმაცია მიეღო ესოდენ მგრძნობიარე საკითხზე მომუშავე თანამდებობის პირთა

შესახებ, ასევე მათი მოლაპარაკებების სტილისა და სტრატეგიის შესახებ (იხ. პალატის გადანყევტილება, პუნქტი 49). ასეთი ინფორმაცია არის ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც საზოგადოებაში პოლიტიკური ლიდერების მიმართ შეხედულება და დამოკიდებულება ყალიბდება (იხ., *mutatis mutandis*, პოლიტიკოსებთან დაკავშირებით, *იბრაჰიმ აქსოი თურქეთის წინააღმდეგ*, 28635/95, 30171/96 და 34535/97, §68, საბოლოო, 2000 წლის 10 ოქტომბერი; და *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1986 წლის 8 ივლისის გადანყევტილება, სერია A 103, გვ. 26, §42).

123. დიდი პალატა იზიარებს ამ შეხედულებას. ელჩმა თავის მოხსენებაში გააანალიზა მოუკითხავ აქტივებთან დაკავშირებული სიტუაცია და პრობლემის მოსაგვარებლად რამდენიმე სასარგებლო პრაქტიკული წინადადება ჩამოაყალიბა. ვინაიდან მოხსენება მრავალ ასპექტს მოიცავდა, ხოლო განმცხადებელმა კონცენტრირება პრაქტიკულად მხოლოდ ელჩის პიროვნებაზე და მის ინდივიდუალურ სტილზე მოახდინა, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ მის სტატიებს არაფერი ჰქონდა საერთო საჯარო დებატებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განმცხადებელს შეეძლო, კანონიერების გარკვეული ხარისხით, ედავა, რომ საზოგადოებისთვის საინტერესო იყო გაეგო ელჩი იაგმეტის მიერ გამოყენებული აგრესიული ენის შესახებ, ვინაიდან იგი მოლაპარაკებებში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, რითაც ხელს შეუწყობდა მოუკითხავი აქტივების საკითხზე გამართულ დებატებს.

124. სასამართლოს აზრით, სადავო სტატიებს შეეძლო ნეკლილი შეეტანა მოუკითხავი აქტივების შესახებ გამართულ საჯარო დებატებში.

- *ინტერესები, რომელთა დაცვასაც შიდასახელმწიფო ორგანოები ცდილობდნენ*
- *კონფიდენციალობა*

125. მოცემული მოხსენება დაწერა მაღალი რანგის დიპლომატმა. ამ თვალსაზრისით პალატამ მკაფიოდ დაადასტურა დიპლომატიურ საქმიანობაში გარეშე ჩარევისაგან დაცვის ინტერესის არსებობა.

126. სასამართლო ეთანხმება მთავრობას და პროცესში ჩართულ მესამე მხარეებს და აღნიშნავს, რომ დიპლომატიური სამსახურებისთვის და საერთაშორისო ურთიერთობებში მათი შეუფერხებელი საქმიანობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, გაცვალონ საიდუმლო და კონფიდენციალური ინფორმაცია (იხ. აგრეთვე, პრესის საბჭოს დასკვნების მე-5 პუნქტი, 24-ე პუნქტი ზემოთ). ცხადია, რომ ინფორმაციის გამჟღავნების მოცემულ საკითხს არ მიესადაგება დებულებები არქივებისა და დოკუმენტების ხელშეუხებლობის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვენის კონვენციაში დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ (24-ე და შემდგომი მუხლები). მთავრობამ მიუთითა ამ დებულებებზე (იხ. ზემოთ, პუნქტი 79), რომლებიც შემუშავებულია აკრედიტებული სახელმწიფოს არქივებისა და დოკუმენტების მიმღები სახელმწიფოს ან მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირებისა თუ ორგანიზაციების ჩარევისაგან დაცვის მიზნით. მიუხედავად ამისა, ამ დებულებებიდან გამომდინარე პრინციპები ნათლად უჩვენებს კონფიდენციალობის დაცვის მნიშვნელობას ამ სფეროში.

127. სასამართლო ასევე გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს პრესის საბჭოს მოსაზრებაზე დაფუძნებულ მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, ელჩის მიერ დანერგილი "კონფიდენციალური" ან "საიდუმლო" გრიფის მქონე ანგარიშის გამოქვეყნებამ შეიძლება არა მხოლოდ უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და მისი პარალიზება გამოიწვიოს, არამედ ასევე ავტომატურად გამოიწვიოს მასპინძელი ქვეყნის მიერ მოცემული თანამდებობის პირის გამოცხადება *persona non grata*-დ (იხ. პრესის საბჭოს დასკვნების მე-5 პუნქტი, 24-ე პუნქტი ზემოთ). ამის დამადასტურებელია სტატიების გამოქვეყნების შემდეგ ელჩი იაგმეტის გადადგომა.

128. ამავდროულად სასამართლოს სურს გაიმეოროს პრინციპი, რომლის შესაბამისადაც კონვენციით გარანტირებული უფლებები არის არა თეორიული ან ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი (იხ., მაგალითად, *არტიკო იტალიის წინააღმდეგ*, 1980 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, სერია A 37, გვ. 16, §33). ეს პრინციპი ასევე დაცული უნდა იქნეს უფლებაში ჩარევის შეფასებისას. შესაბამისად, იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წამოყენებული არგუმენტები კანონიერად გამოიყურებოდეს, ისინი აგრეთვე პრაქტიკული და ეფექტიანი სახით უნდა განიხილავდეს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ საფუძვლებს. გამოხატვის თავისუფლების განხორციელების გამონაკლისი შემთხვევები სასამართლოს დეტალურ და გულდასმით განხილვას უნდა დაექვემდებაროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური მოხსენებების დასაიდუმლოება პრინციპში გამართლებულია, არ შეიძლება მისი დაცვა ნებისმიერ ფასად. გარდა ამისა, სასამართლო, პრესის საბჭოს მსგავსად, მიიჩნევს, რომ მასმედიის, როგორც კრიტიკოსისა და მაკონტროლებლის როლი, საგარეო პოლიტიკასაც მოიცავს (იხ. პრესის საბჭოს დასკვნების მე-5 პუნქტი, 24-ე პუნქტი ზემოთ). შესაბამისად, მიუღებელია საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა საჯარო დებატის აღკვეთა დიპლომატიური კორესპონდენციის დაცვაზე მითითებით.

129. შესაბამისად, ძირითადი ინტერესების ერთმანეთთან შედარებისას, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მოცემული დიპლომატიური მოხსენებების შინაარსს და მისი გამოქვეყნების პოტენციურ საფრთხეს, და არა მის ბუნებასა და ფორმას.

- ასახვა საქმის გარემოებებში

130. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ წარმატებით ვერ უჩვენა, რომ მოცემულმა სტატიებმა შვეიცარიის მთავრობასა და შვეიცარიულ ბანკებს რეალურად შეუშალა ხელი მოუკითხავი აქტივების პრობლემის გადაჭრის გზის მოძიებაში, რომელიც მისაღები იქნებოდა მოწინააღმდეგე მხარისთვის. თუმცა ამ საქმეში ეს თავისთავად გადაამწყვეტი ფაქტორი ვერ იქნება. აქ მნიშვნელოვანია დადგინდეს, მოხსენების გამომჟღავნებას და/ან სადავო სტატიებს შეეძლო თუ არა მათი გამოქვეყნების დროს "საგუ-

ლისხმო ზიანი" მიეყენებინა ქვეყნის ინტერესებისთვის (იხ., *mutatis mutandis*, *ჰაჯიანასტასიუს* საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 19, §45, სადაც საქმე ეხებოდა სამხედრო ინტერესებსა და ეროვნულ უსაფრთხოებას მათი მკაცრი მნიშვნელობით).

131. ახალი ამბები "მალფუჭებადი საქონელია" და მათი გამოქვეყნების თუნდაც ხანმოკლე დაგვიანებით შესაძლოა ყოველგვარი ღირებულება და ინტერესი დაკარგოს (იხ., მაგალითად, საქმე *ობზერვერი და გარდია-ნი*, ციტ. ზემოთ, გვ. 30, §60; *სანდელი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (2), 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია 217, 29-ე და მომდევნო გვერდები, §51; და *ასობიეიშენ ეკინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 39288/98, §56, ECHR 2001-VIII). შესაბამისად, ჟურნალისტს, პრინციპში, ვერ მოსთხოვენ საერთო ინტერესის სფეროში შემავალი ინფორმაციის გამოქვეყნების გადადებას, თუ ამისთვის არ არსებობს დამაჯერებელი საფუძვლები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ინტერესებთან ან სხვათა უფლებების დაცვასთან (იხ., მაგალითად, საქმე *ედისენს კლორ*, ციტ. ზემოთ, 53, შემდგომი მითითებებით). სასამართლომ უნდა განსაზღვროს, არის თუ არა ეს ასპექტი ამ საქმეში.

132. ამასთან დაკავშირებით სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ დროისათვის ელჩის მოხსენებიდან მოცემული ამონარიდების გამოქვეყნებას შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა მოლაპარაკებების მშვიდად წარმართვაზე, რომლებშიც შვეიცარიის ორი კუთხით იყო ჩართული. აქ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ელჩის კომენტარების შინაარსი და მათი წარმოდგენის ფორმა.

133. პირველი, მოხსენების შინაარსთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ *სონტაგს-ცაიტიუნგში* განმცხადებლის სტატიების გამოქვეყნების დროს შვეიცარიის მთავრობა უკვე მრავალი კვირის განმავლობაში რთულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, რომლებიც მიზნად ისახავდა მოუკითხავი აქტივების პრობლემის გადაჭრას. სასამართლო იზიარებს შვეიცარიის სასამართლოების შეხედულებას, რომ ელჩის მიერ დაწერილი დოკუმენტის შინაარსი გარკვეული მნიშვნელობის იყო, რადგან მასში მოცემული იყო დელიკატური სიტუაციის შეფასება, რომელიც შვეიცარიას 1997 წლის ბოლომდე უნდა მოეგვარებინა. დოკუმენტში ჩამოყალიბებული იყო რამდენიმე სტრატეგია, რომლებიც სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს მოსაზრებათა ჩამოყალიბებაში უნდა დახმარებოდა და ამით ზემოქმედება მოეხდინა ქვეყნის მიერ მოუკითხავი აქტივების საკითხის მოგვარებაზე. როგორც პრესის საბჭომ სწორად მიუთითა, ამ თვალსაზრისით საკმაოდ რელევანტური იყო, რას ფიქრობდა ელჩი ამ საკითხზე და რას აფუძნებდა იგი თავის მოსაზრებებს (იხ. პრესის საბჭოს დასკვნების მე-6 პუნქტი, 24-ე პუნქტი ზემოთ).

134. რაც შეეხება მოხსენების ფორმალურ ასპექტს, მისი ავტორის ენა არის წმინდა მსჯელობის ენა. მიუხედავად იმისა, რომ ამას შესაძლოა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდეს, სასამართლო მიუთითებს თავის პრეცედენტულ სამართალზე, რომლის შესაბამისად, ზოგჯერ შედარებით უმნიშვნელო ფაქტორებიც იწვევს სერიოზულ შედეგებს და "საგულისხმო ზიანს" აყენებს ქვეყნის ინტერესებს (იხ., *mutatis mutandis*, *ჰაჯიანასტასიუს* საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 19, §45).

135. წარმოდგენილ საქმეში გამოყენებულ ლექსიკონს — რომელიც, სხვა-ბთან ერთად, პრესის საბჭომაც აგრესიულად მიიჩნია — ნამდვილად შეეძლო მოლაპარაკებაში ჩართულ სხვა მხარეთა უარყოფითი რეაქცია გამოეწვია, კერძოდ, ებრაელთა მსოფლიო კონგრესისა და მისი ამერიკელი მოკავშირეების. ყოველივე ეს ხელს შეუშლიდა მოლაპარაკებათა წარმატებით დასრულებას, რომლებიც ისედაც რთულად იყო მიჩნეული და განსაკუთრებით დელიკატურ საკითხს უკავშირდებოდა. მაგალითისთვის საკმარისია აღინიშნოს, რომ ელჩმა შვეიცარიის პარტნიორების შესახებ თავის მოხსენებაში თქვა, რომ “მათი ნდობა არ შეიძლება”, მაგრამ შესაძლებელია მათთან “გარიგებისთვის” ბრძოლა. და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იგი მათ “მონინააღმდეგეებს” უწოდებდა.

136. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ ელჩის მოხსენების თუნდაც ნაწილობრივ გამჟღავნებას შეეძლო ზიანი მიეყენებინა თავისუფლების ატმოსფეროსთვის, რომელც აუცილებელია ზოგადად დიპლომატიური ურთიერთობებისთვის, და უარყოფითი გავლენა მოეხდინა მოლაპარაკებებზე, განსაკუთრებით — შვეიცარიის მხარისთვის. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ გამოქვეყნება დაემთხვა განსაკუთრებით დელიკატურ მოვლენებს, ამ საქმეში განმცხადებლის სტატიებს შეეძლო საგულისხმო ზიანი მიეყენებინა მოპასუხე სახელმწიფოს ინტერესებისთვის.

(ა) ღონისძიების განხილვა შიდასახელმწიფო სასამართლოთა მიერ

137. სასამართლოს მოვალეობაში არ შედის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების განსაზღვრა. ეს სფერო ტრადიციულად სახელმწიფოს სუვერენიტეტის შიდა ღერძის კომპონენტია. თუმცა მე-10 მუხლით განსაზღვრულ უფლებათა განხორციელებაში ჩარევის შემთხვევის შესწავლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართალწარმოების ობიექტურობა (იხ. *mutatis mutandis*, საქმე *სტილი და მორისი*, ციტ. ზემოთ, §95). აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, შეესაბამება თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლში მოცემული საიდუმლოების წმინდა ფორმალური ცნება კონვენციის მოთხოვნებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოდგენილ საქმეში მან უნდა შეისწავლოს, ეს წმინდა ფორმალური ცნება სასამართლოებისათვის იყო თუ არა სავალდებულო ისეთი ხარისხით, რომ ისინი, მოცემული ინტერესების დაპირისპირებისას, ვერ გაითვალისწინებდნენ საიდუმლო დოკუმენტის არსებით შინაარსს; მისი გაუთვალისწინებლობა ხელს შეუშლიდა სასამართლოებს განეხილათ, იყო თუ არა გამართლებული კონვენციის მე-10 მუხლით დატულ უფლებებში ჩარევა.

138. გაუქმების საფუძვლების შესახებ განმცხადებლის სარჩელზე 2000 წლის 5 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში ფედერალურმა სასამართლომ კვლავ დაადასტურა საიდუმლოების ფორმალური განმარტება. იმავდროულად, ეს გადაწყვეტილება ნათელს ხდის, რომ 1997 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლისთვის მე-3 პუნქტის დამატე-

ბის შემდეგ სისხლის სამართლის პროცესში სასამართლომ წინასწარ უნდა განსაზღვროს არის თუ არა "დასაიდუმლოება" გამართლებული გამჟღავნებული დოკუმენტის მიზნისა და შინაარსის ფონზე; მოცემულ საქმეში კანტონის ხელისუფლებამ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა (იხ, კერძოდ, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი; ზემოთ, პუნქტი 33). ამ თვალსაზრისით, ფედერალურმა სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი სასამართლოს საშუალებას აძლევდა, აენონა ძირითადი ინტერესები, მაშინაც კი, თუ ისინი სამართალდარღვევის ელემენტებთან დაკავშირებული არ იყო, აგრეთვე დასაშვებად მიეჩნია კანონიერი ინტერესების დაცვაზე დაფუძნებული შესაძლო არანორმატიული გამართლება. თუმცა მოცემულ საქმეში ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა რაიმე ასეთი გამართლება, რომლის საფუძველზედაც არ მოითხოვებოდა პასუხის გაცემა შემდეგ კითხვაზე — იყო თუ არა უფრო მაღალი სტრატეგიული დოკუმენტის კონფიდენციალობის დაცვის ინტერესი, ვიდრე საზოგადოების ინტერესი გაზეთში გამოქვეყნებული ამონარიდების მიმართ. მიუხედავად ამისა, მან მიიჩნია, რომ კანტონის ხელისუფლების მიერ გაკეთებული არსებითი დასკვნები ამ თვალსაზრისით იყო ლოგიკური და კარგად დასაბუთებული (იხ., კერძოდ, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების მე-9 პუნქტი, პუნქტი 33 ზემოთ).

139. და ბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ ფედერალურმა სასამართლომ შეამოწმა ელჩის მოხსენების "დასაიდუმლოების" საფუძვლები და ანონა საქმესთან დაკავშირებული მთავარი ინტერესები, არ შეიძლება ითქვას, რომ საიდუმლოების ფორმალურმა ცნებამ, რომელსაც ეფუძნება სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი, ფედერალურ სასამართლოს, როგორც ბოლო ინსტანციის სასამართლო ორგანოს, ხელი შეუშალა განესაზღვრა, შეესაბამებოდა თუ არა ამ საქმეში მოცემული ჩარევა მე-10 მუხლს.

(ბ) განმცხადებლის ძვევა

140. წარმოდგენილ საქმეში ურნალისტთა ეთიკასთან დაკავშირებით უნდა გამოიყოს ორი ასპექტი — გზა, რომლითაც განმცხადებელმა მოცემული მოხსენება მოიპოვა და სადავო სტატიების ფორმა.

– გზა, რომლითაც განმცხადებელმა მოხსენება მოიპოვა

141. სასამართლოს მიაჩნია, რომ გზა, რომლითაც პირი კონფიდენციალურ ან საიდუმლო ინფორმაციას მოიპოვებს, შესაძლოა რელევანტური იყოს ინტერესების დაბალანსებისთვის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ შვეიცარიის ხელისუფლებამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მსჯავრი დასდო არასწორ პირს, რადგან მისთვის არავის წაუყენებია ბრალდება, რომ მოცემული დოკუმენტი მან მოტყუების ან დაშინების გზით მოიპოვა (იხ., *mutatis*

mutandis, დამანის საქმე, ციტ. ზემოთ, §55, საბოლოო), ხოლო ინფორმაციის გაუონვაზე პასუხისმგებელი პირები არც დაუდგენიათ და არც დაუსჯიათ.

142. უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელი სავარაუდოდ არ იყო პიროვნება პასუხისმგებელი დოკუმენტის გაუონვაზე. ყოველ შემთხვევაში ამის თაობაზე შვეიცარიის ხელისუფლებას არანაირი შემდგომი ზომები არ მიუღია.

143. გარდა ამისა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ვალდებული იმგვარად მოაწყოს თავისი სამსახურები და განვრთნას თანამშრომლები, რომ უზრუნველყოფილი იქნეს კონფიდენციალური ან საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვა (იხ. დამანის საქმე, ციტ. ზემოთ, §55). ამ თვალსაზრისით ხელისუფლებას შეეძლო გამოძიება დაენყო, რათა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცა ინფორმაციის გაუონვისთვის პასუხისმგებელი პირები (იხ., *mutatis mutandis*, კრაქსი იტალიის წინააღმდეგ (2), 25337/94, §75, 2003 წლის 17 ივლისი).

144. თუმცა ის, რომ განმცხადებელი ამ თვალსაზრისით უკანონოდ არ მოქმედებდა, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არ არის იმის შესაფასებლად, თუ რამდენად შეასრულა მან თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში, იგი, როგორც ჟურნალისტი, ვერ იქნებოდა გულახდილი, თუ განაცხადებდა, რომ მისთვის უცნობი იყო, რომ მოცემული დოკუმენტის გამჟღავნება იყო დასჯადი ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის საფუძველზე (იხ., *mutatis mutandis*, საქმე *ფრესოზი და როირე*, ციტ. ზემოთ, §52).

- სტატიების ფორმა

145. წარმოდგენილ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, შეესაბამებოდა თუ არა განმცხადებლის მიერ გამოქვეყნებული სტატიების ფორმა ჟურნალისტური ეთიკის მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა პრესის საბჭოს დასკვნა, რომელიც სპეციალიზირებული და დამოუკიდებელი ორგანოა.

146. სასამართლო თავიდანვე იმეორებს, რომ მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ გამოხატული შეხედულებებისა და ინფორმაციის არსს, არამედ აგრეთვე ფორმას, რომლის მეშვეობითაც მათ გადმოსცემენ. შესაბამისად, არც ამ სასამართლოს და არც ეროვნულ სასამართლოებს არ შეუძლიათ ამ საკითხზე თავიანთი შეხედულებებით ჩაანაცვლონ პრესის შეხედულებები ჟურნალისტთა მიერ ინფორმაციის მინოდების ფორმებთან დაკავშირებით (იხ., მაგალითად, *იერსილდის* საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 23, §31; და დე *ჰაერი და ვისელსი ბელგიის წინააღმდეგ*, 1997 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1997-1, გვ. 236, §48).

147. თუმცა სასამართლო, პრესის საბჭოს მსგავსად, სტატიების გამოქვეყნების ფორმასთან დაკავშირებით რამდენიმე ხარვეზზე მიუთითებს. პირველი, სტატიების შინაარსი იყო აშკარად გამარტივებული და შემოკლებული. სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ განმცხადებელი თავის სტატიებში ორიენტირებული იყო ელჩის პიროვნებაზე (იხ. ზემოთ, პუნქტები 122-124);

თუმცა იგი უყურადღებოდ ვერ დატოვებს იმ ფაქტს, რომ სტატიებში მოცემული მოხსენებიდან ცალკეული ამონარიდები იყო ციტირებული, კონტექსტიდან მოწყვეტით, და რომ ისინი ფოკუსირებული იყო ელჩის მიერ ჩამოყალიბებულ მხოლოდ ერთ სტრატეგიაზე, კერძოდ, "გარიგებაზე".

სონტაგს-ცაიტუნგში შესაძლებელი იყო სტატიებთან ერთად მოხსენების სრული ტექსტის გამოქვეყნება, როგორც ეს მომდევნო დღეს გააკეთა *ტაგეს-ანციეგერმა* და *ნუვო ჟოურნალი*ში, რითაც მკითხველს საკუთარი აზრის ჩამოყალიბების საშუალებას მისცემდა (იხ., *mutatis mutandis*, *ლოპეს გომესი და სილა პორტუგალიის წინააღმდეგ*, 37698/97, §35, ECHR 2000-X). სასამართლოსთვის დამაჯერებლად არ უღერს *სონტაგს-ცაიტუნგის* არგუმენტი იმის შესახებ, რომ 1997 წლის 25 იანვარს პრაქტიკულად შეუძლებელი იყო გაზეთისთვის ერთი გვერდის დამატება, ხოლო ინტერნეტში სრული ტექსტის გამოქვეყნებას ტექნიკურმა მიზეზებმა შეუშალა ხელი.

148. მეორე, განმცხადებლის მიერ გამოყენებული ლექსიკონი გარკვეულწილად მიუთითებს, რომ ელჩის კომენტარები ანტისემიტური იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პრესის თავისუფლება მოიცავს გარკვეული ხარისხით გაზვიადებას ან თვით პროვოკაციას (იხ., მაგალითად, *პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1995 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A 313, გვ. 19, §38). ფაქტად რჩება, რომ განმცხადებელმა გამაღიზიანებელი ფორმით დაიწყო ხმების გავრცელება, რომლებიც პირდაპირ იყო დაკავშირებული მოუკითხავი აქტივების საკითხის ფესვებთან, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელთა მიმართ ჩადენილ სისასტიკესთან. სასამართლო იმეორებს, რომ ასეთი ბუნების განცხადებებთან და/ან ინსინუაციებთან მტკიცე მიდგომაა საჭირო (იხ., *mutatis mutandis*, *ლეჰიდუ და ისორნი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-VII, გვ. 2886, §53; და *გაროდი საფრანგეთის წინააღმდეგ* (dec.), 65831/01, ECHR 2003-IX). გარდა ამისა, აღნიშნულმა ხმებმა, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო ელჩის გადადგომას.

149. მესამე, სტატიათა რედაქტირების სახე ნამდვილად არ შეესაბამება ისეთ მნიშვნელოვან და სერიოზულ საკითხს, როგორც მოუკითხავი ფონდება. თვალშისაცემია სათაურის სენსაციური სტილი და, განსაკუთრებით, ქვესათაურები ("ელჩი იაგმეტი შეურაცხყოფს ებრალებს — საიდუმლო დოკუმენტი: ჩვენი მონიშნულგების ნდობა არ შეიძლება" და "ელჩი სააბაზანო ხალატში და ფეხზე წრიაპით — შვეიცარიის ელჩის, კარლო იაგმეტის დიპლომატიური შეცდომა"; სათაურები გერმანულ ენაზე იხ. ზემოთ, მე-18 და მე-19 პუნქტები). სასამართლოს აზრით, მნიშვნელობა არა აქვს სათაურები განმცხადებელმა შეარჩია თუ გაზეთის რედაქტორმა. სურათი, რომელიც *სონტაგს-ცაიტუნგის* მე-7 გვერდზეა გამოქვეყნებული მეორე სტატიასთან ერთად, სადაც ელჩი სააბაზანო ხალატშია (იხ. ზემოთ, პუნქტი 19), როგორც ჩანს განმცხადებლის სტატიათა ტრივიულობას ადასტურებს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება საკითხის სერიოზულობას. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული სათაურები, ქვესათაურები და სურათი აშკარად არ იყო დაკავშირებული საგანთან, მაგრამ მათ შეეძლო მკითხველისთვის შეექმნა შთაბეჭდილება, რომ დიპლომატიურ სამახურს შეუფერებელი პირი მართავდა.

150. მეოთხე, განმცხადებლის მიერ დაწერილი სტატიები ასევე არაზუსტი იყო და შეეძლო არასწორი მიმართულება მიეცა მკითხველისთვის, რადგან მოვლენათა დრო საკმარისი სიცხადით არ იყო მითითებული. კერძოდ, მათ შექმნეს შთაბეჭდილება, რომ დოკუმენტი დაინერა 1997 წლის 25 იანვარს, მაშინ, როცა სინამდვილეში იგი დაწერილი იყო ოთხი კვირით ადრე, 1996 წლის 19 დეკემბერს (იხ. აგრეთვე კრიტიკა პრესის საბჭოს დასკვნების მე-7 პუნქტში; ზემოთ, პუნქტი 24).

151. ზემოაღნიშნული მსჯელობის და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთი სტატია დიდტირაჟიანი შვეიცარიული საკვირაო გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა, სასამართლო იზიარებს მთავრობისა და პრესის საბჭოს მოსაზრებას, რომ განმცხადებლის მთავარი მიზანი იყო არა საზოგადოების ინფორმირება საერთო ინტერესის მქონე საკითხზე, არამედ ელჩი იაგმეტის მოხსენების გარშემო უსარგებლო სკანდალის შექმნა. აქედან გამომდინარე, ადვილი გასაგებია, თუ რატომ გააკრიტიკა გაზეთი ნათლად და მტკიცედ პრესის საბჭომ თავის დასკვნებში სტატიების ფორმის გამო, სადაც აღნიშნა, რომ მან დაარღვია “დეკლარაცია ჟურნალისტთა უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ” (იხ. პრესის საბჭოს დასკვნების მე-7 პუნქტი; ზემოთ, პუნქტი 24).

152. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული სტატიების დამახინჯებულმა და შეკვეცილმა ფორმამ, რომელსაც შეეძლო შეცდომაში შეყვანა მკითხველი ელჩის პიროვნებისა და უნარის შეფასებისას, მნიშვნელოვნად დააკნინა მათი წვლილი კონვენციის მე-10 მუხლით დაცული საჯარო დებატების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

(გ) იყო თუ არა დაკისრებული ჯარიმა პროპორციული

153. სასამართლო იმეორებს, რომ შეფარდებული სასჯელის ბუნება და სიმკაცრე შემდგომი ფაქტორებია, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას (იხ., მაგალითად, *სურეკი თურქეთის წინააღმდეგ* (1) [GC], 26682/95, 64, მეორე ქვეპუნქტი, ECHR 1999-IV, და *ჩოვი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, 64915/01, §78, ECHR 2004-VI).

154. გარდა ამისა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სასჯელს არ აქვს ცენზურის ფორმა, რომელიც პრესას კრიტიკის გამოხატვაში შეუშლის ხელს. ასეთმა სანქციამ, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე დებატების კონტექსტში, შეიძლება დააშინოს ჟურნალისტები და მათ საკუთარი წვლილი აღარ შეიტანონ საზოგადოების ცხოვრებაზე ზეგავლენის მომხდენი საკითხების განხილვაში. ამავე კონტექსტში უნდა ითქვას, რომ მას შეუძლია ხელი შეუშალოს პრესას, განახორციელოს თავისი, როგორც ინფორმაციის მიწოდებლისა და საზოგადოებრივი მაკონტროლებლის, ფუნქცია (იხ., *mutatis mutandis*, *ბართოლდი გერმანიის წინააღმდეგ*, 1985 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, სერია A 90, გვ. 26, §58; *ლინგენსის საქმე*, ციტ. ზემოთ, გვ. 27, §44; და *მონას საქმე*, ციტ. ზემოთ, §70). ამასთან დაკავშირებით პირის მსჯავრდება ზოგ შემთხვევაში შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე შეფარდებული სასჯელის მსუბუქი ბუნება

(იხ., მაგალითად, *იერსილდის* საქმე, ციტ. ზემოთ, გვ. 25, § 35, პირველი ქვეპუნქტი, საქმე *ლოპეს გომეს და სილვა*, ციტ. ზემოთ, § 36; და *დამანის* საქმე, ციტ. ზემოთ, § 57).

155. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის არსებობს კონსენსუსი სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენების საჭიროებაზე კონფიდენციალური ინფორმაციის გარკვეული სახეების გამჟღავნებისაგან დაცვის მიზნით (იხ. ზემოთ, პუნქტი 44).

156. წარმოდგენილ საქმეში უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლისთვის შეფარდებულ სასჯელს ნაკლებად შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის საკუთარი მოსაზრებების გამოხატვაში (იხ. საწინააღმდეგო თვალსაზრისით, *ობ ზერვერი და გარდიანი*, ციტ. ზემოთ, გვ. 30, §60).

157. გარდა ამისა, ჯარიმის ოდენობა (800 შვეიცარიული ფრანკი, დღევანდელი კურსით დაახლოებით 476 ევრო) შედარებით მცირე იყო. ამასთანავე, იგი განმცხადებელს შეუფარდეს "მცირე დანაშაულისთვის" სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც იმ დროს იყო ძალაში, და იგი იყო შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველაზე დაბალი კატეგორიის დასჯადი დანაშაული. უფრო მკაცრი სანქციები, რომლებშიც საპატიმრო ღონისძიებებიც შედის, გათვალისწინებულია როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლით, ისე ევროპის საბჭოს სხვა წევრი სახელმწიფოების კანონებით (იხ. ბ-ნი კრისტოს პურგურიდესის შედარებითი კვლევის 59-ე პუნქტი; 44-ე პუნქტი ზემოთ).

158. ციურიხის რაიონულმა სასამართლომ 1999 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით დასაშვებად მიიჩნია შემამსუბუქებელი გარემოებები. მან აღნიშნა, რომ კონფიდენციალური დოკუმენტის გამჟღავნებას ზიანი არ მიუყენებია ქვეყნის ძლიერებისთვის.

159. მართალია, რომ რაიმე ნაბიჯი არ გადადგმულა იმ ჟურნალისტთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად, რომლებმაც განმცხადებლის სტატიების გამოქვეყნების მომდევნო დღეს მოხსენება ნანილობრივ ან მთლიანად გამოაქვეყნეს და, აქედან გამომდინარე, კონფიდენციალურად მიჩნეული უფრო მეტი ინფორმაცია გაამჟღავნეს. თუმცა თავისთავად ეს ფაქტი განმცხადებლისთვის შეფარდებულ სანქციას დისკრიმინაციულად ან არაპროპორციულად ვერ წარმოაჩენს. პირველი, განმცხადებელმა პირველმა გაამჟღავნა მოცემული ინფორმაცია. მეორე, დისკრეციული დევნის უფლება სახელმწიფოებს მანევრირების საშუალებას უტოვებს, როდესაც დგება საკითხი, დაიწყონ თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ, რომელიც სამართალდამრღვევადაა მიჩნეული. ისეთ შემთხვევაში, როგორც ამ საქმეშია, მათ უფლება აქვთ გაითვალისწინონ, მაგალითად, პროფესიული ეთიკის საკითხი.

160. დაბოლოს, ჯარიმის შესაძლო დამაშინებელი ეფექტის თვალსაზრისით სასამართლო მიიჩნევს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს საშიშროება ნებისმიერი სისხლის სამართლის სასჯელისთვისაა დამახასიათებელი, ამ საქმეში გათვალისწინებული უნდა იქნეს ჯარიმის შედარებით მოკრძალებული სიდიდე.

161. ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სასამართლო არ მიიჩნევს, რომ წარმოდგენილ საქმეში დაკისრებული ჯარიმა დასახული მიზნის არაპროპორციული იყო.

iii. დასკვნა

162. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილ საქმეში, ყველა რელევანტური მტკიცებულების ფონზე ძირითადი ინტერესების ერთმანეთთან დაპირისპირებისას, შიდასახელმწიფო ორგანოებს შეფასების ფარგლები არ დაურღვევიათ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებლის მსჯავრდება დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული იყო. აქედან გამომდინარეობს, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო

ადგენს თორმეტი ხმით ხუთის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია საჯარო სხდომაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2007 წლის 10 დეკემბერს.

ვინსენტ ბერგერი
იურისკონსულტი

ჟან-პოლ კოსტა
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგ მოსამართლეთა მოსაზრებები:

(ა) ქ-ნი ზიემელეს თანმხვედრი აზრი;

(ბ) ბ-ნი ზაგრებელსკის, ბ-ნი ლორენზენის, ქ-ნი ფურა სანდსტრომის, ქ-ნი იაგერის და ბ-ნი პოპოვიჩის ერთობლივი განსხვავებული აზრი.

ინიციალები:

ჯ.-პ.კ.
ვ.ბ.

მოსამართლე ზიემელეს თანმხვედრი აზრი

უმრავლესობასთან ერთად მე ხმა მივეცი დასკვნას, რომ ამ საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებში მე-10 მუხლი არ დარღვეულა. თუმცა მე არ ვიზიარებ ამ საკითხზე უმრავლესობის მიერ შემუშავებულ დასაბუთებას. გადანყვეტილების 125-ე პუნქტიდან მოყოლებული სასამართლო დეტალურად იხილავს ინტერესებს, რომელთა დაცვასაც შიდასახელმწიფო ორგანოები ცდილობდნენ. პირველი ინტერესია დიპლომატიური სამსახურების შიდა ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, რამაც საერთაშორისო ურთიერთობათა უპრობლემო ფუნქციონირება უნდა უზრუნველყოს. სასამართლო იყენებს შესაძლებლობას ჩამოაყლიბოს მნიშვნელოვანი პრინციპი მე-10 მუხლის როლის შესახებ, რომელსაც იგი ასრულებს მონაწილე სახელმწიფოების საერთაშორისო ურთიერთობებში და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებაში, კერძოდ, რომ, “მიუღებელია საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა საჯარო დებატის აღკვეთა დიპლომატიური კორესპონდენციის დაცვაზე მითითებით” (იხ. ზემოთ, პუნქტი 128). მაგალითად, ბოლო წლებში საგარეო პოლიტიკის სფეროში მიღებული რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილი გადანყვეტილება, რომლებმაც რთული საერთაშორისო მოვლენები და განვითარება გამოიწვია, ნათლად მიუთითებს დებატებისა და გამჭვირვალეების მნიშვნელობაზე ამ სფეროში.

შესაბამისად, სასამართლოს უმრავლესობის აზრით, ელჩი იაგმეტის და მისი კონფიდენციალური მოხსენების შესახებ გამოქვეყნებულმა სტატიებმა ზეგავლენა მოახდინა შვეიცარიას, ებრაელთა მსოფლიო კონგრესსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებებზე, რომლებზედაც განიხილავდნენ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მიერ შვეიცარიის ბანკებში შეტანილი მოუკითხავი ანგარიშების კომპენსაციის საკითხს (იხ. პუნქტები 130-136). სასამართლოს უმრავლესობა, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ მთავრობას არ დაუდასტურებია, რომ გამოქვეყნებულმა სტატიებმა რეალურად შეუშალა ხელი შვეიცარიასა და მოცემულ ბანკებს პრობლემის გადაჭრის გზის მოძიებაში (იხ. პუნქტი 130). მიუხედავად ამისა, უმრავლესობამ გადანყვეტილა შეაფასოს, შეეძლო თუ არა სტატიებს, მათი გამოქვეყნების დროს, ზიანი მიეყენებინა სახელმწიფო ინტერესებისთვის. მან დაასკვნა, რომ “ელჩის მოხსენების თუნდაც ნაწილობრივ გამჟღავნებას შეეძლო ზიანი მიეყენებინა თავისუფლების ატმოსფეროსთვის, რომელიც აუცილებელია ზოგადად დიპლომატიური ურთიერთობებისთვის, და უარყოფითი გავლენა მოეხდინა მოლაპარაკებებზე, განსაკუთრებით — შვეიცარიის მხარისთვის. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ გამოქვეყნება დაემთხვა განსაკუთრებით დელიკატურ მოვლენებს, ამ საქმეში განმცხადებლის სტატიებს შეეძლო საგულისხმო ზიანი მიეყენებინა მოპასუხე სახელმწიფოს ინტერესებისთვის” (იხ. პუნქტი 136).

მე არ ვეთანხმები, რომ ადამიანის უფლებათა სასამართლომ ამ მოლაპარაკებებში ცალკე უნდა გამოეყოს მოპასუხე მხარის ინტერესები. უპირ-

ველეს ყოვლისა, მოლაპარაკებებში მრავალი მხარე იყო ჩართული. ეს მოლაპარაკებები უკავშირდებოდა საერთო ინტერესის მქონე განაკუთრებით რთულ და დელიკატურ საკითხს, რომელიც შვეიცარიის საზოგადოების ფარგლებს სცდებოდა. გადანყვეტილებაში ყველგან ხაზგასმით აღნიშნულია, რომ “1996 წლის ბოლოს და 1997 წლის დასაწყისში საკმაოდ გამძაფრდა დებატები ჰოლოკოსტის მსხვერპლთა აქტივებისა და მეორე მსოფლიო ომში შვეიცარიის როლის შესახებ და მათ საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინეს” (იხ. პუნქტი 118). რა თქმა უნდა, ამ კონტექსტში წარმოიშვა დისკუსია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

ამის ნაცვლად სასამართლოს უნდა განეხილა, შეიძლებოდა თუ არა, იმ დროს მოხსენების ნაწილობრივ გამოქვეყნებას ხელი შეეწყო ხანგრძლივი და საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემის გადანყვეტისთვის, ან პირიქით, ხომ არ მიაყენებდა ეს ზიანს ყველა მხარეს და საკითხს კიდევ უფრო ხომ არ გაართულებდა.

განსახილველი საკითხი უჩვენებს, რომ დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში ეროვნული აუდიტორია შეიძლება არ იყოს საზოგადოებრივი ინტერესის ერთადერთი მატარებელი, რომელსაც მასმედია და სხვები უნდა ემსახურებოდნენ.

მოსამართლე ზაგრებელსკის განსხვავებული აზრი, რომელსაც მხარი დაუჭირეს მოსამართლეებმა — იუდგეს ლორენზენმა, ფურა-სანდსტრომმა, იაეგერმა და პოპოვიჩმა

(თარგმანი)

ვწუხვარ, რომ ვერ დავეთანხმები ამ საქმეში უმრავლესობის მიერ მიღებულ დასაბუთებასა და დასკვნებს.

ვიდრე 147-ე პუნქტამდე მივიდოდეს, მკითხველი ადვილად დაიჯერებს, რომ სასამართლო ცდილობს დაადგინოს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. მხოლოდ ამ პუნქტის შემდეგ ავლენს უმრავლესობა განმცხადებლის მიერ გამოქვეყნებული სტატიების ნეგატიურად შეფასების ჭეშმარიტ მიზეზს. მე ეს მეჩვენება სახიფათოდ და დაუსაბუთებელ გადახვევად სასამართლოს კარგად დაფუძნებული პრეცედენტული სამართლიდან, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების ბუნებასა და სასიცოცხლო მნიშვნელობას ეხება.

ჩემს მოსაზრებას მე ვაფუძნებ შემდეგს. 54-დან 62-ე პუნქტამდე სასამართლო საკმაოდ სწორად გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ამ საქმეში კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევის გამართლება შეიძლება რაიმე სხვა მიზნით, გარდა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა. მთავრობის მიერ მითითებული სხვა მიზნები, კერძოდ, ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის და სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვა, სასამართლოს საქმესთან მიმართებით არარელევანტურად მიაჩნია. აქედან გამომდინარე, ერთადერთ გამართლებად რჩება საიდუმლო ინფორმაციის დაცვა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სხვა მიზნებისაგან განსხვავებით, ფუნქციური ბუნების მქონეა. თუ ხდება ინფორმაცია ინფორმაციისა, რომელიც ინდივიდუალური პირის საიდუმლოების სფეროს მიეკუთვნება, ეს თავისთავად მნიშვნელობის მქონე არ არის (დემოკრატიული საზოგადოებისთვის მე სანინალმდეგო უფრო მიმაჩნია ჭეშმარიტებად, სულ მცირე, საჯარო პირთან დაკავშირებული ინფორმაციის თვალსაზრისით). პირიქით, მას მხოლოდ იმიტომ ითვალისწინებენ, რომ იგი ემსახურება იმ ღირებულებათა და ინტერესთა დაცვას, რომლებიც დაცვას იმსახურებს გამოხატვის თავისუფლების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ — მე-10 მუხლის მიზნებისთვის — დოკუმენტის ან ინფორმაციის "დასაიდუმლოების" კანონიერება არ შეიძლება შეფასდეს ან ასეთი კლასიფიცირების ღირებულება არ შეიძლება "აინონოს" გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების მიმართ, თუ არ მოხდება იმ დაცვის

ფუძემდებლური ღირებულების ან ინტერესის იდენტიფიცირება ან "ანონ-ვა", რომლის გამოც ინფორმაცია აუცილებლად საიდუმლოდ უნდა იქნეს შენახული.

მაგრამ უმრავლესობა — მას შემდეგ რაც განაცხადა, რომ "მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური მოხსენებების დასაიდუმლოება, პრინციპში, გამართლებულია, არ შეიძლება მისი დაცვა ნებისმიერ ფასად" (იხ. პუნქტი 128) და რომ "მთავრობამ წარმატებით ვერ უჩვენა, რომ მოცემულმა სტატიებმა შვეიცარიის მთავრობასა და შვეიცარიულ ბანკებს რეალურად შეუშალა ხელი მოუკითხავი აქტივების პრობლემის გადაჭრის გზის მოძიებაში, რომელიც მისაღები იქნებოდა მონინალმდევე მხარისთვის" (იხ. პუნქტი 130) — ცხადია, რომ მხედველობაში იღებს დოკუმენტის "კონფიდენციალობას", რომლის გამოქვეყნებამ აშკარა ზიანი მიაყენა "თავისუფლების ატმოსფეროს, რომელიც აუცილებელია ზოგადად დიპლომატიური ურთიერთობებისთვის" (იხ. პუნქტი 136). იმავე პუნქტში აღნიშნულია, რომ პუბლიკაციას შეეძლო "უარყოფითი გავლენა მოეხდინა მოლაპარაკებებზე, განსაკუთრებით შვეიცარიის მხარისთვის" და "იმის გათვალისწინებით, რომ გამოქვეყნება დაემთხვა განსაკუთრებით დელიკატურ მოვლენებს, ამ საქმეში განმცხადებლის სტატიებს შეეძლო საგულისხმო ზიანი მიეყენებინა მოპასუხე სახელმწიფოს ინტერესებისთვის" — საიდანაც გამომდინარეობს, რომ ეს არის უბრალოდ ჰიპოთეტური მოსაზრება და არა *petitio principii*. საბოლოოდ ეს დასაბუთება ფუჭს ხდის პრინციპს, რომლის თანახმად, გამოხატვის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული.

თუმცა, მაშინაც კი, თუ ვინმე უმრავლესობის დასაბუთებას მიემხრობა, ჩემთვის ცხადია, რომ ნებისმიერი მიყენებული ზიანი ძალზე უმნიშვნელოა, როდესაც მას დაუპირისპირებთ ყველაფერს, რაც სასამართლოს ნათქვამი აქვს თავის მრავალ გადაწყვეტილებაში გამომხატვის თავისუფლების მნიშვნელობის შესახებ, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სახელმწიფო ორგანოების ქმედებათა გამომწვეურებას და კრიტიკას, ასევე იმ პირებისა, რომელთა შუამავლობითაც ისინი მოქმედებენ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკითხის არსი იყო რამდენიმე პასაჟის გამოქვეყნება ვაშინგტონში შვეიცარიის ელჩის წერილიდან, რომელიც მან ოცზე მეტ პირს და სამსახურს გაუგზავნა; გარდა ამისა, სამართალწარმოება არ დაწყებულა სხვა გაზეთების მიმართ, რომლებმაც დოკუმენტი სრულად გამოაქვეყნეს (და ამის შესახებ უსათუოდ იცოდნენ). განმცხადებლის გაკრიტიკება მის მიერ დოკუმენტის მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტის გამოქვეყნებისთვის, რომლებიც კონკრეტულად დაკავშირებულია ელჩის მიერ საკუთარი თავის გამომხატვის ფორმასთან, სრულიად პარადოქსულად ხდება მის წინააღმდეგ მიმართული ფაქტორი, ხოლო უმრავლესობა კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ დოკუმენტის სრულად გამოქვეყნება უფრო გონივრული იქნებოდა (იხ. გადაწყვეტილების 147-ე პუნქტი). აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, დისკრეციის მიმართ ეს ინტერესი თავისთავად ვერ იქნება გამამართლებელი ფაქტორი ყურნალისტური თავისუფლების შეზღუდვისა საზოგადოების ინტერესის კონტექსტში (იხ. გადაწყვეტილების 113-ე და 124-ე პუნქტები).

მე ვერ ვხედავ მიზეზს სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გადახვევისთვის, იმ მიზნით, რომ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასების კრიტერიუმში აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს "მწვავე სოციალურ საჭიროებას", რომ "ხელისუფლებას შეფასების შეზღუდული ფარგლები აქვს" ამ სფეროში (პუნქტი 105) და რომ "სასამართლოს მხრიდან განსაკუთრებით დეტალური შემოწმება, ისევე, როგორც წარმოდგენილ საქმეში, საჭიროა მაშინ, როდესაც ეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებულ ზომებს ან შეფარდებულ სანქციებს შეუძლია ხელი შეუშალოს პრესის მონაწილეობას საზოგადოების კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებულ დებატებში" (პუნქტი 106) (იხ. სხვა მნიშვნელოვან საქმეებთან ერთად, *ჰანდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1976 წლის 7 დეკემბერი, §48; *სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1979 წლის 26 აპრილი, §59; *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1986 წლის 8 ივლისი, 39-41; *ობსერვერი და გარდიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1991 წლის 26 ნოემბერი, §59; *პერტელი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1998 წლის 25 აგვისტო, §46; და *სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 2005 წლის 15 თებერვალი, §87).

2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე *დუპუი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ* (განაცხადი 1914/02), რომელშიც განმცხადებლები იყვნენ ჟურნალისტები, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ სისხლის სამართლის გამოძიების საიდუმლოების გამჟღავნებისთვის, სასამართლომ განაცხადა: "როდესაც საქმე ეხება პრესას, ისევე, როგორც ამ საქმეში, შეფასების ეროვნული უფლებამოსილება კონფლიქტში მოდის დემოკრატიული საზოგადოების პრესის თავისუფლების უზრუნველყოფის და შენარჩუნების ინტერესთან. ანალოგიურად, საგულისხმო წონა უნდა მიენიჭოს ამ ინტერესს, როდესაც უნდა განისაზღვროს შეზღუდვის პროპორციულობა მისაღწევი მიზნის მიმართ, როგორც ეს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით მოითხოვება". ჩემი აზრით, სამწუხაროა, რომ დიდმა პალატამ, ამ პრინციპის განვითარებისა და გამოყენების ნაცვლად, საპირისპირო მიმართულებით აიღო გეზი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დემოკრატიულ სამყაროში მიმდინარე მოვლენები უჩვენებენ, რომ დემოკრატიული კონტროლი, თუნდაც საგარეო პოლიტიკის სფეროში, შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონფიდენციალური დოკუმენტი გამჟღავნდება და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება.

თუმცა გადაწყვეტილება არ აღიარებს დემოკრატიულ საზოგადოებაში მოცემული ჩარევის აუცილებლობას მხოლოდ დისკრეციის მიმართ ხელისუფლების ინტერესის საფუძველზე. პირიქით, გადაწყვეტილების 147-ე პუნქტში უმრავლესობა განიხილავს საკითხს, რომელიც, როგორც მე მეჩვენება, ჟურნალისტის მიმართ მის მიერ გამოთქმული კრიტიკის რეალური მიზეზია, კერძოდ, მსჯავრდებას ამართლებს "სტატიების ფორმაზე" დაყრდნობით.

გადაწყვეტილება იმეორებს, რომ მე-10 მუხლი იცავს გამოხატული მოსაზრებებისა და ინფორმაციის არსს და მათი გადმოცემის ფორმებს. "შესაბამისად, არც და არც ეროვნულ სასამართლოებს, არ შეუძლიათ ამ საკითხ-

ზე თავიანთი შეხედულებებით ჩაანაცვლონ პრესის შეხედულებები ჟურნალისტთა მიერ ინფორმაციის მიწოდების ფორმებთან დაკავშირებით” (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 146). ამ მსჯელობის შემდეგ მე მეჩვენება, რომ უმრავლესობა საკუთარ თავს ეწინააღმდეგება როდესაც მომდევნო პუნქტში აცხადებს: “თუმცა სასამართლო, პრესის საბჭოს მსგავსად, სტატიების გამოქვეყნების ფორმასთან დაკავშირებით რამდენიმე ხარვეზზე მიუთითებს”. გადაწყვეტილებაში მოცემული არ არის თუ რას ეფუძნება ეს საოცარი “თუმცა”, რომელსაც გაკიცხვის ელემენტი შემოაქვს ჟურნალისტის მიერ არჩეული ფორმის მიმართ და სასამართლოს უბიძგებს ჟურნალისტური ეთიკის მიმართ კერძო ორგანოსაგან სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავოს. გარდა ამისა, უმრავლესობა საბოლოოდ რაიმე წონას არ ანიჭებს განმცხადებლის სტატიათა მიზანს, რომლებიც, როგორც ამას სასამართლო 123-ე პუნქტში თავად აღიარებს, ნათლად უკავშირდებოდა ელჩის მიერ მრავალი ეპიზოდის წინააღმდეგობრივ განხილვას, განსაკუთრებით — მოუკითხავი აქტივების საკითხს, რომლებიც ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ჰქონდათ შეტანილი შვეიცარიის ბანკის ანგარიშებზე. ამ საკითხმა აშკარად უჩვენა ამ სტატიათა უკანა მხარე, თუმცა მათი სამიზნე აშკარად იყო პიროვნება, ასევე თვისებები და მიდგომები ელჩისა, რომელიც მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. ჩემი აზრით, გადაწყვეტილება გარკვეულ ხაფანგშია მომწყვდეული, რადგან შიდასახელმწიფო დონეზე სისხლის სამართლის საქმე წარიმართა კონფიდენციალური დოკუმენტის გამჟღავნებისთვის და არა ცილისწამების საფუძველზე, რომელიც არც ერთ ეტაპზე არ განხილულა (იხ. გადაწყვეტილების 152-ე პუნქტი).

თუმცა ეს საქმე დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივ დევნასთან მხოლოდ ოფიციალური მოსაზრებების გამოქვეყნების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.

ნება მომეცით მიუზღუნდე ჩემს დასკვნას. მე მიმაჩნია, რომ გადაწყვეტილების 136-ე მუხლში მითითებული ხელისუფლების ინტერესი საკმარისი არ არის ჟურნალისტის თავისუფლების გადასაწონად ამ საქმეში. სტატიათა შესწავლა და მათი ფორმის მიმართ გამოთქმული კრიტიკა მე გადაჭარბებულად მკაცრი მეჩვენება, რადგან ჟურნალისტის კომენტარები ელჩზე იყო ფოკუსირებული (მას ამის შესახებ საყვედური არ გამოუთქვამს). ნებისმიერ შემთხვევაში, მე მიმაჩნია, რომ უმრავლესობის კრიტიკა განმცხადებლის სტატიების მიმართ სასამართლოს პერსპექტივიდან რელევანტური არ არის.

ამ საქმეში დაკისრებულ ჯარიმასა და ჟურნალისტური თავისუფლების განხორციელებაზე მის შესაძლო უარყოფით გავლენასთან დაკავშირებით მე ვეთანხმები პალატის დასკვნებს და ასევე ზემოთ ციტირებული დუპუის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების დასკვნებს.

სასამართლო თანმიმდევრულად აცხადებდა, რომ თავისუფლება ფართოდ უნდა განიშარტოს, ხოლო ნებისმიერი შეზღუდვა, მისგან განსხვავებით, საკმაოდ ვიწრო ფარგლებში უნდა იქნეს გამოყენებული. ამ სახელმძღვანელო პრინციპის შუქზე მე მიმაჩნია, რომ სასამართლოს უნდა დაედგინა დარღვევა გამოხატვის თავისუფლების უფლებისა.

ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ

Tatishvili v. Russia

ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი სეჰცია
საქმე ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ

CASE OF TATISHVILI v. RUSSIA

(განაცხადი 1509/02)

ბაღანუვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 22 თებერვალი

საბოლოო

09/07/2007

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე “ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ”,
(*Tatishvili v. Russia*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (პირველი სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი კ.ლ. როზაკისი, *თავმჯდომარე*,
ბ-ნი ლ. ლუკაიდესი,
ქ-ნი ბ. ვაჯიჩი,
ბ-ნი ა. კოვლერი,
ქ-ნი ა. სტეინერი,
ბ-ნი კ. შაჯიევი,
ბ-ნი ს.ე. იებენსი, *მოსამართლეები*,
და ბ-ნი ს. ნილსენი, *სექციის მდივანი*,

მოითათბირა 2007 წლის 1 თებერვალს და
იმავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (1509/02) რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შემოტანილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე ქ-ნი ლარისა არტემის ასული ტატიშვილის ("განმცხადებელი") მიერ 2001 წლის 21 დეკემბერს.

2. განმცხადებელს, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იურიდიული დახმარებით, სასამართლოში წარმოადგენდა მოსკოვში მოღვაწე ადვოკატი, ბ-ნი ე. ბობროვი. რუსეთის მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა ბ-ნი ლაპტევი, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

3. განმცხადებელი, კერძოდ, ჩიოდა შერჩეულ მისამართზე დარეგისტრირებაზე თვითნებური უარის და მისი საჩივრის მიმართებით არასამართლიანი სასამართლო განხილვის შესახებ.

4. 2004 წლის 7 ივნისს თავმჯდომარემ ნება დართო მოსკოვში დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაცია "მემორიალს", სამართალწარმოებაში ჩართულიყო, როგორც მესამე მხარე.

5. 2005 წლის 20 იანვრის დადგენილებით სასამართლომ განცხადი ნაწილობრივ დასაშვებად გამოაცხადა.

6. არსებით მხარესთან დაკავშირებით მოსაზრებები წარმოადგინა განმცხადებელმა, მაგრამ არა მთავრობამ (ნესი 59 § 1).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

7. განმცხადებელი დაიბადა 1939 წელს, თბილისში, საქართველოში. იგი იყო ყოფილი სსრკ-ის მოქალაქე და ამ მოქალაქეობას 2000 წლის 31 დეკემბრამდე ინარჩუნებდა; ამის შემდეგ იგი მოქალაქეობის არმქონე პირი გახდა. განმცხადებელი ცხოვრობს მოსკოვში.

8. 2000 წლის 25 დეკემბერს განმცხადებელმა მიმართა მოსკოვის "ფილიევსკი პარკის" პოლიციის საპასპორტო განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციისათვის. მან წარადგინა სსრკ-ის პასპორტი, ბინის მესაკუთრის მიერ ხელმოწერილი თანხმობა, რომელსაც ადასტურებდა საბინაო-კომუნალური განყოფილება, განცხადება საცხოვრებელ ადგილის მიხედვით რეგისტრაციის შესახებ, კომუნალური გადასახადების ქვითრები და ამონაწერი საბინაო წიგნიდან.

9. საპასპორტო განყოფილების დირექტორმა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის განცხადების წარმოებაზე უარი განაცხადა. მან განმცხადებელს უთხრა, რომ რეგისტრაციაში ვერ გაატარებდნენ, რადგან იგი ბინის მესაკუთრის ნათესავი არ იყო.

10. განმცხადებელი დაჟინებით ითხოვდა წერილობით უარს. მას მისცეს დაბეჭდილი ფორმა, რომელშიც აღნიშნული იყო: "სრულად ვერ წარმოადგინა დოკუმენტები". რომელი დოკუმენტები აკლდა, დაკონკრეტებული არ ყოფილა.

11. 2001 წლის 15 იანვარს განმცხადებელმა რეგისტრაციაზე უართან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა ქალაქ მოსკოვის დოროგომილოვსკის რაიონულ სასამართლოში. იგი აცხადებდა, რომ არ არსებობდა რაიმე იურიდიული საფუძველი მისი უფლების შესაზღუდავად, დარეგისტრირებულიყო მობინადრედ ბინაში, რომელიც მას ამ მიზნით ბინის მესაკუთრემ შესთავაზა, ხოლო რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ ორგანოს არ ჰქონდა დისკრეციული უფლება რეგისტრაციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, თუ მსურველი სათანადო დოკუმენტებს წარადგენდა.

12. 2001 წლის 12 თებერვალს საპასპორტო განყოფილების დირექტორმა განმცხადებლის საჩივარზე თავისი მოსაზრებები წარმოადგინა. იგი მიუთითებდა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა მინიჭებული რუსეთის მოქალაქეობა და რომ იგი წარმოშობით საქართველოდან იყო. საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში შესასვლელად სათანადო ვიზა მოეთხოვებოდათ, რომელიც განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა და, ნებისმიერ შემთხვევაში, უცხოეთის მოქალაქეთა რეგისტრაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი სავიზო განყოფილებების კომპეტენციაში შედიოდა.

13. 2001 წლის 13 თებერვალს მოსკოვის დოროგომილოვსკის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის სარჩელზე განჩინება მიიღო. ბინის მესაკუ-

თრის წარმომადგენელმა სასამართლოს განუცხადა, რომ განმცხადებელი ამ ბინაში 2000 წლიდან ცხოვრობდა და რომ მესაკუთრეს რეგისტრაციასთან დაკავშირებით არაფერი არ ჰქონდა სანინალმდეგო. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მან ეს გადანყევტილება ორი მიზეზით ახსნა.

14. პირველი, სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო და საბინაო კოდექსების დებულებებზე, რომლებიც არეგულირებენ ოჯახის წევრების და სხვა პირების მიერთებას მუნიციპალურ-საიჯარო ხელშეკრულებებთან და ხაზი გაუსვა ნათესაური კავშირის არარსებობას განმცხადებელსა და ბინის მესაკუთრეს შორის. ამ დებულებათა საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ საკითხი უნდა განხილულიყო არა როგორც საჩივარი დარეგისტრირებაზე სახელმწიფო ოფიციალური პირის უარის შესახებ, არამედ როგორც სამოქალაქო სარჩელი ბინაში განმცხადებლის შესახლების უფლების განსაზღვრის მიზნით.

15. მეორე, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა, რომ იგი რუსეთის მოქალაქე იყო ან რომ განზრახული ჰქონდა მისი მოქალაქეობის მოპოვება, და მიუთითა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული "ხელშეკრულებით" ორ ქვეყანას შორის მოქალაქეთა გადაადგილება სავიზო რეჟიმზე იყო დაფუძნებული.

16. სასამართლოს გადანყევტილებაში შემდეგი დასკვნა იყო გაკეთებული:

"ვინაიდან განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა მოცემულ ბინაში მისი გადასვლის უფლების, მისი მოქალაქეობის და რუსეთის ფედერაციაში მისი კანონიერი შემოსვლის დამადასტურებელი ინფორმაცია, სასამართლომ, შესაბამისად, მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა."

17. 2001 წლის 5 მარტს მოსკოვის დოროგომილოვსკის რაიონულმა სასამართლომ დაადასტურა გარკვეული შესწორებები სხდომის ოქმში, როგორც ეს განმცხადებლის წარმომადგენელმა განაცხადა. კერძოდ, ოქმში ასახული უნდა ყოფილიყო განმცხადებლის მოსაზრება, რომ მუნიციპალურ-საიჯარო დებულებები მის სიტუაციას არ მიესადაგებოდა და რომ წარდგენილი იყო ბინის მესაკუთრის თანხმობა მის მობინადრობასთან დაკავშირებით.

18. 2001 წლის 19 მარტს განმცხადებლის წარმომადგენელმა სააპელაციო სარჩელი შეიტანა, კერძოდ, იგი აცხადებდა, რომ რაიონულმა სასამართლომ არასწორად მიუთითა განმცხადებლის საქართველოს მოქალაქეობაზე და რუსეთის ფედერაციაში შესასვლელად ვიზის მოთხოვნაზე, რადგან განმცხადებელი არასდროს არ ყოფილა საქართველოს მოქალაქე და, ნებისმიერ შემთხვევაში, ბინადრობის მარეგულირებელი აქტები თანაბრად ეხებოდა ყველა პირს, ვინც კანონიერად ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში, მისი მოქალაქეობის მიუხედავად. მან მიუთითა, რომ რაიონულმა სასამართლომ ვერ წამოაყენა რაიმე არგუმენტი განმცხადებლის საცხოვრებლის არჩევის უფლების შეზღუდვის დასაბუთებლად. იგი ასევე აცხადებდა, რომ რაიონული სასამართლოს მითითება საიჯარო დებულებებზე არ იყო იურიდიული ძალის მქონე, რადგან ბინის მესაკუთრეს ჰქონდა აბსოლუტურად ცხადი სტატუსი ბინასთან მიმართებით და არ შეიძლებოდა სადავო გამხდარიყო განმცხადებლის ამ ბინაში გადასვლა, რადგან მას ჰქონდა ბინის მესაკუთრის ერთმნიშვნელოვანი თანხმობა.

19. 2001 წლის 2 აგვისტოს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა გადანყევტილება. მან გაიმეორა რაიონული სასამართლოს დასკვნები, რომ განმცხადებლის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო იმის გამო, რომ მან ვერ დაადასტურა რუსეთის მოქალაქეობა ან თავისი განზრახვა მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებით, ასევე იმიტომ, რომ ვერ წარადგინა მოცემულ ბინაში მისი გადასვლის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები. საქალაქო სასამართლომ არ განიხილა განმცხადებლის წარმომადგენლის მიერ სააპელაციო საჩივარში წამოყენებული არგუმენტები.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფო კანონი და პრაქტიკა

ა. რუსეთის ფედერაციის 1993 წლის 12 დეკემბრის კონსტიტუცია

20. მე-19 მუხლი უზრუნველყოფს ყველას თანასწორობას კანონის და კანონიერად შექმნილი სასამართლოს წინაშე, ასევე უფლებათა და თავისუფლებათა თანასწორობას.

21. 27-ე მუხლი უზრუნველყოფს, რომ ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, აქვს თავისუფალი მიმოსვლის და გაჩერების, ან საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

22. 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ რუსეთის ფედერაციაში უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა ფედერალური კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, რომლის მონაწილე მხარეა რუსეთის ფედერაცია.

ბ. კანონი რუსეთის მოქალაქეობისა და ყოფილი სსრკ-ის მოქალაქეთა სტატუსის შესახებ

23. საქმესთან დაკავშირებულ დროს რუსეთის მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა აქტით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ (1991 წლის 28 ნოემბრის კანონი 1948-ს, შესწორებული 1995 წლის თებერვალში), რომელიც ადგენდა, რომ ყოფილი სსრკ-ის ყველა მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა რუსეთში 1992 წლის 6 თებერვალს (კანონის ძალაში შესვლის დღეს), ავტომატურად მოიპოვებდა რუსეთის მოქალაქეობას, თუ საწინააღმდეგოს არ განაცხადებდა 1993 წლის 6 თებერვლამდე. რუსეთში პირის მუდმივად მცხოვრებად დადგენის საფუძვლად მიიჩნეოდა ჩანერის (*propiska*) შტამპი (მცხოვრების შიდა რეგისტრაცია) მის სსრკ-ის პასპორტში. კანონის მე-18 განყოფილების (გ) და (h) პუნქტები რუსეთის მოქალა-

ქეობის მოსაპოვებლად გამარტივებულ პროცედურას ("რეგისტრაციის მეშვეობით") უზრუნველყოფდა ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც რუსეთში ჩავიდნენ 1992 წლის 6 თებერვლის შემდეგ და რუსეთის მოქალაქეობის მიღების სურვილი გამოთქვეს 2000 წლის 31 დეკემბრამდე.

24. 1992 წლის 10 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე დაამტკიცა დებულება რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის საკითხის განხილვის შესახებ (ბრძანება 386, შემდგომში "1992 წლის დებულება"). აღნიშნული დოკუმენტის მე-2 განყოფილების მე-5 პუნქტი აცხადებდა, რომ ცნება "ყოფილი სსრკ-ის მოქალაქე" ეხებოდა მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც მოპოვებული არ ჰქონდათ რომელიმე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომელიც ადრე სსრკ-ის შემადგენლობაში შედიოდა. იგივე განყოფილება ადგენდა, რომ 2000 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ყოფილი სსრკ-ის ყველა მოქალაქე, რომელსაც არ ექნებოდა მოპოვებული რუსეთის ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, მოქალაქეობის არმქონე პირად იქნებოდა მიჩნეული.

25. 2002 წლის აგვისტომდე უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსს არეგულირებდა სსრკ-ის კანონი სსრკ-ში უცხოელ მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ (5152-X, 1981 წლის 24 ივნისი, 1996 წლის 15 აგვისტოს შესწორებული ვარიანტი, შემდგომში "1981 წლის სსრკ-ის კანონი"). 32-ე განყოფილების საფუძველზე მისი დებულებები ასევე მიესადაგებოდა მოქალაქეობის არმქონე პირებს.

26. 1991 წლის 26 აპრილს, 1981 წლის სსრკ-ის კანონის განხორციელების ფონზე, მინისტრთა კაბინეტმა მიიღო რეზოლუცია 212, რომლითაც დაამტკიცა დებულება სსრკ-ში უცხოელ მოქალაქეთა გაჩერების შესახებ (შემდგომში, "1991 წლის დებულება"). დებულებაში ჩამოყალიბებული წესები ასევე მიესადაგებოდა მოქალაქეობის არმქონე პირებს და აღწერდა რუსეთში შესვლისა და ცხოვრების, დროებით და მუდმივად ცხოვრების დოკუმენტების მოპოვების და სხვა პროცედურებს.

ბ. ქართული მოქალაქეებისთვის ვიზის მოთხოვნა

27. 1992 წლის 9 ოქტომბერს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ-ის) წევრმა ცხრა სახელმწიფომ, რუსეთის ფედერაციის ჩათვლით, ბიშკეკში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე ამ სახელმწიფოთა მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის შესახებ (შემდგომში "ბიშკეკის ხელშეკრულება"). საქართველო ბიშკეკის ხელშეკრულებას 1995 წლის 1 აგვისტოს მიუერთდა.

28. 2000 წლის 4 სექტემბერს რუსეთის ფედერაციამ ბიშკეკის ხელშეკრულების დენონსაცია მოახდინა, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 3 დეკემბერს. ვინაიდან რუსეთსა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლის ორმხრივი ხელშეკრულება არ არსებობდა, საქართველოს მოქალაქეებს 2000 წლის 5 დეკემბრიდან რუსეთში შესასვლელად ვიზა მოეთხოვებოდათ.

დ. დეზულაგები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის შესახებ

29. 1993 წლის 25 ივნისს რუსეთმა მიიღო კანონი რუსეთის ფედერაციაში რუსეთის მოქალაქეთა თავისუფალი მიმოსვლისა და დროებითი და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის შესახებ (5242-1, შემდგომში "1993 წლის კანონი"). 1-ლი განყოფილება უზრუნველყოფდა რუსეთის მოქალაქეთა თავისუფალ მიმოსვლას და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევას და კანონის გამოყენებას ავრცელებდა რუსეთის მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომლებიც კანონიერად ცხოვრობდნენ რუსეთის ტერიტორიაზე. მე-3 და მე-7 განყოფილებები პირისგან მოითხოვდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში შეიდი დღის განმავლობაში ახალ მისამართზე დარეგისტრირებას. მე-8 განყოფილებაში მოცემული იყო იმ ტერიტორიათა ამომწურავი ნუსხა, სადაც ეს უფლება შეიძლება შეზღუდულიყო (სამხედრო დასახლებები, ეკოლოგიურად საშიში ზონები და სხვა).

30. 1993 წლის კანონის განხორციელების მიზნით 1995 წლის 17 ივლისს რუსეთის მთავრობამ დაამტკიცა დებულება რუსეთის მოქალაქეთა დროებითი და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის შესახებ (713). მთავრობის 1997 წლის 12 მარტის 290 რეზოლუციის შესაბამისად, ამ დებულების გამოყენება გავრცელდა ყოფილი სსრკ-ის მოქალაქეებზე, რომლებიც დსთ-ის და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებიდან ჩამოდიოდნენ. დებულების მე-9 განყოფილება ზოგად ვალდებულებას ადგენდა ნებისმიერ რეგისტრაციასთან დაკავშირებით ნებისმიერ მისამართზე, სადაც პირი ათ დღეზე მეტი ხნით აპირებდა დარჩენას. პირს მოეთხოვებოდა, რეგისტრაციის შესახებ განცხადება შეეტანა გადასვლიდან სამ დღეში და წარედგინა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, განცხადების ფორმა და მოცემულ მისამართზე ცხოვრების იურიდიული საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი (როგორცაა იჯარის კონტრაქტი ან ბინის მესაკუთრის თანხმობა). დებულების მე-12 განყოფილება, იმ რედაქციით როგორც მას საქმესთან დაკავშირებულ დროს ჰქონდა, ადგენდა, რომ პირის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა დასაშვებია იყო, თუ განმცხადებელი ვერ წარადგენდა წერილობით თანხმობას ან აშკარად ყალბ დოკუმენტებს წარადგენდა; უარის თქმის საფუძვლები ამომწურავად იყო ჩამოთვლილი.

31. 1998 წლის 2 თებერვალს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ დებულებიდან ამორიცხა გარკვეული მუხლები, რომლებიც რუსეთის კონსტიტუციას არ შეესაბამებოდა. კერძოდ, მან დაადგინა, რომ:

"... რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი ორგანოები უფლებამოსილი არიან მხოლოდ დაადასტურონ მოქალაქის მიერ თავისუფლად გამოხატული ნება ... საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევასთან დაკავშირებით. ამ მიზნით სარეგისტრაციო სისტემა არ უნდა იყოს დაფუძნებული ნებართვაზე და იგი არ უნდა ინვევდეს მოქალაქის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, თავი-

სუფლად აირჩიოს ... თავისი საცხოვრებელი ადგილი. ამრიგად, თავისი არსით, სარეგისტრაციო სისტემა, რომელიც რუსეთის კონსტიტუციის შესაბამისია, არის უბრალოდ საშუალება... ადამიანთა დათვლისა რუსეთის ფედერაციაში, ... ეფუძნება შეტყობინებას და ასახავს დროებით ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ფაქტს."

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირადობის მონმობის და არჩეულ მისამართზე პირის ცხოვრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ რეგისტრაციის ორგანოს უფლება არა აქვს უარი თქვას მითითებულ მისამართზე პირის დარეგისტრირებაზე. სხვა დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნამ შეიძლება გამოიწვიოს "მოქალაქის უფლებების პარალიზება". ამ საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სარეგისტრაციო ორგანოები არ იყვნენ უფლებამოსილი შეემონმებინათ წარმოდგენილი დოკუმენტების ავთენტურობა ან მათი შესაბამისობა რუსეთის კანონებთან, და, შესაბამისად, უარის ნებისმიერი ასეთი საფუძველი არაკონსტიტუციური იყო.

ე. სანქციები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დარეგისტრირების წესების დარღვევისასთვის

32. 1997 წლის 9 ივლისს მოსკოვის მთავრობამ მიიღო კანონი რუსეთში ვიზის გარეშე შემოსვლის უფლების მქონე უცხოელ მოქალაქეთა მოსკოვში ცხოვრების პირობების შესახებ (33). კანონი ეხებოდა უცხოელ მოქალაქეებს დსთ-დან და მოქალაქეობის არმქონე პირებს. იგი პირებისაგან, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები არ იყვნენ, მოითხოვდა დარეგისტრირებას შემოსვლიდან სამ დღეში (თუ ისინი ათ დღეზე მეტი ხნით რჩებოდნენ). კანონის მე-10 განყოფილება ადგენდა, რომ პირები, რომლებიც მოსკოვში შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე 10 დღეზე მეტ ხანს ცხოვრობდნენ, დაჯარიმდებოდნენ 500-მდე რუსული რუბლით (დაახლოებით 20 ევრო 2001 წელს), ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში – 2000-მდე რუსული რუბლით (80 ევრო). იგივე ჯარიმა შეიძლება დაკისრებოდა ბინის მესაკუთრეს, რომელიც რუსეთის არამოქალაქეს შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე მის კუთვნილ ბინაში ცხოვრების უფლებას მისცემდა.

III. ევროპის საბჭოს შესაბამისი დოკუმენტები

33. რეზოლუცია 1277 (2002) რუსეთის ფედერაციის მიერ ვალდებულებათა შესრულების შესახებ, რომელიც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2002 წლის 23 აპრილს მიიღო, შესაბამის განყოფილებაში მიუთითებდა:

"8. თუმცა ასამბლეას აშფოთებს ძირითად ვალდებულებათა რაოდენობა, რომელთა შესრულების მიმდინარეობა არასაკმარისია და რომელთა შესრულება რუსეთის ხელისუფლებისაგან შემდგომ მოქმედებებს მოითხოვს:

...

xii. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერალურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ძველი *პროპისკის* (შიდა რეგისტრაცია) სისტემის გაუქმების კუთხით, ასამბლეა წუხს, რომ კვლავ ძალაშია რეგისტრაციის შემზღუდველი მოთხოვნები, რომლებიც ხშირად დისკრიმინაციულია ეთნიკურ უმცირესობის ნიშნით. აქედან გამომდინარე, ასამბლეა კვლავ იმეორებს თავის მონოდებას, რომელიც მან 1544 (2001) რეკომენდაციაში გააკეთა, რომლითაც შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებდა, 'დეტალურად გადაეხედათ ეროვნული კანონებისა და პოლიტიკისთვის, რათა აღმოეფხვრათ ნებისმიერი დებულება, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა შიდა საზღვრებში თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლების განხორციელებაში'..."

სამართალი

I. მე-4 ოქმის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

34. განმცხადებელი ჩიოდა მის მიერ არჩეულ მისამართზე დარეგისტრირებაზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების თვითნებური უარის გამო, რითაც მნიშვნელოვნად გართულდა მისი ყოველდღიური ცხოვრება და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. სასამართლომ გადანიშნა ეს საჩივარი შეესწავლა მე-4 ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, რომლის შესაბამისი დებულებები აცხადებს:

"1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს უფლება ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებისა.

...

3. დაუშვებელია ამ უფლებათა განხორციელებაზე რაიმე შეზღუდვის დანერგვა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

4. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები გარკვეულ ადგილებში ასევე შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომლებიც დანერგულია კანონის შესაბამისად და გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ინტერესით."

ა. მე-4 ოქმის მე-2 მუხლის გამოყენება

1. მხარეთა მოსაზრებები

35. მთავრობა არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ადგილი ჰქონდა თავისუფალი მიმოსვლის უფლების დარღვევას, რადგან განმცხადებლის რუსეთის ფედერაციაში ყოფნა არ იყო კანონიერი. იგი აცხადებდა, რომ განმცხადებელს, რომელიც ჩამოვიდა საქართველოდან, არაფერი არ გაუკეთებია იმისთვის, რომ დაედგინა თავისი მოქალაქეობა და კანონიერი გაეხადა მისი რუსეთში ცხოვრება — მისი საქართველოს მოქალაქეობის დადასტურებით ან რუსეთის მოქალაქეობის მოთხოვნით. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის სიტუაცია რეგულირდებოდა სსრკ-ის 1981 წლის კანონით სსრკ-ში უცხოელ მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ და 1991 წლის დებულებით სსრკ-ში უცხოელ მოქალაქეთა გაჩერების შესახებ. 1981 წლის სსრკ-ის კანონის მე-5 და 32-ე განყოფილებების შესაბამისად, განმცხადებელს, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირს, უნდა მოეპოვებინა ცხოვრების უფლება შინაგან საქმეთა განყოფილებიდან. მთავრობა იმავდროულად აცხადებდა, რომ 2000 წლის 5 დეკემბრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ განმცხადებელი რუსეთში კანონიერ მცხოვრებად მიჩნეული იქნებოდა მხოლოდ 2000 წლის 25 დეკემბერს, თუ იგი მის ეროვნულ პასპორტში არსებული მოქმედი ვიზის საფუძველზე გადააკეთდა საქართველო-რუსეთის საზღვარს.

36. განმცხადებელმა გააკრიტიკა მთავრობის არგუმენტები, როგორც ურთიერთგამომრიცხავი და არათანმიმდევრული. შესაბამისად, მას არ მოეთხოვებოდა რუსეთში შესვლის ვიზა, როგორც საქართველოს მოქალაქეს. ნებისმიერ შემთხვევაში, მას არ გადაუკვეთია რუსეთის საზღვარი 2000 წელს ან მოგვიანებით. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტების დაყრდნობას 1981 წლის სსრკ-ის კანონზე და 1991 წლის დებულებაზე, ამ კანონის 1-ლი განყოფილება აცხადებდა, რომ იგი არ ეხებოდა სსრკ-ის მოქალაქეებს, რომლის სტატუსსაც განმცხადებელი ინარჩუნებდა, და, ამრიგად, მის სიტუაციას არ მიესადაგებოდა. ფაქტობრივად, უცხოელ მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ 2002 წლის 25 ივნისის ახალი კანონის მიღებამდე რუსეთში არ არსებობდა კანონმდებლობა, რომელიც ყოფილი სსრკ-ის მოქალაქეებს რუსეთში კანონიერად ცხოვრების უფლების მოპოვების ვალდებულებას დააკისრებდა. ამრიგად, საქმესთან დაკავშირებულ დროს იგი კანონიერად იმყოფებოდა რუსეთში.

37. მესამე მხარემ წარმოადგინა, რომ სულ მცირე 1997 წლის 12 მარტს მთავრობის მიერ 290 რეზოლუციის (იხ. ზემოთ, პუნქტი 30) მიღების შემდეგ რუსეთის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლის უფლებით სარგებლობის პირობებზე ერთნაირი იყო რუსეთის მოქალაქეებისთვის და ყოფილი სსრკ-ის მოქალაქეებისთვის, ანუ, რუსეთში ყოფილი სსრკ-ის მოქალაქეთა ყოფნა (საცხოვრებელად ადგილზე დარეგისტრირების გარეშე) კანონიერად მიიჩნეოდა. ყოფილი სსრკ-ის მოქალაქეთა სტატუსის აღიარება რუსეთის ფედერაციაში მხოლოდ 2000 წლის 31 დეკემბერს შეწყდა. ამ დღის შემდეგ ისინი უნდა განხილულიყ.

ყვენ, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირები, და იმავე რეჟიმს უნდა დაქვემდებარებოდნენ, როგორიც უცხოელი მოქალაქეებისთვის იყო დაწესებული. მესამე მხარემ აღნიშნა, რომ 2002 წლის 1 ნოემბრამდე რუსეთის კანონმდებლობაში არ არსებობდა დროებითი ცხოვრების ნებართვის ცნება, ხოლო მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დარეგისტრირება თავისი ბუნებით ასეთ ნებართვად არ შეიძლება მიჩნეულიყო. რეგისტრაციის მოთხოვნის შეუსრულებლობას შეიძლება ჯარიმა მოჰყოლოდა, მაგრამ იგი *per se* ზემოქმედებას არ ახდენდა რუსეთში ყოფილი სსრკ-ის მოქალაქეთა ცხოვრების კანონიერებაზე.

2. სასამართლოს შეფასება

38. მე-4 ოქმის მე-2 მუხლი თავისუფალი მიმოსვლის და საცხოვრებელი ადგილი თავისუფლად არჩევის უფლებას უზრუნველყოფს ყველასთვის, ვინც “კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე”. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებელი არ მიეკუთვნებოდა ამ კატეგორიას, რადგან მას არ ჰქონდა ცხოვრების უფლება და ქვეყანაში შესვლის ვიზა.

39. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ წამოყენებული არგუმენტები არ ქმნის თავდაპირველი ადმინისტრაციული დადგენილების საფუძველს, რომლითაც განმცხადებელს უარი უთხრეს დოკუმენტთა არასრული პაკეტის წარდგენის გამო (იხ. ზემოთ, პუნქტი 10). პრეტენზია, რომ განმცხადებელს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ქვეყანაში შესვლის ვიზა უნდა ჰქონოდა, პირველად განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებულ კომენტარებში გამოჩნდა და შემდეგ მას მხარი ადგილობრივმა სასამართლოებმა დაუჭირეს (იხ. ზემოთ, მე-12 და შემდგომი პუნქტები).

40. რუსეთის ხელისუფლების განცხადებასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, რუსეთის ვიზა უნდა ჰქონოდა, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელს შენარჩუნებული ჰქონდა სსრკ-ის მოქალაქეობა. იგი უარყოფდა, რომ ოდესმე ჰქონდა საქართველოს მოქალაქეობა. რუსეთის ხელისუფლების ორგანოებს არც შიდასახელმწიფო პროცესებზე და არც სასამართლოში არ წარმოუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რომელიც გაამყარებდა მათ განცხადებას განმცხადებლის საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებით. 1990-იანი წლების დასაწყისში განმცხადებლის თბილისში რეგისტრაცია ავტომატურად ვერ განსაზღვრავს მის მოქალაქეობას ვერც რუსული და ვერც ქართული კანონებით. იმის გამო, რომ მთავრობის განცხადება განმცხადებლის საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებით რაიმე მტკიცებულებაზე არ არის დაფუძნებული, რუსეთის ფედერაციის მიერ უვიზო მიმოსვლის შესახებ ბიშკეკის ხელშეკრულების დენონსაცია ზეგავლენას ვერ მოახდენდა რუსეთის ტერიტორიაზე მისი ცხოვრების კანონიერებაზე.

41. მთავრობა იმავდროულად აცხადებდა, რომ განმცხადებელი მოქალაქეობის არმქონე პირი იყო — არ მიუღია რაიმე მოქალაქეობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ — და ამიტომ მას უნდა ჰქონოდა ცხოვრების უფლება უცხოელ მოქალაქეთა შესახებ 1981 წლის სსრკ-ის კანონის შესაბამისად. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ ეს არგუმენტი მთა-

ვრობის მოსაზრებებში პირველად 2004 წლის 26 მარტს გამოჩნდა და რომ იგი არ ეყრდნობოდა რეზიდენტობის რეგისტრაციაზე უარის თქმას შიდა-სახელმწიფო პროცესებზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს ეს არ-გუმენტი დამაჯერებლად არ მიაჩნია შემდეგი მიზეზებით.

42. 2000 წლის 31 დეკემბრამდე პირებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი რომელიმე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქეობა, რუსეთის ფედერაციაში მინიჭებული ჰქონდათ სპეციალური იურიდიული სტატუსი, კერძოდ, "ყოფილი სსრკ-ის მოქალაქე". ისინი მოქალაქეობის არმქონე პირები მხოლოდ იმ თარიღის (იხ. ზემოთ, პუნქტი 24) შემდეგ გახდნენ. განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ხოლო მთავრობამ სანაწილმდეგოს დამამტკიცებელი დასაბუთება ვერ წარმოადგინა. აქედან გამომდინარეობს, რომ საქმესთან დაკავშირებულ დროს, 2000 წლის დეკემბრის დასაწყისში, მას არ ეხებოდა ცხოვრების უფლების მოთხოვნა, რომელიც დადგენილი იყო 1981 წლის სსრკ-ის კანონით, რომელიც უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსს არეგულირებდა, რამეთუ იგი არც უცხოელი მოქალაქე იყო და არც მოქალაქეობის არმქონე პირი (იხ. ზემოთ, პუნქტი 25). ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც 1993 წლის კანონი თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის შესახებ, ისე მთავრობის 1997 წლის 12 მარტის რეზოლუცია ადგენდა, რომ "ყოფილი სსრკ-ის მოქალაქეთა" საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრაციის პროცედურა იგივე უნდა ყოფილიყო, როგორც რუსეთის მოქალაქეებისთვის იყო (იხ. ზემოთ, პუნქტი 29).

43. ვინაიდან დადგინდა, რომ მთავრობის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის რუსეთში ყოფნა უკანონო იყო, მოკლებულია სამართლებრივ და/ან ფაქტობრივ საფუძველს, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელი, რომელიც საქმესთან დაკავშირებულ დროს იყო "ყოფილი სსრკ-ის მოქალაქე", კანონიერად იმყოფებოდა რუსეთში.

აქედან გამომდინარე, მე-4 ოქმის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი წარმოდგენილ საქმეს მიესადაგება.

ბ. შესაბამისობა მე-4 ოქმის მე-2 მუხლთან

1. ჩარევის არსებობა

44. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ საცხოვრებელ ადგილზე დარეგისტრირება რუსეთის ფედერაციაში ცხოვრების დამადასტურებელია და მისი არარსებობა მრავალი სოციალური უფლების განხორციელებას უშლის ხელს, სამედიცინო მომსახურების, სოციალური დაზღვევის, ხანდაზმულობის პენსიის, საკუთრების ფლობის, ქორწინების და სხვა უფლებების ჩათვლით.

45. სასამართლო იმეორებს, რომ მან დაადგინა, რომ პოლიციისთვის შეტყობინების მოთხოვნა, რამდენჯერაც განმცხადებლებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა მოუხდებოდათ ან ოჯახის მეგობართა მო-

ნახულებას გადანყვევდნენ, მათი თავისუფალი მიმოსვლის უფლებაში ჩარევას ავლენს (იხ. დენიზჩი და სხვები კვიპროსის წინააღმდეგ, 25316 – 25321/94 და 25207/95, §§346-347 და 403-404, 200-V, და *ბოლათი რუსეთის წინააღმდეგ*, 14139/03 §65, 2006 წლის 5 ოქტომბერი).

46. ამ საქმეში განმცხადებელს კანონით მოეთხოვებოდა, თავისი საცხოვრებელი ადგილი პოლიციაში დაერეგისტრირებინა გადასვლიდან სამი დღის განმავლობაში (იხ. ზემოთ, პუნქტი 30). ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ მის მიერ არჩეულ საცხოვრებელ ადგილზე დარეგისტრირებაზე უარის თქმით იგი ადმინისტრაციულ სანქციებსა და ჯარიმას დაექვემდებარა (იხ. ზემოთ, პუნქტი 32). შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოხდა განმცხადებლის თავისუფალი მიმოსვლის უფლებაში ჩარევა მე-4 ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე.

2. ჩარევის დასაბუთება

47. სასამართლომ ასევე უნდა განსაზღვროს, იყო თუ არა სადავო ჩარევა დასაბუთებული. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ შემოფოთება გამოხატა რუსეთში ცხოვრების დარეგისტრირების შემზღვეველი სისტემის არსებობასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ, პუნქტი 33). თუმცა იგი კვლავ იმეორებს, რომ სასამართლოს ამოცანა არის არა შესაბამისი კანონის და პრაქტიკის ინ აბსტრაქტო განხილვა, არამედ კონკრეტულ საქმეში მათი გამოყენების ფორმამ გამოიწვია თუ არა დარღვევა. შესაბამისად, წარმოდგენილ საქმეში სასამართლომ უნდა დაადგინოს, განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებაში ჩარევა იყო თუ არა "კანონის შესაბამისი", ემსახურებოდა თუ არა მე-4 ოქმის მე-3 პუნქტში მოცემულ ერთ ან რამდენიმე კანონიერ მიზანს, იყო თუ არა აუცილებელი "დემოკრატიულ საზოგადოებაში", ან იქ სადაც იგი მხოლოდ კონკრეტულ ტერიტორიას ეხება, იყო თუ არა "გამართლებული დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ინტერესებით", როგორც ეს მე-4 პუნქტითაა დადგენილი (იხ. *ტიმიშევი რუსეთის წინააღმდეგ*, 55762/00 და 55974/00, §45, ECHR 2005-...).

48. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მან წარადგინა ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის, ისეთი დოკუმენტებიც, რომლებიც კანონით არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ მოითხოვეს ადმინისტრაციული დანიშნულებისთვის. ამ გარემოებებში პოლიციას არ ჰქონდა დისკრეციული უფლება სახოვრებელ ადგილზე დარეგისტრირებაზე განმცხადებლისთვის უარი ეთქვა.

49. მთავრობას ამ ჩარევასთან დაკავშირებით რაიმე დასაბუთება არ წარმოუდგენია, გარდა განმცხადებლის რუსეთში უკანონო ცხოვრებასთან დაკავშირებული არგუმენტებისა, რომლებიც სასამართლომ ზემოთ უკვე განიხილა და უარყო.

50. სასამართლო აღნიშნავს, რომ საცხოვრებელ ადგილზე დარეგისტრირების დებულება განმცხადებლისაგან მოითხოვეს წარადგინოს განცხადის შევსებული ფორმა, რომელსაც მან უნდა დაურთოს პირადობის მოწმობა და მითითებულ მისამართზე ცხოვრების იურიდიული საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი (იხ. ზემოთ. პუნქტი 30).

51. განმცხადებელმა *ფილევსკი პარკის* საპასპორტო განყოფილებაში წარადგინა შევსებული განაცხადის ფორმა, თავისი პასპორტი და ბინის მესაკუთრის დოკუმენტი, რომელიც სათანადოდ იყო ხელმოწერილი და დამონებული და განმცხადებლის ბინაში ცხოვრებასთან დაკავშირებით მის თანხმობას გამოხატავდა, აგრეთვე რამდენიმე სხვა დოკუმენტი, რომელიც კანონით არ მოითხოვებოდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 8). მას რეგისტრაციაზე მაინც უარი უთხრეს დოკუმენტების არასრულად წარდგენის მოტივით. არავის არ დაუკონკრეტებია კანონით გათვალისწინებული რომელი დოკუმენტები აკლდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 10).

52. ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ თუ განმცხადებლის მიერ წარდგენილი განაცხადება სრულყოფილი არ იყო, ეროვნული ხელისუფლების ორგანოები ვალდებული იყვნენ აეხსნათ შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნები და განმცხადებლისთვის ნათლად მიეთითებინათ როგორ მოემზადებინა დოკუმენტები, რათა მას საცხოვრებელ ადგილზე დარეგისტრირების საშუალება მისცემოდა (იხ. *ცონევი ბულგარეთის წინააღმდეგ*, 45963/99, §55, 2006 წლის 13 აპრილი). თუმცა ეს ასე არ გაუკეთებიათ. შესაბამისად, სამართლოს მიაჩნია, რომ დარეგისტრირებაზე უარის თქმის ეს საფუძველი სათანადოდ ჩამოყალიბებული არ არის.

53. სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტულ განმარტებას, რომელიც მან 1998 წელს რეგისტრაციის შესახებ დებულებასთან დაკავშირებით გააკეთა (იხ. ზემოთ, პუნქტი 31). საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ რეგისტრაციის ორგანო ვალდებული იყო დაედგინებინა განმცხადებლის განზრახვა ეცხოვრა კონკრეტულ მისამართზე და რომ მას არ უნდა ჰქონოდა დისკრეციული უფლება შეემონებინა წარმოდგენილი დოკუმენტების ავთენტურობა ან მათი შესაბამისობა რუსეთის კანონებთან. მან განსაზღვრა, რომ უარის ნებისმიერი ასეთი საფუძველი შეუსაბამო იქნებოდა კონსტიტუციასთან. თუმცა, როგორც ჩანს, განმცხადებლის საქმეში ადგილობრივმა ორგანოებმა საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივად სავალდებულო განმარტების იგნორირება მოახდინეს.

54. ამ გარემოებებში სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების უფლებაში ჩარევა არ იყო "კანონის შესაბამისი". ამ დასკვნის საფუძველზე საჭირო აღარ არის განისაზღვროს, ემსახურებოდა თუ არა ჩარევა კანონიერ მიზანს და იყო თუ არა იგი აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში (იხ. *გარტუკაევი რუსეთის წინააღმდეგ*, 71933/01, §21, 2005 წლის 13 დეკემბერი).

შესაბამისად, დაირღვა მე-4 ოქმის მე-2 მუხლი.

II. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

55. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე განმცხადებელი ჩიოდა, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოების დასკვნები იყო თვითნებური და ფაქტების საწინააღმდეგო და რომ ისინი შიდასახელმწიფო კანონებს სათანადოდ არ შეესაბამებოდა. მე-6 მუხლი აცხადებს:

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას..., ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ...”

56. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ პროცესი სამართლიანი არ იყო, რადგან შიდასახელმწიფო სასამართლოებმა თავიანთი დასკვნები დააფუძნეს რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო მიმოსვლის “ხელშეკრულებას”, რომელიც არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ბინის მესაკუთრის წარმომადგენელმა განმცხადებლის ბინაში გადასვლაზე მესაკუთრის წერილობითი თანხმობა წარადგინა, სასამართლოები დაჟინებით აცხადებდნენ, რომ განმცხადებლის ბინაში ცხოვრების უფლება სათანადოდ არ იყო დადგენილი. მოსამართლეებმა ფაქტებს არასწორი განმარტება მისცეს, რათა მისი საჩივარი არ დაექმაყოფილებინათ.

57. მთავრობა აცხადებდა, რომ სასამართლო განხილვები სამართლიანი იყო, რადგან განმცხადებელი და მისი წარმომადგენელი მონაწილეობას ღებულობდნენ პროცესში და თავიანთი არგუმენტები წამოაყენეს განმცხადებლის მოთხოვნის დასაცავად. იარაღთა თანასწორობის პრინციპის დარღვევის რაიმე ნიშანი არ შეინიშნებოდა. განმცხადებელსა და მის წარმომადგენელს საშუალება ჰქონდათ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაესაჩივრებინათ და განცხადება შეეტანათ საზედამხედველო გადასინჯვის მოთხოვნით. ეს განცხადებები შესაბამისად იქნა შესწავლილი და არ დაკმაყოფილდა არგუმენტირებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

58. სასამართლო იმეორებს, რომ მისი დადგენილი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, რომელიც მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებასთან დაკავშირებულ პრინციპს ასახავს, სასამართლოთა გადაწყვეტილებებში სათანადოდ უნდა იყოს მოყვანილი დასაბუთება, რომელსაც გადაწყვეტილება დაეფუძნა. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი სასამართლოებს ავალდებულებს დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები, თუმცა ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის მოთხოვნა. დასაბუთების ვალდებულების ფარგლები გადაწყვეტილების ბუნების შესაბამისად იცვლება (იხ. *რუიზ ტორიხა ესპანეთის წინააღმდეგ*, 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A 303-A, §29). მაშინაც კი,

როდესაც შიდასახელმწიფო სასამართლოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული არგუმენტების და მხარეთა მოსაზრებების მხარდამჭერი მტკიცებულებების მიღების მიმართ შეფასების გარკვეული ფარგლები აქვს, ხელისუფლება ვალდებულია დაასაბუთოს თავისი საქმიანობა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლების წარმოდგენით (იხ. *სუომინენი ფინეთის წინააღმდეგ*, 37801/97, §36, 2003 წლის 1 ივლისი). დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კიდევ ერთი ფუნქცია აქვს — მხარეებს უჩვენოს, რომ მათ მოუსმინეს. გარდა ამისა, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს აძლევს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებას, ასევე სააპელაციო ორგანოს მიერ მისი გადასინჯვის საშუალებას. მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების შემთხვევაშია შესაძლებელი მართლმსაჯულების განხორციელებაზე საჯარო კონტროლის წარმოება (იხ. *mutatis mutandis*, *ჰირვისაარი ფინეთის წინააღმდეგ*, 49684/99, §30, 2001 წლის 27 სექტემბერი).

59. წარმოდგენილ საქმეში დოროგომილოვსკის რაიონული სასამართლოს და მოსკოვის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები განმცხადებლის საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შესახებ ორ საფუძველს დაეყრდნო. პირველი, მათ დაადგინეს, რომ განმცხადებელსა და ბინის მესაკუთრეს შორის არსებობდა წინააღმდეგობა ბინაში მისი გადასვლის უფლებასთან დაკავშირებით. მეორე, მათ დაასკვნეს, რომ მოცემულ ბინაში განმცხადებლის ცხოვრება შეიძლება უკანონო ყოფილიყო, რადგან რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო მიმოსვლის “ხელშეკრულება” მოითხოვდა, რომ განმცხადებელს ჰქონოდა ქვეყანაში შესვლის ვიზა.

60. შიდასახელმწიფო სასამართლოების პირველ დასკვნასთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებელმა წარადგინა ბინის მესაკუთრის წერილობითი თანხმობა ბინაში მისი შესახლების შესახებ. ბინის მესაკუთრის წარმომადგენელმა ეს თანხმობა ზეპირად დაადასტურა რაიონული სასამართლოს წინაშე. რაიონულმა სასამართლომ შესაბამისად მიუთითა, რომ ეს განცხადებები პროცესის ოქმში შეეტანათ (იხ. ზემოთ, პუნქტი 17). ეს ნიშნავს, რომ ბინის მესაკუთრის თანხმობა შიდასახელმწიფო პროცესებზე სათანადოდ იყო წარდგენილი, ხოლო მისი არსებობა აღიარა რაიონულმა სასამართლომ, რომელმაც რაიმე არგუმენტი არ წამოაყენა მისი დასკვნის გასამყარებლად რომ არსებობდა წინააღმდეგობა განმცხადებელსა და ბინის მესაკუთრეს შორის. რაიონულ სასამართლოს რაიმე საფუძველი არც იმ დასკვნასთან დაკავშირებით წარმოუდგენია, რომლითაც იგი აცხადებდა, რომ საცხოვრებლისა და სამოქალაქო კოდექსების მუნიციპალურ-საიჯარო დებულებები მიესადაგებოდა სიტუაციას, სადაც ბინის მესაკუთრეს მკაფიო იურიდიული უფლება ჰქონდა ბინაზე და სურდა იგი განმცხადებლისთვის შეეთავაზებინა.

61. შიდასახელმწიფო სასამართლოთა რუსეთ-საქართველოს სავიზო “ხელშეკრულებაზე” დაყრდნობასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მათ გამორჩათ, შეემონმებიანათ ასეთი ხელშეკრულების არსებობა. ფაქტობრივად, ვიზის მოთხოვნა საქართველოს მოქალაქეებისთვის იმ ხელშეკრულების საფუძველზე კი არ შემოუღიათ, რომელზედაც რაიონული სასამართლო მიუთითებდა, არამედ იგი იყო რუსეთის მიერ ბიშკეკის ხელშეკრულების დენონსაციის შედეგი, ხოლო რუსეთსა და საქართველოს შორის

უფიზო მიმოსვლის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება არ არსებობდა (იხ. ზემოთ, პუნქტი 28). სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ეს ხარვეზი შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ტერმინებს შორის უბრალო განსხვავებით, რადგან "ხელშეკრულება სავიზო მიმოსვლის შესახებ" შიდასახელმწიფო განხილვებზე არავის არ წარუდგენია. როგორც ჩანს, შიდასახელმწიფო სასამართლოებმა ეს მითითება საპასპორტო განყოფილების განცხადებებიდან აიღეს. გარდა ამისა, სასამართლოს ანომალიურად მიაჩნია, რომ რაიონული სასამართლო დაეყრდნო ხელშეკრულებით რეგულირებულ პირობებს საქართველოს მოქალაქეთა სახელმწიფოში შემოსვლისა და გაჩერებისათვის, მაგრამ რაიმე საფუძვლები არ წარუდგენია იმ ვარაუდის გასამყარებლად, რომ განმცხადებელი საქართველოს მოქალაქე იყო. როგორც სასამართლომ ზემოთ დაასკვნა, ამ ვარაუდის გამამყარებელი მტკიცებულება არც შიდასახელმწიფო პროცესებზე და არც მისთვის არ წარუდგენიათ.

62. რაიონული სასამართლოს არაადეკვატური დასაბუთება არც მოსკოვის საქალაქო სასამართლოს არ გამოუხსნორებია, რომელმაც უბრალოდ მოიწონა უფრო დაბალი ინსტანციის ორგანოს მიერ წარმოდგენილი საფუძვლები. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთების ასეთი ტექნიკა, პრინციპში, მისაღებია, წარმოდგენილ საქმეში მან ვერ შეძლო სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების დაკმაყოფილება. ვინაიდან განმცხადებლის სააპელაციო სარჩელში მითითებული იყო, რომ რაიონული სასამართლოს დასკვნები მოკლებული იყო ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საფუძველს, საქალაქო სასამართლოს მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცია თავისი საკუთარი დასაბუთებისათვის (იხ. *პირვისაარის საქმე*, ციტ. ზემოთ, §32). მიუხედავად ამისა, საქალაქო სასამართლომ განმცხადებლის სააპელაციო სარჩელში მოყვანილი არგუმენტების შემონგების გარეშე, შეჯამების სახით დაადასტურა რაიონული სასამართლოს დასკვნები.

63. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ დოროგომილოვის რაიონული სასამართლოს აშკარად ხარვეზიანი დასაბუთება და ასეთი არაადეკვატური დასაბუთების დამტკიცება მოსკოვის საქალაქო სასამართლოს, როგორც სააპელაციო ორგანოს მიერ, ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნას.

ამრიგად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

64. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

"თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერული მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს."

ა. ზიანი

65. განმცხადებელი ითხოვდა 6 940, 58 რუსულ რუბლს (RUR) და 15 947 აშშ დოლარს (USD) მატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის, რაც იყო ნამღლების საფასურის, რომლებსაც მას უფასოდ მიანვდიდნენ საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრაციის შემთხვევაში, ხანდაზმულობის პენსიის დანამატის, შემოსავლის დანაკარგის და რეგისტრაციის არქონის გამო 515 რუბლის ოდენობის ადმინისტრაციული ჯარიმის საერთო ჯამი. იგი ასევე ითხოვდა 49 900 ევროს არამატერიალური ზიანის კომპენსაციისათვის.

66. მთავრობამ განაცხადა, რომ სავარაუდო დარღვევებსა და ნამღლების შექენას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობდა.

67. სასამართლოს მიაჩნია, რომ დადგენილ დარღვევებსა და მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივარს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობს, ვინაიდან იგი დაკავშირებულია სამედიცინო ხარჯებთან და პოტენციური შემოსავლის დაკარგვასთან. სასამართლო უარყოფს განმცხადებლის მოთხოვნის ამ ნაწილს და აკუთვნებს მას 15 ევროს, როგორც ადმინისტრაციული ჯარიმის კომპენსაციას, რომელიც მან რეგისტრაციის არქონის გამო გადაიხადა. არამატერიალური ზიანისთვის მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებული ჩანს. ობიექტურ საფუძველზე დაყრდნობილი შეფასების შესაბამისად სასამართლო განმცხადებელს აკუთვნებს 3000 ევროს, დამატებული ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა.

ბ. ხარჯები და განუშლი დანახარჯები

68. განმცხადებელი ითხოვდა 203 960 რუსულ რუბლს სასამართლო ხარჯებისთვის (სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარების საფასურის გამოკლებით), 13 497, 15 რუსულ რუბლს თარგმანის ხარჯებისთვის, 708,74 რუსულ რუბლს საფოსტო ხარჯებისთვის, 2734 რუსულ რუბლს შიდასახელმწიფო სასამართლოებში განუშლი ხარჯებისთვის და 150 რუსულ რუბლს უფლებამოსილების ფორმების დამონმებისთვის გადახდილი საფასურისთვის.

69. მთავრობა აცხადებდა, რომ სასამართლო ხარჯები აშკარად გადაჭარბებული იყო და უსამართლო გამდიდრებას ემსახურებოდა. სასამართლოში საქმის მოსამზადებელი საშუალო დანახარჯი იყო 1500 ევრო, რაც განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ თანხასთან შედარებით გაცილებით ნაკლებია.

70. სასამართლო ეთანხმება, რომ განმცხადებელმა გარკვეული ხარჯები გასწია შიდასახელმწიფო და სტრასბურგის პროცესებისთვის, თუმცა მოთხოვნილი კონკრეტული თანხა გადაჭარბებული ჩანს. საქმის მასალების გათვალისწინებით და განმცხადებლის იურიდიული დახმარებისთვის უკვე გადახდილი საფასურის გამოკლებით, სასამართლო მას აკუთვნებს 2500 ევროს ხარჯების კომპენსაციის სახით, დამატებული ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა.

გ. საურავი

71. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ოდენობით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტული პუნქტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლი;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი;
3. ადგენს,

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ დღიდან, როდესაც გადანყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს რუსულ რუბლში კონვერტირებული, ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით:

(i) 15 (თხუთმეტი) ევრო მატერიალური ზიანისთვის;

(ii) 3000 (სამი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისთვის;

(iii) 2500 (ორი ათას ხუთასი) ევრო ხარჯებისა და განუღი დაანაზარჯებისთვის;

(iv) ზემოაღნიშნულ თანხებზე გათვალისწინებული ნებისმიერი საგადასახადო ბეგარა;

(ბ) რომ ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებამდე ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება უბრალო პროცენტები ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი;

4. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2007 წლის 22 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სორენ ნილსენი
სექციის მდივანი

კრისტოს როზაკისი
თავმჯდომარე.